


ზურაბ პავასიძე

ნაკვეთები თანამედროვე აფხაზეთის  
ისტორიული წარსულიდან

II



**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის  
საქართველოს საისტორიო საზოგადოების  
აფხაზეთის ორგანიზაცია**

**წურავ კაკასქირი**

**ნარკვევები თანამედროვე  
აფხაზეთის  
ისტორიული წარსულიდან**

**ნაკვეთი II**

***1917-1993***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ  
სოხუმის ფილიალის გამომცემლობა  
თბილისი – 2007

წარმოდგენილი ნაშრომი არის გაგრძელება ადრე გამოცემული წიგნისა „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“ (ნაკ. I. თბ., 2004). მასში გაშუქებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1917 წლიდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით. ეს არ არის რეგიონის სრული, ყოვლისმომცველი ისტორია, მასში ძირითადი აქცენტები გადატანილია ე.წ. „სადავო პრობლემებზე“ და სათანადო პირველწყაროების ანალიზისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების ფონზე ნაჩვენებია, რომ აფხაზეთი განსახილველ პეროდში კვლავინდებურად რჩებოდა ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილად.

წიგნი განკუთვნილია საქართველო-აფხაზეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის. გარდა ამისა, მან შეიძლება შეასრულოს ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

**რედაქტორი:** ასოცირებული პროფესორი **დავით ჩიტაია**

**რეცენზენტები:** ასოცირებული პროფესორი **ლია ახალაძე**  
ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**

© ზურაბ პაპასქირი

ISBN 978-99940-68-78-4 (ორივე ნაკვეთის)

ISBN 978-99940-68-79-1 (მეორე ნაკვეთის)

**თავი I. აფხაზეთი ახალ პოლიტიკურ  
რეალობაში.  
აფხაზეთა სახალხო საბჭოდან აფხაზეთის  
სახალხო საბჭომდე.  
1917-1919 წ. დამდეგი**

რუსეთის იმპერიის ნგრევის დასაწყისი და პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1917 წელს. 1917 წლის თებერვალ-მარტ-ში პეტროგრადში განვითარებულმა მოვლენებმა საფუძველი მოუწყვეს რუსეთის იმპერიას და ფაქტობრივად მისი დაშლაც დაიწყო. პირველ რიგში, ეს შესამჩნევი გახდა იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის, მრავალეროვან კავკასიაში, სადაც დაიწყო „ერთა თვითგამორკვევის“ მასობრივი პროცესი. ახალ სიტუაციას მომზადებული შესვლენ ანტიქართულად განწყობილი აფხაზური „სახალხო ინტელიგენციის“ ლიდერები. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ აფხაზეთში რუსეთის იმპერიული რეჟიმის მიერ ათეული წლების მანძილზე გატარებულმა თანმიმდევრულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ რეალური ნაყოფი უკვე 1905-1907 წწ. რევოლუციის პერიოდში გამოიღო, როდესაც ოდესღაც რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე აფხაზობამ, რომელთა დიდი ნაწილი თავის ჩრდილო-კავკასიელ მუსლიმ თანამომხმებთან ერთად თითქმის 70 წლის განმავლობაში „საღვთო ომს“ ეწეოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, დიამეტრალურად შეიცვალა ორიენტაცია და იმპერიის ყველაზე ლოიალურ და ერთგულ ხალხად იქცა<sup>1</sup>.

აფხაზეთში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკა იმდენად აშკარა იყო, რომ ამის უარყოფა თვით იმ აფხაზ მკვლევრებსაც კი არ შეუძლიათ, რომლებიც თავს დებენ აფხაზური სეპარატიზმის ქურუმობაზე. აი, რას წერს მაგალითად რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ სტანისლავ ლაკობა: „...Недоверие и напряжение, сложившееся в абхазо-грузинских отношениях в 1905-1907 гг. всеми силами пыталась использовать в своих ин-

**тересах царская администрация на Кавказе разжигавшая межнациональную рознь в духе великодержавной политики: „разделяй и властвуй“.**<sup>2</sup> აფხაზთა ეროვნული თვითშეგნების ფორმირება მკვეთრად გამოხატული ანტიქართული კონიუნქტურის პირობებში მიმდინარეობდა. ანტიქართული სულისკვეთება ელო საფუძვლად ე.წ. „ახალ აფხაზთა“, ანუ „სახალხო“ ინტელიგენციის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობას ზოგადად.

მიზეზთა გამო, რომელთა შორის მთავარი იყო ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის წამქეზებლური პოლიტიკა, აფხაზეთში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მოვლენების ეპიცენტრში ეს „ახალი“, რუსოფილი აფხაზები მოექცნენ და სწორედ მათ იგდეს ხელთ პოლიტიკური ინიციატივა რეგიონში. ისინი ჩაუდგნენ სათავეში რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივ (აფხაზეთის) ორგანოს – საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს (შეიქმნა 1917წ. 10 მარტს). ამ ორგანოს ხელმძღვანელი გახდა ქართველთაძულე თავადი ალექსანდრე შარვაშიძე<sup>3</sup>.

„ახლადგამოჩეკილმა“ პოლიტიკურმა ლიდერებმა ხელიდან არ გაუშვეს ხელსაყრელი სიტუაცია და გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოსაწყვეტად. 1917 წლის 20 ოქტომბერს ვლადიკავკაზში ჩავიდა აფხაზთა დელეგაცია თავად ალ. შარვაშიძის მეთაურობით. აქ ხელი მოეწერა „სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, რომლის თანახმადაც იქმნებოდა ე.წ. *„კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-დასავლეთის კავშირი“* („Юго-Восточный Союз казачьих войск, горцев Кавказа и вольных народов степей“). აღსანიშნავია, რომ ამ „კავშირში“ აფხაზობა ერთიანდებოდა *„კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის“* („Союз объединённых горцев Кавказа“ – СОГК) მეშვეობით. ამ უკანასკნელი გაერთიანების ფაქტობრივი ლიდერი, ჩეჩენტა წარმომადგენელი ასლანბეკ შერიფოვი მანამდე არაერთხელ იყო ნამყოფი აფხაზეთში<sup>4</sup>.

ამ ბოლო დროს, აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები ისე წარმოაჩენენ ვითარებას, თითქოს ე.წ. *„სამხრეთ-აღმოსავლე-*

თის კავშირში“ მიღებულ იქნა აფხაზეთი და რომ ეს იყო აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ნება-სურვილი. მაგრამ ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულებაში“ სრულიად ნათლად და გარკვევით წერია, რომ „კავშირში“ შედის „горский народ Сухумского края (абхазцы)“.<sup>5</sup> ის, რომ „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ დამდებმა მხარეებმა საჭიროდ ჩათვალეს დაზუსტება და საგანგებოდ მიუთითეს მხოლოდ აფხაზებზე, სულაც არ იყო შემთხვევითი. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სხვა რეგიონები ამ „კავშირში“ თითქმის მთელი მოსახლეობით იყვნენ წარმოდგენილნი. მაგალითად, „სამოკავშირეო ხელშეკრულებაში“ აღნიშნულია, რომ „კავშირის“ წევრები არიან: „**Все народы Дагестана (Аварцы, Даргинцы, Лаки, они же Кази-Кумыки, Коринцы, Кумыки, Табасаранцы и иные) и Закатальского округа (Лезгины). Все горские народы Кубанского края (Карачаевцы, Абазинцы, Черкесы, Ногайцы и иные) ...Степные народы Терского края...**“.<sup>6</sup>

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის დანარჩენ მოსახლეობას და, პირველ რიგში, ქართველობას, არაფერი ჰქონდა საერთო ე.წ. „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირთან“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოხსენებული „სამხრეთ-დასავლეთის კავშირის“ სუბიექტი იყო. მალე ნაციონალისტურად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში ახალი ანტიქართული აქცია მოაწყვეს. 1917 წლის 8 ნოემბერს (ამ დროს პეტროგრადში დამხობილი იყო დროებითი მთავრობა და ძალაუფლება უკვე ბოლშევიკებს ეპყრათ ხელთ) ალექსანდრე შარვაშიძის, ტატამ მარშანიას (ადგილობრივი მილიციის ხელმძღვანელის), სიმონ ბასარიას, მიხეილ ცაგურიას, დიმიტრი ალანიას, მიხეილ ტარნავასა და ა.შ. ინიციატივით, მკვიდრი ქართული მოსახლეობის, აგრეთვე რეგიონში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა ზურგს უკან, მოწვეულ იქნა ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობა“, რომელმაც შექმნა „აფხაზთა სახალხო საბჭო“ („Абхазский Народный Совет“) და მიიღო ოფიციალური დოკუმენტები: „აფხაზი ხალხის დეკლარაცია“ და „აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია“. „ყრილობის“ მუშაობასა და მის მიერ მიღებული დოკუ-

მენტების შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის“ ლიდერი ასლანბეკ შერიფოვი.

„ყრილობამ“ ოფიციალურად დაადასტურა აფხაზი ხალხის შესვლა (ხაზს ვუსვამთ: **აფხაზი ხალხის** და არა **აფხაზეთის**) „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში“. ამავ დროს, ყრილობამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან (სამხარეო კომიტეტი, კომისიები და ა.შ.) **მოითხოვა**, წარემართათ თავიანთი საქმიანობა „в контакте с Абхазским Народным Советом“.<sup>7</sup> ამით აფხაზთა სახალხო საბჭომ, რომელიც მხოლოდ ერთი – აფხაზი ხალხის ინტერესების გამომხატველი იყო, მკვიდრი ქართული მოსახლეობისა და რეგიონის სხვა მცხოვრებთა ნების სრული იგნორირებით, ფაქტობრივად, მოახდინა ხელისუფლების უზურპირება აფხაზეთში.

ყრილობამ ფეხქვეშ გათელა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრება და აფხაზი ხალხის მომავალი ცალსახად დაუკავშირა „კავკასიის მთიელთა კავშირს“. „Каждый народ, – აღნიშნულია „ყრილობის“ მიერ მიღებულ „დეკლარაციაში“, – должен чутко следить за тем, чтобы его права и интересы не пострадали от покушений и не были бы забыты при переустройстве России на новых началах. **Абхазский народ уверен в том, что братья – горцы Северного Кавказа и Дагестана поддержат его в тех случаях, когда он будет защищать свои права**“.<sup>8</sup>

„ყრილობის“ მკვეთრად გამომხატულმა ანტიქართულმა პათოსმა და მიმართულებამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. როგორც აღნიშნავს თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მიხეილ ტარნავა, ყრილობაზე გამოცხადდა აკაკი ჩხენკელი – რუსეთის (IV) სათათბიროს დეპუტატი, „ოზაკომის“ („*Особый Закавказский комитет*“ – რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ორგანო ამიერკავკასიაში) წევრი, აგრეთვე სხვა ცნობილი პიროვნებები, რომელთა შორის იყო გიორგი შარვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობის

დიდი მებაირახტრე\*. გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა „ყრილობის“ მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და მოუწოდა ქართველ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ: „თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში“. ამ განცხადების შემდეგ, თავის თანამომძმეთა ანტიქართული განწყობილებებით გაწვილებულმა გიორგი შარვაშიძემ დატოვა დარბაზი და შემდგომ არც მობრუნებულა<sup>9</sup>. სულ რაღაც სამ თვეში კი – 1918 წლის 19 თებერვალს – მთელი საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ დიდი მამულიშვილის გარდაცვალების შესახებ.

გიორგი შარვაშიძის – აფხაზური თავადაზნაურული ელიტის ამ უკანასკნელი მოჰიკანის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის ნამდვილი ბურჯის უეცარი გარდაცვალება 1918 წლის დამდეგს, როდესაც ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მშობლიური კუთხის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას, რამდენადმე სიმბოლურიც კი იყო. თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს – მხურვა-

---

\* აღსანიშნავია, რომ ს. ლაკობა, რომელსაც (მ. ტარნავას მიხედვით) მოჰყავს აკაკი ჩხენკელისა და სხვა მოღვაწეთა ყრილობაზე მოსვლისა და მასზე ამ უკანასკნელთა გამოსვლის ფაქტი, კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ ქართული პოზიციების აქტიური დაცვით გამოვიდა გიორგი შარვაშიძე. არადა, ს. ლაკობას სულაც არ დაეიწყინა გიორგი შარვაშიძის არსებობა. უფრო მეტიც, მან „აფხაზეთის ისტორიის“ ე.წ. „დამხმარე სახელმძღვანელოს“ ზუსტად იმ ნაწილში (თითქმის იმავე გვერდზე), სადაც სერუპულოზურად აცნობს მკითხველს „აფხაზი ხალხის ყრილობის“ პერიპეტებს, მოათავსა გიორგი შარვაშიძისა და ალექსანდრე შარვაშიძის 1917წ. დათარიღებული ფოტო. იხ.: **С. З. Лакоба.** Абхазия в 1917-1921гг. – წგნ.: *История Абхазии.* Учебное пособие. Сухуми, 1991, გვ. 282-283.



ლე პატრიოტის, რომელმაც ჭეშმარიტად მამულიშვილური, შეუ-  
რიგებელი პოზიციის გამო არაერთხელ იწვნია რუსეთის ხელი-  
სუფლების რისხვა, გულმა ვერ აიტანა თანამოდმეთა ღალატი.  
სავსებით ნათელი იყო, რომ ახალ აფხაზ ლიდერებს სრულიად  
განსხვავებული იდეალები ჰქონდათ. მათ უკვე არ შეეძლოთ და  
არც სურდათ გიორგი შარვაშიძის ნაკვალევზე სვლა. ამისთვის  
არ აღუზრდია ისინი „დედა-რუსეთს“.

1917წ. ახალი „სახალხო ინტელიგენციის“ წარმომადგენ-  
ლები შეეცადნენ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამო-  
ცილებას ეკლესიურადაც. ამ მიზნით 24-27 მაისს სოხუმში მოწ-  
ვეულ იქნა აფხაზური მართლმადიდებლური მოსახლეობის სასუ-  
ლიერო და არჩეულ საერო პირთა „ყრილობა“, რომელზეც და-  
აყენეს აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის შექმნის საკითხი.  
ამისთვის შემზადდა ერთგვარი „მეცნიერულ-იდეოლოგიური“ სა-  
ფუძველი, რომელიც მოცემული იყო მიხეილ ტარნავას ბროშუ-  
რაში: „*Краткий очерк истории Абхазской церкви*“. მასში გად-  
მოცემული იყო ე.წ. „აფხაზეთის საკათოლიკოსოს“ ისტორია, რო-  
მელიც, როგორც ცნობილია<sup>10</sup>, იყო არა აფხაზური (აფსუური)  
„ნაციონალური“ ეკლესია, არამედ დასავლეთ საქართველოს სა-  
ეკლესიო ორგანიზაცია<sup>11</sup>. სხვათა შორის, ბროშურის ავტორმა,  
მიუხედავად დიდი მონდომებისა, მაინც ვერ მოახერხა ამ უცი-  
ლობელი ჭეშმარიტების დამალვა და იძულებული გახდა, მკითხ-  
ველისათვის მოეთხრო ე.წ. „აფხაზეთის“ კათოლიკოსებზე (სულ  
17 იერარქი), რომელთა შორის არ იყო (ეს დანამდვილებით ცნო-  
ბილია) არც ერთი ეთნიკური აფხაზი. „ყრილობის“ მიერ მიღე-  
ბულ „რეზოლუციაში“, რომელსაც ხელს აწერდნენ: სიმონ ბასა-  
რია („ყრილობის“ თავმჯდომარე), ვასილი აგრბა (თავმჯდომა-  
რის მოადგილე), მიხეილ ტარნავა (მდივანი) და სამსონ ჭანბა,  
დეკლარირებული იყო დადგენილება: „დამოუკიდებელი, სრულ-  
უფლებიანი აფხაზეთის ეკლესიის აღდგენის“ შესახებ „с пребы-  
ванием выборного от Абхазского народа епископа с предос-  
тавлением ему всех прав главы **независимой** Абхазской церк-  
ви со всеми необходимыми для сего учреждениями в г. Суху-  
ме“.<sup>12</sup> „ყრილობამ“ მიმართა ახლად აღდგენილ საქართველოს ეკ-

ლესიას, აგრეთვე რუსეთის უწმინდეს სინოდსა და რუსეთის დროებით მთავრობას მხარდაჭერის თხოვნით, მაგრამ აფხაზ სეპარატისტთა ეს მცდელობა ჩაიშალა.

**პირველი ნაბიჯები თბილისისა და სოხუმის დაახლოების გზაზე 1918 წლის I ნახევარში.** 1917 წლის ნოემბერში გამართული აფხაზთა ე.წ. I „ყრილობის“ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა სამურზაყანოში, რომლის წარმომადგენელი, ცნობილი მოღვაწე ივანე გეგია საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე გამოსვლისას აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო არ უერთდება აფხაზეთის გადაწყვეტილებას მთიელებთან კავშირის საკითხში. ამასთან, გამოხატავდა რა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნებას, ის ითხოვდა აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირებას ე.წ. „სოხუმის ოკრუგისათვის“, ანუ აფხაზეთ-სამურზაყანოსათვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭებით<sup>13</sup>.

აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. რეგიონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაემიჯნა ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერების ავანტიურისტულ ინიციატივებს. შეიქმნა აფხაზეთის გახლჩის რეალური საშიშროება. ამასობაში, რუსეთში ვ. ლენინის ბოლშევიკურმა რეჟიმმა ძალით გარეკა დამფუძნებელი კრება. ამას, როგორც ცნობილია, მოჰყვა უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც შეძგომ ხანგრძლივ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. გამწვავდა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც თავის მხრივ იქონია გავლენა აფხაზეთზე. შექმნილ სიტუაციაში ე.წ. „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ ვერ შეძლო დასახული ამოცანების განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად უთითებს აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა, რომ აფხაზთა სახალხო საბჭო ამ დროს აღმოჩნდა „в крайне тяжелом положении, так как фактически лишился реальной поддержки со стороны Юго-Восточного Союза и Союза горцев Кавказа в связи с ужесточением событий гражданской войны на Северном Кавказе“.<sup>14</sup>

ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობების მოწესრიგებაში იყო. 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში შედგა შეხვედრა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დელეგაციასა (ალ. შარვაშიძის, მ. ემუხვარის, ნ. მარღანიას, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას, ბ. ცაგურიას შემადგენლობით) და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს (ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე) შორის. მოლაპარაკებების საწყის ეტაპზე აფხაზთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ალ. შარვაშიძემ და დელეგაციის მკვეთრად ნაციონალისტურად განწყობილმა ცალკეულმა წევრებმა მოითხოვეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება „имея с Грузией лишь добрососедские взаимоотношения, как с равным соседом“. განსხვავებული პოზიცია დაიკავა სამურზაყანოს წარმომადგენელმა მ. ემუხვარმა, რომელმაც ღიად განაცხადა: „В виду решения Абхазского Народного Совета войти в «Союз объединенных горцев Кавказа», Самурзакано прервало все отношения с Абхазией“.<sup>15</sup> მ. ემუხვარის ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ალექსანდრე შარვაშიძე და მისი მომხრენი, რომ აფხაზეთის დაქუცმაცების საფრთხე სულ უფრო რეალური ხდებოდა და ისინი იძულებულნი შეიქნენ, დათანხმებოდნენ აკაკი ჩხენკელის წინადადებას „о необходимости вхождения Абхазии в состав Грузии на правах автономии“. თავის მხრივ, თბილისი აცხადებდა სრულ მზადყოფნას „содействовать восстановлению исторических границ Абхазии от реки Мзымта до реки Ингури“.<sup>16</sup> „Наша цель, – აცხადებდა ა. ჩხენკელი, – **восстановить Сухумский округ как Абхазию**“,<sup>17</sup> ამასთან, ამ მიზნის რეალიზაციის აუცილებელ პირობად ქართული მხარე აყენებდა „выход Абхазии из состава „Союза объединенных горцев Кавказа“.<sup>18</sup>

რასაკვირველია, 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმწიფოთაშორის დადებულ დოკუმენტად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროს, აფხაზეთზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით სა-

ქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო. არც მოლაპარაკების მონაწილე მხარეები – „აფხაზთა სახალხო საბჭო“ და საქართველოს ეროვნული საბჭო – წარმოადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. მიუხედავად ამისა, თბილისში მიღწეული შეთანხმება, უდავოდ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ამით მნიშვნელოვნად განიმუხტა დაძაბულობა და ურთიერთობები თბილისსა და სოხუმს შორის კონსტრუქციული გახდა.

ცალკეული აფხაზი მკვლევრები, ამხვილებენ რა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ 9 თებერვალს მიღწეული შეთანხმების ტექსტში არ არის პუნქტი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შესვლის შესახებ, ყოველნაირად ცდილობენ, უარყონ რაიმე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა საქართველოსა და აფხაზეთს შორის 1918 წლის გაზაფხულზე. ერთი შეხედვით, ეს მართლაც შეიძლება ასე მოგვეჩვენოს, ვინაიდან დოკუმენტში მითითებულია, რომ „Форма будущего политического устройства единой Абхазии должна быть выработана (в соответствии) с принципом национального самоопределения на Учредительном Собрании Абхазии, созванном на демократических началах“. მაგრამ აქვე არის შემდეგი ჩანაწერი: „В случае, если Абхазия и Грузия пожелают вступить с другими нациями и государствами в политические договорные отношения, то взаимно обязываются начать предварительно между собой по этому поводу переговоры“.<sup>19</sup>

ისმის კითხვა: თუ აფხაზეთი იყო საქართველოსაგან დამოუკიდებელი, მაშინ რატომ უნდა დაინტერესებულიყო ის, თუ როგორ „политические договорные отношения“-ში შევიდოდა საქართველო? და პირიქით. ერთადერთი ახსნა აქ შეიძლება იყოს ის, რომ მხარეებმა აფხაზეთი „დე-ფაქტო“ ცნეს საქართველოს ავტონომიურ ნაწილად და ეს არ გააფორმეს სათანადოდ მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს საქართველო არ წარმოადგენდა სახელმწიფოს და არც საქართველოს ეროვნული საბჭო იყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა, ჯერ კიდევ 1918 წლის 11 ივნისამდე „აფხაზთა სა-

ხალხო საბჭომ“ ოფიციალურად აღიარა აფხაზეთი ავტონომიურ წარმონაქმნად ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა თავიდანვე ერთმნიშვნელოვნად თვლიდა აფხაზეთს საქართველოს ნაწილად. ამის ნათელი დადასტურებაა გერმანიის წარმომადგენლის ფონ ლოსოვის 1918 წლის 28 მაისით დათარიღებული წერილი საქართველოს მთავრობისადმი. ამ წერილში აღნიშნულია, რომ: „границы Грузии охватывают прежние губернии – Тифлисскую, Кутаисскую и Сухумский округ“... „Сухумский округ (включая Гагры), составляют часть Грузии до тех пор, пока Грузия образует отдельное государство в пределах Кавказа. В случае же образования Конфедерации кавказских народов, с участием в ней Грузии – населению Сухумского округа должно быть предоставлено решение вопроса о положении его среди кавказских стран“.<sup>20</sup>

ერთი სიტყვით, ამ დოკუმენტიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მომენტისათვის გერმანია (აგრეთვე თურქეთიც) აფხაზეთს განიხილავდა საქართველოს ნაწილად. თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობების დარეგულირებამ საგონებელში ჩააგდო კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი და მანაც უმაღლ მოაწყო აფხაზეთში შეიარაღებული გამოსვლის ინსპირირება, რომლის შედეგად 1918 წლის 16-21 თებერვალს სოხუმში მოექცა ბოლშევიკური ე.წ. „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის“ კონტროლქვეშ. ამ კომიტეტს ხელმძღვანელობდა ცნობილი აფხაზი ბოლშევიკი ეფრემ ეშბა. მაგრამ მაშინ მოხერხდა კრიზისიდან გამოსვლა და ქალაქში სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის აღდგენა.

ამ პერიოდში აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობა, რომელიც გაიმართა 1918 წლის 4-9 მარტს სოხუმში. ყრილობა გახსნა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ არზაყან ეშუხვარმა. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბენია ჩხიკვიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად კი არზაყან ეშუხვარი და ბოლშევიკი ნესტორ ლაკობა. ყრილობამ გამოთქვა შემოფოთება 16-21 თებერვლის მოვლენების გამო და შექმნა სპეცია-

ლური კომისია (6 კაცის შემადგენლობით) ამ მოვლენების გამო-საძიებლად. ყრილობის უმთავრესი შედეგი იყო დემონსტრირება ერთსულოვანი სურვილისა „народа Абхазии и сознательной части его интеллигенции... войти в общую семью закавказских нации... и выковать свою судьбу и наилучшее будущее совместно с демократической Грузией“.<sup>21</sup>

მაგრამ აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია არ შედიოდა მოსკოვის გეგმებში და ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კვლავ შეძლო მორიგი ამბოხის პროვოცირება. ბოლშევიკებმა გაგრის, გუდაუთისა და კოდორის გლეხობა აიყოლიეს და 1918 წლის 8 აპრილს სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. ბოლშევიკებმა ძალაუფლების შენარჩუნება ამჯერად უფრო დიდხანს – 17 მაისამდე მოახერხეს. ბოლშევიკური ამბოხის ჩახშობა შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წითელი გვარდიის ნაწილების (ვ. ჯუღელის და ა. დგებუაძის სარდლობით) ჩარევის შედეგად, რომლებმაც გაწმინდეს აფხაზეთი ბოლშევიკი ავანტიურისტებისაგან. გადაწყვეტილება წითელი გვარდიის რეგულარული ნაწილების აფხაზეთში გაგზავნის შესახებ, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ „აფხაზთა სახალხო საბჭოსთან“ შეთანხმებით მიიღო, გამოწვეული იყო იმ პერიოდში წარმოქმნილი თურქეთის აგრესიის საფრთხით. აი, რას აცნობებდა ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ საბჭოს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი: „Турки решили послать войска для занятия Сухуми и начали соответствующую подготовку. Однако, вскоре ими было получено известие о взятии Сухуми нашими войсками и изгнании большевиков. Это известие подействовало на них, как гром среди ясного неба, ибо такого поворота событий они не ждали и вынуждены были отказаться от своих замыслов“.<sup>22</sup>

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წითელი გვარდიის ნაწილების პოზიტიურ როლს ბოლშევიკური ამბოხის ჩახშობაში აღიარებდნენ თვით ანტიქართულად განწყობილი აფხაზი ლიდერებიც (დ. ალანია, მ. ტარნავა და მ. ცაგურია) კი, რომლებიც

ხაზგასმით აფიქსირებდნენ: „беспристрастное и корректное отношение... гвардии ко всему населению Абхазии“.<sup>23</sup> ამრიგად, 1918 წლის მაისში ე.წ. „აფხაზთა სახალხო საბჭოსა“ და ამიერკავკასიის წითელი გვარდიის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებების შედეგად აფხაზეთის ბოლშევიზაციის საფრთხე ლიკვიდირებულ იქნა.

1918 წლის 26 მაისს, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა თავისი უფლებამოსილება ამოწურულად ჩათვალა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ ამცნო მსოფლიოს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ახალმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა კონიუნქტურამ აფხაზ ლიდერებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის დაყენების საბაბი მისცა. 1918 წლის 2 ივნისს „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „С момента распада Закавказской Федеративной Республики и объявления независимости Грузии, Абхазия потеряла юридическую основу связи с Грузией и отряд Закавказской Красной Гвардии, являясь в настоящее время войсковой частью Грузинской Республики, оказался вне пределов своего государства, но вся полнота власти фактически находилась в его руках“. ამკარად მიანიშნებდა რა ამგვარი სიტუაციის გაგრძელების არასამართლებრივობაზე, „Абхазский народный совет... постановил... принять на себя всю полноту власти в пределах Абхазии“.<sup>24</sup>

ამრიგად, „აფხაზთა სახალხო საბჭომ“, რომელიც თავის დროზე არჩეული იყო მხოლოდ აფხაზი ხალხის წარმომადგენლებისაგან და რომელსაც არ ჰქონდა აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის, აგრეთვე სხვა ეროვნების მაცხოვრებლების რწმუნება, სრულიად უცერემონიოდ გამოაცხადა თავისი თავი სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ მთელი აფხაზეთის მასშტაბით და ფაქტობრივად აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარირება მოახდინა. მაგრამ „აფხაზთა სახალხო საბჭო“, გრძნობდა რა მდგომარეობის სირთულეს, იძულებული შე-

იქნა, მიემართა საქართველოს ეროვნული საბჭოსათვის, რომელიც იმ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, „дружественным представлением об оказании помощи в деле организации государственной власти в Абхазии, оставлением в распоряжении Совета (იგულისხმება „აფხაზთა სახალხო საბჭო“ – ზ.პ.) отряда Грузинской Красной Гвардии“. ამავე დადგენილებით „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების წარმოება დაავალა საბჭოს წევრებს: იჩინერ რაჟდენ კაკუბავას, ვასილი ლურჯუას, გიორგი აჯამოვს და გიორგი თუმანოვს<sup>25</sup>.

იმ პერიოდში აფხაზეთში შექმნილი რეალური ვითარების გასარკვევად დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 6 ივნისს ჩატარებული სხდომის ოქმი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა აწვანსვენებულმა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ავთანდილ მენთემაშვილმა. ამ სხდომაზე გამოვიდა „делегат от Абхазского Народного Совета – Р. Какуба“, რომელიც მიესალმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მიუთითა „на общность интересов народов Абхазии и Грузии, на их духовную связь“. ამავე დროს მან გამოთქვა სურვილი, რომ „эта связь и после перехода всей власти в Абхазии в руки Абхазского Народного Совета сохранилась в прежнем виде и чтобы правительство Грузинской Республики оказало дружественную помощь в организации государственной власти в Абхазии“.

აანალიზებდა რა აფხაზეთში შექმნილ საერთო-პოლიტიკურ სიტუაციას, რ. კაკუბავა აღნიშნავდა, რომ „В данный момент в Абхазии существует несколько политических течений... так, состоятельный, помещичий класс явно придерживается турецкой ориентации, ожидая от Турции восстановления своих утраченных прав, есть и небольшое течение с большевистской ориентацией. Часть населения симпатизирует горцам Северного Кавказа“. სწორედ „Для борьбы со всеми этими течениями, – განაგრძობდა რ. კაკუბავა, – Абхазский Народный Совет ждет помощи от Грузинского правительства и надеется,



что Грузинская Красная Гвардия не будет выведена из пределов Абхазии и поможет Абхазской администрации и организуемому интернациональному отряду в их борьбе с этими элементами. Абхазский Народный Совет, нуждаясь в деньгах, ждет также и финансовой помощи от Грузии“.<sup>26</sup>

„აფხაზთა სახალხო საბჭოში“ არაერთგვაროვნად შეხვდნენ თბილისში მიმდინარე მოლაპარაკებებს. მაგალითად, ს. ბასარია მოითხოვდა ჯერ მოეწვიათ აფხაზთა ეროვნული ყრილობა, გაერკვიათ აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ დაემყარებინათ საქართველოსთან „...добрососедские договорные союзы и соглашения“. მიუხედავად ამისა, თბილისში მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და 11 ივნისს ოფიციალურად ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მთავრობასთან „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ წარდგინებით ინიშნებოდა აფხაზეთის საქმეების მინისტრი; „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ევალებოდა „внутреннее управление и самоуправление в Абхазии“; კრედიტები და ფული აფხაზეთის მმართველობის საჭიროებებისათვის გამოიყოფოდა „из средств Грузинской Демократической Республики; ...Для скорейшего установления революционного порядка и организации твердой власти, в помощь Абхазскому Народному Совету и в его распоряжение правительство Грузинской Демократической Республики“ იღებდა ვალდებულებას, გაეგზავნა აფხაზეთში წითელი გვარდიის ნაწილები, საქართველოს მთავრობას ასევე უნდა გამოეყო აფხაზეთში „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ მიერ ჩამოსაყალიბებელი ინტერნაციონალური რაზმისათვის საჭირო აღჭურვილობა და ფული<sup>27</sup>.

ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი, პირველ რიგში, ჩვენს მიერ არაერთგზის ნახსენები სტანისლავ ლაკობა, სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებს, რომ „правительство Грузинской республики, пообещав Абхазскому Народному Совету самую широкую автономию, навязало так называемый договор между Грузией и Абхазией“.<sup>28</sup> სინამდვილეში, სრულიად აშკარაა, რომ საქარ-

თველოს დედაქალაქში მიმდინარე მოლაპარაკებების ინიციატივა მოდიოდა სწორედ „აფხაზთა სახალხო საბჭოსაგან“ და რომ ეს გამოწვეული იყო არა თბილისის ზეწოლით, არამედ, როგორც საკვებით სამართლიანად მიუთითებდა მიხეილ ტარნავა (სხვათა შორის, მაშინდელი აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი), რეგიონში შექმნილი „фактическое положение“-თი, კონკრეტულად, ერთი მხრივ, თურქეთის აგრესიის, ხოლო, მეორე მხრივ, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების საფრთხით. სწორედ ამ გარემოებების გამო წერდა მ. ტარნავა: „депутаты Абхазского Народного Совета, объединившись официально в одну ориентацию на меньшевистскую Грузию... послали в Тифлис делегацию... для договора с Грузинским меньшевистским правительством **об основах вхождения Абхазии в состав Грузинского меньшевистского государства**“.<sup>29</sup>

მ. ტარნავას მოგონებებიდან ჩვენს მიერ მოტანილი ეს ციტატა ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ ის ცალსახად ადასტურებს აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოში შესვლის ფაქტს. ეს კი სრულიად უსაფუძვლოს ხდის ზოგიერთი თანამედროვე აფხაზი მკვლევრის მტკიცებას იმის შესახებ, რომ 11 ივნისის ხელშეკრულება თითქოს არ ითვალისწინებდა აფხაზეთის შესვლას საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით. ქართველმა ისტორიკოსებმა (ა. მენტემაშვილი, ჯ. გამახარია და ბ. გოგია, დ. ჩიტაია და სხვ.), ს. დანილოვის მასალებზე (რომლებსაც ხშირად იშველიებენ აფხაზი სეპარატისტები) დაყრდნობით, თვალნათლივ აჩვენეს ამგვარი თვალსაზრისის აბსურდულობა.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ რაფიელ ჩქოტუას ოფიციალური განცხადებები. აი, რას წერდა, მაგალითად, 1918 წლის 20 სექტემბერს რ. ჩქოტუა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარეს ვარლამ შარვაშიძეს: „**Абхазский народ связал свою судьбу с грузинским народом на автономных началах**“. იმავე 20 სექტემბერს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში რ. ჩქოტუა გამოთქვამდა თავის წუხილს იმის

გამო, რომ „несмотря на этот договор (იგულისხმება 11 ივნისის ხელშეკრულება – ზ.პ.) со дня моего назначения сюда положение мало изменилось, и отдельные ведомства и чины некоторых учреждений продолжают смотреть на Абхазию не как на автономию входящую в Грузинскую республику, а как провинцию последней“.<sup>30</sup>

1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულებას არ შეიძლება არ გამოეწვია აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის მორიგი გამწვავება. კვლავ გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხე. ასეთ ვითარებაში „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ კვლავ მიმართა თხოვნით საქართველოს წითელ გვარდიას, აღმოეჩინა დახმარება აფხაზეთისათვის. 19 ივნისის გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც საქართველოს სამხედრო მინისტრ გ. გიორგაძის ბრძანებით აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, ჩავიდა სოხუმში, ხოლო 20 ივნისის საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილები 300-კაციან აფხაზურ კავალერიასთან ერთად გადავიდნენ შეტევაზე და გაათავისუფლეს ახალი ათონი. 22 ივნისის ბოლშევიკები განდევნეს გუდაუთიდან, ხოლო 28 ივნისის განთავისუფლებულ იქნა გაგრა. მაგრამ ანტიქართულად განწყობილი ძალები კოლორის უბანზე შეეცადნენ „მეორე ფრონტის“ გახსნას.

27 ივნისის თურქული დესანტი, რომელიც ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან – თურქეთის არმიის კადრის ოფიცრებისაგან შედგებოდა, მოულოდნელად გადმოსხდა სოფელ წყურგილთან, ცნობილი აფხაზი ლიდერის თავად ალექსანდრე შარვაშიძის მამულში. თურქული დესანტის მაინცდამაინც წყურგილში გადმოსხმა არ იყო შემთხვევითი. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ ალ. შარვაშიძე (ტატაშ მარშანიასთან ერთად) ამზადებდა ამ აქციას და ამ მიზნით ჰქონდა გარკვეული კონტაქტები თურქეთის მხარესთან. ამაზე პირდაპირ მიუთითებდა არა სხვა ვინმე, არამედ თვით მ. ტარნავა<sup>31</sup>. ეს ავანტიურა ჩაიფუშა გენ. გ. მაზნიაშვილის მიერ ოპერატიულად გატარებული მოქმედებების შედეგად. ის, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დეკლარაციების თანხლებით, მივიდა ალ. შარ-

ვაშიძის მამულში. ქართული ჯარების მიერ ფაქტობრივად ალყა-შემორტყმული თურქული დესანტის სარდლობამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. გენ. გ. მაზნიაშვილის ბრძანებით დესანტი უკანვე გააბრუნეს. ამით ინციდენტი ამოიწურა, თუმცა თურქული დესანტის ნაწილი, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარის კარლამ შარვაშიძის აღიარებით, ჩარჩა აფხაზეთში და „разойдьясь по селениям, организовала военные силы, поставив своей целью изгнание из Абхазии войск правительства Грузии“.<sup>32</sup>

**პოლიტიკური ვითარების გამწვავება აფხაზეთში 1918 წლის ზაფხულში.** 1918 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, გაეტარებინა დამატებითი ღონისძიებები ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით გენ. გიორგი მაზნიაშვილს ებრძანა, გაეგრძელებინა შეტევითი ოპერაციები და განედევნა ბოლშევიკები სოჭსა და ტუაფსეს იქით. საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მთლიანად მოიწონა „აფხაზთა სახალხო საბჭომ“, რომელმაც 1918 წლის 24 ივნისს მიიღო სპეციალური დადგენილება „*О необходимости занятия Сочинского и Туапсинского округов*“. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „Абхазский Национальный Совет, обсудив политический момент и учитывая, во-первых то, что большевистская анархия, которая раздирает Абхазию уже в течение трех месяцев, пытается главным образом Сочинским и Туапсинским округами и во-вторых, учитывая также то обстоятельство, что большевистское настроение создано и поддерживается на почве продовольственных затруднении, возникших с момента занятия порта Туапсе большевиками, прекратившими сообщения с Северным Кавказом и задерживающими продовольственные грузы, идущие с Северного Кавказа для Черноморского побережья Абхазии и Грузии, постановил: для водворения прочного порядка в Абхазии, так и в Грузии признать необходимым занятие Сочинского и Туапсинского округов с портом Туапсе.“

**О настоящем постановлении довести до сведения Пра-**

## **ვითქვამთა გრუზინსკოი დემოკრატისკოი რესპუბლიკის დედასტრუქციის გენერალ-მაიორი მაზნიევა“<sup>33</sup>**

მუხედავად საქართველოს მთავრობისა დე აფხაზთა სახალხო საბჭოს, აგრეთვე ქ. სოჭის მოსახლეობის (რომელიც გენ. გ. მაზნიევილის მოწოდებით, მოუთმენლად ელოდა ქართული ჯარის მოსვლას) მტკიცე დე ცალსახა პოზიციისა, ქ. სოჭზე შეტევის დეწება გაჭიანურდა. ამ დეყოვნების ერთ-ერთ მიზეზად გენ. გ. მაზნიევილი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „Абхазская конница встала на путь разложения“.<sup>34</sup> დე მაინც, საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე დე 6 ივლისს ქ. სოჭი ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს. სოჭში დეინიშნა საქართველოს მთავრობის რწმუნებული. ეს თანამდებობა დეიკავა გიზო ანჯაფარიძემ. მოგვიანებით კი (1918წ. აგვისტოში) ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს არჩევნები<sup>35</sup>.

ქართული ჯარების შეტევას სოჭი-ტუაფსეს მიმართულებით მიესალმა ე.წ. „ყუბანის მთავრობაც“, რომლის წარმომადგენელი, ვინმე ლაპინი პირადად ეახლა გენ. გ. მაზნიევილსა დე საქართველოს მთავრობის რწმუნებულს სოჭში გ. ანჯაფარიძეს. ლაპინის მეშვეობით, „ყუბანის მთავრობა“ ქართული ჯარის სარდლობას სთავაზობდა ტუაფსე-მაიკოპის ხაზის დეკავებას დე ამით მაიკოპში დეგროვილი დიდი რაოდენობის მარცვლეულისა დე პურის გასატანად პირობების შექმნას<sup>36</sup>. მართლაც, ქართულმა ჯარმა განაგრძო შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით დე 1918 წლის 26 ივლისს, 12-საათიანი მომქანცველი ბრძოლის შემდეგ აიღო ტუაფსე<sup>37</sup>.

ამ მოვლენების გაშუქებისას არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ ქ. სოჭის მოსახლეობა ადფრთოვანებით შეხვდა ქართულ ჯარს. უფრო მეტიც, 1918 წლის 20 სექტემბერს, სოჭის მოქალაქეთა საერთო კრებამ, რომელიც მოწვეულ იქნა სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოსა, მუშათა დეპუტატების საბჭოების, მუშათა კავშირისა დე ქალაქის სათათბიროს ხმოსნების ინიციატივით, მიიღო გადაწყვეტილება სოჭის ოკრუგის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებით მიერთების შესახებ<sup>38</sup>. მაგრამ მალე ჩრდილოეთ კავკასიაში

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ძირეულად შეიცვალა და საქართველოს ხელისუფლებას არ მიეცა საშუალება, დაეკმაყოფილებინა სოჭელთა ეს თხოვნა. მოგვიანებით კი ქართულ ჯარს ჯერ ტუაფსეს, ხოლო შემდეგ სოჭის დატოვება მოუხდა.

ამასობაში, 1918 წლის ზაფხულში, ანტიქართულად განწყობილმა ძალებმა გაამწვავეს სიტუაცია თვით აფხაზეთში. ანტიქართული გამოსვლების საბაბად გამოყენებულ იქნა გენ. გ. მაზნიაშვილის ქმედებები წყურგილის ინციდენტის დროს. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია საქართველოს სამხედრო მინისტრის მიერ „აფხაზთა სახალხო საბჭოსთან“ შეუთანხმებლად გ. მაზნიაშვილის აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის ფაქტმა. 1918 წლის 4 ივლისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ „Представление“-ში „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე აღნიშნავდა, რომ „Народным Советом были даны Мазниеву широкие полномочия вплоть до права объявления осадного положения, но исключительно при ведении военных операций“. მშვიდობიანობის დროს კი, – ხაზს უსვამდა ვ. შარვაშიძე, – „источником власти и чрезвычайных полномочий на территории Абхазии является только Народный Совет и полномочия даваемые ему, как генерал грузинской армии, обязан принять с ведома и согласия своего правительства“.<sup>39</sup>

სიტუაცია გამწვავდა იმდენად, რომ საქართველოს მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი ისიდორე რამიშვილი, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ სხდომაზე გამოსვლისას (1918 წლის 18 ივლისს), იძულებული გახდა, აფხაზეთიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების დაუყოვნებლივი გაყვანის საკითხი დაეყენებინა. პასუხად, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ზოგიერთი დეპუტატი (რ. კაკუბავა, დ. მარშანია) შეეცადა, „доказать... неосновательность тревоги И. Рамишвили“ და აფხაზეთიდან ქართული ჯარის გაყვანის წინააღმდეგ გამოვიდა. ერთ-ერთმა დეპუტატმა (ოსმან კიუტმა) კი ხმები თურქული დესანტის შესახებ წმინდა წყლის პროვოკაციად გამოაცხადა და მოუწოდა „указать лиц, сеющих провокационные слухи для производства следст-

вия и привлечения их к ответственности“.<sup>40</sup>

თურქული დესანტის აფხაზეთში ყოფნას უარყოფდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძეც, რომელიც, ხაზს უსვამდა რა იმას, რომ „настоящий состав Абхазского Народного Совета стоит на одной платформе с Грузинским правительством и изменять ему не собирается“, იქვე მიუთითებდა, რომ სახალხო საბჭომ არაფერი იცოდა თურქთა ჯარის კონცენტრაციის შესახებ კოდორის უბანზე<sup>41</sup>. რასაკვირველია, ძნელია ცალსახად ვამტკიცოთ, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარე შეგნებულად ცრუობდა, როდესაც უარყოფდა თურქული ნაწილების ყოფნას რეგიონში, მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სახალხო საბჭოს დებუტატებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც, თვით მაშინდელი აფხაზური პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მიხეილ ტარნავას აღიარებით, მხარს უჭერდნენ თურქული ხელისუფლების დამყარებას აფხაზეთში. დებუტატთა ეს ნაწილი, მ. ტარნავას თქმით, „затаилась во время борьбы с турецким десантом, чтобы не рисковать своей головой“.<sup>42</sup>

„აფხაზთა სახალხო საბჭოს“ პასიურობას აფიქსირებდა კიდევ ერთი იმდროინდელი ლიდერი ვასილი ღურჯუა, რომელმაც 1918 წლის 8 აგვისტოს ღიად განაცხადა, რომ „не реагируя на высадку турецкого десанта, Абхазский Народный Совет поступает изменнически“.<sup>43</sup> ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარეს ვ. შარვაშიძეს ან მართლაც არ გააჩნდა კონკრეტული ინფორმაცია თურქული დესანტის შესახებ, ან ის მთლად გულწრფელი არ იყო.

1918 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში აფხაზეთში ვითარება უკიდურესად გამწვავდა. ეს გამოწვეული იყო ე.წ. „მუჰაჯირთა“ ახალი რაზმის გადმოსხმით, რომელიც სოფ. ჯგერდის მიმართულებით, პროთურქული ორიენტაციის ერთ-ერთი ლიდერის თავად ტატაშ მარშანიას მამულისკენ გაემართა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დებუ-

ტატთა ერთი ნაწილი აშკარად დაადგა სახელმწიფო ღალატის გზას და შეიარაღებულ პუტჩს მიემხრო. ასეთ სიტუაციაში საბჭოს დემოკრატიული ფრთა თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის, აგრეთვე ვლადიმერ ემუხვარის მეთაურობით გამოვიდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ რეორგანიზაციის ინიციატივით. ის პიროვნებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ თურქების მიერ „აფხაზეთის ოკუპაციას“ (ასეთი იყო ოფიციალური ფორმულირება) დადანაშაულებულ იქნენ სახელმწიფო ღალატში და უნდა გასახლებულიყვნენ აფხაზეთიდან<sup>44</sup>.

„აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დებუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და საბჭოს რეორგანიზაციაც მისივე წევრების ნება-სურვილით განხორციელდა. ასე რომ, სახალხო საბჭოს არავითარ გარეკვას საქართველოს ე.წ. „საოკუპაციო ჯარების“ მიერ ადგილი არ ჰქონდა და ეს მთლიანად სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ მორიგი პოლიტიკური სპეკულაციაა. ამასთან, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ე.წ. „აფხაზთა სახალხო საბჭო“ არჩეული იყო მხოლოდ აფხაზების მიერ და მას არ ჰქონდა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის რწმუნება. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ „აფხაზთა სახალხო საბჭო“ აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცნო იმ პირობით, თუ მასში (სრულიად აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობის მოწვევამდე, რასაც უახლოეს ხანებში ითვალისწინებდა 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება) შეყვანილ იქნებოდნენ რეგიონში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენლებიც.

მუშაობა ამ მიმართულებით მიდიოდა კიდევ. ჯერ კიდევ 27 ივლისს „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ მიიღო სპეციალური დადგენილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეიქმნა კომისია (დ. ალანას, ვ. ემუხვარისა და ვ. ქეცბას შემადგენლობით), რომელსაც დაევალა ახალ წევრთა რაოდენობისა და მათი არჩევის ფორმის განსაზღვრა. 8 აგვისტოს „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ უკვე შექმნა აფხაზეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსამზადებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდ-



ნენ: რ. კაკუბა, ვ. ღურჯუა, ნ. ხასაია და ა. ინალ-იფა<sup>45</sup>. მანამდე კი, 2 აგვისტოს, ქართულმა, სომხურმა და ბერძნულმა ეროვნულმა საბჭოებმა თავიანთ მხრივ აცნობეს „აფხაზთა სახალხო საბჭოს“, რომ საკითხს თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ სახალხო საბჭოში გადაწყვეტდნენ აფხაზეთში მოქმედი ყველა ეროვნული საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე<sup>46</sup>. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ყველა ეს ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ სახალხო საბჭო ექციათ უფრო წარმომადგენლობით, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ინტერესების გამოძახატველ ორგანოდ.

ერთი სიტყვით, თურქულ-მუჰაჯირული დესანტის გადმოსხმამ მხოლოდ დააჩქარა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ტრანსფორმაციის პროცესი და ამ დროიდან ის უკვე ითვლებოდა ხელისუფლების დროებით ორგანოდ. რაც შეეხება თურქულ დესანტს, ეს სულაც არ იყო უწყინარ მშვიდობიან მუჰაჯირთა ჯგუფი, რომელიც თითქოს ლოიალურად იყო განწყობილი აფხაზეთში არსებული რეჟიმისადმი. ეს ცხადი გახდა უკვე აგვისტოს შუა რიცხვებში, როდესაც დესანტმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რეგულარულ ნაწილებს. „Число турок, – წერდა 1918 წლის 2 სექტემბერს „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდან საერთოდ უარყოფდა თურქული დესანტის არსებობას აფხაზეთში, – доходило до тысячи... За все время экспедиции регулярные войсковые части под начальством Тухарели, ни разу не могли войти в соприкосновение с неприятелем, только небольшой отряд Красной Гвардии – 60 человек под командой Тумаркина, вошел в соприкосновение с турками в Моквском монастыре, где доблестно отбил многократные атаки превосходящих сил неприятеля. Второй отряд под командой Глonti, войдя в соприкосновение на высоте Ачимазмах, также доблестно отбил турок“.<sup>47</sup>

ამ მოვლენების გაშუქებისას, რასაკვირველია, არ შეიძლება მივჩქმალთ ის ფაქტი, რომ სამთავრობო ჯარები ყოველთვის არ მოქმედებდნენ წესდების სრული დაცვით და ცალკეულ შემთ-

ხვევებში იჩენდნენ არაკორექტულობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. იმავე ვარლამ შარვაშიძის აღიარებით, ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ დაპატიმრებებს, მათი კარმიდამოს გადაწვას<sup>48</sup>. სამთავრობო ჯარების ამგვარი დამოკიდებულება მშვიდობიანი მოსახლეობისადმი კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 დეპუტატისაგან შემდგარი დელეგაციის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებაში. ამ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ისეთი ოდიოზური აფხაზი ლიდერები, როგორებიც იყვნენ: მ. ტარნავა, დ. ალანია, მ. ცაგურია, ი. მარღანია და სხვ., განსაკუთრებით ხაზგასმული იყო კახაკთა სისასტიკე. ისინი თურმე „врывались в мирные абхазские деревни, забирая всё мало-мальски ценное, совершая насилие над женщинами“.<sup>49</sup>

არ იყო სიწყნარე სამურზაყანოშიც, რომელიც ბოლშევიკთა ავანტიურის შედეგად გამოვიდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ კონტროლიდან. ამან აიძულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1918 წლის 18 ივნისს მიეღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, „В целях наиболее успешной борьбы с анархией в Самурзаканском участке временно, впредь до особых распоряжений, подчинить названный участок по вопросам относящимся к охранению в нем государственного порядка и общественной безопасности ведению Кутаисского губернского комиссара, на коего возложить руководство всеми мероприятиями среди населения указанного участка“.<sup>50</sup>

სადად მოაზროვნე აფხაზ მოღვაწეებს სათანადოდ ჰქონდათ შეგნებული სიტუაციის მთელი სერიოზულობა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ცნობილი აფხაზი ლიდერი ვლადიმერ (ლადო) ემუხვარი ოლქის კომისარს მარღანიას: „Зверства самурзаканских большевиков доходят до крайних пределов, в результате чего до 500 беженцев покинули участок и перешли в Зугдиди“. ვ. ემუხვარი ვერ მალავდა თავის აღშფოთებას საოლქო კომისარიატის მოქმედების გამო და ღიად სდებდა ბრალს მარღანიას იმაში, რომ მან ხელი შეუშალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მცდელობას, ჩაეხშო ამბოხება. „Этим (იგულისხმება მარღანიას მხრიდან დაპატიმრებულ დამნა-

შავთა დაცვა – ზ.პ.), – მიუთითებდა ვ. ემუხვარი, – вы дали провокаторам помешать появлению войскам Республики“.<sup>51</sup>

ვითარება იმდენად საგანგაშო იყო, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე იძულებული შეიქნა, ოფიციალურად მიემართა საქართველოს სამხედრო მინისტრისთვის თხოვნით, რომელშიც აღნიშნული იყო: „В виду анархии Самурзаканском участке, Абхазский Национальный Совет просит Правительство Грузинской Республики в помощь ему выслать достаточный отряд в Самурзакано для водворения порядка“.<sup>52</sup> „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ შემფოთებას სამურზაყანოში შექმნილი ვითარების გამო ადასტურებს აგრეთვე იმავე ვარლამ შარვაშიძის დეპეშა, რომელიც მან გაუგზავნა გენერალ გ. მაზნიაშვილს 1918 2 ივნისს. „Абхазский Народный Совет, – წერდა ვ. შარვაშიძე, – просит Вас господин генерал, принять срочные меры для подавления большевизма в Самурзакан“.<sup>53</sup>

ჩვენს მიერ აქ მოყვანილი დოკუმენტური მასალები, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს ისტორიკოსებმა ჯემალ გამახარიაძე და ბადრი გოგიაძე, ცალსახად აქარწყლებენ სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ სრულიად უსაფუძვლო და აბსურდულ მტკიცებებს იმის შესახებ, თითქოს 1918 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა სამურზაყანოს დანარჩენი აფხაზეთისაგან მოწყვეტის მცდელობას. სინამდვილეში კი საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ზომები, როგორც სავსებით მართებულად წერენ ჯ. გამახარია და ბ. გოგია, „были направлены... не на отделение Самурзакано от Абхазии, а, наоборот, на возвращение его в состав Абхазии“.<sup>54</sup>

**სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აფხაზეთში 1918 წლის ოქტომბერში.** „თურქულ-მუჰაჯირული“ პუტჩის შემდეგ, პროთურქულად განწყობილმა ძალებმა თავად ალ. შარვაშიძის მეთაურობით, დახმარებისათვის მიმართეს ე.წ. „მოხალისეთა არმიის“ („Добровольческая армия“) სარდლობას, რომლის სათავეში იდგნენ მეფის გენერლები: მ. ალექსეევი და ა. დენიკინი. ეს ფაქტი ცნობილი გახდა იმ პერიოდში საგანგებო დიპლომატიური

მისით სოჭში მყოფი ევგენი გეგეჭკორისათვის, რომელმაც ამის შესახებ 1918 წლის 15 სექტემბერს აცნობა კიდეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას: „Алексееву, – წერდა ე. გეგეჭკორი, – послана делегация абхазцев с заявлением, что грузинское правительство насилует их волю, они же всей душой с Россией“. იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი „მოხალისეთა არმიის“ ხელმძღვანელობა, რომელიც მიზნად ისახავდა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენას, გამოეხმაურა „აფხაზთა დელეგაციის“ ინიციატივას და საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვა ჯარების გაყვანა არა მარტო სოჭის ოკრუგიდან და „წმინდა რუსული გაგრის რაიონიდან“, არამედ საერთოდ აფხაზეთიდან<sup>55</sup>.

1918 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოდარში (ამჟამინდელი კრასნოდარი) შედგა ორრაუნდიანი შეხვედრა, ერთი მხრივ, საქართველოს დელეგაციასა (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) და, მეორე მხრივ, „მოხალისეთა არმიის“ (მ. ალექსეევი, ა. დენიკინი) და ე.წ. „ყუბანის მთავრობის“ (ნ. ვორობიოვი, ბიჩი) წარმომადგენლებს შორის, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი „მოხალისეთა არმიისათვის“, შედგომოდა „ქართველი დამპყრობლებისაგან“ აფხაზეთის „განთავისუფლების“ გეგმის რეალიზაციას, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიაში იმ დროს შექმნილი სამხედრო პოლიტიკური სიტუაცია არ აძლევდა საშუალებას მ. ალექსეევსა და ა. დენიკინს, გადასულიყვნენ შეტევაზე და ძალით დაეკავებინათ აფხაზეთი. ასეთ ვითარებაში ისინი შეეცადნენ, მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება სოხუმში. შეიარაღებული პუტჩის სათავეში აღმოჩნდნენ აფხაზეთის საქმეების მინისტრი პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა და საოლქო კომისარი ი. მარდანი. პუტჩისტებს მხარს უჭერდნენ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ყოფილი დეპუტატები (დ. მარშანია, გ. თუმანოვი და სხვ.), „прежде державшихся турецкой ориентации и в настоящее время переменявших ориентацию на Алексеева“.<sup>56</sup> 1918 წლის 9 ოქტომბერს აფხაზ ცხენოსანთა რაზმი საოლქო კომისრის ივანე მარდანიას მეთაურობით, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას „აფხაზთა ასეულ-

თან“ („Абхазская сотня“) ერთად შეიჭრა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა სხდომა და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. პუტჩისტებს ამ თანამდებობაზე თავიანთი კანდიდატი ჰყავდათ. ეს იყო შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ს. აშხაცავა<sup>57</sup>. მაგრამ ვარლამ შარვაშიძემ მოახერხა დროულად დაკავშირება სამთავრობო ჯარების სარდლობასთან და აფხაზეთში განთავსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების შტაბის უფროსის პოლკოვნიკ თუხარელის ოპერატიული მოქმედებების შედეგად სახალხო საბჭოს შენობა განთავისუფლებულ იქნა მომხდურთაგან, ხოლო შეთქმულების ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარღანია, ვ. ჩიჩბა, გ. აჯამოვი და სხვ. – დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში მოათავსეს.

1918 წლის 10 ოქტომბერს თბილისში, პირდაპირი ხაზით გადაიცა ერთგვარი სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ. შარვაშიძის, აგრეთვე სახალხო საბჭოს წევრების: დ. ემუხვარის, ი. გოგელაშვილის, ი. ფაშალიდის, პ. გელოვანისა და სხვ. მიერ ხელმოწერილი თხოვნა-წარდგინება, რომელშიც ითხოვდნენ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დათხოვნას „временно, впредь до созыва подлинного народного представительства, созванного на началах всеобщего избирательного права“. ამასთან, სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე და მისი თანამოაზრენი მოითხოვდნენ საქართველოს მთავრობისაგან „ალექსეეველთა საინიციატივო ჯგუფის“ დაპატიმრებას, ვინაიდან „пресбывание их на свободе может создать для них благоприятные условия для иной авантюры, что уже будет сопряжено с большими жертвами“. ასეთ ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში ვ. შარვაშიძეს და მის მომხრე დეპუტატებს აუცილებლად მიაჩნდათ, „немедленное назначение правительственной власти окружного комиссара, вполне солидного, который энергично должен взяться за водворение государственного правления“. ისინი საქართველოს ხელისუფლებას აუცილებელ ღონისძიებად სთავაზობდნენ აგრეთვე, მიეცათ შტაბისთვის მითითებები „о принятии решительных мер пре-

дотвращения могущих быть вновь разыгратъся алексеевской авантюры“.<sup>58</sup>

ამრიგად, ჩვენს მიერ აქ მოტანილი მასალა პირდაპირ და არაორაზროვნად მიუთითებს მ. ალექსეევის შტაბის უშუალო კავშირზე რ. ჩქოტუასა და ი. მარლანიას ავანტიურასთან, რომლის მიზანი იყო ვ. შარვაშიძისა და მისი გუნდის დამნობა და აფხაზეთში ანტიქართული მარიონეტული რეჟიმის დამყარება. საკანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა ერთი ნაწილის თანამშრომლობას „მოხალისეთა არმიასთან“ ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ თვით ს. დანილოვი, რომლის პასკვილი: „*Трагедия абхазского народа*“ (გამოიცა 1951წ. მიუნხენში), უკანასკნელ ხანს აქტიურად გამოიყენება ერთ-ერთ იდეოლოგიურ არგუმენტად აფხაზი სეპარატისტების მიერ თავიანთ ანტიქართულ პროპაგანდაში. და აი, ამ ავტორის აღიარებით, „немало абхазцев, офицеров и всадников, тайком ушло из Абхазии и вступило в ряды Добровольческой армии ген. Деникина“.<sup>59</sup> სამწუხაროა, რომ ცალკეული აფხაზი მკვლევრები და, პირველ რიგში, ს. ლაკობა, ხუჭავენ ყოველივე ამაზე თვალს და ვითარებას ისე წარმოაჩენენ, თითქოს რ. ჩქოტუა და მისი მომხრენი უკანონოდ დაადანაშაულებს და რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დათხოვნა იყო ძალისმიერი აქტი, განხორციელებული ქართული „საოკუპაციო“ ჯარის მიერ.

სინამდვილეში, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძისა და სახალხო საბჭოს სხვა წევრების თხოვნით, ხაზს ვუსვამთ, **თხოვნით**, გატარებული რადიკალური ზომები იყო მხოლოდ საპასუხო რეაქცია „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ცალკეულ წევრთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო 1918 წლის 10 ოქტომბერის სამთავრობო გადაწყვეტილებაში, დაადგინენ „на путь измены интересам Абхазского Народного Совета и всего населения Сухумского округа... Эта часть депутатов, всегда старалась добиться в интересах помещиков чужестранного вмешательства сначала Тур-

ции, а затем армии Алексеева в дела абхазского народа и целого государства“.<sup>60</sup>

ასეთ ვითარებაში, და მომავალში ახალი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე იმის გათვალისწინებითაც, რომ „...вообще члены Абхазского Народного Совета не были избраны в порядке, обеспечивающем подлинное выражение истинных интересов народных масс Сухумского округа, Правительство Грузинской Республики... постановило: Абхазский Народный Совет в нынешнем составе объявить распущенным“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმავე გადაწყვეტილებით დაინიშნა ახალი არჩევნები „на основе всеобщего избирательного права“. არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია „из Варлама Шарвашидзе, Исидора Рамишвили, Василия Гурджуа, доктора Пашалиди и Георгия Шаншиева“... და ბოლოს, დროებით ახალი აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებამდე სოხუმის ოლქის კომისრად დაინიშნა ბენიამინ ჩხიკვიშვილი<sup>61</sup>.

**პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1918 წლის მიწურულსა და 1919 წლის დამდეგს. პირველი დემოკრატიული არჩევნები აფხაზეთში.** ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც ვარლამ შარვაშიძე ხელმძღვანელობდა, შეუდგა „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულების“ შემუშავებას. 1918 წლის 3 დეკემბრისათვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე მოამზადა „დებულების“ პროექტი და გაავრცავა თბილისში. „დებულების“ პროექტს წამმდგარებული ჰქონდა კომისიის თავმჯდომარის წერილი ნოე ჟორდანიასადმი. ამ წერილში ვარლამ შარვაშიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს სთხოვდა, დაეჩქარებინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები, რასაც ასაბუთებდა „необходимостью определить взаимоотношения Абхазии и Грузии со странами Антанты и решении грузинского вопроса на мирной конференции“ (იგულისხმება პარიზის საზავო კონფერენცია – ზ.პ.). 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მცირე კორექტივებით დამატაცა აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული „დებულების“ პროექტი და დაინიშნა აფხაზეთის სა-

ხალხო საბჭოს არჩევნები. პროექტის პირვანდელი ვარიანტის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა „всем гражданам живущим в Абхазии без различия пола, национальности, веры, которые ко времени составления избирательных списков достигли 20-лет и которые имели в Абхазии оседлости до 19 июля 1914 г.“<sup>62</sup> აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების (განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიების) წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვნენ ამ ფორმულირების და მოითხოვდნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის ქვეშევრდომთათვის<sup>63</sup>, რაც, ვარლამ შარვაშიძის აზრით, არადემოკრატიული იყო, ვინაიდან ამ შემთხვევაში „десятки тысяч греков и армян лишились права участия ибо они не получили (в свое время) от самодержавия русского подданства“.<sup>64</sup> საბოლოოდ, „დებულების“ ეს მუხლი მიღებულ იქნა აფხაზეთის ლიდერის შესწორებით და მან შემდეგი სახე მიიღო: „Правом быть избранным в Абхазский Народный Совет пользуется сверх означенных в ст. 2 также и все лица, приобретшие оседлость в Абхазии после 19 июля 1914 г.“<sup>65</sup> არჩევნები უნდა ჩატარებულიყო „посредством всеобщего, равного, прямого, тайного голосования на началах пропорционального представительства“. აფხაზეთში არჩევნების ჩასატარებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა გამოეყო 10 მილიონზე მეტი მანეთი<sup>66</sup>.

ამასობაში, „მოხალისეთა არმიის“ ხელმძღვანელები, ინგლისელი მფარველების მხარდაჭერით, შეეცადნენ ზეწოლის მოხდენას საქართველოს მთავრობაზე და თავიანთი მომხრეების – დათხოვნილი სახალხო საბჭოს დეპუტატების (რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1918წ. 9-10 ოქტომბრის ანტისახელმწიფოებრივ ამბოხში) განთავისუფლებას. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს მოლაპარაკებები, რომელიც გაიმართა 1918 წლის 6 დეკემბერს ბაქოში მოკავშირეთა მისიის პოლიტიკური ნაწილის ხელმძღვანელს პოლკოვნიკ სტოქსსა და აზერბაიჯანში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს გრიგოლ აღშბაიას შორის. ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს



წარმომადგენლობის თანამშრომელმა, წარმოშობით აფხაზმა პოლიკონიკმა მარლანაძემ (მარლანია?). მოლაპარაკებების დროს აღშობაიამ და მარლანაძემ ადვილად შეძლეს, დაემტკიცებინათ ინგლისური მხარისათვის, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დეპუტატები დაპატიმრებულნი იყვნენ სავსებით საფუძვლიანად და რომ „они обвиняются в государственной измене, в организации восстания“.<sup>67</sup>

მიუხედავად ამისა, გაითვალისწინა რა როგორც საკუთრივ აფხაზეთში, ისე მთლიანად საქართველოში შექმნილი საერთო პოლიტიკური ვითარება, საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, გადაესინჯა პოზიცია დამნაშავე დეპუტატების მიმართ და გაეთავისუფლებინა ისინი. უფრო მეტიც, მათ დართეს ნება, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კამპანიაში და გამხდარიყვნენ ახლადარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატები.

1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს – აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მმართველმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც სახალხო საბჭოში ადგილების დიდი უმრავლესობა (27 – 40-დან) მიიღო. სოციალ-დემოკრატების გარდა აფხაზეთის სახალხო საბჭოში არჩეულ იქნენ დამოუკიდებელი სოციალისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვები.

თანამედროვე აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“ დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს 1919 წლის 13 აპრილს ჩატარებული აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დემოკრატიულობას. „В результате «выборов», – წერს აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა, – грузинские меньшевики составили большинство в Народном Совете Абхазии (27 депутатов), а абхазы, представлявшие в основном «независимцев» (С. Чанба и др.), меньшинство (8 депутатов)“.<sup>68</sup> ეს მტკიცება, როგორც ჩანს, ეფუძნება იმთავითვე მცდარ ინფორმაციას, მოცემულს 1919 წლის 29 სექტემბრით დათარიღებულ ე.წ. „აფხაზეთის სახალხო საბჭოს

14 დეპუტატისაგან შემდგარი ჯგუფის განცხადებაში საქართველოს მთავრობისადმი: „ამ „განცხადებაში“ დეპუტატები „დამოუკიდებელი სოციალისტების“ ფრაქციიდან: ა. ჩუკბარი, მ. ტარნავა, მ. ცაგურია, რ. კაკუბა, დ. ალანია, ს. ჭანბა და სხვ. – ადანაშაულებდნენ საგანგებო კომისარს ბენია ჩხიკვიშვილს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა თითქოს „ნлестяще выполнил свою задачу (აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისას – **ზ.პ.**), проведя в Совет по преимуществу представителей неабхазского населения, совершенно не связанных ни какой области с интересами края“ (სტ. დაცულია – **ზ.პ.**).<sup>69</sup>

ის, რომ ბ. ჩხიკვიშვილისადმი სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეთა და მათ მომხრეთა მიერ წაყენებული ეს ბრალდება, ისევე, როგორც ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მონაჩმახი 1919 წლის 13 თებერვალს ჩატარებული არჩევნების არადემოკრატიულობის შესახებ, არც მეტი, არც ნაკლები, მტკნარი სიცრუე და ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაციაა, ცალსახად მტკიცდება ახლადარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უბრალო თვალის გადავლებით. აი, როგორ გამოიყურებოდა, მაგალითად, ეთნიკური თვალსაზრისით ე.წ. „ქართული“ (მენშევიკური) უმრავლესობა აფხაზეთის პარლამენტში: 1. ნ. ავდალბეკიანი, 2. ნ. კ. აქირთავა, 3. დ. ბ. ბაზბა, 4. კ. ს. ბარციცი, 5. ლ. დ. გვალია, 6. ვ. გ. ლურჯუა, 7. დ. (არზაყან) კ. ემუხვარი, 8. დ. ვ. ზახაროვი, 9. გ. მ. ზუხბაი (ზუხბაია), 10. მ. ი. ტარნავა, 11. ტ. კ. კვარაცხელია, 12. მ. კობახია, 13. გ. ვ. კოროლიოვი, 14. ა. გ. მარტინი, 15. ა. ი. ნოღია, 16. ი. ი. რამიშვილი, 17. მ. ს. უბირია, 18. ი. ნ. ფაშალიდი, 19. დ. შარვაშიძე, 20. ა. ქირია, 21. ა. წვიჟბა, 22. პ. ი. ჩაჩავა, 23. ა. ჩუკბარი, 24. მ. ა. წულუკიძე, 25. დ. ხ. ცკუა, 26. ლ. მ. ტუმარკინი, 27. მ. ნ. ცაავა<sup>70</sup>. ე. ი. 27 დეპუტატიდან 12 იყო აფხაზი, ქართველი – დაახლოებით 10 (დეპუტატების ეთნიკური კუთვნილების უფრო ზუსტ დადგენას აძნელებს სამურზაყანოელ დეპუტატთა – მაგალითად, ნ. აქირთავა, გ. ზუხბაი და ა.შ. ეთნიკური წარმომავლობის გაურკვევლობა). დანარჩენი 5 სხვადასხვა ეროვნების (რუსები, ბერძნები, სომხები და

ა.შ.) წარმომადგენელი იყო. გარდა ამისა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატები გახდნენ აფხაზები: 1. ვ. ტ. ანჩაბაძე, 2. დ. ი. ალანია, 3. ი. მარლანია, 4. მ. ცაგურია, 5. ს. ი. ჭანბა, 6. რ. ჩქოტუა, 7. ვ. შარვაშიძე, 8. დ. ი. გულია<sup>71</sup>.

ამრიგად, ახლადარჩეული აფხაზეთის პარლამენტის 40 წევრიდან, რომელიც თითქოს არჩეულ იქნა ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმის“ მხრიდან მოსახლეობაზე უხეში ზეწოლის პირობებში, 18 დეპუტატი აფხაზი იყო, ქართველი (უკეთეს შემთხვევაში) – მხოლოდ 16, დანარჩენი 6 კი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. უფრო მეტიც, ქართველ დეპუტატთაგან სულ მცირე 2 (მ. ს. უბირია და რაჟდენ კაკუბავა) მოგვიანებით სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატთა (ე.წ. „დამოუკიდებელ სოციალისტთა“) ბანაკში გადაბარგდა. ისმის სავსებით დასაბუთებული კითხვა: როგორ შეიძლება დავადასაშუალოთ ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმი“ და პირადად ბენია ჩხიკვიშვილი არჩევნების ფალსიფიკაციაში, თუ მათ ისიც ვერ მოახერხეს, რომ არ დაეშვათ პარლამენტში დემოკრატიული საქართველოს ისეთი პირწავარდნილი მოწინააღმდეგეების არჩევა, როგორებიც იყვნენ 1918 წლის 9-10 ოქტომბრის ანტისახელმწიფოებრივი პუტჩის ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარლანია, დ. ალანია და სხვ., აგრეთვე ალექსეევისა და დენიკინის აგენტი ა. ა. დემიანოვი. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

## თავი II. აფხაზეთი – ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში

პოლიტიკურ ძალთა განლაგება ახლადარჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში და პირველი ნაბიჯები თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების გაღრმავების გზაზე. 1919 წლის თებერვალში, აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების პარალელურად, აფხაზეთში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა არჩევნებიც. საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან სულ აირჩა 5 დეპუტატი (ხუთივე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით). ესენი იყვნენ: ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ვასილი ლურჯუა, დიმიტრი ზახაროვი, ივანე ფაშალიძე. ე. ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთიდან არჩეული 5 დეპუტატიდან 3 იყო აფხაზი, 1 – რუსი, 1 – ბერძენი და არც ერთი ქართველი. აი, კიდევ ერთი „მტკიცებულება“, თუ როგორ „ილახებოდა“ აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესები საქართველოს „საძულველი“ მენშევიკური რეჟიმის მხრიდან.

აფხაზებს ეკავათ თითქმის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა როგორც აფხაზეთის სახალხო საბჭოში (უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში), ისე აფხაზეთის კომისარიატის აღმასრულებელ სტრუქტურებში. სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ თავიდან არჩეულ იქნა მენშევიკი დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ხოლო მას შემდეგ, რაც ის დაინიშნა მთავრობის (კომისარიატის) თავმჯდომარედ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს სათავეში კვლავ ვარლამ შარვაშიძე ჩაუდგა<sup>1</sup>.

აფხაზეთის სახალხო საბჭოში იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა. დეპუტატთა უმრავლესობა ვარლამ შარვაშიძისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის მეთაურობით აქტიურად ატარებდნენ აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან შემდგომი ინტეგრაციის კურსს, საშინაო საკითხებში სრული ავტონომიის შენარჩუნებით. დეპუტატთა მცირე ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგ-

ნენ სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მოღვაწენი: მ. ტარნავა, დ. ალანია, ს. ჭანბა, მ. ცაგურია, რ. ჩქოტუა, ი. მარლანია, რ. კაკუბავა და სხვ. – თავიდანვე დაიკავა მკვეთრად გამონატული ანტიქართული პოზიცია და აფხაზეთიდან საქართველოს სამთავრობო ჯარების გაყვანაც კი მოითხოვა.

მიუხედავად ამისა, პირველივე კენჭისყრამ სახალხო საბჭოში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით ნათლად აჩვენა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრული უპერსპექტივობა. ფარული კენჭისყრის (მოეწყო 1919 წლის 20 მარტს) შედეგად, აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული „*აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტის*“ პირველ პუნქტს (რომლის თანახმადაც აფხაზეთი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული) 34 დამსწრე დეპუტატიდან ხმა მისცა 27-მა, სამმა თავი შეიკავა, ხოლო ოთხმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში. რაც შეეხება „*ავტონომიის შესახებ აქტის*“ მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „Для составления Конституции Автономной Абхазии и определения взаимоотношений между Центральной и Автономной властью избирается смешанная комиссия в равном числе членов от Учредительного Собрания Грузии и Народного Совета Абхазии и выработанные положения по принятии их Учредительным Собранием Грузии и Абхазским Народным Советом, должны быть внесены в Конституцию Демократической Республики Грузия“,<sup>2</sup> ის ერთხმად იქნა მიღებული.

ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა, ყოველმხრივ ცდილობს რა, დაამცროს 1919 წლის 13 თებერვალს დემოკრატიულად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს როლი და არაფრად ჩააგდოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, „*აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტის*“, რომელიც აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს დამტკიცა, სრულიად უსაფუძვლოდ, „ни к чему не обязывающий“ დოკუმენტს უწოდებს. ისმის კითხვა, რატომ უნდა მივიჩნიოთ „*აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტი*“ „ни к чему не обя-

зываются“ ღოკუმენტად, თუ აღნიშნული ღოკუმენტით ხელმძღვანელობდნენ თვით სახალხო საბჭოს ის დეპუტატებიც კი, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს „ავტონომიის შესახებ აქტის“ პირველ პუნქტს და რომლებიც უშედეგოდ ცდილობდნენ მასში შესწორებების შეტანას. ამ შესწორების თანახმად, საქართველოს პოლიტიკური წყობის შეცვლის შემთხვევაში, აფხაზეთს უნდა მისცემოდა მასთან სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის გაწყვეტისა და თავისი შემდგომი ბედის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება<sup>3</sup>.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატთა (ი. მარღანია, მ. ტარნავა, მ. ცაგურია, დ. აღანია და სხვ.), რომლებიც სეპარატისტული „ისტორიოგრაფიისა“ და თვით ს. ლაკობას მიერ არიან აღიარებული „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისათვის თავგამოდებულ მებრძოლებად, აქტიური ჩართვა საქართველო-აფხაზეთს შორის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებაში. თვალსაჩინოებისათვის, საჭიროდ მივიჩნევთ, მოვიყვანოთ ნაწყვეტები დეპუტატთა ამ ჯგუფის (სულ 12 დეპუტატი) მიერ მომზადებული „ავტონომიური (ხაზს ვუსვამთ, ავტონომიური) აფხაზეთის კონსტიტუციის“ პროექტიდან. კონსტიტუციის ეს პროექტი, მისი შემდგენლების მტკიცებით, იყო „единственно приемлемый в интересах и Абхазии и Грузии в деле устранения существующего взаимного недоверия и непонимания и установления дружеских отношений между обеими народами“<sup>4</sup> და აი, კონსტიტუციის ამ პროექტის I თავის I მუხლის თანახმად, „Абхазия в границах с северо-запада на юго-восток от реки Ингури и с юга на север от берегов Чёрного моря до Кавказских хребтов...“ ცხადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. ხოლო იმავე თავის მე-7 მუხლის მიხედვით, „ავტონომიურ აფხაზეთს“ ეძლეოდა „**Право иметь в Грузинском Парламенте в качестве его членов своих представителей, избираемых на основе его всеобщего, равного, прямого, тайного и пропорционального избирательного права. При этом Абхазия составляет отдельный избирательный округ**“. ამ კონსტიტუციით საქარ-

თველოსა და აფხაზეთს ერთიანი ექნებოდა: 1. საგარეო პოლიტიკა; 2. ფული (აფხაზეთი ფულის ნიშნებს იღებდა საქართველოდან, „определяя размер суммы необходимой для Абхазии и в этой сумме“ თბილისს უნდა უზრუნველყო „выпуск денежных знаков“); 3. ფოსტა და ტელეგრაფი; 4. ჯარი. ამასთან, აფხაზეთში სამხედრო ნაწილების ფორმირება უნდა მომხდარიყო „по принципу территориального комплектования комиссариатами Абхазии“ და მათ მუდმივად უნდა ემსახურათ აფხაზეთში, „за исключением случаев, когда государство (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – **ზ.პ.**) находится в состоянии войны“. მშვიდობიანობის დროს კი „перевод воинских частей с территории Абхазии“ უნდა მომხდარიყო „лишь по особому постановлению Народного Совета Абхазии“. ასევე აფხაზეთის სახალხო საბჭოს თანხმობა სჭირდებოდა მშვიდობიანობის პერიოდში აფხაზეთში „иных, кроме территориальных войск“ ყოფნასაც<sup>5</sup>.

სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატთა ჯგუფის მიერ მომზადებული კონსტიტუციის თანახმად ასევე ერთიანად ცხადდებოდა: „Гражданское и уголовное законодательство; Общие суды (окружной суд, судебная палата, сенат), кроме мировых установлении.., управление общегосударственными шоссейными и железными дорогами и др.“

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების კონსტიტუციით, „Управление общими делами Грузии и Абхазии“ შედიოდა საქართველოს მთავრობის კომპეტენციასში<sup>6</sup>. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ენიჭებოდა უფლება „законодательной инициативы в общегосударственном (ე. ი. საქართველოს – **ზ.პ.**) масштабе“. ასევე ინტერესს იწვევს ისიც, რომ კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებსა და უწყებებში ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა, განთავისუფლება და გადაყვანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას წარმოადგენდა, თუმცა, ამა-

ვე დროს, საჭირო იყო აფხაზეთის მთავრობის თანხმობაც. და ბოლოს, კონსტიტუციის პროექტის დასკვნითი (VIII) თავის თანახმად, „Все положения Конституции Автономной Абхазии по утверждению их Народным Советом Абхазии и Учредительным Собранием Грузии должны быть внесены в Конституцию Демократической Республики Грузии“.<sup>7</sup>

ამრიგად, 1918-1921წწ. აფხაზეთი ოპოზიციის ლიდერთა კონსტიტუციის პროექტიდან აქ მოტანილი დებულებები ნათლად ადასტურებენ, რომ მიუხედავად ამ კონსტიტუციის ავტორთა სეპარატისტული განწყობილებებისა, იმ პერიოდში მათ არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი და იძულებულნი იყვნენ, ეცნოთ აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ეძებდნენ გზებს თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების დახვეწისათვის. ამაზე მეტი აღიარება ახლადარჩეული სახალხო საბჭოს მიერ მიღებული პირველი ოფიციალური დოკუმენტის – „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტისა“, ძნელი წარმოსადგენია და მისი მოხსენიება „ни к чему не обязывающий“ დოკუმენტად, სხვა არაფერია, თუ არა ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მცდელობა, სასურველი რეალობად წარმოაჩინონ.

**გენერალ ა. დენიკინის ავანტიურისტული, აგრესიული ზრახვების ჩაფუშვა აფხაზეთში 1919 წელს.** აფხაზეთში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918 წლის მიწურულსა და 1919 წლის დამდეგს გატარებულმა ღონისძიებებმა შეაშფოთა „მოხალისეთა არმიის“ სარდლობა, რომელთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ანტიქართულად განწყობილ აფხაზ ლიდერებს. როგორც სავსებით სამართლიანადაა მითითებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჯ. გამახარია და ბ. გოგია), არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ე.წ. „აფხაზი ხალხის“ პეტიცია „მოხალისეთა არმიის“ სარდლობისადმი, რომელშიც მოცემული იყო თხოვნა „О помощи в изгнании Грузии и присоединении Сухумского



округа к России“, აგრეთვე დაპირება აფხაზთა მხრიდან მხარდაჭერისა „в походе („მოხალისეთა არმიის“ – ზ.პ.) против Закавказья“,<sup>8</sup> შეთითხნილი იყო სწორედ გენ. ა. დენიკინის კარნახით. აფხაზი ხალხის ე.წ. „ოფიციალური წარმომადგენლების“ მიერ მომზადებული ამ „პეტიციით“ შეიარაღებულმა ა. დენიკინმა ჯერ კიდევ 1919 წლის 1 თებერვალს წერილი გაუგზავნა 27-ე ბრიტანული დივიზიის მეთაურს გენ. ფორესტიე უოკერსა და მახლობელ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ჯარების სარდალს გენ. მილნს, რომელშიც მოითხოვა: „1) немедленно объявить Сухумский округ (Абхазию) нейтральным; 2) Отвести грузинские войска за рекой Ингур; 3) Удалить из Абхазии грузинскую администрацию; 4) Возложить поддержание порядка на абхазские власти, свободно ими самими выбранные“.<sup>9</sup> 6 თებერვალს კი გენ. ა. დენიკინი უშუალოდ შეუდგა აფხაზეთის დაპყრობის მის მიერ შემუშავებული გეგმის რეალიზაციას და ჯერ სოჭი, ხოლო შემდეგ გაგრა დაიკავა.

„მოხალისეთა არმიის“ ამ ქმედებებმა აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – ახლადარჩეული სახალხო საბჭოს მძაფრი პროტესტი გამოიწვია, რომელიც აისახა 1919წ. 15 აპრილს მიღებულ აფხაზეთის სახალხო საბჭოს განცხადებაში: „*О меморандуме добровольческой армии английскому командованию*“. ამ დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ „**Единственным правомочным, полномочным и полноправным представителем Абхазии является Абхазский Народный Совет, избранный на самых демократических началах... через этот Совет Абхазия заключила определенный и тесный союз с Демократической Республикой Грузия, вступив в нее как автономная часть и этим вполне определив общие с Грузией государственные границы... всякие „официальные представители“ Абхазского народа, упоминаемые в меморандуме, являются... самозванцами, врагами демократии Абхазии и Грузии, заинтересованными в создании благоприятных условий для контрреволюции, реставрации старых порядков и уничтожении демократического строя**“.

აფხაზეთის სახალხო საბჭო გამოთქვამდა ღრმა რწმენას,

რომ „აბხазская демократия в союзе с демократией Грузии сумеет обуздать непрошенных „представителей“ абхазского народа, победит контрреволюцию и ее агентов“. გარდა ამისა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მას სურს იცოდეს, თუ ვინ არიან ის ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც „от имени народов Абхазии обращаются к добровольческой армии. Народный Совет Абхазии клеймит этих самозванных представителей именем предателей народа и утверждение меморандума считает несоответствующим действительности“. და ბოლოს, აფხაზეთის სახალხო საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევდა „эту резолюцию довести через Правительство Демократической Республики Грузия до сведения союзных держав“. <sup>10</sup>

ავტონომიური აფხაზეთის ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს „განცხადების“ დეკლარირებით და მათ საქართველოს ხელისუფლებისაგან ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოითხოვეს. კერძოდ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის დიმიტრი (არზაყან) ეშუხვარის დეპეშაში ნოე ჟორდანიასადმი იყო მოთხოვნა, „довести до сведения союзных держав о горячем протесте Народного Совета Абхазии по поводу захвата части территории Абхазии Добровольческой Армией А. И. Деникина“. ამავე დეპეშაში ავტონომიური აფხაზეთის ხელისუფლების მეთაური საქართველოს მთავრობას სთხოვდა, „принять меры по немедленному очищению этой территории до р. Мзымта“. <sup>11</sup>

ის, რომ აფხაზი ხალხის ე.წ. „ოფიციალური წარმომადგენლები“ არ სარგებლობდნენ აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მხარდაჭერით, ნათლად ჩანს სტატიიდან „*Иуда Абхазии*“, რომელიც 1919 წლის 21 ივნისს გამოაქვეყნა სოხუმში გამომავალმა გაზეთმა: „*Наше Слово*“-მ. აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთის რედაქტორი არა სხვა ვინმე, არამედ თვით აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია იყო. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ „представитель Абхазии, являвшийся к Деникину с настойчивыми просьбами о занятии

Абхазии деникинскими войсками, предатель Абхазии обнаружен! Это Александр Шервашидзе, тот самый, который в свое время старался о высадке турецкого десанта в Абхазии, это тот самый российский „патриот“, который хотел отдать туркам бывшую часть России. Вот чьим именем оправдывал Деникин перед Европой, свой разбойничий набег на Грузию и Абхазию“. „თვითმარქეებსა“ და „ავანტიურისტებს“ უწოდებდა ე.წ. „ხალხის წარმომადგენლებს“, რომლებიც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ა. დენიკინთან, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატი კ. ბარციციც<sup>12</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ თვით „დამოუკიდებელ სოციალისტთა“ ფრაქციის დეპუტატებიც კი, რომლებმაც თითქოს მონიღომეს ა. დენიკინის მომხრეთა დაცვა, იძულებულნი იყვნენ, ელიარებინათ, რომ „лица именующие себя официальными представителями абхазского народа, являются самозванцами и врагами демократии Абхазии“.<sup>13</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გულისყურით მოეკიდა ავტონომიური აფხაზეთის ხელმძღვანელობის თხოვნას და გადადგა დიპლომატიური ნაბიჯები „მოხალისეთა არმიასთან“ კონფლიქტის დასარეგულირებლად. 1919 წლის 23-24 მაისს თბილისში შედგა ევგენი გეგეჭკორისა და ნოე რამიშვილის შეხვედრა გენ. დენიკინის წარმომადგენელთან – ინგლისელ გენერალ ბრიგსთან. ამ შეხვედრამ ნათლად გამოავლინა ა. დენიკინისა და მის ბრიტანელ მფარველთა ნამდვილი ზრახვები, არათუ მოეწყვიტათ აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსაგან, არამედ არ დაეშვათ თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. „Такой маленький народ, как Грузия, – ганაცხადა გენ. ბრიგსმა, – не должен стремиться к самостоятельности“. ინგლისელი გენერლის სიტყვებით, საქართველო უნდა გაჰყოლოდა დენიკინის რჩევებს, რომელიც „стоит за автономию маленьких народов и за воссоединение России“.<sup>14</sup> მოლაპარაკებები, მხარეთა პოზიციების პრინციპული განსხვავებების გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დასრულდა.

საქართველო-აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ა. დენიკინის აგრესიის შეჩერების საკითხი საქართველოს მთავრობამ დააყენა პარიზის სა-

ზავო კონფერენციაზე. 1919 წლის 14 ივნისს ქართული დელეგაციის მეთაურმა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ სპეციალური წერილით მიმართა პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს ჟორჟ კლემანსოს, აგრეთვე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის სამთავრობო დელეგაციებს. ამ დოკუმენტით საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად აცნობებდა ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოთა მთავრობებს ა. დენიკინის აგრესიული ქმედებების შესახებ და სთხოვდა, „предписать русской Добровольческой армии уважение к границам, которые Грузия фактически занимала между Кавказским Хребтом и Черным морем, согласно с ее правами и волей населения и с согласия союзного командования“.<sup>15</sup>

შემოდგომაზე, როდესაც დენიკინელთა სამხედრო პოტენციური კიდევ უფრო სოლიდური გახდა, კვლავ შეიქმნა „მოხალისეთა არმიის“ აფხაზეთში შემოჭრის საფრთხე. პარალელურად, „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლმა ძალებმა საკუთრივ აფხაზეთშიც წამოყვეს თავი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი ა. დემიანოვი. 1919 წლის 23 ოქტომბერს მან გააკეთა პროვოკაციული განცხადება და გამოვიდა კოდორისა და გუდაუთის მაზრებში ანტიდენიკინური პროპაგანდის ჩატარების მიზნით სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ა. დემიანოვის განცხადებაში ფაქტობრივად ღია მუქარა გაისმა: „пропаганда затеянная Малым Советом (იგულისხმება სახალხო საბჭოს ხელმძღვანელი ბირთვი — ზ.პ.), может иметь единственным последствием вмешательство во внутренние дела Абхазии, а следовательно, и Грузии, Добровольческой армии, поддерживаемой силами союзных держав“.<sup>16</sup> აფხაზეთის სახალხო საბჭომ თავის სხდომაზე (1919 წლის 18 ნოემბერს) მკაცრად დაგმო ა. დემიანოვის ეს პროვოკაციული დემარში და სავსებით სამართლიანად მიიჩნია ის ფორმალური საბაბის შექმნის მცდელობად „для агрессивных действий военной партии России в отношении

Абхазии и Республики“ (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – ზ.პ.). ამავე დროს ა. დემიანოვის ამ ქმედებებში სახალხო საბჭომ დაინახა „элементы государственной измены Абхазии и Республике“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაადგინა: „Исключить Демянова из списка депутатов“. პასუხად, დემიანოვმა და, მასთან ერთად, ოპოზიციურად განწყობილმა დეპუტატებმა: დ. ბაზბამ, ი. მარღანიამ, დ. ალანიამ, ა. ჩუკბარმა, ს. ჭანბამ – პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს სხდომათა დარბაზი. დარჩენილმა 23-მა დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დადგენილების პროექტს<sup>17</sup>.

ა. დემიანოვისათვის დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის საკითხის დაყენებით აფხაზეთის სახალხო საბჭომ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ მისი პოზიცია ა. დენიკინთან ურთიერთობის საკითხში მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ კურსს. ამავე დროს, ფაქტია, რომ ყველა აფხაზი ლიდერი არ უჭერდა მხარს აფხაზეთის სახალხო საბჭოს პოლიტიკას. ზოგიერთი მათგანი არც კი მალავდა თავის პრორუსულ ორიენტაციას. აი, რას აცხადებდა, მაგალითად, 1920 წლის თებერვალში გამართულ აფხაზური ინტელიგენციის ყრილობაზე მაშინდელი ანტიქართული მოძრაობის ლიდერი ივანე მარღანია: „Мы, абхазцы, приобщены к русской культуре, отнимают у нас эту культуру, этот язык и насильственно навязывают грузинский язык“.<sup>18</sup> და ამას ამბობდა ძველი აფხაზური წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც ავიწყდებოდა ის უცილობელი ფაქტი, რომ სულ ცოტა უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე მისი წინაპრების წერილობითი კულტურის ერთადერთი ენა მხოლოდ ქართული იყო, რომ მიუხედავად გვიან შუასაუკუნეებში მომხდარი ერთგვარი გაუცხოებისა, მთლიანობაში, აფხაზური ფეოდალური ელიტა მაინც რჩებოდა საერთო-ქართულ ქრისტიანულ-კულტურულ არეალში.

ყველაზე მთავარი კი იყო ის, რომ ეს განცხადება კეთდებოდა მთელი აფხაზი ხალხის სახელით, იმ აფხაზი ხალხისა,

რომლის დიდი უმრავლესობა თითქმის 70 წლის განმავლობაში ეწეოდა შეურიგებელ სისხლისმღვრელ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ და კატეგორიულად არ იღებდა ყოველივე იმას, რაც რუსეთთან იყო დაკავშირებული<sup>19</sup>. აი, როგორი გაუგონარი სიცრუით აბრიყვებდნენ თავიანთ მიამიტ თანამემამულეებს იმდროინდელი „ანტიქართული ფრონტის“ ლიდერები. სამწუხაროა, რომ აფხაზური მოსახლეობის ამგვარი იდეოლოგიური დამუშავების ესტაფეტა წარმატებით აიტაცეს თანამედროვე სეპარატიზმის „სუელიერმა მამებმა“, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ჩააგონონ თავიანთ თანამემამულეებს აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზეთს არასოდეს არაფერი აკავშირებდა საქართველოსთან და რომ საქართველო ყოველთვის ჩაგრავდა აფხაზებს. სწორედ ამ მიზნით უკეთებენ ისინი ტირაჟირებას ი. მარლანიას ზემოთ მოყვანილ გამონათქვამსა და აგრეთვე 1918-1921 წლების აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის სხვა ლიდერთა ანალოგიურ განცხადებებს.

მაგრამ ეს ლიდერები, მიუხედავად სეპარატისტულად განწყობილი თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსების დიდი სურვილისა, სულაც არ გამოხატავდნენ მთლიანად აფხაზი ხალხის მისწრაფებებს. აფხაზთა უმრავლესობა მხარს უჭერდა არა მათ, არამედ ისეთ აფხაზებს, როგორებიც იყვნენ: ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ვიანორ ანჩაბაძე, დიმიტრი გულია, გიორგი ზუხბაი, ვასილ ღურჯუა და ა.შ., რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური მოწყობის მოთხოვნით. თანამედროვე აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“ თვალს ხუჭავს ყოველივე ამაზე და ზემოხსენებულ მოღვაწეებს არათუ არ მიიჩნევს აფხაზი ხალხის ინტერესების გამომხატველად, არამედ ფაქტობრივად ეჭვქვეშ აყენებს მათ აფხაზურ წარმომავლობას. და ეს მაშინ, როდესაც თვალსაჩინო აფხაზ მოღვაწეთა შორის სიამაყით მოიხსენებიან ისეთი სახელები, როგორებიცაა: დიმიტრი ალანია, მიხეილ ტარნავა, მიხეილ ცაგურია, ალექსანდრე უბირია და სხვ. ისმის კითხვა: როდიდანაა, რომ ძველი წარჩინებული აფხაზური საგვარეულოების წარმომადგენლები – შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, ემუხვარები და ა.შ. – აღარ ითვლებიან

აფხაზებად და მათ ადგილს იკავებენ ვილაც ალანიები, ცაგურიები, უბირიები და სხვ., რომელთა აფხაზური წარმომავლობა უბრალოდ ღიმილის მომგვრელია. აი, როგორ ავტორიტეტებზე აგებენ თავიანთ ფალსიფიკაციას ს. ლაკობა და მისი თანამოაზრენი.

მაგრამ მივუბრუნდეთ ა. დენიკინის აგრესიულ გეგმებს საქართველო-აფხაზეთის მიმართ. „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის იმპერიის აღდგენის იდეით შეპყრობილმა რუსმა გენერალმა საკუთრივ აფხაზეთში პროვოკაციის ინსპირირების გარდა, ენერგიული ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო არენაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტის შესარყევად. ასე, მაგალითად, გენერალ ა. დენიკინის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პარიზის კონფერენციაზე, რუსეთის იმპერიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი საზონოვმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ ჯორჯ კერზონს გადასცა ნოტა, რომელშიც გამოთქმული იყო უკმაყოფილება იმის გამო, რომ „грузинские власти прибегают к секвестрации русских церквей не только в Грузии, но и местах вроде Сухум, не имеющее ничего общего с Грузией“.<sup>20</sup>

ს. საზონოვის დიპლომატიური დემარში რუსეთის კლერიკალური წრეების იმ აგრესიული ქმედებების ერთგვარი გაგრძელება იყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIXს. მიწურულსა და XXს. დამდეგს და რომელზედაც ჩვენ ადრე შევაჩერეთ კიდევ ყურადღება<sup>21</sup>. მაშინ აფხაზეთის საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა აქტიური ჩარევის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის მოწყვეტისა და მისი ყუბანთან მიერთების მცდელობის აღკვეთა. მოგვიანებით, 1917 წლის მაისში, როგორც უკვე აღინიშნა, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა მოიწვიეს აფხაზეთის სამღვდელთა ე.წ. „ყრილობა“, რომელზედაც მოინდომეს აფხაზეთის ეკლესიის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ვითარება აფხაზეთში საკმაოდ დაძაბული იყო. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები, რომელთაც ეპისკოპოსი სერგი ედგა სათავეში, ჯიუტად არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატი-

ულ რესპუბლიკას და იმედებს ა. კოლჩაკსა და ა. დენიკინზე ამყარებდნენ. უფრო მეტიც, ეპისკოპოსი სერგი უშუალოდ ა. დენიკინისაგან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებდა. ეს უკანასკნელი მოუწოდებდა ეპისკოპოსს (1919 წლის 18 იანვარს) ენერგიული, გეგმაზომიერი და შეთანხმებული მუშაობისაკენ<sup>22</sup>.

1919 წლის მარტში, სერგიმ მიიღო ახალი თანამდებობა რუსეთში და დატოვა სოხუმი, თუმცა ის მაინც თვლიდა თავს სოხუმის ეპისკოპოსად. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის კომისარიატმა (მთავრობამ) მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და სპეციალური დეკრეტით (1919 წლის 1 სექტემბერს) „находящийся в г. Сухуми кафедральный собор с притчовым домом, архиерейский дом и здание бывшего училищного совета“ ცნო „национальным достоянием автономной Абхазии“. ამავ დეკრეტით, ეპისკოპოსის არჩევამდე, ღროებით, კომისარიატმა დაინიშნა მართლმადიდებლური ეკლესიების მმართველი, რომლის რეზიდენციად სოხუმი გამოცხადდა<sup>23</sup>.

კომისარიატის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ ა. დენიკინის აგენტი ა. ლემიანოვი და აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატები: მ. ტარნავა, დ. ალანია და ი. მარღანია, რომლებმაც ფაქტობრივად დეკრეტის ანუღირება მოითხოვეს, მაგრამ აფხაზეთის კომისარიატმა უკან არ დაიხია და შეუდგა მის რეალიზაციას. მან შუამდგომლობით მიმართა საქართველოს საკათალიკოსოს საბჭოს, ღროებით მმართველად დაენიშნა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია). ეპარქიის ახალმა ხელმძღვანელმა სოხუმში ჩასვლისთანავე მოუწოდა ეპარქიის საბჭოსა და წევრებს, დარჩენილიყვნენ ადგილებზე და განეგრძოთ თავიანთი საქმიანობა. მაგრამ ზოგიერთმა რუსმა სამღვდელო პირმა, კერძოდ, მთავარდიაკონმა გოლუბცოვმა, მღვდელმა პროტოპოპოვმა და მდივანმა ავტონომოვმა, „в виду запрещения Временным высшим церковным Управлением Юго-Восточной России иметь общение с представителями Грузинской церкви“, დემონსტრაციულად (წერილობით) უარი თქვეს მიტროპოლიტ ამბროსის განკარგულებების აღსრულებაზე<sup>24</sup>.



1919 წლის 7 ოქტომბერს, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებისა და ეპისკოპოსის არჩევის მიზნით, მიტროპოლიტ ამბროსის ინიციატივით მოწვეულ იქნა სოხუმის ეპარქიის სამღვდლოების საგანგებო კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს წინამძღვრებმა და აფხაზური, ბერძნული, ქართული და რუსული სამრევლო ეკლესიების თითო-თითო წარმომადგენელმა. გაითვალისწინეს რა, ერთი მხრივ, ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული ერთობა, ხოლო, მეორე მხრივ, „აფხაზეთის შესვლა ავტონომიურ საწყისებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში“, აგრეთვე, ჩაითვალა რა მიუღებლად „существование здесь (ე. ი. აფხაზეთში – ზ.პ.) инодержавной церковной власти“, კრებამ დაადგინა: „1. На территории автономной Абхазии восстанавливается самостоятельная епархия Грузинского католикосата с наименованием ее Сухумо-Абхазской... 3. В состав Сухумо-Абхазской епархии входят все без различия национальности приходы, монастыри и церковные учреждения между реками Ингури и Мехадыр“.<sup>25</sup>

ასე აღსდგა ისტორიული სამართლიანობა. აფხაზეთი, რომელსაც, ზემოთ ნახსენები რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ს. საზონოვისა და მისთანების დემაგოგიურ მტკიცებათა მიუხედავად, გვიან შუასაუკუნეებამდე ეკავა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საერთო-ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სამყაროში (რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდი ხნის მანძილზე დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურის – „აფხაზეთის“ კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთა იყო), კვლავ დაუბრუნდა საერთო-ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას. ამით აღკვეთილ იქნა რუს კლერიკალთა მხრიდან საეკლესიო აგრესიის საფრთხე.

1919 წლის 17-დან 23 ოქტომბრამდე აფხაზეთში იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოსი ლეონიდე, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა მხარის მართლმადიდებლური მოსახლეობა. თავისი ვიზიტის დასასრულს საქართველოს ეკლესიის მეთაურმა ღვთისმსახურება ჩაატარა სოხუმის საკათედრო ტაძარში, აგრეთვე ახალი ათონისა და ღრანდის მონასტრებში, ბერ-

ძნულ ეკლესიაში. აფხაზეთის მთავრობამ და ქალაქ სოხუმის საზოგადოებრიობამ, მათ შორის, აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, კათოლიკოსის პატივსაცემად საზეიმო მიღება მოაწვევეს.

საეკლესიო პრობლემების მოგვარება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართველი და აფხაზი ხალხების შემდგომი კონსოლიდაციისა და ერთიანი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზაზე. ამით ქართველმა და აფხაზმა პატრიოტებმა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მათ დამქაშებს აფხაზეთში მორიგი დარტყმა მიაყენეს.

**მოლაპარაკებები აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის კონსტიტუციურ საკითხებზე 1919 წელს.** 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული „*აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ*“ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან შემდგომი ინტეგრაციისა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ფაქტობრივად ამით დაიწყო საერთო სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი. აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავების საკითხი. ამ მიზნით აფხაზეთის სახალხო საბჭომ შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც პირველი სხდომა უკვე 1919 წლის 30 მარტს ჩაატარა<sup>26</sup>. სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ პ. გელოვანი (თავმჯდომარე), მ. ტარნავა (მდივანი), ა. დემიანოვი, ს. ჭანბა, ა. მარტინი, მ. გრიგოლია, ოქმში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „приступая к рассмотрению проектов конституции по существу, Комиссия единогласно поддерживает и ставит первым пунктом резолюцию Совета (იგულისხმება აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული „*აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ*“ – **ზ.პ.**), что **Абхазия входит в состав Грузинской Демократической Республики, как автономная единица**“.<sup>27</sup> ეს არის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იმისა, რომ იმ პერიოდში თვით ისეთი მოღვაწენიც კი, როგორებიც იყვნენ ა. დემიანოვი, მ. ტარნავა და ს. ჭანბა, უპი-

რობოდ ცნობდნენ აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

აღნიშნულის მიუხედავად, კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში წარმოიშვა საკმაოდ პრინციპული ხასიათის უთანხმოებანი. შედეგად შემუშავებულ იქნა კონსტიტუციის პროექტის 3 ალტერნატიული ვარიანტი. პირველ პროექტს საფუძვლად დაედო აფხაზეთის სახალხო საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციაში მოცემული დებულებები, რომელიც მოხსენდა სახალხო საბჭოს პირველსავე სხდომაზე<sup>28</sup>. კონსტიტუციის ეს პროექტი ითვალისწინებდა აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციას. მეორე პროექტით ასევე აღიარებული იყო „необходимость присоединения к Грузии“, მაგრამ მისი ავტორები მხარს უჭერდნენ უფრო სუსტ კავშირს საქართველოსთან და ითხოვდნენ „მეტ უფლებებსა და მეტ დამოუკიდებლობას“ აფხაზეთისათვის. მესამე კომპრომისულმა ვარიანტმა, რომელიც აფხაზეთის კომისარიატმა (მთავრობამ) შეიმუშავა, მართალია, ყველაზე მეტი ხმა მიიღო სახალხო საბჭოში (მას მხარი დაუჭირა 20 დეპუტატმა), მაგრამ საბოლოოდ არც ეს პროექტი გავიდა<sup>29</sup>.

1919 წლის 21 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში ოფიციალური დელეგაციის გაგზავნის შესახებ კონსტიტუციური საკითხების ირგვლივ მოლაპარაკებების გასამართად. ამ დელეგაციაში შევიდნენ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, გ. კოროლიოვი, მ. უბირია, ვ. ლურჯუა, მ. ცაავა, მ. გრიგოლია. დელეგაციის წევრებმა სექტემბერ-ოქტომბერში ჩაატარეს აქტიური კონსულტაციები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან<sup>30</sup>.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოფიციალური დელეგაციის პარალელურად თბილისში ჩავიდა ოპოზიციურად განწყობილ პარლამენტართა (სულ 14 დეპუტატი) წარმომადგენლობაც. ამ დელეგაციაში შედიოდნენ ი. მარღანია, დ. ალანია, მ. ცაგურია და მ. ტარნავა. საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ოპოზიციონერი დეპუტატების დელეგაციის

მიმართ. შედგა საქართველოს მთავრობის სპეციალური სხდომა, რომელზეც მოისმინეს მოხსენება. ნოე ჟორდანიას თხოვნით, ამ მოხსენების ტექსტი გადაეცა აფხაზ ღებუტატებს. საქართველოს მთავრობა მზად იყო, დაეკმაყოფილებინა ოპოზიციონერ ღებუტატთა ნებისმიერი კაპრიზი, ოღონდ ისინი არ მიმხრობოდნენ დენიკინს. „Если в одном вопросе мы с вами сойдемся, – აცხადებდა ნოე ჟორდანია, – то во всех остальных безусловно сойдемся. Это вопрос об отношении к Деникину“. ამაზე ოპოზიციონერ ღებუტატთა დელეგაციის წევრებმა ერთნიშნად დადებითი პასუხი გასცეს. ოპოზიციონერ ღებუტატთა მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „единственным выходом из создавшегося положения... является устройство Абхазии на началах широкого автономного правления“.<sup>31</sup>

დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოპოზიციურად განწყობილ ღებუტატთა ჯგუფის მიერ მომზადებული ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ამ პროექტის ის დებულებები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ მის ავტორებს აფხაზეთი მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში წარმოედგინათ. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გულწრფელნი იყვნენ აღნიშნული კონსტიტუციის პროექტის ავტორები, როდესაც აღიარებდნენ აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს. ამ აფხაზ ლიდერთა შემდგომდროინდელი განცხადებები იძლევა სერიოზულ საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ მათ გულწრფელობაში. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სოციალ-დემოკრატი-ინტერნაციონალისტთა ფრაქციის დეკლარაცია, რომელიც მათ გაახმოვანეს სახალხო საბჭოს სხდომაზე 1919 წლის 25 ნოემბერს (ამ დოკუმენტს ყურადღება მიაქციეს ჯ. გამახარაიამ და ბ. გოგიაიამ). „Фракция, рассматривая независимость Республики Грузии как средство к цели, – აღნიშნულია დეკლარაციაში, – в будущем, при целесообразных для культурного, экономического и политического развития демократии Абхазии и Грузии, будет стоять за присо-

единение этих краев к общей семье российских народов, не предвещая сейчас вопроса о формах связи с общим Российским государством и о формах внутренней самостоятельности Абхазии и Грузии“.<sup>32</sup> ე. ი. მ. ტარნავა და მისი თანამოაზრენი არათუ არ აყენებდნენ სუვერენული აფხაზური სახელმწიფოს შექმნის საკითხს, არამედ თავს იმტკრევდნენ იმაზე ფიქრით, თუ როგორ მიეერთებინათ „ეს მხარეები“ (მათი განმარტებით, აფხაზეთი და საქართველო) „к общей семье российских народов“.

სრულიად აშკარაა, თუ ვის პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებდნენ ეს ე.წ. „სოციალ-დემოკრატი-ინტერნაციონალისტები“. აი, როგორია ამ თითქოს აფხაზი ხალხის აღორძინებაზე მზრუნველი ვაი-პატრიოტების ნამდვილი სახე! როგორ გვაგონებს ყოველივე ეს ახალი – XX საუკუნის 70-80-იანი წლების თაობის აფხაზ ლიდერთა „ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას“, იმ ლიდერთა, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი უშუალოდ „განახლებულ კავშირში“, უკიდურეს შემთხვევაში კი – რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანისათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციური საკითხების გარკვევა დაავალა დამფუძნებელი კრების 5 დეპუტატისაგან შექმნილ ჯგუფს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. ამ ჯგუფმა შეისწავლა აფხაზეთში შემუშავებული სამივე პროექტი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისაგან ქართულმა მხარემ თავი შეიკავა და ეს ახსნა იმით, რომ „выработка Конституции одной части государства до выработки вообще Конституции всего государства представляла логическую неправильность“.<sup>33</sup> მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრებს შორის კონსტიტუციური საკითხების ირგვლივ გამართული კონსულტაციები ამ ეტაპზე მაინც დამთავრდა ერთგვარი შუალედური დოკუმენტის პროექტის მიღებით. ეს იყო „Соглашение Паритетной Комиссии об ос-

новых положениях Управления Абхазии“. მასში ერთხელ კიდევ დაფიქსირდა, რომ „**Абхазия составляет автономную часть Демократической Республики Грузии**“. მთლიანობაში კი ეს დოკუმენტი აფხაზთა დეპუტაციის ერთ-ერთი წევრის, მ. უბირიას აღიარებით, იყო ერთგვარი ნუსხა „**фактических отношений которые установились в жизни**“.<sup>34</sup>

**პოლიტიკური დისკუსია აფხაზეთში ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების ირგვლივ.** 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ „*ავტონომიის შესახებ აქტის*“ მიღების შემდეგ კონსტიტუციურ საკითხებთან ერთად მწვავე დებატები გამოიწვია აფხაზეთში ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების საკითხმა. სახალხო საბჭოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები შეეცადნენ, დაეზღვათ აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) გადაწყვეტილება აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლების შემოღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისინი ღიად ვერ ილაშქრებდნენ აფხაზეთში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მ. ტარნავა სახალხო საბჭოს სხდომაზე 1919 წლის 18 იანვარს ოფიციალურად აღიარებდა „**желательным** введение грузинского языка как Государственного в школах Абхазии“, თუმცა, ამავე დროს, იგი პროტესტს აცხადებდა იმის გამო, რომ ეს გადაწყვეტილება კომისარიატმა მიიღო თვითნებურად<sup>35</sup>. ოპოზიცია მოითხოვდა, რომ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, აფხაზეთის სკოლებში სწავლების შემოღების საკითხი გადაეწყვიტა ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – სახალხო საბჭოს<sup>36</sup>.

ოპოზიციისაგან განსხვავებით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობა უყოყმანოდ უჭერდა მხარს ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებას. დეპუტატთა ამ ნაწილის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ცნობილმა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ ვიანორ ანჩაბაძემ. „**Азбукой государственного права, –**

აცხადებდა ის სახალხო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, – является изучение **государственного языка**, если не обучение на нем. **Все здесь были согласны, что Абхазия составляет часть Грузии**, как это признано 20 марта – (იგულისხმება 1919 წლის 20 მარტს მიღებული „*ქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ*“ – ზ.პ.), но почему-то они не хотят считаться с тем, что отсюда логически вытекает необходимость преподавания грузинского языка. Потому-то у некоторых депутатов, как только всплывает этот вопрос, разгораются страсти, правда всем хорошо известно, что Абхазия – страна интернациональная по составу населения, **но грузинский язык должен быть признан по справедливости господствующим, как государственный**. Вопрос этот имеет практическую сторону. ...Какой же язык должен изучаться, если не грузинский, язык соседнего народа, с которым Абхазия связала свою судьбу. Вот когда вы против этого языка возражаете, то вы просто не понимаете азбуки государственного права. ...Мы считаем правильным, что введен этот язык..., потому, что его введение в школах необходимо. Государственный язык должен проходиться – это аксиома“.<sup>37</sup>

აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ აფხაზეთის კომისარიატის გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას არ შეიძლება საგანგებო ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ სკოლებში ქართული ენა ისწავლებოდა როგორც ცალკე დისციპლინა და არა რუსული ენის ნაცვლად. აი, როგორ განმარტებას იძლეოდა ამის თაობაზე აფხაზეთის სახალხო საბჭოში ავტონომიის სახალხო განათლების კომისარი ლორთქიფანიძე: „Если (бы) мы создали новый тип школы, Если бы провели его помимо вас (ანუ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატთა დაუკითხავად – ზ.პ.), вы были правы. Тут говорится, что мы нарушили какое-то согласие. В соглашении говорится об языке обучения и делопроизводства и что таким языком пока является русский. Вот если бы мы обучение установили на грузинском языке, Ваш вопрос имел бы основание... Если вы считаете, что грузинский язык надо изучать, то подтвердите это... Вопрос не в

навязывании **чуждого** языка, — ხაზს უსვამდა აფხაზეთის განათლების კომისარი, — а в изучении **государственного языка**“.<sup>38</sup>

როგორც ვხედავთ, ხელისუფლების პოლიტიკა ენის საკითხში საკმაოდ ფრთხილი და მოზომილი იყო. ამის ნათელი დადასტურებაა ბენია ჩხიკვიშვილის გამოხატული საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალურ სხდომაზე 1919 წლის 2 აგვისტოს. ამ სხდომაზე ოპოზიციურად განწყობილმა ქართველმა პარლამენტარებმა გააკრიტიკეს საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ენის საკითხში. კერძოდ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქართული ენა გამოდევნილია სოხუმის საქალაქო თვითმმართველობიდან და რომ საქმის წარმოება იქ მიმდინარეობს რუსულ ენაზე. დამფუძნებელი კრების დეპუტატების ამ შენიშვნის პასუხად, ბ. ჩხიკვიშვილი ადასტურებდა, რომ საქმის წარმოების ენა მართლაც არა ქართული, არამედ იმ სახელმწიფოს (იგულისხმება რუსეთი) ენაა, რომლის ნაწილი აფხაზეთი არასოდეს იქნება, მაგრამ, ამასთან, ხალხისა და საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ის უფრო გასაგებია. ბ. ჩხიკვიშვილი აღნიშნავდა, რომ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა და არავითარ შემთხვევაში არაა მიზანშეწონილი დაძალება ქართული ენის შესწავლის საკითხში მანამ, სანამ თვით აფხაზეთის სახალხო საბჭო არ შეძლებს ქართული ენის გამოყენებას იმ მიზნით, რისთვისაც საერთოდ არსებობს ენა. ორატორის აზრით, ყოველგვარი დაძალება ამ მიმართულებით საპირისპირო შედეგს გამოიღებდა და ამგვარი პოლიტიკის გატარება საზიანო იქნებოდა<sup>39</sup>.

სამწუხაროდ, ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი (კერძოდ, ბაჯგურ საღარია) ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთში საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის გამუქებას. ერთ-ერთი ბრალდებათაგანი, რომელსაც აფხაზი მეცნიერი უყენებდა საქართველოს ხელისუფლებას, სწორედ სახელმწიფო აპარატის ე.წ. „ნამძალადვეი ნაციონალიზაცია“ იყო, რაც, მისი დასკვნით, გამოიხატა იმაში, რომ თითქოს აფხაზეთში ქართული ენა გამოცხადდა „единственным языком делопроизводства во всех звенях аппарата власти“.<sup>40</sup>

სინამდვილეში ვითარება სულ სხვანაირი იყო. როგორც სავ-



სებით სამართლიანად მიუთითებენ ჯ. გამახარია და ბ. გოგია, „Правительство Грузии... отнюдь не форсировало перевод делопроизводства в Абхазии на грузинский язык“. თავისი ამ დასკვნის გასამყარებლად მკვლევრებს, გარდა ბ. ჩხიკვიშვილის ზემოხსენებული განმარტებისა, მოჰყავთ აგრეთვე ამონაწერი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებიდან, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ ქ. თბილისში, სოხუმსა და ზაქათალას ოკრუგებში, აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში „наряду с грузинским продолжал действовать и русский язык“.<sup>41</sup>

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს აგრეთვე კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ასევე მოჰყავთ ჯ. გამახარიას და ბ. გოგიას. ესაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება, რომელიც გაკეთდა 1919 წლის 30 აგვისტოს აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებების ნაციონალიზაციის (იგულისხმება საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანა) საკითხთან დაკავშირებით სახალხო საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად. მასში პირდაპირ იყო განცხადებული, რომ საქართველოს მთავრობას სოხუმის ოკრუგში დაწესებულებების ნაციონალიზაციის შესახებ არავითარი განკარგულება არ გაუცია და რომ ამგვარი რამ არც მომავალში ჰქონდა განზრახული<sup>42</sup>.

ამრიგად, აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ მტკიცება, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 1919 წელს ძალით გადაჰყავდა საქმის წარმოება აფხაზეთში ქართულ ენაზე, სრული სიცრუე და ისტორიული რეალობის გაყალბებაა.

**თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობების საბოლოო გაფორმება 1920 წლის მიწურულსა და 1921 წლის დამდეგს.** 1920 წლის გაზაფხულიდან აფხაზეთის სახალხო საბჭომ განაახლა მუშაობა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე. 1920 წლის 21 მაისს დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის შემადგენლობა, რომელსაც დაევალო სათანადო კონსულტაციების ჩატარება საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტა-

ტებთან, კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შემუშავების მიზნით. ამ დელეგაციაში, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან (ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი /არზაყან/ ემუხვარი, დიმიტრი ზახაროვი, გიორგი ზუხბაი, ვიანორ ანჩაბაძე) ერთად, შედიოდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ტარნავა. თბილისში დამფუძნებელი კრების დეკლარაციებთან თითქმის ორთვიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა კონსტიტუციის პროექტის 2 ვარიანტი. საბოლოოდ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ (გ. ზუხბაი, დ. ზახაროვი, მ. წულუკიძე, გ. კოროლიოვი, მ. ტარნავა) შეაჯერა ეს ვარიანტები და წარმოადგინა კონსტიტუციის ერთი, უნიფიცირებული პროექტი.

1920 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აფხაზეთის სახალხო საბჭოში მიმდინარეობდა აღნიშნული პროექტის საფუძვლიანი განხილვა. 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალურად დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება მისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში – დამფუძნებელ კრებაში გადაგზავნის შესახებ, სადაც სახალხო საბჭოს დელეგაციის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო კონსტიტუციის პროექტის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა<sup>43</sup>. ამით დასრულდა აფხაზეთის კონსტიტუციის მიღების იურიდიული პროცედურის პირველი, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი ეტაპი, ანუ აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ – სახალხო საბჭომ მოახდინა ავტონომიის კონსტიტუციის პარაფირება, რის შემდეგ რეგლამენტით რჩებოდა მისი საბოლოო დამტკიცება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. ისტორიოგრაფიაში (ჯ. გამახარია და ბ. გოგია) სავსებით მართებულია აღნიშნული, რომ 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის დამტკიცება მოხერხდა აფხაზეთის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა შორის გონივრული კომპრომისის მიღწევის შედეგად<sup>44</sup>. კონსტიტუცია ერთხელ კიდევ ადასტურებდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის ურყევობას.

1920 წლის 4 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლობითი დელეგაცია ვარლამ შარვაშიძის მეთაურობით. დელეგაციაში სხვა დეპუტატებთან ერთად შედიოდნენ ოპოზიციის ყველაზე ოდიოზური წარმომადგენლები: მ. ცაგურია, დ. ალანია, მ. ტარნავა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია მოითხოვდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის დაუყოვნებლივ განხილვას და მიღებას, მაგრამ ქართველი პარლამენტარები წინააღმდეგნი იყვნენ აფხაზეთის კონსტიტუციის ფორსირებულად დამტკიცებისა. მათ მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ ავტონომიის კონსტიტუციის დამტკიცება ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე. ამავე აზრის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც და, პირველ რიგში, მისი ლიდერი ნოე ჟორდანია, რომელმაც აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრისას, მართალია, აღიარა „несспорным принцип автономии Абхазии“, მაგრამ, ამავე დროს, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ავტონომიის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება მხოლოდ დამფუძნებელი კრების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო<sup>45</sup>. ამასთან, ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ „принятие общей конституции может затянуться“, საქართველოს მთავრობის მეთაური საჭიროდ თვლიდა: „оформить и нормировать законом существование автономной области и отношения ее к центру“, ანუ ნოე ჟორდანია მიზანშეწონილად მიიჩნევდა „издание отдельного закона автономии Абхазии, который по принятии общей конституции может стать отдельной главой“.<sup>46</sup> 1920 წლის 30 ნოემბერს მთავრობის თავმჯდომარემ მიმართა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს და ითხოვა, მიეღოთ ზომები „по ускорению рассмотрения в Конституционной комиссии проекта Конституции Абхазии“.<sup>47</sup>

მაგრამ ქართველ და აფხაზ პარლამენტართა მოლაპარაკებებისას გარკვეული სიძნელებები მაინც წარმოიშვა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა არ მიიღო აფხაზეთა დელეგაციის წინადადება პარიტეტულ საწყისებზე საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატების შერეუ-

ლი კომისიის შექმნის შესახებ და მოუწოდა დელეგაციის წევრებს, მიეღოთ მონაწილეობა „в ОБЫКНОВЕННОЙ КОНСТИТУЦИОННОЙ КОМИССИИ в качестве связующих лиц“. ამან აფხაზთა დელეგაციის ცალკეული წევრების (მ. ცაგურია, დ. აღანია, მ. ტარნავა) მწვავე პროტესტი გამოიწვია. მათ უარი განაცხადეს, ემუშავათ შემოთავაზებულ რეჟიმში. უფრო მეტიც, 1920 წლის 24 დეკემბერს ოპოზიციის ინიციატივით აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მოეწყო კენჭისყრა სახალხო საბჭოს პრეზიდენტის ნდობის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ოპოზიციის წინადადება არ გავიდა. პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა მხოლოდ შვიდმა დეპუტატმა ათის წინააღმდეგ<sup>48</sup>.

1921 წლის 4 იანვარს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალურად მოიწონა საკონსტიტუციო დელეგაციის მოღვაწეობა თბილისში. რამდენიმე დღით ადრე კი, 1920 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულება“ („Положение об управлении Автономной Абхазии“), რომელიც მოგვიანებით შევიდა 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ საქართველოს კონსტიტუციაში.

„ავტონომიური რესპუბლიკის მართვის დებულება“ მთლიანად ეფუძნებოდა კონსტიტუციის პროექტს, რომელიც მიიღო აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1920 წლის 16 ოქტომბერს. მასში აფხაზეთი ერთიანად ცხადდებოდა ავტონომიურ წარმონაქმნად საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. კერძოდ, მასში დაფიქსირებული იყო:

„1) **Абхазия** от реки Мехадыр до реки Ингури, и от берегов Черного моря до Кавказского хребта – **неотъемлемая часть Республики Грузия** и в этих границах автономно управляет своими внутренними делами...

3) Ведению автономного управления Абхазии подлежат все земли и владения в пределах Абхазии и все живущие там лица согласно общим законам Республики (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – **ზ.პ.**). Автономное управление Абхазии самостоятельно ведает, по законам Рес-

публики, установлением размеров земельных наделов, определяет также формы передачи народу государственного земельного фонда...

6) ...Все земли и леса общегосударственного значения, Гагринская климатическая станция и водная энергия свыше десяти тысяч лошадиных сил остаются государственной (ქ. ი. საქართველოს სახელმწიფოს – ზ.პ.) собственностью. Государству же принадлежат все недра земли, согласно законам Республики...

7) **Государственным языком Абхазии является грузинский. Но народный Совет вправе ввести для пользования в школах, в автономных учреждениях и в делопроизводстве местные языки**<sup>49</sup>. Причем однако, все сношения с правительственными учреждениями Грузии ведутся исключительно на общегосударственном (ახუ ქართულ – ზ.პ.) языке<sup>50</sup>.

8) Права и обязанности граждан и гражданские свободы на территории Абхазии гарантирует Конституция и законы Республики (იგულისხმება საქართველო – ზ.პ.)...

10) На выборах в законодательный орган Грузии Абхазия составляет отдельный избирательный округ. В этом органе она пользуется правом пропорционального представительства.

11) Члены Народного Совета Абхазии, представители ее исполнительной власти, а также служащие учреждению автономной Абхазии дают клятву или обещание на верность Конституции Республики Грузия...

24. Для пополнения бюджета Управлению автономной Абхазии предоставляется определенная доля с общегосударственных налогов, собираемых на территории Абхазии. Ему предоставляется также доля с государственных концессии, отдаваемых государством на территории Абхазии.

25. Право общего и частичного пересмотра положения об автономной Абхазии принадлежит как Парламенту Грузии, так и Народному Совету. Право пересмотра и утверждения самого положения осуществляет Парламент Грузии в определенном законом порядке<sup>51</sup>.

*ამრიგად, „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების“*

მიღებით ფაქტობრივად დასრულდა თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების გაფორმების პროცესი. აფხაზეთის სახალხო საბჭომ თავის სხდომაზე 1921 წლის 4 იანვარს მოიწონა საკონსტიტუციო დელეგაციის მოღვაწეობა თბილისში და ამით სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით, სრულიად დაუსაბუთებელია აფხაზი მკვლევრის ს. ლაკობას დემაგოგიური განცხადება იმის შესახებ, თითქოს 1920 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების“ მიღების შემდეგაც კი აფხაზეთის ავტონომია გაფორმებული არ იყო. ს. ლაკობა ამგვარ დასკვნას აკეთებს 1921 წლის 4 იანვარს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე ვარლამ შარვაშიძის მიერ წარმოთქმული სიტყვის თვითნებური ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამით აფხაზი ისტორიკოსი ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი იმაში, თითქოს აფხაზეთის სახალხო საბჭომ არ ცნო მცირე საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილება<sup>2</sup>. სინამდვილეში კი ზემოაღნიშნულ სხდომაზე ვარლამ შარვაშიძის სიტყვიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამტკიცებული „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულებისა“. სრულიად ნათელია, რომ ვ. შარვაშიძის განცხადება: „Автономия Абхазии до сих пор не оформлена“ – იყო ერთგვარი სინანული იმის გამო, რომ აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი კონსტიტუციურად არ იყო განმტკიცებული და სხვა არაფერი.

ვამთავრებთ რა კონსტიტუციური საკითხების განხილვას, საჭიროდ ვთვლით, კიდევ ერთხელ საგანგებოდ განვაცხადოთ, რომ მაშინდელ აფხაზ ლიდერთა შორის არ იყო არც ერთი მოღვაწე, რომელიც ღიად გამოვიდოდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე შესვლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, სწორედ აფხაზური მხარე აჩქარებდა ქართველ პარლამენტარებს, დაუყოვნებლივ დაემტკიცებინათ აფხაზეთის სახალ-

ხო საბჭოს მიერ 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული „ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის“ პროექტი და ამით დაერქვარებინათ ცენტრსა და ავტონომიას შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული გაფორმება. ამასთან, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულება“ იყო კიდევ ერთი შუალედური დოკუმენტი, რომელიც დროებით ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე არეგულირებდა ურთიერთობას თბილისსა და სოხუმს შორის.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ, როგორც იქნა, დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც ცალკე (107-2) მუხლად დაფიქსირდა აფხაზეთის (სოხუმის ოკრუგი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალის ოკრუგის ავტონომიური სტატუსი. ქვეყნის კონსტიტუციასთან ერთად, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დამფუძნებელმა კრებამ „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულებაც“ დაამტკიცა. ამით ლოგიკური დასასრული ჰპოვა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური მოწყობის კონსტიტუციური გაფორმების პროცესმა, რასაც ასე დაჟინებით და თანმიმდევრულად მოითხოვდა იმ პერიოდის მთელი აფხაზური პოლიტიკური ელიტა.

ასე რომ, ნებისმიერი მცდელობა თვალი დავხუჭვით ამ უცილობელ ჭეშმარიტებაზე და უაპელაციოდ ვამტკიცოთ, თითქოს „применительно к Абхазии она (იგულისხმება საქართველოს კონსტიტუცია – ზ.პ.) не имела никакого значения“, როგორც ამას აკეთებს ს. ლაკობა<sup>53</sup>, იმთავითვე განწირულია. ამ შემთხვევაში არაფრის მომცემია მითითება საქართველოს კონსტიტუციის 108-ე მუხლზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინა, 107-ე მუხლში ჩამოთვლილი ავტონომიური ერთეულების მართვის დებულებები ჩამოყალიბდება ცალკე კანონად. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ამგვარი კანონი „ავტონომიური აფხაზეთის“ მიმართ არათუ უკვე შემუშავებული იყო, არამედ ის 1920 წლის 29 დეკემბერს, როგორც არაერთხელ აღინიშნა, დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ. გარდა ამისა, საერთოდ ღირს კი ყოველივე ამაზე ყუ-

რადღების გამახვილება მაშინ, როდესაც აფხაზეთი, სულ ცოტა, 1918 წლის 11 ივნისიდან მაინც (როდესაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და „აფხაზეთა სახალხო საბჭოს“ შორის), ცხოვრობდა ავტონომიის პირობებში, რომ არაფერი ვთქვათ 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – სახალხო საბჭოს მიერ მიღებულ აქტზე „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლითაც აფხაზეთმა მხარემ ოფიციალურად აღიარა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. სრულიად აშკარაა, რომ ამგვარი „აღმოჩენებით“ სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“, პირველ რიგში კი, ს. ლაკობა, ცდილობს, კიდევ ერთი „არგუმენტი“ შეამაგროს მონაჭორი იმის შესახებ, თითქოს 1918-1921 წლებში აფხაზეთს, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არაფერი ჰქონდა საერთო დანარჩენ საქართველოსთან და ამგვარი სიცრუით კიდევ უფრო გააძლიეროს ისედაც ისტორიოგრაფიულ ბურანში მყოფი აფხაზეთის მოსახლეობის სეპარატისტული განწყობილებები.

**აფხაზეთი სეპარატიზმის იდეოლოგია ზოგიერთი დემაგოგიური განცხადების შესახებ.** 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის ოფიციალური დაფიქსირებით საბოლოოდ წერტილი დაესვა ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში აფხაზეთის რეინტეგრაციის (ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალ-ივნისში დაწყებულ) პროცესს და აფხაზეთის ავტონომია კონსტიტუციურად გაფორმდა. ეს არის უცილობელი ჭეშმარიტება, რომლის უარყოფა სრულ ჭკუაზე მყოფ კაცს არ უნდა შეეძლოს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტულად განწყობილი თანამედროვე აფხაზი ისტორიკოს-პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ, დაუმალონ ეს ფაქტი თანამემამულეებს და დაჟინებით უნერგავენ მათ აზრს იმის შესახებ, თითქოს 1918-1921 წლებში აფხაზეთი არ იყო საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიური ერთეული. მათი მტკიცებით, ამ პერიოდში აფხაზეთი წარმოადგენდა



ქართველი მენშევიკების მიერ დაპყრობილ ტერიტორიას და მას სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არაფერი აკავშირებდა და-ნარჩენ საქართველოსთან.

ის, რომ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ე.წ. „ოკუპაცია“ თავიდან ბოლომდე სეპარატისტების მონაჭორია, რასაკვირველია, ეჭვს არ იწვევს. ზემოთ ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, დოკუმენტურად დაგვედასტურებინა, რომ ყველა სამხედრო აქცია, გატარებული აფხაზეთში 1918 წელს, ჯერ ამიერკავკასიის სეიმის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სანქციით წინასწარ იყო შეთანხმებული „აფხაზთა სახალხო საბჭოსთან“ – იმ დროს რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. უფრო მეტიც, აფხაზეთში საქართველო-ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების შეყვანა, რომლის მთავარი მიზანი, ერთი მხრივ, ბოლშევიკური საფრთხის, ხოლო, მეორე მხრივ, თურქთა აგრესიის აღკვეთა იყო, ინიცირებული იყო სწორედ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ მიერ და განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ მისი ოფიციალური თხოვნის საფუძველზე. აი, რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით 1918 წლის 19 ივლისს „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ სხდომაზე ამ საბჭოს წევრი დ. მარშანია: „Грузинские части приглашены для оказания помощи нам в тяжелой минуту“.<sup>54</sup>

რასაკვირველია, არაა გამორიცხული, რომ საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილებმა აფხაზეთის ამბოხებულ რაიონებში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენისას, ცალკეულ შემთხვევაში, მართლაც გამოიჩინეს „ზედმეტი გულმოდგინება“, რითაც გააღიზიანეს კიდევ ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ხელმძღვანელობის პრეტენზიები ეროვნული გვარდიის ნაწილების მიმართ შეიძლება მთლად უსაფუძვლოც არ იყო, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს უფლებას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები გამოვაცხადოთ საოკუპაციო ჯარებად და მივაწეროთ მათ ყველანაირი ცოდვები. აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ყველაზე სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატები, ე.წ. „независимци“-

ები: მ. ტარნავა, დ. ალანია, მ. ცაგურია, ი. მარღანია, რომლებმაც 14 დეკუტატისაგან შემდგარი ჯგუფის სახელით 1919 წლის 29 სექტემბერს სპეციალური განცხადებით მიმართეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ჯარის მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ „წესდებით“ გაუთვალისწინებელი ქმედებების მხოლოდ ცალკეული (ისიც შეუმოწმებელი) ფაქტების კონსტატაციით შემოიფარგლნენ<sup>55</sup>.

თანამედროვე აფხაზურ სეპარატისტულ „ისტორიოგრაფიას“ არ გააჩნია არც ერთი კონკრეტული ფაქტი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რომელიმე ცნობილი აფხაზი მოღვაწის მიმართ გატარებული რეპრესიების თაობაზე. ამის ახსნა ადვილია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მხრივ იჩენდა მაქსიმალურ სიფრთხილეს. ხელისუფლება თვით ისეთ ოპოზიციონერთა მიმართაც კი, როგორებიც იყვნენ სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებული („აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ძალისმიერი გზით დამხობის მცდელობის გამო) ი. მარღანია, დ. ალანია, მ. ცაგურია, მ. ტარნავა, რ. ჩქოტუა და სხვ., მხოლოდ დროებით იზოლაციას დასჯერდა. მათ არა მარტო ეპატიათ ჩადენილი დანაშაული, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეცათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში და გამხდარიყვნენ აფხაზეთის ახლადარჩეული პარლამენტის დეპუტატები.

თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები არანაკლებ სპეკულირებენ იმით, თუ როგორ „იღვენებოდა“ აფხაზური „ნაციონალური კულტურა“ ქართველი მენშევიკების მხრიდან. არადა, ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს. სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების აქტიური ხელშეწყობით 1919 წლის 27 თებერვალს სოხუმში გამოსვლა დაიწყო პირველმა აფხაზურენოვანმა გაზეთმა „აფსნი“-მ („აფხაზეთი“), რომლის რედაქტორი აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია იყო. აღსანიშნავია, რომ აფხაზური შრიფტი დაამზადეს თბილისში და ის სოხუმში ჩაიტანა შემდგომში თვალსაჩინო აფხაზმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ანდრია ჭოჭუამ. აფხაზურ ენაზე გაზეთის გამოშვება გამოჩენილი აფხა-

ზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გიორგი ძიძარას მიერ სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული „значительным событием... в культурной жизни абхазского народа. Она способствовала развитию абхазской литературы и литературного языка“.<sup>56</sup> ამ გაზეთის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა დიმიტრი გულიასა და სამსონ ჭანბას ნაწარმოებები. ამავე გაზეთში ლიტერატურული ნათლობა მიიღეს შემდგომში აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსებმა: იუა კოლონიამ, მიხეილ ლაკერბაიმ და სხვა აფხაზმა მწერლებმა<sup>57</sup>.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1919 წელს სოხუმში სამასწავლებლო სემინარიასთან ლიტერატურულ-დრამატული წრის შექმნა. ამავე პერიოდში გამოშვებულ იქნა ხელნაწერი ჟურნალი „ცისკრის ვარსკვლავი“, ხოლო 1918 წელს ცნობილი აფხაზი მხატვრის ალექსანდრე შარვაშიძის თაოსნობით სოხუმში გაიხსნა დრამატული სასწავლებელი. ერთი სიტყვით, 1918-1921 წლებში აფხაზეთში შექმნილი იყო უაღრესად ხელსაყრელი პირობები მხარის მთელი მოსახლეობის, პირველ რიგში კი, საკუთრივ აფხაზთა კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისათვის.

იმის თვალსაჩინო დადასტურებად, თუ როგორი ყურადღებით და კეთილსინდისიერად ეპყრობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აფხაზი ხალხის ნებისმიერ სატკივარსა და მისწრაფებებს, შეიძლება მოვიტანოთ საქართველოს მთავრობის დიპლომატიური ნაბიჯები აფხაზ-მუჰაჯირთა სამშობლოში დასაბრუნებლად. ეს საკითხი აფხაზებმა პირველად ჯერ კიდევ 1920 წლის 22-23 თებერვალს მიმდინარე აფხაზური ინტელიგენციის ყრილობაზე წამოჭრეს. ამასთან დაკავშირებით, ყრილობამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები საჭიროდ თვლიდნენ, მიეპყროთ „внимание центрального правительства (იგულისხმება საქართველოს მთავრობა – **ზ.პ.**), дабы оно приняло меры к возможности переселения махаджиров на родину и придало бы ему государственный характер“.<sup>58</sup> აფხაზ-მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა

მას შემდეგ, რაც 1920 წლის ივნისში აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ინიციატივით შეიქმნა „აფხაზ-მუჰაჯირთა საქმეთა სოხუმის ცენტრალური კომიტეტი“ („Сухумский центральный комитет по делам абхазцев-махаджиров“). აფხაზ-მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვალში თურქეთში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირებს საქართველოს მთავრობისათვის მიუმართავთ თხოვნით „разрешить им (ე. ი. აფხაზ მუჰაჯირებს – ზ.პ.) вернуться на родину“.<sup>59</sup>

ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე არაფერი იყო ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორი რეაგირება მოახდინა თბილისმა აფხაზ მუჰაჯირთა ამ თხოვნაზე. ეს გამოწვეული იყო შესაბამისი წყაროების სიმწირით, რამაც პროფ. გ. ძიძარიას აფიქრებინა, რომ „прошение махаджиров исчезло в Тбилиси“.<sup>60</sup> მაგრამ თავისი ობიექტურობითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული აფხაზი მეცნიერის ეს დასკვნა ამჯერად ნაჩქარევი აღმოჩნდა. სინამდვილეში, როგორც გაარკვია ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, პროფ. ავთანდილ მენთეშაშვილმა (ჰარვარდის უნივერსიტეტის მასალებზე დაყრდნობით), აფხაზ მუჰაჯირთა თხოვნა, რომელიც მათ თურქეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს გიორგი რცხილაძეს გადასცეს, ამ უკანასკნელმა გადაგზავნა არა თბილისში, არამედ პარიზში, საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელთან ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან. ამასთან, გ. რცხილაძე ნ. ჩხეიძეს წერილობით აცნობებდა, რომ 16 თებერვალს (1920წ.) მასთან გამოცხადდნენ თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა წარმომადგენლები მარშანია და მარღანია. მათ ქართული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს მიულოცეს ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობა (1920 წლის იანვარში).

მუჰაჯირ-აფხაზთა წარმომადგენლებს გ. რცხილაძისთვის განუცხადებიათ, რომ ისინი არიან საქართველოს ერთიანობის მომხრენი და ყველაფერს იღონებენ ამ მიმართულებით. ამასთან, მათ უკითხავთ, თუ რა გზით იქნებოდა შესაძლებელი აფხაზ-მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნება. შემდეგ თავის წერილში გ. რცხი-

ლაძე განუმარტავდა ნ. ჩხეიძეს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან გადასახლებული მუჰაჯირები ითვლებიან თურქეთის ქვეშევრდომებად და თუ ამ საკითხზე არ იქნება მიღებული წინასწარი შეთანხმება პარიზის საზავო კონფერენციაზე, მათი სამშობლოში გადამოსახლების უზრუნველსაყოფად (საქართველოს) არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუწევდა. აქედან გამომდინარე, გ. რცხილაძე საქართველოს დელეგაციის მეთაურს სთავაზობდა, გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება თურქეთთან ზავის დადებისას და მოეთხოვა სპეციალური დადგენილების მიღება, რომელიც სამშობლოში დაბრუნების უფლებას მიანიჭებდა თავის დროზე თურქეთში გადასახლებულ ყველა მუჰაჯირსა და მათ შთამომავლებს. წერილის ბოლოს ქართველი დიპლომატი დასძენდა, რომ ის არაფერს დაჰპირებია აფხაზებს გარდა იმისა, რომ მათი თხოვნის შესახებ აცნობებდა საქართველოს დელეგაციას პარიზში<sup>61</sup>.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ირკვევა, „აფხაზთა თხოვნა“ არათუ არ გამქრალა თბილისში, არამედ საქართველოს დელეგაციას მსჯელობის საგნად უქცევია პარიზის საზავო კონფერენციაზე. გადადგმულ იქნა კონკრეტული დიპლომატიური ნაბიჯები თურქეთში გადასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნებისათვის საჭირო საერთაშორისო-სამართლებრივი პირობების შესამზადებლად. კერძოდ, 1920 წლის 7 აპრილს ნ. ჩხეიძემ სპეციალური წერილით მიმართა ანტანტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „Очень много мусульман, выходцев из Грузии и Абхазии, которые были вынуждены покинуть родину в различные эпохи, поселились в областях Оттоманской империи, особенно после Берлинского трактата (1878 г.) благодаря принятой тогда и проводимой потом русским правительством в Грузии антимусульманской политике. Грузины и абхазцы мусульмане, особенно выходцы из Батумской и Сухумской областей и названные «махаджирами» за религиозный характер их выселения, часто выражали желание вернуться к своим очагам, но их возвращение в родную страну было невозможно во время господства русских. **Независимая Грузия хочет наоборот облег-**

**чить всеми способами возвращение на родину своим разбросанным детям.** А для того, чтобы Турция и другие государства – наследники Оттоманской империи не воспротивились возвращению грузин-эмигрантов на родину, было бы очень важно включить в условия будущего договора с Турцией статью, предусматривающую свободное возвращение в грузинские области всех тех, которые покинув их по политическим или религиозным соображениям, захотели бы туда вернуться.

Поэтому имею честь, просить Ваше Превосходительство передать Верховному Совету вышеизложенное пожелание населения и грузинского правительства“.<sup>62</sup>

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ეს ქმედება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი სერიოზულობით მოეკიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აფხაზ-მუჰაჯირთა თხოვნას და როგორ შეეცადა ის ამ საკითხში მოეპოვებინა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. მაგრამ საქართველოს მთავრობის ეს მონდომება ფუჭი გამოდგა, ვინაიდან მაშინდელი ევროპა მზად არ აღმოჩნდა, მხარში ამოდგომოდა სუვერენულ ქართულ სახელმწიფოს აფხაზ-მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხში. უფრო მეტიც, იმდროინდელმა ევროპელმა ლიდერებმა საერთოდ სრული გულგრილობა გამოიჩინეს საქართველოს მიმართ, არ დაიცვეს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ფაქტობრივად საჯიჯგნად მიუგდეს ბოლშევიკურ რუსეთს.

### თავი III. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთში და აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი 1921-1931 წლებში

ბოლშევიკური რუსეთის აგრესია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთში. კრემლის ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტ წარმატებებს მიაღწია სამოქალაქო ომში, უკვე სერიოზულად დაიწყო ფიქრი „განდგომილი“ ამიერკავკასიის შემოქმედებაზე. 1920 წლის გაზაფხულზე რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების პირდაპირი მითითებებითა და ბრძანებით წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ბაქო და აზერბაიჯანი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. 1920 წლის ოქტომბერში იმავე მეთოდებით მოხდა სომხეთის გასაბჭოება, რის შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა. 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის ნაწილები რამდენიმე მიმართულებით დაიდრნენ საქართველოსკენ და 1921 წლის 25 თებერვალს „გამარჯვების დროშა“ ააფრიალეს თბილისის თავზე. 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება უკვე სოხუმშიც გამოცხადდა, მარტის შუა რიცხვებისთვის კი წითელმა არმიამ „ძღვეამოსილად“ დაასრულა სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა.

მაგრამ ეს არ იყო ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველო-აფხაზეთის გასაბჭოების პირველი მცდელობა. მუშაობას ამ მიმართულებით ვ. ლენინი და მისი თანამებრძოლები ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ე.წ. „ტრიუმფალური სვლის“ (1918წ.) პერიოდში შეუდგნენ. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბოლშევიკ ავანტიურისტთა გამოხდომები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ როგორც საქართველოში, ისე საკუთრივ აფხაზეთში 1917 წლის მიწურულსა და 1918 წლის დამდეგს, უშუალოდ იყო ინსპირირებული ვ. ლენინისა და მისი გარემოცვის მიერ. „Мы тогда, – წერდა მოგვიანებით აფხაზი ბოლშევიკების აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა, – аккуратно получали литературу.., а также всякие инструкции от ЦК РСДРП (затем РКП). В них мы черпали все, что надо было“.<sup>1</sup>

თავის მხრივ, ნ. ლაკობა, რომელიც მაშინ გუდაუთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, თანამებრძოლებთან ერთად ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა (1918 წლის 16 იანვარს) მათ განზრახვაზე, „ხელთ ეგდოთ“ ძალაუფლება სოხუმში და ამ გეგმის რეალიზაციისათვის ითხოვდნენ, ცენტრალური კომიტეტი დახმარებოდა შავი ზღვის ფლოტთან კავშირის დამყარებაში. აფხაზი ბოლშევიკების აზრით, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გამოჩენას აფხაზეთის სანაპიროებზე გუდაუთის ორგანიზაციისათვის ექნებოდა „громадное значение... во всех отношениях“.<sup>2</sup>

1918 წლის თებერვალში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აფხაზმა ბოლშევიკებმა მათი ცნობილი ლიდერის ეფრემ ეშბას მეთაურობით აფხაზეთში კონტრრევოლუციური გადატრიალების პირველი სერიოზული მცდელობა განახორციელეს. ისარგებლა რა სოხუმში ბოლშევიკურად განწყობილი რუსული სამხედრო ხომალდების შემოსვლით, სოხუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ სახელდახელოდ შექმნა ე.წ. „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი“, რომელმაც რამდენიმე დღით შეძლო ქალაქში ხელისუფლების უზურპირება. 20 თებერვალს რუსეთის გემებმა დატოვეს სოხუმის ყურე, რის შემდეგაც ეფრემ ეშბა, ნიკოლოზ სვანიძე და ბოლშევიკური ავანტიურის სხვა ხელმძღვანელები ჩასხდნენ ერთ-ერთ გემში და იქაურობას გაეცალნენ.

მიუხედავად მარცხისა, ბოლშევიკები იხტიბარს მაინც არ იტყებდნენ. 1918 წლის თებერვლის დამლევს ბათუმში შედგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მამია ორახელაშვილი, ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, გიორგი ათარბეკოვი და აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენელი. ამ შეხვედრაზე შემუშავებულ იქნა აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის გეგმა. ასე მომზადდა ახალი „ბოლშევიკური შეტევა“ აფხაზეთზე. მთავარი დამრტყმელი ძალის ფუნქცია ამჯერად თავიანთ თავზე აიღეს სოჭიდან და ტუაფსედან შემოსულმა წითელი გვარდიის ნაწილებმა ნ. პოიარკოსა და ი. რუდის მეთაურობით. 8 აპრილს ბოლშევიკებმა სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. კვლავ შეიქმნა „სამხედრო რევოლუციური კომიტე-



ტი“, რომელსაც ამჯერადაც ე. ეშბა ჩაუდგა სათავეში. მის შემადგენლობაში იყვნენ: ნ. ლაკობა, მ. ათარბეკოვი, ს. კუხალეიშვილი, პ. ძიგუა, ვ. აგრბა, კ. მაკაროვი და სხვ. სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა შავი ზღვის ფლოტის დახმარებას, თუმცა „რევოლუციის გამარჯვებისათვის“ აფხაზეთში საჭირო იყო ცენტრის (ე. ი. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების) უფრო ქმედითი მხარდაჭერა. ამიტომაც ე. ეშბამ დეპეშა გაუგზავნა პირადად ვ. ლენინს. მასში აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერი აყენებდა სოხუმის „საბჭოთა ფრონტად“ გამოცხადების საკითხს. ამავე დროს, ე. ეშბამ დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართა ყუბან-შავი ზღვისპირეთის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა (მთავრობას) და თავდაცვის საგანგებო შტაბს. „აფხაზეთის კომუნის“ ხელმძღვანელი აღრესატებისაგან ითხოვდა, მისთვის გაეცათ ზუსტი პასუხი, თუ რამდენად შესაძლებელი იყო დახმარების გაწევა ცოცხალი ძალით, იარაღითა და ფინანსებით, აგრეთვე სტრატეგიული მითითებებით, „чтобы не было сепаратных и ошибочных шагов“.<sup>3</sup> აფხაზეთში მიმდინარე „რევოლუციური“ პროცესების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა საგანგებო კომისარი რუსეთის სამხრეთში სერგო ორჯონიკიძე, რომელთანაც, პროფ. გიორგი ძიძარას მოსწრებული შენიშვნით, „сходились все нити событий“.<sup>4</sup>

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები აფხაზეთში ბოლშევიკური ამბოხის ჩასახშობად. კრიტიკულ სიტუაციაში ე. ეშბამ 11 მაისს კვლავ მიმართა ვ. ლენინს და ს. ორჯონიკიძეს და სთხოვა მათ, „срочно дать распоряжение (в) Новороссийск командующему Черноморским флотом Саблину о высадке на Сухумский фронт боевых судов“.<sup>5</sup> ამის პასუხად 1918წ. 16 მაისს საბლინს ოფიციალურად დაეკალა „немедленно вооружить ряд... судов... двинуть на юг для защиты Сухума“.<sup>6</sup> საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „რევოლუციური“ აფხაზეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის საკითხი უშუალოდ ვ. ლენინთან იყო შეთანხმებული. ამას ადასტურებს საბლინისადმი გაცემული ბრძანების არშიაზე გაკეთებული შენიშვნა: „По моему Брестский договор не может нам

запретить бороться против мятежников – пиратов“.<sup>7</sup> „მეამბოხე-მეკობრეებს“ ვ. ლენინი უწოდებდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ვ. ლენინის ამ მითითება-შენიშვნის შესრულების მიზნით, ბოლშევიკური რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი თავის პოლიტიკურ წარმომადგენელს ბერლინში ავალებდა, შეეთანხმებინა გერმანიის მთავრობასთან შავი ზღვის ფლოტის აფხაზეთში გაგზავნის საკითხი „ამიერკავკასიის უზურპატორების“ წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზების დასახმარებლად<sup>8</sup>.

ჩვენს მიერ აქ მოტანილი დოკუმენტური მასალები\* ნათლად მეტყველებს მოსკოვის „წამყვან“ და „წარმმართველ“ როლზე აფხაზეთში 1918 წლის გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებში. მაგრამ ვ. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ეს მონღომება იმჟამად ფუჭი გამოდგა და, როგორც ცნობილია, აფხაზეთი გაწმენდილ იქნა ბოლშევიკი პროვოკატორებისაგან. ამ დროიდან დაწყებული 1918 წლის მიწურულამდე ბოლშევიკური მოძრაობა აფხაზეთში ფაქტობრივად პარალიზებული იყო.

ბოლშევიკური ჯგუფების გამოცოცხლება შესაძინევი გახდა 1918 წლის მიწურულიდან, როდესაც აფხაზეთში დაბრუნდა მათი ნაცადი ხელმძღვანელი ევრემ ეშბა. მაგრამ აფხაზეთის ბოლშევიკები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, როგორც ცნობილია, კომუნისტურ ორგანიზაციებს საქართველოში ლეგალური საქმიანობის უფლება მიეცა. 1920 წლის ივნისის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) სოხუმის საოლქო კომიტეტი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი „ანტისამთავრობო საქმიანობით“.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება რუსეთის კომუნისტური პარ-

---

\* სხვათა შორის ამ მასალების პროპაგანდას აქტიურად ეწეოდნენ საბჭოთა პერიოდში და იყენებდნენ მათ იმის მკაფიო დადასტურებად, თუ როგორ „ძმურ“ სოლიდარობას უცხადებდა ბოლშევიკური რუსეთი თავის აფხაზ და ქართველ „თანამოძმეებს“, რომელთაც მოაწვევს სამხედრო პუტჩი აფხაზეთში.

ტიის (ბოლშევიკებისა) სოხუმის საოლქო კომიტეტის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) სოხუმის საოლქო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ მოგვიანებით მოწონებულ იქნა მოსკოვში, სადაც ზემდგომმა პარტიულმა ინსტანციებმა (ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე), „с согласия руководителей абхазских и грузинских коммунистов“, დაადგინეს, რომ „сухумская партийная организация должна входить в грузинскую, Абхазия в состав Грузинской ССР на правах автономии“.<sup>10</sup>

კომუნისტებთან ალიანსში შევიდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატები. ესენი იყვნენ ე.წ. „независимц“-ები, რომლებმაც, პროფ. გ. ძიძარას თქმით, თავიანთი საქმიანობა დაუკავშირეს „с подготовкой к вооруженному восстанию в крае... Член этой группы коммунист М. К. Цагурия, – აღნიშნავს აფხაზი მეცნიერი, – был направлен в Баку для личных переговоров с Г. К. Орджоникидзе и с С. М. Кировым, которые ознакомили его с общим планом восстания в Грузии“.<sup>11</sup> აფხაზეთის „საპარლამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერის ბაქოში ვოიაჟმა და იქ უშუალოდ ვ. ლენინის ემისრებისაგან შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად შესაბამისი ინსტრუქციების მიღებამ, მთლიანად გამოააშკარავა ე.წ. „независимц“-ების ნამდვილი სახე, მათი ორპირობა და მოღალატეობრივი განწყობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

აფხაზეთის სახალხო საბჭოში მოკალათებული ე.წ. „სოციალისტ-ინტერნაციონალისტებისა“ და „независимц“-ების ჯგუფის მოღალატეობრივ ქმედებებზე კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის მაშინდელი „აფხაზური ოპოზიციის“ მეორე ცნობილი მოღვაწე მიხეილ ტარნავა: „Не примирившись с политикой меньшевистской партии Грузии по национальному вопросу для Абхазии, – წერს ის, – я вышел из состава меньшевистской партии Грузии... и образовал свою фракцию под именем партии социал-демократов-интернационалистов... Идеологически объединились фракции СД интернационалистов и независимых социалистов, т.е. фактически: Я, Алалия, Маргания, Чанба и Цагурия, которые все вместе вели политику и тактику к сое-

динению с Советской Россией (РСФСР). Для этого официально бойкотировали выборы в Учредительное Собрание Грузии по Абхазии, чтобы государственно еще больше не скрепить Абхазию с так называемой Грузинской Демократической... Республикой и в своих сношениях с меньшевистским грузинским правительством по вопросам автономии и конституции Абхазии проводили политику срыва соглашения и критики действия меньшевистского правительства. Действуя так, одновременно мы искали возможность сношения с РСФСР и вступления в нее<sup>.12</sup> აი, აფხაზეთის როგორი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ მაშინ „პატრიოტებად“ მონათლული მ. ტარნავა და მისი თანამოაზრენი. სწორედ მათზე და აგრეთვე ე. ემბასა და ნ. ლაკობაზე აკეთებდა აქცენტს კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისას.

მოსკოვში მშვენივრად ესმოდათ, რომ საქართველოს „მიგნიდან აფეთქება“, ანუ ფართო მასშტაბის მუშურ-გლეხური შეიარაღებული გამოსვლების ინსპირირება შეუძლებელი იყო. ამიტომ ვ. ლენინი და მისი გარემოცვა ყოველნაირად ცდილობდნენ, „რევოლუციურ ბრძოლაში“ ჩაერთოთ მენშევიკური მთავრობის მიერ „დაჩაგრული“ ეროვნული უმცირესობანი. აი, რას წერდნენ ამასთან დაკავშირებით 1921 წლის 2 იანვარს სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტს (რკპ(ბ) ცკ): „нельзя надеяться, что внутри Грузии произойдет решающий взрыв... без нашей помощи ее советизация невозможна... повод для нашего вмешательства в дела Грузии имеется. Для этого не нужно открытое нападение на Грузию. Имеется возможность начать движение в Абхазии, Аджарии, Борчалинском уезде“<sup>.13</sup>

მალე რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიურომ (კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანო) გადადგა კონკრეტული ნაბიჯები საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. მთელ ამ სამუშაოს წარმართავდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) საელჩო საქართველოში, რომელიც იქცა საქართველოში „რევოლუციის“ მომზადების ერთგვარ შტაბად. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნე-

ლობა ენიჭებოდა აფხაზეთს, სადაც დაიწყო შეიარაღებული რაზმების შექმნა. „По полученным последним сведениям, – წერდა საქართველოში რსფსრ-ს საელჩოს სამხედრო ატაშე პ. სიტინი, – наша работа в Абхазии успешно продвигается вперед. Образован коллектив из активных партийных работников Абхазии. В гарнизоне гор. Сухума образован военный РК из трех лиц. Запасная часть из 380 солдат уже подготовлена... население ждет призыва к восстанию“.<sup>14</sup>

1921 წლის 11 თებერვალს, როგორც ცნობილია, „იფეთქა“ აჯანყებამ ბორჩალოს მაზრაში. ასე დაიწყო სპექტაკლი, რომელიც შემდგომ მონათლულ იქნა „სოციალისტურ რევოლუციად საქართველოში“ და რომლის მთავარ მოქმედ გმირებად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლევან თოიძის მოსწრებული თქმით, მოგვევლინნენ „გადაცმული წითელარმიელები“.<sup>15</sup> აფხაზეთი იმთავითვე ჩართეს „რევოლუციურ ქარიშხალში“. უკვე 13 თებერვალს რკ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს (კავბიურო) ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი ალექსანდრე საჯაია აქტიურად მოუწოდებდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატებს, აღემართათ „красное знамя революции против лжесоциалистов – меньшевиков... Надеюсь, – წერდა რენეგატი ა. საჯაია თავის წერილში, ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებ „აფხაზეთური ოპოზიციის“ ცნობილ ლიდერს მიხეილ ცაგურიას, – Вы вполне понимаете, что Абхазия имеет наконец возможность самоопределиться, подобно другим горским народам, Дагестану, Азербайджану, народам Терека, организовавшим под защитой Советской России в автономные советские социалистические республики. Я уверен, что вы, Маргания, Алеша (იგულისხმება ა. უბირია – ზ.პ.), Чанба, независимая фракция Абхазского Народного Совета, учитывая факт ближайшего падения меньшевистской власти в Грузии, примете немедленные меры теперь же к освобождению трудящихся масс Абхазии...“.<sup>16</sup>

მართლაც, მ. ცაგურიამ და მისმა თანამებრძოლებმა გაითვალისწინეს ზემდგომი პარტიული ხელმძღვანელობის მითითებები და რეალურად შეუდგნენ აფხაზეთში შეიარაღებული ამბოხების გეგმის რეალიზაციას. 1921 წლის 18 თებერვალს შეიქმნა რევო-

ლუციური კომიტეტი, რომლის წევრი გახდა მიხეილ ცაგურია. რეკომს ხელმძღვანელობდა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ცნობილი ბოლშევიკი ისაკ ჟვანია. ეს არ იყო შემთხვევითი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ არა აფხაზი ეროვნების ბოლშევიკები, არამედ ქართველები<sup>17</sup>. რაც შეეხება ცნობილ აფხაზ ბოლშევიკ ლიდერებს: ევრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას, ისინი ამ დროს საერთოდ არ იმყოფებოდნენ აფხაზეთში. როგორც ირკვევა, ისინი თურქეთში იყვნენ მივლინებულნი, სადაც თითქოს თვით ვ. ლენინის საპასუხისმგებლო დიპლომატიურ დავალებას ასრულებდნენ<sup>18</sup>.

საბჭოურ ხანაში, კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დოგმების ერთგული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – დამოუკიდებელი სახელმწიფოს, რომლის სუვერენიტეტი, როგორც ცნობილია, ოფიციალურად აღიარა (1920 წლის 7 მაისს) თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა, ანექსია წარმოეჩინათ როგორც „სოციალისტური რევოლუცია“. სინამდვილეში კი არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ე.წ. „სოციალისტურმა რევოლუციამ“ საქართველოში „გაიმარჯვა“ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წითელი არმიის ხიშტების წყალობით. დოკუმენტურად არის დადასტურებული ისიც, რომ ე.წ. „რევოლუციის“ დაწყების შესახებ არაფერი იცოდნენ თვით ქართველ ბოლშევიკთა ლიდერებმა. ისინი იმ დროს არც კი იმყოფებოდნენ საქართველოში. ე.წ. „რეკომი“ (რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი და სხვ.) არათუ არ იყო დაკავებული შეიარაღებული აჯანყების მომზადებით, არამედ ეს ორგანო საერთოდ შეიქმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ 16 თებერვალს, „აჯანყების“ დაწყებიდან (1921 წლის 11 თებერვალი) რამდენიმე დღის შემდეგ. რაც შეეხება აფხაზეთს, იქაური რეკომის ხელმძღვანელი, რენეგატი ისაკ ჟვანია ოფიციალურად მოუწოდებდა სერგო ორჯონიკიძეს, დაუყოვნებლივ შემოეყვანა წითელი არმიის ნაწილები აფხაზეთში. ამავე დროს, ს. ორჯონიკიძემ მიიღო დეპეშა იოსებ სტალინისაგან, ეს

უკანასკნელი რკპ(ბ) ცკ-ის დავალებით ს. ორჯონიკიძეს – წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის უშუალო ორგანიზატორს, აძლევა შემდეგ მითითებას: „Не забудьте абхазцев, которые тоже восстали и вблизи которых стоит 9-я армия“.<sup>19</sup> ს. ორჯონიკიძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ღირსეულად“ შეასრულა ზემდგომი პარტიული ხელმძღვანელობის ეს დავალება და უბრძანა მეცხრე არმიის სარდლობას, დაუყოვნებლივ შესულიყო აფხაზეთში. „Красная Армия, – წერდა ს. ორჯონიკიძე მოგვიანებით, – изменила бы себе, если она не пришла на помощь восставшим рабочим и крестьянам Абхазии“.<sup>20</sup>

1921 წლის 19 თებერვალს მეცხრე არმიის 31-ე დივიზიის 91-ე ბრიგადის ნაწილებმა სოჭისა და ტუაფსეს წითელარმიელთა დახმარებით მოახდინეს მდ. ფსოუს ფორსირება და დაიძრნენ გაგრისა და სოხუმიისაკენ. მანამდე კი, 15 თებერვალს, არ დაელოდა რა საქართველოს ე.წ. „რეკომის“ ოფიციალურ თხოვნას დახმარების თაობაზე (ასეთი „თხოვნა“ შეითთხნილ იქნა მხოლოდ 16 თებერვალს, მას მერე, რაც შეიქმნა „რეკომი“), მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა ფეხქვეშ გათელეს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან. ასე დაიწყო ბოლშევიკი ოკუპანტების „ტრიუმფალური სვლა“, რომელიც „ძღვეამოსილად“ დასრულდა 25 თებერვალს თბილისის თავზე „გამარჯვების“ დროშის აფრიალებით.

უფრო ორგანიზებულ თავდაცვას წააწყდნენ ინტერვენტები აფხაზეთში. მათ აქ მეღვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველმა და აფხაზმა პატრიოტებმა, რომლებიც გმირულად იგერიებდნენ აგრესორის შემოტევას. აფხაზეთის მოსახლეობის თავგანწირულ ბრძოლას რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომელმაც 1921 წლის 23 თებერვალს გამოიტანა სპეციალური დადგენილება. აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა საგანგებო ზომების გატარებას მტრის შესაჩერებლად. კერძოდ, ამ მიზნით აუცილებლად იქნა მიჩნეული „отпустить один миллион рублей в распоряжение... совета обороны“.

ამავე დროს, სახალხო საბჭო აღგენდა, რომ დეპუტატები მივლინებულნი ყოფილიყვნენ „в районы для привлечения населения тем или иным путем к обороне“.<sup>21</sup> თავდაცვის ხელმძღვანელობა დაეკალა აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარეს, თავისი სამშობლოს მხურვალე პატრიოტს, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარს, რომელიც დაინიშნა მხარის გენერალ-გუბერნატორად. მისი ბრძანებით გამოცხადდა აფხაზეთის მოსახლეობის (35 წლამდე მამაკაცები) მობილიზაცია<sup>22</sup>.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის ჯარებს ახალ ათონთან, სადაც სამი დღის განმავლობაში (1-3 მარტი) იგერიებდნენ მტრის ჭარბ ძალებს. ამ ბრძოლაში სხვა აფხაზ პატრიოტებთან ერთად გმირულად დაეცა პოლკოვნიკი ვალერიან ტარასის ძე ანჩაბაძე (გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის ბიძა). თავის ქართველ თანამომხებთან ერთად გმირულად უმკლავდებოდა მომხდურთ და იცავდა საქართველო-აფხაზეთის დამოუკიდებლობას ვალერიან ანჩაბაძის კიდევ სამი ძმა. მაგრამ ძალები არათანაბარი იყო, წითელი არმიის ნაწილებმა გაარღვიეს ქართველთა და აფხაზთა თავდაცვის ხაზი და შევიდნენ სოხუმში, სადაც 1921 წლის 4 მარტს საზეიმოდ გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. საინტერესოა, რომ მოსკოვის ემისრებს არც კი უცდიათ იმის დამალვა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ წითელი არმიის გმირული შემართების შედეგი იყო. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც სერგო ორჯონიკიძის „აღიარება“: „В Сухумском округе боевые операции происходят с обычным успехом. Красная Армия двигается по Черноморью. Без боя был занят Сухум. В настоящее время форсирована река Кодор, и части Красной Армии подходят к реке Ингур“.<sup>23</sup> 9 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა მიღწიეს მდ. ენგურს და გადავიდნენ მეორე ნაპირზე. ამით, როგორც საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები წერდნენ, წითელმა არმიამ შეასრულა თავისი „ისტორიული მისია“ და ინტერნაციონალური ვალი<sup>24</sup>.

ასე დასრულდა აფხაზეთის ოკუპაცია.



აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი 1921 წელს. 1921 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამყარების შემდეგ უპირველეს ამოცანად იქცა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. თავის დროზე, როგორც უკვე აღინიშნა, კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი და მისი ქართველი და აფხაზი დამქაშები აფხაზეთში ეწეოდნენ მკვეთრად გამოხატულ ანტიქართულ პროპაგანდას. ამ აღვირახსნილი ანტიქართული კამპანიის ტონისმიმცემნი იყვნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე, რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებით, კონკრეტული მოქმედებებით ახდენდნენ პროვოკაციული სეპარატისტული გამოხდომების ინსპირირებას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის, პირველ რიგში, აფხაზეთში. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც რსფსრ-ის ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისრის ი. სტალინის მიერ გაზ. „პრავდაში“ (1918 წლის 23 მაისი) გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ის აღფრთოვანებით წერდა „о героической Абхазии, единодушно восставшей против черных банд Тифлисского правительства и с оружием в руках отстаивающей против них Сухум“.<sup>25</sup> მოგვიანებით, უკვე 1921 წლის 10 თებერვალს, უშუალოდ ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის დაწყების წინ, ი. სტალინი იმავე გაზ. „პრავდაში“ ღიად ადანაშაულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აფხაზების, ოსების და სომხების ჩავვრაში და ამით ფაქტობრივად უმხედრებდა ამ ხალხებს საქართველოს სახელმწიფოს<sup>26</sup>.

ბოლშევიკების ანტიქართული პროპაგანდა მთლიანად ეფუძნებოდა ყბადღებულ ლოზუნგის – „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ („право нации на самоопределение“) – ცხოვრებაში განხორციელებას. ლენინური პარტიის ამ ცრუ და დემაგოგიური იდეოლოგიური თეზისით შეიარაღებულმა აფხაზმა ბოლშევიკებმა, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით, ზემდგომი პარტიული ინსტანციების წინაშე უმაღლვე დააყენეს საქართველოსაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი. აფხაზი კომუნისტების

მოთხოვნა მოტივირებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი თქმით, როგორც „უფრო პროგრესულს“, ვიდრე მენშევიკების „დიქტატორული რეჟიმი“ იყო, აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უფრო „დემოკრატიულად“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთს გააჩნდა ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას, არც მეტი, არც ნაკლები, მისთვის „დამოუკიდებლობა“ უნდა მიეცა. აღსანიშნავია, რომ აფხაზ ბოლშევიკთა ამ მოთხოვნას ერთგვარი ბიძგი მისცა, ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე, 1921 წლის 16 თებერვალს შექმნილი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რეკომი) მიმართვამ საქართველოს მშრომელებისადმი. ამ მიმართვაში ქართველი ბოლშევიკები საზეიმოდ აღუთქვამდნენ მოსახლეობას, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ „братские народы Аджарии, Абхазии и Осетии сами определяют свою судьбу“.<sup>27</sup>

ჯერ კიდევ 1921 წლის მარტის დასაწყისში შედგა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა და, რაც მთავარია, IX წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ<sup>28</sup>. ამ გადაწყვეტილების მიღების კატეგორიული მოთხოვნით, პირველ რიგში, გამოდიოდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი დეპუტატები ე.წ. „независимцы“-ების ჯგუფიდან: მიხეილ ტარნავა, მიხეილ ცაგურია, სამსონ ჭანბა და სხვები, რომლებიც შევიდნენ რეკომის შემადგენლობაში<sup>29</sup>.

მაგრამ მალე აფხაზმა ბოლშევიკებმა, ალბათ IX წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ზეწოლის შედეგად, „დაივიწყეს“ აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესები და უკვე აფხაზეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლის თეზისი წამოაყენეს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რეკომის წევრების: ე. ეშბას, ნ. ლაკობას, პ. აღნიაშვილისა და ნ. აქირთავას მიერ მოსკოვში ვ. ლენინთან და ი. სტა-

ლინთან გაგზავნილი შეკითხვა. ამ დოკუმენტში ისინი ინტერესდებოდნენ, თუ როგორი იქნებოდა პარტიის ხელმძღვანელთა აზრი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე: „будет ли советская Абхазия самостоятельной республикой или административной единицей и какова будет общая политика“. აფხაზეთის რევკომის წევრები იქვე სთავაზობდნენ ამ პრობლემის გადაჭრის თავიანთ ვარიანტს: „**Советская Абхазия должна непосредственно входить в общероссийскую федерацию**“.<sup>30</sup> როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ვაი-პატრიოტები მოექცნენ მაშინ აფხაზეთის სათავეში.

კრემლმა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა დაავალა ამიერკავკასიაში თავის მთავარ ემისარს, რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს მდივანს სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც, როგორც ჩანს, პირველად გააცნობიერა, თუ რა სავალალო შედეგი მოიტანა თავის დროზე მის და სხვა ქართველი და აფხაზი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულმა აღვირაზსნილმა ანტიქართულმა პროპაგანდამ აფხაზეთში. ს. ორჯონიკიძე იძულებული შეიქნა, პირდაპირი ხაზით სასწრაფოდ დალაპარაკებოდა (1921 წლის 27 მარტს) ე. ეშბას და მოეწოდებინა მისთვის, გადაესინჯა პოზიცია აფხაზეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ს. ორჯონიკიძესთან საუბარში აფხაზი ბოლშევიკების ხელმძღვანელი შეეცადა თავი ემართლებინა იმის გამო, რომ მან გადაუხვია ადრე (ს. ორჯონიკიძისა და ე. ეშბას შეხვედრა შედგა მოსკოვში, ჯერ კიდევ საქართველო-აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც აფხაზეთი ავტონომიის სახით უნდა დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში: „Мы думали, – აღნიშნავდა ე. ეშბა, – что Абхазия будет существовать как составная часть Советской Грузии, но когда мы сюда приехали и разобрались, в какую атмосферу попали.., мы единодушно остановились на том, что для изживания национальной розни необходимо, хотя бы временно, до съездов советов объявить независимость Абхазии“.<sup>31</sup> ს. ორჯონიკიძემ გამორიცხა აფხაზე-

თის რსფსრ-ის შემაღენლობაში შესვლის შესაძლებლობა, ვინაიდან მსოფლიო თანამეგობრობა ამას შეაფასებდა, როგორც ანექსიას რსფსრ-ის მხრიდან, ამიტომ მან აფხაზეთის რეკომის ხელმძღვანელებს ურჩია: „при декларировании независимости Абхазии обойти вопрос о ее включении в ту или иную федерацию“, რასაც დაეთანხმა კიდეც ე. ეშბა<sup>32</sup>.

1921 წლის 28-29 მარტს ბათუმში შედგა საგანგებო თათბირი მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სტრუქტურების საკითხისადმი. თათბირს ესწრებოდნენ ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რკპ(ბ) ცკ კავბიუროს წევრი სერგო ორჯონიკიძე; საქართველოს რეკომის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და XI წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი შალვა ელიავა; ბათუმის ოლქის რეკომის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მალაქია ტოროშელიძე; აფხაზეთის რეკომის თავმჯდომარე, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგბიუროს წევრი ევრემ ეშბა; აფხაზეთის რეკომისა და რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროს წევრი, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ნესტორ ლაკობა. თათბირზე, მართალია, გარკვეული პირობით, მაგრამ მაინც დააკმაყოფილეს „აფხაზი ამხანაგების“ თხოვნა და დაადგინეს: „До съезда Советов Абхазии вопрос о федерации Советской Абхазии с РСФСР и ССРГ оставляется открытым, и Абхазия объявляется социалистической советской Республикой. Партийная организация до конференции носит название оргбюро РКП в Абхазии и работает по директивам Кавбюро ЦК РКП. Декреты ревкома Грузии должны служить для ревкома материалом, чтобы не было противоречия в действиях обоих ревкомов“.<sup>33</sup>

როგორც ვხედავთ, ქართულმა მხარემ მაინც მოახერხა დაეფიქსირებინა, რომ აფხაზეთი ე.წ. „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცხადდებოდა მხოლოდ დროებით, და რომ საბჭოების პირველსავე ყრილობაზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, რომელ სახელმწიფოს – რსფსრ-ს თუ საქართველოს

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაუკავშირებდა თავის ბედს აფხაზეთი. სხვა ალტერნატივას აფხაზ ბოლშევიკებს არავინ არ სთავაზობდა.

ბათუმის თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის რევკომმა ოფიციალურად გამოაცხადა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა და ამის შესახებ იმავე დღეს საზეიმოდ აუწყა ვ. ლენინს. ამასთან, ე. ეშბასა და მის თანამებრძოლებს არ დავიწყნიათ „ძლევა-მოსილი“ წითელი არმიის „დიდი გამათავისუფლებელი როლი“.<sup>34</sup> 1921 წლის 21 მაისს უკვე საქართველოს რევკომი მიესალმა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას და „ოფიციალურად ცნო“ ის. თუმცა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების „უმაღლესმა ორგანომ“ გამოთქვა რწმენა, რომ „вопрос Абхазии окончательно будет решен на первом съезде Советов рабочих и крестьянских депутатов как Абхазии, так и Грузии“.<sup>35</sup>

საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იძულებული შეიქმნა, შეესრულებინა თავისი ადრინდელი დაპირება „აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის მოძმე ხალხებისათვის“ მეტი თავისუფლების მინიჭების თაობაზე და 1921 წლის 21 მაისს „ოფიციალურად ცნო“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „დამოუკიდებლობა“. სინამდვილეში კი არც კრემლის ხელმძღვანელობას, არც ქართველ კომუნისტებს და არც თვით აფხაზ ბოლშევიკებსაც კი არასოდეს მოსვლიათ თავში მოსკოვისაგან დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნა. აფხაზეთისათვის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ ბოძება მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაცია იყო და მიზნად ისახავდა აფხაზური მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ფენების მომხრობას. აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების ნამდვილი მოტივაცია ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მაშინდელმა ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემ. აი, რას აცხადებდა ის 1921 წლის 12 აგვისტოს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო თათბირზე: „Когда Абхазия потребовала независимость, мы указали коммунистам Абхазии, что независимость такого крошечного государства не-

**возможна, но все же мы на это согласились. Мы говорили: если абхазский народ питает недоверие к грузинам, то пусть Абхазия будет независима, пусть она излечит свои раны, нанесенные меньшевиками, но в дальнейшем абхазы сами убедятся в необходимости тесного объединения с советской соседкой – Грузией“.**<sup>36</sup>

ამ თვალსაზრისით არანაკლებ შთაბეჭდავი იყო აფხაზი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერის ნესტორ ლაკობას გამოსვლა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის პირველ სამხარეო კონფერენციაზე 1922 წლის იანვარში: „Когда мы, ответственные работники Абхазии, сказали нашим старшим товарищам по партии, что для того, чтобы среди малых народностей, как например абхазской, сохранить идею советской власти (а это очень важно), **нужно на одну минуту объявить Абхазию независимой республикой, лишь бы это помогло сохранению советской идеи, укреплению советского строя в этой крошечной Абхазии.** А советская Абхазия просуществовав как независимая республика, говорит: «Исторические и экономические условия требуют того, чтобы Абхазия и Грузия составляли одно целое»“.<sup>37</sup> როგორც ვხედავთ, სულ რაღაც რამდენიმე თვე ეყო ნ. ლაკობას, რომ „მომწიფებულები“ აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების „ისტორიული აუცილებლობის“ აღიარებისათვის.

საქართველო-აფხაზეთის ახლადმოვლენილი „ბელადების“ ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ცრუ და ცინიკური იყო მათ მიერ გატარებული ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“, რომლის მთავარ მიზანს არა მცირე ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პერსპექტივაზე ზრუნვა, არამედ ახალი კომუნისტური იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაეთანხმო ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებ აფხაზ ისტორიკოსს სტანისლავ ლაკობას, როცა წერს: „Ильич (იგულისხმება ვ. ლენინი – **ზ.პ.**) был одержим идеей мировой революции и мыслил не «грузиями», «абхазиями», а континентами и «азиями»“.<sup>38</sup> თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ იგივე ს. ლაკობა თავი-

სი ნაშრომის სხვა ადგილას მოდის წინააღმდეგობაში საკუთარ თვალსაზრისთან და რატომღაც ცდილობს ვ. ლენინი წარმოაჩინოს (ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის საპირისპიროდ, რომლებმაც, მისი აზრით, „მოახრჩვეს“ „აფხაზეთა დამოუკიდებლობა“) აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ სულისჩამდგმელად. ამასთან, ს. ლაკობა გვთავაზობს სრულიად ფანტასტიკურ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ვ. ლენინმა თითქოს ალუთქვა ევრემ ეშბას აფხაზეთისათვის დამოუკიდებლობის ბოძება „в случае успешного завершения «абхазской миссии» в Турции“.<sup>39</sup> აქ იგულისხმება ე.წ. „დიპლომატიური დავალება“, რომელიც ვ. ლენინმა თითქოს მისცა ე. ეშბასა და ნ. ლაკობას თურქეთში ქეძალ ათათურქის მთავრობასთან მოლაპარაკებისას. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება. ს. ლაკობას აზრით, ვ. ლენინმა „აჩუქა“ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ იმ ღვაწლის გამო, რომელიც თითქოს გასწიეს ამ მოლაპარაკებების დროს ე. ეშბამ და ნ. ლაკობამ ბათუმის საკითხზე შეთანხმების მიღწევისათვის<sup>40</sup>. ანუ აფხაზი მკვლევრის მტკიცებით, ის, რომ თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ბათუმსა და მის შემოგარენზე, თურქეთე აფხაზი ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება ყოფილა, რის სანაცვლოდ მათ მიეცათ უფლება გამოეცხადებინათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. ე. ი. გამოდის, რომ ვ. ლენინი ყველა გზებით ცდილობდა ბათუმის შემომტკიცებას, მაგრამ რატომღაც ამავე დროს, თმობდა აფხაზეთს.

რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაში ს. ლაკობა შეგნებულად აბრეიყვებს მკითხველს. მას შესანიშნავად ესმის, რომ ვ. ლენინს სულაც არ აინტერესებდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. ამას ადასტურებს თუნდაც „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ ის პოლიტიკური ამბიციები, რომელზედაც, როგორც დავინახეთ, ყურადღება გაამახვილა თავად ს. ლაკობამ. მან არ შეიძლება არ იცოდეს ისიც, რომ ისეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, როგორიც იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – ოფიციალურად სუვერენული სახელმწიფოები, – რომელთა სათავეში იდგნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კო-

მიტეტისა და რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, მხოლოდ პოლიტიკური თამაში და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. ამით რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, არც მეტი, არც ნაკლები, ცდილობდა დაეფარა ამიერკავკასიის ოკუპაცია და ანექსია.

რომელ დამოუკიდებლობაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როდესაც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველა საკითხი წყდებოდა მხოლოდ და მხოლოდ კრემლისა და პირადად ვ. ლენინის ოფიციალური დირექტივების მიხედვით. ამ კუთხით რად ღირს თუნდაც ვ. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის ყბადაღებული წერილი „*К коммунистам Азербайджана, Армении, Грузии, Дагестана, Горской республики*“. განა ს. ლაკობამ არ უნდა იცოდეს, რომ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ იღებდნენ არა ამ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები, არამედ ზემდგომი პარტიული ინსტანციები, პირველ რიგში კი, **რუსეთის კპ(ბ)** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოსკოვში, ხოლო ამ გადაწყვეტილებების უშუალო რეალიზაცია ევალებოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს.

ასე რომ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის (რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთზე) საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოცხადებისას, არც ვ. ლენინსა და არც „პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს“ სხვა ხელმძღვანელებს გონებაშიც კი არ გაუვლიათ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსკოვისაგან ჩამოცილებული სუვერენული სახელმწიფოების შექმნა. ეს იყო მხოლოდ შირმა, რომლითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იფარებოდა რუსეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის იმპერიული ზრახვები. ერთი სიტყვით, აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სპოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების ორგანიზატორები და ინსპირატორები აწყობდნენ შორს მიმავალ გეგმებს, რომლის საბოლოო მიზანი აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოცილება იყო.



ის, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება მხოლოდ დანარჩენი საქართველოსაგან მისი მოწყვეტის (რასაც ესწრაფვოდნენ აფხაზი ბოლშევიკები და მათი მფარველები საბჭოთა რუსეთის ოფიციალური წრებიდან) საშუალება იყო, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვის ჭეშმარიტ ზრახვებზე ზუსტ და არაორაზროვან წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში რსფსრ საელჩოს სამხედრო ატაშის გენერალ პ. სიტინის მოხსენება საბჭოთა მთავრობისადმი, შედგენილი 1921 წლის 22 აპრილს.

გამოთქვამდა რა თავის შემოთვლას „მცირე ერების“ (იგულისხმება ქართველობა – ზ.პ.) შოვინიზმის გამო, გენ. პ. სიტინი „одной из предупредительных мер против местных шовинистов“ მიიჩნევდა „оставление достаточно сильных отрядов Красной Армии РСФСР в пределах Грузии... Второй мерой, ослабляющей грузинский шовинизм и территориально и материально“ კი – „отделение Абхазии“<sup>41</sup>. Надо немедленно продвинуть границу РСФСР до правого берега р. Бзыби, т.е. непосредственного соседства Абхазией. Если засим, – აგრძელებს თავხელი რუსი გენერალი, – абхазскому народу будет поставлен, например, путем плебисцита, вопрос о желательной форме государственного бытия, то нет никакого сомнения (можно взяться провести это в кратчайший срок), **абхазский народ вынесет решение о полном присоединении к РСФСР**, а такой акт, кроме огромного его стратегического и политического значения для РСФСР, передаст в руки ВСНХ (РСФСР) значительнейшие народные богатства этой страны. Самой Грузии, хотя и советской (ни тем более одной Абхазии) никогда не справится с задачей правильной эксплуатации огромных лесных и горных богатств этой страны, ни даже с правильной постановкой табаководства, рыболовства и т.д. ...Таким образом, – ასკვნის პ. სიტინი, – **отделение Абхазии от Грузии диктуется всеми соображениями, и замедление осуществления этого может быть чревато самыми нежелательными последствиями**“.<sup>42</sup>

გენ. პ. სიტინი არ სჯერდება აფხაზეთის ჩამოცილებას სა-

ქართველსაგან და რუსეთის ხელისუფლებას სთავაზობს: „Обратить внимание на Мингрелию“, რომელიც „непосредственно граничит по р. Ингури с Абхазией и простирается к югу до р. Риони. Эта территория с устьем р. Риони, при котором давно спроектировано проведение большого порта, могущего заменить Батум, территория чрезвычайно большая в стратегическом отношении, она также может быть подчинена непосредственному влиянию РСФСР, **если и мингрельцам, как абхазцам будет дана автономия**“.<sup>43</sup>

პ. სიტინი არ მალავს, რომ ყოველივე ეს არის: „путь расчленения Грузинской республики на ряд автономных единиц... подчиненных влиянию РСФСР“ და იქვე უთითებს: „Эти единицы меньше заслуживают большего внимания... Нет сомнения, что автономное устройство этих маленьких республик не только благоприятно отразится на их отношения к РСФСР, но и также и на их благосостоянии: самостоятельность под могучим покровительством России поднимет жизнеспособность этих наций“.<sup>44</sup>

აი, როგორ იდებებს ქადაგებდნენ მაღალი ჩინის რუსი სამხედრო მოხელეები საქართველოს მიმართ. აი, როგორ ზრუნავდნენ ისინი აფხაზეთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პერსპექტივებზე და როგორი „დამოუკიდებლობით“ უბნევდნენ თავგზას აფხაზეთის რიგით მაცხოვრებლებს კომუნისტური „სამოთხის“ მშენებელები. მხოლოდ ბრძას არ შეუძლია დაინახოს იმ „მოღვაწეთა“ ჭეშმარიტი სახე, რომლებიც უბიძგებდნენ აფხაზეთს „დამოუკიდებლობისაკენ“. დასანანია, რომ აფხაზეთი ნაციონალ-სეპარატიზმის თანამედროვე იდეოლოგიები დღემდე უმაღლეს სიმართლეს თავიანთ თანამემამულეებს და ყოველნაირად ცდილობენ, შთააგონონ მათ, რომ 1921 წლის მარტში აფხაზეთმა თითქოს მოიპოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

1921 წლის მარტში აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება რომ ფორმალური აქტი იყო და რომ აფხაზეთს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სახით) შესვლამდეც (1921 წლის დეკემბერი) კი არავინ არ განიხილავდა რო-

გორც „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას, ნათლად ჩანს იმ პერიოდის ოფიციალური დოკუმენტებიდან. ამ მხრივ მკვლევრები, პირველ რიგში, უთითებენ ვ. ლენინის ცნობილ წერილს: „*К коммунистам Азербайджана, Армении, Грузии, Горской республики*“. ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერს თავისი კავკასიელი თანამებრძოლებისადმი „რჩევა-დარიგებების“ მიცემისას რატომღაც „დაავიწყდა“ კიდევ ერთი „სუვერენული“ რესპუბლიკა – აფხაზეთის სსრ. მოგვიანებით (1921წ. 28 ნოემბერს), ვ. ლენინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის (რკპ(ბ) ცკ-ის) პოლიტბიუროს წარუდგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერირების პროექტი (ეს პროექტი მცირეოდენი ცვლილებებით პოლიტბიურომ მიიღო 1921წ. 29 ნოემბერს). პოლიტბიუროსადმი წარდგენილ პროექტში ვ. ლენინი აყენებდა წინადადებას: „Предложить центральным комитетам Грузии, Армении и Азербайджана (через Кавбюро) поставить вопрос о федерации пошире... энергично вести пропаганду за федерацию, провести ее через съезд Советов каждой Республики...“.<sup>45</sup> ე. ი. უშუალოდ ვ. ლენინის მიერ მომზადებულ ამ დოკუმენტშიც რატომღაც კვლავ „გამორჩენილია“ აფხაზეთი და ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტებად მოიხსენიება მხოლოდ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

აფხაზეთის რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსის გასარკვევად (1921წ. 16 დეკემბრამდე) საყურადღებოა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოს უფროსის ნ. სოკოლოვის მიერ ხელმოწერილი ცირკულარი დეკნოების შესახებ, რომელიც დაეგზავნა: „председателям ревкомов уездов и городов Грузинской советской социалистической республики и **Абхазской** и Аджарской **автономных республик**“. ასევე ცნობილია ფაქტები საქართველოს რევკომისა და ცალკეული სახალხო კომისარიატების მხრიდან ოფიციალური სადირექტივო მასალების გაგზავნისა აფხაზეთის რევკომისათვის „для сведения и исполнения“, „точного исполнения“, „для сведения и руководства и срочного исполнения“ და ა.შ.<sup>46</sup>

მკვლევრები აქცევენ ყურადღებას აგრეთვე იმ გარემოებას,

რომ საქართველოს რევკომი აფხაზეთის ასსრ ე.წ. „ცნობის“ შემდეგაც „неоднократно обсуждал на своих заседаниях вопросы, касающиеся Абхазии – открытие ей кредита, о Ткварчельских шахтах, о заключении Бзыбской концессии...“ და სხვ.<sup>47</sup> სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1921წ. 21 მაისს – საქართველოს რევკომის მიერ აფხაზეთის სსრ-ის „ცნობის“ დღეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ბზიფის კონცესიის შექმნის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხი და დაადგინა: „не возражать против подписания этой концессии **Правительством Грузии**, если она является солидной и полезной“.<sup>48</sup>

ასევე იქცევს ყურადღებას ის ფაქტიც, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, არ ფიგურირებდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში, რომელიც შეიქმნა 1921წ. აგვისტოში. ამ კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, აგრეთვე: დაღესტანი, მთის რესპუბლიკა, ყაბარდო და ნახიჭევანი. აფხაზეთი ასევე არ შედიოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „ეკონომიკურ ბიუროში“, რომელიც შექმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921წ. 16 აგვისტოს<sup>49</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თვით რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმებსა და სხდომებში აფხაზეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვა ავტონომიების წარგზავნილებთან ერთად, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი (1921წ. 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში „ხელშეკრულებით“ შესვლამდე) ნაზგასმულია კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კანცელარიიდან გამოსულ რიგ დოკუმენტებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა განმარტება, რომელიც მოცემულია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისრისა და ამავე დროს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის ი. სტალინის მითითებაში რსფსრ-ის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) მდივნის აბელ ენუქიძისადმი: „Абхазия является автономной частью независимой Грузии, отсюда самостоятельных представителей при РСФСР не имеет и не должна иметь. Поэтому кредит от РСФСР она не может получить“. უფრო კატეგორიული იყო ი. სტალინის დეპეშა გაგზავნილი იმავე ა. ენუქიძისადმი 1921წ. სექტემბერში: „Виза... о выдаче денег абхазцам без согласия Наркомфина Грузии недействительна... Следует принять во внимание, что абхазцы продали европейцам несколько млн. пудов табаку... не представив отчета ни Грузии, ни РСФСР“.<sup>50</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კრემლის ხელმძღვანელობა, ი. სტალინის სახით, იმთავითვე განიხილავდა აფხაზეთს, როგორც საქართველოს ავტონომიურ ერთეულს. და ეს იყო მოსკოვის ხელისუფლების ოფიციალური თვალსაზრისი, და არა „ყოვლისშემძლე ქართველის“ ი. სტალინის ხრიკები, როგორც ეს წარმოუდგენია აფხაზ ისტორიკოსს ს. ლაკობას. სულ ტყუილად ცდილობს ჩვენი აფხაზი კოლეგა მოახდინოს ი. სტალინის, თითქოს თავისი სამშობლოს – საქართველოსათვის თავგადაკლული პატრიოტის „რეაბილიტაცია“. მას ავიწყდება, რომ სწორედ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე თავიანთ თანამებრძოლ ქართველ კომუნისტ-ინტერნაციონალისტებთან ერთად იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის „მესაფლავენი“. ავიწყდება, რომ სწორედ ი. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ მოაწყვეს „ძლევა მოსილი“ წითელი არმიის „ტრიუმფალური ლაშქრობა“ საქართველოში, ხოლო მოგვიანებით მათვე ძალით „შეათრიეს“ საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში, რითაც ფაქტობრივად წაართვეს მას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარეგნული ატრიბუტებიც კი.

შევეხთ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებშიც არაორაზროვნად დასტურდება თბილისის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ აფხაზი კომუნისტებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ „მედგარი ბრძოლის“ სანაცვლოდ ბოძებული აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ დროებითი ხასიათი. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა უკვე 1922წ. იან-

ვარში ხაზს უსვამდა, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ 1921წ. მარტში გამოცხადდა მხოლოდ დროებით, „на одну минуту“. უფრო ადრე, 1921წ. მარტში, აფხაზი კომუნისტების მეორე ლიდერი ეფრემ ეშბა ასევე ითხოვდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას „временно, до съезда Советов“.<sup>51</sup> და ეს სულაც არ რჩებოდა დეკლარაციულ განცხადებად, მას თან ახლდა როგორც საკუთრივ აფხაზეთის, ისე საქართველოს ოფიციალურ უწყებათა, აგრეთვე, ზემდგომი პარტიული ინსტანციების კონკრეტული ნაბიჯები. ასე, მაგალითად, 1921წ. 5 ივლისს რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ი. სტალინმა, სპეციალურად განიხილა აფხაზეთის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება პარტიული მუშაობის წარმართვის შესახებ „в направлении объединения Абхазии и Грузии в форме автономной республики входящей в состав Грузии“.<sup>52</sup>

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცალკეული აფხაზი ლიდერები სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებულნი ზემდგომი პარტიული ინსტანციების ამგვარი რეკომენდაციებით. ეს ნათლად გამოჟღავნდა 1921წ. 15 ოქტომბერს რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რეკომის გაერთინებულ სხდომაზე, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოსა და აფხაზეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ: „путем официального договора двух союзных республик“.<sup>53</sup>

უფრო მეტიც, ე. ეშბამ თავის წერილში კავბიუროსადმი (1921წ. 14 ნოემბერი) ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთის უშუალოდ (საქართველოსაგან დამოუკიდებლად) გაწევრიანების საკითხიც კი დააყენა<sup>54</sup>. მაგრამ რკპ(ბ) ცკ კავბიუროს პრეზიდიუმი 1921წ. 16 ნოემბერს სპეციალურად განიხილა რა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობების საკითხი, ე. ეშბას მონაწილეობით სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии. 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав Федерации Грузии на договорных началах, или на началах авто-

## ნომნოი ობლასტი – ვ რსფსრ“<sup>55</sup>

ერთი სიტყვით, კავკასიის უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოიტანა საბოლოო ვერდიქტი, რომლითაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა აფხაზეთის მოჩვენებით „დამოუკიდებლობას“. აღნიშნულმა დოკუმენტმა მკლევართა ყურადღება მიიპყრო იმის გამოც, რომ მასში შემოთავაზებული იყო აფხაზეთის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ორი ვარიანტი. პირველ შემთხვევაში, აფხაზეთს აძლევდნენ ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსს საქართველოს სსრ-ის ფარგლებში, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდებოდა რსფსრ-ის ნაწილი, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსით, რაც „ხელშეკრულებით რესპუბლიკაზე“ ორი საფეხურით დაბლა იყო. როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლ. თოიძე, ამ დადგენილებაში აშკარად გამოიკვეთა „საქართველოს ერთგვარი დისკრიმინაცია“.<sup>56</sup>

1921წ. 24 ნოემბერს რკპ(ბ) კავბიუროს გადაწყვეტილებით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ორგბიურო აფხაზეთში დაუქვემდებარეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ე. ეშბა შეყვანილ იქნა საქართველოს კპ ცკ-ის შემადგენლობაში. საბოლოოდ კი, აფხაზეთის სსრ-ის ე.წ. „სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას“ წერტილი დაესვა 1921წ. 16 დეკემბერს, როდესაც თბილისში ხელი მოეწერა ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულებას“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. ამ ხელშეკრულებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსით.

ის, რომ აფხაზეთი 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულად საქართველოს სსრ-ის ნაწილი გახდა, საყოველთაოდ აღიარებული, უდავო ფაქტია, რომელიც ადრე არასოდეს დამდგარა ეჭვის ქვეშ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ნაწყვეტები 1983წ. სოხუმში გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გიორგი ძიძარიას ხელმძღვანელობით მომზა-

დებული განმაზოგადებელი ფუნდამენტალური ნაშრომიდან „*История Абхазской АССР (1917-1937)*“. ამ გამოცემის შესაბამისი თავი დაწერილია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის ბაჯგურ სალარიას მიერ. აი, რას წერდა ბ. სალარია 1983 წელს (ამჟამად ის, მთლიანად ჩადგა რა სეპარატისტული იდეოლოგიის სამსახურში, სულ სხვაგვარად ფიქრობს): „Вхождение Абхазии на договорных началах в состав советской Грузии, несомненно имело большое значение“.<sup>57</sup> ან კიდევ, „Образование ССР Абхазии и вхождение ее в состав ССР Грузии на договорных началах и через нее в ЗСФСР и СССР – свидетельство жизненности ленинских идей национальной политики КПСС“.<sup>58</sup>

მაგრამ ამ უცილობელ ჭეშმარიტებას – აფხაზეთის შესვლას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში 1921წ. 16 დეკემბერს – უკანასკნელ წლებში სრულიად უაპელაციოდ უარყოფენ აფხაზი ისტორიკოსები და, პირველ რიგში, ს. ლაკობა. მათი აზრით, ამ დროს ადგილი ჰქონდა არა აფხაზეთის შემოყვანას ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, არამედ ორი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაერთიანებას. ს. ლაკობას მტკიცებით, სწორედ ეს ფორმა – გაერთიანება არის დაფიქსირებული საქართველოს სსრ-ის 1922 და 1927 წლების კონსტიტუციებში. შესაბამის მუხლებს აფხაზი ისტორიკოსის მიერ ნახსენები საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებიდან, აგრეთვე აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან, ჩვენ მოგვიანებით აუცილებლად მივუბრუნდებით, ამჯერად კი შევეხებით თვით 16 დეკემბრის ხელშეკრულებას, რომლის ცალკეული მუხლები ერთნიშნად მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი რაღაც ორსუბიექტიანი ფედერაციის წევრი სახელმწიფო კი არ გამხდარა, არამედ ხელშეკრულებით საწყისებზე ნამდვილად შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

ასე, 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულებით გაერთიანებულად ცხადდებოდა: სამხედრო, ფინანსთა, სახალხო მეურნეობის, ფოსტისა და ტელეგრაფის, იუსტიციის სახალხო კომისარიატები, აგრეთვე საგანგებო კომისია, მუშურ-გლეხური ინსპექცია და ა.შ. საგარეო საქმეები რჩებოდა „целиком в ведении Социалис-



тической Республики Грузии“. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომლის თანახმად აფხაზეთი უნდა შესულიყო „во все краевые объединения, в частности в Федерацию Закавказских республик... **через Грузию**“, რომელიც გამოყოფდა მისთვის „одну третью часть своих мест“.<sup>59</sup>

აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში დადასტურებული იყო როგორც აფხაზეთის, ისე სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობების ყველა ოფიციალურ დოკუმენტში. ასე, მაგალითად, თვით ბ. საღარაძე კი აღიარებს, რომ „Первый съезд Советов Абхазии законодательно закрепил форму государственного-правового положения Абхазии **в составе Грузии**“.<sup>60</sup> რაც შეეხება 1922წ. საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას, რომლისკენაც იშვერს თითო ს. ლაკობა, მასში ჩვენი აფხაზი კოლეგის სურვილის საწინააღმდეგოდ, არის შემდეგი ჩანაწერი: „**В состав Социалистической Советской Республики Грузия входят** на основе добровольного самоопределения Автономная Социалистическая Советская Республика Аджарии, автономная область Южной Осетии и **Социалистическая Советская Республика Абхазии**, которая объединяется с Социалистической Советской Республикой Грузии на основе особого союзного между этими республиками договора“.<sup>61</sup>

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ყველა დასახელებული ერთეული, მიუხედავად მათი განსხვავებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსისა, შედიოდა ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ერქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ პოლიტიკური სპეკულაციები 1921-1931 წლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის გამო. 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის სსრ-ის შორის დადებული ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ საფუძველზე აფხაზეთის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შესვლის ფაქტს, როგორც უკვე აღინიშნა, არ ცნობს სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“. უფრო მეტიც, XX საუკუნის 80-იან წლებში ეს იქცა პოლიტიკურ-იდეოლოგიური სპეკულაციის საგნად სეპარატისტ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა

მხრიდან. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ შესაბამისი ჩანაწერი საქართველოს სსრ-ის 1922წ. კონსტიტუციიდან, რომელშიც ერთნიშნადაა დაფიქსირებული, რომ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სსრ შედიან საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. დავუშვათ, წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზეთის სსრ პარიტეტულ საწყისებზე ერთიანდებოდა დანარჩენ საქართველოსთან და ამ გზით მართლაც ქმნიდა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტისაგან შემდგარ ფედერაციას, ანუ როგორც ამჟამად ამბობენ „სამოკავშირეო სახელმწიფოს“, მაშინ, რასაკვირველია, ეს აუცილებლად უნდა ასახულიყო ამ ე.წ. „ახალი სახელმწიფოს“ სახელწოდებაში.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა „სამოკავშირეო სახელმწიფოები“, რომლებმაც მიიღეს ახალი სახელწოდებები. თავდაპირველად ეს იყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანდა სამი სუვერენული სუბიექტი: საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ, ხოლო მოგვიანებით უკვე ამ ახლადშექმნილმა სახელმწიფომ ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა, სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო რსფსრ-სთან, უკრაინის სსრ-სთან და ბელორუსიის სსრ-სთან და შექმნა ახალი სამოკავშირეო სახელმწიფო – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სსრკ-ის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში საგანგებოდ იყო განმარტებული, რომ ამიერკავკასიის სფსრ, თავის მხრივ, წარმოადგენდა სამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას: საქართველოს სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ს. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთს, ის არათუ არ იყო ამ ახალი გაერთიანების – სსრკ-ის – დამოუკიდებელი სუბიექტი (ასეთი საქართველოს სსრ-ც კი არ იყო), არამედ ის საერთოდაც ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ფიგურირებდა. უფრო მეტიც, სამოკავშირეო ხელშეკრულების მე-15 მუხლის მე-4 თავის მიხედვით,

„**автономные республики** Аджария и Абхазия“ (ასე წერია დოკუმენტში) დე-ფაქტო უთანაბრდებოდნენ რსფსრ-ის შემაღგენლობაში შემაავალ ავტონომიურ ოლქებს. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ რსფსრ-ის შემაღგენლობაში შემაავალი ავტონომიური რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეროვნებათა საბჭოში ავზანდინენ 5 წარმომადგენელს (სხვათა შორის, იმდენივეს, რამდენსაც ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკები“), აჭარასა და აფხაზეთს ჰქონდათ მხოლოდ თითო წარმომადგენლის (ანუ იმდენივესი, რამდენიც ჰყავდა რსფსრ-ის ავტონომიურ ოლქებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის ავტონომიურ ოლქებს) ყოლის უფლება<sup>62</sup>.

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ოფიციალურადაა დაფიქსირებული სსრ კავშირის 1924წ. კონსტიტუციაში. მასში დადასტურებულია „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ზემოთ მოყვანილი მუხლი და ასევე აღნიშნულია, რომ „**автономные республики** Аджарии и Абхазии, Юго-Осетинская, Нагорно-Карабахская и Нахичеванская автономные области посылают в Совет Национальностей по одному представителю“.<sup>63</sup> აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება აგრეთვე ოფიციალურ პარტიულ დოკუმენტებში. ასე, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში „**О числе мест в ЦИК, предоставляемом Центру, автономным Республикам, армии...**“ (1922წ. 27 თებერვალი) გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: „Предоставить: Центру 35, **автономным республикам Абхазии, Аджарии...** по 3 места“.<sup>64</sup>

ის, რომ აფხაზეთის სსრ იმთავითვე იყო საქართველოს სსრ-ში შემაავალი ავტონომიური ერთეული, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ბიუჯეტი იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო აფხაზეთის სამთავრობო უწყებები და პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, პარტიული სტრუქტურები კი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ამასთან

დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგანიზაციამ თავის პირველსავე საოლქო კონფერენციაზე (1922წ. 7-12 იანვარი) მიიღო გადაწყვეტილება სახელწოდების შეცვლის შესახებ და ამიერიდან მას ეწოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგანიზაცია. კონფერენციაზე არჩეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატები. ოდნავ მოგვიანებით, 1922წ. 12-18 თებერვალს, შედგა აფხაზეთის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც აირჩია საქართველოს საბჭოების I ყრილობის დელეგატები<sup>65</sup>.

იმ ოფიციალურ მასალებს შორის, რომლებიც ერთნიშნად ადასტურებენ აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, უაღრესად საინტერესოა ნაწყვეტი ამიერკავკასიის კომუნისტების მაშინდელი ლიდერის სერგო ორჯონიკიძის გამოსვლიდან თბილისის საბჭოს სხდომაზე 1924წ. 5 სექტემბერს: „Что касается Абхазии и Аджаристана, – აღნიშნავდა სერგო ორჯონიკიძე, – как раз той части нашей республики (იგულისხმება საქართველო – ზ.პ.), которая не раз восставала против меньшевиков и их тирании, то эти автономные республики не только не поддерживали меньшевистскую авантюру, но Батум, Аджаристан... и Абхазия во главе с председателем совнаркома Т. Лакоба и Т. Бахтадзе моментально ринулись в бой“.<sup>66</sup> როგორც ირკვევა, აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობა 1924წ. აჯანყების მსვლელობისა და მისი ჩახშობის დროს მართლაც დამდგარა „მოწოდების სიმაღლეზე“. ის წარმატებით ახორციელებდა „**постановления расширенного пленума ЦК КП (б) Грузии**, обсудившего в октябре 1924 г. вопрос об августовской меньшевистской авантюре“ და დიდ სამუშაოს ატარებდა სოფლად<sup>67</sup>.

ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ აქ მოტანილი მასალები სრულიად უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ როგორც აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება 1921წ. მარტში, ისე მისი „გაერთიანება“ საქართველოს სსრ-სთან 1921წ. 16 დეკემბერს, მხოლოდ ფორმალური აქტი

იყო. სინამდვილეში კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, აფხაზეთი თავიდანვე განიხილებოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემაჯავალ ავტონომიურ ერთეულად. ბუნებრივია, ყოველივე ეს აღიზიანებდა იმ ძალებს, რომლებიც თავის დროზე დემაგოგიურად ჰპირდებოდნენ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. სწორედ ამ ძალებმა მონინდომეს თბილისსა და სოხუმს შორის 1921-1925 წლებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთგვარი რევიზია. მათი ზეწოლით მომზადდა აფხაზეთის სსრ-ის პირველი კონსტიტუციის პროექტი. მის შექმნაში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი-ს) მაშინდელმა თავმჯდომარემ, თავისი სეპარატისტული განწყობილებით ცნობილმა მოღვაწემ სამსონ ჭანბამ.

1925წ. 26 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით სოხუმში მიმდინარეობდა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა კიდევ აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია. როგორც ცნობილია, აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიების მიერ აღნიშნული კონსტიტუცია მიჩნეულია „სუვერენული აფხაზეთის“ კონსტიტუციად<sup>8</sup> და მიდის მისი ფართო პროპაგანდა მოსახლეობაში. უფრო მეტიც, XXს. 90-იანი წლების დამდეგს ეს კონსტიტუცია იქცა უმთავრეს „კონსტიტუციურ-სამართლებრივ იარაღად“ სეპარატისტების პოლიტიკურ-იდეოლოგიურ არსენალში. სწორედ ამ კონსტიტუციის რეანიმირება მოახდინა (რეგლამენტის უხეში დარღვევით, კონსტიტუციური უმრავლესობის არარსებობის პირობებში) აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულად განწყობილმა ფრთამ 1992წ. 23 ივლისს. ამ კონსტიტუციური განუკითხაობის შედეგად სეპარატისტებმა მონინდომეს აფხაზეთის გამოყვანა საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან და ფაქტობრივად „აფხაზეთის რესპუბლიკის“ საქართველოსაგან „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური სეპარატიზმის ბელადების ეს დემარში იქცა უკანასკნელ წვეთად, რომელმაც აავსო აფხაზეთის ქართული

მოსახლეობის მოთმინების ფიალა და რამდენიმე დღის შემდეგ მიიყვანა კიდევ ქვეყანა ძმათაშორის კონფლიქტამდე.

და მაინც, რას წარმოადგენდა 1925წ. აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია და რითი იყო ის მიუღებელი ქართული მხარისათვის? უკანასკნელ პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა (ლ. თოიბე, ჯ. გამახარია და ბ. გოგია, ა. მენთეშაშვილი და სხვ.) მოგვცეს ამ სამართლებრივი დოკუმენტის საკმაოდ ამომწურავი ანალიზი და მიუთითეს მის იურიდიულ გაუმართავობაზე. პირველი, რასაც მიაქციეს ყურადღება ქართველმა ისტორიკოსებმა, არის წინააღმდეგობა კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებს შორის. ასე, კონსტიტუციის I თავის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „**ССР Абхазия, объединившись на основе особого союзного договора с ССР Грузией, через нее входит в Закавказскую Социалистическую Федеративную Советскую Республику и в составе последней – в Союз Советских Социалистических Республик**“. მაგრამ კონსტიტუციის II თავის მე-5 მუხლში რატომღაც მის შემდგენლებს „დაავიწყდათ“ აფხაზეთის შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციაში და სსრკ-ში საქართველოს სსრ-ის მეშვეობით და მიუთითეს, რომ „Суверенитет ССР Абхазии, в виду добровольного ее вхождения в ЗСФСР и Союз ССР, – ограничен лишь в пределах и по предметам указанным в конституциях этих союзов“, ხოლო „Граждане ССР Абхазии, сохраняя республиканское гражданство, являются гражданами ЗСФСР и Союза ССР“.<sup>69</sup>

როგორც ვხედავთ, ამ მუხლებში არ არის მოხსენიებული საქართველოს სსრ, რომლის ნაწილსაც (იმავე კონსტიტუციის განმარტებით) „на основе особого союзного договора“ წარმოადგენდა აფხაზეთის სსრ. ე. ი. გამოდის, რომ ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრკ-ში აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სსრ-ის მეშვეობით, ხოლო აღნიშნული გაერთიანებებიდან გამოსვლა შეეძლო დამოუკიდებლად. სრულიად აშკარაა, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, აქ საქმე გვაქვს იურიდიულ ლაფსუსთან. საქართველოს სსრ არ არის მოხსენიებული აგრეთვე კონსტიტუციის მუხლში „სახალხო კომისართა საბჭოს“ შესახებ, რომელშიც ჩამოთვლილია სახკომსაბჭოში (აფხაზეთის მთავრობა) შემაჯავლი უწ-

ყვების ხელმძღვანელები.

ამრიგად, 1925წ. კონსტიტუციის აქ მოტანილი დებულებებით აფხაზ „კანონმდებლებს“ ფაქტობრივად გამოჰყავდათ აფხაზეთი საერთო-ქართული სამართლებრივი სივრციდან, მაგრამ ისინი ამაზეც არ ჩერდებოდნენ და კონსტიტუციის ზემოთ ნახსენები I თავის მე-4 მუხლში პირდაპირ აცხადებდნენ აფხაზეთის სსრ-ის „სრულ მზადყოფნას“ („о твердой готовности“) „войти (იგულისხმება დამოუკიდებლად – **ზ.პ.**) в состав единой международной Социалистической Советской Республики, как только создадутся условия для ее возникновения“.<sup>70</sup> არანაკლებ გამომწვევია კონსტიტუციის მუხლი, რომლის თანახმადაც „სუვერენული“ აფხაზეთის სახელმწიფო ენად („языком государственных учреждений“) ცხადდებოდა „язык русский“.<sup>71</sup> ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ როგორ „ზრუნავდნენ“ აფხაზი „პატრიოტები“ მშობლიურ აფხაზურ ენაზე და თუ რომელი სახელმწიფოს ინტერესებს იცავდნენ ისინი რეალურად. ამის შემდეგ განა უნდა გაგვიკვირდეს, თუ როგორ ცინიკურად მოიხსენიებდა აფხაზურ ენას აფხაზი ხალხის „სათაყვანო“ შვილი ნესტორ ლაკობა. „Какого черта нужно заниматься исследованием абхазского языка... – ამბობდა აფხაზ ბოლშევიკთა ბელადი აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე (1931წ. 6 თებერვალი) – когда надо передать на этом языке то, что он не может дать“.<sup>72</sup>

საქართველოსა და ამიერკავკასიის ზემდგომ პარტიულ ინსტანციებს არ შეეძლოთ თვალი დაეხუჭათ 1925 წლის აფხაზეთის სსრ-ის „კონსტიტუციის“ „ნაკლოვანებებზე“. მალე, როგორც ჩანს, ზემოდან სათანადო „დამუშავების“ შედეგად აფხაზეთის საბჭოთა და პარტიულმა ხელმძღვანელობამ ოფიციალურად „ადიარა“ თავისი „შეცდომები“ და პირობა დადო, შეეტანა შესწორებები აფხაზეთის სსრ-ის ძირითად კანონში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნესტორ ლაკობას გამოსვლა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის VII კონფერენციაზე (1925წ. 26 ნოემბერი), რომლის დროსაც მან პირდაპირ ადიარა, რომ „Конституцию написали глупейшим образом“.<sup>73</sup> აღნიშნულ საკითხზე უფრო გამოკვეთილად ლაპარაკობდა ნ. ლა-

კობა საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე (1925 წლის 2 დეკემბერი): „Тов. Кахиани (საქართველოს მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელი – ზ.პ.) был прав, когда говорил, что у некоторых ответственных работников бродила мысль о непосредственном вхождении Абхазии в Зафедерацию и т.д. **Такая мысль бродила и у меня**, и у многих других ответственных товарищей. От этой мысли мы отказались раз и навсегда и не потому, что тов. Кахиани где-нибудь нам пригрозил этой бродячей мыслью... **В Абхазии постановка вопроса о том, что она действительно независима и куда-то хочет уйти от Грузии, приведет к тому, что Абхазия, как карточный домик, построенный шаловливой рукой мальчика, распадется**“.<sup>74</sup>

კონსტიტუციურ საკითხებზე ნ. ლაკობას პიროვნებაში მომხდარი მეტამორფოზის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის გამოსვლას საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – **სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე, რომელიც რატომღაც ჩატარდა არა სადმე სხვაგან, არამედ აფხაზეთის სსრ-ის დედაქალაქ სოხუმში** 1926 წლის 13 ივნისს. „С самого начала, –აცხადებდა ნ. ლაკობა, – кое-кто из не совсем хорошо усвоивших действительное положение вещей и кое-кто из наших противников все время строят свою тактику по расшатыванию власти Республики Абхазии вот на чем: Абхазия захочет – уйдет от Грузии, захочет – останется с Грузией... Имеет ли это под собой почву? Для того, чтобы на этот счет не было никаких недоразумений, надо со всей решительностью заявить, что **Абхазия от Грузии уйти не может, не собирается и этого не хочет**. От советской Грузии советская Абхазия никуда не собирается уйти, но вместе с советской Грузией, **в составе советской Грузии**, Абхазия пойдет, если даже угодно и на тот свет... Судьба Абхазии с Грузией едина... **Сама Абхазия включила себя в состав Грузии**. Да здравствует Советская Грузия и ей преданные на все 100%, невзирая не все кривотолки, трудящиеся массы Абхазии!“<sup>75</sup>

ეს ამონარიდები აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტი-



ტუციის შექმნის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის ნესტორ ლაკობას ერთგვარი მონანიებითი გამოსვლებიდან ერთნიშნად მეტყველებს პარტიულ-პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლაზე, რაც, შესაძლოა, მართლაც გამოწვეული იყო აფხაზეთში ლევ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა პოზიციების შესუსტებით და იოსებ სტალინის გავლენის გაძლიერებით პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, როგორც ამას ფიქრობს ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა<sup>76</sup>.

ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციების, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) მიერ ჩატარებული „აღმზრდელობითი მუშაობის“ შედეგები შეჯამდა 1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე. **იხელმძღვანელა რა საქართველოს ცაკის III სესიის პირდაპირი მითითებით, აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ 1927 წლის მარტში.**

აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციის ახალი რედაქცია პრინციპულად განსხვავდებოდა 1925 წელს მიღებული „კონსტიტუციისგან“. ახალი კონსტიტუციის I თავში გაცხადებული იყო, რომ „**Республика Абхазия есть социалистическое государство** (1925 წლის „კონსტიტუციაში“ დაფიქსირებული „**суверенное государство**“-ს ნაცვლად) **рабочих и трудового крестьянства, входящее, в силу особого договора в Социалистическую Советскую Республику Грузию и через нее в Закавказскую Социалистическую Федеративную Советскую Республику**“. ამავე თავში ნათქვამი იყო, რომ „**Граждане Социалистической Советской Республики Абхазии, сохраняя республиканское гражданство, являются тем самым гражданами Социалистической Советской Республики Грузии**“, რასაც გვერდს უვლიდა 1925 წლის „კონსტიტუცია“.<sup>77</sup>

კორექტირება განიცადა მუხლმა სახელმწიფო ენის შესახებ. 1925 წლის „კონსტიტუციისაგან“ განსხვავებით, რომელშიც

სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ რუსულ ენას, ამჯერად „Языком государственных учреждений социалистической советской республики Абхазии“ ერთბაშად ცხადდებოდა სამი ენა: აფხაზური, ქართული და რუსული<sup>78</sup>. კონსტიტუციის I თავის მე-16 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ მიეკუთვნებოდა იმ სუბიექტთა რიცხვს (სსრკ, ამიერკავკასიის სფსრ, აფხაზეთის სსრ), რომლებიც თავიანთი კონსტიტუციებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში სარგებლობდნენ აფხაზეთის სახელმწიფო სიმდიდრეთა (მიწა, ტყეები, წყლები, წიაღისეული და ა.შ) ექსპლოატაციის უფლებით<sup>79</sup>.

კონსტიტუცია განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოს მართვაში აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობის დონესა და წესს. „Во всегрузинском съезде советов, – აღნიშნული იყო კონსტიტუციაში II თავის მე-18 მუხლში, – принимают участие представители съезда советов социалистической советской республики Абхазии в количестве депутатов по расчету: один депутат на каждые 10 000 населения“,<sup>80</sup> ხოლო ამავე თავის მე-19 მუხლის თანახმად: „Всегрузинский съезд советов избирает в состав Всегрузинского Центрального исполнительного комитета представителей от социалистической советской республики Абхазии в комитете членов, **определяемом Всегрузинским съездом советов**“,<sup>81</sup> ანუ საქართველოს სახელმწიფოს (და არა რაღაც „სამოკავშირეო“ სახელმწიფოს) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთს არ გააჩნდა პარიტეტულ საწყისებზე თავისი კვოტა და მის წარმომადგენელთა მონაწილეობის დონეს მთლიანად საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განსაზღვრავდა.

კონსტიტუციის II თავის 21-ე მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედების, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები ფუნქციონირებდნენ „самостоятельно и независимо от соответственных народных комиссариатов социалистической советской республики Грузии“, მაგრამ უცვლიდნენ ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შესახებ<sup>82</sup>. გარეგნულად თით-

ქოს დამოუკიდებელი იყო აგრეთვე აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, თუმცა ეს სტრუქტურა ვალდებული იყო, განეხორციელებინა „в своей деятельности директивы Высшего Совета Народного Хозяйства Социалистической Советской Республики Грузии“.<sup>83</sup> რაც შეეხება ფინანსების, შრომისა და მეურნეობის ინსპექციის უწყებებს, აფხაზეთში ეს უწყებები წარმოდგენილი იყო მხოლოდ საქართველოს შესაბამისი სახალხო კომისარიატების რწმუნებულებით, რომლებიც, „являясь органами подлежащих народных комиссариатов... Грузии непосредственно им подчинёнными“, მაინც იყვნენ ანგარიშვალდებულნი აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე<sup>84</sup>.

კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი რჩებოდა საერთო-ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რასაც პირდაპირ ადასტურებდა კონსტიტუციის II თავის 22-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, „кодексы, декреты и постановления, принятые Всегрузинским Центральным Исполнительным Комитетом с распространением их действия на всю территорию Социалистической Советской Республики Грузии, имеют обязательную силу и на территории Социалистической Советской Республики Абхазии“.<sup>85</sup> ამავე თავის 24-ე მუხლში კი ხაზგასმული იყო, რომ „Всегрузинскому Съезду Советов и Всегрузинскому Центральному Исполнительному Комитету принадлежит право отмены постановлений Съезда Советов, Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Социалистической Советской Республики Абхазии противоречащих положениям главы II настоящей конституции“.<sup>86</sup>

და ბოლოს, ყველაზე თვალსაჩინო დადასტურება იმისა, რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ ნამდვილად არ წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, იყო კონსტიტუციის IV თავის 92-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „Государственный бюджет Социалистической Советской Республики Абхазии входит составной частью в общегосударственный бюджет Социалистической Советской Республики Грузии и утверждается Всегрузинским Центральным Испол-“

нительным Комитетом в качестве составной части общегосударственного бюджета Социалистической Советской Республики Грузии“.<sup>87</sup>

ამრიგად, ჩვენს მიერ აქ მოტანილი ნაწყვეტები 1927 წლის მარტში აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე დამტკიცებული კონსტიტუციიდან, ცალსახად აჩვენებს სრულ უსაფუძვლობას მტკიცებისა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი იყო სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც საქართველოსთან დაამყარა „равноправные федеративные государственно-правовые взаимоотношения“, როგორც ამას აღნიშნავდა მაშინდელი აფხაზური ინტელიგენციის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი ს. ბასარია და როგორც ამას საქვეყნოდ გაჰკვივიან თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეური „ბელადები“. სინამდვილეში არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სსრ თავიდანვე (1921 წლის 16 დეკემბრიდან მაინც, როდესაც აფხაზეთის სსრ ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ საფუძველზე შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში), განიხილებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შემადგენელ ნაწილად.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, როგორც ამას აღნიშნავს ზემოთ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსი ბაჯგურ საღარია, სრულიად ცხადი გახდა, რომ „происшедшие за десятилетие изменения в политической, хозяйственной и культурной жизни Абхазии, как и Грузии в целом, требовали, в свою очередь пересмотра форм государственных конституционных взаимоотношения между ними“.<sup>88</sup> როგორც აღნიშნული იყო აფხაზეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობა) სპეციალურ ცნობარში: „Договор 16 декабря 1921 года... потерял реальное значение“, ვინაიდან „действительные... взаимоотношения этих республик точно определены в их конституциях“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის სახკომსაბჭო თვლიდა, რომ „наименование договорной ССР Абхазии не имеет реального содержания“.<sup>89</sup>

1930 წლის აპრილში აფხაზეთის ცაკის III სესიამ, ნესტორ ლაკობას მოხსენების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება

აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან ცნება „Договорная республика“-ს ამოღებისა და მის ნაცვლად ძირითად კანონში ცნება „Автономная Республика“-ს ჩასმის თაობაზე. 1931 წლის აპრილში კი უკვე აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ, მოიწონა რა აფხაზეთის ცაკის III სესიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, სათანადო შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში. ამიერიდან აფხაზეთი უკვე ოფიციალურადაც გახდა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

ასეთია ისტორიული სიმართლე ე.წ. „სუვერენული“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ 1921-1931 წლებში, რომელიც, ფორმალურად იწოდებოდა რა „Договорная республика“-დ, სინამდვილეში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და „დე-ფაქტო“ უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტონომიურ ერთეულს. ასე რომ, ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთის სსრ 1921-1931 წლებში იყო საქართველოსგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მან დაკარგა 1931 წელს „ყოვლისშემძლე ქართველების“ – ი. სტალინისა და ლ. ბერიას ვერაგული ქმედებების შედეგად, თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა უხამსი პოლიტიკური ინსინუაციაა. ამით ისინი ცდილობენ, კიდევ ერთი „ისტორიული არგუმენტი“ შეამაგრონ თავიანთი სეპარატისტული ზრახვები და გააღვივონ ანტიქართული განწყობილებანი აფხაზურ მოსახლეობაში.

## თავი IV. აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX საუკუნის 20-30-იან წლებში

აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ნაციონალისტურ-მონისტური პოლიტიკა 1921-1931 წლებში. 1931 წლის დამდეგს ე.წ. „აფხაზეთის სსრ“-ის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნით ოფიციალურად გაფორმდა თბილისსა და სოხუმს შორის ამ დროისათვის რეალურად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები. და მაინც, რატომ გაჭიანურდა ასე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების პროცესი და რამ განაპირობა მოჩვენებითი, ე.წ. „სუვერენული“ აფხაზეთის სსრ-ის ათწლიანი არსებობა?

უმათავრესი მიზეზი, რის გამოც ზემდგომი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინსტანციები თბილისსა და მოსკოვში ითმენდნენ ე.წ. აფხაზეთის სსრ-ის „დამოუკიდებლობას“, იყო ის დემაგოგიური დაპირებები, რომელთაც, თავის დროზე, ასე უხვად ურიგებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ „გმირულად მებრძოლ“ აფხაზ კომუნისტებს ქართველი ბოლშევიკები. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, ყოველნაირად ცდილობდა რა მენშევიკური ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაქილიკებას, სულაც არ უფიქრდებოდა იმას, რომ ამით აღვივებდა ანტიქართულ განწყობილებებს აფხაზეთში. საქართველოს ბოლშევიკური რეჟიმის ამ არაშორსმჭვრეტელოური, თავისი არსით მოღალატური ანტიქართული პროპაგანდის ნათელი ნიმუშია გაზეთ „საქართველოს კომუნისტის“ მოწინავე სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო: „Вся политика меньшевиков, основанная на административном произволе и определенной колонизации края, привела к небывалому национальному антагонизму... Пресловутая автономия Абхазии оказалась пустой приманкой, лишенной всякого содержания“.<sup>1</sup> და ეს იყო ის აფხაზეთი, რომელიც ამიერკავკასიის კომუნისტების აღიარებული წინამძღოლის სერგო ორჯონიკიძის განმარტებით, „пыталась добиться свободы, когда восставала за свое освобождение, за советс-

кую власть“, რისთვისაც „меньшевики расправлялись... пушками и пулеметами“, აფხაზეთი, რომელმაც ქართველი მენშევიკებისაგან არც უფლებები მიიღო და არც თავისუფლება<sup>2</sup>. ბუნებრივია, ამ ბრიყველი პროპაგანდის ფონზე „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ ფარისევლური ლენინური ლოზუნგის ერთგულ ქართველ ბოლშევიკებს განა შეეძლოთ არ მიეცათ „полную возможность, – როგორც აცხადებდა ს. ორჯონიკიძე, – развиваться народам Осетии, Абхазии, Аджарии“, რომლებიც თავის დროზე იყვნენ „მენშევიკი შოვინისტების“ ძალადობის მსხვერპლნი, იმ „მენშევიკი შოვინისტებისა“, რომლებმაც თითქოს „морწყეს“ „поля и горы кровью несчастных южных осетин, аджарцев и абхазцев“.<sup>3</sup>

ასეთი იდეოლოგიური პოსტულატები მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა აფხაზ ბოლშევიკთა შორსმომავალი სეპარატისტული ზრახვების რეალიზაციისათვის. მაშინდელი აფხაზეთის ლიდერები ეფრემ ეშბა და, განსაკუთრებით, ნესტორ ლაკობა, სიტყვით აღიარებდნენ რა აფხაზეთის ყოფნას საქართველოს სსრ-ის ფარგლებში, მაღულად აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართულ-აფხაზეთი ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური ერთობის მოსაშლელად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კომუნისტური ხელისუფლების წაყრუებით და, შესაძლოა, მისი ფარული წაქეზებითაც კი, დაიწყო აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ ისტორიულ-პოლიტიკური საფუძვლების შექმნა. ამას ადასტურებს ის, რომ აფხაზეთის სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით, თავისი სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილმა აფხაზმა მოღვაწემ სემიონ ბასარიამ დაწერა აფხაზეთის ისტორიისა და გეოგრაფიის ერთგვარი სახელმძღვანელო: „*Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении*“, რომელიც გამოქვეყნდა სოხუმში 1923 წელს. ამ წიგნში აფხაზეთი წარმოდგენილი იყო, როგორც დანარჩენი საქართველოსაგან მთლიანად მოწყვეტილი ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა თავისი „ნაციონალური“ ორი-ათასწლოვანი ისტორია. ამავე დროს აფხაზეთი ცხადდებოდა მხოლოდ აფხაზეთის სამშობლოდ.

უფრო შორს წავიდა არანაკლებ ცნობილი სეპარატისტი მოღვაწე სემიონ აშხაცავა, რომელმაც 1925 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი „*Пути развития абхазской истории*“. მასში ს. აშხაცავამ აფხაზეთი არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (უძველესი დროიდან) გამოაცხადა, საკუთარი (დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილი) ისტორიით, არამედ ქართველებს საერთოდ წაართვა თავისი ისტორია და ის აფხაზი ხალხის კუთვნილებად გაასაღა – აფხაზ ხალხს მიაწერა საერთო ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის და თვით ქართული დამწერლობის შექმნა, რომელიც შემდგომ თითქოს მიითვისეს ქართველებმა. ამავე პერიოდში, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეებს მხარში ამოუდგნენ მათი რუსი „თანამომენი“. პირველ რიგში, ეს იყო კ. კულრიავცევი, რომელმაც 1926 წელს სოხუმში გამოსცა: „*Сборник материалов по истории Абхазии*“. მასში აფხაზეთის ისტორია ასევე გადმოცემული იყო საქართველოს ისტორიისაგან მოწყვეტით<sup>4</sup>.

ყოველივე ეს, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისკენ – შეექმნათ ერთგვარი ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელიც გაამართლებდა დანარჩენი საქართველოსაგან დამოუკიდებელი აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს არსებობას. სწორედ ამგვარი „ისტორიოგრაფიული დასაბუთებით“ შეიარაღებულმა ნესტორ ლაკობამ და მისმა თანამზრახველებმა განახორციელეს „კონსტიტუციური გადატრიალება“ აფხაზეთში 1925 წელს. მაგრამ აფხაზეთის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას სულაც არ აკმაყოფილებდა ისტორიოგრაფიულ ასპარეზზე მოპოვებული „მიღწევები“ და ის პარალელურად თანმიმდევრულ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა სხვა მიმართულებითაც.

მაგალითად, ნ. ლაკობამ და მისმა გუნდმა მთლიანად ჩაიგდო ხელში სახელმწიფო აპარატი. საკვანძო თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზები ინიშნებოდნენ. ოფიციალური თბილისი, შესაძლო გართულებების შიშით, „ვერ ამჩნევდა“ აფხაზეთის ბოლშევიკ ლიდერთა ვოლუნტარიზმს საკადრო საკითხებში. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის ზედაპირული, არასახელმწიფოებ-



რივი მიდგომა აფხაზეთში გატარებული საკადრო პოლიტიკისადმი ნათლად ჩანს საქართველოს პარტიული ლიდერის ლევან ლოლობერიძის გამოსვლიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის ივნისის პლენუმზე, რომელზედაც სპეციალურად მოსმენილ იქნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის გიორგი სტურუას მოხსენება „*პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ*“. „Когда мы организовывали Абхазскую республику, – аცხადებდა ლ. ლოლობერიძე, – мы знали там абхазцев меньше, чем грузин, но все же мы ее организовали и необходимо ее поддержать. В ЦИК-е там (ე. ი. აფხაზეთში – ზ.პ.) должно быть абхазцев, иначе это не республика Абхазии... Тут никакого национализма я не вижу. **Перевес тут должен быть на стороне абхазцев иначе это не республика**, но нельзя перегибать палку в другую сторону, что если Абхазия, то только абхазцы должны быть представлены в ЦИК-е. Там должны быть и грузины, и армяне, и греки, **но только в руководящих органах Абхазии должны быть абхазцы**“.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, ამ გამოსვლაში სახეზე გვაქვს საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის აშკარა კაპიტულანტური პოზიცია. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: იმ დროს არავის არ ეეჭვებოდა, რომ აფხაზეთში ქართველები რიცხობრივად აღემატებოდნენ აფხაზებს. სხვათა შორის, ამას აღიარებს თვით ს. ლაკობაც, რომელსაც მოჰყავს 1926 წლის აღწერის მონაცემები. ამ მონაცემებით აფხაზები ითვლიდნენ 55918 ადამიანს, ხოლო ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 67494 ადამიანს<sup>6</sup>. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სხვა სტატისტიკაც. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსის ბაჯგურ საღარიას მონაცემებით აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალური ორგანოების თანამშრომელთა შორის 28,3% იყვნენ აფხაზები (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 27,8%-დან), ქართველები (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 33,5%) შეადგენდნენ 23%-ს. ამ ფონზე ძალზე თვალშისაცემია რუს ჩინოვნიკთა პროცენტული მაჩვენებელი – 44,9%, მაშინ, როდესაც აფხა-

ზეთში მცხოვრებ რუსთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 6,2%-ს შეადგენდა<sup>7</sup>. ცენტრალურ უწყებებში დასაქმებულ რუს მოხელეთა ასეთი მაღალპროცენტული მაჩვენებელი აიხსნება იმით, რომ აფხაზეთის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში საქმის წარმოების ენა მხოლოდ რუსული იყო. ბ. სალარიას მცდელობა, აფხაზეთში რუსთა სახელმწიფო სამსახურში ასე ფართოდ მოზიდვა დააბრალოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას<sup>8</sup>, სულ ცოტა, სასაცილოდ მოჩანს. რაც მთავარია, ის მთლიანად ეწინააღმდეგება სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევართა სხვა ბრალდებას (ასევე სრულიად დაუსაბუთებელს), თითქოს ქართველი მენშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ აფხაზეთში საქმის წარმოების ქართულ ენაზე ძალით გადაყვანას. ჩვენ ზემოთ შევეხეთ ამ საკითხს და საკმაოდ დამაჯერებლად ვაჩვენეთ, როგორი ფრთხილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში. ამდენად, მასზე კვლავ შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

ქართული საზოგადოებრიობა, საქართველოს ბოლშევიკი ლიდერებისაგან განსხვავებით, გამოთქვამდა დიდ შემფოთებას აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შოვინისტური პოლიტიკის გამო. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ 1921 წლის 23 ივლისის პუბლიკაცია, რომელშიც პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ რეალურად ნიშნავს იქ რუსების სრულ გაბატონებას. რუსი პოლიტიკანები – ე.წ. აფხაზთა „თაყვანისმცემლები“, – მიუთითებს სტატიის ავტორი, – და რუსეთზე შეყვარებული ცალკეული აფხაზები, რომელთაც უკავიათ პრივილეგირებული მდგომარეობა, ყოველნაირად ცდილობენ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“-ს მისცენ მკვეთრად გამოხატული ანტიქართული მიმართულება. პუბლიკაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ „თითქმის ყველა თანამდებობაზე რუსები არიან. ქართველები ისეთ დევნას და შევიწროებას განიცდიან, რომ აუწერელია და ისეთი ანტიქართული აგიტაცია სწარმოებს, რომ მეფურ რუსეთს და ვოსტორგოვებსაც კი არ ეყოფოდათ სითავხედე... ჩვეულებრივად აქაც

მართავენ მიტინგებს, მაგრამ აქ მენშევიკებს არ ახსენებენ, როგორც სხვაგან, არამედ საქართველოდან გაგანთავისუფლეთ აფხაზეთი... სიტყვა „ქართველი“ და „ქართული“ ერთგვარ სალანძღავ ტერმინად გადააქციეს. ... ვიღაც მოსული ელემენტები დიდი რუსეთის აღდგენით დასწეულებულნი ძირს უთხრიან როგორც საქართველოს გავლენას აფხაზეთში, ისე თვით აფხაზეთს... ქართველობას ისე სდევნიან, რომ წარმოუდგენელია“.<sup>9</sup> აფხაზეთში არაა ქართული პრესა, ქართული გაზეთის არც ადგილზე დაბეჭდვა შეიძლება და არც ჩატანა.

იმავე გაზეთის 1921 წლის 24 ივლისის ნომერში კიდევ უფრო მუქ ფერებშია წარმოჩენილი აფხაზეთის ვითარება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „აფხაზეთის დამოუკიდებლობა სახელად აფხაზეთის არის, სახრავად კი იმ რუსებისა, რომლებიც წითელი იმპერიალიზმის სახელით შესდგომიან მის კეთებას, რაც საოცნებელი იყო ცარიზმის აგენტებისა“.<sup>10</sup> წითელი იმპერიალიზმი წარმატებით ახერხებს აასრულოს ცარიზმის ოცნება და მიითვისოს აფხაზეთი. აფხაზეთის დამოუკიდებლობა, სტატის ავტორის აზრით, ნამდვილ კლანჭებშია მოქცეული. პუბლიკაციაში გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ ავტორები ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა ვერ გრძნობენ ამ კლანჭების სიმწვავეს<sup>11</sup>.

აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ საინტერესო დაკვირვებები გამოაქვეყნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ კოტეტიშვილმა, რომელმაც ფარისევლობა უწოდა აფხაზეთში არსებული რეალობის აფხაზი ხალხის აღორძინებად წარმოჩენის მცდელობას. მისი თქმით, აფხაზეთი მთლიანად რუსული გავლენის ქვეშაა. აქ (ე. ი. აფხაზეთში) სახელმწიფო ენა რუსულია, თეატრი – რუსული, გაზეთი – რუსული. ვ. კოტეტიშვილს აფხაზეთის მაგვარი „დამოუკიდებლობა“ აფხაზი ხალხის დაცინვად მიაჩნია<sup>12</sup>.

სრულიად აშკარა იყო, რომ მაშინდელი აფხაზეთის ბოლშევიკი ლიდერები ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა, რომელთაც, ვ. კოტეტიშვილის თქმით, აფხაზეთი თავიანთ მამულად წარმოედგინათ, სრულიად არ ითვალისწინებდნენ რეგიონის ქართული

მოსახლეობის ინტერესებს. არადა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სწორედ ქართველობა შეადგენდა ამ დროს ეთნიკურ უმრავლესობას აფხაზეთში. მათი ერთადერთი მიზანი იყო, შეექმნათ ეთნოკრატიული რეჟიმი. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბლშევიკებისა) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორის ვ. ადამსკოის მოხსენებითი ბარათი აფხაზეთში პარტიული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ. ამ მოხსენებით ბარათში (დათარიღებულია 1922წ. 3 აპრილით) პირდაპირაა მითითებული, რომ „Тов. Лакоба ставит во все учреждения в центре и на местах своих родственников или соратников, не считаясь с их подготовленностью, с работоспособностью, набирает сотрудников не по деловому принципу, создает себе базу, собирая удобных для себя людей“.<sup>13</sup>

ამგვარი პოლიტიკის წყალობით 1925 წლისათვის ნესტორ ლაკობამ ფაქტობრივად დაასრულა ეთნოკრატიული რეჟიმის დამყარება, ხოლო 1925 წელს, ე.წ. „კონსტიტუციის“ მიღებით, საერთოდ თბილისის კონტროლიდან ოფიციალურად გამოსვლას შეეცადა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ნ. ლაკობასა და მის გარემოცვას ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. 1925 წლის კონსტიტუციურმა ნოვაციამ ერთგვარად გამოაფხიზლა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მაშინდელმა პარტიულმა ლიდერმა ლ. ლოლობერიძემ მოითხოვა კიდევ ქართველთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ჩართვა აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი-ს) სტრუქტურებში.

აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, „ელიარებინა“ თავისი შეცდომები ენის საკითხშიც და მტკიცედ აღეთქვა ზემდგომი ორგანოებისათვის სრული მზადყოფნა, გადაეხინჯა თავისი პოლიტიკა ამ სფეროში. პირველმა ამის თაობაზე საუბარი წამოიწყო ნესტორ ლაკობამ 1925 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობაზე. კერძოდ, აფხაზეთის ხელმძღვანელობის „მეორე შეცდომად“ (პირ-

ველ შეცდომად ის 1925 წლის „კონსტიტუციის“ მიღებას თვლიდა) რუსული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება მიიჩნია. „Нам все время казалось, – აღნიშნავდა თავის გამოცვლაში ნ. ლაკობა, – что вопрос о языке не требует никакого пересмотра и что в этом отношении все как будто бы обстоит благополучно. Но изучение этого вопроса доказало, что численное, культурное и экономическое соотношение сил народностей, населяющих Абхазию, не позволяет довольствоваться одним русским языком“. ნ. ლაკობა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ „под прикрытием русского языка все остальные языки в Абхазии должны были отходить на второй план“.14 რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, ნ. ლაკობა მას „მესამე შეცდომად“ მიიჩნევდა. აფხაზი ბოლშევიკების ნაცადი წინამძღოლის აღიარებით, „руководящий состав работников по национальному признаку выглядел тоже не совсем благополучно. Мингрельцы, армяне, греки за последнее время стали поговаривать о том, что с Лакобой, с другим, с третьим они могут примириться, но не согласны с тем, чтобы все управление в Абхазии находилось исключительно в руках абхазцев“.15

ამ პრობლემის სიმწვავეზე ამახვილებდა ყურადღებას ნ. ლაკობა 1926 წლის 13 ივნისს სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზეც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა სოხუმში. „Абхазскую республику, – აღნიშნავდა ნ. ლაკობა, – кое-кто понимает в том смысле, что Абхазская Республика – это значит республика для абхазцев. Такое положение вещей не соответствует действительному положению дела в Абхазии и вот почему. Хотя мы и называемся Абхазией, но в Абхазии мы имеем дело не только с абхазцами. Здесь основными народами, по их численному весу, являются следующие: абхазцы, грузины, армяне, греки. Каково же численное соотношение между этими основными народностями? – სვამდა კითხვას ნ. ლაკობა, – **Должен сказать, что в отношении точно проверенных цифровых данных у нас дело обстоит плохо. Правильной статистики населения по национальному составу у нас не имеет**

**სა, ნო... ვო ვსაკომ სლუჩაე აბხაზცევ ნესკოლკო მენშე, ჩემ მინგრელცევ“.** აქვე აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერი იძლეოდა კონკრეტულ მითითებას: „Абхазец не должен рассуждать таким образом: если меня угнетали раньше., то теперь я имею право на бóльшую свободу, на бóльшую привилегию по сравнению с другими народностями. Так ничего не выйдет... Тут нужно провести такую политику, чтобы грузины, а наравне с ними и армяне, и греки не чувствовали себя на положении незваных или званых гостей“.<sup>16</sup>

რასაკვირველია, ნესტორ ლაკობა შეგნებულად თვალთმაქცობდა, როდესაც ამბობდა, რომ არ არსებობდა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის ზუსტი სტატისტიკა. ასეთი სტატისტიკა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ნამდვილად არსებობდა და ის ერთნიშნად ადატურებდა ქართული მოსახლეობის რიცხობრივ სიჭარბეს აფხაზეთან შედარებით. არ შეიძლება არ მიიქციოს ყურადღება აგრეთვე ნ. ლაკობას მცდელობამ, გამოეყოს „მეგრელები“ დანარჩენი ქართველებისაგან. ნ. ლაკობას ეს ვერაგული ჩანაფიქრი, რასაკვირველია, ადვილად იკითხება. ეს იყო პირდაპირი გაგვრძელება ცარიზმის იმპერიული პოლიტიკისა, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ არ დაეშვათ ცალკეული ქართული ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაცია და ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბება.

აფხაზეთის ხელმძღვანელობას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მოუწია კორექტივების შეტანა საკადრო პოლიტიკაში. ასე, მაგალითად, თუ 1927 წელს აფხაზეთის 14 უმაღლესი თანამდებობიდან 9 ეკავათ აფხაზებს და მხოლოდ 3 – ქართველებს (დანარჩენი ორი – სომეხსა და ბერძენს), უკვე 1929 წელს სურათი რამდენადმე შეიცვალა. ამჯერად აფხაზებს ეკავათ მხოლოდ 7 თანამდებობა, ქართველებს – 5, 1 – რუსს და 1 – ბერძენს<sup>17</sup>. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ საკადრო პოლიტიკაში შეტანილმა ამ უმნიშვნელო კორექტივებმა თვისობრივად შეცვალეს საერთო ვითარება აფხაზეთში. ნ. ლაკობა და მისი თანამზრახველები ყოველნაირად ცდილობდნენ, არ დაეშვათ ხელისუფლებაში სეპარატისტული კონიუნქტურის მიმართ კრიტი-

კულად განწყობილი პირების მოსვლა. ხელმძღვანელი კადრების შერჩევისას ქართველებიდან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიდან უპირატესობა ენიჭებოდათ იმათ, ვინც იჩენდა მაქსიმალურ ლოიალობას აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ნაციონალ-სეპარატისტული კურსისადმი.

აფხაზეთის სსრ-ის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნამ 1931 წლის თებერვალში სერიოზული დარტყმა მიაყენა სეპარატისტულად განწყობილ ძალებს აფხაზეთში, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში კვებავდნენ თავიანთ თანამემამულეებს ცრუ დაპირებებით. ამ აქტმა ნათლად აჩვენა ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ მთელი სიყალბე და დემაგოგიურობა. მითი იმის შესახებ, თითქოს კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ მთავრობის მიერ ჩაგრულ აფხაზ ხალხს უბოძა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საპნის ბუშტივით გასკდა. უფრო მეტიც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ის „დამოუკიდებლობა“, რომელიც ბოლშევიკებმა თითქოს უბოძეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამირულად მებრძოლ აფხაზ ხალხს 1921 წლის გაზაფხულზე, იმთავითვე ფიქცია აღმოჩნდა. 1931 წლის თებერვალში კი მოხდა სამართლებრივ-კონსტიტუციურ შესაბამისობაში მოყვანა იმ ურთიერთობებისა, რომელიც რეალურად დამყარდა თბილისსა და სოხუმს შორის 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდეგ, რომლის ძალითაც აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

**აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სეპარატისტული კურსი 1931-1936 წლებში.** 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის სსრ-ის გარდაქმნამ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, როგორც ირკვევა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური საზოგადოების რისხვა გამოიწვია. 1931 წლის 18 თებერვალს, აფხაზეთის ასსრ-ის შექმნიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, გუდაუთის რაიონის სოფელ ღურიფში დაიწყო ე.წ. „აფხაზთა სახალხო ყრილობა“, რომელიც გაგ-

რძელდა 26 თებერვლამდე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზთა ამ გამოსვლის მიზეზად სახელდებოდა აფხაზური მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამო, მაგრამ ეს შეხედულება უკანასკნელ პერიოდში გადაისინჯა. ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსის სტანისლავ ლაკობას სავსებით არგუმენტირებული დასკვნით, აფხაზთა ეს ამბოხი პირდაპირ უკავშირდებოდა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლას. მკვლევრის აზრით, სწორედ „Всеобщее недовольство народа (იგულისხმება საკუთრივ აფხაზობა და არა აფხაზეთის მთელი მოსახლეობა – ზ.პ.) преобразованием договорной ССР Абхазии в автономную республику в составе Грузинской ССР“, გახდა მთავარი მიზეზი „грандиозного схода“, ხოლო „вопрос... о колхозах – это лишь то, что лежало на поверхности требований и послужило поводом к выступлению“.<sup>18</sup>

მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ აფხაზები ასე ღიად გამოსულიყვნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, მით უფრო 1931 წელს. როგორც ცნობილია, საკოლმეურნეო მშენებლობაში 1929 წელს, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ი. სტალინის საპროგრამო წერილი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროიდან კოლექტივიზაციის პროცესი უფრო ლიბერალურად მიმდინარეობდა, რამაც რამდენადმე მოხსნა დამაბულობა სოფლად. ასეთ ვითარებაში, წარმოუდგენელია, რომ აფხაზი გლეხობა ამხედრებულიყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია ს. ლაკობას დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზთა ამბოხი 1931 წლის თებერვალში მართლაც გამოწვეული იყო ე.წ. აფხაზეთის „სახელმეკრულებო“ რესპუბლიკის გაუქმებით.

სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ ამბოხებულმა აფხაზებმა უნდობლობა გამოუცხადეს აფხაზეთის მთავრობას და ნესტორ ლაკობას მიმართეს „უკანასკნელი თხოვნით“ – მიეცათ ნებართვა ყველა აფხაზისათვის „переселиться в Турцию, где им будет хорошо житья среди братьев-абхазцев, переселившихся в Турцию



в 1878 году“.<sup>19</sup> მიუხედავად ასეთი რადიკალური ანტისამთავრობო მოთხოვნებისა, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ აფხაზთა ეს სეპარატისტული გამოსვლა ინსპირირებული იყო თვით ნ. ლაკობასა და მისი თანამზრახველების მიერ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიაპყროს იმ ფაქტმა, რომ „ანტისამთავრობო“ ამბოხის უშუალო მონაწილე ყოფილა თვით ნ. ლაკობას დედა შახუსნა, რომელიც, როგორც ირკვევა, თურმე შეიარაღებული აფხაზების წინ მიდიოდა და ერთგვარად იცავდა მათ<sup>20</sup>.

მაგრამ აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობის ამ ავანტიურამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ნესტორ ლაკობა გამოიძახეს მოსკოვში, სადაც, როგორც ჩანს, კონფიდენციალური შეხვედრა ჰქონდა ი. სტალინთან. „მსოფლიოს ყველა ხალხის ბელადს“ აფხაზი ბოლშევიკების ნაცადი წინამძღოლისადმი განსაკუთრებული პირადი კეთილგანწყობის მიუხედავად, რასაკვირველია, არ შეეძლო გამონაკლისის დაშვება აფხაზეთისთვისაც კი, იმ აფხაზეთისათვის, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. სტალინის აღიარებით, ეწეოდნენ (1918წ.) „გმირულ ბრძოლას“ „თბილისის მთავრობის შავი ბანდების“ წინააღმდეგ. ი. სტალინს ჰქონდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი მოწყობის სრულიად მკაფიო ხედვა, რომელიც მოცემული იყო მის „თეზისებში ავტონომიზაციის შესახებ“. ი. სტალინის ფორმულის მიხედვით, არათუ აფხაზეთი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისედაც ავტონომია (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში) იყო, არამედ ოფიციალურად აღიარებული სუვერენული სახელმწიფოები, პირველ რიგში, საქართველო (რომლის დამოუკიდებლობა დე-იურე თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა ცნო 1920 წლის 7 მაისს), უნდა შესულიყვნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების სახით.

ასე რომ, ცალკეული აფხაზი ისტორიკოს-პოლიტოლოგების (პირველ რიგში, ს. ლაკობას) მცდელობა მიაწერონ ი. სტალინს განსაკუთრებული ზრუნვა თავის სამშობლო – საქართველოზე და ამით ახსნან აფხაზეთის სსრ-ის ლიკვიდაცია, რასაკვირველია, მთლიანად საფუძველს მოკლებულია. **დროა, ყველამ**

(იქნებიან ეს სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც, არავინ იცის, თუ რატომ შეიძულეს ასე სტალინი, ან კიდევ ნაციონალ-პატრიოტებად მონათლული თანამედროვე ქართველი კომუნისტები) შეიგნოს, რომ ი. სტალინის, ისევე, როგორც მისი მასწავლებლის, „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ – ვ. ლენინის, ერთადერთი მიზანი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ სახით მსოფლიო კომუნისტური იმპერიის შექმნა იყო და სხვა არაფერი. ყოფილი რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები კი მათ საერთოდ არ აღელვებდათ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ მოაშთეს იმავე ი. სტალინმა და მეორე „დიდმა“ ქართველმა სერგო ორჯონიკიძემ „ნაციონალ-უკლონისტების“ სახელით ცნობილი ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილის მორიდებული მცდელობა, შეენარჩუნებინათ საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარეგნული ატრიბუტები მაინც. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ გაუსწორდა ი. სტალინი თავის ყოფილ თანაპარტიელებს, რომლებიც შეეცადნენ საქართველოს ფორმალური დამოუკიდებლობის დაცვას და წინ აღუდგნენ საქართველოს სსრ-ის გაწევრიანებას ე.წ. „ამიერკავკასიის ფედერაციაში“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა: მიხეილ ოკუჯავა, ბუღუ მდივანი და მათი თანამებრძოლები, რომლებიც რკპ(ბ) ცკ-ის მიერ გატარებული კურსისადმი პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად გადადგნენ, მოგვიანებით (30-იან წლებში) დახვრიტეს.

ამრიგად, „ყოვლისშემძლე ქართველი“ ი. სტალინი არათუ არ ზრუნავდა თავისი „სამშობლოს“ – საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, როგორც ეს ეჩვენებათ ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეებს, არამედ სამაგალითოდ სჯიდა თავის იმ „თანამემამულეებს“, რომლებიც მოითხოვდნენ კრემლის ხელმძღვანელობის გენერალური კურსის უმნიშვნელო კორექტირებას – საქართველოს სსრ-ის უშუალოდ (ამიერკავკასიის ფედერაციაში გაწევრიანების გარეშე) შესვლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირში.

ის, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლა სულაც არ იყო რაღაც არაბუნებრივი მოვლენა, მით უფრო საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მოფიქრალი „ყოვლისშემძლე ქართველის“ ი. სტალინის აზიერება და რომ ეს უშუალოდ გამომდინარეობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის საერთო-პოლიტიკური კურსიდან, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში გამოცხადებულ იქნა ნახიჭევანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, რომელიც უკვე 1923 წლის თებერვალში გარდაიქმნა ავტონომიურ მხარედ, ხოლო მოგვიანებით ავტონომიურ რესპუბლიკად აზერბაიჯანის სსრ-ში. ცნობილია ასევე, რომ 1918 წელს შეიქმნა სტავროპოლის, ყუბანის, შავიზღვისპირეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებმაც მოგვიანებით მხოლოდ რსფსრ-ში შემავალი ადმინისტრაციული ოლქების (ამჟამად მხარეების) სტატუსი მიიღეს.

XXს. 20-30-იან წლებში აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სეპარატისტულ კურსზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ „აფხაზური სახელმწიფოებრიობის“ ბურჯად მიჩნეული ეროვნული ლიდერის ნესტორ ლაკობას პიროვნებას.

ნესტორ ლაკობა, როგორც ცნობილია, ძველი რევოლუციონერი იყო. ის 19 წლის ასაკში შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) რიგებში. ეს მოხდა ბათუმში 1912 წელს. 1917-1921 წლებში ნ. ლაკობა აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა, დროდადრო ეთანამშრომლა ხელისუფლებასთანაც, რომელსაც ამ პერიოდში აფხაზეთის სახალხო საბჭო განასახიერებდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ის, მენშევიკური მთავრობის დავალებით, ერთხანს ასრულებდა ოჩამჩირის კომისრის მოვალეობას<sup>21</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ლაკობა გახდა აფხაზეთის რევკომის წევრი. ამ დროს ის თავისი გავლენით აფხაზ ბოლშევიკებში მხოლოდ მეორე კაცი იყო, აფხაზ ბოლშე-

ვიკთა ლიდერად კი რევეკომის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა ითვლებოდა. სწორედ ე. ეშბა იქნა არჩეული (სხვათა შორის, ნ. ლაკობას წინადადებით) აფხაზეთის ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) – ადგილობრივი უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარედ, ხოლო ნ. ლაკობა დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარედ. ეს ნ. ლაკობას ეშმაკური სვლა იყო. ისარგებლა რა იმით, რომ ქვეყნის ლიდერად ითვლებოდა ვ. ლენინი, რომელსაც ოფიციალურად არა ცაკის თავმჯდომარის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ნ. ლაკობამ მაშინვე ხელთ იგდო ინიციატივა და ფაქტობრივად აფხაზეთში პირველი პირი გახდა. მალე ე. ეშბამ საერთოდ დატოვა აფხაზეთი – ის გადაიყვანეს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) თანამდებობაზე, რის შემდეგაც ნ. ლაკობა აფხაზეთის სრულ ბატონ-პატრონად იქცა. ის არაფრად აგდებდა არც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და არც ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, რომლის სათავეში იმ პერიოდში (20-იან წლებში), როგორც წესი, ქართველი ბოლშევიკები იდგნენ.

ნესტორ ლაკობას ამგვარმა ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ აფხაზეთის უმაღლესი პარტიული ორგანოს მიმართ გააღიზიანა საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელმაც, როგორც ჩანს, ამის შესახებ (1929წ.) აცნობა მოსკოვს. მაგრამ სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ი. სტალინმა ფაქტობრივად დაიცვა ნ. ლაკობა, თუმცა ამავე დროს არც მის შეცდომებზე დაუხუჭავს თვალი. ი. სტალინის თქმით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი არ ითვალისწინებდა „специфических особенностей абхазского уклада, сбиваясь иногда на политику механического перенесения русских образцов социалистического строительства на абхазскую почву... Ошибка тов. Лакоба, – აღნიშნავდა სსკპ(ბ) ცკ-ს გენერალური მდივანი, – состоит в том, что он а) несмотря на свой старый большевистский опыт, сбивается иногда в своей работе на политику опоры на все слои

абхазского населения (это не большевистская политика) и б) находит возможным иногда не подчиняться решениям обкома (это тоже не большевистская политика)... Я думаю, — ასკვნიდა ი. სტალინი, — что т. Лакоба может и должен освободиться от своих ошибок. Я думаю, что обком должен помочь т. Лакобе в этом деле, а тов. Лакоба должен признать без оговорок руководящую роль обкома во всех делах абхазской жизни“.<sup>22</sup>

მაგრამ ნ. ლაკობა ი. სტალინის ამ შენიშვნის შემდეგაც აგრძელებდა პარტიის საოლქო კომიტეტის იგნორირებას. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ნესტორ ლაკობა 1930 წელს გახდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე და ერთდროულად მოექცა აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში (სახალხო კომისართა საბჭო გაუქმდა და მთავრობის ფუნქცია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრა), ის პარტიის საოლქო კომიტეტს საერთოდ არაფრად აგდებდა. ცნობილია, რომ თვით პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომები ტარდებოდა არა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში, არამედ ნ. ლაკობას აპარტამენტებში. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ინსტანციის ამ დამამცირებელი პრაქტიკის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა ალექსეი აგრბამ, რომელიც ლავრენტი ბერიას რეკომენდაციით 1936 წლის იანვარში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად. ა. აგრბამ აიძულა ნ. ლაკობა, გამოცხადებულიყო ბიუროს სხდომებზე საოლქო კომიტეტში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნ. ლაკობა სისტემატიურად აგვიანებდა ამ სხდომებზე მისვლას<sup>23</sup>.

ა. აგრბა ამასაც არ დასჯერდა და საოლქო კომიტეტის ბიუროს სპეციალური გადაწყვეტილებით აუკრძალა ბიუროს წევრებს სოხუმიდან გასვლა ბიუროსთან (ანუ, ფაქტობრივად, პირველ მდივანთან) შეთანხმების გარეშე. ამ გადაწყვეტილებამ ნ. ლაკობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა 1936 წლის ზაფხულში, როდესაც ის ვერ დახვდა მიუსერაში დასასვენებლად ჩამოსულ ი. სტალინს. კითხვაზე, თუ რატომ არ დახვდა მას ნ. ლაკობა, აფხაზეთის ლიდერმა ითხოვა ი. სტალინისთვის გა-

დაეცათ, რომ ის „по-прежнему рад и счастлив встретить его, но... лишен этой возможности, так как будучи коммунистом дисциплинарным... не может нарушить постановление бюро обкома и выехать из Сухуми“.<sup>24</sup> ი. სტალინმა გულთან ახლოს მიიტანა თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ეს „ჩივილი“ და უბრძანა ლ. ბერიას, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ჭირვეული მდივანი. მართლაც, ა. აგრბა გაიწვიეს თბილისში, თუმცა, მოგვიანებით, 1937 წლის დამდეგს ის კვლავ დააბრუნეს აფხაზეთში ამჯერად უკვე თვით ნ. ლაკობას თანამდებობაზე – აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარედ<sup>25</sup>.

დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ნ. ლაკობა დიდხანს რჩებოდა ი. სტალინის ფავორიტად. როგორც ირკვევა, ი. სტალინმა 1935 წელს აფხაზეთის ლიდერს მოსკოვში გადასვლა და იქ მაღალი პოსტის დაკავება შესთავაზა. არის მოსაზრება (ს. ლაკობა), რომ მას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. იაგოლა უნდა შეეცვალა, მაგრამ ნ. ლაკობამ თითქოს „თავაზიანი“ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე, რითაც, როგორც ჩანს, გაანაწყენა ი. სტალინი. ნ. ლაკობას უარი, ყოფილიყო უფრო ახლოს ბელადთან, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი რამით – ის ბოლომდე არ ენდობოდა ი. სტალინს. რაც შეეხება აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას მცდელობას, ეს უარი ახსნას იმით, თითქოს აფხაზი ბოლშევიკების ნაცად წინამძღოლს ჰქონდა ერთი სერიოზული „ნაკლი“ – „он не был палачом“<sup>26</sup> ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მას მერე, რაც ნათელი მოეფინა 20-30-იანი წლების წითელი ტერორის ხასიათსა და მასშტაბებს, არა გვეგონია ს. ლაკობა იმდენად გულუბრყვილო იყოს, რომ სერიოზულად ილაპარაკოს როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მასშტაბის პარტიულ ხელმძღვანელთა ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობაზე. ბოლოს და ბოლოს, დროა, ყველამ შეიგნოს, რომ ეს იყო სისხლსმოწყურებული ფანატიკოსების ეპოქა, რომლებიც არაფერზე უკან არ იხევდნენ „კაცობრიობის საყოველთაო კეთილდღეობის“ მისაღწევად. რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში ვერც ნ. ლაკობა და ვერც სხვა ვინმე ვერ იქნებოდნენ ან-

გელოზები, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავიანთ გზაზე ისინი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ ყოფილ თანამებრძოლებს.

ამავე დროს, მართლაც არ არის გამორიცხული (როგორც ამას ფიქრობს ს. ლაკობა), რომ არა მარტო საქართველოს პარტიულ ლიდერს, ლავრენტი ბერიას, არამედ თვით ი. სტალინსაც უკვე აღიზიანებდა ნ. ლაკობას მცდელობები, როგორმე მოეპოვებინა მაქსიმალური სუვერენიტეტი თბილისისგან და საერთოდ გამოეყვანა აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა ს. ლაკობას მიერ მოყვანილი ცალკეული ფაქტები, რომლებიც რამდენადმე ადასტურებენ იმას, რომ 1935-1936 წლებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წინ (რომელმაც, როგორც ცნობილია, შეცვალა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი) ნ. ლაკობა ცდილობდა, აფხაზეთის ასსრ რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეეყვანა<sup>27</sup>. ასევე სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ს. ლაკობა, როდესაც აღნიშნავს, რომ ნესტორ ლაკობას მმართველობის პერიოდში (იგულისხმება XX საუკუნის 30-იანი წლების პირველი ნახევარი) „Абхазская автономная республика, в силу его (ე. ი. ნ. ლაკობას – ზ.პ.) авторитета и близости к вождю, была фактически на положении союзной республики“<sup>28</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ფაქტი პირველი აფხაზი ბოლშევიკის ცხოვრებიდან, რომელთა ფართო რეკლამირებას გაურბიან ჩვენი ოპონენტები, ნათლად ადასტურებენ, რომ ნესტორ ლაკობამ აფხაზეთში ნამდვილად შექმნა ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტა და მისი რსფსრ-ისათვის მიერთება. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, აშკარად ჩანს თუნდაც ნ. ლაკობასა და მისი გარემოცვის პოლიტიკიდან განათლების და მეცნიერების სფეროში. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს XXს. 20-იან წლებში აფხაზეთში შექმნილმა სამეცნიერო პრობლემებმა. მხედველობაში გვაქვს ს. ბასარიას, ს. აშხაცავასა და კ. კულრიავცევის პუბლი-

კაციები, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი<sup>29</sup>.

**XXს. 30-იანი წლების რეპრესიები და აფხაზეთი.** ერთ-ერთ ყბადაღებულ თემას, რომელსაც ხშირად იყენებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები თავიანთ ანტიქართულ კამპანიაში, წარმოადგენს 30-იანი წლების რეპრესიები. სეპარატისტთა მტკიცებით, რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ აფხაზეთში ჩატარდა და ამაში მთავარი დამნაშავე თურმე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და „ძლევაძოსილი ქართველები“ – იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია იყვნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა სსრ კავშირის მასშტაბით სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანი აქცია სისხლიანი ტერორის მსხვერპლად. მართალია, რეპრესიები დაიწყო ჯერ კიდევ ვ. ლენინის სიცოცხლეში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა შეიწირა არაერთი მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მაგრამ თავის აპოგეას რეპრესიებმა 30-იანი წლების მეორე ნახევარში – „სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტ სტადიაში“ გადასვლის პერიოდში მიაღწია. ტოტალიტარულ რეჟიმს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ დროს გამწვავდა უკიდურესად კლასობრივი წინააღმდეგობები და მტრულმა ელემენტებმა გააჩაღეს მძაფრი ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. რეპრესიებმა მოიცვეს მთელი ქვეყანა. ბუნებრივია, ის ვერ ასცდებოდა საქართველოსაც.

პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საქართველოში ჩატარდა წმენდა განსაკუთრებული სისასტიკით და სწორედ აქ მიაღწია რეპრესიებმა არნახულ მასშტაბებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მიუხედავად დიდი მონღოლებისა, მაინც ვერ მოახერხა ქართული ინტელიგენციის ბოლომდე „დამუშავება“ და ის არ იჩენდა საჭირო ლოიალობას რეჟიმისადმი. დევნაში მოჰყვნენ და სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლნი გახდნენ „განათლებული საქართველოს“ საუკეთესო წარმომადგენლები – მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი: პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი და სხვ. რეჟიმის რისხვა დაატყდათ საქართველოს ბოლშევიკური ელიტის წამყვან



ფიგურებსაც. როგორც უკვე აღინიშნა, დახვრეტილ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური“ ხელმძღვანელობა. უფრო მეტიც, არ დაინდეს ისინიც კი, ვისაც ლომის წილი ეღ. „საქართველოს გასაბჭოების“ მომზადებაში, იყვნენ პირველი რეკომის ხელმძღვანელები, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი თანამდებობები ეკავათ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ და საბჭოთა სტრუქტურებში: მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლევან ლოღობერიძე, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, ლავრენტი ქართველიშვილი, მარიამ ორახელაშვილი და ა.შ.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება „მტრულ ელემენტებს“, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ შეთითხნილი საქმის მასალები. ამ პირებს ბრალად ედებოდათ მხოლოდ ერთი რამ – ზრუნვა ქართულ ეკლესიაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ 21 სასულიერო მოღვაწეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მათ შორის, ვინც ხელისუფლებამ გაწირა, იყვნენ: ბესარიონ ვაშაძე, მიხეილ ნანეიშვილი, იოსებ მირიანაშვილი, ილარიონ ოქროპირიძე, გიორგი ეპიტაშვილი, ივანე ჩიტაძე, ერმილე გოგოლიშვილი, ივანე ქააძე, მალაქია წიკლაური, სამსონ მდინარიშვილი, იოანე ბობოხიძე, პროკოფი ჩიგოვიძე, გიორგი დარჩია, ელიზბარ ანჩაბაძე, გიორგი წულაია, იოანე ფანცულაია, აპოლონ აფხაიძე, ნიკოლოზ ბეშქენიძე და სხვ.<sup>30</sup> აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი პიროვნებები სულაც არ წარმოადგენდნენ საქართველოს ეკლესიის ელიტას, არამედ იყვნენ ეკლესიის რიგითი მსახურნი, რომელთა სახელები არაფერს ეუბნება ფართო საზოგადოებას. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უბრალო ადამიანი შეეწირა რეჟიმს. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), რომელიც ფაქტობრივად ხელისუფლების მხრიდან უხეში ზეწოლის მსხვერპლი გახდა. ასევე ცნობილი ფაქტია 1924 წლის აგვისტოში ქუთაისის მიტროპოლიტის ნაზარეს (ლეჟავა) დახვრეტა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გატარებულმა რეპრესიებმა საქართველოს დიდი ტკივილი მიაყენა. ტერორს შეეწირნენ

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები და სულ ტყუილად ცდილობენ ჩვენი აფხაზი ოპონენტები, ეძიონ ბოროტება საქართველოსა და ქართველებში. ეს ბოროტება შვა საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ, რომლის მოშლას ასე მწარედ განიცდიან აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები. განა გულუბრყვილობა არაა იფიქრო, რომ ყველაფერი ეს იყო „დიდი ქართველების“ – ი. სტალინისა და ლ. ბერიას „თვითშემოქმედება“. განა სეპარატისტ აფხაზთა და მათი მფარველი რუსი ნაციონალ-პატრიოტების „სათაყვანო ხატის“ – ვ. ლენინის პირადი მითითებით არ ამოწვევტეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოჯახი, მათ შორის, სრულიად უდანაშაულო მცირეწლოვანი ბავშვები? განა „მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს“ არ ეკუთვნის სიტყვები: „На мой взгляд, нужно расширить применение расстрела (вместо выселения за рубеж)... Добавить расстрел за возвращение из-за рубежа без разрешения“.<sup>31</sup> ან რად ღირს ვ. ლენინის ფრთიანი ფრაზა: „Пусть 90% русского народа погибнет, лишь бы 10% дожили до мировой революции“.<sup>32</sup>

ვ. ლენინს არ ჩამორჩებოდა მსოფლიო პროლეტარიატის კიდევ ერთი „ბელადი“ – ლევ ტროცკი, რომელსაც, ი. სტალინისაგან განსხვავებით, თითქმის ანგელოზად სახავს ჩვენს მიერ არაერთგზის ნახსენები აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა. აღსანიშნავია, რომ მან ლ. ტროცკის საკმაოდ გულისამაჩუყებელი ესეე უძღვნა. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, „რევოლუციის მტრების“ მიმართ ლ. ტროცკი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დაუნდობელი იყო. აი, როგორ მომავალს უმზადებდა ლ. ტროცკი რუსეთს: „ჩვენ უნდა გადავაქციოთ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელთაც ისეთ ტირანიას მივცემთ, რაც არც კი დასიზმრებიათ აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს ტირანია იქნება არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან, და არა თეთრი, არამედ წითელი, ვინაიდან ჩვენ სისხლის ისეთ ნაკადებს დავღვრით, რომლის წინაშე შეძრწუნდება და გაუფერულდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი... ტერორის, სისხლიანი აბანოების გზით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ განად-

გურებადღე, იდიოტიზმადღე, ცხოველურ მდგომარეობადღე“.<sup>33</sup> სწორედ ლ. ტროცკიმ „წითელი ტერორის“ წლებში, რომლის ორგანიზატორი იყო თვით ვ. ლენინი და რომლის შედეგად დაიხვრიტა 10 მილიონზე მეტი ადამიანი, შემოიღო პირველად (1921წ.) დეციმაციის რომაული პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად დახვრიტეს ამბოხებული პეტროგრადის მუშათა პოლკის ყოველი მე-10 წითელარმიელი<sup>34</sup>.

ი. სტალინი იყო მხოლოდ გამგრძელებელი ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის „დიად საქმეთა“. მას ჰყავდა ერთგული შემსრულებლები, რომელთა შორის, რასაკვირველია, არცთუ უკანასკნელი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის ჩეკისტების ნაცად წინამძღოლს ლავრენტი ბერიას, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას, ხოლო მოგვიანებით (1938 წლიდან) სსრ კავშირის მთავარ რეპრესიულ ორგანოს – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს რეპრესიები, რასაკვირველია, ვერ ასცდებოდა აფხაზეთსაც, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ სტალინურმა რეპრესიებმა რაღაც განსაკუთრებული მასშტაბები მაინცდამაინც აქ მიიღო და ამაში მთავარი დამნაშავე იყო ლავრენტი ბერია, რომელიც ვერ იტანდა აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერს ნესტორ ლაკობას – „დიდი ბელადის“ ი. სტალინის „უახლოეს მეგობარს“.

ჩვენი აფხაზი კოლეგები, ყველაფერში ადანაშაულებენ რა ი. სტალინსა და ლ. ბერიას, საგულდაგულოდ უმაღავენ თავიანთ თანამემამულეებს, რომ მაშინდელ აფხაზ კომუნისტებს შორის არცთუ მცირენი უშუალო მონაწილეობას იღებდნენ „რევოლუციის მტრების“ ლიკვიდაციაში. თვით ნ. ლაკობა სულაც არ იყო „მამა აბრამის ბატკანი“, რომ არაფერი ვთქვათ მის შემცველზე აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) თავმჯდომარის თანამდებობაზე, ალექსეი აგრბაზე – ლ. ბერიას უახლოეს თანამებრძოლზე, რომელმაც მისივე რეკომენდაციით დაიკავა ამიერკავკასიის ფედერაციის ГПУ-ს შეფის თანამდებობა. ა. აგრბა პირადად ხელმძღვანელობდა ნ. ლაკობას მიერ შექმნილი „კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მაგ-

ნებლური, ჯაშუშური, ტერორისტული, მეამბოხური ორგანიზაციის“ განადგურების კამპანიას<sup>35</sup>. XX საუკუნის 30-40-იანი წლების დამდეგის რეპრესიებს ცნობილი პარტიული მოღვაწეების: ნესტორ ლაკობას, ეფრემ ეშბას, მიხეილ ჩალმაზის, მიხეილ ლაკობასა და სხვებთან ერთად შეეწირნენ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ვიანორ ანჩაბაძე, სამსონ ჭანბა, სემიონ ბასარია, მიხეილ ტარნავა, რაჟდენ კაკუბა, ვიქტორ კუკუბა და სხვ. „წითელი ტერორისაგან“ არანაკლებ დაზარალდა აფხაზეთის ქართული მოახლეობა, აგრეთვე აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

დროა, ყველამ გაიგოს, რომ ეს იყო საყოველთაო ტრაგედია, საერთო ტკივილი და არა აფხაზი ხალხის გენოციდი, რომელიც თითქოს მოაწყო ქართველობამ, როგორც ეს წარმოუდგენიათ აფხაზური სეპარატიზმის ამჟამინდელ ლიდერებს. სულ ტყუილად ცდილობენ ჩვენი აფხაზი ოპონენტები, ყოველივე ეს გადააბრალონ საქართველოს ე.წ. „სტალინ-ბერიასეულ“ ხელმძღვანელობას, რომელიც ს. ლაკობას აღიარებით, „вопреки воле грузинского народа, развернуло процесс подавления абхазов. Абхазский народ, – აღნიშნავს ს. ლაკობა, – пытались обезличить и представить как одну из грузинских народностей“.<sup>36</sup> ამ თვალსაზრისით საგანგებოდ კეთდება აქცენტი ე.წ. აფხაზური ალფაბეტის ლათინური შრიფტიდან ქართულ შრიფტზე გადაყვანაზე 1938 წელს, რის შესახებაც გვექნება მსჯელობა მომდევნო თავში.

## თავი V. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობის შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში

აფხაზური დამწერლობის რეფორმა და მისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ასპექტები. აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგია ანტიქართულ კამპანიაში საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე „მაკომპრომეტირებელ“ თემად დღემდე რჩება XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იანი წლების შუა ხანებში გატარებული პოლიტიკა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. კერძოდ, სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებას აბრალებენ აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობას აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანისა და აფხაზური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ლიკვიდაციის გზით. აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დამწერლობისა და განათლების სფეროში 30-იანი წლების მიწურულიდან გატარებული ნოვაციები ადგილობრივ ინიციატივად წარმოაჩინონ და ყოველივე ეს აფხაზი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ თბილისის ხრიკებად მონათლონ. არადა, საქმე სულ სხვაგვარადაა.

1936 წლის 5 დეკემბერს სრულიად საკავშირო საბჭოების VIII ყრილობაზე დამტკიცებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, როგორც ცნობილია, გარკვეულწილად შეაჯამა ერთიანი საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განვლილი გზა. ახალმა კონსტიტუციამ რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაში, კერძოდ, გაუქმდა ე.წ. „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა“ და მისი სუბიექტები – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები – უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკების“ სახელმწიფოებ-

რივი სტატუსის ასამაღლებლად. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური გადაწყვეტილება ე.წ. „მცირე ერების“, ანუ ავტონომიური რესპუბლიკების ხალხების დამწერლობათა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დამწერლობის შრიფტზე გადაყვანის შესახებ.

უკანასკნელ პერიოდში ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია დამწერლობის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებისა და საბჭოთა მთავრობის ოფიციალური დოკუმენტების საკმაოდ ამომწურავი ანალიზი. ამ მხრივ ჩვენ საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ამჟამად მოსკოვში მოღვაწე სოხუმელი ისტორიკოსის, საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ისტორიის ცნობილი მკვლევრის გრიგოლ ლეჟავას პუბლიკაციები, რომლებშიც სათანადო დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია სსრ კავშირის მასშტაბით (და არა მხოლოდ აფხაზეთში) გატარებული „მცირე ერების“ დამწერლობათა რეფორმის არსი და გამოაშკარავებულია აფხაზ სეპარატივთა მხრიდან თბილისისთვის წაყენებული დემაგოგიური ბრალდებების სრული აბსურდულობა.

გ. ლეჟავას ეს ნაშრომები განსაკუთრებით ფასეულია იმის გამო, რომ ისინი გამოქვეყნებულია რუსული ნაციონალისტურ-შოვინისტური განწყობილებებით ცნობილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფით (სწორედ ეს ნაშრომები დაედო საფუძვლად სადოქტორო დისერტაციას, რომელიც გ. ლეჟავამ დაიცვა იმავე ინსტიტუტში). ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ ბ-ნი გ. ლეჟავა მაინცდამაინც არასოდეს გამოიჩინებდა „ანტიაფხაზური მიკროპობით“ (ის ათეული წლების განმავლობაში ფაქტობრივად უპრობლემოდ მუშაობდა აფხაზური სეპარატიზმის „ბუნაგში“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და აფხაზეთისთვის სრულიად მისაღები პიროვნება იყო), მისეულ ანალიზს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

მართლაც, დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ ლათინურ ანბანზე გაწყობილი აფხაზური დამწერლობის ქართულ შრიფტზე გადაყვანა ნამდვილად არ იყო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კერძო ინიციატივა. ის მთლიანად გამომდინარეობდა კრემლის საერთო პოლიტიკიდან, რომლის ერთადერთ მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ათეულობით „მცირე ერების“ დამწერლობათა უნიფიცირება სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე და ამ გზით მათი შემდგომი გარუსებისათვის ხელსაყრელი ფონის შექმნა. როგორც ცნობილია, 1922 წელს სსრ კავშირში (მათ შორის, რსფსრ-ში) მცხოვრები „მცირე ერებისა“ და ხალხების დამწერლობები გადაიყვანეს ლათინურ ანბანზე. ეს, რასაკვირველია, რამდენადმე აბრკოლებდა ამ ხალხების მოქცევას რუსული წიგნიერების არეალში, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის იმპერიულ ზრახვებს. 1936 წლისათვის, როდესაც ძირითადად დასრულდა საერთო საკავშირო სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პროცესი, კრემლმა საჭიროდ ჩათვალა 1922 წელს დაშვებული „ხარვეზის“ აღმოფხვრა და შეუდგა „მცირე ერების“ დამწერლობათა რეფორმის გატარებას. ასე (1936 წლიდან) დაიწყო და საბოლოოდ 1941 წელს დასრულდა ლათინურ შრიფტზე გაწყობილი დამწერლობების მასობრივი გადაყვანა სლავურ-რუსულ ანბანზე – ე.წ. „კირილიცაზე“.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გარეგნულად ეს არ გამოიყურებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოვლინებად, რადგან ოფიციალურად „მცირე ერების“ დამწერლობა თითქოს გადაჰყავდათ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ალფაბეტზე, მაგრამ სინამდვილეში რუსულ „კირილიცაზე“ დამწერლობების გადაყვანა ხდებოდა ფაქტობრივად მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო საქართველოს სსრ და არა იმიტომ, რომ სსრ კავშირის სათავეში მაშინ ქართველი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) იდგა. ამის მიზეზი სრულიად ბანალურია: იმ მოკავშირე რესპუბლიკებს (რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ) შორის, რომელთა შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულები ფიგურირებდნენ, მხოლოდ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენას – ქარ-

თულს გააჩნდა თავისი ორიგინალური (სხვათა შორის, მსოფლიოში არსებულ 14 ალფაბეტს შორის ერთ-ერთი) ანბანი (ცნობილია ასევე, რომ თვით უზბეკური და აზერბაიჯანული დამწერლობებიც გადაიყვანეს „კირილიცაზე“).

აი, რატომ გახდა საჭირო აფხაზური დამწერლობის ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლა. იმავე პერიოდში ანალოგიური რეფორმა გატარდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც, სადაც ოსური დამწერლობა ასევე გადაიყვანეს ლათინურიდან ქართულ ალფაბეტზე. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შემაჯავლ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ოსური დამწერლობის ლათინური შრიფტი შეცვალეს „კირილიცით“. ე. ი. ერთი და იგივე ენას, ენას ერთი და იმავე ოსი ხალხისა, რომელიც სსრ კავშირის ფედერაციის ორი სხვადასხვა სუბიექტის (ოფიციალურად სხვადასხვა „სახელმწიფოს“) ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ერთდროულად ორი დამწერლობა აღმოაჩნდა: ერთი ქართულ ანბანზე გაწყობილი, ხოლო მეორე – „კირილიცაზე“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადება დაიწყო 1937 წელს, მას მერე, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ქართულ ანბანზე. პარტიის ამ გადაწყვეტილებით „აღფრთოვანებულმა“ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა – ა. ხაშბამ, დ. ჩაგავამ და მ. ხაშბამ გაზეთ „*Советская Абхазия*“-ში (1937 წლის 17 ივნისი) გამოაქვეყნეს სტატია „*Об абхазском алфавите*“, რომელშიც დაასაბუთეს აფხაზური დამწერლობისათვის ლათინური ალფაბეტის უვარგისობა და მოიწონეს პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილება ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლის თაობაზე. კიდევ უფრო შორს წავიდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც „*Советская Абхазия*“-ს 11 ივლისის (1937წ.) ნომერში გამოაქვეყნა წერილი ამავე თემაზე. მასში დ. გულია, მთლიანობაში იწონებდა რა ა. ხაშბას, დ. ჩაგავასა და მ. ხაშბას პუბლიკაციაში ჩა-



მოყალიბებულ დებულებებს, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ „это мероприятие, безусловно, будет способствовать укреплению и росту всей абхазской культуры, ибо грузинский алфавит является наиболее подходящим для более полного и совершенного обозначения звуков абхазского языка“.<sup>2</sup> მოგვიანებით, აფხაზური დამწერლობის რეფორმის საკითხს გამოეხმაურა კიდევ ერთი ცნობილი აფხაზი მოღვაწე მიხეილ დელბა, რომელმაც 1938 წლის 23 მარტს გაზეთ „Советская Абхазия“-ში გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „Об изучении нового абхазского алфавита“. ამ პუბლიკაციაში ავტორი გამოხატავდა ღრმა რწმენას, რომ „Новый алфавит должен привести увязке алфавита с орфографией и полному соответствию с языком, с полиграфбазой, облегчит и закрепит усвоение алфавита трудящимися абхазами и будет способствовать снижению неграмотности и т.п.“<sup>3</sup>

უაღრესად საინტერესო მასალა აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადების შესახებ აღმოჩნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნის, აკად. სიმონ ჯანაშიას პირად არქივში. აღნიშნული მასალა გამოაქვეყნა ცნობილმა ფილოლოგმა, აფხაზური ენის მკვლევარმა, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძემ. ეს არის 1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში, ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტში ჩატარებული თათბირის ოქმები. ამ მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, 4-5 დეკემბერს შედგა სამუშაო თათბირი მეცნიერ-სპეციალისტებისა და აფხაზური კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობით. თათბირის 33 მონაწილიდან 8 ქართველი მეცნიერი იყო (და არა 6, როგორც ამას წერს თ. გვანცელაძე<sup>4</sup>), 4 – რუსი, ხოლო დანარჩენი 21 – აფხაზი. ქართველი მეცნიერებიდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ იმ დროისათვის უკვე აღიარებული ქართველოლოგები და კავკასიოლოგები: აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია (ყველა თბილისიდან), აგრეთვე სოხუმელი მეცნიერები: ნიკანდრო ბასილაია, სერგო აქირ-

თავა (ისინი თ. გვანცელაძეს შეცლომით აფხაზები ჰგონია – ზ.პ.) და ბაგრატ ჯანაშია. თბილისიდან ჩასულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა პეტრე შარია – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი. რუსი მეცნიერებიდან მონაწილეობდნენ: ა. გრენი, ი. ტიშჩენკო, ზ. მორინა, ა. ფადეევი. აფხაზებს წარმოადგენდა მთელი აფხაზური სამეცნიერო ელიტა: სემიონ ბასარია, ხუხუტი ბლაჟბა, ნიკოლოზ გერია, დიმიტრი გულია, გიორგი გულია, მიხეილ დელბა, ბაგრატ კაცია, ნიკოლოზ პატეიფა, გიორგი შაკირბაი, კონსტანტინე შაყრილი, პლატონ შაყრილი, გიორგი ძიძარია, კონსტანტინე ძიძარია, ანდრია ჭოჭუა, მუშნი ხაშბა, ნ. კოკოსკერია, ვ. მანნი, ვ. ხარაზია და სხვ.<sup>5</sup>

განსახილველად წარმოდგენილი იყო 4 პროექტი: 1) აკაკი შანიძის პროექტი, 2) სიმონ ჯანაშიას პროექტი, 3) დიმიტრი გულიას პროექტი და 4) დიმიტრი გულიას, ანდრია ჭოჭუას და მუშნი ხაშბას ერთობლივი პროექტი. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: დიმიტრი გულია (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, პლატონ შაყრილი, მუშნი ხაშბა, ვ. ხარაზია, ვ. მანნი. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი ვარიანტები (მე-4 ვარიანტის გამოკლებით) და მიიღო ერთიანი პროექტი. ეს პროექტი დამტკიცდა 5 დეკემბერს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გიორგი ძიძარია<sup>6</sup>.

აფხაზმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ანბანის რეფორმის ირგვლივ გამართულ დებატებში. უფრო მეტიც, სწორედ ისინი იყვნენ ტონის მიმცემნი თათბირზე. სხდომებზე სიტყვით გამოსული თათბირის 16 მონაწილიდან 11 აფხაზი იყო. მათ შორის ერთ-ერთი – მუშნი ხაშბა გამოვიდა ექვსჯერ, დიმიტრი გულია – ოთხჯერ და ა.შ.<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ თათბირის მონაწილე აფხაზ მოღვაწეთა შორის არცთუ ცოტანი იყვნენ ისინიც, რომელთაც ყოველთვის აღიზიანებდათ ქართულ-აფხაზური ერთობის ნებისმიერი გამოვლენა (მაგალითად, სემიონ ბასარია, კონსტანტინე და პლატონ შაყრილები და ა.შ.), არც ერთ მათგანს სიტყვა არ დასცდენია აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანის იდეის წინააღმდეგ. რასაკვირველია, არ შეიძ-

ლება იმის უარყოფა, რომ ამ შემთხვევაში მათი ღუმილი იმ პერიოდში აფხაზეთში არსებული საერთო-პოლიტიკური კონიუნქტურით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს ცვლის. ფაქტი ფაქტად რჩება: აფხაზური დამწერლობის ლათინური ანბანიდან ქართულზე გადაყვანა (1938წ.) მოხდა იმდროინდელი აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ერთსულოვანი დასტურით.

აქ ისმის კითხვა, რამდენად იყო შესაძლებელი დამწერლობის რეფორმის გატარება უფრო ადრე ნ. ლაკობას სეპარატისტული რეჟიმის პერიოდში? ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საშუალება, გავცნობოდით პირველი აფხაზი ბოლშევიკის მოღვაწეობის ცალკეულ ასპექტებს და დავრწმუნდით იმაში, თუ როგორ ცდილობდა აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული თავკაცი (და საკმაოდ წარმატებითაც ახერხებდა კიდეც) ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიქართული კონიუნქტურის შექმნასა და აფხაზეთის აფხაზების „სახელმწიფოდ“ გადაქცევას. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ მას შინაგანად მაინცდამაინც გულთან ახლოს მიჰქონდა თავის თანამემამულეთა ეროვნული სატკივარი და განსაკუთრებულ ზრუნვას ამჟღავნებდა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ნ. ლაკობას ნიჰილისტური და რამდენადმე ცინიკური დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი. აი, რას ამბობდა ის აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე (1931წ. 6 თებერვალი) გამოსვლისას: „Институт абхазского языка и литературы. Когда он организовывался, то я говорил, это слишком громкое название и боюсь, что дело останется только в названии. **Какого черта нужно заниматься исследованием абхазского языка, когда надо передать на этом языке то, что он не может дать, от него не возьмешь больше того, что он в состоянии дать.** Если в абхазском языке нет ГПУ, то пиши прямо ГПУ, но когда начинаешь придумывать для абхазского языка всякую чепуху, начинаешь переводить непере译имое – спрашивается: кому это надо? Начинаются профессорские переводы абхазских пословиц, поговорок на русский язык – получается искажение смысла, абсурд, глупость. Всё это называется „научной“ работой или научно-исследовательским делом. Абхаз-

ский язык сам по себе прост, – он не терпит профессорских упражнений. Неужели этого до сих пор не поймут „научные“ работники абхазского языка. Или ещё так. **Всё время занимаются тем, что хотят доказать, что абхазская литература существовала ещё до Адама. Не было её в истории и поставьте точку**“.<sup>8</sup>

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის მაშინდელ კომუნისტურ ხელმძღვანელობას სულაც არ აწუხებდა აფხაზური ლიტერატურული ენის ბედ-იღბალი და მეცნიერ-სპეციალისტთა მონღომებას, დაეხვეწათ მშობლიური ენა, დაცინვით სრულიად უსაგნო „профессорские упражнения“-ს, აბსურდსა და სისულელეს უწოდებდა. მიუხედავად ამისა, ნ. ლაკობას გამოკვეთილი ნაციონალისტური კონიუნქტურის პირობებში მაინც წარმოუდგენელი იყო აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა.

ახლა იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანია თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის მესვეურთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა თითქოს გამიზნული იყო აფხაზთა ეთნოიდენტურობის მოსასპობად. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს არის სეპარატისტების კიდევ ერთი მონაჭორი და წინასწარ განზრახული სიცრუე, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების გასაღვივებლად. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა, რომ თვით რუსეთის კავკასიის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებიც კი, რომლებიც, თავის დროზე, უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას აფხაზური ანბანის შექმნაში, იძულებულნი იყვნენ ელიარებინათ ქართული ანბანის უპირატესობა სლავურ-რუსულ „კირილიცასთან“ შედარებით. ამის დასტურია თუნდაც ცნობილი კავკასიოლოგის, ენათმეცნიერისა და ეთნოგრაფის, გენერალ პეტრე უსლარის მიერ მოცემული ქართული ანბანის შეფასება. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ანბანი იყო ყველაზე დახვეწილი „из всех существующих алфавитов“ და რომ მხოლოდ ეს ანბანი გამოდგებოდა საფუძვლად „для общей азбуки всех кавказских языков, чуждых до сих пор грамотности“. მაგრამ მაშინ ამ იდეის რეალიზაციისაგან რუსეთის იმპერიის ხელისუფ-

ლებამ თავი მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით შეიკავა, რასაც აღიარებდა კიდეც პ. უსლარი: „Если мы позаимствуем у грузин не только систему азбуки, но и начертания букв, – წერდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი მოხელე, – то совершенно произвольно создадим затруднения, которые тем будут ошутительнее, чем более русская грамотность распространится по Кавказу“. არადა, „Туземная грамота, პ. უსლარის აზრით, მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ იქითკენ, რომ облегчить для них изучение русского языка“.<sup>9</sup>

ამ მიმართულებით კიდეც უფრო შორს მიდიოდა მეორე ცნობილი რუსი მოღვაწე ევგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნის მთავარი მიზანი იყო ქართული ენისა და დამწერლობის შევიწროება: „Абхазский язык не имеющий письменности и литературы, – აღნიშნავდა ე. ვეიდენბაუმი, – обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его?.. Очевидно, роль проводника в население культурных идей и понятии должен был бы играть не грузинский, а русский язык... поэтому учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его государственным. Упустив это из виду мы рискуем создать, сверх грузинской и прочих автономии, еще и автономию абхазскую“.<sup>10</sup>

ერთი სიტყვით, დიდი დაფიქრება არაა საჭირო იმის მისახვედრად, თუ რომელი ანბანი უფრო შესაფერისი იქნებოდა მეცნიერული თვალსაზრისით აფხაზური დამწერლობისათვის და რომელი ანბანის შემოტანა ისახავდა მიზნად აფხაზი ხალხის „ინფლიჩивანის“-ს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ სიმართლეს დღემდე საგულდაგულოდ უძალავენ თავიანთ თანამემამულეებს თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები.

**ბრალდება ე.წ. „აფხაზური ეროვნული სკოლების“ მოშლის შესახებ.** ანბანთან ერთად თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის მესვეურთა იდეოლოგიურ არსენალში, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კიდეც ერთ ყბადალებულ თემას – ე.წ.

„აფხაზური ეროვნული სკოლების“ მოშლისა და მათი ქართულ სკოლებად გადაკეთების შესახებ. სეპარატისტთა მტკიცებით, ეს რეფორმა მიზნად ისახავდა აფხაზთა ისტორიული თვითმყოფადობისა და ეთნიკური ინდივიდუალობის ამოძირკვას და მათ გაქართველებას. ამ შემთხვევაში იგულისხმება აფხაზეთის ასსრ-ის და საქართველოს სსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების მიერ 1945 წლის 13 მარტსა და 23 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებები: „*О мероприятиях по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазской АССР*“.<sup>11</sup>

მართლაც, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე 1945-1946 სასწავლო წლიდან ე.წ. „აფხაზურ სკოლებში“ სწავლება გადაიყვანეს ქართულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული სკოლებისთვის ხელი არავის უხლია და ისინი ჩვეულებრივ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. რეფორმა შეეხო მხოლოდ ე.წ. „აფხაზურ სკოლებს“. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სკოლები აფხაზური მხოლოდ ფორმალურად იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, აფხაზურ ენაზე ოდენ დაწყებით (I-IV) კლასებში ასწავლიდნენ, ხოლო V-X კლასებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ანუ ეს სკოლები ფაქტობრივად რუსული სკოლები იყო. შედეგად, აფხაზთა მთელ თაობებს არ ჰქონდა საშუალება შეესწავლათ რესპუბლიკის – საქართველოს სსრ-ის – სახელმწიფო ენა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს იყო განათლების სფეროში ცარიზმის იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი კი მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის მოშლა და აფხაზთა გარუსება იყო.

ამავე დროს, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1945 წელს აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმა სულაც არ იყო საქართველოს სსრ-ის ცენტრალური ხელისუფლების თვითშემოქმედება, როგორც ამას ისტერიულად გაჰკვივიან სეპარატისტთა იდეოლოგები. ამჯერადაც საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის პარტიული სტრუქტურები უბრალოდ ასრულებდნენ კრემლის მითითებებს. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ თბილისი და სოხუმი კარგა ხნის მანძილზე რამდენ

ნადმე ეურჩებოდნენ მოსკოვს და თავს იკავებდნენ სასკოლო რეფორმის გატარებისაგან. ამ უკანასკნელ ხანს, ჩვენ მიერ ნახსენებმა სოხუმელმა ისტორიკოსმა გრიგოლ ლეჟავამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომლიდანაც სრულიად ნათლად ჩანს, თუ საიდან მოდიოდა ე.წ. „სასკოლო რეფორმის“ გატარების ინიციატივა.

ასე, ჯერ კიდევ 1937-1938 წლებში სკკპ(ბ) ცკ-მა მიიღო შემდეგი დადგენილებები: 1) *„О ликвидации и преобразовании искусственно созданных районов и сельсоветов и связанной с этим реорганизацией национальных школ“* და 2) *„Об обязательном изучении русского языка в школах национальных республик и областей“*. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დადგენილება (მოწონებული სკკპ ცკ პოლიტბიუროს მიერ ჯერ კიდევ 1937 წლის 17 დეკემბერს), რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაცია: ა) **„Реорганизовать особые национальные школы (немецкие, финские, польские, латышские, эстонские, греческие, ижорские и т.д.) в советские (იგულისხმება რუსული – ზ.პ.) школы обычного типа, а также ликвидировать существующие при обычных советских школах особые национальные отделения; б) ...Необходимо особые национальные школы реорганизовать путем перевода их на учебные программы советских школ обычного типа, с преподаванием или на языке соответствующей республики или на русском; г) Наркомам просвещения союзных республик лично утвердить сроки, а также порядок реорганизации каждой особой национальной школы, закончив всю работу к началу учебного года“**.<sup>12</sup>

როგორც ვხედავთ, ქვეყნის უმაღლესი პარტიული ორგანოს დადგენილებაში ერთნიშნად იყო მითითებული, რომ მოკავშირე რესპუბლიკების (მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს) განათლების სახალხო კომისრებს (ანუ მინისტრებს – ზ.პ.) უნდა დაესრულებინათ ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია 1938-1939 სასწავლო წლის დაწყებისათვის. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშ-

ნეთ, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავი შეიკავა სკკპ(ბ) ცკ-ის ამ დავალების შესრულებისაგან. იმ პერიოდში აფხაზეთში არსებული ვითარების გასარკვევად, გ. ლეჟავას მოჰყავს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა, საიდანაც ნათელი ხდება, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს 1938 წელს გადაწყვეტილი ჰქონია სკკპ(ბ) ცკ-ის ზემოთ ნახსენები დადგენილების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოსულა აფხაზეთის ასსრ-ის განათლების მაშინდელი სახალხო კომისარი, ქართველი იასონ დარსანია, რომელიც შეწინააღმდეგებია საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს (ასევე ქართველს) კირილე ბეჭვასს. მას განუცხადებია, რომ აფხაზეთს სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა გამოიწვევდა აფხაზეთი მოსახლეობის უკმაყოფილებას. თავისი პოზიცია აფხაზეთის განათლების უწყების ხელმძღვანელს მტკიცედ დაუცავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პირველ მდივანთან კანდიდ ჩარკვიანთან შეხვედრისას და დაურწმუნებია ეს უკანასკნელი, არ გაეტარებინათ სასკოლო რეფორმა აფხაზეთში. შედეგად, კ. ჩარკვიანს უბრძანებია აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანისათვის, საერთოდ არ წამოეჭრა განსახილველად აღნიშნული საკითხი<sup>13</sup>.

ამრიგად, 1938 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჩერა სკკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების რეალიზაცია და არ გაატარა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში, მაგრამ ეს პრობლემა საბოლოოდ მაინც არ მოხსნილა. რამდენიმე წლის შემდეგ ხელისუფლებამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხი.

1945წ. 9 იანვარს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მოისმინა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანის აკაკი ძგელაძის მოხსენება: „*О мероприятиях по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазии*“ – და მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა ცნობილ აფხაზ პარტიულ მუშაკს და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ დელბას. კომისიაში შეიყვანეს: ს. სიგუა (აფხაზეთის ასსრ-ის განათ-



ლების სახალხო კომისარი), ივანე ტუსკაძე (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში), შალვა ხუბუტია (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე), ანდრია ჭოჭუა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი). კომისიამ შეასრულა სათანადო მუშაობა, რომლის შედეგები წარმოადგინა მოხსენებით ბარათში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე. 1945წ. 13 მარტს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა სპეციალური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალა და მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების შესახებ. 1945წ. 13 ივნისს შედგა უკვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზედაც აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სპეციალური კომისიის წევრების უშუალო მონაწილეობით განიხილეს აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხი და დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 1945 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება<sup>14</sup>.

აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენცია, პირველ რიგში, ცნობილი აფხაზი პედაგოგები, სრულიადაც არ იდგნენ განზე აფხაზეთის განათლების სფეროში მიმდინარე გარდაქმნებისაგან. უფრო მეტიც, აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის ინიციატივით სწორედ აფხაზი პედაგოგები გამოვიდნენ. ესენი იყვნენ აფხაზური პედაგოგიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები: ბაგრატ კაცია (მოქვის აფხაზური სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მასწავლებელი), ნიკოლოზ გერია (აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე), ა. მარღანია (სახალხო განათლების ოჩამჩირის რაიონული განყოფილების გამგე), ა. შვანბა (რაიონული პედაგოგიური კაბინეტის გამგე), მ. ბუავა (ბედიის I არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, აფხა-

ზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)<sup>15</sup>. მათ გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, სასკოლო რეფორმის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაშინდელი აფხაზური პარტიულ-პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა წარმომადგენლებმა: მიხეილ ღელბამ (მოგვიანებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) და ანდრია ჭოჭუამ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი). რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აფხაზ მოღვაწეთა ეს „ენტუზიაზმი“ არ იყო „შეკვეთილი“ ზემოდან და რომ მათ „სულითა და გულით“ სურდათ აფხაზურ სკოლებში მწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მაშინ, 1945 წელს, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების წინააღმდეგ ოფიციალურად არავინ გამოსულა.

აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ აფხაზმა მოღვაწეებმა პირველად ხმა მხოლოდ 1947 წლის თებერვალში აღიმადღეს, როდესაც აკად. ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამმა ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელმა – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა კონსტანტინე შაყრილმა და ბაგრატ შინკუბამ, აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ძიძარიამ – საპროტესტო წერილით მიმართა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. წერილი-საჩივარი დაწერილი იყო გიორგი ძიძარიას ხელით. ის გაიგზავნა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ცკ-ის მდივნის ალექსანდრე კუზნეცოვის სახელზე. გ. ლეჟავა, რომელმაც გულდასმით შეისწავლა სკკპ(ბ) ცკ-ში გაგზავნილ საპროტესტო წერილთან დაკავშირებული ფაქტები, სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას: რატომ იქნა შერჩეული მაინცდამაინც ა. კუზნეცოვი, რომელიც იმჟამად ცენტრალურ კომიტეტში კურირებდა ადმინისტრაციულ განყოფილებას და კადრების სამმართველოს, და არა ანდრეი ჟდანოვი, რომელიც ცკ-ის მდივანი იყო სწორედ იდეოლოგიურ სფეროში. სრულიად აშკარაა, და ეს ძალზე კარგად აჩვენა კიდევ გ. ლეჟავამ, რომ აფხაზ მეცნიერთა საპროტესტო წერილის ადრესატი შეირჩა არა შემთხვევით და რომ ა. კუზნეცოვის აპარატში

იყვნენ ადამიანები, რომლებმაც შეიძლება უბიძგეს კიდევ აფხაზ მეცნიერებს ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაკენ<sup>16</sup>.

ის, რომ კონსტანტინე შაყრილსა და მის გუნდს მოსკოვში ნამდვილად ჰყავდათ მფარველები, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მათ რიცხვში უნდა ყოფილიყო ცნობილი მეცნიერი-ლინგვისტი, აკად. ნიკო მარის მოწაფე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. სერდიუჩენკო, რომელმაც ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწერებოდა აფხაზ მეცნიერთა წერილი-საჩივარი, შეთითხნა ანალოგიური ხასიათის პასკვილი და გაგზავნა ის სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში. როგორც ირკვევა, პროფ. გ. სერდიუჩენკო ყოფილა კ. შაყრილის მეცნიერ-ხელმძღვანელი და მას მეგობრული ურთიერთობები ჰქონია თავის მოწაფესთან<sup>17</sup>.

ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოსა და აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკა ენობრივ სფეროში. გ. სერდიუჩენკოს მოხსენებით ბარათში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი აგრეთვე ენობრივი რეფორმის გატარებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში<sup>18</sup>. სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კ. შაყრილისა და მისი თანამოაზრეების საჩივარი გადმოაგზავნა თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელმაც საჩივარში აღძრული საკითხების შესწავლა დაავალა ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში, ცნობილ მეცნიერ-ფილოსოფოსს, პროფ. პეტრე შარაიას. ეს უკანასკნელი საგანგებოდ ჩავიდა აფხაზეთში და იქ ადგილზე შეისწავლა საქმის რეალური ვითარება. პ. შარაიამ თავისი საქმიანობის შედეგები შეაჯამა მოხსენებით ბარათში, რომელიც აახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. მოხსენებით ბარათში უსაფუძვლოდ იყო მიჩნეული აფხაზ მეცნიერთა მიერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტისადმი წაყენებული ბრალდებები<sup>19</sup>.

1947 წლის 2 აგვისტოს საჩივრის ავტორები: კ. შაყრილი, ბ. შინკუბა და გ. ძიძარია დაიბარეს საქართველოს კომპარტიის

აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, სადაც მათ პეტრე შარიამ შესთავაზა, უარი ეთქვათ წერილზე. შედეგად „გამოცხვა“ ყბადაღებული „ალიარება“, რომელშიც ავტორები ინანიებდნენ ჩადენილ საქციელს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ – 1991 წელს, წერილი-საჩივრის ერთ-ერთმა ავტორმა და სულისჩამდგმელმა კ. შაყრილმა უარყო მისი მხრიდან „მონანიება-ალიარების“ ხელისმომწერა. კ. შაყრილის მტკიცებით, ბ. შინკუბასა და გ. ძიძარიასგან განსხვავებით, მისი ხელმომწერა ყალბი იყო. იმავე კ. შაყრილის განცხადებით, ბაგრატ შინკუბამ მასთან სატელეფონო საუბარში თითქოს დაადასტურა, რომ „ალიარება-მონანიება“ დაწერილი იყო მის (ე. ი. შინკუბას – ზ.პ.) მიერ<sup>20</sup>. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „ალიარება-მონანიება“ წერილის ავტორები, სულ ცოტა, პარტიულ სასჯელს გადაარჩინა, მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. მოგვიანებით, 1955 წელს, ბ. შინკუბამ და გ. ძიძარიამ წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნიკიტა ხრუშჩოვსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ალექსანდრე მირცხულავას, რომელშიც ისინი ერთგვარად ინანიებდნენ იმას, რომ მათ 1947 წელს მოუწიათ „ალიარების“ დაწერა<sup>21</sup>.

ვასრულებთ რა 1945 წელს აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმის შესახებ მსჯელობას, ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არ ვაპირებთ გავამართლოთ აფხაზეთის ასსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედებები განათლების სფეროში. პირველ რიგში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს გადაწყვეტილება დაწყებით კლასებში აფხაზურ ენაზე სწავლების მოშლის შესახებ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სკოლაში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანით საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელები რამდენადმე ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ აფხაზთა გარუსებისათვის და მოებრუნებინათ ისინი საერთო-ქართულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში, მაგრამ ამის გაკეთება მშობლიური ენის ხარჯზე ნამდვილად არ შეიძლებოდა.

ამასთან, ჩვენ კატეგორიულად ვერ მივიღებთ ბრალდებებს

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ ის თითქოს ახორციელებდა მკვეთრად გამოხატულ ასიმილაციურ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზური ეთნოსის გაქრობა. ვინმე თუ ატარებდა ასიმილაციურ პოლიტიკას აფხაზეთში, ეს, პირველ რიგში, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი იყო, რომელიც, მოსკოვის აქტიური ხელშეწყობით, წლების მანძილზე წარმატებით ახერხებდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის (ძირითადად მეგრელთა) გააფხაზებას. განა საიდუმლოა, რომ ამჟამინდელ აფხაზთა სულ ცოტა 60% (მკვლევართა ერთი ნაწილი უფრო შთამბეჭდავ ციფრებს ასახელებს) სწორედ გუშინდელი ქართველ-მეგრელები არიან, რომლებიც დღემდე ატარებენ ქართულ გვარებს. და ეს მაშინ, როდესაც გაქართველებულ აფხაზთა (ძირითადად გალის რ-ნში) რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლებია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაქართველებული აფხაზები დღესაც ამყობენ თავიანთი აფხაზური წარმომავლობით. ისინი არიან ჭეშმარიტი პატრიოტები როგორც თავიანთი მშობლიური კუთხის – აფხაზეთის, ისე დიდი სამშობლოს – საქართველოსი და მედგრად დგანან ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის სადარაჯოზე მაშინ, როდესაც გააფხაზებული ქართველები ყოველნაირად ცდილობენ, ფეხით გათელონ თავიანთი წარსული და მოღალატეობრივი ქმედებებით ანგრევენ ყოველივე იმას, რაც საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა ერთმანეთთან ქართველებსა და აფხაზებს.

**ბრალდება აფხაზეთში „ქართველთა მასობრივი ჩასახლების შესახებ“.** აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგები კიდევ ერთი ყბადღებული თემით ეწვეიან სპეკულირებას. ესაა ე.წ. „ქართველთა მასობრივი ჩასახლება“ აფხაზეთში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1937-1953 წლებში. ძირითადად იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში XXს. 40-იან წლებში. ეს პროცესი, სეპარატისტთა მტკიცებით, იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან XX საუკუნემდე ქართული მოსახლეობა მუდამ სჭარბობდა აფხაზურს. ასე რომ, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის დემაგოგიური მტკიცება, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური უმრავლესობა გაჩნდა მხოლოდ XXს. 30-40-იან წლებში ქართველთა ე.წ. „მასობრივი ორგანიზებული ჩასახლების“ შედეგად, უბრალოდ სიცრუე და ისტორიის უხეში გაყალბებაა. რასაკვირველია, რომ არა აფხაზი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა, რომლის ინსპირატორი და ნამდვილი შემოქმედი რუსეთის იმპერია იყო, აფხაზური მოსახლეობა XXს. 30-40-იან წლებში რაოდენობრივად უფრო მეტი იქნებოდა.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მას მერე, რაც XIXს. 60-70-იან წლებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადაიხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები მართლაც დაიკავეს სხვა ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და, რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან). ამასთან, ცნობილია ისიც, რომ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ქართველთა მასობრივი დასახლება აფხაზეთში და ხელი შეემალა მხარის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში მოქცევისათვის. ამისათვის კი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი რუსი მოხელის, სოხუმის „ოკრუგის“ ადმინისტრაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაკერის განმარტებით (1995წ.), აუცილებელი იყო „Вселение в Сухумский округ иноземного элемента допущенное в начале... **прекратить теперь же, в особенности вселение мингрельцев. Желательно сбросить возможно большой фонд свободной земли для водворения исключительно коренных русских людей**“.<sup>22</sup>

„Русская колонизация округа, – წერდა მოგვიანებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გერშელმანი, – имеет

большое государственное значение в политическом отношении. **Абхазцы... до сих пор представляют из себя народность крайне малокультурную, мало развитую как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность. Все это вызывает необходимость особого внимания к ним. Помочь делу можно внесением в край русской гражданственности... Лучшим средством к осуществлению ся надо бесспорно признать колонизацию края русским населением**“.<sup>23</sup> ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალისა, რომელიდანაც სრულიად ნათლად ჩანს, თუ ვინ ცდილობდა აფხაზთა ეროვნული თვითმყოფადობის მოშლას და აფხაზეთის ჩვეულებრივ რუსულ პროვინციად გადაქცევას.

საკითხავია, რატომ ივიწყებენ ყოველივე ამას ჩვენი ის აფხაზი კოლეგები, რომლებიც ასე სკრუპულოზურად ითვლიან ართიმეტიკულად რამდენი ქართველი როდის ჩასახლდა არა სხვა სახელმწიფოში, არამედ თავისივე ქვეყნის, საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში. დიახ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ვალდებული ვართ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ყველას: **აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი, სამშობლო არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა, არამედ, პირველ რიგში, სწორედ (და უფრო მეტადაც) ქართველთა.** ასე რომ, ქართველების ადგილგადანაცვლება საცხოვრებლად თავისივე ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, სულაც არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქცია. რასაკვირველია, ეს ეხება 1937-1953 წლებსაც, როდესაც სახელმწიფო ღონეზე მართლაც მოხდა ქართველთა მასობრივი ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში.

ბოლოს და ბოლოს, დროა, ყველამ შეიგნოს: ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა – „საქართველოს სსრ“-დ, ხოლო „აფხაზეთის ასსრ“ მისი შემადგენელი ნაწილი იყო. მოსახლეობის მიგრაციის გამოცხადება კი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით დანაშაულად,

უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება. უფრო მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში იყო ერთიანი მოქალაქეობა: თითოეულ ადამიანს პასპორტში ეწერა არა საქართველოს სსრ-ის (მით უფრო, აფხაზეთის ასსრ-ის) მოქალაქე, არამედ „**სსრ კავშირის მოქალაქე**“. აქედან გამომდინარე, ამ ერთიანი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ აერჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ერთგვარი შეზღუდვა ამ მხრივ ჩაწერის ინსტიტუტის არსებობის გამო დიდ ქალაქებს ჰქონდა). რაც შეეხება „ორგანიზებულ გადასახლებას“ (მხედველობაში არა გვაქვს ზოგიერთი „ღამნაშაველ“ მიჩნეული ხალხის ძალით აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან), მას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც და, პირველ რიგში, მოტივირებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით. ამისათვის თუნდაც ყაზახეთის მაგალითის გახსენება იკმარებდა, როდესაც ყამირი მიწების ასათვისებლად ამ რესპუბლიკაში ჩასახლდა ასეულ ათასობით რუსული ოჯახი. განა ასევე რუსული მოსახლეობის დიდი მასის „გადასროლა“ არ ახლდა თან მრეწველობის გიგანტების მშენებლობას ამა თუ იმ ნაციონალურ რესპუბლიკაში? შორს რომ არ წავიდეთ, რად ღირს თუნდაც ენგურის ქალაქდკომბინატისა და ენგურჰესის მშენებლობები, რომლის დროსაც ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში მთელი რუსული დასახლებები აღმოცენდა.

რატომ აღელვებთ ჩვენს აფხაზ ოპონენტებს რამდენიმე ათეული ათასი ქართველის ჩასახლება აფხაზეთში და რატომ არ იმაღლებენ ხმას, მაგალითად, იმის გამო, რომ **1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი, არც ნაკლები, 70-ჯერ(!)** (დაახლოებით ამდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც). ან რა ასეთი ზიანი მიაყენა აფხაზეთს იქ ჩასახლებულმა ქართველობამ? იქნებ ის, რომ გაპარტახებული და გავერანებული რაიონები ნამდვილ წალკოტად აქცია.

დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, თუ ვინ იყო აფხაზეთში მატერიალური კეთილდღეობის ნამდვილი შემქმნელი და თუ როგორი „შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა“ ძალუძთ მხა-



რის „ერთადერთ აბორიგენებს – აფხაზებს“. ისტორიამ უკვე მეორეჯერ მოუწყო მათ გამოცდა. პირველად ეს იყო გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც მოიდან დაძრულმა „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელმა ჯიქ-აფხაზთა ტალღამ ერთიანად წალეკა ცივილიზებული ქრისტიან ქართველ-აფხაზთა მიერ საუკუნეების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნილი აყვავებული ქვეყანა, განვითარებული ფეოდალური ეკონომიკითა და მოწინავე ქრისტიანული კულტურით და აქცია ის ჩამორჩენილ, ველურ პროვინციად. ისმის კითხვა: იქნებოდა კი საერთოდ ამჟამინდელი აფხაზი ერი, თავისი ნაციონალური კულტურით, რომ არა გააფხაზებული ქართველები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით სწორედ რომ საფუძველი დაუდეს აფხაზურ ეროვნულ-კულტურულ თვითშეგნებას?

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ აფხაზური ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების შემქმნელი ინტელექტუალური ელიტის პირველ ხუთეულში შედიან სწორედ ის მოღვაწენი, რომელთა ქართულ (მეგრულ) წარმომავლობაში წარმოუდგენელია ვინმემ ეჭვი შეიტანოს. ესენი არიან: აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი და ამავე დროს აფხაზური ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი **დიმიტრი გულია**; საყოველთაო აღიარებით აფხაზური პროზის პატრიარქად მიჩნეული **ივანე პაპასქირი**; აფხაზური პოეზიის კლასიკოსი **იუა კოლონია**; გამოჩენილი აფხაზი მეცნიერ-პედაგოგი **ანდრია ჭოჭუა**; გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი **გიორგი ძიძარია**. რასაკვირველია, აფხაზური კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში არაერთმა სხვა მოღვაწემაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ **ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი ერის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული ბიძგი სწორედ ამ „დიდმა ხუთეულმა“ მისცა**. ამაში ნამდვილად ძნელია ვინმე მათ პირველობას შეეცილოს. აი, როგორი „შეგნება“ მისცა ქართველობამ მოძმე აფხაზ ხალხს. და რაოდენ სავალალოა, რომ ყოველივე ამას ივიწყებენ არა მარტო რუსულ იმპერიულ ანტიქართულ პროპაგანდას აყოლილი აფსუა-აფხაზები, არამედ ისტორიულ მეხსიერებაზე დამბლადაცემული

ამჟამად გააფხაზებული, გუშინდელი ტომით ქართველები.

ვინ ვინ და, განა ისინი არ უნდა ქცეულიყვნენ ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობის დუღაბად, განა ისინი არ უნდა ჩამდგარიყვნენ ერთიანი სუვერენული ქართული სახელმწიფოს, რომლის ბურჯსაც ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა აფხაზეთი, მშენებლობის ავანგარდში? მაგრამ, ვაგლახ, რომ მათ სხვა არჩევანი გააკეთეს. სამწუხაროდ, ამ დიდი, კეთილშობილური საერთო-ეროვნული მისიის ნაცვლად ჩვენმა ვაითანამემამულეებმა მახვილი აღმართეს თავიანთ სისხლსა და ჯილაგზე და შთამომავლობას სამშობლოს მოღალატის სამარცხვინო სახელი დაუტოვეს. ქვეყნისა და ერის ღალატი კი, როგორც ცნობილია, არავის შერჩენია.

## თავი VI. სეპარატისტული გამოხვედრები აფხაზეთში XX საუკუნის 50-70-იან წლებში

აფხაზ სეპარატისტთა გამოხვედრა 1957წ. 1953 წლის გაზაფხულზე, ი. სტალინის გარდაცვალებისა და, ოდნავ მოგვიანებით, ლ. ბერიას პოლიტიკური არენიდან გაქრობის შემდეგ, სსრ კავშირში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, ერთი შეხედვით, თითქოს დაიწყო სტალინური სისტემის დემონტაჟი. გაჩაღდა ფართო კამპანია პიროვნების კულტისა და ე.წ. „ბერიევშჩინის“ პერიოდში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად გამოცხადდა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში და აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა. უკვე 1954წ. სახელდახელოდ შეიცვალა აფხაზური ანბანი და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“. „ადაღინეს“ ე.წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ კვლავინდებურად, ისევე როგორც 1945 წლამდე, დაწყებით კლასებში სწავლება მიმდინარეობდა აფხაზურად, ხოლო V-X კლასებში – რუსულ ენაზე. ყოველივე ეს, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. ლეჟავა, „չётко обозначили возврат к прежней тенденции создания условий для обрусения абхазского населения и пресечения попыток их огрузинивания“.<sup>1</sup>

სკკპ XX ყრილობამ და 1956 წლის მარტის ტრაგიკულ დღეებში ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის თავგანწირულმა აქციამ, რომელიც ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო, ახალი იმპულსი მისცა ანტიქართული განწყობილებების გამოვლინებას აფხაზეთში. სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს დაბეზლებითი საჩივრის წერილების გაგზავნა მოსკოვში. ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. უფრო მეტიც, აფხაზი მოღვაწეები, გამოდიოდნენ რა ერთგვარი ბრალმდებლის როლში, ზემდგომი ორგანოებისაგან თითქმის პროკურორის ტონით მოითხოვდნენ: „Привлечь

к строжайшей партийной и политической ответственности всех организаторов, активных участников и попустителей националистической демонстрации в Грузии и Абхазии 5-9 марта 1956 г.“<sup>2</sup> აფხაზი სეპარატისტების გაღიზიანება არ იყო შემთხვევითი. ისინი დააფრთხნ იმ ერთუზიანზმმა, რომლითაც გამოეხმაურა აფხაზეთის ქართველობა (პირველ რიგში, ახალგაზრდობა) თბილისში განვითარებულ მოვლენებს.

ამ პერიოდში აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობას გაუჩნდა ახალი ლიდერები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ასლან ოტირბას პიროვნება. სწორედ ა. ოტირბა ჩაუდგა სათავეში მაშინ ე.წ. „აფხაზურ ფრონტს“ პარტიულ-იდეოლოგიურ უბანზე. ამავე დროს, ის ყოველნაირად ცდილობდა, პარტიულ-იერარქიულ კბებზე წინ წაწევას და უფრო მაღალი პარტიული თანამდებობის დაკავებას. აღსანიშნავია, რომ მისი ეს ამბიციები მთლად უსაფუძვლო არ იყო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განიხილებოდა საკითხი ა. ოტირბას საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე შესაძლო არჩევის შესახებ, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაჭრას ხელი თვით ა. ოტირბამ შეუშალა, რომელმაც იქვე, ბიუროზე, ღიად მოითხოვა 1937-1953 წლებში აფხაზეთში ჩასახლებული ქართველების გამოსახლება<sup>3</sup>.

სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ნიკიტა ხრუშჩოვის პოზიციების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში კიდევ უფრო გაააქტიურეს თავიანთი ანტიქართული პროპაგანდა. ასეთ ვითარებაში ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა ვერც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ვერც აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა. ორივე ამ ორგანომ ვერ გაუძლო, ერთი მხრივ, აფხაზი ნაციონალისტების შემოტევას, ხოლო, მეორე მხრივ, კრემლის ახალი ხელმძღვანელობის ზეწოლას და ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც სა-

ქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ოთარ გოცირიძის გამოსვლა აფხაზეთის პარტიული აქტივის კრებაზე 1956 წლის 16 აგვისტოს. აფხაზეთის კომუნისტების ამ თავგრილობაზე, რომელმაც განიხილა საკითხი: „*О Постановлении Президиума ЦК КПСС от 10 июля 1956г. „Об ошибках и недостатках в работе ЦК КП Грузии“ и итогах II пленума ЦК КП Грузии и задачах Абхазской областной партийной организации*“, – ო. გოცირიძემ, არც მეტი, არც ნაკლები, განაცხადა: „В Абхазии и Южной Осетии искусственно разжигалась рознь между грузинами, абхазами, армянами, осетинами, умышленно проводилась линия по ликвидации национальной культуры местного абхазского, армянского и осетинского населения, осуществлялась его насильственная ассимиляция“.<sup>4</sup>

მაგრამ აფხაზური სეპარატიზმის იმდროინდელი ლიდერები არ დაკმაყოფილდნენ პარტიული ხელმძღვანელობის მხრიდან „ჩადენილი შეცდომების“ აღიარებით და 1957 წელს ისინი თბილისის წინააღმდეგ ახალ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ამჯერად საბაბად გამოყენებულ იქნა ცნობილი ქართველი ფილოლოგის პავლე ინგოროყვას წიგნი „*გიორგი მერჩულე*“. პ. ინგოროყვას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა გამოიცა 1954 წელს, მაგრამ ის ერთბაშად არ გამხდარა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. პ. ინგოროყვას აღნიშნული ნაშრომი ყურადღების ცენტრში მოექცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1955 წლის ივლისში გაზეთ „*Заря Востока*“-ში გამოქვეყნდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის რეცენზია ამ წიგნზე. რეცენზიაში ავტორმა მხარი დაუჭირა პ. ინგოროყვას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან გვიან ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„ავსილთა“ და „აფხაზების“ შთამომავალნი და რომ ადრინდელი „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ.

აკად. გ. ახვლედიანის რეცენზიის პუბლიკაციამ სეპარატიზტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია. მათ ნამდვილი ულტიმატუმი წაუყენეს საქართ-

ველოს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვეს პ. ინგოროყვას წიგნის აკრძალვა. სიტუაცია ვერ განმუხტა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის მაშინდელი ლიდერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისა<sup>5</sup> და ცნობილი აფხაზმცოდნე-ფილოლოგის ქეთევან ლომთათიძის<sup>6</sup> სტატიებმა, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ 1956 წლის მე-12 ნომერში. ამ სტატიებში საკმაოდ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხზე პ. ინგოროყვას ნაშრომში გამოქვეყნებული თვალსაზრისი. ამის პასუხად, იმავე „მნათობის“ 1957 წლის მე-2 ნომერში გაჩნდა აკად. გ. ახვლედიანისა<sup>7</sup> და პროფესორების, სიმონ ყაუხჩიშვილისა<sup>8</sup> და დავით კობიძის<sup>9</sup> პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები იცავდნენ პ. ინგოროყვას შეხედულებათა სისწორეს.

ამ ფაქტმა აფხაზ სეპარატისტთა მოთმინების ფიალა აავსო. 1957 წლის 11 აპრილს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე გაიგზავნა დეპეშები, რომელთაც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერდნენ პარტიული მუშაკებიც. მათ შორის იყვნენ: იმჟამად საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული განყოფილების გამგის მოადგილე, შემდგომში ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი ბაჯგურ სალარია და რუფეტ ბუთბა (80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში). ამ დეპეშა-საჩივრებში, რომელიც იგზავნებოდა უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციებში – სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ უმაღლეს საბჭოში, არც მეტი, არც ნაკლები, დაყენებული იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი.

პარალელურად, 1957წ. 11-13 აპრილს სოხუმში დაიწყო მღელვარება. აფხაზური მოსახლეობის ცალკეულმა ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას. შეწყვიტეს მეცადინეობები აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პედაგოგიურ სასწავლებელში. მოწვეულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც დაგმო ჟურნალ „მნათობის“

1957 წლის მე-2 ნომრის ზემოხსენებული პუბლიკაციები. ამავე დროს აფხაზური ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები გავიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში და მოუწოდეს ხალხს საპროტესტო გამოსვლებისაკენ. დემონსტრაციულად უარი განაცხადა რეპეტიციებზე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა. პროტესტის ნიშნად ასევე უარი თქვა თბილისში კონცერტში მონაწილეობაზე აფხაზური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ალექსი ჩიჩბამ<sup>10</sup>.

ამრიგად, შეიქმნა აფხაზური მოსახლეობის „საყოველთაო დაუმორჩილებლობის“ ფონი. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ უმაღლვე მოახდინა რეაგირება აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და უკვე 12 აპრილს სასწრაფოდ მოიწვია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი შემდეგი ფორმულირებით: „*Об ошибочной дискуссии организованной журналом „Мнатоби“ по книге П. Ингороква „Гюрги Мерчуле“*“. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ივანე თარბამ – ცნობილმა აფხაზმა პოეტმა, იმჟამად პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში, არქიფო ლაბაზუამ (პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, იმჟამად აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ხუხუტი ბლაჟბამ (ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი) და ზემოთ ნახსენებმა ასლან ოტირბამ. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ დაგმო ჟურნალ „*მნათობის*“ 1957 წლის მე-2 ნომრის პუბლიკაციები და შეცდომად მიიჩნია დისკუსია საკითხზე, რომელიც არსებითად საეჭვოდ მიიჩნევდა აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს. განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „публикация подобных материалов на страницах республиканских журналов и газет наносит большой вред делу воспитания, укрепления дружбы между народами и создаёт условия для различного рода националистических проявлений“.<sup>11</sup> ამასთან, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო

კომიტეტმა ვერ მოახერხა ცალკეული მტრული ელემენტების ან-  
ტისაზოგადოებრივი ქმედებების აღკვეთა<sup>12</sup>.

1957 წლის 15-16 აპრილს ჩატარდა საქართველოს კომ-  
პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელმაც გა-  
ნიხილა საკითხი: „*О решении бюро ЦК КП Грузии от 12 апре-  
ля 1957 г. „Об ошибочной дискуссии, организованной журналом  
„Мнатоби“ по книге П. Ингорква „Гиорги Мерчуле“*“. აღნიშ-  
ნულ სხდომაზე მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბი-  
უროს გადაწყვეტილებები და მიიღეს ისინი „*К неукоснительно-  
му руководству и исполнению*“.<sup>13</sup> საქართველოს კომპარტიის  
ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის  
მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ერთგვარად ჩააცხრო ვნებათა-  
ღელვა სეპარატისტების ბანაკში და საერთო პოლიტიკური ვითარება  
ავტონომიურ რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა.

ასე დასრულდა პირველი „საყოველთაო-აფხაზური ამბოხი“  
1957 წელს. როგორც დავინახეთ, სეპარატისტულად განწყო-  
ბილმა ძალებმა აფხაზეთში ზუსტად შეარჩიეს მომენტი თბილი-  
სის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. კერძოდ,  
მათ კარგად გამოიყენეს საქართველოში 1956 წლის 5-9 მარტის  
„ანტისაბჭოური გამოსვლების“ შედეგად გამოწვეული კრემლის  
გაღიზიანება. ისარგებლეს რა ამგვარი ანტიქართული ფონით მოს-  
კოვში, მათ თავიანთი დამაბეზღებელი დეპეშა-წერილებითა და მი-  
მართვებით „ცეცხლზე ნავთი დაასხეს“ და ამ გზით დამატებითი  
იმპულსი შესძინეს ანტიქართულ ისტერიას ცენტრში. სავსებით  
სწორია გ. ლეჟავა, როდესაც აღნიშნავს, რომ „Под прикрытием  
исправления ошибок сталинского руководства в национальной  
политике, создавались условия для возобновления национа-  
листического движения в Абхазии“.<sup>14</sup>

რაც შეეხება საბაბს, რომელიც გამოყენებულ იქნა აფხაზი  
სეპარატისტების მიერ ხალხის ასამხედრებლად, ყოველგვარი გა-  
დაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოვნურად იქ-  
ნა გაზვიადებული. თავის დროზე, ჩვენ არაერთხელ გამოვხატეთ  
ჩვენი დამოკიდებულება პავლე ინგოროყვას შეხედულებისადმი აფ-  
ხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით და აღვნიშ-



ნეთ, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მთლიანობაში (ზოგიერთი მეცნიერის გამოკლებით) არ იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს და არ მიიჩნევს საეჭვოდ ადრეული შუა საუკუნეების „აფსილ“-„აბაზგთა“ და „აფხაზთა“ აფხაზურ-ადიღურ წარმომავლობას<sup>15</sup>.

მაგრამ, ამავე დროს, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პავლე ინგოროყვას კონცეფცია არ იშვიათ შემთხვევით. ეს იყო ერთგვარი საპასუხო რეაქცია ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის იმ უხეში გაყალბებისა, რომელიც თავის დროზე (1907 წელს) წამოიწყო ვინმე ნ. ვორონოვმა და XX საუკუნის 20-იან წლებში, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის პარპაშის პირობებში, წარმატებით განაგრძეს სემიონ ბასარიამ, სემიონ აშხაცავამ, კონსტანტინე კულდრიავეცმა და სხვ.<sup>16</sup> მართებულად აღნიშნავს გ. ლეჟავა, რომ პ. ინგოროყვას ამ ნოვაციებისაკენ უბიძგა აფხაზთა სეპარატისტულმა გამოხდომებმა, კერძოდ, მათმა მცდელობამ, გამოეცხადებინათ აფხაზები ერთადერთ აბორიგენებად „თავიანთ ტერიტორიაზე“ და ამის საფუძველზე დაესვათ საკითხი „*он обязан отделении Абхазии от Грузии*“.<sup>17</sup>

და ბოლოს, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის (ვასილ მჟავანაძის მეთაურობით) ერთგვარ კაპიტულანტურ პოზიციას, რომელმაც იმთავითვე ჩათვალა „*Ошиничной*“-დ ქართული მხარის ქმედება და სამაგალითოდ დასაჯა ამ „დრამის“ მხოლოდ ქართველი მონაწილენი: ჟურნალ „*მნათობის*“ რედაქტორი, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დავით მჭედლიშვილი, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგე მიხეილ კვესელავა. ერთი სიტყვით, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოამჟღავნა თავისი სისუსტე, რითაც ფაქტობრივად წაახალისა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ახალი „გმირობებისაკენ“ თავიანთ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში“. ამგვარი კაპიტულანტური პოლიტიკის ნაყოფი საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოიძეო ზუსტად 10 წლის

შემდეგ – 1967 წელს, როდესაც აფხაზეთში იფეთქა მორიგმა ანტიქართულმა ამბოხმა.

**აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული „ამბოხი“ 1967წ.** ნაციონალისტური ისტერიის ახალი ტალღის აგორების საბაზად კვლავ იქნა გამოყენებული ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიების აზრით, გაყალბებული იყო აფხაზი ხალხის ისტორიული წარსული. მომავალი „საერთო-სახალხო“ პროტესტის სიმპტომები გაჩნდა ჯერ კიდევ 1965 წელს, როდესაც სეპარატისტებმა „ანათემას გადასცეს“ გამოჩენილი აფხაზი ფილოლოგის, ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის პროფ. ხუხუტი ბლაჟბას მონოგრაფია: „*Бзынский диалект абхазского языка*“.<sup>18</sup> ჩადენილი ცოდვებისათვის (სეპარატისტთა განმარტებით, წიგნში არასწორად იყო ახსნილი ცალკეული აფხაზური გვარები) ხუხუტი ბლაჟბა გადაყენებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

1966 წელს თბილისში გამოიცა დიდი ქართველი ისტორიკოსის აკად. ნიკო ბერძენიშვილის თხზულებათა კრებული: „*საქართველოს ისტორიის საკითხების*“ III ტომი, რომელშიც მოთავსებული იყო მეცნიერის წერილი: „**მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო**“. ამ წერილში განვითარებული ცალკეული დებულებები მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური სეპარატიზმის „მამებისთვის“, რომლებმაც მათში „დაინახეს“ აფხაზი ხალხის ეთნიკური ინდივიდუალობის უარყოფის მცდელობა. სინამდვილეში კი აღნიშნულ სტატიას (ისევე, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილის სხვა შრომებში) მსჯელობა იყო აფხაზთა „ისტორიულ-კულტურულ“ ქართველობაზე. რაც შეეხება აფხაზთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობას, ამ საკითხზე ცალსახა პასუხი მეცნიერს არ ჰქონია, თუმცა ამ წერილში (სხვა შრომებში ეს ფაქტობრივად არ გვხვდება) ნ. ბერძენიშვილი თითქოს არ გამორიცხავდა იმას, რომ „ძველი აფხაზები“ შეიძლება ტომობრივად ეკუთვნოდნენ ქართველურ ეთნიკურ სამყაროს.

ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც მეცნიერის მსჯელობა ამჟამინ-

დელ აზერბაიჯანელთა ეთნიკურ იერ-სახეზე. ნ. ბერძენიშვილს არ მიაჩნია „ენის მომენტი... ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად“ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას<sup>19</sup>. „დღეს აზერბაიჯანელები, – წერს იგი, – ერთ თავანკარი თურქები არიან, მაგრამ ასეთივე თურქები არიან განა ისინი წარმოშობით? ვის შეუძლია უარყოს, რომ ისინი წარმოშობით სანახევროდ მაინც, თუ უფრო მეტად არა, კავკასიური მოდგმის „ალბანელები“ არიან?“<sup>20</sup> საკუთრივ აფხაზებთან დაკავშირებით კი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ანტიკურ პერიოდში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ტომთა სიმრავლე „საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანაში... დიდად შემცირებული ჩანს და აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია წარმოადგენდა რიგს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საერისთავოს... და მხოლოდ ერთ მათგანს ეწოდებოდა „აფხაზთა საერისთავო“ (ხაზგასმა ნ. ბერძენიშვილისეულია), რომელიც მოიცავდა ქვეყანას აწინდელი ახალი ათონის (ანაკოფიის) დასავლეთით ვიდრე კაპოეტის მდინარემდე (ბზიფამდე) ან, შეიძლება გაგრის ვიწროებამდე“. აქვე ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ „ფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს – შექმნისათვის ამოსავალი პრინციპი ტომობრივი მომენტი იყო“.<sup>21</sup>

ამ მსჯელობიდან თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ბერძენიშვილი „აფხაზთა-საერისთავოში“ მცხოვრები „აფხაზური ტომების“ ეთნო-ტომობრივ გამორჩეულობას ნამდვილად აღიარებს. თუმცა, ის იქვე შენიშნავს, რომ „მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოეპოვება იმის საბუთი, რომ აფხაზეთში მობინადრე ტომები (საფიქრებელია, მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა სწორედ აფხაზები) უფრო შორს იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე, ვთქვათ, სვანები, მესხები, ჰერები. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ქართული საისტორიო ტრადიციის (*„ქართლის ცხოვრება“*) მიერ დაფიქსირებულ ფაქტზე იმის შესახებ, რომ „აფხაზთა საერისთავო“ უძველესი დროიდანვე ეგროსის წილხვედრი ქვეყნის ნაწილი იყო. „ეს გადმოცემა, – წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, – ანგარიშგასაწევი მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტომთა როგორც ეთნიკური მონათესავეობისა, ისე მათი მრავალ-

საუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობისა“.<sup>22</sup> ე. ი. როგორც ვხედავთ, აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ სტატიაში, მართალია, არა გადაჭრით, მაგრამ რამდენადმე მაინც უშვებდა „ძველი აფხაზეთის“ დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებთან „ეთნიკური მონათესავეობის“ შესაძლებლობას, რაც, ერთი შეხედვით, პ. ინგოროყვას თვალსაზრისის ფონზე, მართლაც შეიძლება გამაღიზიანებელი ყოფილიყო სეპარატისტული იდეოლოგიისათვის.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტების მიერ აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ პუბლიკაციის გამოყენება პოლიტიკური სპეკულაციებისათვის სრულიად გაუმართლებელი იყო, რადგანაც მეცნიერის მთავარი მიზანი ამჯერად იყო არა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის დადგენა, არამედ იმ უცილობელი ფაქტის წარმოჩენა, „რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია, რომ კულტურულ-ისტორიულად (ხაზს ვუსვამთ კულტურულ-ისტორიულად, და არა ეთნიკურად – ზ.პ.) საქართველოში „აფხაზი“ იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვ. ან კიდევ „კახელი“, „ქართლელი“, „გურული“, „მეგრელი“, „იმერელი“, „აჭარელი“ და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ „ქართული“ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო“ (ხაზგასმა ავტორისაა).<sup>23</sup>

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ აქ, ამ შემთხვევაში, ეთნო-ტომობრივი მომენტი სულაც არ არის ნაგულისხმევი. უფრო მეტიც, სტატიის მეორე ნაწილში, რომელშიც აკად. ნ. ბერძენიშვილი იძლევა აფხაზეთის მთავრის ქელაიმ აჰმედ ბეგ შარვაშიძის პიროვნების შეფასებას (სეპარატისტები არანაკლებ გააღიზიანა ამ შეფასებამ), მეცნიერი ამჟამინდელ აფხაზებს ერთნიშნად მოიაზრებს ქართველთა მოძმე ხალხად. ის საყვედურობს იმათ, ვინც მონინდომა ქელემ ბეი შარვაშიძის აფხაზი ხალხის გმირად გამოცხადება. „ქელაიმ ბეგები, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – ეს აფხაზეთის ათასწლიანი ისტორიის უარყოფაა, თანამოდძეებთან ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის უარყოფაა, ქართველობისაგან გამოთიშვაა, საქართველოს (და თვით აფხაზე-

თის) **ღალატია**. და როგორ შეუძლია დღეს აფხაზ საბჭოთა მოქალაქეს (ე. ი. ამჟამინდელ აფსუა-აფხაზს – **ზ.პ.**) უარყოს საკუთარი წარსული, საკუთარი სახელოვანი ისტორია და გმირი სწორედ ამ ისტორიის შემგინებელ-უარისმყოფელში დაიგულოს? გმირი იყო ლეონ I, ლიხთიქითის გამაერთიანებელი, გმირები იყვნენ ის გიორგი-კონსტანტინეები, საქართველო-კავკასიის გაერთიანებას რომ ალევდნენ ძალებს, გმირები იყვნენ მოქვის, ბედიისა და ლიხნის თუ ანაკოფიის მამულებელნი, გაერთიანებული საქართველოს მამულებელნი და არა ქელაიშ-აჰმედ-ბეგები – სულტნის ყურმოჭრილი მონები. გმირი იყო ის ახალგაზრდა აფხაზი (მთავრის შვილი), ხრესილის ომში სოლომონ მეფესთან ერთად რომ ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა და არა ქელაიშ აჰმედ ბეგი, რუხის ომში რომ ოსმალეთის გადამწყვეტ შემოტევას ხელმძღვანელობდა... მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინტა თუ სხვა ხომ ყველა ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია“.<sup>24</sup>

ობიექტური მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ ციტატაში სრულიად გარკვევითაა აღიარებული ამჟამინდელ აფხაზთა უპირობო უფლება, იამაყონ საკუთარი ისტორიული წარსულით, დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის იმ დიდი მოღვაწეებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ერთიან ძლიერ საქართველოს, **იამაყონ იმ სწორუპოვარი ძეგლებით, რომლებიც მათ წინაპრებს „ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში“ შეუქმნიათ**. და ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება ვინმე დაეჭვდეს იმაში, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნულ სტატიაშიც (სხვა ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ) ფაქტობრივად ადასტურებდა ე. წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზთა იდენტურობას, მაგრამ, ბუნებრივია, ეს გარემოება ოდნავადაც არ შეაჩერებდა სეპარატისტთა იდეოლოგებს, რომლებმაც ნ. ბერძენიშვილის შრომების III ტომის გამოსვლა გამოიყენეს ახალი პროვოკაციული ანტიქართული კამპანიის წამოსაწყებად. ნ. ბერძენიშვილის თხზულებების III ტომის პარალელურად აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების მწვავე კრიტიკა დაატყდა თავს აგრეთვე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს, „*გეორგიკის*“ (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ) VI ტომისათვის (თბ., 1966) დართული კომენტარების გამო და ნათელა კეჭყაყაძის, „*ფლავიუს არიანეს „პერიპლუსის*“ ქართული თარგმანისათვის (თბ., 1961) დართული კომენტარებისათვის. ამ მასალებში ფლავიუს არიანეს „აბაზგები“ და „აფსილები“ ქართველურ ტომებად იყვნენ გამოცხადებულნი. ასევე კრიტიკულად მიიღეს მათ ზურაბ ჭუმბურიძის წიგნი: „*რა გქვია შენ?*“ (თბ., 1966), რომელშიც აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმები იხსნებოდა ქართულად.

ვნებათაღელვა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისიდან სოხუმში გაიგზავნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების აფხაზ სტუდენტთა არაერთი წერილი-საჩივარი. ამ წერილების ადრესატები იყვნენ როგორც სტუდენტთა ახლობლები, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურები. საჩივრის წერილებს, პირველ რიგში, მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზი სტუდენტები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები გამოეხმაურნენ. ასე დაიწყო ძველგარება, რომელმაც თავის აპოგეას 1967 წლის 7-9 აპრილს მიაღწია<sup>25</sup>.

ის, რომ აფხაზთა მორიგი „ამბოხის“ დრო საგანგებოდ იყო შერჩეული, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს – ის „ართომეტიკული სიზუსტით“ იყო გამოანგარიშებული და ემთხვეოდა აფხაზთა პირველი ამბოხის 10 წლისთავს. ახალი „ამბოხის“ ინიციატივა მიანდეს ახალგაზრდობას. ჯერ კიდევ 1967 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა (სულ 45 ხელმოწერა) მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის ასსრ-ის სახელისუფლებო ორგანოებს. ამ მიმართვაში ისინი ულტიმატუმის ფორმით კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის ცალკეული ქართული ტოპონიმების აფხაზურით შეცვლას<sup>26</sup>. 1967 წლის 28 მარტს სეპარატისტებმა უკვე თვითნებურად დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის სისრულეში მოყვანა. ასე, ქ. სოხუმის

ავტომატური სატელეფონო სადგურის ტექნიკოსმა ვინმე აბგაჯავამ და მძღოლმა ცკუამ საღებავებით გადაშალეს ყველა ქართული წარწერა საგზაო ნიშნებზე დაწყებული საქართველო-რუსეთის საზღვრიდან ბიჭვინთამდე. ამ ქმედებისათვის ორივე ეს პიროვნება დააპატიმრეს. პასუხად, 1967 წლის 31 მარტს გაგრის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი ჩამოვიდა სოხუმში, სადაც მათ შეუერთდა რამდენიმე ათეული ადგილობრივი მცხოვრები და ისინი (სულ 150 კაცამდე) ერთდროულად – ორ ნაწილად გაყოფილნი გაემართნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობებისაკენ. აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები შეაშინა პროტესტის ასე ღიად გამოხატვამ და მათ მოსალოდნელი კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით დაუყონებლივ გაათავისუფლეს დაკავებულნი<sup>27</sup>. მაგრამ სეპარატისტები ამან არ დააკმაყოფილა და ისინი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

1967 წლის 7 აპრილს აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლებმა (400 კაცამდე) ალყა შემოარტყეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობას, ხოლო მოგვიანებით გაემართნენ საზაფხულო თეატრისკენ და თვითნებურად დაიკავეს ის<sup>28</sup>. აქ შუადამისას, 12 საათზე მოეწყო შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. „ამბოხებულები“ ვერ დააკმაყოფილა ხელმძღვანელობის განმარტებებმა და მათ უშუალოდ მოსკოვის ჩარევა მოითხოვეს. რატომღაც დაისვა საკითხი მაინცდამაინც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ჩამოსვლის შესახებ. ამავე დროს, მომზადდა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც კვლავ იქნა დაყენებული აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი „დამოუკიდებელ“ მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი.

1967 წლის 9 აპრილს შედგა კიდევ ერთი შეხვედრა „ამბოხებულებსა“ და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შორის, რომლის შემდეგაც მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა დატოვა საზაფხულო თეატრის შენობა. დარჩნენ მხოლოდ აქტივისტები

(100-მდე კაცი), რომლებმაც აირჩიეს სარედაქციო კომისია (20 კაცის შემადგენლობით) სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნი მიმართვის მოსამზადებლად. ამ კომისიაში შევიდნენ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ შაყრილი, ახალგაზრდა მწერალი ჯუმა ახუბა, იურისტი ნიკოლოზ ყოლბაია – ქ. სოხუმის პროკურორის თანაშემწე, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის სახალხო არტისტი აზიზ აგრბა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ვარდანიას და სხვა. 10 აპრილს დოკუმენტი უკვე მომზადებული იყო. იმავედროულად შეირჩა დელეგაცია, რომელიც უნდა ჩასულიყო მოსკოვში. ამ დელეგაციაში შევიდნენ თამარ შაყრილი, ჯუმა ახუბა, აზიზ აგრბა, ხ. ჭამალუა, ო. შამბა, აგრეთვე ანატოლი ზუხბა და ოლეგ დომენია, რომლებიც დელეგაციას მოსკოვში უნდა შეერთებოდნენ<sup>29</sup>.

სხვა დასახელებულ პირთაგან უკანასკნელ მომენტში მოსკოვში წასვლისაგან თავი შეიკავეს ცნობილმა ტყვარჩელელმა მეშახტემ ნ. შამბამ, კოლმეურნე კ. შლარბამ, აგრეთვე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დეკანის მოადგილემ ვალერი ყურასქუამ. მათ ნაცვლად, დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ შაყრილმა, თავისი ინიციატივით, დელეგაციაში შეიყვანა შ. ხაჯიბა, იგორ მარხოლია, ა. შლარბა. დელეგაციას თან ახლდა 10 ახალგაზრდისაგან შემდგარი ერთგვარი „დაცვა“. დელეგაცია მოსკოვში მატარებლით ადლერიდან გაემგზავრა<sup>30</sup>.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში მოყვანილი იყო თბილისის მხრიდან აფხაზეთის შევიწროების „უტყუარი ფაქტები“. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების 90% და სავაჭრო ობიექტების 83% უშუალოდ თბილისისადმი იყო დაქვემდებარებული; რომ კურორტებისა და ტურიზმის მთელი შემოსავალი (აფხაზეთის ასსრ-ის საერთო ბიუჯეტის

---

\* ეს სწორედ ის თამარ შაყრილია, რომელიც დაიღუპა 2004 წლის მიწურულს, აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური კრიზისის დღეებში, სერგეი ბალაფშის მომხრეების მიერ პარლამენტის შენობის შტურმისას.



50%) ირიცხებოდა საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტში; რომ მიმდინარეობს აფხაზეთის ტყის სიმდიდრეების დაუნდობელი განადგურება<sup>31</sup> და ა.შ. ამავე დროს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დოკუმენტებში სეპარატისტები აყენებდნენ აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმების აფხაზურად გადარქმევის, აფხაზი ეროვნების ადამიანებისათვის ქალაქებში ჩაწერისას უპირატესობის მინიჭებისა და მათი შრომითი მოწყობისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სკოლაში აფხაზური ენის სავალდებულო სწავლების შემოღების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნის, თურქეთიდან 200 ათასი მუჰაჯირ-აფხაზთა შთამომავლის გადმოსახლების ორგანიზაციის, საქმის წარმოების აფხაზურ ენაზე გადაყვანისა და ა.შ. მოთხოვნებს. სეპარატისტთა ლიდერების განცხადებით, ამ და აფხაზი ხალხისათვის „სასიცოცხლო“ სხვა საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში. აქედან გამომდინარე, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან და მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსში აყვანას<sup>32</sup>.

1967 წლის 18 აპრილს სეპარატისტთა „დელეგაცია“ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ვიქტორ ვასილიევმა (ის კურიერება საქართველოს), თუმცა „ოფიციალური დოკუმენტები“ მისთვის არ გადაუციათ. თ. შაყრილი და მისი ჯგუფი ითხოვდა შეხვედრას უშუალოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან (თუ ვისთან კონკრეტულად, არ სახელდებოდა), ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ალექსეი კოსიგინთან, მაგრამ სეპარატისტების ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. აუდიენცია ასეთ მაღალ დონეზე არ შედგა, რის გამოც „დელეგაცია“ იძულებული შეიქნა, „დოკუმენტები“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისაღებში ჩაება-რებინა და სოხუმში დაბრუნებულიყო<sup>33</sup>.

ამასობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზეთში სიტუაციის განსამუხტავად გარკვეული სა-

მუშაო ჩაატარა. ჯერ კიდევ 31 მარტს შედგა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს მოხსენებითი ბარათი. ამ ბარათს ხელს აწერდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალერიან კობახია, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბაგრატი შინკუბა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი. ბიუროს სხდომაზე მათ გარდა მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები: ს. ალანია (გუდაუთა), ი. ამიჩა (ოჩამჩირე), კვარანძია (ტყვარჩელი), ხ. ჯიქია (გაგრა), ა. ძაძუა (გალი), ვ. კოკაია (სოხუმის რ-ნი). რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე არ მიუღიათ და მხოლოდ საკითხის განხილვით დაკმაყოფილდნენ, თუმცა აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნისა და ზოგიერთი სხვა ნაშრომის პუბლიკაცია შეცდომად იქნა აღიარებული. ბიუროზე ასევე მართებულად მიიჩნიეს მოთხოვნა ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის აფხაზური სახელწოდებების დაბრუნების შესახებ და სხვ.<sup>34</sup>

1967 წლის 12 აპრილს, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის დამთავრებისთანავე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა შეხვედრა აფხაზეთიდან წარმოდგენილ დეპუტატებთან, რომლის დროსაც შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს „неправильные действия отдельных представителей интеллигенции Абхазии“.<sup>35</sup>

14 აპრილს უკვე შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც მოიწვიეს წამყვანი მეცნიერები: აკად. გიორგი წერეთელი, აკად. გიორგი მელიქიშვილი; პროფესორები: შოთა მესხია, მამია ღუმბაძე, ირაკლი ანთელავა, ნიკოლოზ სტურუა, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვ. ბიუროზე განიხილეს შემდეგი საკითხები: „1. О нездоровых проявлениях в Абхазии, 2. О серьезной оплошности, допущенной при издании III тома избранных сочинении академика Н. А. Бердзенишвили. 3. О переименовании некоторых сёл Абхазской АССР“.<sup>36</sup> ბიუროს სხდომის მსვლელობისას, ქართველმა მეცნიერებმა მოახერხეს აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნის

დაცვა და, მიუხედავად სეპარატისტების კატეგორიული მოთხოვნისა, ის გადაურჩა აკრძალვას. ამავე სხდომაზე მოწონებულ იქნა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „*აფხაზეთის ასსრ-ის ზოგიერთი სოფლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ*“. ბიუროს სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ „Некоторые лица в Абхазии использовав в качестве повода недостаточно тщательно отредактированную статью.., включенную в третий том избранных сочинений академика Бердзенишвили, стали на путь подстрекательства абхазского населения к выступлению в знак протеста против якобы ущемляемых интересов абхазского народа“.<sup>37</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, სოხუმის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, „принять исчерпывающие меры, исключаящие в дальнейшем нездоровые проявления“.<sup>38</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში პოლიტიკური აქცენტები სწორად იყო დასმული<sup>39</sup> და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს საკმაოდ მკაცრი შეფასებაც მიეცა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ქმედებებში ერთგვარი წინააღმდეგობრიობა მაინც შეიმჩნეოდა. პირველ რიგში, ეს გამოვლინდა იმაში, რომ საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ორგანომ, მოუწოდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის, მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების განყოფილებებს „осуществлять постоянный контроль и оказать помощь(!) научно-издательским учреждениям и высшим учебным заведениям в дальнейшем **повышений теоретического и идейного** уровня издаваемой печатной продукции“,<sup>40</sup> ფაქტობრივად მკაცრი ცალმხრივი ცენზურა დააწესა. შედეგად, ქართველ მეცნიერებს დიდი ხნის მანძილზე არ ეძლეოდათ საშუალება, სათანადო პასუხი გაეცათ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა მოღვაწეთა ფალსიფიკატორული პროპაგანდისათვის, რომელიც ფართოდ გაიშალა აფხაზეთში 70-იან წლებში. ცალკეულ ქართველ მკვლევართა ნებისმიერი მცდელობა (უნდა ითქვას, რომ ასეთ „სითამა-

მეს“ მხოლოდ ერთეულები იჩენდნენ), როგორმე წინ აღდგომოდნენ აფხაზი კოლევების „ისტორიოგრაფიულ თარეშს“, ხელისუფლების მხრიდან ძირშივე იკვეთებოდა, ხოლო სეპარატისტული პროპაგანდა მაშინათვე აკერებდა ამ მეცნიერებს აფხაზი ხალხის „მტრის“ იარლიყს. 70-იან წლებში ეს „პატივი“ წილად ხვდათ აკად. მ. ლორთქიფანიძეს, პროფ. ნ. ლომოურს და სხვ.\*

მაგრამ მოვუბრუნდეთ 1967 წლის გაზაფხულის მოვლენებს. 18 აპრილს სოხუმში შედგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით წარსდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. კრების მონაწილეებმა ერთნიშნად დაგმეს „самочинный сход, состоявшийся в г. Сухуми 7-9 апреля 1967 г.“ და მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, „...настойчиво укреплять трудовую и государственную дисциплину, проявлять непримиримость к любым нарушениям советского правопорядка и социалистической законности“.<sup>41</sup>

სერიოზული მსჯელობა ამავე საკითხზე გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VII პლენუმზე, რომელზეც საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალერიან კობახიამ დაგმო ანტიქართული ამბოხის ინსპირატორთა ქმედებები. „Нельзя мириться, – აღნიშნავდა აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელი, – с любыми проявлениями национальной органиченности, от кого бы они ни исходили... Мы знаем тех людей, которые подогревали ненужные страсти. Неприглядную, если не сказать более резко, роль, в частности, играли старший преподаватель пединститута со степенью кандидата наук Т. Шакрил, экономист Ш. Хаджимба, литератор Д. Ахуба, директор Гагрской восьмилетней школы Б. Бения, учитель Х. Чамагуа“.<sup>42</sup>

---

\* ამ მხრივ არაერთი უსიამოვნება შეხვედრია ამ სტრიქონების ავტორსაც, განსაკუთრებით 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკალათებულმა სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგებმა, ოლეგ დომენიას მეთაურობით, ის ფაქტობრივად „პერსონა ნონ გრატა“-დ გამოაცხადეს.

მაგრამ სეპარატისტულ ამბოხს სხვა, უფრო გავლენიანი ლიდერებიც ჰყავდა. პირველ რიგში, ეს იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასლან ოტირბა, რომელიც ითვლებოდა ე.წ. „იატაკქეშმა საოლქო კომიტეტის“ ხელმძღვანელად. თითქმის ღიად უჭერდნენ მხარს ამბოხებულებს და გამოსვლების ორგანიზატორთა როლში გვევლინებოდნენ აფხაზეთის მაშინდელი კულტურის მინისტრი ვლადიმერ კვარჩელია, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დირექტორი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე აკიბეი ხონელია<sup>43</sup>. საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია, რომ „некоторые из организаторов акции, имеющие националистическую направленность“, ცდილობდნენ მოეპოვებინათ ცნობილი აფხაზი პოეტისა და მეცნიერის, იმჟამად აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის (ხელისუფლების იერარქიაში მესამე თანამდებობა) ბაგრატ შინკუბას მხარდაჭერა<sup>44</sup>.

მიუხედავად საკმაოდ პრინციპული შეფასებებისა, რომელიც მიეცა აფხაზთა მორიგ „ამბოხს“, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ისე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მხრიდან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტები სულაც არ გრძნობდნენ თავს დამარცხებულად. უფრო მეტიც, საკადრო ცვლილებები, რომელიც განახორციელა საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ, გარკვეულწილად იმედიანად განაწყობდა სეპარატისტულ ბანაკს და ქმნიდა მეტად ხელსაყრელ ფონს აფხაზური ნომენკლატურის პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი აფხაზი მაღალჩინოსანი, რომელიც ფაქტობრივად „ამბოხის“ ორგანიზატორი იყო, არ დასჯილა. ერთადერთი პიროვნება ვისზეც თითქოს „ჯოხი გადატყდა“, იყო თ. შაყრილი, რომელიც ჩამოაშორეს სტუდენტურ აუდიტორიას პედაგოგიურ ინსტიტუტში და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე (დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში) გადაიყვანეს.

სამაგიეროდ, რეპრესიული ღონისძიებები გატარდა ქართველი ნომენკლატურული მუშაკების მიმართ. ასე, 1967 წლის 21 მაისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პეტრე როდიონოვი) დემონსტრაციულად გამოიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემაღენლობიდან და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგოხია და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი. და ეს მაშინ, როდესაც საკუთრივ აფხაზი ხელმძღვანელების: საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვალერიან კობახიასა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატ შინკუბას პასუხისმგებლობის საკითხი არავის დაუსვამს. პირიქით, 1967 წლის „აპრილის ეპოპეის“ შემდეგ მკვეთრად გაიზარდა მათი გავლენა.

ამრიგად, კვლავ შეიქმნა მხოლოდ ქართველთა დასჯის პრეცედენტი. ამან კიდევ უფრო გაათამამა სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები, რომლებიც ამ დროიდან ხელიდან არ უშვებდნენ ნებისმიერ საბაბს თავისი „ბრძოლისუნარიანობის“ მორიგი დემონსტრირებისათვის. ასე მოხდა, მაგალითად, 1968 წელს, როდესაც მათ „იერიში მიიტანეს“ ცნობილი ქართველი მეცნიერის, არქიტექტურის ისტორიკოსის ილია ადამიას ხალხური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომზე<sup>45</sup>. მასში შესწავლილი იყო აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები, ამასთან, ავტორი იმეორებდა პ. ინგოროყვას თვალსაზრისს აფხაზთა წარმომავლობის საკითხზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ აჩვენა სეპარატისტებს თავისი „პრინციპულობა“ აფხაზი ხალხის ისტორიის „გამყალბებლების“ მიმართ და გაზეთ „*Заря Востока*“-ში (4.VI.1968) სახელდახელოდ მოათავსა სარედაქციო წერილი საკმაოდ მაღალფარდოვანი სათაურით: „**С чувством ответственности перед историей**“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ი. ადამიას დებულებები. ეს კი აფხაზმა სეპარატისტებმა თავიანთ მორიგ გამარჯვებად მიიწერეს.

ვასრულებთ რა საუბარს 1967 წლის ანტიქართულ ამბოხზე აფხაზეთში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იმჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველის პროფ. დევი სტურუას შეფასება. დ. სტურუა სავსებით სწორად მიიჩნევს, რომ სეპარატისტები ამ „პუტჩს“, პირველ რიგში, განიხილავდნენ როგორც „Очередной этап в осуществлении своих конечных вероломных планов“. ამავე დროს, „Сепаратисты добивались (и не без успеха) получения от руководства Грузии уступок такого характера, которые подняли бы их авторитет, или как сейчас говорят и пишут, рейтинг, чтобы предстать перед общественностью борцами за национальные интересы абхазского народа“. და ბოლოს, „Сепаратисты знали, что за беспорядками, как правило, следуют кадровые перестановки и они получили бы возможность „протащить“ на руководящие посты своих людей“.<sup>46</sup>

ესმოდა თუ არა ყოველივე ეს საქართველოს ხელმძღვანელობას? – სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას დ. სტურუა და იქვე ერთნიშნად პასუხობს, რომ „С полной ответственностью можно сказать, что да. Так почему же в таком случае оно (ე. ი. საქართველოს ხელისუფლება – ზ.პ.) шло на заведомые уступки? Почему не назывались вещи своими именами? Почему, как правило, избегали наказания сепаратисты и карьеристы?“<sup>47</sup> სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ დ. სტურუას მიერ საქართველოს მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის მოქმედებების თუ უმოქმედობის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტები<sup>48</sup> მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ერთადერთი, რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, არის ის, რომ თბილისი „В процессе проявления этих конфликтов“ სულაც არ იყო დამოუკიდებელი და უდავოდ განიცდიდა ცენტრის ზეწოლას<sup>49</sup>, რომელიც, თავის მხრივ, ფარულად თვითვე აღვივებდა კიდევ იმ კონფლიქტებს.

**აფხაზეთა სეპარატისტული გამოსვლები 1977-1978წწ. XXს. 70-იანი წლები აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრე-**

ბაში ახალი დაბაბულობით აღინიშნა. სეპარატისტულმა ძალებმა მოიგეს რა მორიგი რაუნდი საქართველოს ცენტრალურ ხელი-სუფლებასთან ბრძოლაში 1967-1968 წლებში, კიდევ უფრო განიშტკიცეს თავიანთი პოზიციები. სულ უფრო იგრძნობოდა აღნიშნული ძალების მზარდი გავლენა ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე. მაშინდელი აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვალერიან კობახიასა და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატ შინკუბას სახით, მთლიანად იქცა სეპარატისტული წრეების კრეატურად, მაგრამ აფხაზური პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლებს შორის მაინც იყვნენ ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ვერ ჯდებოდნენ სეპარატისტულ კონიუნქტურაში. მათ რიცხვს, პირველ რიგში, განეკუთვნებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში მეჯიდ ხვარცკია, რომელსაც მაშინ (დღევანდელისაგან განსხვავებით) ვ. კობახიასა და ბ. შინკუბას ფარული სეპარატისტული კურსის მიმართ მკვეთრად გამოხატული კრიტიკული პოზიცია ეკავა.

1972 წელს, მას შემდეგ, რაც შეიცვალა საქართველოს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა და ცენტრალური კომიტეტის სათავეში ახალგაზრდა ენერგიული ლიდერი ელუარდ შევარდნაძე მოვიდა, როგორც ცნობილია, მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო ძველი პარტიულ-სამეურნეო აპარატის კარდინალური „წმენდის“ პროცესი, რომელიც აფხაზეთსაც შეეხო. 1975 წელს საქართველოს ახალმა ხელმძღვანელმა შეძლო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან ვალერიან კობახიას გადაყენება და ამ თანამდებობაზე თავისი პროტეჟეს ვალერი ხინთბას არჩევა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვ. ხინთბაზე არჩევანის შეჩერება არ იყო შემთხვევითი. ის იყო ე. შევარდნაძის გუნდიდან, რადგან ადრე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა (მაშინ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის) მინისტრად და რამდენიმე წლის მანძილზე უშუალოდ ე. შევარდნაძის, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დაქვემდებარებაში იყო. მას შემდეგ,



რაც ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, ვ. ხინთბა გადაყვანილ იქნა ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც კვლავ თავისი ყოფილი შეფის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ვალერიან კობახიას გახმაურებულმა გადაყენებამ და მის ადგილზე ვალერი ხინთბას დანიშვნამ აფხაზეთის სეპარატისტული წრეების გაღიზიანება გამოიწვია. მათ, არცთუ უსაფუძვლოდ, დაინახეს ამაში საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, დაესუსტებინა სეპარატისტული ტენდენციები აფხაზეთში და აემძლეებინა ცენტრის (თბილისის) როლი. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1973 წელს გადაიდგა, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისიდან აფხაზეთში მიაგვლინა და პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნა: შოთა თათარაშვილი (ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ), ავთანდილ საყვარელიძე (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად) და გიორგი ჟორჯოლიანი (საქართველოს კომპარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად). ყოველივე ამას აფხაზეთი სეპარატიზმის მესვეურები განიხილავდნენ ე. წ. „სტალინ-ბერიასეული“ კონიუნქტურის ერთგვარ „რესტავრაციად“, მაგრამ სეპარატისტები ერთბაშად არ გადასულან შეტევაზე. ისინი, ფარულად, თანდათანობით ემზადებოდნენ საპასუხო დარტყმისთვის საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

პირველ რიგში, სეპარატისტები თავიანთ მხარეზე ვ. ხინთბას გადაბირებას შეეცადნენ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ახალგაზრდა ლიდერის ქმედებებში ნამდვილად შეიმჩნეოდა გარკვეული წინააღმდეგობრიობა და ერთგვარი მერყეობა, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის სეპარატისტების ჭკუაზე დადიოდა. უფრო მეტიც, მოგვიანებით მისი გადაყენება პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან (1978 წლის აპრილში) რამდენადმე სეპარატისტებისადმი დათმობად აღიქმებოდა, მაგრამ ყოველივე ამაზე თანმიმდევრულად.

სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ და ყოველნაირად ცდი-

ლობდნენ ნებისმიერი საბაბის გამოყენებას ახალი „ამბოხის“ მოსაწყობად. მალე ამგვარ საბაბად იქცა ცნობილი აფხაზი ისტორიკოს-ეთნოგრაფისა და ლიტერატურათმცოდნის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, პროფ. შალვა ინალ-იფას მონოგრაფიის: „*Вопросы этнокультурной истории Абхазов*“ (Сухуми, 1976) ირგვლივ ატეხილი ვნებათაღელვა.

პროფ. შ. ინალ-იფა სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით სეპარატისტულ წრეებში, რადგან მის შრომებში, განსაკუთრებით ფუნდამენტალურ გამოცემაში: „*Абхазы*“, ისინი პოულობდნენ ერთგვარ ისტორიოგრაფიულ დასაბუთებას დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობისა. მაგრამ მეცნიერის ადრინდელ პუბლიკაციებში, მათ შორის, ხსენებულ მონოგრაფიაში, ყოველივე ეს წარმოდგენილი იყო შედარებით მკრთალად და მოკრძალებულად, რის გამოც აღნიშნულ ნაშრომებს არ გამოუწვევია ქართველ მეცნიერთა პროტესტი. 1976 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში კი შ. ინალ-იფა მოურიდებლად გადავიდა შეტევაზე, ერთი ხელის მოსმით „გააცამტვერა“ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი და მეტად უსუსური არგუმენტაციის საფუძველზე აფხაზები აფხაზეთის „ერთადერთ აბორიგენებად“ გამოაცხადა.

უფრო მეტიც, შ. ინალ-იფას ახალ წიგნში, რომელიც იმ დროისთვისაც კი გაუგონარი ტირაჟით (5000 ეგზემპლარი) გამოვიდა, იყო მტკიცება, რომ აფხაზურ-ადილური მოდგმის ტომები იყვნენ აბორიგენები (პირვანდელი მკვიდრი მოსახლეობა) არა მარტო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისა, არამედ მთელი ისტორიული კოლხეთის (ყოველ შემთხვევაში, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზოლის მაინც), ქართველურმა ტომებმა (მეგრელ-ჭანები-სვანები) კი, მეცნიერის აზრით, ამ ტერიტორიაზე (კოლხეთში) შემოაღწიეს გვიან. გარდა ამისა, შ. ინალ-იფას მონოგრაფიაში ეჭვქვეშ იყო დაყენებული „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეთნო-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შინაარსი. ავტორი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მსჯელობდა აფხაზური ეთნიკური ელემენტის განსაკუთრებულ წვლილზე (XI-XIII სს.)

ქრისტიანული მართლმადიდებლური სამყაროს კულტურულ ცხოვრებასა და საერთაშორისო პოლიტიკაში. შ. ინალ-იფას მიერ ეთნიკურ აფხაზებად იყვნენ გამოცხადებული შუა საუკუნეების ხანის დიდი ქართველი მოღვაწენი. ასე, მაგალითად, მისი მტკიცებით, იოანე პეტრიწი იყო არა მარტო ეთნიკურად აფხაზი, არამედ აფხაზური (არა ქართული) ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენელი და ა.შ.

შ. ინალ-იფას ამ „აღმოჩენებს“, ბუნებრივია, გამოეხმაურნენ ქართველი მეცნიერები: ისტორიკოსები, ფილოლოგები (წიგნში ასევე ტენდენციურად იყო გაშუქებული ენათმეცნიერული საკითხებიც). ქართველი მეცნიერები განსაკუთრებით გააღიზიანა იმან, რომ შ. ინალ-იფას წიგნს არ გაუვლია სათანადო აპრობაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში, ხოლო მისი რედაქტორი იყო მოსკოველი აკადემიკოსი მიხეილ კოროსტოვცევი, სპეციალობით ეგვიპტოლოგი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთმცოდნეობაში სრული დილექტანტი იყო, შ. ინალ-იფას აღნიშნული წიგნი, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის „ჭეშმარიტ ენციკლოპედიად“ გამოაცხადა. ქართველმა მეცნიერებმა (მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ და სხვ.) წარმოადგინეს თავიანთი დასკვნები შ. ინალ-იფას წიგნზე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავი შეიკავა ამ მასალების პუბლიკაციისაგან და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დაავალა, მოეწყო შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა ადგილზე, სოხუმში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც შედგა კიდეც 1977 წლის მარტში.

თავდაპირველად განზრახული იყო განხილვა სპეციალისტების (ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების) ვიწრო წრეში, საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე და რამდენადმე მათგან დამალულადაც, მაგრამ „კონსპირაციულობის“ დაცვა ბოლომდე ვერ მოხერხდა. სხდომათა დარბაზში შეაღწიეს „დაინტერესებულმა პირებმაც“, რომლებმაც კინაღამ ჩაშალეს წიგნის გან-

ხილვა\*. ამ აგრესიული „შემოტევის“ მთავარი ტონის მიმცემი იყო არა სხვა ვინმე, არამედ თვით 1967 წლის „რევოლუციის“ ერთ-ერთი ბელადი თამარ შაყრილი, მაგრამ გამოჩენილი აფხაზი მეცნიერების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების, პროფესორების, გიორგი ძიძარიასა და ზურაბ ანჩაბადის (სწორედ ისინი უძღვებოდნენ სხდომას) მტკიცე პოზიციის წყალობით მოხერხდა არაჯანსაღი ექსცესების აღკვეთა.

პრაქტიკულად ყველა გამომსვლელმა მკაცრი დასაბუთებული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შ. ინალ-იფას წიგნი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე.წ. „მთავარი ოპონენტის“, პროფ. ზ. ანჩაბადის გამოსვლა, რომელიც დაახლოებით 1,5 საათი გაგრძელდა. ამ გამოსვლაში, შ. ინალ-იფას წიგნში გაშუქებული პრობლემების ამომწურავი კრიტიკული ანალიზის ფონზე, დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ავტორისეული დებულებების მცდარობა. ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით არანაკლებ მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ გიორგი ძიძარია, ენათმეცნიერი, პროფესორი ხუხუტი ბლაჟბა, აგრეთვე არქეოლოგი გიორგი შამბა, განსაკუთრებით კი (რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს ეს დღეს) მომავალში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი იური ვორონოვი, რომელსაც ექსტრემისტებმა ასევე (როგორც ამ სტრიქონების ავტორს) ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს. ამ განხილვის ერთგვარი ანგარიში (მომზადებული გ. ძიძარიასა და ზ. ანჩაბადის მიერ) ერთდროულად გამოაქვეყნა ავტონომიური რესპუბლიკის სამივე წამყვანმა გაზეთმა-ოფიციალმა („*Советская Абхазия*“, „*აფხნი-ყაფშ*“-ი, „*საბჭოთა აფხაზეთი*“). გამოქვეყნებულ მასალაში, მთლიანობაში, აქცენტები სწორად იყო დასმული და წიგნი კრიტიკულად იყო შეფასებული, რამაც აფხაზური ინტელიგენციის სეპარატისტუ-

\* განსაკუთრებით აგრესიულად შეხვდნენ ისინი ამ სტრიქონების ავტორის (მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსის) გამოსვლას, რომელმაც (სხვათა შორის, იქ დამსწრე ქართველ ისტორიკოსთაგან ერთადერთმა) წარმოადგინა შ. ინალ-იფას წიგნში განვითარებული ზოგიერთი მცდარი დებულების კრიტიკული ანალიზი.

ლად განწყობილი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. აი, სწორედ მაშინ დაიწყო გამოცოცხლება სეპარატისტულ წრეებში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი პრელუდია იყო. მთავარი მოვლენები კი მოგვიანებით, 1977 წლის მიწურულიდან განვითარდა.

სეპარატისტთა ახალი გამოსვლის დრო შემთხვევით არ იყო შერჩეული. 1977 წლის 7 ოქტომბერს, როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების პროექტებზე. ამით ისარგებლეს სეპარატისტების ლიდერებმა და სახელდახელოდ შეაკოწიწეს ახალი წერილი-საჩივარი, რომელიც 1977 წლის 10 დეკემბერს გაუგზავნეს სსრ კავშირის მე-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-8 სესიის პრეზიდიუმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ იასნოვს.

წერილ-საჩივარს ხელი მოაწერეს აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა (სულ 130-132 კაცმა). მასში კვლავ იყო წამოყენებული ის ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მისამართით, რომლებზედაც 50-იანი წლებიდან დაწყებული პერიოდულად კეთდებოდა აქცენტები. ამასთან, წამოყენებულ იქნა ახალი თეზისიც. სეპარატისტები დისკრიმინაციად თვლიდნენ იმ გარემოებას, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს, მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, არ ჰქონდათ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკიდან გამოსვლის უფლება და მოითხოვდნენ ამ კონსტიტუციური უფლების ავტონომიური რესპუბლიკებისათვისაც მინიჭებას. ამავე დროს, წერილი-საჩივრის ავტორები შეახსენებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობას, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს აფხაზეთის რევკომმა დააყენა აფხაზეთის სსრ-ის უშუალოდ რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი (აი, რატომ იყო საჩივრის წერილის ერთ-ერთი ადრესატი რსფსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი პირი – მ. იასნოვი).

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად აფხაზეთის საჩივრის განხილვა და ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს გადაუგზავნა, რამაც სეპარატისტების აღშფოთება გამოიწვია. მათ „დაბომბეს“ კიდეც საპროტესტო დეპეშებით ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლებო ინსტანციები, მაგრამ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურო არ აპყვავა სეპარატისტების კაპრიზებს და თავის სხდომაზე (1978 წლის 22 თებერვალს) მკაცრი და პრინციპული შეფასება მისცა წერილი-საჩივრის ავტორთა დესტრუქციულ ქმედებებს. მოსკოვში უსაფუძვლო საჩივრის გაგზავნა შეფასდა, როგორც „**Возмутительный факт, результат беспринципности и либерализма допуславшихся прежде в аналогичных случаях**“.<sup>50</sup> იგივე შეფასება მისცა აღნიშნულ ფაქტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი (1978 წლის 24 თებერვალი), რის შედეგადაც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, სკკპ-ს რიგებიდან გაერიცხა წერილი-საჩივრის ის ავტორები, რომლებსაც ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები. კერძოდ, სკკპ-ის რიგებიდან გარიცხეს ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორი ა. ჯენია, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი იური არგუნი, გუდაუთის რაიონული გაზეთის „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე ახუბა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ამგვარი მკაცრი კურსი არ იქნა მოწონებული ცენტრში, სადაც აშკარად გაღიზიანდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თამამი მოქმედებით. მოსკოვს უნდა მოეხდინა საქართველოს ხელმძღვანელობისთვის იმის დემონსტრირება, რომ ბოლო სიტყვა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისას სწორედ მას ეკუთვნოდა და არა თბილისს. თავის მხრივ, ელუარდ შევარდნაძემ და მისმა გუნდმაც ვერ შეძლო ჯეროვანი სიმტკიცის გამოჩენა და კრემლის ზეწოლის შედეგად უკან დაიხია. ვ. ხინთბა დემონსტრაციულად გაათავისუფლეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. ამავე დროს სკკპ-ს რიგებში აღადგინეს აღ-

რე პარტიიდან გარიცხული პირები. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებმა მაინც ვერ მიაღწიეს გადამწყვეტ წარმატებას და ვერ მოახერხეს აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელის პოსტზე თავისი კანდიდატის გაყვანა. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ბორის ადლეიბა, პიროვნება, რომლის მიმართაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა არანაკლები სიმპათიით იყო განწყობილი, ვიდრე ვ. ხინთბასადმი.

კრემლის ხელმძღვანელობას არ მოეწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ სეპარატისტული ამბოხის ლიდერთა მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე და მოუწოდა საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს, შეერბილებინათ თავიანთი პოზიცია. უფრო მეტიც, ცენტრმა მიზანშეწონილად ჩათვალა, უშუალოდ ჩარეულიყო კონფლიქტში და სიტუაციაზე კონტროლი თავის თავზე აეღო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით აფხაზეთში მოსკოვიდან პასუხისმგებელ მუშაკთა გამოგზავნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საორგანიზაციო განყოფილების შეფის ივანე კაპიტონოვის მეთაურობით.

1978წ. 21 მაისს სოხუმში შედგა აფხაზეთის ასსრ-ის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: „აფხაზეთის ასსრ-ის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ“. კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ი. კაპიტონოვი, რომელმაც კატეგორიულად გამოირიცხა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან აფხაზეთის ასსრ-ის გამოსვლისა და მისი საკავშირო ფედერაციაში გაწევრიანების შესაძლებლობა. მან ასევე სამართლებრივად მიუღებლად ჩათვალა სსრ კავშირის კონსტიტუციაში სპეციალური ჩანაწერის გაკეთება, რომლითაც ავტონომიურ რესპუბლიკებს (მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად) მიენიჭებოდათ მოკავშირე რესპუბლიკებიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება. „У нас в стране (ე. ი. სსრ კავშირში მთლიანად – ზ.პ.) 20 автономных республик, – აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, – Сейчас в каждой из них опубликованы и широко обсуждаются проекты

новых конституций... нигде ни в одной из автономных республик не выдвигается подобных требований или каких-либо других вопросов, идущих вразрез с конституцией СССР, конституциями союзных республик“.<sup>51</sup>

სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-იდან რსფსრ-ის შემადგენლობაში გადასვლის თაობაზე დაფიქსირდა ი. კაპიტონოვის გამოსვლაში, ქ. სოხუმში, ლენინის მოედანზე სეპარატისტების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინაშე, რამაც ამ უკანასკნელთა რისხვა გამოიწვია. მათ შეაწყვეტინეს სიტყვა მაღალჩინოსან მოსკოველ სტუმარს. მომიტინგეებმა არ მოუსმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ელუარდ შევარდნაძესაც. სიტუაცია მოედანზე უკიდურესად დაიძაბა, რის გამოც ი. კაპიტონოვი და ე. შევარდნაძე იძულებულნი შეიქნენ, სასწრაფოდ გასცლოდნენ იქაურობას.

მიუხედავად ასეთი ზღვარგადასული გამოხდომებისა, მაშინ მაინც მოხერხდა სეპარატისტების დამშვიდება და აფხაზეთის ასსრ-ის ახალი კონსტიტუცია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ „ერთხმად“ მიიღო. მასში, რასაკვირველია, არავის შეუტანია ჩანაწერი ავტონომიური რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლების შესახებ. არ დაკმაყოფილდა აგრეთვე სეპარატისტების მეორე მოთხოვნა – აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციიდან ამოღოთ ჩანაწერი ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის (აფხაზურთან და რუსულთან ერთად) შენარჩუნების თაობაზე. და მაინც, ამ დროს კონფლიქტი საბოლოოდ არ ჩამცხრალა.

1978 წლის შემოდგომაზე კვლავ დაიძაბა ვითარება აფხაზეთში. ამჯერად აფხაზური მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის ახალი ვნებათაღელვის საბაბად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველის – იუზა უბილაგას დანიშვნა იქცა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე სეპარატისტები კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის სამივე უმაღლეს თანამდებობაზე (საქართვე-



ლოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის) მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნას. სეპარატისტების ეს მოთხოვნა, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ქართველობის ეროვნული თავმოყვარეობის აბუჩად აგდება იყო, ვინაიდან ქართველები (აფხაზეთის მოსახლეობის 43%) რიცხვნობით სულ ცოტა 2,5-ჯერ მაინც აღემატებოდნენ აფხაზებს (აფხაზეთის მოსახლეობის 17%). უფრო შთამბეჭდავი იყო პროცენტული შეფარდება ქართველებსა და აფხაზებს შორის სკკპ წევრთა რაოდენობის მხრივ.

მიუხედავად ამისა, ქართველებს არც ერთხელ (XXს. 60-70-იან წლებში) არ უსარგებლიათ ამ უპირატესობით და არ მოუთხოვიათ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის (ავტონომიური რესპუბლიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელის) თანამდებობაზე ქართველის „არჩევა“. აფხაზებიდან „ირჩევდნენ“ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურ მეთაურს – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. ქართველები სჯერდებოდნენ მხოლოდ ერთ – აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, მაგრამ სეპარატისტებს ეს პოსტიც არ ემეტებოდათ ქართველებისთვის. მათ ხელისუფლების უკლებლივ ყველა შტოს (60-70-იან წლებში, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ მხოლოდ აფხაზებს „ირჩევდნენ“) დასაკუთრება და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ეთნოდიქტატურის შექმნის დაუოკებელი სურვილი ამომრავებდათ. სეპარატისტებს შერჩეულიც ჰყავდათ თავიანთი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს იყო ვალერიან კობახია, რომელიც, მათი ღრმა რწმენით, ე. შევარდნაძემ 1975 წელს სრულიად უსამართლოდ გადააყენა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. ამით სეპარატისტები ცდილობდნენ, მიეღწიათ მათი კურსის გამტარებლად მიჩნეული ლიდერის პოლიტიკური რეაბილიტაციისათვის, რაც ხალხის თვალში კიდევ უფრო ასწევდა მათ რეიტინგს.

1978 წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ტყვარჩელში და გაგრაში) აგრეთვე სოფლებში, მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები. მოხდა სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების ერთი ნაწილის პარალიზება. შეწყვიტეს მეცადინეობები სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა. სტუდენტი ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობის ფაქტობრივი ინსპირატორები და წარმმართველები იყვნენ პედაგოგიური ინსტიტუტის სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები. ისინი არათუ არ ასრულებდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების დავალებას და არ მოუწოდებდნენ სტუდენტებს, დაბრუნებოდნენ აუდიტორიებს, არამედ დაბეზლებისა და ბინძური პროვოკაციების მეშვეობით ყოველნაირად ცდილობდნენ, არ მიეცათ თავიანთი კოლეგებისათვის სტუდენტებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის საშუალება\*.

და მაინც, სეპარატისტები იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ. მათ ვერ მოახერხეს გაემეორებინათ ის, რაც მოახერხეს იმავე წლის მაისში. მაშინ ნაციონალ-სეპარატისტული ძალების ზეწოლის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად უკვე არჩეული ქართველის გალაქტიონ ნაჭყებიას ნაცვლად ამ თანამდებობაზე სახელდახელოდ დანიშნა აფხაზი ასტიკო გვარამია, რომელიც მანამდე გუდაუთის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მუშაობის პრაქტიკაში, რომელმაც ერთნიშნად დააფიქსირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ე. შევარდნაძის სისუსტე. 1978

---

\* კერძოდ, მათი პროვოკაციული თავდასხმების ქვეშ მოჰყვა ამ სტრიქონების ავტორი (იმჟამად პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე), რომელსაც უშიშროების სამსახურის წარმომადგენლის წინაშე მოუხდა თავის მართლება საპროტესტო აქციაში ჩართულ აფხაზ სტუდენტებს შორის ჩატარებული „ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის“.

წლის სექტემბერში სეპარატისტებმა ფაქტობრივად ანალოგიური სცენარი გაითამაშეს, მაგრამ ამჯერად მათ ვერ მიაღწიეს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული იუზა უბილავას თანამდებობიდან განთავისუფლებასა და მისი სოხუმიდან გაწვევას. თუმცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მაინც წავიდა გარკვეულ დათმობაზე. თბილისმა დააკმაყოფილა სეპარატისტების კაპრიზი და მოახდინა ვალერიან კობახიას პოლიტიკური რეაბილიტაცია. ეს უკანასკნელი აირჩიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (ბაგრატ შინკუბას ნაცვლად), რის შემდეგაც ვ. კობახია კვლავ იქცა აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის წამყვან ფიგურად. ამით, სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგებმა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის მორიგი რაუნდი მოგებულად ჩათვალეს და უნდა ითქვას, რომ არცთუ უსაფუძვლოდ.

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა აფხაზეთში ახალი გართულებების შიშით, სულ უფრო თმობდა ინიციატივას, რითაც უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულმა ძალებმა, რომლებმაც აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე თანდათანობით კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. სეპარატისტების მთავარ იდეოლოგიურ იარაღად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება: „*О мерах дальнейшего развития экономики и культуры Абхазской АССР*“. ეს დადგენილება ფაქტობრივად იმეორებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას: „*О мерах по дальнейшему развитию экономики и культуры Абхазской АССР, усилению организаторской и идейно-воспитательной работы среди трудящихся автономной республики*“. მაგრამ აქ არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს არსებითმა განსხვავებამ ფორმულირებებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანალოგიური დადგენილებისაგან განსხვავებით, რატომღაც არ მიიჩნიეს აუცილებლად ყურადღების გამახვილება „*აფხაზეთის მშრომელებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობი-*

თი მუშაობის გაძლიერების“ აუცილებლობაზე. სრულიად აშკარა იყო, რომ ამით კრემლი თვალებს ხუჭავდა იმ გამაღებულ ნაციონალისტურ პროპაგანდაზე, რომელსაც ეწეოდა აფხაზურ მოსახლეობაში ე.წ. „იატაკქვემა საოლქო კომიტეტი“ და ფაქტობრივად, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე მთელ პასუხისმგებლობას თბილისს აკისრებდა. ე. ი. გამოდიოდა ისე, რომ სეპარატისტების პროტესტი გამართლებული იყო და მათ მოთხოვნებში არაფერი იყო ანტიკონსტიტუციური, აქედან გამომდინარე კი არავითარი პრობლემა არ არსებობდა მშრომელებთან „იდეურ-აღმზრდელობითი“ მუშაობის სფეროში.

ასეთ ვითარებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ფაქტობრივად ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის პროპაგანდით შემოიფარგლა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა გაგრის პარტიული აქტივის კრებაზე 1980 წლის 16 აგვისტოს. „Когда появляются люди, – აღნიშნავდა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელი, – которые ведут себя неправильно, а иногда вызываяще, не желая подчиниться общепринятым и признанным правилам, когда под угрозу ставится самое дорогое и самое заветное для всех нас – дружба и братство народов, тогда мы готовы проявить самую большую твёрдость, непоколебимость. Тот, кто становится на путь всевозможных националистических отклонений и шовинистических проявлений любого толка, пусть не забывает, что это опасный путь, он к добру не приведёт“.<sup>52</sup> სამწუხაროდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა საქმით დაედასტურებინა ეს „დიდი სიმტკიცე და ურყევობა“ აფხაზური სეპარატიზმის გათავხედებული ლიდერებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით „აიშვეს თავი“ 1978 წლის „გამარჯვების“ შემდეგ. ამავე დროს, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები „ხმალამოღებული“ ებრძოდნენ ქართველთა მხრიდან აფხაზი სეპარატისტების ნაციონალისტური და სეპარატისტული გამოხდომების აღკვეთისაკენ მიმართულ ნებისმი-

ერ ქმედებას.

დაიწყო ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების დევნა. დააპატიმრეს გაგრის ქართული პატრიოტული ძალების ერთ-ერთი ლიდერი არკადი მარკოზია. ყოველივე ამან აღავსო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა და მათ, პირველად საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აღიმაღლეს ხმა სეპარატისტთა თარეშის წინააღმდეგ. მომზადდა მიმართვა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ელუარდ შევარდნაძის სახელზე. მიმართვას ხელი მოაწერა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის 338-მა წარმომადგენელმა.

ე.წ. „ქართული წერილის“ ავტორები მოითხოვდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებას და „აფხაზეთში პროვოკაციული ანტიქართული მოძრაობისათვის“ შესაბამისი პარტიული შეფასების მიცემას<sup>53</sup>. წერილში მოყვანილი იყო ქართველთა შევიწროების, ერთა შორის შუღლის გაღვივების კონკრეტული ფაქტები. ამ კუთხით გამახვილებული იყო ყურადღება 1979 წელს აფხაზეთის უნივერსიტეტში მომხდარ ფაქტზე. მაშინ უნივერსიტეტში სეპარატისტების მოწვევით საჯარო ლექცია წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბჭოთა კავშირის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვინძე გიორგი ტრაპეზნიკოვმა. ამ მოსკოველმა „ექსპერტმა“ უხეშად გააყალბა საქართველოს ისტორია და აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში საქართველო და ქართველები დაადანაშაულა\*.

---

\* უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტრაპეზნიკოვის ეს თავხედური გამოსვლა არ დარჩენილა იქ დამსწრე ქართველი პროფესორ-მასწავლებლების რეაგირების გარეშე. ზოგიერთმა მათგანმა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმა, სპეციალური წერილით მიმართა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, რომელშიც მხილებული იყო სეპარატისტების ამ ახლადმოვლენილი ქომაგის „გმირობანი“. მოგვიანებით ამ საქმეში ჩაერია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და გ. ტრაპეზნიკოვს სასწრაფოდ მოუწია საქართველოდან აბარგება.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პირველი ოფიციალური პროტესტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩა „ხმად მლადებლისა უდაბნოსა შინა“ და 80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სრული უნიათობის ფონზე, სეპარატისტული იდეოლოგიის ლიდერებს მიეცათ ანტიქართული პროპაგანდის ფართოდ გაშლის შესაძლებლობა. ამ კამპანიის მთავარ რუპორად იქცა ე.წ. „აფხაზური ტელევიზია“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების „პირმშო,“ რომელიც ეთერში მხოლოდ აფხაზურ და რუსულ ენებზე გადიოდა.

## თავი VII. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XXს. 80-იან წლებში

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის 80-იანი წლების I ნახევარში. XXს. 80-იანი წლების I ნახევარი, როგორც ცნობილია, სსრ კავშირში პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხშირი ცვლით აღინიშნა. ამ ფონზე რამდენადმე გამოცოცხლდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გამონაკლისს არ წარმოადგენდა აფხაზეთი, სადაც სეპარატისტულმა ძალებმა დაიწყეს აქტიური მზადება ახალი ბატალიებისათვის. 1984წ. მოსკოვში გაიგზავნა მორიგი მიმართვა. მისი ადრესატები იყვნენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კონსტანტინე ჩერნენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ სოლომენცევი. „მიმართვაში“ სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას ერთხელ კიდევ შეახსენებდნენ იმ „დარღვევებს“, რომლებსაც თითქოს სწადიოდა საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობა აფხაზეთის მიმართ. ამასთან, დოკუმენტში მოყვანილი იყო აფხაზეთში „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ დამახინჯების „ახალი ფაქტები“.

კერძოდ, მასში ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა აფხაზი „ეროვნული კადრების“ შევიწროება ქართველთა „მომალების“ ფონზე და თუ როგორ „აყალბებდნენ“ მრავალტანჯული აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს ქართველი მეცნიერები არა მარტო თბილისში, არამედ თვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებშიც კი\*. როგორც წინა „აფხაზური ამბოხების“ დროს, ისე ამჯერადაც აქცენტი კეთდებოდა ისტორიის ფაქტორზე, რის გამოც მათ შეუძლებლად მი-

\* ამ მხრივ საგანგებოდ იყო აღნიშნული ამ სტრიქონების ავტორის „ძირგამომთხრელი საქმიანობა“.

ანდათ აფხაზეთის ასსრ-ის დარჩენა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზ ხალხს გააჩნდა საკუთარი, საერთო-ქართული ისტორიული პროცესისაგან სრულიად მოწყვეტილი ისტორია, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, საკუთარი ეროვნული ქრისტიანული ცივილიზაცია.

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ზღვარგადასულ ანტიქართულ პროპაგანდისტულ კამპანიას ფეხს უწყობდნენ სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები რუსული შემოქმედებითი თუ სამეცნიერო წრეებიდან. 80-იან წლებში ახალი იმპულსი მიეცა ლენინგრადელი ფილოლოგის პროფ. გიორგი ტურჩანინოვის „მეცნიერული ფანტაზიების“ პოპულარიზაციას. თავის დროზე (XXს. 60-იან წლებში), რუსული ენათმეცნიერების ამ „კორიფემ“ გააკეთა სენსაციური „აღმოჩენა“ – თანამედროვე აფხაზურ ენაზე გაშიფრა ე.წ. „მაიკოპის ფილის წარწერები“. მაგრამ გ. ტურჩანინოვი მხოლოდ ამას არ დასჯერდა და „მაიკოპის ფილის წარწერა“, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს მიღწევად – ანბანური დამწერლობის უძველეს ძეგლად გამოაცხადა.

გ. ტურჩანინოვის ეს ზღაპარი, ბუნებრივია, მაშინათვე აიტაცეს აფხაზმა ნაციონალ-სეპარატისტებმა და დაიწყეს მისი ფართო რეკლამირება აფხაზურ მოსახლეობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ვაჟი, ცნობილი რუსი მწერალი (ხაზს ვუსვამთ **რუსი** და არა აფხაზი) გიორგი გულია (ის არათუ ვერ წერდა აფხაზურად, არამედ საერთოდაც არ იცოდა „მშობლიური“ აფხაზური ენა), რომელმაც ამ საკითხზე „*Литературная газета*“-ს (რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიც ის იყო) ფურცლებზე გამოაქვეყნა რამდენიმე პოპულისტური ხასიათის წერილი. ამ პუბლიკაციების (მოგვიანებით მწერალმა ის თავისი თხზულებების კრებულშიც შეიტანა) ლაიტმოტივი იყო მსოფლიოსათვის ემცნოთ, რომ აფხაზები არიან უძველესი ანბანური დამწერლობის შემქმნელები.

ეს აზრი კიდევ უფრო განავითარა ცნობილმა რუსმა ლიტერატურათმცოდნემ, მოგვიანებით ველიკორუსულ-ფაშისტური იდე-



ოლოგიის ერთ-ერთმა მებაირახტრემ ვადიმ კოჟინოვმა, რომელმაც პოპულარულ საკავშირო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია აფხაზი ხალხის ისტორიულ გამორჩეულობაზე. ამ ვითომ მეცნიერ-ფილოლოგმა ანბანური დამწერლობის უპირობო შემქმნელებად თანამედროვე აფხაზთა წინაპრები მიიჩნია. მისი „გენიალური“ მიგნებით, თურმე ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულში ფინიკიელ ზღვაოსნებს შავი ზღვის ნაპირებიდან წაუსხამთ აფხაზი ტყვეები, რომლებსაც გაუნდვიათ კიდევ თავიანთი გამტაცებლებისათვის ანბანური დამწერლობის საიდუმლოება. სწორედ აფხაზი ხალხის მიერ გაწეული ამგვარი „კულტურული ექსპორტის“ შედეგი ყოფილა მანამდე მსოფლიოში უძველეს ანბანურ დამწერლობად მიჩნეული ფინიკიური ანბანი, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო მსოფლიოს სხვა ცივილიზებული ხალხების დამწერლობებს.

მაღალგანვითარებული წერილობითი კულტურის მქონე აფხაზებს კი თურმე შეუქმნიათ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფო. თავდაპირველად ეს ყოფილა კოლხეთის სამეფო, ხოლო მოგვიანებით, ადრეულ შუა საუკუნეებში – „აფხაზთა“ სამეფო. განა შესაძლებელია, – სვამს კითხვას ძველი ცივილიზაციების „ყოვლისმცოდნე ექსპერტი“ ვ. კოჟინოვი, – რომ ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორც „აფხაზთა“ სამეფო იყო, არ ჰქონოდა თავისი ეროვნული წერილობითი კულტურა? ვერაფერს იტყვი, საგსებით ლოგიკური კითხვაა. მართლაც, წარმოდგენელია „აფხაზთა“ სამეფოს არ ჰქონოდა ეროვნული წიგნიერება და წერილობითი კულტურა, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ეს წერილობითი კულტურა იყო არა აფხაზურ-აფსუური, როგორც ეს ეჩვენებათ ტურჩანინოვებს, კოჟინოვებს და მათ კოლეგებს – რუსული ფილოლოგიური მეცნიერების „კორიფეებს“, არამედ ქართული.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რა მიზეზით იქცა (IX-X სს.-ში) ქართული ენა სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ერთადერთ ენად (ბერძნულის ნაცვლად) ქვეყანაში, რომელსაც „აფხაზთა“ სამეფოს სახელით იცნობენ. თავის დროზე ჩვენც საკმაოდ ამომწურავად გავაშუქეთ „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია და ვაჩვენეთ ამ დასავლურ-ქართული (ხაზს ვუსვამთ,

ქართული და არა აფხაზურ-ავსურ) გაერთიანების ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე<sup>1</sup>. ამდენად, კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება ამ საკითხზე სრულიად უადგილოდ მიგვაჩნია. რაც შეეხება ვ. კოჟინოვის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ქართველებმა აფხაზებს მოპარეს უძველესი დამწერლობა, რომელიც მათ მოგვიანებით (XIX ს.-ში) კეთილშობილურად დაუბრუნეს რუსებმა სლავურ-რუსული ალფაბეტის სახით, ეს უფრო ავადმყოფური ფანტაზიის სფეროდანაა და მას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ ლოგიკასთან. სამწუხაროდ, ვ. კოჟინოვი და მისთანები ყოველგვარი ლოგიკისა და არგუმენტაციის გარეშეც ახერხებდნენ რიგითი აფხაზების გაბრიყვებას და მათ ეროვნულ გრძნობებზე თამაშს.

აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლით, ფილოლოგების გარდა, დაინტერესდნენ რუსი ისტორიკოსებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო ვინმე იაკობ ფიოდოროვი, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის თანამშრომელი, რომელმაც 1983 წ. გამოსცა წიგნი: „*Историческая этнография Северного Кавказа*“. ამ ნაშრომში „კოლხური კულტურის“ შემქმნელებად გამოცხადებულნი იყვნენ აფხაზურ-ადილური ტომები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი (გ. ტურჩანინოვის მოგონილი) წერილობითი კულტურა.

80-იან წლებში აფხაზეთში მიმდინარეობდა რუსული „მეცნიერების“ ამ და სხვა „მიღწევების“ ფართო პროპაგანდა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი „მოღვაწეების“ მხრიდან. თავის მხრივ, აფხაზი მეცნიერებიც ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ რუს კოლეგებს, მაგრამ გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტების – ზურაბ ანჩაბაძის (გარდაიცვალა 1984 წელს) და გიორგი ძიძარიას (გარდაიცვალა 1988 წელს) სიცოცხლეში ისინი მაინცდამაინც ვერ ახერხებდნენ თავიანთი ფანტასტიკური „მიგნებების“ ფართო ასპარეზზე გატანას. ასე, მაგალითად, 1984 წლის დასაწყისში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლების ინიციატივით

მოეწყო თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ალექსეი პაპასკირის მოხსენების – „*რუსული წერილობითი ძეგლების ტერმინ „ობეზის“ მნიშვნელობისათვის*“ – განხილვა.

მომხსენებელმა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, „აფხაზთა“ სამეფო აფხაზურ-აფსუურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, რომელსაც თითქოს უშუალო კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის კავშირ-ურთიერთობანი ჰქონდა ძველ რუსეთთან. უმეცრების ამ შემოტევის აღკვეთა მოხერხდა, პირველ რიგში, უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ზურაბ ანჩაბაძის მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკის შედეგად\* და სეპარატისტების ეს „ინიციატივა“ მთლიანად ჩაფლავდა. აღსანიშნავია, რომ 1977 წელს შ. ინალ-იფას წიგნის განხილვის შემდეგ, ეს იყო მხოლოდ მეორე შემთხვევა, როდესაც საჯაროდ იქნა გაკრიტიკებული აფხაზი მეცნიერის ნაშრომი, უფრო მეტიც, ამ განხილვის შემდეგ შეჩერებულ იქნა ა. პაპასკირის ნაშრომის პუბლიკაცია. სხვა შემთხვევებში აფხაზები პრაქტიკულად უპრობლემოდ აქვეყნებდნენ „შრომებს“, რომლებშიც გაყალბებული იყო ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსული\*\* და ეს მაშინ, როდესაც ქართველ მეცნიერთა ნებისმიერი მცდელობა, საკადრისი პასუხი გაეცათ აფხაზ მეცნიერთა თავხედურ თავდასხმებზე, იმთავითვე აწყდებოდა გადაულახავ წინააღმდეგობას როგორც სოხუმის, ისე თბილისის სახელისუფლებო წრეების მხრიდან.

**„პერესტროიკის“ დასაწყისი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება აფხაზეთში. ლიხნის თავყრილობა – აფხაზეთში ახალი კრიზისის მთავარი მიზეზი. 1985**

\* მწვავე კრიტიკული გამოსვლა ჰქონდა ამ სტრიქონების ავტორსაც, რომლის მეცნიერული ობიექტურობის დისკრედიტაციის მიზნითაც იყო კიდევ ძირითადად მოწყობილი ა. პაპასკირის მოხსენების განხილვა.

\*\* აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, როდესაც სეპარატისტულმა განწყობილებებმა ერთიანად გაიმარჯვა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ა. პაპასკირის ზემოხსენებული ნაშრომი (სხვა სათაურით) მაინც დაიბეჭდა. იხ.: **А. Л. Папаскири. Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей.** – *Труды АГУ*, т. VI. Сухуми, 1988.

წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მორიგი ცვლა მოხდა. ამჯერად ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა შედარებით ახალგაზრდა და ენერგიული მიხეილ გორბაჩოვი, რომელმაც ახალი პოლიტიკური კურსის – „პერესტროიკის“ დაწყება გამოაცხადა. „პერესტროიკა“, პირველ რიგში, გულისხმობდა ეკონომიკაში დრომოჭმულ, დოგმატურ სოციალისტურ დოქტრინებზე უარის თქმას და მის გადაყვანას მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე, აგრეთვე (და ეს მთავარია), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციას, „საჯაროობისა“ და სხვა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გზით.

სიტყვის თავისუფლებამ – საჯაროობის პოლიტიკისა და ზოგადად „პერესტროიკის“ მთავარმა მონაპოვარმა, საზოგადოებას საშუალება მისცა, ღიად ემსჯელა მტკივნეულ პრობლემებზე. გაირკვა, რომ ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ ზეიმი სრული ბლეფი და თავის მოტყუება იყო და რომ „ეროვნული საკითხი“ საბჭოთა კავშირში სულაც არ ყოფილა მოგვარებული. „საჯაროობის“ პოლიტიკის ოფიციალურმა დეკლარირებამ, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა დემოკრატიულ განახლებას, რომელმაც საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. გაააქტიურეს თავიანთი საქმიანობა დისიდენტურმა წრეებმა; მოკავშირე რესპუბლიკებში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა. ამ მოძრაობის ავანგარდში საქართველოსთან ერთად აღმოჩნდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მოლდავეთი. ამ რესპუბლიკებში აღმოცენდნენ არაფორმალური ორგანიზაციები – სახალხო ფრონტები. საქართველოში პირველ არაფორმალურ ორგანიზაციად მოგვევლინა „*ილია ჭავჭავაძის საზოგადოება*“, რომელშიც გაერთიანდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცნობილი ლიდერი: აკაკი ბაქრაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, გია ჭანტურია და სხვ. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა დააფრთხო რადიკალური ოპოზიციური გაერთიანების შექმნამ, ამიტომაც სასწრაფოდ გადაიდგა ნაბიჯები საპირწონე ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც ერთგვარი ლიბერალური ოპოზიციის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ასეთ ორგანიზაციად განიხილებოდა „*სრუ-*

ლიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება“, მაგრამ ხელისუფლების ეს მცდელობა კრახით დასრულდა. „რუსთაველის საზოგადოება“, რომელსაც 1989 წლის გაზაფხულზე სათავეში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბაქრაძე ჩაუდგა, სრულიადაც არ გამოდგა მართვადი და სერიოზულ ოპონირებას უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მზარდი ეროვნული მოძრაობა არ მალავდა, რომ მისი საბოლოო მიზანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ამ დიდი ეროვნული ბრძოლის მთავარ ღოზუნგად აღებულ იქნა ილიასეული მოწოდება: „ენა, მამული, სარწმუნოება“, რომლის რეალიზაციის გზაზე პირველ ნაბიჯად იქცა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტის შემუშავება. მასში ერთნიშნად დაისვა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის როლისა და ფუნქციის ამალღების საკითხი. ეს განაცხადი საგანგაშო აღმოჩნდა სეპარატისტული წრეებისათვის აფხაზეთში და მათაც ღიად დაიწყეს თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა.

ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაება გიორგი ჭანტურიას მიერ აღდგენილი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. სწორედ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო ინიციატორი პირველი საყოველთაო საპროტესტო აქციისა 1988 წლის ნოემბერში, რომელმაც შეძრა მთელი საბჭოთა კავშირი. აღნიშნული აქცია მიმართული იყო სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ. ამ ცვლილებებით სერიოზულად იზღუდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი. ქართველი ახალგაზრდობის საპროტესტო აქციამ, რომელიც მასობრივ შიმშილობაში გადაიზარდა, დაამინა ქვეყნის ხელისუფლება და ის იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ეს იყო ქართული ეროვნული მოძრაობის პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება. ამას არ შეიძლება არ შეემფოთებინა კრემლის ხელმძღვანელობა და საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა. მოსკოვმა სახელდახელოდ გადადგა ნაბიჯები საქართველოს ავტონომიურ ფორმირებებში – აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიურ ოლქში სეპარატისტული მოძრაობის გასაღვივებლად.

ის, რომ აფხაზთა და ოსთა ე.წ. „ეროვნული მოძრაობა“ მთლიანად ინსპირირებული იყო საკავშირო ცენტრის მიერ, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამას თითქმის დოკუმენტურად ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის – ქვეყნის მთავარი დამსჯელი სტრუქტურის უკანასკნელი შეფი ვადიმ ბაკატინი. აი, რას წერს სუკ-ის მოღვაწეობის ამ მიმართულებაზე ვ. ბაკატინი: „Комитет безопасности стоял у истоков создания «интернациональных фронтов» в союзных республиках, проявлявших строптивость в отношениях с центром. Порочная логика «разделяй и властвуй» стимулировала раскол общества в этих республиках на два непримиримых лагеря, приводила к обострению социальных напряженностей... Действовала схема: «не хотите подчиниться – получите интерфронт, который призовет к забастовкам, поставит вопрос о границах республики и о законности избранных там органов власти», а затем деятельность этих интерфронтов преподносилась комитетом госбезопасности как проявление «воли всего народа»“.<sup>2</sup> სწორედ ამ სქემით ამოქმედეს „ეროვნული მოძრაობები“ აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, სადაც ოფიციალურად გაფორმდა „სახალხო ფრონტები“ – „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“ („ერთიანობა“) და „აღამონ ნიხასი“ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“.

მაგრამ ვითარების გამწვავების პირველი სიმპტომები აფხაზეთში ჯერ კიდევ 1988 წლის გაზაფხულიდან შეინიშნებოდა. აფხაზი სეპარატისტები დააფრთხო ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებამ საქართველოში, რომელმაც მოიცვა არა მარტო ცენტრი, არამედ რეგიონებიც, მათ შორის, აფხაზეთიც. ავტონომიური რესპუბლიკის ქართულმა მოსახლეობამ, რომელიც ადრე (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტიურობით და რომელმაც აფხაზეთის მართვის სადავეები მთლიანად აფხაზურ ნომენკლატურას გადააბარა, ამჯერად ხმა ამოიღო. გააქტიურდნენ 1978-1980 წლებში „ქართული წინააღმდეგობის“ ლიდერები: ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა, არკადი მარკოზია, ნუგზარ მგალობლიშვილი, ბორის კაკუბავა, ან-

ზორ გვარამია, რამაზ კუპრავა, თემურ ლორთქიფანიძე და სხვ. ჩამოყალიბდა საერთო ქართული არაფორმალური გაერთიანებების ადგილობრივი რეგიონალური ორგანიზაციები, რომელთა შორის წინა პლანზე წამოიწია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ. საერთო-ქართულ ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო სტუდენტი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა.

ყოველივე ამან შეაშფოთა აფხაზი სეპარატისტები და მათ გადადგეს კიდევ კონკრეტული ნაბიჯები ვითარების თავიანთ კონტროლქვეშ ასაყვანად. აგორებულ იქნა ანტიქართული კამპანიის მორიგი ტალღა. სეპარატისტთა ანტიქართული იდეოლოგიური პროპაგანდა ამჯერადაც მთლიანად აგებული იყო ფარისევლურ ლოზუნგებზე „ლენინური ეროვნული პოლიტიკის უწმინდესი პრინციპებისა“ და სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი უძლეველობის დაცვის შესახებ<sup>3</sup>. მოსკოვი, რასაკვირველია, უმაღვე გამოეხმაურა „საბჭოთა სამშობლოზე“ გულდათუთქულ აფხაზ „მოდვაწეთა“ „გმირულ შემართებას“ და სათანადო „ინტელექტუალური“ დახმარება აღმოუჩინა მათ. 1988 წლის ივნისისათვის მოსკოველმა კონსულტანტებმა, „აფხაზ ამხანაგებთან“ ერთად, დაასრულეს მუშაობა ე.წ. „აფხაზურ წერილზე“ (მას ხელს აწერდა აფხაზური ინტელიგენციის 60 წარმომადგენელი), რომელიც გაეგზავნა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის პრეზიდიუმს.

„წერილს“ ერთვოდა ე. წ. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის“ მიზნები და ამოცანები. როგორც გამოარკვია ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებმა სოხუმელმა (ამჟამად მოსკოვში მოღვაწე) ისტორიკოსმა გრიგოლ ლეჟავამ, ე.წ. „აფხაზური წერილის“ პირვანდელი ვარიანტი ჯერ კიდევ 1985 წელს ქ. ჟელეზნოვოდსკში შეადგინა შემდგომ აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა ოდიოზურმა ფიგურამ იგორ მარხოლიამ (ამჟამად მარიხუბა), „ცენტრიდან მოგზავნილი“ პირის, გიორგი ტრაპეზნიკოვის\*

\* ეს ის გიორგი ტრაპეზნიკოვია, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს „ამღვრევედა წყალს“ აფხაზეთში.

„ბრძნული ხელმძღვანელობით“. ამ ერთობლივი „შედევრის“ ერთგვარ რეცენზენტ-რედაქტორად მოგვევლინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-იდეოლოგიური ცენტრის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი პარტიული „ბოსი“, წარმოშობით აფხაზი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტარას შამბა. დოკუმენტის საბოლოო ტექსტი კი დაიწერა 1988 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივნის ალმირ აბრეგოვის მიერ<sup>4</sup>.

„აფხაზური წერილი“, ბუნებრივია, არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. მიხეილ გორბაჩოვსა და მის გუნდს მაშინ აფხაზეთისთვის არ ეცალა. იქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები იდგა (კერძოდ, ურჩი ბორის ელცინის დიდი პოლიტიკიდან „მოკვეთა“). ამიტომ მოსკოვიდან აფხაზეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების რიგითი მუშაკის ვიქტორ რიაბოვის გამოგზავნას დასჯერდნენ. მან ადვილზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე დევი ფუტკარაძესთან ერთად, ჩაატარა სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, და აგრეთვე გულაუთისა და ოჩამჩირის რაიონების შრომით კოლექტივებთან. ამით ამოიწურა მაშინ ცენტრის რეაქცია აფხაზთა მორიგ „დაბეზლებაზე“.

ვითარება შეიცვალა 3-4 თვის შემდეგ, როდესაც ქართველი ახალგაზრდების ანტიიმპერიულმა გამოსვლებმა (პირველ რიგში, იგულისხმება ზემოთ ნახსენები ნოემბრის საპროტესტო აქცია თბილისში) შეაშფოთა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა. სწორედ მაშინ გაახსენდათ „ძველ მოედანზე“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეზიდენცია მოსკოვში) აფხაზთა პრეტენზიები თბილისისადმი<sup>5</sup> და მაშინვე შეუდგნენ სათანადო ნაბიჯების გადადგმას აფხაზეთში ძლიერი ანტიქართული ფრონტის შესაქმნელად. 1988 წლის ნოემბერში აფხაზური სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, სახელისუფლებო სტრუქტურებისა და, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მხარდაჭერით, გამოვიდა ინიციატივით და ფაქტობ-



რივად დააარსა პირველი აფხაზური „ეროვნულ-პატრიოტული“ ორგანიზაცია – „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“ („ერთიანობა“). ახალი ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე გახდა თავისი ნაციონალისტურ-სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილი აფხაზი მწერალი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ალექსი გოგუა. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში შევიდნენ რომან ჭანბა, ოლეგ დომენია, იგორ მარხოლია და სხვა იმ დროისათვის სეპარატისტულ ასპარეზზე უკვე „სახელმძხვრევილი მოღვაწენი“. 1988 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა ორგანიზაციის პროგრამა და წესდება.

ახლადშექმნილმა ორგანიზაციამ იმთავითვე გამოამჟღავნა თავისი აგრესიული ანტიქართული განწყობილებები. ამასთან, „აიდგილარას“ ლიდერები დემონსტრაციულად უდასტურებდნენ მოსკოვს თავიანთ ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი, წინააღმდეგ ქართული ეროვნული მოძრაობისა, რომელიც თავის უმთავრეს მიზნად სწორედ იმპერიის ნგრევასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას ისახავდა. ასეთ ვითარებაში, როგორც იტყვიან, „ინტერესთა კონფლიქტი“ გარდაუვალი იყო. ეს კარგად ესმოდათ ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც, რომლებიც იმთავითვე შეუდგნენ აფხაზებთან შერიგების გზების ძიებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი „არაფორმალების“ მიერ მოწყობილი პირველი მასობრივი აქცია სოხუმში 1988 წლის 3 დეკემბერს. ამ აქცია-მიტინგზე ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებმა: მერაბ კოსტავამ, ზურაბ ჭავჭავაძემ და სხვ. – მოუწოდეს აფხაზ თანამოძმეებს ერთობისა და თანხმობისაკენ. გამოითქვა სურვილი აფხაზებთან ერთად ახალი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შენებისა, რომელშიც აფხაზ ხალხს მიეცემოდა კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ყველა პირობა, თვითმმართველობის თვისობრივად ახალი დონე. მაგრამ ქართველ პატრიოტთა ამ მოწოდებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ ჰპოვა ადეკვატური გამოხმაურება აფხაზთა მხრიდან. უფრო მეტიც, ქართველი ახალგაზრდობის

ეს აქცია, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მიტინგის მონაწილეთა შორის საკმაოდ მრავლად იყვნენ თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, სეპარატისტების ლიდერთა მიერ გამოყენებულ იქნა აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების შექმნის მიზნით. ეს კალაქისთვის.

მაღე სეპარატისტები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ, რითაც კიდევ უფრო გაამწვავეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1989 წლის 7 თებერვალს გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „*ბზიფმა*“, რომელიც ამ დროისათვის „აიდგილარას“ პროპაგანდისტულ რუპორად იქცა, გამოაქვეყნა ე.წ. „აფხაზური წერილის“ სრული ტექსტი. ამით ოფიციალურად გაცხადდა სეპარატისტთა სურვილი, გამოეყვანათ აფხაზეთი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო სეპარატისტების მიერ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ წამოწყებული „დიდი შეტევისა“.

1989 წლის 14 მარტს „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა გუდაუთის რაიონული საბჭოს აღმასკომის (რაიონის ოფიციალური ხელისუფლების) თავმჯდომარეს და მისგან 18 მარტს ლიხნის ველზე „სახალხო თავყრილობის“ გამართვის ნებართვა ითხოვა. „თავყრილობას“ უნდა განეხილა „წინადადებათა პროექტი“ ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე<sup>6</sup>. ამგვარი აქციის ჩატარების მოტივად გამოცხადებული იყო ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამზადებდა საგანგებო პლენუმს ეროვნებათაშორის ურთიერთობებზე.

1989 წლის 18 მარტს, შაბათს, მზიან დღეს, სოფელ ლიხნში შედგა აფხაზეთა მრავალათასიანი თავყრილობა, რომელსაც სრული შემადგენლობით დაესწრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას მეთაურობით. „თავყრილობაზე“ მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსადმი „მი-

მართვის“ პროექტი, რომლის ქვეშაც თავისი ხელმოწერა დასვა აფხაზური ეროვნების უკლებლივ ყველა ხელმძღვანელმა, მათ შორის, ბ. ადღეიბამ და ვ. კობახიამ. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ითამაშა საბედისწერო როლი აფხაზეთში მოვლენების შემდგომ განვითარებაში. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, რომელიც მანამდე, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მაინცდამაინც არ იჩენდა პოლიტიკურ აქტიურობას, ერთბაშად გამოფხიზლდა და აფხაზური პოლიტიკური ელიტის ამ დემარშს მძაფრი საყოველთაო პროტესტით უპასუხა.

„ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებული გადაწყვეტილებები იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი „დაბეზღება“. სეპარატისტები აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში საქართველოსა და ქართველობას ადანაშაულებდნენ. დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში უხეშად ირღვეოდა „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“. „აფხაზთა თავყრილობის“ მონაწილეები კატეგორიულად სვამდნენ 1931 წელს დაშვებული „ტრაგიკული შეცდომის“ (როდესაც თითქოს „დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აფხაზი ხალხის ნების გარეშე, გადააკეთეს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში) დაუყოვნებლივ გამოსწორების საკითხს, ანუ აფხაზეთის ასსრ-ის ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანას, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ-ის, ისე საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებშიც ერთნიშნად იყო დადასტურებული და კონსტიტუციურად განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ის) ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა.

თავის დროზე – 1921-1931 წლების მოვლენების გაშუქებისას – ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით შევხებით ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის“ რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხს და, კონკრეტულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დამაჯერებლად ვაჩვენებთ, რომ ე.წ. „ხელშეკრულებითი აფხაზეთის სსრ“ არასოდეს არ წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებელ „მოკავშირე რესპუბლიკას“ და რომ „დე-ფაქტო“ ის, მთე-

ლი ამ პერიოდის განმავლობაში, ითვლებოდა ავტონომიურ ერთეულად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში<sup>7</sup>. უფრო მეტიც, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის მცდელობა (1925წ.), კონსტიტუციურად მოეწყვიტა აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსაგან, როგორც ცნობილია, სრული კრახით დასრულდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოზე მორიგი პასკვილის შეთითხვნას (როგორც ვიცით, ასეთი პასკვილები იწერებოდა ადრეც: 1957, 1967, 1978, 1984 წლებში) შეიძლება რაიმე სერიოზული გართულება არც გამოეწვია. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა „აფხაზურ საჩივრებს“ თბილისზე გავლენის შესანარჩუნებლად, მთლიანობაში, ის მაინც ერიდებოდა ურთიერთობების გამწვავებას საქართველოს ხელისუფლებასთან და ამიტომაც მაინც-დამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა აფხაზეთა დაბეზღებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელისუფლებისათვის და თვით აფხაზეთისათვის მოულოდნელად აფხაზეთის ქართული მოსახლეობისა და სრულიად საქართველოს აღშფოთება გამოიწვია.

**პოლიტიკური ვითარების გამწვავება აფხაზეთში ლიხნის თავყრილობის შემდეგ.** აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვის ინიციატივით გამოვიდნენ არაფორმალური ორგანიზაციები, რომელთა შორის ერთგვარ ფლაგმანად მოგვევლინა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ორგანიზაცია. სწორედ ამ ორგანიზაციის მესვეურობით დაიწყო მზადება მრავალათასიანი საპროტესტო აქცია-მიტინგის მოსაწყობად ქ. სოხუმში ლენინის მოედანზე, მთავრობის სახლის წინ. მიტინგი დაგეგმილი იყო 25 მარტისათვის, ლიხნის თავყრილობის ზუსტად ერთი კვირის თავზე. როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს სსრ-ის პარტიული ხელმძღვანელობა შემოფოთებით ადევნებდა თვალს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის „დუღილს“. თბილისიდან სასწრაფოდ მოავლინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი ცკ-ის მდივნის (იდეოლოგიის დარ-

გში) ნუგზარ ფოფხაძის მეთაურობით. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ნაპოლეონ ქარქაშაძის კაბინეტში შედგა ნ. ფოფხაძის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ზუხბაიას და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ზურაბ ერქვანიას შეხვედრა აფხაზეთის ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ნ. ფოფხაძემ მოუწოდა შეკრებილებს, არ აჰყოლოდნენ ემოციებს, გამოეჩინათ გონიერება და არ გადაეღვათ მკვეთრი ნაბიჯები, რასაც შეეძლო კიდევ უფრო დაეძაბა სიტუაცია აფხაზეთში. ფაქტობრივად, ეს იყო მცდელობა, გამოეთიშათ აფხაზეთის ქართული ინტელიგენცია საერთო-ეროვნული საპროტესტო მოძრაობიდან, მაგრამ ამ მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია. შეხვედრის მონაწილეებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი გენო კალანდია, საქართველოს სახალხო არტისტი ღიმიტრი ჯაიანი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოც. შამილ ცხვედიანი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები: მურმან ბერია, ზურაბ პაპასქირი, – ერთნიშნად აგრძნობინეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ამიერიდან უკვე არ მოითმენდა ეროვნული ღირსების შელახვას და რომ ის კონსტიტუციის ფარგლებში საკადრის პასუხს გასცემდა სეპარატისტებს.

ხელისუფლებამ აწონ-დაწონა სოხუმში შექმნილი სიტუაცია და ვითარების შემდგომი შესაძლო გართულების შიშით, უფრო კეთილგონივრულად ჩათვალა ორგანიზატორებისათვის მიტინგის ჩატარების ნება („დე-ფაქტო“) დაერთო. შეიქმნა მიტინგის მომწიფობი ორგანიზაციები, რომელშიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ არაფორმალური. თბილისიდან ჩამოვიდნენ მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, ქართული ეროვნული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილობრივ არაფორმალურ ლიდერებთან: ვლადიმერ (ვოვა) ვეკუას-

თან, ჯონი ლატარიასთან, ანზორ გვარამიასთან, ნუგზარ მალობლიშვილთან და სხვებთან ერთად ფაქტობრივად წარმართეს მთელი მოსამზადებელი მუშაობა. ორგკომიტეტის ერთგვარი შტაბი განთავსებული იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის თანამშრომლის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრის დავით ჩიტაიას ბინაზე.

სიტუაციას განსაკუთრებით ამწვავებდა ის გარემოება, რომ მიტინგის მომდევნო დღეს – 26 მარტს დანიშნული იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნები. იყო საშიშროება ამ არჩევნების ჩაშლისა აფხაზეთში, რასაც შეიძლებოდა კრიზისის უკიდურესად გამწვავება მოჰყოლოდა. ასეთ ვითარებაში, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ არათუ არაფერი იღონა დაძაბულობის განსამუხტავად, არამედ, პირიქით, მეტად მოუფიქრებელი, წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში – გაზეთებში „აფსნი ყაფშსა“ და „Советская Абхазия“-ში ერთდროულად, დემონსტრაციულად, გამოაქვეყნა ლიხნში მიღებული დოკუმენტების რედაქტირებული ვარიანტი. ეს კი ფაქტობრივად ანთებულ ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავდა, რომელიც შეიძლებოდა გადაზრდილიყო ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებაში.

1989 წლის 25 მარტს სოხუმში შედგა ქართული მოსახლეობის მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. როგორც უკვე აღინიშნა, თავიდან მიტინგი დაგეგმილი იყო ქალაქის ცენტრალურ (ლენინის) მოედანზე, მაგრამ ხელისუფლებამ გადაკეტა მოედნის მისასვლელები და არ გაატარა იქითკენ მიტინგის მონაწილენი, ამიტომ მიტინგის ადგილად სახელდახელოდ შეირჩა კიროვისა და ორახელაშვილის ქუჩების გადაკვეთის ადგილი, სადაც შეიკრიბა დაახლოებით 10 ათასამდე კაცი. მიტინგზე გამოვიდნენ: მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ვოვა ვეკუა, დიმიტრი ჯაიანი, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე და სხვ. მათ დაგმეს სეპარატისტთა ქმედებანი და მოუწოდეს აფხაზ ხალხს, არ ელაღათა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და მეგობრობისათვის. ამასთან, გამოძვლელებმა გააკრი-

ტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საქმიანობა და, რაც მთავარია, კრემლის იმპერიული პოლიტიკა. გაისმა მოწოდებები, 26 მარტის არჩევნებზე არ მიეცათ ხმა დეპუტატობის იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც მოაწერეს ხელი „ლიხნის მიმართვას“. მიტინგმა მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

იმავე დღეს მრავალათასიანი მიტინგი შედგა გალის ცენტრში. საპროტესტო აქციები გაიმართა აფხაზეთის სხვა რაიონებშიც. ქართული მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობის მასშტაბებმა დააფრთხო სეპარატისტები და მათ უმაღლვე გადადგეს საპასუხო ნაბიჯები. სეპარატისტთა ლიდერებმა სახელდახელოდ შეთითხნეს მორიგი „დაბეზლება“ – დეპეშა-საჩივარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის სახელზე. დეპეშაში საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ სოხუმში გამართული მიტინგი მიმდინარეობდა „с применением меньшевистской символики и националистическими призывами, носящими антисоветский, антирусский и антиабхазский характеры“.<sup>8</sup> დეპეშა-საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ „подобные несанкционированные антисоветские, националистические выступления провоцируют ответные действия“ და რომ „усилиями руководства „Народного Фронта“ Абхазии пока удастся сдерживать ответную реакцию. Сложившаяся ситуация, – ასკვნიდნენ სეპარატისტთა ლიდერები (ამ დეპეშას ხელს აწერდნენ ალექსი გოგუა, ჯუმა ახუბა, ვალერი კვარჩია, სერგეი შამბა, ოლეგ დომენია), – требует безотлагательного вмешательства ЦК КПСС и высших органов власти в целях нормализации обстановки в Абхазии“.<sup>9</sup>

მაგრამ ამ ხასიათის „დაბეზლებებით“ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მართლაც, მალე დაიწყო ახალი აქციები აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელობის სეპარატისტული ქმედებების წინააღმდეგ. ყველაზე მასშტაბური ამ აქციებიდან იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ მიერ 1989 წლის 1 აპრილს ლესელიძეში მოწყობილი საპროტესტო მიტინგი. მასში, ადგილობრივი

ქართველობის გარდა, მონაწილეობა მიიღო სოხუმის სტუდენტი ახალგაზრდობის ფართო წარმომადგენლობამ. ლესელიძიდან მობრუნებულ სტუდენტებს ჯერ სოფელ ბზიფთან, ხოლო შემდეგ ახალ ათონთან თავს დაესხა აფხაზთა ბრბო, რომელსაც აგულიანებდა საქართველოს კომპარტიის გულაუთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი კონსტანტინე ოზგანი. ამ თავდასხმის შედეგად დაიჭრა და სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო 10-მა ახალგაზრდამ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ავტობუსში, რომელიც გააჩერეს სეპარატისტებმა, იყვნენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები. ისინი ბრუნდებოდნენ გულაუთიდან (გასვენებიდან) და არაფერი ჰქონდათ საერთო ლესელიძის აქციასთან.

ინფორმაცია სეპარატისტების მიერ ლესელიძის მიტინგის მონაწილეთა ავტობუსების დარბევის შესახებ უმაღლეს მთელ საქართველოს და ერთბაშად დაძაბა სიტუაცია მთელს რესპუბლიკაში. 2 აპრილს სოხუმში კვლავ შედგა (ამჯერად უკვე სტიქიურად) მიტინგი, რომელზეც გამოვიდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე. მან დაგმო სეპარატისტების პროვოკაციული გამოხდომა და მოუწოდა შეკრებილებს, არ აჰყოლოდნენ ემოციებს და არ მოენდომებინათ ანალოგიური მეთოდებით პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, ქ. სოხუმში ვითარება სულ უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა. პროტესტის ნიშნად მეცადინეობები შეწყვიტეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა.

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა შეაშფოთა აფხაზეთში დაწყებულმა პროცესებმა და ვითარების განმუხტვას სოხუმში ვოიაჟით შეეცადა. აპრილის პირველ რიცხვებში სოხუმში შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროების ერთობლივი სხდომა, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ აფხაზური და ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. თავდაპირველად ქართული მხარე უარს აცხადებდა (აფხაზებთან ერთად) დახურული პარტიული ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე და ცალკე ითხოვდა აუდიენციას საქართ-



ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯუმბერ პატიაშვილთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა დემონსტრაციულად იუარა ქართველების ცალკე მიღება, რის შედეგადაც ქართული წარმომადგენლობა იძულებული შეიქნა, დაგვიანებით შესულიყო დარბაზში. სხდომას თავმჯდომარეობდა ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის ლიდერების გარემოცვაში ერთგვარად დაბნეულად გამოიყურებოდა და მოთმინებით ისმენდა მათ „დაბეზღებებს“ ქართული მოსახლეობის „დესტრუქციული ქმედებების“ გამო. აფხაზური ინტელიგენციის „მაშები“ თავიანთ „მაღალფარდოვან“ გამოსვლებში ერთნიშნად აცხადებდნენ, რომ აფხაზეთი არის მათი სამშობლო და მის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე ფიქრი მხოლოდ აფხაზი ხალხის პრეროგატივაა და რომ ქართველებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ცდილობდნენ, როგორცაა მოეთვალათ აფხაზთა ემოციები და ურჩევდნენ მათ, არ დაეყენებინათ საქართველოს სსრ-დან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ყველაზე აქტიურად (შეიძლება ითქვას, ერთგვარი აგრესიითაც) უტევდა აფხაზებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (მოსკოვის არაოფიციალური ემისარი) ბორის ნიკოლსკი. ის ღიად და მოურიდებლად აკრიტიკებდა სეპარატიზტების ქმედებებს და ყურადღებას ამახვილებდა ლიხნში მიღებული გადაწყვეტილებების ანტიკონსტიტუციურობაზე. სხდომის მონაწილე აფხაზები, როგორც იტყვიან, „ხმალოდობით“ ხვდებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნებისმიერ მცდელობას, გადაეყვანათ საუბარი კონსტრუქციულ ჭრილში და არ აძლევდნენ მათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ზღვარგადასულად იქცეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულაის სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ახლადდანიშნული დირექტორი, უკვე საბჭოთა კავშირის სახალხო

დეპუტატი ვლადისლავ არძინბა\*.

ვ. არძინბას თავხედური მოქცევით აღშფოთებულმა ქართველებმა, პოეტ ჯანო ჯანელიძის მოწოდებით, პროტესტის ნიშნად დატოვეს სხლომათა დარბაზი. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნუგზარ ფოფხაძისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ზუხბაიას თხოვნა-მუდარის შემდეგ დაბრუნდნენ სხლომათა დარბაზში ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც მაინც მოახერხეს ეთქვათ (სხლომაზე გამოვიდნენ ნაპოლეონ ქარქაშაძე, მურმან ბერია, ზურაბ პაპასქირი და სხვ.) თავიანთი სიტყვა და დაეცვათ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. მიუხედავად ამისა, ქართული მხარის იმედები, რომ ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა გააკეთებდა საორგანიზაციო დასკვნებს და ის აფხაზი ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ლიხნის მიმართვას“, მიიღებდნენ მკაცრ პარტიულ სასჯელს და განთავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ამაო გამოდგა.

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის პასიურობამ ეროვნულ-პატრიოტული ძალების აღშფოთება გამოიწვია და მათ ხელისუფლების უმოქმედობას მძაფრი პროტესტით უპასუხეს. 1989 წლის 4 აპრილს თბილისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ინიციატივით დაიწყო პერმანენტული მიტინგები. მომიტინგეებმა დაიკავეს მთავრობის სასახლის წინა მოედანი რუსთაველის პროსპექტზე. თავიდან ისინი მოითხოვდნენ „ლიხნის თავყრილობის“ ორგანიზატორთა დასჯას, მაგრამ თანდათანობით მომიტინგეებმა ოპოზიციის რადიკალურად განწყობილი ნაწილის (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი) გავლენით გლობალური ხასიათის ლოზუნგები წა-

\* ერთ მომენტში, აფხაზი სეპარატისტების მომავალმა „ბელადმა“ ლამის „ხელჩართული ბრძოლა“ გაუმართა ამ სტრიქონების ავტორს მხოლოდ იმიტომ, რომ ის უბრალოდ შეეცადა, აეხსნა დამსწრეთათვის ერთი შეხედვით სრულიად ბანალური ისტორიული ჭეშმარიტება – აფხაზეთი არის არა მარტო აფხაზთა, არამედ ქართველთა სამშობლოც და რომ მათ ასევე აქვთ სრული უფლება გადაწყვიტონ თავიანთი მამულის (აფხაზეთის) ბედ-იღბალი.

მოწიეს. კერძოდ, ღღის წესრიგში დაყენებულ იქნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი.

არ ცხრებოდა სიტუაცია საკუთრივ აფხაზეთში, სადაც ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა დაიწყეს მზადება გრანდიოზული საპროტესტო მიტინგის მოსაწყობად გულრიფშის ცენტრში. ასეთ ვითარებაში, აუცილებლად იქნა მიჩნეული საქართველოში მიმდინარე მოვლენებში სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის ჩარევა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა: ვ. ლობკოს, ვ. მიხაილოვისა და გ. სელეზნიოვის გაგზავნის შესახებ. ისინი თბილისში ჩამოვიდნენ 5 აპრილს. 6 აპრილს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, ვ. მიხაილოვის თანხლებით, სოხუმში ჩავიდა, სადაც შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ბორის ადღეიბა. ამ პოსტზე არჩეულ იქნა ვლადიმერ ხიშბა, რომელსაც იმ დროისათვის ეკავა საქართველოს სსრ-ის სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს საკადრო გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო და ამით ვერ მოხერხდა აფხაზეთსა და, რაც მთავარია, თბილისში ვითარების შემდგომი ესკალაციის შეჩერება.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გამოცოცხლება სულ უფრო თვალში საცემი იყო. ხელისუფლებამ ვერ შეძლო 8 აპრილს გულრიფშში დანიშნული საპროტესტო მიტინგისათვის ხელის შეშლა. ამჯერად მიტინგის მოწყობის ინიციატივა მოდიოდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური და გულრიფშის რაიონული ორგანიზაციებისაგან. აფხაზეთში ჩამოვიდა რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლობითი დელეგაცია მისი პრეზიდენტის აკაკი ბაქრაძის მეთაურობით, რომელმაც ვრცელი სიტყვით მიმართა მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებს. მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ: გურამ მამულია, შოთა ჯღამაძე, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე

და სხვ. გამომსვლელებმა დაგმეს სეპარატისტთა დესტრუქციული ქმედებები და ერთხელ კიდევ გაუწოდეს აფხაზ ხალხს ძმობისა და მეგობრობის ხელი.

ამასობაში, მთელი საქართველო შიშით ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას თბილისში. ხელისუფლებამ 7 აპრილს ფაქტობრივად მიიღო გადაწყვეტილება მიტინგის დასაშლელად სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ. „სამხედრო ოპერაციის“ კონტროლი დაევალა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ კონსტანტინე კონეტოვს, რომელიც ამ მისიით ჩამოვიდა თბილისში.

ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 8 აპრილს, საღამოს, მას მერე, რაც შედგა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა, ნუგზარ ფოფხაძემ, გამოიჩინა რა შესაშური კომუნისტური შეურიგებლობა, რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის სახელით შეკრებილებს განუცხადა, რომ „საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საჭირო იყო ძალის გამოყენება“. ეს უკვე იყო დაგეგმილი სისხლიანი ანგარიშსწორების ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი. აღსანიშნავია, რომ თბილისში მიმდინარე მიტინგის სამხედრო ძალის გამოყენებით დაშლის საშიშროება იმავე 8 აპრილის საღამოს იწინასწარმეტყველა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა აკაკი ბაქრაძემ. მან ამის შესახებ ღიად განაცხადა სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრის ბესო ოდიშარიას ოჯახში, სადაც გაჩერდა გულრიფშის მიტინგის შემდეგ.

მართლაც, 1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, თბილისში განხორციელდა „სამხედრო ოპერაცია“ მიტინგის დასაშლელად. დაიღუპნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები (ძირითადად ქალები). საბჭოთა არმიის ყოყონა გენერლებმა არ იკმარეს განმნაღმველთა ნიჩბები და დამატებით მომწამვლელი გაზიც გამოიყენეს. შედეგად, მოიწამლა ათასობით ადამიანი (აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი დღესაც კი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა).

თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სოხუმში შეიტყვეს 9 აპრილს, დილაადრიან. მაშინათვე ქალაქის ცენტრში, კონსტიტუციის მოედანზე მოეწყო სტიქიური საპროტესტო მიტინგი, რომელზეც აკაკი ბაქრაძემ დაგმო ხელისუფლების მოქმედება და მთელი საქართველოს მასშტაბით სამღლიანი გლოვა გამოაცხადა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ანტიიმპერიულმა აქციებმა ახალი ძალით იფეთქა. საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, ერთნიშნად დაიკავეს რა „არაფორმალთა“ პოზიცია, მკაცრად გააკრიტიკეს ხელისუფლების ქმედებები და მოითხოვეს „სამხედრო ოპერაციის“ ორგანიზატორთა და შემსრულებელთა დასჯა. საყოველთაო საპროტესტო მოძრაობას, ბუნებრივია, აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთიც, სადაც სეპარატისტებმა სახელდახელოდ შეთითხნეს და სასწრაფოდ მოსკოვში აფრინეს მორიგი „დაბეზღება“. სეპარატისტები მომხდარში ქართველებსა და საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“-ს ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ ჩარევას, ვინაიდან „создавшаяся в республике ситуация еще раз со всей определенностью продемонстрировала невозможность дальнейшего сохранения Абхазии в составе Грузии“.<sup>10</sup> ახალი „მიმართვის“ ავტორები განსაკუთრებით აღმფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აფხაზეთში არ წყდებოდა ყოველდღიური უსანქციო მიტინგები, პარალიზებული იყო ქ. სოხუმის სახალხო მეურნეობის რიგი ობიექტების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების ფუნქციონირება.

**აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები აფხაზეთი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში.** დაუმორჩილებლობის აქცია აფხაზეთში სულ უფრო ახალ მასშტაბებს იძენდა. ამ მოძრაობის ერთგვარ მედროშედ იქცნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. თანდათანობით გამოიკვეთა ქართველ სტუდენტთა და პრო-

ფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელი ბირთვი, რომელშიც შევიდნენ მაშინდელი სტუდენტები: კახა კვარაცხელია, როინ ბერია, ახესალომ მიქელაძე, ლია ახალაძე, მერი ქირია, მარინე ჯღამაძე, რუსუდან ეზუგბაია, ხათუნა კვარაცხელია, პაატა ჩაჩიბაია, ბადრი გოგია, ბეჟან ხორავა, გოჩა ლორთქიფანიძე, გოჩა დვალისვილი, მანანა ძიდიგური, ნოდარ გეგელია, ლელა ფოცხვერაშვილი, რუსუდან ფიფია, მურმან ტყებუჩავა და სხვ. სტუდენტთა მოძრაობას ფაქტობრივად წარმართავდნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლები: სოსო ადამია, დავით ჩიტაია, ვახტანგ ჭანია და ბესო ოდიშარია. სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ უფროსი თაობის პროფესორ-მასწავლებლები: პროფესორები – გულჯავარ (ცაცა) ფირცხალავა, ვლადიმერ ქარჩავა, რევაზ ხარებავა; დოცენტები – მურმან ბერია, ეთერ ქაჯაია, ჯუმბერ ხუბუტია, იური გულუა, ზურაბ პაპასქირი; მასწავლებლები – თენგიზ წულაია, რამინ ანჯაფარიძე, მურმან კვეკვესიანი და სხვ.

იმის გასარკვევად, თუ რატომ მაინცდამაინც უნივერსიტეტი იქცა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ეპიცენტრად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდეთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის პერიპეტიებსა და იმ ვითარებაზე, რომელიც შეიქმნა ამ უმაღლეს სასწავლებელში 1989 წლის მშფოთვარე მოვლენების წინ.

გადაწყვეტილება სოხუმში (პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე) უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 5 თებერვალს მიიღო. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ახდა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ხნის ოცნება – სოხუმი გახდა საუნივერსიტეტო ქალაქი. სოხუმის უნივერსიტეტის დაარსება არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა საბჭოურ სინამდვილეში. უფრო მეტიც, იმ დროისათვის ეს ერთგვარ გამონაკლისსაც კი წარმოადგენდა, რადგან მანამდე თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას (გარდა რსფსრ-ისა და უკრაინისა) მხოლოდ ერთი სა-

უნივერსიტეტო ცენტრი გააჩნდა. ეს იყო კრემლის იმპერიული რეჟიმის მიერ შემუშავებული ერთგვარი სტერეოტიპი, რომლიდანაც გადახვევას ის სულაც არ აპირებდა, ამიტომაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდებოდა საქართველოდან მომავალ წინადადებებს ქუთაისის, ბათუმისა თუ სოხუმის უნივერსიტეტების შექმნის თაობაზე.

უნივერსიტეტის გახსნის იდეა განსაკუთრებით აქტუალური იყო აფხაზეთში, სადაც მზარდი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა ამას იყენებდა პოლიტიკური სპეკულაციისათვის. სიტუაციას განსაკუთრებით ძაბავდა ისიც, რომ 70-იანი წლებისათვის რსფსრ-ის შემადგენლობაში შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში (მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში) უკვე ფუნქციონირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტები. ამ გარემოებას სეპარატისტული მოძრაობის მაშინდელი ლიდერები დემაგოგიურად იყენებდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი მტკიცებით, აფხაზეთს სწორედ თბილისი უმლიდა ხელს უნივერსიტეტის გახსნაში. ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობა.

სინამდვილეში კი აშკარაა (და ეს, რასაკვირველია, აფხაზებმაც მშვენივრად იცოდნენ), რომ ახალი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოს ხელისუფლებას მაშინ არავინ ეკითხებოდა. ეს მოლიანად მოსკოვის კომპეტენცია იყო, მაგრამ 1978 წელს აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, იმის შიშმა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია უმართავი გახდებოდა, კრემლი აიძულა, გადაედგა არაორდინალური ნაბიჯი და წასულიყო რიგ დათმობებზე „ამბოხებული“ აფხაზების მიმართ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ მეტნაკლებად შეძლო ინიციატივის თავის ხელში აღება. მის მიერ მომზადებულ იქნა საგანგებო დოკუმენტი (მხედველობაში გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოთ ხსენებული დადგენილება: „*О мерах по дальнейшему развитию эконо-*

*мики и культуры Абхазской АССР, усилению организаторской и идейно-воспитательной работы среди трудящихся автономной республики“)* აფხაზეთში გამწვავებული ვითარების დასარეგულირებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც მოსკოვმა ფაქტობრივად უცვლელი სახით დაამტკიცა.

ერთ-ერთი ამ ღონისძიებათაგანი ითვალისწინებდა მოქმედი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას. დიახ, ახლადგახსნილი უნივერსიტეტი სწორედ ამ სახელით – **სოხუმის** (და არა **აფხაზეთის**) სახელმწიფო უნივერსიტეტი – ფიგურირებდა მოსკოვიდან გამოგზავნილ სსრკ მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტში. ასევე იწოდებოდა ის მთელი მომდევნო პერიოდის (თვით სსრკ კავშირის ლიკვიდაციამდე) მანძილზე. მიუხედავად ამისა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის, რომელსაც მხარს უჭერდა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობაც, ზეწოლის შედეგად სოხუმის უნივერსიტეტი, როგორც იტყვიან, იმთავითვე „დე-ფაქტო“, ხოლო 1979 წლის 23 აპრილის საქართველოს კპ ცკ-ისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების (მას ხელს ე. შევარდნაძე და ზ. პატარაძე აწერდნენ) მიღების შემდეგ – რამდენაღმე „დე-იურე“-დაც, **„აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად“** გამოცხადდა.

აფხაზები თავიანთ მოთხოვნას, უნივერსიტეტისათვის დაერქმიათ „აფხაზეთის“ (და არა სოხუმის) უნივერსიტეტი, ასაბუთებდნენ იმით, რომ იმ პერიოდში რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებში გახსნილი უნივერსიტეტები იწოდებოდნენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების მიხედვით, მაგალითად, „Северо-осетинский (და არა ორჯონიკიძის) государственный университет“, „Чечено-ингушский (და არა გროზნოს) государственный университет“, „Кабардино-балкарский (და არა ნალჩიკის) государственный университет“, „Дагестанский (და არა მახაჩყალის) государственный университет“ და ა.შ. უფრო მეტიც, თვით ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრში განთავსებული უნივერსიტეტის სახელწოდებაშიც კი დაფიქსირებული იყო არა ქალაქი, არამედ რესპუბლიკა,



მაგალითად, „Белорусский (და არა მინსკის) государственный университет“, „Латвийский (და არა რიგის) государственный университет“, და ა.შ. გარდა ამისა, აფხაზები აქცენტს აკეთებდნენ იმაზეც, რომ სოხუმში იყო განთავსებული მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ატარებდა „საქართველოს (და არა სოხუმის) სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის“ (სხვათა შორის, რუსულად „Грузинский институт субтропического хозяйства“) სახელს.

მართალია, ერთი შეხედვით, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერი იყო, ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლის რუსული სახელწოდება: „Абхазский... университет“ ქართულადაც და აფხაზურადაც ითარგმნებოდა არა როგორც „აფხაზური“ – ანუ „აფსუა“, არამედ როგორც „აფხაზეთის“, ე. ი. „აფსნის“, მაგრამ ეს მაინც იწვევდა ქართველთა გაღიზიანებას, რადგან აფხაზები იმთავითვე შეუდგნენ იმ მენტალიტეტის დამკვიდრებას, რომ ეს უნივერსიტეტი მართლაც მხოლოდ მათი, ანუ აფხაზური ნაციონალური უმაღლესი სასწავლებელი იყო.

უფრო მეტიც, სეპარატისტულ ძალებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმთავითვე წარმოედგინათ, როგორც აფხაზთა ნაციონალური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც უნდა ქცეულიყო სეპარატისტული იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ფორპოსტად. მანამდე ამ ფუნქციას აფხაზეთში, როგორც ცნობილია, ძირითადად, აფხაზეთის მწერალთა კავშირი და დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ასრულებდნენ.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი უმთავრესად აფხაზ მწერალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელშიც მაქსიმალურად იზღუდებოდა ქართველ მწერალთა მიღება. საკმარისია ითქვას, რომ 1988-1989წწ. მიჯნაზე აფხაზეთის მწერალთა კავშირის 78 წევრიდან ქართველი მხოლოდ 25-მდე იყო, ხოლო აფხაზი – სულ ცოტა 2-ჯერ მეტი. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა აფხაზთა რიცხვს და არც მწერლური ნიჭისა და ტალანტის დეფიციტს განიცდიდა. გარდა ამისა, ცნობილია, თუ როგორ იზღუდებოდა

ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობა და რა სერიოზულ, ხშირ შემთხვევაში გადაულახავ სიძნელებთან იყო დაკავშირებული მათი ნაწარმოებების პუბლიკაცია. ის, რომ მწერალთა კავშირი წარმოადგენდა სეპარატისტული მოძრაობის მთავარ შტაბს, დაადასტურა იმ ფაქტმაც, რომ სწორედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი ოფიციალური სეპარატისტული მოძრაობა „აიდვილარა“, რომლის თავმჯდომარეც აფხაზეთის მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი, ცნობილი აფხაზი მწერალი ალექსი გოგუა იქნა არჩეული. როგორც იტყვიან, ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც შეავსო ქართველ მწერალთა მოთმინების ფიალა და იძულებული გახდა ისინი, დაეტოვებინათ აფხაზეთის მწერალთა კავშირი.

რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს – წმინდა აფხაზურ ნაციონალურ დაწესებულებას, რომელშიც მხოლოდ თითო-ორიოლა ქართველი თუ მუშაობდა, ის ათეული წლების განმავლობაში სეპარატისტული იდეოლოგიის „გონებრივ-ინტელექტუალურ“ ცენტრს წარმოადგენდა, რომლის მთავარი დანიშნულება აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის „მეცნიერულ“-ისტორიოგრაფიული საფუძვლების შექმნა იყო. ამ ინსტიტუტის ანტიქართული საქმიანობა განსაკუთრებით გამომწვევი გახდა, როცა 1988წ., პროფ. გიორგი ძიძარიას გარდაცვალების შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორის პოსტი დაიკავა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც ფაქტობრივად გამოიყვანა ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან.

და მაინც, მწერალთა კავშირისა და მით უფრო აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში მიმდინარე პროცესებს არ გამოუწვევია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მასობრივი პროტესტი. აფხაზეთი უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა „ააფეთქა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზური სეპარატიზმის მამებმა უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე დაიწყეს ზრუნვა უმაღლესი სასწავლებლის სეპარატისტული მოძრაობის მედროშედ გადაქცევისათვის. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინ-

და აფხაზურ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად ე.წ. „აფხაზური სექტორის“ გახსნა. მანამდე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ორი – ქართული და რუსული – სექტორი ფუნქციონირებდა. იმის გამო, რომ ქართულ სკოლებში, როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ქართველები სწავლობდნენ, ბუნებრივია, ქართულ სექტორზე მხოლოდ ისინი ხვდებოდნენ. ამავე დროს, საკმაოდ დიდი იყო ქართველ სტუდენტთა რიცხვი რუსულ სექტორზეც (ცნობილია, არსებული კონიუნქტურის გამო, თუ რა ენთუზიაზმით ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს რუსულ სკოლებში ქართველი მშობლები აფხაზეთში). შედეგად, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტის თითქმის 2/3-ს ქართველი ეროვნების ახალგაზრდები შეადგენდნენ, რაც იწვევდა კიდევ სეპარატისტული წრეების გაღიზიანებას, ამიტომაც დააყენეს მათ ე.წ. „აფხაზური სექტორის“ გახსნის საკითხი. ამ მოთხოვნის ოფიციალური მოტივაცია, ერთი შეხედვით, სრულიად ლოგიკური და გამართლებული ჩანდა – აფხაზ ახალგაზრდობას სურდა უმაღლესი განათლების მიღება მშობლიურ ენაზე, მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია იყო მეტად სათუო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ე.წ. „აფხაზურ სკოლებში“ სწავლება მშობლიურ ენაზე მხოლოდ დაწყებით – I-IV კლასებში – მიმდინარეობდა, V კლასიდან კი აფხაზი ბავშვები ცოდნას რუსულ ენაზე ეუფლებოდნენ.

ასეთ ვითარებაში, ერთი ხელის მოსმით, უმაღლეს სკოლაში სწავლების აფხაზურ ენაზე გადაყვანა, რასაკვირველია, არარეალური იყო. ეს მშვენივრად ესმოდათ თვით აფხაზებსაც, მაგრამ მათი მიზანი სულ სხვა იყო – ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, ხელოვნურად გაეზარდათ აფხაზ სტუდენტთა რიცხვი მათი ე.წ. „აფხაზურ სექტორზე“ ჩარიცხვის გზით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სტუდენტთა ყოველწლიური მისაღები კონტინგენტი გაეყოთ სამ ნაწილად: 40% – რუსული სექტორი; 30-30% – ქართული და აფხაზური სექტორები. „აფხაზურ სექტორზე“ რიცხავდნენ მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური აფხაზური ენის (თუნდაც წერა-კითხვის) მცოდნე აფხაზებს. ამგვარად, სეპარატისტებმა 5-6 წლის განმავლობაში მიაღწიეს ქართ-

ველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობის შემცირებას.

„აფხაზური სექტორის“ გახსნამ სეპარატისტებს მისცა საბაბი, დაეყენებინათ აფხაზური ენის მცოდნე პროფესორ-მასწავლებელთა დამატებით მოზიდვის საკითხიც (პერსპექტივაში აფხაზურ ენაზე ლექციების წასაკითხად). მაგრამ, როგორც ცხოვრებამ აჩვენა, ყოველივე ეს ფიქცია და საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა იყო, რადგან უნივერსიტეტის ფუნქციონირების 10 წლის მანძილზე (1979-1989წწ.) სერიოზულად არავის არ უფიქრია არათუ უნივერსიტეტში აფხაზური სექტორის რეალურად ამოქმედება, არამედ თვით საშუალო სკოლაში (V-X კლასებში) სწავლების აფხაზურ ენაზე გადაყვანა. ერთი სიტყვით, „აფხაზური სექტორის“ გახსნა მხოლოდ ერთ მიზანს – უნივერსიტეტში აფხაზი ეროვნების სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდას ემსახურებოდა. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის სახელისუფლო სტრუქტურების ღია და ფარული მხარდაჭერის შედეგად სეპარატისტებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას და მართლაც მიაღწიეს უმაღლესი სასწავლებლის ეთნო-ეროვნული იერ-სახის შეცვლას.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის აფხაზურ-სეპარატისტულ რელსებზე გადაყვანის მცდელობა პედაგოგიური ინსტიტუტის პირობებშიც (განსაკუთრებით 60-70-იან წლებში) იყო, მაგრამ იმ პერიოდში, ერთი მხრივ, ქართველთა სიმრავლისა (ისინი სტუდენტთა კონტინგენტისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თითქმის 2/3-ს შეადგენდნენ) და, მეორე მხრივ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის, პირველ რიგში, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის გონივრული, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით მეტნაკლებად შენარჩუნებული იქნა სტაბილური ვითარება<sup>11</sup>.

ღიახ, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თავისი მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოს მხურვალე პატრიოტის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის სწორუპოვარი მებაირახტრის რექტორობის პერიოდში სეპარატისტებმა ვერ მოახერხეს თავიანთი კონტროლის

დამყარება უნივერსიტეტზე. ვითარება კარდინალურად შეიცვალა უნივერსიტეტის პირველი რექტორის გარდაცვალებისა (1984წ.) და ამ თანამდებობაზე სრულიად შემთხვევითი პიროვნების – ზაურ ავიძბას დანიშვნის შემდეგ. ზ. ავიძბა, მართალია, სამეცნიერო ხარისხის (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის) მქონე იყო, მაგრამ საზოგადოება მას უფრო პარტიული მოღვაწეობით იცნობდა (წლების მანძილზე ის საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა) და აკადემიურ წრეებში ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ გარემოებამ ხელ-ფეხი გაუხსნა უნივერსიტეტში მოკლათებულ აფხაზური სეპარატიზმის „მამებს“, რომელთა შორის წამყვან ფიგურად იქცა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მესაჭე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ოლეგ დომენია. სწორედ ამ „ეროვნული ლიდერის“ ირგვლივ დაირაზმნენ სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ ო. დომენიას ინიციატივით რამდენიმე ღონისძიება მოაწყო, რომელთა მთავარ დანიშნულებას უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტობის აფხაზურ ნაწილში ანტიქართული სულისკვეთების გაღვივება წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „აფხაზეთის ისტორიის“ პირველი სახელმძღვანელოს გახმაურებული განხილვა 1987 წლის მარტში. ამ სახელმძღვანელოს ავტორები იყვნენ პროფესორები: ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი ძიძარია და არველოდ კუპრავა. მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა პროფ. ზ. ანჩაბაძის მიერ დაწერილი მონაკვეთი. სეპარატისტებს არ მოსწონდათ ის, რომ ამ ნაწილში აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის (XIX საუკუნემდე) ისტორია გაშუქებული იყო საერთო-ქართული ისტორიის კრილში. აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგებმა წიგნის განხილვა ფაქტობრივად ზ. ანჩაბაძისა და ქართული საისტორიო სკოლის გასამართლებად აქციეს. სამწუხაროდ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულმა ნომენკლატურამ“ ჩვეულებისამებრ

დუმილი არჩია. ზ. ანჩაბაძეს გამოეხსენებოდა პროფ. გიორგი ძიძა-  
რია. სხდომაზე გამოსულთაგან ე.წ. „აფხაზური ისტორიოგრაფი-  
ის“ წარმომადგენლებს საკადრისი პასუხი გასცეს იმჟამად ის-  
ტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა გიორგი ანჩაბაძემ (ზურაბ  
ანჩაბაძის ვაჟმა) და საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედ-  
რის გამგის მოადგილემ, დოც. ზურაბ პაპასქირმა.

სეპარატისტული პროპაგანდის რუპორად იქცა საუნივერსი-  
ტეტო გაზეთი: „აფხაზეთის უნივერსიტეტი“. შემთხვევითი არ იყო,  
რომ სწორედ ამ გაზეთმა დაბეჭდა ვრცელი ინტერვიუ ლენინგ-  
რადელ ფილოლოგთან, პროფ. გიორგი ტურჩანინოვთან. ამ ინ-  
ტერვიუში ის ერთხელ კიდევ ახსენებდა აფხაზებს, თუ როგორ  
ზეწოლას განიცდიდა იგი თბილისის მხრიდან და როგორ არ  
აძლევდნენ მას თავისი „ნაშრომის“ გამოქვეყნების საშუალებას.  
როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გ. ტურჩანინოვმა ჯერ კიდევ  
60-იან წლებში ქვეყანას მოსდო ე.წ. „მაიკოპის ფილის“ საიდუმ-  
ლო, რომლის მიხედვითაც თანამედროვე აფხაზთა წინაპრები ცხად-  
დებოდნენ მსოფლიოში უძველესი ანბანური დამწერლობის შემქ-  
მნელებად. უფრო მეტიც, გ. ტურჩანინოვი ამჯერად არ დასჯერ-  
და მის მიერვე ადრე შემოთავაზებულ დათარიღებას (ძვ.წ. II ათას-  
წლეული) და ის სულაც ძვ.წ. III ათასწლეულში გადაიტანა.  
რაც მთავარია, ყოველივე ამის პროპაგანდა ხდებოდა გამაღებუ-  
ლი ანტიქართული ისტერიის ფონზე. ეს და სხვა ფაქტები, რო-  
მელთაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტ-  
ში 1984 წლის შემდეგ, ნათლად მეტყველებდნენ იმაზე, რომ უნი-  
ვერსიტეტი, თანდათანობით, რეალურად იქცეოდა აფხაზური სე-  
პარატიზმის ფლაგმანად.

სიტუაცია უმაღლეს სასწავლებელში პრინციპულად არ შეც-  
ვლილა მას შემდეგაც, რაც სეპარატისტულად განწყობილმა პრო-  
ფესორ-მასწავლებლებმა სრული ფიასკო განიცადეს უნივერსიტე-  
ტის რექტორის არჩევნებში 1988 წლის აპრილში და ვერ შეძ-  
ლეს ამ პოსტზე თავიანთი ლიდერის – დოც. ოლეგ დომენიას  
გაყვანა. უნივერსიტეტის რექტორი გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეც-  
ნიერებათა დოქტორი ალექო გვარამია, რომელსაც ძირითადად  
მხარს უჭერდნენ ქართველი პროფესორ-მასწავლებლები. მაგრამ

ახალმა რექტორმა ვერ შეძლო მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური კურსის შეცვლა და თითქმის მაშინათვე გადაიქცა სეპარატისტების კრეატურად. პირველად ეს მკაფიოდ გამოვლინდა 1988 წლის შემოდგომაზე, როდესაც მან დემონსტრაციულად თქვა უარი ქართულად გამოსვლაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გამოძწვევი იყო ის გარემოება, რომ ეროვნებით აფხაზმა ა. გვარამიამ საკმაოდ კარგად იცოდა ქართული ენა (ის წლების განმავლობაში მუშაობდა უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგედ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში). უფრო მეტიც, გამგზავრების წინ მან მოამზადა კიდევ მისალმების ტექსტი ქართულ ენაზე\*, მაგრამ, როგორც გამოირკვა, აფხაზური სეპარატიზმის „სულიერმა მამებმა“, ბოლო მომენტში, აუკრძალეს მას სიტყვის წარმოთქმა ქართულ ენაზე. შედეგად, იმ ფონზე, როდესაც საიუბილეო საღამოზე თითქმის ყველა უცხოელი სტუმარი ცდილობდა ქართულად მიემართა აუდიტორიისათვის, მხოლოდ ა. გვარამიამ – აფხაზმა, ქართული გვარით, სიტყვა რუსულ ენაზე წარმოთქვა. ამას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა არასასურველი რეაქცია დამსწრე საზოგადოების მხრიდან, რამაც გამოიწვევლი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ამ ფაქტს არ შეიძლება არ დაეფიქრებინა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორა, რომელიც აქამდე გარკვეულ იმედებს ამყარებდა ახალ რექტორზე. მალე სრულიად ცხადი შეიქნა, რომ ა. გვარამიას არ შესწევდა უნარი, თავი დაედო ალმაველობის გზაზე შემდგარი სეპარატისტული კონიუნქტურის გავლენისაგან. უფრო მეტიც, ის თვით შეეცადა, მოეჩვენებინა თავი აფხაზური ეროვნული ინტერესების დაცვისათვის აქტიურ მებრძოლად და ყოველნაირად წინ აღსდგომოდა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და სულისკვეთების გამოცოცხლების პრო-

---

\* სხვათა შორის, მისალმების ტექსტის მომზადებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ სტრიქონების ავტორმა.

ცეს, რომელმაც მოიცვა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა. ამან უნივერსიტეტის ქართული ნაწილის და, პირველ რიგში, სტუდენტობის პროტესტი გამოიწვია. აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობის აქტიური გამოსვლა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანწილად (თუ მთლიანად არა) განაპირობა იმ ანტი-იმპერიულმა და ანტიკომუნისტურმა პროპაგანდამ, რომელსაც სტუდენტობაში ეწეოდნენ ცალკეული პროფესორ-მასწავლებლები, პირველ რიგში კი, საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლები და აღზრდილები: იოსებ (სოსო) ადამია, ვახტანგ ჭანია, დავით ჩიტაია, ბესარიონ ოდიშარია.

სწორედ მათი აქტიური მეცადინეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით აფხაზეთის უნივერსიტეტში მომხადდა პირველი ქართული სტუდენტური ხელნაწერი ჟურნალი „*ცხუმი*“. ჟურნალის გამოცემაში „ლომის წილი“ დაიდეს: შორენა თოფურიამ, ლია ახალაძემ, ბეჟან ხორავამ, ბადრი გოგიამ, კახა კვარაცხელიამ და სხვებმა. შორენა თოფურია იყო ამ ჟურნალის პირველი ნომრის მთავარი რედაქტორი (მომდევნო ნომრებს შესაბამისად რედაქტორობდნენ ლია ახალაძე და ბეჟან ხორავა). ქართული საუნივერსიტეტო სტუდენტური ჟურნალის გამოსვლამ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რისხვა გამოიწვია. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებისა და ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის პროპაგანდა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ჟურნალში დაბეჭდილ უკლებლივ ყველა სტატიას. ისინი ვერ ეგუებოდნენ იმასაც, რომ ქართველმა სტუდენტებმა თანამშრომლობის ხელი გაუწოდეს თავიანთ აფხაზ თანატოლებს და მოინდომეს მათი აქტიური ჩართვა ჟურნალის საქმიანობაში. ისინი დააფრთხო ქართველ და აფხაზ სტუდენტთა შესაძლო დაახლოებას.

სეპარატისტული წრეები განსაკუთრებით გააღიზიანა ჟურნალში მოთავსებულ ზოგიერთ სტატიაში გატარებულმა თვალსაზრისმა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართველთა და აფხაზთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ. ამ



მხრივ, მათი რისხვა დაატყდა ღოც. თეიმურაზ მიბჩუანის სტატეიას, რომელშიც მოცემული იყო ქ. სოხუმის უძველესი სახელწოდების – „ცხუმის“ ეტიმოლოგიის ერთადერთი სწორი ახსნა და რომელზე დაყრდნობითაც ავტორმა გააკეთა სრულიად ლოგიკური დასკვნა, რომ ამ სახელწოდების მიცემა აღნიშნული პუნქტისათვის შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ იქ განსახლებულ ქართველურ ტომებს.

და ბოლოს, სეპარატისტების მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ ჟურნალის პირველი ნომერი ოფიციალურად მიედგნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავს (ჟურნალის სატიტულო გვერდზე საგანგებოდ იყო მითითებული ჟურნალის გამოსვლის თარიღი – 26 მაისი, 1988წ.). აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა სესილი გოგბერიძემ, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა სოხუმში და დაესწრო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ ჟურნალის პრეზენტაციას. უფრო მეტიც, ს. გოგბერიძემ მაშინ (1988წ!), რექტორის ა. გვარამიასა და აფხაზი პარტიულ-კომკავშირული ელიტის წარმომადგენელთა თანდასწრებით ჩაიდინა „გაუგონარი დანაშაული“ და, ყველასათვის მოულოდნელად, ქართველ სტუდენტებს ოფიციალურად მიულოცა 26 მაისი, რასაც სტუდენტთა ერთსულოვანი ოვაცია მოჰყვა.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო იმ სტუდენტებისა და ლექტორების დევნა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჟურნალ „ცხუმის“ მომზადება-გამოცემაში. ნაციონალურ-სეპარატისტული ძალების დაჟინებული მოთხოვნით, უნივერსიტეტის რექტორმა ვიწრო წრეში მოაწყო ჟურნალის განხილვა, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართველ სტუდენტთა ამ ინიციატივის ძირშივე მოშობა, მაგრამ მაშინ სეპარატისტებმა ვერც ჟურნალის აკრძალვა მოახერხეს და ვერც მისი სახელწოდების შეცვლა. ეს იყო აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სერიოზული გამარჯვება და ის მიღწეულ იქნა, პირველ რიგში, ისტორიის კათედრების თანამშრომელ-

თა: სოსო ადამიას, ვახტანგ ჭანიას, თეიმურაზ მიბჩუანის, მურმან ბერიას, ზურაბ პაპასჭირის და სხვ. მიერ დაკავებული აქტიური პოზიციის შედეგად.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ მიღწეულმა პირველმა წარმატებამ მათ ახალი ეროვნული ინიციატივებისკენ უბიძგა. 1988 წლის შემოდგომაზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ერთი ნაწილის (ნუგზარ კერესელიძე, თენგიზ წულაია, ზურაბ პაპასჭირი და სხვა) მესვეურობით დაიწყო მოძრაობა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების საუნივერსიტეტო ორგანიზაციის შესაქმნელად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ამჯერადაც ვერ შეძლო ხელი შეეშალა ამ წამოწყებისათვის. უფრო მეტიც, რექტორი ალექო გვარამია უშუალოდ ჩაერთო მოძრაობაში. ამით ის ცდილობდა თვითონვე გაეკონტროლებინა სიტუაცია. აღსანიშნავია, რომ კრებას, რომელმაც დააფუძნა რუსთაველის საზოგადოების საუნივერსიტეტო ორგანიზაცია, თვით ა. გვარამია უძღვებოდა. საუნივერსიტეტო ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. ოთარ ჭურღულია, ხოლო მოადგილეებად – დოც. ზურაბ პაპასჭირი და ცნობილი აფხაზი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, დოც. ბორის გურგულია (ამჟამად სეპარატისტული აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე). რუსთაველის საზოგადოების საუნივერსიტეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში ბ. გურგულიას ჩართვით უნივერსიტეტის რექტორი და მისი აფხაზური გარემოცვა, ბუნებრივია, ცდილობდნენ, იმთავითვე თავიანთ კონტროლქვეშ მოექციათ ახლადშექმნილი ორგანიზაცია. თავის მხრივ, არც ქართველებს ჰქონდათ რაიმე საწინააღმდეგო აფხაზი მოღვაწეების ჩართვისა საერთო-ქართული ეროვნული ინტერესების გამომხატველ მოძრაობაში.

სხვათა შორის, ეს ტენდენცია გაგრძელდა შემდგომშიც, როდესაც დაიწყო მოძრაობა უკვე რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში, აფხაზური ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლე-

ბი (მათ შორის, რუსთაველის პრემიის ლაურეატები: ბაგრატი შინკუბა, მუშნი ლასურია) არ შეხვედრიან გაღიზიანებით ამ იდეას და თანხმობაც კი განაცხადეს, შესულიყვნენ რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში. 1989 წლის 11 მარტს სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, პროფ. ნაპოლეონ ქარქაშაძე, მოადგილეებად – საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი, პოეტი გენო კალანდია და ისტორიკოსი ზურაბ პაპასქირი. ამავე კრებაზე აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების I ყრილობის დელეგატები. ყრილობა გაიმართა თბილისში, ზუსტად ერთი კვირის თავზე – 1989 წლის 18 მარტს, მაგრამ მასში აფხაზებს მონაწილეობა არ მიუღიათ. მიზეზი „ფრიად საპატიო“ იყო. სწორედ ამ დღეს შედგა ცნობილი „ლიხნის თავყრილობა“, რომლის გადაწყვეტილებებმა შეძრა არა მხოლოდ აფხაზეთი, არამედ სრულიად საქართველო.

ერთ-ერთნი პირველნი, ვინც წინ აღუდგნენ სეპარატისტების ამ გამომწვევ დემარშს, აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ, თუმცა კერ ვიტყვით, რომ მათი პროტესტი იმთავითვე განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოიჩინოდა. თავდაპირველად სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ითხოვდნენ მხოლოდ უნივერსიტეტის იმ ხელმძღვანელთა (პირველ რიგში, რექტორის ალექო გვარამიას) გადაყენებას, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ლიხნის მიმართვას“. მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ ზეწოლით, პრინციპულად უარი თქვა ამ ნაბიჯის გადადგმაზე. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა სოხუმის საკათედრო ტაძრის ეზოში. აქ არაერთხელ მოვიდნენ უნივერსიტეტის აფხაზ თანამშრომელთა წარმომადგენლები. ისინი მოუწოდებდნენ გაფიცულებს, დაბრუნებულიყვნენ უნივერსიტეტში, ამას-

თან, კატეგორიულად ამბობდნენ უარს, დაეკმაყოფილებინათ ქართული მხარის თუნდაც ერთი მოთხოვნა. არავითარი შედეგი არ მოიტანა სოხუმში საქართველოს განათლების მინისტრის გურამ ენუქიძის ჩამოსვლამ. მასთან შეხვედრა, რომელიც გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ფაქტობრივად ჩაიშალა, რადგან ქართულ მხარეს არ მიეცა საშუალება, დაეცვა თავისი პოზიცია და ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მცირერიცხოვანმა დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი.

ამასობაში სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. სტუდენტთა აქციას თანდათანობით უერთდებოდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის ფართო ფენები. საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის მეთაურობით აშკარად დაბნეულად გამოიყურებოდა. ასეთ ვითარებაში ინიციატივის თავის თავზე აღებას შეეცადა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, რომელიც ჩამოვიდა სოხუმში, სადაც გამართა მოლაპარაკებები უნივერსიტეტში დაპირისპირებულ მხარეებთან. ამ ნაბიჯის გადადგმისას საქართველოს მთავრობის ახალი მეთაური იმედოვნებდა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა მისი პიროვნული ავტორიტეტი (სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ნ. ჭითანავა მართლაც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით აფხაზეთის ქართულ ინტელიგენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის).

საქართველოს მთავრობის მეთაურის ჩამოსვლაზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მაგრამ მისმა პირველივე შეხვედრამ ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წარმომადგენლებთან, რომელიც შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომათა დარბაზში, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ზურაბ ერქვანიას მონაწილეობით, ნათლად აჩვენა, რომ სიტუაცია უკიდურესად მწვავე იყო და რომ „ამბოხებული“ სტუდენტები და

პროფესორ-მასწავლებლები უკან დახევას არ აპირებდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა გრძელდებოდა დაახლოებით 8 საათის განმავლობაში და დასრულდა საღამო 2 საათზე.

შეხვედრაზე გამოსულმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა: ზურაბ პაპასქირმა, ნაპოლეონ ლემონჯავამ, აბესალომ გადილიამ, როინ ბერიათ, რუსუდან ეზუგბაიამ, მერი ქირიამ და სხვ. – ღიად მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლების მეორე პირს, რომ თუ უნივერსიტეტის აფხაზი ხელმძღვანელები და, პირველ რიგში, რექტორი ა. გვარამია არ აღიარებდნენ თავიანთ „შეცდომას“ და არ გაუკეთებდნენ ღეზავუიერებას ქართველთა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მოღალატეობრივ ღოკუპენტზე (ანუ „ლიხნის მიმართვაზე“) ხელმოწერას, ყოველგვარი საუბარი დაუმორჩილებლობის აქციის შეწყვეტაზე ფუჭი იქნებოდა. მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან (უფრო ვიწრო წრეში) გაგრძელდა მეორე დღეს. თითქოს მიღწეულ იქნა კომპრომისი: აქციის მონაწილეები დათანხმდნენ ა. გვარამიას რექტორად დატოვებაზე, მაგრამ მოითხოვეს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის გადახალისება და მასში იმ პროფესორ-მასწავლებელთა შეყვანა, რომლებიც მათი აზრით, რეალურად შეძლებდნენ პარტიულ კონტროლს ადმინისტრაციაზე და არ დაუშვებდნენ უნივერსიტეტის გადაქცევას აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიურ შტაბად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ ვერც ამ თითქოსდა ადვილად შესასრულებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოახერხა, რის შემდეგაც დაუმორჩილებლობის აქციამ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჭითანავას ვიზიტმა სოხუმში შედეგი ვერ გამოიღო, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქციის მონაწილეებმა უკვე რეალურად დაიწყეს ფიქრი აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული ნაწილის გამოყოფისა და მის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შექმნაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტიდან გამოსვლა და ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ნამდვილად არ ყოფილა

აქციის მონაწილეთა თვითმიზანი. იმ ეტაპზე მათ საერთოდ ვერ წარმოედგინათ მოვლენების ამგვარი განვითარება. ყველას ეგონა, რომ ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, მოახერხებდა აფხაზური მხარის დაყოლიებას და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის (თუნდაც რექტორის მაინც) შეცვლას, მაგრამ სეპარატისტები სულაც არ ფიქრობდნენ უკანდახევას. მათ არათუ არ გადადგეს შემხვედრი ნაბიჯები, არამედ „მკერდით გადაეფარნენ“ უნივერსიტეტის აფხაზ ხელმძღვანელებს და კატეგორიული უარი განაცხადეს „ლიხნის გადაწყვეტილებების“ რაიმე ფორმით გადასინჯვაზე. არათუ რექტორი არ იქნა განთავისუფლებული, არამედ საუნივერსიტეტო გაზეთის, რომელიც ამ დროისათვის სეპარატისტული პროპაგანდის რუპორად იყო გადაქცეული, რედაქტორსაც (ნ. ჯონუა) კი ვერ შეელივნენ.

სოხუმში ახალი საუნივერსიტეტო ცენტრის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის) გახსნის იდეა თანდათანობით სულ უფრო პოპულარული ხდებოდა, მაგრამ ამ იდეას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, და არა მხოლოდ სახელისუფლებო წრეებში. მას კრიტიკულად შეხვდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის ცალკეული ლიდერები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ეს ნათლად გამოიჟღავნა და სოხუმში მიმდინარე საპროტესტო აქციის წარმომადგენელთა (ს. ადამია, ჯ. ხუბუტია, ი. გულუა, მ. ბერია, რ. ხარებავა, რ. აბსავა, ზ. ზარქუა, ზ. პაპასქირი და ა.შ.) შეხვედრებზე (იმართებოდა სხვადასხვა დროს, 1989 წლის აპრილსა და მაისის დასაწყისში) თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეებთან.

მაგალითად, ქართული ნაწილის აფხაზეთის უნივერსიტეტიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი აკაკი ბაქრაძე. ის აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა, არ დაეტოვებინათ უნივერსიტეტი და შიგნიდან ებრძოლათ სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ა. ბაქრაძე სპეციალურად ჩამოვიდა სოხუმში და შეხვდა აქციის მონაწილეებს, რომლებმაც იმ დროისათვის საკა-

თედრო ტაძრიდან კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის შენობაში გადაინაცვლეს. ვერც ამ შეხვედრამ გამოიღო შედეგი და გაფიცვა მალე მჯღომარე აქცია-შიმშილობაში გადაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციის უფრო მწვავე ფორმებზე გადასვლა მოხდა რამდენადმე სტიქიურად, თვით მისი ხელმძღვანელებისათვის მოულოდნელადაც კი. რაც მთავარია, ეს მთლიანად სტუდენტთა ინიციატივა იყო. ამით მათ ერთგვარად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება თბილისში (1989 წლის 5 მაისს) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან გივი გუშბარიძესთან საპროტესტო აქციის წარგზავნილთა (ს. ადამია, მ. ბერია, რ. ხარებავა, ი. გულუა, ზ. პაპასქერი) შეხვედრისას მიღწეული კომპრომისული შეთანხმებისადმი. ამ შეხვედრაზე საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელმა პრინციპული თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ დროებით, ვითარების საბოლოო დარეგულირებამდე, უნივერსიტეტის ქართულ ნაწილს დაეწყო ფუნქციონირება დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, მან დელეგაციის წევრებს მისცა წინადადება, იქვე აერჩიათ პიროვნება, რომელიც დროებით გაუძღვებოდა ამ პროცესს. არჩევანი შეჩერდა შეხვედრის ერთ-ერთ მონაწილეზე, პროფ. რევაზ ხარებავანზე. ამის შემდეგ დელეგაცია სოხუმში დაბრუნდა იმ განწყობით, რომ მეორე დღესვე შეწყდებოდა საპროტესტო აქცია და დაიწყებოდა მუშაობა სასწავლო პროცესის განსაახლებლად, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ასე არ მოხდა. სტუდენტებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს.

ქართულ თეატრთან საპროტესტო აქცია დღითი დღე სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას, როგორც მოსალოდნელი იყო, სოლიდარობა გამოუცხადეს სოხუმში განთავსებული მეორე უმაღლესი სასწავლებლის – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის – სტუდენტებმა და ქ. სოხუმის მოსწავლე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა, აგრეთვე აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. საპროტესტო აქციაში აქტიურად ჩაერთვნენ სხვადასხვა არაფორ-

მაღურ ორგანიზაციათა ლიდერები, მათ შორის, პირველ რიგში, სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის აქტივისტები. მალე საპროტესტო მოძრაობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. მუშაობა შეწყვიტეს და აქციას შეუერთდნენ ქ. სოხუმის წარმოება-დაწესებულებების ქართველი მუშა-მოსამსახურეები.

შეიქმნა საერთო საგაფიცვო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელ შტაბს სათავეში ჩაუდგა თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მოღვაწე, იმჟამად კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე. მის მოადგილედ არჩეულ იქნა უნივერსიტეტის დოცენტი მურმან ბერია. შტაბში ასევე შევიდნენ: პროფ. ნაპოლეონ ქარქაშაძე (საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე), გენო კალანდია (პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე), დიმიტრი ჯაიანი (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი), ვოვა ვეკუა და ნუგზარ მგალობლიშვილი (ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერები); აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: პროფ. ვლადიმერ (ვალეკო) ქარჩავა, პროფ. რევაზ ხარებავა; დოცენტები: ჯუმბერ ხუბუტია, ზურაბ პაპასქირი, ვახტანგ ჭანია; მასწავლებლები: სოსო ადამია, დავით ჩიტაია, ბესო ოდიშარია, თენგიზ წულაია, მურმან კვეკვესკირი და სხვ.; სტუდენტები: როინ ბერია, აბესალომ მიქელაძე და სხვ. შტაბის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქ. სოხუმის პედაგოგიური, სამედიცინო და ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: თამარ ოდიშარია, მანანა ძოძუაშვილი, თემურ შურღია, ჯუმბერ ჯოჯუა, ალექსანდრე მიქაძე და სხვ.



ვითარება თანდათანობით სულ უფრო უმართავი ხდებოდა. მზარდი საპროტესტო აქციის ფონზე, საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელი შტაბის გადაწყვეტილებით, თბილისში, რესპუბლიკის პირველ პირთან შესახვედრად გაიგზავნა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელშიც შევიდნენ გაფიცული სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, აგრეთვე საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები. დელეგაცია მიიღო გ. გუმბარიძემ. შეხვედრაზე ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი იმას, რომ ქართული მხარის მოთმინების ფიალა ივსება და თუ არ იქნება მიღებული ქმედითი ზომები, სიტუაცია შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან. საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერც ამჯერად გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და პრინციპულობა და ვერ მოახერხა რაიმე ზემოქმედების მოხდენა აფხაზურ მხარეზე. ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა თსუ სოხუმის ფილიალის გახსნის შესახებ.

მართლაც, 1989 წლის 13 მაისს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში გამოძახებულ იქნენ საგაფიცვო შტაბის წარმომადგენლები: გ. ქავთარაძე, ნ. ქარქაშაძე, მ. ბერია, რ. ხარებავა, ზ. პაპასქირი და სხვ. იქ მათ განუცხადეს, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თსუ სოხუმის ფილიალის გახსნის თაობაზე და რომ საჭიროა მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება. იქვე, შტაბის წევრების თანდასწრებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ზუხბაია პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს რამაზ ხუროძეს და შეათანხმა მასთან სამთავრობო განკარგულების ცალკეული პუნქტები. უნდა ითქვას, რომ განკარგულების პროექტის ტექსტი ფაქტობრივად შედგა სოხუმში და მის მომზადებაში, ო. ზუხბაიასთან ერთად, უმუშალო მონაწილეობა მიიღეს ნ. ქარქაშაძემ და ზ. პაპასქირმა.

უკვე 14 მაისს, სოხუმში მომზადებული პროექტის საფუძველზე, საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოსცა შემდეგი შინაარსის განკარგულება:

„1. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო დაკმაყოფილდეს ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ დაყენებული საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ ქ. სოხუმში.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, გამოეყოს ფილიალისათვის შესაბამისი შენობა.

3. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აძხ. ნ. ს. ამაღლობელს ა.წ. 15 მაისიდან შეუდგეს ფილიალის ორგანიზაციას და აღადგინოს სასწავლო პროცესი ყველა ფაკულტეტზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, კონტროლი გაუწიოს ყველა დასმული საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტას“.<sup>12</sup>

განკარგულებას ხელს აწერდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოდგილე ოთარ ქვილითაია. ესეც არ იყო შემთხვევითი. საქართველოს მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი რამდენიმე დღით ადრე, „ინკოგნიტოდ“ ჩამოვიდა სოხუმში, „დაზვერა“ იქაურობა, შეხვდა საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და საგაფიცვო კომიტეტს. ამ შეხვედრამ საბოლოოდ დაარწმუნა ის, და მისი სახით საქართველოს ხელისუფლება, რომ გაფიცულები უკან ნამდვილად არ დაიხევდნენ და რომ თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას სოხუმში ალტერნატივა არ გააჩნდა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას თსუ სოხუმის ფილიალის გახსნის შესახებ გაფიცული სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა მაინც გამოთქვა ერთგვარი სკეპტიციზმი და აქციის გაგრძელება მოითხოვა. მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, გაფიცულებმა თავიანთი მისია შესრულებულად ჩათვალეს და საპროტესტო აქცია შეწყვიტეს. 1989 წლის 15 მაისს სოხუმში ჩამოვიდა თსუ რექტორის, აკად. ნოდარ ამაღლობელის მიერ ფილიალის დირექტორად დანიშნული პროფ. ფელიქს ტყეპუჩავა – ცნობილი მეცნიერი-ფიზიკოსი, რომელსაც იმჟამად ეკავა თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

დირექტორის მოადგილის თანამდებობა. ფ. ტყეებუჩავას ახლად-გახსნილი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელად დანიშნისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ იგი იყო აფხაზეთის მკვიდრი – გაგრიდან. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ფილიალის დირექტორად გარედან მოსული პიროვნების დანიშვნა, თავდაპირველად, კოლექტივმა არაერთგვაროვნად აღიქვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახლადდანიშნულმა დირექტორმა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლის (იქ განთავსდა თსუ სოხუმის ფილიალი) სპორტულ დარბაზში შეკრებილებს საკმაოდ ემოციური პატრიოტული სიტყვით მიმართა, ეჭვები ერთბაშად გაიფანტა და სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პროფ. ფ. ტყეებუჩავას.

სოხუმში ქართული საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზური მოსახლეობის სეპარატისტული ნაწილის რისხვა გამოიწვია. იმავე 15 მაისს, სადამოს, „აიდგილარას“ ინიციატივით, ქ. სოხუმის ცენტრში – მაშინდელი ლენინის მოედანზე – ოპერატიულად მოეწყო მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც ერთხმად დაგმეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება თსუ სოხუმის ფილიალის გახსნის შესახებ. ეს ფაქტი, არც მეტი, არც ნაკლები, მიჩნეულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის „საშინაო საქმეებში“ უხეშ ჩარევად თბილისის მხრიდან და აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესების შელახვად. მომიტინგეებმა კატეგორიულად მოითხოვეს ხალხთან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვლადიმირ ხიშბას მისვლა, რომელიც იძულებული შეიქნა, გამოცხადებულიყო მოედანზე და საჯაროდ დაედო პირობა, რომ მიაღწევდა თსუ ფილიალის გაუქმებას. ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირის ამ განცხადებას მომიტინგეები მოწონებით შეხვდნენ და დაიშალნენ.

მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამჯერად არ აპყვა სეპარატისტების კაპრიზს და გადაწყვეტილება თსუ სოხუმის ფილიალის გახსნის შესახებ ძალაში დატოვა. თბილისის ასეთი, ერთი შეხედვით, სეპარატისტების მიმართ ხისტი პოზიცია განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ხელისუფლებას ბევ-

რად უფრო აფრთხობდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პროტესტი, ვიდრე აფხაზეთისა. და ეს სავსებით გასაგები იყო. 1989 წლის გაზაფხულზე განვითარებულმა მოვლენებმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ამიერიდან აფხაზეთის ქართველობა ნამდვილად არ აპირებდა გულხელდაკრეფილად ჯდომას და აქტიურად იბრძოლებდა თავისი უფლებებისათვის.

ეს გამოვლინდა ჯერ კიდევ მარტში, როდესაც მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. განსაკუთრებით გამწვავდა სიტუაცია ქ. სოხუმის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში, სადაც საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ერთი მანდატისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა 3 კანდიდატი: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აფხაზი ალეკო გვარამია, სოხუმში განთავსებული ექსპერიმენტული პათოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი, რუსი ბორის ლაპინი და სოხუმის ფიზიკატექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, ქართველი რევაზ სალუქვაძე. თავდაპირველად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ არჩევნებში გაიმარჯვებდა ალეკო გვარამია, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მარტო ადგილობრივი პარტიული ნომენკლატურა და სეპარატისტული წრეები, არამედ თვით აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ცალკეული წარმომადგენლებიც, მაგრამ ლიხნის თავყრილობისა და „ქართული რევოლუციის“ დაწყების შემდეგ ალეკო გვარამიას მანსებმა მნიშვნელოვნად იკლო. საბოლოოდ კი, არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ქართველმა კანდიდატმა რევაზ სალუქვაძემ.

ამ ფაქტმა ნათელი გახადა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწყებული დემოკრატიული პროცესები აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ეთნიკური უმცირესობის სრული დიქტატის დამყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში, კარგს არაფერს უქადდა, ამიტომაც მათ არჩევანი ერთნიშნად კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემისა და საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებისათვის მებრძოლ რეაქციულ-კონსერვატიულ ძალებზე გააკეთეს. და ეს მაშინ, როდესაც მთელი საქართველო, პირიქით, ეროვნულ-პატრიოტული ძალების აქტიური ან-

ტიმიპერიული და ანტიკომუნისტური პროპაგანდის შედეგად, ბარიკადის სულ სხვა მხარეს იდგა. კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემის დემონტაჟისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის ქართული ინტელიგენცია და ახალგაზრდობა.

1989 წლის 1 მაისს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქციის ფონზე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი თავკაცის, უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის მასწავლებლის იოსებ (სოსო) ადამიას ინიციატივით, ჩატარდა საბჭოური სინამდვილისათვის სრულიად უპრეცედენტო აქცია – მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის ნაცვლად, ქ. სოხუმის ახალგაზრდობამ სოხუმის რკინიგზის მუშებთან ერთად, დემონსტრაციულად შეასრულა სარემონტო სამუშაოები რკინიგზის ხაზზე, მაგრამ ეს აფხაზეთში მოგვიანებით განვითარებული მშფოთვარე მოვლენების მხოლოდ პრელუდია იყო.

26 მაისს, ქ. სოხუმში, პირველად საბჭოური რეჟიმის პერიოდში, საყოველთაოდ აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე. ამ აქციის ტონის მიმცემნი იყვნენ ახლადგახსნილი თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. უმაღლესი სასწავლებლის ათასობით სტუდენტისა და თანამშრომლისგან შემდგარი კოლონა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშებით ხელში, გამოვიდა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლის (სადაც განთავსებული იყო ფილიალი) ეზოდან, დაეშვა ენგელსის ქუჩით ზღვის სანაპიროსკენ, ჩაუარა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობებს, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და რუსთაველის ქუჩით გავიდა კონს-

ტიტუციის მოედანზე, სადაც ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი.

აფხაზურმა მხარემ წინასწარ იცოდა ამ აქციისათვის მზადების შესახებ. ეს არც არავის დაუმაღლავს. სეპარატისტები განსაკუთრებით გააღიზიანა იმან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება 26 მაისის, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ. ამის პასუხად, 1989 წლის 23 მაისს სეპარატისტების ხელმძღვანელი შტაბის ინიციატივით, ქ. სოხუმში, შემოქმედებითი კავშირების სახელში მოეწყო აფხაზეთის ასსრ ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენელთა სახელდახელო შეკრება, რომელზეც მიღებულ იქნა მორიგი „მიმართვა“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ „მიმართვაში“ საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ „Решение ЦК КП Грузии о праздновании 26 мая принято без учёта волеизъявления многонационального населения Абхазской АССР и является актом оскорбления национальных чувств абхазского народа, глумлением над памятью жертв меньшевизма. И это не может не обострить до крайности и без того напряжённую политическую обстановку в республике, что повлечет за собой самые непредсказуемые последствия“. აქედან გამომდინარე, საქართველოზე და საქართველოს ხელისუფლებაზე ახალი დაბეზღებითი წერილის ავტორები კატეგორიულად მოითხოვდნენ ცენტრისაგან: „Принятие решительных, безотлагательных мер для того, чтобы предотвратить празднование 26 мая на территории Абхазской Автономной Советской Социалистической Республики“.<sup>13</sup>

თავის დროზე, ჩვენ, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, საკმაოდ თვალსაჩინოდ ვაჩვენეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური ხელისუფლების მიმართ წაყენებული ამ ბრალდებების სრული უსაფუძვლობა და აბსურდულობა<sup>14</sup>, ამდენად მათზე ყურადღების ხელახლა გამახვილება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საკითხავია მხოლოდ, თუ სად, რომელ „სამარხებში“ აღმოაჩინეს მშობლიურ აფხაზეთზე ასე გულდათოუქულმა ვაი-პატრიოტებმა მენშევიკების მიერ დაზოცილ თანამემამულეთა ნეშტები. ისტორიამ კი მშვენივრად იცის, თუ რომელმა

რეჟიმმა მოუწყო ნამდვილი გენოციდი მრავალ ტანჯვაგამოვლილ აფხაზ ხალხს, ვინ აჰყარა აფხაზობა მშობლიური მიწა-წყლიდან და გასწირა უცხო ქვეყანაში წანწალისათვის XIX საუკუნეში და რომელმა რეჟიმმა ამოხოცა ქართული და აფხაზური ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი XX საუკუნის 30-იან წლებში.

**კრიზისის უკიდურესი გამწვავება 1989 წლის ზაფხულში და 15-16 ივლისის ტრაგედია.** სიტუაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ირგვლივ სულ უფრო იძაბებოდა. ვითარების განმუხტვის მიზნით, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის წარმომადგენლებთან შესახვედრად ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში მოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვლადიმერ ხიშბა. მას თან ახლდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ზუხბაია. შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორი, პროფესორი ფელიქს ტყებუჩავა, მეტად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ფილიალის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელი 15 მაისს აფხაზ სეპარატისტთა მიტინგზე გამოსვლის გამო, სადაც მან, როგორც უკვე აღინიშნა, მომიტინგეებს ფილიალის დახურვის პირობა მისცა. ვლადიმერ ხიშბამ კერ შეძლო რაიმე კონსტრუქციული წინადადების შეთავაზება ქართული უნივერსიტეტის კოლექტივისათვის და ეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ასევე არავითარი შედეგი არ მოჰყვა ანალოგიური ხასიათის შეხვედრას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ვალერიან კობახიასთან, რომელსაც თან ახლდნენ აფხაზი ეროვნების მაღალი რანგის ნომენკლატურული მუშაკები. აფხაზური მხარე კვლავ ითხოვდა კატეგორიულად თსუ სოხუმის ფილიალის დახურვას და ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნებას. ამასთან, სეპარატისტები არ მოდიოდნენ არანაირ კომპრომისზე. ამ შეხვედრებმა დაარწმუნეს აფხაზური სეპარატიზმის მამები, რომ თავიანთი ძალებით ისინი უკვე ვერ მოახერხებდნენ „ამბოხებულ“ ქართველების „მორჯუ-

ლებას“ და საქმეში მოსკოვის უფრო აქტიურად ჩართვა გადაწყვიტეს.

საკავშირო ხელისუფლებამ ყურად იღო აფხაზ სეპარატისტთა მოთხოვნა და სახელდახელოდ მოავლინა სოხუმში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე, მაგრამ მაღალჩინოსანი მოსკოველი მოხელის ვიზიტმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. მოგვიანებით, აფხაზი ეროვნების სახალხო დეპუტატების თხოვნით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სიტუაციის გასარკვევად აფხაზეთში გამოგზავნა სპეციალური კომისია 4 სახალხო დეპუტატის შემადგენლობით. ამ კომისიის წევრთა შორის იყო ცნობილი რუსი მეცნიერი, ლინგვისტი, პროფ. ვიჩესლავ ივანოვი.

დეპუტატთა ჯგუფი სოხუმში შეხვდა როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მხარეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომელიც შედგა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. შეხვედრას უძღვებოდნენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, პროფ. ნაპოლეონ ქარქაშიძე და თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორი, პროფ. ფელიქს ტყეებუჩავა. სხდომაზე ქართული მხარის თვალსაზრისი წარმოადგინეს პროფ. ლეონიდ ჯახაიამ, დოცენტებმა მურმან ბერიამ, ზურაბ პაპასქირმა და სხვ. მათ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებს ცალსახად განუცხადეს, რომ აფხაზეთის ქართველობა ამიერიდან არ აპირებდა სეპარატისტების კაპრიზების მოთმენას. აღნიშნულ შეხვედრაზე ზემოხსენებული ვ. ივანოვი შეეცადა, თავი მოეწონებინა თავისი პროფესიონალური ერუდიციით და „ავტორიტეტულად“ განმარტა, რომ მეგრული ენა დამოუკიდებელი ენაა და რომ მეგრელები არ არიან ქართველები. ამის შემდეგ მან მენტორული ტონით მიმართა აუდიტორიას და განუცხადა, რომ იქ დამსწრე ქართველებს არ ჰქონდათ უფლება ელაპარაკათ აფხაზეთის მეგრული მოსახლეობის სახელით.

„ყოველისმცოდნე“ მოსკოველი ენათმეცნიერის ამ პროვოკაციული გამოხდომის პასუხად, პროფ. ფ. ტყეებუჩავამ დემონსტ-



რაციულად სთხოვა შეხვედრის მონაწილე მეგრელებს, წამომდგარიყვნენ ადგილიდან და დაედასტურებინათ თავიანთი ქართველობა. აღმოჩნდა, რომ 3-4 პიროვნების გარდა (სხლომას ესწრებოდა 40-მდე ადამიანი) შეხვედრის თითქმის ყველა მონაწილე მეგრული წარმომოხობის იყო. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა თავგასული რუსი შოვინისტი პროფესორი და ის იძულებული გახდა, შეეწყვიტა თავისი „მეცნიერულ“-პოლიტიკური ინსინუაციები „მეგრულ თემატიკაზე“. სხვათა შორის, მოგვიანებით, როდესაც ვ. ივანოვის ამ თავხედური დემარშის შესახებ შეიტყვეს თბილისში, იქ ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მკაცრი კრიტიკის ქვეშაც მოჰყვა, რის შემდეგაც მას მოუწია „შემრიგებლურ მისიაზე“ უარის თქმა და იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო. ამ ფაქტზე ჩვენ ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ გვეჩვენებინა მოსკოველ „კეთილისმსურველთა“ სრული არაკომპეტენტურობა და ტენდენციურობა.

ამასობაში, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები სულ უფრო ამძაფრებდნენ სიტუაციას სოხუმში. 1989 წლის 22 ივნისს „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ ინიციატივით მოწვეულ იქნა აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ადამიანმა, მათ შორის, მთელმა აფხაზურმა ნომენკლატურამაც. კრებამ მიიღო „მიმართვა“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. 25 ივნისს „აიდგილარამ“ გამოაქვეყნა „მიმართვა აფხაზი ხალხისადმი“, ხოლო 27 ივნისს მიღებულ იქნა მორიგი „მიმართვა“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელშიც ფაქტობრივად მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოსვლისათვის.

სეპარატიზტებს სულ უფრო აღიზიანებდათ სასწავლო პროცესის გამართვა თსუ სოხუმის ფილიალში, განსაკუთრებით კი ის, რომ ახლადშექმნილი უმაღლესი საწავლებელი ემზადებოდა მისაღები გამოცდებისათვის. 1989 წლის ივლისის დასაწყისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, ბაგრატ შინკუბამ

და ალექსი გოგუამ დეპეშა გაუგზავნეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანატოლი ლუკიანოვს და ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს ვადიმ ბაკატინს, რომელშიც აღნიშნული იყო: „В эти дни в Абхазии сложилась чрезвычайная обстановка на межнациональной основе. Особо остро стоит вопрос Абхазского государственного университета в г. Сухуми. С ведома Совета Министров Грузинской ССР продолжается разделение университета по национальному признаку. Ни силы органов внутренних дел, ни общественность не способны предотвратить межнациональные столкновения. В связи с этим, просим незамедлительно решить вопрос о выделении войсковых сил МВД СССР, так как 16 июля незаконно созданный филиал намеревается приступить к приёмным экзаменам“.<sup>15</sup>

ამავე დროს, 8 ივლისს აფხაზეთის სახალხო ფორუმმა „აიდგილარამ“ მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს და მოსთხოვა მას აფხაზეთში მმართველობის განსაკუთრებული ფორმის – ცენტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარებით – შემოღება<sup>16</sup>. ყველა ეს დეპეშა-მიმართვები ფაქტობრივად ერთგვარი ინფორმაციულ-პროპაგანდისტული შირმა იყო, რომლითაც სეპარატისტები ცდილობდნენ, დაემალათ სოხუმში დაგეგმილი სისხლიანი ანგარიშსწორების სამზადისი. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქართული მხარე აბსოლუტურად არ ამჟღავნებდა არავითარ აგრესიულობას. პირიქით, ის ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული ვითარების სტაბილიზაციით და მაქსიმალურად ცდილობდა, არ მიეცა მეორე მხარისათვის ზედმეტი საბაბი სიტუაციის შემდგომი გამწვავებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სეპარატისტული წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თსუ სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობა მოუწოდებდა მათ, არ აჰყოლოდნენ ემოციებს და, ბოლოს და ბოლოს, შერიგებოდნენ ახალი საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნას სოხუმში.

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა 13 ივლისიდან, როდესაც სოხუმში დაიწყო შეკრება რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოყ-

ვანილმა აფხაზი ეროვნების მოქალაქეებმა. იმავე დღეს, აფხაზთა წარმომადგენლობითი დელეგაცია გამოცხადდა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში, სადაც შეხვდა ოსუ სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობას და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა მისაღები გამოცდების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზი „პარლამენტიორები“ სისხლისღვრით იმუქრებოდნენ. ფილიალის ხელმძღვანელებმა, პირადად დირექტორმა, პროფ. ფ. ტყეებუჩავამ ერთხელ კიდევ უხმეს კეთილგონიერებისკენ სეპარატისტებს და მოუწოდეს მათ, თავი შეეკავებინათ უკანონო ქმედებებისაგან. ამავე დროს, ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ცალსახად მიანიშნეს აფხაზთა დელეგაციას, რომ მუქარებით მათ ვერაფერს დაამინებდა.

14 ივლისს მთელი დღის განმავლობაში სოხუმში დაძაბულობა არ ცხრებოდა. შუალდამისთვის აფხაზებმა ალყა შემოარტყეს №1 საშუალო სკოლის შენობას. იმავე დამეს სეპარატისტებმა დაარბიეს მარქსის ქუჩაზე მოწყობილი 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დროებითი სტენდი. შინაგან საქმეთა ორგანოებმა ვერ შეძლეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა. შეიქმნა სკოლის დარბევისა და იქ მყოფ პირებზე – საბუთების მიძღები კომისიის წევრებზე, რომელთა შორის სტუდენტებიც იყვნენ – თავდასხმის რეალური საფრთხე. 15 ივლისს, შუადღისთვის, სანაპიროზე, რუსთაველის სახელობის პარკში შეკრება დაიწყო ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. ისინი იჩენდნენ მაქსიმალურ სიფრთხილეს, რათა არ შესულიყვნენ კონტაქტში №1 საშუალო სკოლის ირგვლივ შეგროვილ აფხაზებთან და არ მიეცათ მათთვის პროვოკაციის საბაბი.

17 საათისთვის რუსთაველის პარკს მოადგა ავტომანქანა „ვოლგა“, საიდანაც აფხაზმა ოპერატორმა გამომწვევად დაიწყო იქ შეკრებილი ქართველების გადაღება. მანქანას მიუახლოვდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც მოსთხოვეს მას გადაღების შეწყვეტა და იქაურობის დატოვება, მაგრამ ოპერატორმა ყურად არ იღო ეს მოთხოვნა და ჯიუტად განაგრძო თავისი „საქმიანობა“. ამას მოჰყვა შეხლა-შემოხლა, რის შემდეგაც მანქანამ სასწრაფოდ დატოვა პარკის მიმდებარე ტერიტორია, რამდენიმე წუთ-

ში კი №1 საშუალო სკოლიდან ენგელსის ქუჩით დაეშვა რკინის ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებული აღზნებულ ადამიანთა ბრბო (2000-მდე კაცი). გაჩაღდა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერი ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა. სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა იმავე ორგანიზაციის მეორე ლიდერი, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი იოსებ (სოსო) ადამია, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

თითქმის პარალელურად აფხაზები შეიჭრნენ №1 საშუალო სკოლის შენობაში, იავარჰყვეს იქაურობა და სასტიკად გაუსწორდნენ მიძღები კომისიის წევრებს: მაიზერ ბაბლუანს, როინ ბერიას, კახა კვარაცხელიას, მერაბ ლომაძეს, აბესალომ მიქელაძეს, კარლო შამათავას, მამუკა ჭედისას, ჯემალ ხარებავას, მერაბ ჯიქიას. ამავე დროს, ქალაქის ცალკეულ უბნებში ატყდა სროლა, რომელიც არ შეწყვეტილა თითქმის მთელი ღამის განმავლობაში. 16 ივლისს ქართული მხარე შოკისაგან გამოვიდა და შეუდგა ძალების მობილიზაციას. მალე ქალაქი ქართველების კონტროლქვეშ მოექცა. შეიქმნა ერთგვარი შტაბი, რომელიც განთავსდა კინოთეატრ „აფსნი“-ს შენობაში.

სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია ელვისებურად მოედო მთელ საქართველოს. 16 ივლისს ათასობით ადამიანი გალისა და სამეგრელოს მიმდებარე რაიონებიდან ერთიანად დაიძრა სოხუმისაკენ, მაგრამ ისინი მდ. ღალიძგას ვერ გასცდნენ. აფხაზებმა, იგრძნეს რა მოსალოდნელი საშიშროება, მიიღეს გადაწყვეტი ზომები თავიანთი „სამშობლოს“ დასაცავად. როგორც იტყობინებოდა გაზეთ: „*Комсомольская правда*“-ს კორესპონდენტი ს. ლობანოვი, „В течение дня 16 июля и ночи 17 июля в г. Гудаута была организована беспрепятственная загрузка на прогулочные катера лиц, вооруженных холодным и огнестрельным оружием, в том числе боевым автоматическим оружием, а также бутылками с зажигательной смесью и т.д.“ ეს „ახალგაზომცხვარი“ 1000-მდე „ბოვეიკი“ ჩასვეს 6 კატერზე

და გადასხეს ოჩამჩირეში<sup>17</sup>. ამასობაში, აფხაზთა ერთი ჯგუფი თავს დაესხა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჩამჩირის რაიონულ განყოფილებას და დაიტაცა საბრძოლო იარაღი.

აი, ასე შეიარაღებულმა აფხაზმა „ბოვეიკებმა“ 16 ივლისს დაიკავეს „საბრძოლო პოზიციები“ მდ. ლალიძგის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ და სროლა აუტეხეს ოჩამჩირისკენ მომავალ მანქანებს. ამ სროლის შედეგად დაიღუპნენ გალის რაიონის მცხოვრებნი: რევაზ ეხვაია, ნური შამათავა და ომარ შენგელია, მაგრამ მაშინ მაინც მოხერხდა კონფრონტაციის შემდგომი ესკალაციის შეჩერება. ამაში დიდი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერების, პირველ რიგში კი, მერაბ კოსტავას, აგრეთვე საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის წვლილი. ასევე პოზიტიური როლი შეასრულა სსრ კავშირის შინაგანი ჯარების (გენერალ-პოლკოვნიკ იური შატალინის სარდლობით) დროულმა ჩარევამაც. გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა. 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედიაში შეიწირა 14 ადამიანის – 9 ქართველისა და 5 აფხაზის სიცოცხლე.

15-16 ივლისის ტრაგედია მთლიანად აფხაზ სეპარატისტების ექსტრემისტული ნაწილის სინდისზეა. საწინააღმდეგოს მტკიცება და სისხლისღვრის ინიცირების ქართველებისათვის გადაბრალება, რასაც ყოველნაირად ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები, უბრალოდ აბსურდი და უაზრობაა. განა ქართველებმა მოითხოვეს აფხაზური უნივერსიტეტის გაუქმება? განა ისინი შეიჭრნენ შენობაში, რომელშიც იმყოფებოდნენ აფხაზი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები და უმოწყალოდ გაუსწორდნენ იქ მყოფ უდანაშაულო ხალხს? განა ქართველები ჩასხდნენ ავტობუსებში, გაემართნენ გუდაუთაში და თავს დაესხნენ იქ შეკრებილ მშვიდობიან აფხაზებს? თუ ყოველივე ეს პირიქით მოხდა? ვფიქრობთ, ამ რიტორიკულ კითხვას პასუხი არც სჭირდება, იმდენად ნათელია საქმის ვითარება. ეს აფხაზმა სეპარატისტებმა წარმოიდგინეს თავი „თავიანთი სამშობლოს“ ერთადერთ მეპატრონედ და კატეგორიულად აუკრძაღეს ქართველებს საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს სსრ-ის,

**რომლის ნაწილსაც შეადგენდა აფხაზეთის ასსრ, – ფარგლებში ესწავლათ და ემუშავათ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში.**

ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა სურვილი, შეექმნათ ეროვნული საუნივერსიტეტო ცენტრი სოხუმში, ვერანაირად ვერ შეუძლიდა ხელს საკუთრივ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირებას, ვინაიდან უნივერსიტეტის მთელი ქონება აფხაზურ მხარეს რჩებოდა და, რაც მთავარია, აფხაზეთის უნივერსიტეტს უცვლელად უტოვებდნენ მისაღებ კონტინგენტს. ერთი სიტყვით, აფხაზები პრაქტიკულად არაფერს არ კარგავდნენ. სეპარატისტებისთვის უბრალოდ კატეგორიულად მიუღებელი იყო „მათ სამშობლოში“ ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, რომელშიც არა მარტო სწავლება იქნებოდა ქართულ ენაზე (ეს ისედაც იყო აფხაზეთის უნივერსიტეტში, ქართულ სექტორზე), არამედ საქმის წარმოებაც. თვით აფხაზეთის უნივერსიტეტში, როგორც ცნობილია, საქმის წარმოება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ის ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდებოდა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისაგან. სეპარატისტებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ როდესაც მთელ საქართველოში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა და რესპუბლიკა ასე გაქანებით მიემართებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, ზოგად-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სოხუმში დამატებით იმპულსებს შესძენდა აფხაზეთის ჩართვას საერთო-ქართულ პროცესებში. სწორედ ამის დაშვება არ სურდათ აფხაზებს და ამიტომაც იმუქრებოდნენ ისინი სისხლისღვრით, რაც აღასრულეს კიდევ 1989 წლის 15-16 ივლისს. ასე რომ, ნებისმიერი მცდელობა ჩვენი ოპონენტების მხრიდან, ქართველებს გადააბრალონ 15-16 ივლისის ტრაგედია, იმთავითვე განწირულია.

აფხაზური მხარე, შინაგანად გრძნობდა რა თავის დანაშაულს მომხდარის გამო, ცდილობდა ემოქმედა პრინციპით: „შეტევა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა“. სსრ კავშირის უმაღლეს სახელისუფლებო ინსტანციებში გაიგზავნა არაერთი საჩივრის წერილი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარე-

ობის გამოცხადების მოთხოვნით. ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას სეპარატისტები ხსნიდნენ იმით, რომ: „при попустительстве и содействии руководства и правоохранительных органов Грузии“ თითქოს ხორციელდებოდა „вооружение грузинских национал-экстремистов для проведения массового уничтожения абхазов“. მაგრამ ექსტრემისტული ძალები ამასაც არ სჯერდებოდნენ. „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ მიმართვაში, რომელიც იწყებოდა მოწოდებით: „Всем! Всем! Всем!“, არც მეტი, არც ნაკლები, აღნიშნული იყო, რომ დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და რომ აფხაზეთში შეაღწია ათასობით ქართველმა „ბოევნიკმა“. ამით, სეპარატისტების მტკიცებით, შეიქმნა აფხაზეთის, რუსების, ბერძნების, სომხების სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე. ასეთ ვითარებაში, მიუთითებდნენ „მიმართვის“ ავტორები, „Правительство Грузии дезинформирует Правительство СССР о положении дел в Грузии и Абхазии, препятствует введению коммандантского часа, ибо его введение выявит наличие в Абхазии грузинских боевиков, приехавших извне, и лишит правительство Грузии возможности влиять на развитие событий в антиабхазском направлении“.<sup>18</sup>

არანაკლებ კატეგორიული და კონფრონტაციული იყო „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ 1989 წლის 20 ივლისით დათარიღებული „მიმართვა“ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ იური შატალინისადმი. მასში პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ „идет четкая запланированная акция по уничтожению абхазского народа. Как этнос он поставлен на грань катастрофы“. „მიმართვის“ ავტორები – „აიდგილარას“ ლიდერები: ალექსი გოგუა, რომან ჭანბა, სერგეი შამბა, ნიკოლოზ ჯონუა, იგორ მარხოლია და სხვ. – სარდალს სთავაზობდნენ, მიეღო მათი წინადადება „о временной мобилизации лиц абхазской национальности на добровольных началах“.<sup>19</sup>

სინამდვილეში, არავინ არ ემუქრებოდა აფხაზეთის სიცოცხლეს, ხოლო მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ოპერაცია, რომელიც დაიწყო სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებმა, მედგარ წინააღმდეგობას სწორედ აფხაზთა მხრი-

დან წააწყდა. უფრო მეტიც, ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ამგვარი ოპერაციის ჩატარებისას, აფხაზმა „ბოევიკებმა“ სიცოცხლეს გამოასალმეს ორი რუსი ჯარისკაცი. ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა, თუ ვინ ამღვრევდა წყალს და ვისგან მოდიოდა დესტაბილიზაციის საფრთხე ავტონომიურ რესპუბლიკაში. მთავარია, ეს გაიგეს მოსკოვშიც, სადაც, მიუხედავად სეპარატისტების დაჟინებული მოთხოვნისა, მიიღეს გადაწყვეტილება, 15-16 ივლისის მოვლენები გამოეძია საქართველოს სსრ-ის პროკურატურას, მაგრამ გამოძიებამ მხოლოდ „მეისრეები“ გამოავლინა. კერძოდ, მოსახლეობისათვის იარაღის უკანონო დარიგებისა და ერთაშორის შუღლის გაღვივების ბრალდებით გასამართლებულ იქნა და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ოჩამჩირის რაიონის პროკურორის ვალერი ლურჯუას. ამავე ბრალდებით გაასამართლეს აგრეთვე იმავე ოჩამჩირის რაიონის არასაუწყებო დაცვის უფროსი ნიკოლოზ შლარბა (მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა). 13-წლიანი პატიმრობა მიესაჯა ვოვა ვეკუას მკვლელობაში ეჭვმიტანილ იური პალბას. მთავარი დამნაშავენი – აფხაზური სეპარატიზმის „სულიერი მამები“ და უშუალო ორგანიზატორები – „აიდგილარას“ ხელმძღვანელები კი, ბუნებრივია, დაუსჯელნი დარჩნენ.

ერთ-ერთი მათგანი, ვისაც აწევს 15-16 ივლისის ტრაგედიის ცოდვა, იყო „აიდგილარას“ ლიდერი ალექსი გოგუა, რომლის პიროვნებამ სწორედ ამ პერიოდში წამოიწია წინა პლანზე. მართალია, ა. გოგუა უკვე 60-იანი წლებიდან იყო მიჩნეული ნიჭიერ მწერლად, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ის დიდი ხნის განმავლობაში ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული და თანამდებობრივადაც მაინცდამაინც გამორჩეული არ ყოფილა (ის სჯერდებოდა აფხაზური საბავშვო ჟურნალის „ამცაბზ“-ის რედაქტორობას). ა. გოგუას აღმასვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე 1985 წლიდან იწყება. ის ჯერ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის მწერალთა კავშირს, ხოლო მოგვიანებით პირველი ოფიციალური სეპარატისტული ორგანიზაციის, „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ თავმჯდომარეც გახდა. მისი რეჟინგი სეპარატისტულ წრეებში კიდევ უფრო



გაიზარდა 1989 წლის 26 მარტს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად „არჩევის“ შემდეგ. სწორედ ამ დროიდან იქცა ის აფხაზური სეპარატიზმის თვალსაჩინო იდეოლოგად. ამიტომაც აწერდა ის ხელს ყველა მიმართვა-დაბეზლებას, რომელიც კი სოხუმიდან ცენტრში იგზავნებოდა. გარდა ამისა, ა. გოგუა აქვეყნებდა პასკვილებს საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ საკავშირო ჟურნალებში. მაგალითისათვის თუნდაც ჟურნალ „*Дружба народов*“-ში (1989, №5) მოთავსებული მისი პუბლიკაციაც იკმარებდა.

აღნიშნულ პუბლიკაციაში ა. გოგუა ერთხელ კიდევ ცდილობდა, დაედანაშაულებინა საქართველო და ქართველობა აფხაზი ხალხის ჩაგვრაში. ამ შემთხვევაში ის აქცენტს აკეთებდა ისტორიაზე. მისი მტკიცებით, თურმე ქართველები „ჰპარავდნენ“ აფხაზებს ისტორიას, თითქოს მათ მიესაკუთრებინოთ „აფხაზთა“ სამეფო, „აფხაზეთის“ საკათალიკოსო და ა.შ. და ყოველივე ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას (მოკავშირე რესპუბლიკისაგან განსხვავებით) თურმე არ შეიძლებოდა ჰქონოდა მდიდარი ისტორიული წარსული. ამ უცნაური დებულების დასტურად აფხაზ მწერალს მოჰყავდა შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოღვაწის იოანე პეტრიწის მაგალითი.

ეს გაუგებრობა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: თავის დროზე აკად. ნიკო მარმა გამოთქვა აზრი, რომ ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის მეგობარი და თანამოაზრე ვინმე „აბაზგი გრამატიკოსი“ შეიძლება იოანე პეტრიწი ყოფილიყო. ნ. მარის ეს ჰიპოთეზა ურყევ ჭეშმარიტებად მიიღო ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებმა აფხაზმა ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა, პროფ. შალვა ინალ-იფამ, რომელმაც ამის საფუძველზე იოანე პეტრიწი, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზი ეროვნების მოღვაწედ გამოაცხადა და მას „აფხაზური გრამატიკის“ შექმნაც მიაწერა. პირველ რიგში, შ. ინალ-იფას ეს სენსაციური „აღმოჩენა“ ჰქონდა მხედველობაში ა. გოგუას, როდესაც საქვეყნოდ ადანაშაულებდა ქართველ „იმპერიალისტებს“ სხვისი ისტორიის მითვისებაში. სინამდვილეში კი, სწორედ ა. გოგუას ეს ქმედება იყო მკრეხელობა და ძალადობა ისტორიაზე.

არადა, უპრიანი იყო, ა. გოგუას, სანამ ასეთ მკრეხელურ

განცხადებას გააკეთებდა, ცოტა რამ მაინც შეეტყო შუა საუკუნეების ქართული (და არა აფხაზურ-აფსუური) ფილოსოფიის ისეთი გიგანტის შემოქმედებაზე, როგორც იოანე პეტრიწი იყო, გაეგო, სად და როგორ გარემოცვაში მოღვაწეობდა ეს დიდი ფილოსოფოსი და რა როლი შეასრულა მან საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. მაშინ, იქნებ, ამ ჩვენი „ჭკუის კოლოფისათვის“ (მხედველობაში გვყავს თანამედროვე აფხაზური პროზის „მედროშე“ ა. გოგუა) ცნობილი გამხდარიყო, რომ იოანე პეტრიწი თავის ფილოსოფიურ ტრაქტატებს, აგრეთვე დიდ ბერძენ ფილოსოფოსთა (არისტოტელეს, პროკლესა და სხვ.) თხზულებების თარგმანებს ქმნიდა სწორედ ქართულ ენაზე და არა იმ ენაზე, რომელზედაც აკონიწებს თავის ნაცოდვილარს, ვინ იცის, როდის გააფხაზებული ქართველი ალექსი გოგუა.

მართლაც, არ იქნებოდა ურიგო, მანამ, სანამ აფხაზთა ისტორიული წარსულით გულდათუთქული ა. გოგუა „ნიანგის ცრემლებს“ დაღვრიდა, მას ოდნავ მაინც შეეწუხებინა თავი და გაეგო, რომ იოანე პეტრიწი ითვლება ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემქმნელი ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლად და, რომ მან დიდი გავლენა იქონია არა მარტო ქართული ფილოსოფიური აზროვნების, არამედ ქართული საერო პოეზიისა და ისტორიული ლიტერატურის განვითარებაზეც. რაც შეეხება საკუთრივ გრამატიკას, მეცნიერ-სპეციალისტები (და არა ა. გოგუას დონის დილექტანტები) საგანგებოდ აღნიშნავენ იოანე პეტრიწის ღვაწლს ამ სფეროშიც, ოღონდ არა ა. გოგუასათვის მშობლიურად ქცეულ აფხაზურ ენაში, არამედ მისი (ე. ი. ა. გოგუას) წინაპრების მშობლიურ ქართულ ენაში.

ისე, ბ-ნი გოგუა ერთ რამეში მართალია, იოანე პეტრიწი მართლაც არის მისი წინაპარი, ვინაიდან ის და მისი ათიათასობით თანამემამულე დღევანდელი აფხაზი – გენეტიკურად ქართველები – ნამდვილად არიან დიდი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შთამომავლები, მაგრამ არც ესაა მთავარი. დავუშვათ, იოანე პეტრიწი, ჰიპოთეტურად რომც იყოს ეთნიკურად აფხაზი (თუმცა სპეციალისტები მას სამცხის მკვიდრად მიიჩნევენ), ამის გამო მისი მიკუთვნება აფხაზური ეროვნულ-კულტურ-

რული სამყაროსადმი (თანამედროვე გაგებით) სრული უვიცობა იქნებოდა. არავითარი აფხაზური ეროვნული ცივილიზაცია, რომელსაც შეეძლო იოანე პეტრიწის თხზულებების ღონის ფილოსოფიური ტრაქტატების შექმნა, უბრალოდ არ არსებობდა. ეს, რასაკვირველია, იცის ნებისმიერმა წიგნიერმა ადამიანმა, მაგრამ აღნიშნული სულაც არ უშლის ხელს აფხაზური სეპარატიზმის მესვეურებს სრულ უმეცრებაში ამყოფონ თავიანთი თანამემამულენი, მათ შორის, გააფხაზებული ქართველები (ძირითადად მეგრელები), რომლებიც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, დღევანდელი აფხაზობის სულ ცოტა 60%-ს მაინც შეადგენენ. ისინი, ალექსი გოგუა და მისი მსგავსი რენეგატები, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ურცხვად ეწევიან უბრალო აფხაზთა ზომბირებას ამგვარი მონაჭკორით.

**სეპარატისტთა „ახალი მოკავშირეები“ ჩრდილოეთ კავკასიიდან და მათი ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.** 15-16 ივლისის ტრაგედიის შემდეგ სეპარატისტები სულ უფრო ძაბავდნენ სიტუაციას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ დროს ასპარეზზე გამოვიდნენ აფხაზთა „თანამომენი“ ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომლებმაც წამოიწყეს ნამდვილი იდეოლოგიური „ლაშქრობა“ აფხაზი ხალხის „მჩაგვრელი“ საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში ჩატარდა ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენლების“ I ყრილობა. მასში მონაწილეობდნენ აფხაზები, აბაზები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩეჩნები და ინგუშები, ანუ შეიკრიბნენ მხოლოდ ორი – ადიღეურ-აფხაზური და ვეინაზური – ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. არც ოსებს, არც დაღესტნურ და არც ჩრდილოეთ კავკასიის თურქული მოდემის ხალხებს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, ეს ღონისძიება მისმა ორგანიზატორებმა „ჩრდილოეთ კავკასიის, აფხაზეთისა და დაღესტნის ხალხების პარტიებისა და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კრება“-დ მონათლეს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ შექმნის შესახებ. არჩეულ იქნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეობა დაევალა ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კათედრის დოცენტს, ყაბარ-ლოელ მუსა (იური) შანიბოვს. ყრილობაზე დეკლარირებულ იქნა ახალი მოძრაობის მთავარი მიზანი – კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკის შექმნა, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა.

მთიელთა ერთიანი რესპუბლიკის შექმნის მოტივაციად რა-ღაც ერთიანი კავკასიური ეთნოსის აღდგენა და განვითარება სა-ხელდებოდა. „Горские народы, вышедшие из одной колыбели Протокавказя“, – წერდა ახლადშექმნილი „ასამბლეის“ ლიდე-რი მუსა შანიბოვი „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ პე-რიოდული ორგანოს – გაზეთ „Кавказ“-ის პირველ ნომერში, – „должны, прежде всего, возродить свое духовное, культурное единство“. ამასთან, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებ-და მაჰმადიანურ რელიგიას და თვლიდა მას ფაქტობრივად ერ-თადერთ „გამაერთიანებელ ძალად“.<sup>20</sup>

კიდევ უფრო კატეგორიული იყო „კავკასიის მთიელ ხალხ-თა ასამბლეის“ მეორე ლიდერის, ჩეჩენი იუსუფ სოსლამბეკოვის განცხადება. ის ღიად აყენებდა მთიელთა ფედერაციის აღდგენის საკითხს, იმ ფედერაციისა, რომელიც, მისი მტკიცებით, თურმე საქართველოს რესპუბლიკაზე ადრე უღიარებია საერთაშორისო თანამეგობრობას. ი. სოსლამბეკოვი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და მთიელთა ფედერაციის ანექსიას რუს და ქართველ გენერ-ლებს აბრალებდა. „მათი შეთქმულების შედეგად“, – აღნიშნავდა „კავკასიის მთიელთა“ თავგასული ბელადი, – „ჩვენი სამხრეთის მხარე – აფხაზეთი, კავკასიის ტრადიციულ დედაქალაქ სოხუ-მით ერგო საქართველოს, ხოლო დანარჩენი ტერიტორიები ხელ-ში ჩაიგდო რუსეთმა. ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს სახელმწიფოს და ის არასოდეს არავის არ შეუერთდება“.<sup>21</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს, ქართული სა-ხელმწიფოს წინააღმდეგ ფაქტობრივად ახალი იდეოლოგიური ფრონ-ტი გაიხსნა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც უძველესი დროიდან საერთო-ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, სრულიად უაპელაციოდ ცხადდებოდა ისტორიუ-ლად საერთოდ არარსებული ჩრდილო-კავკასიური სახელმწიფოს

„სამხრეთის მხარედ“, ხოლო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი სოხუმი – ამ სახელმწიფოს დედაქალაქად.

„კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ე.წ. „ეროვნულ-პატრიოტული“ ორგანიზაციები სულ უფრო ღიად ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ამონარიდს „გარდაქმნის ხელშეწყობისათვის ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის სახალხო ფრონტის“ განცხადებიდან, რომელსაც ყურადღება მიაქცია ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა, პოსტ-საბჭოურ სივრცეში ეროვნებათა შორის ურთიერთობების აღიარებულმა მკვლევარმა სვეტლანა ჩერვონნაია. აი, როგორ შავ ფერებში ხატავდნენ საქართველო-აფხაზეთში შექმნილ ვითარებას ჩვენი ჩრდილოკავკასიელი „ძმები“: „Политика потакания советских и партийных органов Грузии т.н. неформалам, при попустительстве центра, приближает нас к очередной трагедии – к массовому возмущению всех народов Северного Кавказа... По вине высшего руководства страны, которое не торопится дать политическую оценку положению в Грузии, над абхазским народом продолжает висеть опасность новой агрессии, и это будоражит наши народы, считающие бесчестьем равнодушно взирать на несправедливость положения, в котором оказался абхазский народ“.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო ფრონტი უცხადებდა „მტკიცე პროტესტს“ ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ზვიად გამსახურდიას (დოკუმენტში ის შეცდომით მოხსენიებულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ), რომელიც, განცხადების ავტორთა მტკიცებით, „в своем обращении к грузинскому народу договорился до того, что Абхазия находится на грузинской земле“ და რომელმაც „своим провокационным заявлением поставил Абхазию в один ряд с недавно образованной АО в Хабаровском Крае“. „Его молодчики, – აღნიშნული იყო განცხადებაში, – развертывают по всей Абхазии... разнузданную кампанию травли абхазского народа, вывешивая по всей абхазской земле флаги меньшевистской Грузии“.<sup>22</sup>

არანაკლებ თავხელური და გამომწვევი იყო ყაბარღო-ბალყარეთის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის „ადილე-ხასე“-ს სა-

ერთო კრების სახელით მომზადებული დეპეშა, რომელიც ქ. ნალჩიკიდან ერთდროულად გაიგზავნა სხვადასხვა ინსტანციებში: სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ-ის უმაღლეს საბჭოში, აფხაზეთის სახალხო ფორუმსა და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ბიჭვინთისა და გუდაუთის ზოგიერთ დასასვენებელ სახლში, სადაც, როგორც ჩანს, ისვენებდნენ სეპარატისტთა მფარველი მაღალჩინოსნები ცენტრიდან. ამ დეპეშაში ყაბარდო-ბალყარეთის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კრების მონაწილენი, არც მეტი, არც ნაკლები, მოითხოვდნენ: „1. Предоставить Абхазии, как Нагорному Карабаху, статус особого управления. 2. Создать комиссию ЦК КПСС и Верховного совета СССР для объективного анализа... 3. Срочно устранить вопиющую несправедливость... заключающуюся в том, что одной из сторон конфликта – Грузии – предоставлена возможность установить истину по фактам правонарушений... передать ведение дел незаинтересованной бригаде из других регионов СССР“.<sup>23</sup>

სულ უფრო ააქტიურებდა თავის ანტიქართულ საქმიანობას „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“. 1989 წლის ნოემბერში ნალჩიკში გაიმართა ამ ორგანიზაციის III სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო ფრონტის დელეგაციამ მისი თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მეთაურობით. საქართველოდან ჩასულები ამოდ ცდილობდნენ სესიის მონაწილეებისათვის ეთქვათ სრული სიმართლე აფხაზეთზე. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ სსრ კავშირის ხელმძღვანელობისაგან „წესრიგის დამყარებას“ საქართველოში. „На примере Абхазии видно, – ნათქვამი იყო „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ სპეციალურ მიმართვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უმაღლესი საბჭოსადმი, – что эффективных мер Центр... не принимает... Центр не желает или не может выполнять взятые на себя обязательства... Если углубляющийся процесс лишения абхазов гарантированных законом прав не будет остано-

лен, то это может привести к новой волне кровопролития“.<sup>24</sup> ამ სესიაზე შეიქმნა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ თავმჯდომარე იური (მუსა) შანიბოვი. კონფედერაციის შემადგენლობაში შევიდა კავკასიის 16 ხალხი. თითოეული მათგანი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში წარმოდგენილი იყო ვიცე-პრეზიდენტით. აფხაზებიდან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთმა ოდიოზურმა ლიდერმა კონსტანტინე ოზგანმა, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონულ ორგანიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს, თუ როგორი მოღალატეობრივი პოზიცია დაიკავეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. „ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის“ ლიდერებმა. იმის ნაცვლად, რომ ჩამდგარიყვნენ დაპირისპირებულ მხარეთა შორის და როგორმე ცდილიყვნენ ქართველთა და აფხაზთა შერიგებას, მათ ღიად დაუჭირეს მხარი აფხაზთა სეპარატისტულ მისწრაფებებს, ამასთან, ოდნავადაც არ შეუწყუხებიათ თავი იმის გარკვევით, თუ რაში გამოიხატა „углубляющийся процесс лишения абхазов гарантированных законом прав“.

**კიდევ ერთხელ ქართველთა მხრიდან აფხაზების „ჩაგვრის“ შესახებ.** სეპარატისტული იდეოლოგიის „მამების“ მიერ მოგონილი ეს მითი, რომლის ტირაჟირებასაც ეწეოდნენ „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის ბედით „გულდათუთქული“ ჩრდილო კავკასიელი „თანამომენი“, სინამდვილეში სრული სიცრუე და ისტორიული რეალობის ურცხვი გაყალბება იყო. აფხაზეთში ათეული წლების მანძილზე მართლაც ილაზებოდა მთელი ხალხის „კანონით გარანტირებული უფლებები“, მაგრამ ეს ხალხი არა აფხაზობა, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის 250-ათასიანი მკვიდრი ქართული მოსახლეობა იყო, რომელიც აფხაზეთის საერთო მოსახლეობის 45%-ს შეადგენდა და ამ მხრივ თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა აფხაზებს (ისინი მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ). სწორედ ქართველები, და არა აფხაზები, იქცნენ მეორეხარისხოვან მოსახლე-

ობად საკუთარ სამშობლოში.

დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის (ეს ცნობილი იყო მაშინაც – 1989წ.), თუ როგორ „ილახებოდა“ აფხაზი ხალხის უფლებები. ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ანუ ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი უცვლელად აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი იყო. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში ქართველები 3-ჯერ მაინც სჭარბობდნენ აფხაზებს, ე. ი. არჩევნების დემოკრატიულ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში ქართველებს გარანტირებული ჰქონდათ უმაღლესი ხელისუფლება. ანალოგიური სიტუაცია იყო ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში – უმაღლეს საბჭოში, სადაც აფხაზებს ასევე ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა. 1989წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან – 56 (ანუ 40,7%) აფხაზი იყო, 54 (ანუ 37,9%) – ქართველი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (იურიდიულად ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური) მხოლოდ აფხაზი შეიძლება იყოფილიყო. კიდევ უფრო შთაბეჭდავი იყო აფხაზთა წარმომადგენლობა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში – მინისტრთა საბჭოში. მართალია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, მაგრამ ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა უმრავლესობას სათავეში აფხაზები ედგნენ. ასე, მაგალითად, 20 მინისტრიდან და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარიდან 13 აფხაზი იყო, ქართველი კი მხოლოდ – 5. 1989წ. აფხაზეთში არჩეული სსრ კავშირის 15 სახალხო დეპუტატიდან ნახევარზე მეტი – 8 აფხაზი იყო, ქართველი – 5. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის თანამდებობებიც აფხაზებს ეკავათ. ქალაქებისა და რაიონების 8 პროკურორიდან 5 აფხაზი იყო<sup>25</sup>.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ „ავიწროებდნენ“ აფხაზებს კულტურისა და განათლების სფეროში. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში აფხაზური ენა, ქართულთან და რუსულთან ერთად, გამოცხადებული იყო ავტონომიური რეს-



პუბლიკის სახელმწიფო ენად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩანაწერი არ იყო სსრ კავშირში არსებული არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური ფორმირებების ძირითად კანონში, რომელთა წარმომადგენლებს ასე ახლოს მიჰქონდათ გულთან „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის „მწარე ხვედრი“. აფხაზები სარგებლობდნენ უპირატესი უფლებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის რიგებში მიღებისას. ისინი შეადგენდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის წევრთა 3/4-ს. 1988წ. ყოველ 1000 კაცზე მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნებისა და ბროშურების დასახელებების რაოდენობის მიხედვით აფხაზები იყვნენ პირველ ადგილზე სსრ კავშირში (4,3 დასახელების ბეჭდვითი პროდუქცია), მაშინ, როდესაც ქართველები ამ მონაცემით მხოლოდ მეორე ათეულში იყვნენ (0,3 დასახელების ბეჭდვითი პროდუქცია). იმავე 1000 კაცზე გათვლით გამოცემული წიგნებისა და ბროშურების ტირაჟით კი აფხაზები მხოლოდ ესტონელებსა და ლატვიელებს ჩამორჩებოდნენ<sup>26</sup>.

სოხუმში ფუნქციონირებდა აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა; სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა და სახელმწიფო კაპელამ. აფხაზურ ენაზე გამოდიოდა გაზეთები და ჟურნალები, მათ შორის, სამეცნიერო. აფხაზურ ენაზე წარმოებდა რადიო და ტელემაუწყებლობა.

სოხუმი იყო ფაქტობრივად მეორე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში თბილისის შემდეგ. აქ ფუნქციონირებდა მოკავშირე რესპუბლიკაში მეორე და ამიერკავკასიაში მეოთხე სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მიღება წარმოებდა აფხაზურ სექტორზეც, რაც სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა იყო სსრ კავშირში. უფრო მეტიც, რსფსრ-ის ავტონომიურ ფორმირებებში, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში არათუ არ იყო ეროვნული სექტორი უნივერსიტეტებში, არამედ ფაქტობრივად არ არსებობდა ეროვნული საშუალო სკოლა და ე.წ. „სატიტულო ნა-

ციის“ წარმომადგენლები საშუალო განათლებას, როგორც წესი, რუსულ სკოლებში იღებდნენ. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთში 1989-1990 სასწავლო წლის დაწყების წინ ფუნქციონირებდა 73 აფხაზური და შერეული (აფხაზური სექტორი რუსულ სკოლებში) სკოლა<sup>27</sup>.

აფხაზეთში იყო 20-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი იყო მეცნიერული აფხაზმცოდნეობის წამყვანი ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და აფხაზი ხალხის ისტორიის გეგმაზომიერი შესწავლა-დამუშავება.

ამრიგად, XXს. 70-80-იანი წლების აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ზედაპირული გაცნობაც კი სავსებით საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ აფხაზთა „კანონით გარანტირებული უფლებების დარღვევის“ შესახებ აფხაზი ხალხის ე.წ. „მეგობრების“ მიერ ატეხილი აჟიოტაჟის სრულ სიყალბეში.

15-16 ივლისის ტრაგედიამ ნათლად აჩვენა, რომ აფხაზი სეპარატისტები უკვე გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადიოდნენ. ამასთან, სეპარატისტულ-ექსტრემისტული ძალების მიერ ორგანიზებულია სისხლიანმა ანგარიშსწორებამ დამატებითი იმპულსი შესძინა აფხაზეთის ქართველობის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას, ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის შემდგომ კონსოლიდაციას. ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების ერთიანობის დემონსტრაციად იქცა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც გაიმართა სოხუმში 1989 წლის 23 სექტემბერს. ახლადშექმნილი ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პროფ. შოთა ჯღამაძე<sup>28</sup>. სახალხო ფრონტის რეგიონალურმა ორგანიზაციამ, ერთი პერიოდი, შეძლო თავის თავზე აეღო ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების კოორდინაცია. ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯანო ჯანელიძის რედაქტორობით გამოვიდა

ორგანიზაციის პერიოდული ორგანო – გაზეთი „*ოქროს საწმისი*“; რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში. გაზეთში, გარდა იმისა, რომ შექმნილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური თემები, ქვეყნდებოდა სტატიები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკვანძო პრობლემებზე, რომლებშიც მოცემული იყო ცალკეული აფხაზი მკვლევრების ფალსიფიკატორული მტკიცებების მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა.

აფხაზმა სეპარატისტებმა მორიგი დარტყმა მიიღეს 1989 წლის ნოემბერში, როდესაც, მიუხედავად მათი კატეგორიული წინააღმდეგობისა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად, მისაღები გამოცდები ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალშიც. ეს იმის ნიშანი იყო, რომ აფხაზეთში ახალი ქართული საუნივერსიტეტო ცენტრი უკვე შეუდგა სრულფასოვან ფუნქციონირებას. მაგრამ ახალი უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ეს წარმატებული დასაწყისი ერთგვარად გააფერმკრთალა მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებლის იოსებ (სოსო) ადამიას საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულმა დაღუპვამ.

ასე მიიწურა ტრაგიკულ-ჰეროიკული 1989 წელი, რომელმაც ძირეულად შეცვალა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა იმპერიის შემდგომი ბედი.

## თავი VIII. აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება 1990 წელს

დემოკრატიული პროცესები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ვითარება აფხაზეთში 1990 წლის I ნახევარში. 1985 წლის გაზაფხულზე სსრ კავშირში ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ ე.წ. „პერესტროიკის“ კურსის დეკლარირებით დაწყებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული განახლების პროცესი 1989 წლიდან შეუქცევადი გახდა. თუ „გარდაქმნის“ პირველ წლებში მ. გორბაჩოვი და მისი გუნდი ასე თუ ისე ახერხებდნენ ტოტალიტარული სისტემისათვის უადრესად საშიში ამ პოლიტიკური თამაშის გაკონტროლებას, 1989 წლის 25 მაისს, მოსკოვში სახალხო დემოკრატიების პირველ ყრილობაზე მანამდე ყველასათვის უცნობი რიგეული ექიმის ვილენ ტოლპეჟნიკოვის პოლიტიკურმა დემარშმა (მისი წინადადებით, ყრილობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას) სათავე დაუდო ჭეშმარიტად რევოლუციურ პროცესებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. სავსებით სწორად შენიშნავს ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ს. ჩერვონნაია, „именно эта минута, – минута, когда зал встал, игнорируя растерянность высших руководителей, была началом того неповиновения, которое привело – в поразительно короткие исторические сроки – к полному краху тоталитаризма и коммунистического режима“.<sup>1</sup>

ამ დროიდან კრემლმა საბოლოოდ გაუშვა ხელიდან ქვეყნის მართვის სადავეები და თანდათანობით დაიწყო პოზიციების დათმობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცილა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ავანგარდში ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად მტკიცედ იდგა საქართველო. ამ ვითარებაში, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა, რომელსაც გივი გუმბარიძე მეთაურობდა, შეეცადა

ფეხი აეწყო რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისთვის. ამ თვალსაზრისით უდავოდ საეტაპო მოვლენა იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესია, რომელიც შედგა 1990 წლის 9 მარტს. სესიაზე მიიღეს ისტორიული დადგენილება „*საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ*“.

ამ დადგენილებაში საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ოფიციალურად ადასტურებდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნას და აღიარებდა, „რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული წყობილების დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას“. უმაღლესი საბჭო, გმობდა რა „საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას“, აფასებდა მას „როგორც საერთაშორისო დანაშაულს“ და აცხადებდა მზადყოფნას, გაეუქმებინა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შედეგები და აღედგინა „საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს“ უფლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა „უკანონოდ და ბათილად“ 1921 წლის 21 მაისის ე.წ. „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“ „*საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის*“, აგრეთვე 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება „*ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ*“, ამავე დროს დაადგინა, რომ დაწყებულიყო „მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია“.<sup>2</sup>

მაგრამ ეს არ იყო საქართველოს იმუჰამინდელი კომუნისტური ხელისუფლების ანტისაბჭოური ამბოხის ერთადერთი შემთხვევა. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისადმი და ფაქტობრივად აუკრძალა საქართველოს წარმომადგენლობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მონაწილეობა მიეღო ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე სპარლამენტო დებატებში. თავის ამ პოზიციას საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ასაბუთებდა იმით, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ოფიციალურად ითვლებოდნენ სუვერენულ სახელმწიფოებად. აქედან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს განმარტებით, საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს უნდა ჰყოლოდა საკუთარი პრეზიდენტი. სსრ კავშირის პრეზიდენტის თანამდებობის არსებობა იმ დროს, როდესაც საკუთრივ საქართველოს არ ეყოლებოდა პრეზიდენტი, ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ საქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო. გარდა ამისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს არ უნდა შეეზღუდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის (რაც, ბუნებრივია, ავტომატურად გამოიწვევდა სსრკ-ის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას) ურყევი უფლება და მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი უნდა ყოფილიყო თვით მოკავშირე რესპუბლიკა<sup>3</sup>.

ერთი სიტყვით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა სრულიად არაორაზროვნად მიანიშნეს ცენტრს, რომ ამიერიდან საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება უკვე არ აპირებდა კრემლისადმი უსიტყვო მორჩილებას და დგამდა კონკრეტულ ნაბიჯებს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ამ გადაწყვეტილებებმა მოთმინებიდან გამოიყვანა

სსრ კავშირის ხელმძღვანელობა და მოსკოვის რეაქციამაც არ დააყოვნა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სახელდახელოდ „გამოაცხო“ კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“; რომელსაც მიხეილ გორბაჩოვმა, მაშინ უკვე სსრკ-ის პრეზიდენტმა, ხელი 1990 წლის 3 აპრილს მოაწერა.

ეს კანონი აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც, როგორც ცნობილია, სსრკ-ის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლისათვის სავსებით საკმარისი იყო უმაღლესი საბჭოს – მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – შესაბამისი გადაწყვეტილება. ახალი კანონით კი სსრ კავშირიდან გასვლისათვის აუცილებელი იყო „მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა თავისუფალი ნება-სურვილის... რეფერენდუმის (სახალხო კენჭისყრის) გზით“ გამოხატვა, მაგრამ ეს კიდეც არაფერი. ნამდვილი ნაღმი ჩადებული იყო მე-3 მუხლში. ამ მუხლის თანახმად „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში“ იყვნენ „ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმი“ უნდა ჩატარებულიყო „ცალკე თითოეულ ავტონომიაში“. ამასთან, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს“ უნარჩუნდებოდათ „სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე თავის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება“. ვითარებას კიდეც უფრო ამძიმებდა კანონის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვით „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულად“ ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, „თუ მას ხმას“ მისცემდა „სსრ კავშირიდან მისი გასვლის საკითხის დაყენების მომენტისთვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა სულ ცოტა“ ორი მესამედი მაინც<sup>4</sup>.

ე. ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს მოსახლეობა (ავტონომიების გამოკლებით) მთლიანად მისცემდა ხმას სსრ კავ-

შირიდან გამოსვლას, ეს სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აგრეთვე ზოგიერთი რაიონი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ არაქართული ეთნიკური ჯგუფები, ავტომატურად გამოვიდოდნენ სსრ კავშირის შემადგენლობიდან. ამისთვის აღნიშნული რეგიონების ხმის უფლების მქონე მცხოვრებთა ორ მესამედს აუცილებლად უნდა მიეცა ხმა სსრ კავშირიდან გამოსვლისათვის. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ საკითხის ამგვარად დაყენების შემთხვევაში საქართველო რეალურად დადგებოდა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“, აგრეთვე ზოგიერთი რაიონის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

სსრ კავშირიდან გასვლის პროცედურა ამითაც არ სრულდებოდა. საკითხის გადაწყვეტის უკანასკნელი ინსტანცია იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობა, რომელიც პირდაპირ კი არ იძლეოდა საბოლოო თანხმობას, არამედ აწესებდა ე.წ. „გარდამავალ პერიოდს“ (არა უმეტეს ხუთი წლისა), რომლის განმავლობაში უნდა გადაწყვეტილიყო „სსრ კავშირიდან გასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები“. და ბოლოს, „გარდამავალი პერიოდის უკანასკნელ წელს გამავალი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს“ უნდა მოეწყო „განმეორებითი რეფერენდუმი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილების დადასტურების საკითხზე. განმეორებითი რეფერენდუმის მოწყობა სავალდებულო“ იყო, თუ ამას მოითხოვდა „რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა მეთათვის ნაწილი“.

მთელი ეს კამპანია სრულიად ფუჭი გამოდგებოდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მსურველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, „თუ სსრ კავშირიდან... გასვლის შესახებ გადაწყვეტილების დადასტურებას“ ხმას მისცემდა „განმეორებითი რეფერენდუმის მოწყობის საკითხის დაყენების მომენტისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის



მოქალაქეთა ორ მესამედზე“ ნაკლები. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულად“ ჩაითვლებოდა და „ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურები“ წყდებოდა<sup>5</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, ფაქტობრივად, გამორიცხავდა „მეამბოხე“ რესპუბლიკის გამოსვლას სსრ კავშირის შემადგენლობიდან ტერიტორიული დანაკარგების გარეშე. ამიტომაც იყო, რომ იმპერიული იურიდიული აზროვნების ეს „შედეგრი“ ხალხში სამართლიანად მოინათლა „სსრ კავშირიდან არგასვლის კანონად“.

„სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ კანონის მიღებით კრემლმა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ფაქტობრივად წერტილი დაუსვა განახლების პროცესს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდგომი ჰარმონიზაციის სფეროში. ამ ფონზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. საგრძნობლად გაააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა. 1990 წლის 13 მარტს თბილისში გაიხსნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა გაერთიანებული კონფერენცია, რომელმაც მოსახლეობას მოუწოდა, გამოეცხადებინათ ბოიკოტი 1990 წლის 25 მარტისათვის დანიშნული საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად, ხელისუფლება იძულებული შეიქნა დათმობებზე წასულიყო და შეეტანა ცვლილებები საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის 49-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ეძლეოდათ უფლება გაერთიანებულიყვნენ „პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად“, მონაწილეობა მიეღოთ „მასობრივ მოძრაობებში“. ამავე დროს, „საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული“ ექნებოდათ „პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.<sup>6</sup>

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ეს ჭეშმარიტად

რევოლუციური ცვლილება იმის მაუწყებელი იყო, რომ რესპუბლიკაში ოფიციალურად საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა გაერთიანებულმა კონფერენციამ აირჩია მაკოროდინირებული ორგანო – ეროვნული ფორუმი, რომელშიც შევიდნენ: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. ეროვნულ ფორუმში აფხაზეთი წარმოდგენილი იყო სამი წევრით, რომლებიც პარიტეტულ საწყისებზე შეარჩიეს ეროვნული პოლიტიკური გაერთიანებების აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციებმა<sup>7</sup>.

თბილისში ჩატარებული კონფერენციის შემდეგ გადაიდგა ნაბიჯები აფხაზეთში მოქმედი ქართული ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების კონსოლიდაციისკენ. შეიქმნა (1990 წლის მარტში) ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი (ცაეკ). მასში გაერთიანდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ყველა ორგანიზაცია (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასი, რუსთაველის საზოგადოება, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, სადროშო „ლედი“, ექიმთა ასოციაცია, მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია), გარდა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციისა.

აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების მზარდი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მძლავრ დემონსტრაციად იქცა სოხუმთან ახლოს, სოფ. აჩადარაში, მთავარი ავტომანქანების გასწვრივ, 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნა 1990 წლის აპრილში. მემორიალის გახსნა გადაიზარდა საერთო-სახალხო აქციაში, რომელმაც მოიცვა აფხაზეთის ყველა ქალაქი და რაიონი. აქციის მასშტაბებმა წონასწორობიდან გამოიყვანა სეპარატისტული წრეები. მათ მთავარ სამიზნედ იქცა აჩადარის სასოფლო საბჭოს აფხაზი თავმჯდომარე ლეონიდე ოტირაბა, რომელსაც ღიად დასდეს ბრალი

„აფხაზი ხალხის ღალატში“ მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ხელმოწერით დაკანონდა მემორიალისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა. ყოველივე ეს დამთავრდა ტრაგედიით – ლ. ოტირბამ ვერ აიტანა ცილისმწამებლური კამპანია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამ მოვლენებს წინ უძღოდა მორიგი კრიზისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ირგვლივ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება აშკარად არ ჩქარობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დავალების შესრულებას ფილიალისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის შესახებ. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ხელისუფლების უმოქმედობის გამო პროტესტის ნიშნად 26 მარტს შიმშილობა გამოაცხადა თსუ სოხუმის ფილიალის რექტორმა, პროფ. ფელიქს ტყეზუჩავამ. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის მიერ გადადგმულმა ამ არაორდინარულმა ნაბიჯმა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში სერიოზული დაბნეულობა გამოიწვია. ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა სრული სოლიდარობა გამოუცხადეს თავიანთ რექტორს და ხელისუფლებას ახალი საპროტესტო აქციების დაწყებით დაემუქრნენ. ამის შესახებ, კოლექტივის სახელით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ხიშბას (შეხვედრაში მონაწილეობდნენ საოლქო კომიტეტის სხვა მდივნებიც) ოფიციალურად აუწყეს დოცენტებმა: ეთერ ქაჯაიამ და ზურაბ პაპასქირმა, აგრეთვე სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა როინ ბერიაძემ. ხელისუფლება განსაკუთრებით დააფრთხო იმან, რომ თსუ სოხუმის ფილიალის კოლექტივსა და მის ხელმძღვანელს აქტიურად დაუჭირეს მხარი ზვიად გამსახურდიამ და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებმა. შედეგად, სოხუმში იძულებულნი შეიქნენ, გადაეღვათ კონკრეტული ნაბიჯები ფილიალისთვის შენობის გამოსაყოფად. კერძოდ, მიიღეს გადაწყვეტილება, უმაღლესი სასწავლებლისათვის იჯარით გადაეცათ საწარმოო გაერთიან-

ნება „ორგტექნიკის“ ახალი შენობა მშვიდობის პროსპექტზე. ამით კრიზისი ამოიწურა.

ამასობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში სულ უფრო იძაბებოდა. ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები ერთიანად გამოდიოდნენ 1990 წლის 25 მარტს დაწინიებული უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ. ერთადერთი ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც მხარს უჭერდა არჩევნების ჩატარებას, საქართველოს სახალხო ფრონტი იყო. სახალხო ფრონტისა და მისი ლიდერის ნოდარ ნათაძის ეს პოზიცია არ იყო ჯიუტი ახირება. ის პრაგმატული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ იმით, რომ იმ პერიოდში სახალხო ფრონტს საკმაოდ მაღალი პოლიტიკური რეიტინგი გააჩნდა და ფაქტობრივად მმართველი კომუნისტური პარტიის რეალურ ალტერნატივადაც მოიაზრებოდა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებასაც შეეშინდა ძალაუფლების დაკარგვის და მიზანშეწონილად ჩათვალა არჩევნების შემოდგომისათვის გადადება, რათა დარჩენილი დრო თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა.

მმართველი პოლიტიკური ელიტის ძალების მობილიზაციის მნიშვნელოვან ეტაპად განიხილებოდა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა, რომელიც 1990 წლის 15 მაისისთვის იყო დაწინიებული. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა გივი გუმბარიძის მეთაურობით, როგორც უკვე აღინიშნა, იჩენდა კომუნისტური კონიუნქტურისათვის სრულიად გაუგონარ სითამამეს. უფრო მეტიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიამ საბოლოოდ თქვა უარი „კაცობრიობის ნათელი მომავლის – კომუნიზმის“ აშენებაზე და ფაქტობრივად ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პარტიად იქცა, რომელმაც მთავარ პოლიტიკურ მიზნად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ყრილობისათვის წარდგენილი საქართველოს კომპარტიის პროგრამის პროექტი, რომელშიც არც ერთხელ არ იყო ნახსენები „პროლეტარიატის ღიდი ბელადის“ ვ. ლენინის სახელი, ხოლო ცნება – „სოცია-

ლიზმი“ ფიგურირებდა მხოლოდ ერთ ადგილას და ისიც სიტყვა-თა შეხამებაში – „დემოკრატიული სოციალიზმი“.

პრინციპული ცვლილება იქნა შეტანილი სკკპ ყრილობის დელეგატების არჩევის არსებულ წესში. ეს ცვლილება შეეხო ავტონომიური ფორმირებების პარტიულ ორგანიზაციებს. კერძოდ, თუ ადრე მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლეს პარტიულ ფორუმზე მოსახვედრად პარტიის წევრს უნდა გაეგლო არჩევნების პროცედურა შემდეგი სქემით – პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რაიონული (საქალაქო), საოლქო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციები, ამჯერად, ამ სქემიდან ამოვარდა საოლქო ორგანიზაცია. აფხაზეთის სინამდვილეში ეს ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი რამდენადმე „თამაშვარე მდგომარეობაში“ რჩებოდა და ბოლომდე ვერ ახერხებდა ზემდგომი პარტიული ინსტანციების – საქართველოს კომპარტიის, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის – ყრილობების დელეგატების არჩევის პროცესის გაკონტროლებას. მნიშვნელოვანი სიახლე იყო აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატების არჩევნები რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე შეიძლებოდა ჩატარებულიყო ალტერნატიულ საწყისებზე.

ამ ნოვაციების გათვალისწინებით, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეროვნულ-პატრიოტული ძალების ზეწოლით რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე წარუგზავნეს პარტიის ის წევრები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიცია ეკავათ. ამგვარი განწყობილება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ქ. სოხუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომლებზედაც საქალაქო კონფერენციის დელეგატებად აირჩიეს არაერთი „სხვაგვარად მოაზროვნე“ პარტიის წევრი. შედეგად, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია უმართავი გახდა. განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევისას. პირველად უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, აფხაზეთის პარტიულმა ნომენკლატურამ ვერ შეძლო ამ ღონისძიების საკუთარი სცენარის მიხედვით წარმართვა. 9

დელეგატის გამოსავლენად სულ საჭირო შეიქნა 3 ტურის ჩატარება. ამ საარჩევნო ბატალიებში „გამარჯვებულთა“ შორის აღმოჩნდნენ აფხაზური მხარისათვის აშკარად მიუღებელი ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები: საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფ. ლ. ჯახაია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, დოც. ზ. პაპასქირი.

მაგრამ დემოკრატიული ცენტრალიზმის – კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მონოლითურობის საფუძველთა საფუძველის – მორყევამ აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში მოკალათებულ სეპარატისტულ ძალებსაც მისცა საშუალება, ემოქმედათ თვითნებურად და არ დამორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას. მაინც რაში გამოიხატა ეს თვითნებობა? სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები უნდა აერჩია მოკავშირე რესპუბლიკის (რსფსრ-ის გამოკლებით) კომპარტიის ყრილობას, ამ შემთხვევაში საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობას. ამასთან, მხოლოდ ამ ფორუმს ჰქონდა უფლება, წამოეყენებინა თავისი წარმომადგენლები სკკპ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებში. სწორედ ამ ნორმების იგნორირება მოახდინეს აფხაზეთის ცალკეულმა რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ასე, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციამ უშუალოდ (საქართველოს კომპარტიის ყრილობის გვერდის ავლით) სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებად აირჩია აფხაზური სეპარატიზმის ოდიოზური წარმომადგენლები: კონსტანტინე ოზგანი და საიდ ტარკილი. ამით გუდაუთის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი თავი ფაქტობრივად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გარეთ დაიყენა, რაც პარტიული დისციპლინის უხეშ დარღვევად ითვლებოდა. ყველა საფუძველი არსებობს, ვიფიქროთ, რომ გუდაუთელ კომუნისტთა ეს ნაბიჯი მოსკოვიდან იყო ინიცირებული.

სეპარატისტთა ეს ავანტიურისტული დემარში კრაზით დასრულდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

ხელმძღვანელობამ მაშინ შეძლო, ძირშივე აღეკვეთა ცალკეული აფხაზი კომუნისტების სეპარატისტული გამოხდომები. გ. გუმბარიძის კატეგორიული მოთხოვნით, სკკპ XXVIII ყრილობამ არ ცნო კ. ოზგანისა და ს. ტარკილის სადელეგატო უფლებამოსილებები და კუდამოძუებული გამოისტუმრა ისინი მოსკოვიდან. ამავე დროს, სკკპ XXVIII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა იგორ ლაკობამ, რომელიც ქვეყნის კომუნისტების უმაღლესი ფორუმის დელეგატად, არსებული წესების სრული დაცვით, სწორედ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე იქნა არჩეული.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე აფხაზი დელეგატები, მთლიანობაში, საკმაოდ მშვიდად იქცეოდნენ, თუმცა ზოგიერთი დელეგატის მხრიდან მაინც იყო „სიტუაციის არევის“ უსუსური მცდელობა. მაგალითად, ამგვარ დემარშს ადგილი ჰქონდა ყრილობის დაწყების წინააღმდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან გივი გუმბარიძესთან აფხაზეთის დელეგაციის შეხვედრისას. აღნიშნულ შეხვედრაზე ერთ-ერთმა დელეგატმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, სეპარატისტული მოძრაობის ცნობილმა იდეოლოგმა ოლეგ დომენიამ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელისაგან თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სათანადო განმარტებები სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა)<sup>8</sup>. გ. გუმბარიძეს დასჭირდა მთელი თავისი დიპლომატიური მოხერხებულობის გამოვლენა, რათა დაემოშმინებინა „ფათერაკების მაძიებელი“ აფხაზი დელეგატი, მაგრამ „თავის მართლებისას“ გ. გუმბარიძეს ცოტა ზედმეტი მოუვიდა. მისმა კაპიტულანტურმა ტონმა მოთმინებიდან გამოიყვანა უკვე შეხვედრის ზოგიერთი ქართველი მონაწილე, პირველ რიგში, ამ სტრიქონების ავტორი, რომელმაც ფაქტობრივად აიძულა საქართველოს პირველი პირი, ერთხელ კიდევ საჯაროდ დაედასტურებინა რესპუბლიკის პარლამენტის ზემოხსე-

ნებული გადაწყვეტილებების სისწორე და შეუქცევადობა. ამავე შეხვედრაზე პროფ. ლ. ჯახაიამ დააყენა საკითხი, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობას ოფიციალურად დაეჭირა მხარი ლიტველი კომუნისტებისათვის, რომლებმაც იმჟამად გააკეთეს განცხადება სკკპ-იდან გასვლის შესახებ, მაგრამ გ. გუმბარიძემ ეს წინადადება უარყო.

ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ახალი პროგრამა და წესდება, აგრეთვე აირჩია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები. რაც შეეხება პარტიის ხელმძღვანელი სტრუქტურების არჩევას, ეს პროცედურა ყრილობის მეორე ეტაპისათვის გადაიდო, რომლის გამართვა დაიგეგმა სკკპ XXVIII ყრილობის დამთავრების შემდეგ. ყრილობამ ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. ერთადერთი, რამაც ერთგვარი დისონანსი შეიტანა ყრილობის მონაწილეთა საერთო პათოსში, იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვლადიმერ ხიშბას მოწოდება (არადა, ეს მან გააკეთა აფხაზეთის კომუნისტების სახელით), არ დაეყენებინათ ყრილობაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სკკპ-იდან გასვლის საკითხი, რომელსაც სვამდნენ ცალკეული რეგიონების პარტიული ლიდერები (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თემურ შაშიაშვილი). მიუხედავად ამისა, ყრილობამ, ზოგადად, მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა აკონტროლებდა სიტუაციას აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში და ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული კომიტეტის აფხაზი ეროვნების პირველი მდივნები: ვალერი ფილია (გაგრა), იგორ ლაკობა (გუდაუთა), სერგეი ბაგაფში (ოჩამჩირე), დავით ფილია (ტყვარჩელი) იჩენდნენ სრულ ლოიალობას თბილისის მიმართ.

1990 წლის მაისში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განხეთქილებამ იჩინა თავი. 7 მაისს ეროვნული ფორუმი დატოვა რამდენიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, წმიდა ილია მართლის საზოგადოებამ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, მონარქის-



ტულ-კონსერვატიულმა პარტიამ. ამ ორგანიზაციებმა შექმნეს ერთიანი პოლიტიკური ბლოკი – „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო*“. შესაბამისად, ამ გაერთიანებათა აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციებმა ასევე დატოვეს ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი (ცაეკ-ი) და დააფუძნეს „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია. ეს იყო ცალკეულ ლიდერთა წინდაუხედავი ნაბიჯი, რომელმაც, მოგვიანებით, სერიოზული ზიანი მიაყენა ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა კონსოლიდაციის პროცესს აფხაზეთში.

ეს იმთავითვე გაიცნობიერა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა კომიტეტმა, რომელმაც მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, არ დაეშვათ ეროვნულ ძალთა გახლეჩა აფხაზეთში. „ქართული ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები, მით უფრო აფხაზეთში, – ნათქვამია ცაეკ-ის განცხადებაში, – ყოველგვარ ჯგუფურ ინტერესებზე და ზოგიერთების „უბრალო ჯიუტობის“ კონსტატაციაზე მაღლა უნდა დადგნენ. ურთიერთკომპრომისების ძიებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ აფხაზეთი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაკუთრებული რეგიონია და ამიტომ შესაბამისი ძალისხმევა მართებს ყველას, რათა აქ ეროვნულ ძალთა ერთიანობა შენარჩუნებულ იქნეს“. ამავდროს, ცაეკ-ი კატეგორიულად აცხადებდა, რომ „თბილისში მომხდარი კონფრონტაციის საფუძველზე ოპოზიციური პოლიტიკური სტრუქტურების კალკირება აფხაზეთის რეგიონისათვის დაუშვებელია. შექმნილი ვითარება ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტისა და მრგვალი მაგიდის კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს“.<sup>9</sup>

მაგრამ ეს იყო მოგვიანებით. 1990 წლის მაისის განმავლობაში ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები ჯერ კიდევ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი პარტიული ფუნქციონერიც კი ჩაერთო ღიად საერთო-ეროვნულ მოძრაობაში. მათ შორის იყო თამაზ ნადარეიშვილი, რომელსაც მაშინ საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობა ეკავა. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მასზე მოაწყვეს თავდასხმა „აიდგილარას“ ახალგაზრდა „მო-

იერიშეებმა“ 1990 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა გავრის სტადიონზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მრავალათასიანი მიტინგებითა და დემონსტრაციებით აღინიშნა აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც. გარდა ამისა, აფხაზეთის ცალკეულმა წარმოება-დაწესებულებებმა, შრომითმა კოლექტივებმა გამოიჩინეს ცხოველი ინტერესი ამ მოვლენისადმი და ითხოვეს მათთან განმარტებითი ლექცია-საუბრების ჩატარება 26 მაისის თემის ირგვლივ. ერთ-ერთი ასეთი საუბრის ჩატარება მოუხდა ამ სტრიქონების ავტორსაც სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. როგორც ცნობილია, ამ ინსტიტუტში ძირითადად რუსები და რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ და მას სათავეში ედგა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ბორის ლაპინი, რომელიც, სხვათა შორის, ამავე დროს, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრიც იყო. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება მოეწყო თვით ბ. ლაპინის ინიციატივით და მან პირადად მიიღო აქტიური მონაწილეობა საკითხის განხილვაში. რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი ლოიალური დამოკიდებულების გამომჟღავნებამ ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივებისადმი დააფრთხო სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები, რომლებმაც ამ დროიდან მკვეთრად გაააქტიურეს ანტიქართული პროპაგანდა, პირველ რიგში, სწორედ აფხაზეთის რუსულენოვან მოსახლეობაში.

1990 წელი აღინიშნა სეპარატისტების ახალი შეტევით ისტორიოგრაფიულ ფრონტზე. ამ დროს გამოვიდა თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის სტანისლავ ლაკობას წიგნი: „*Очерки политической истории Абхазии*“, რომელშიც ავტორი სრულიად უცერემონიოდ აყალბებდა XIX-XXს. I მესამედის აფხაზეთის ისტორიას და საქარ-

თველოსა და ქართველებს ადანაშაულებდა აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში. მთავარი აქცენტი კეთდებოდა 1918-1921წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ აფხაზეთში გატარებული „იმპერიული პოლიტიკის“ მხილებაზე. ამის პარალელურად კი, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამყარება 1921წ. მარტში განიხილებოდა, როგორც „избавление от оккупации Грузинской демократической республикой и репрессивного режима правящей меншевистской партии“.<sup>10</sup>

თავის დროზე, 1918-1921 წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას, ჩვენ კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ დამაჯერებლად ვაჩვენეთ ს. ლაკობას ფალსიფიკატორული მონაჩმახის სრული აბსუდულობა<sup>11</sup>. ამდენად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ საკითხზე ხელახლა ყურადღების საგანგებო გამახვილება. მაგრამ ს. ლაკობა არ ყოფილა ერთადერთი, ვინც გაილაშქრა ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში – გაზეთ „Светская Абхазия“-ში, მეტად მაღალფარდოვანი რუბრიკით „Завенению не подлежит“, დაიბეჭდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბაჯგურ სადარიას წერილი: „Грузинские опричники в Абхазии“, რომელშიც ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, წერდა „о зверском облике гвардии (რასაკვირველია, იგულისხმება ქართული გვარდია – **ზ.პ.**) и её миссии в Абхазии“.<sup>12</sup> ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ პროპაგანდაში აქტიურად ჩაერთო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსეი პაპასკირი, რომელსაც უკვე კარგა ხანი იყო, რაც თავი მოჰქონდა „დიდ ავტორიტეტად“ ისტორიულ მეცნიერებაშიც და „ერთგულად“ იდგა „მშობლიური (აფხაზური) ისტორიის“ სადარაჯოზე. ამ ყოვლისმცოდნე ფილოლოგ-ისტორიკოსის „ღრმა მეცნიერული“ დაკვირვებით, „для науки кровность абхазского и грузинского народов – пустой звук, метафора. Кровного родства между этими народами нет. Оно имеется между абхазцами и адыгами“.<sup>13</sup>

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად (ზოგიერთი ისტორიკოსის გამოკლებით), სულაც არ უარყოფს აფხაზ-ადილთა სისხლით ნათესაობას, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ დღევანდელი აფხაზები უკლებლივ ერთიანად განეკუთვნებიან აფხაზურ-ადილეურ ეთნიკურ სამყაროს – სრული უმეცრებაა. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელ აფხაზთა სულ ცოტა 60% მაინც (თუ მეტი არა) გუშინდელი ქართველები (უმეტესწილად მეგრელები) არიან და მათ გენეტიკურად აბსოლუტურად არაფერი არ აკავშირებთ აფხაზ-ადილბთან. ეს დღესავით ნათელია ყველასათვის, მათ შორის, რასაკვირველია, ა. პაპასკირისთვისაც, რომლის ქართული (მეგრული) წარმომავლობის უარყოფა თვით მასაც კი არ ძალუძს.

ერთი სიტყვით, იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მოსახლეობას დავყოფთ ე.წ. „აბორიგენ“ აფხაზებად და „მოსულ“ ქართველებად, როგორც ამას გვიკიჟინებენ ჩვენი ოპონენტები, მაშინ სრულ აბსურდამდე მივალთ. გამოვა, რომ ისეთი გვარების მატარებელი ხალხი, როგორიცაა: პაპასქირი, კვარაცხელია, გოგუა, გვარამია, ჟვანია და ა.შ., – რომლებიც თანამედროვე აფხაზთა ნახევარს მაინც შეადგენენ, არიან აბორიგენები, ხოლო გალის რაიონში მცხოვრებ ისეთი ძირძველი აფხაზური გვარების წარმომადგენლებს, როგორებიც არიან: ხინთბაია, აბუხბაია, ქეცბაია, აძინბაია და ა.შ., – რომლებიც დიდი ხანია გაქართველდნენ, უბრალოდ ეკრძალებათ აბორიგენობა. ან რაღა დააშავა იგივე ქართველმა პაპასქირმა, კვარაცხელიამ, გოგუამ, გვარამიამ, ჟვანიამ და სხვებმა, რომელთაც არ „გაუმართლათ“ და ვერ „მოასწრეს“ გააფხაზება?! საკითხავია, რითი არის ეს ხალხი თავიანთ აფხაზ მოგვარებებზე ნაკლები და რატომ არ უნდა ჩაითვალოს ისინი აფხაზეთის მკვიდრად? რასაკვირველია, ძნელია ამ კითხვას მეტნაკლებად დასაბუთებული პასუხი მოუძებნონ იმავე ალექსი გოგუამ, ალექსეი პაპასკირმა, ოლეგ დომენიამ და მათმა თანამოძმეებმა. თუმცა, ალბათ, ეს არც არის საჭირო. ადამიანებისაგან, რომელთაც დიდი ხანია დაივიწყეს, თუ „ვისი გორისანი“ არიან და დღენიადაგ თავიანთი ნამდვილი სამშობლოს „მოთხრით“ არიან დაკავებულნი, განა სხვა „აღმოჩენებს“ უნდა ველოდოთ?!

1990წ. აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული ისტორიოგრაფიული კამპანიის შეფასებისას, ძნელია არ დაეთანხმო ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგის ს. ჩერვონნაიას დასკვნას: „Воспитание историей“ ...на страницах абхазской националистической печати, по... радио и телевидению, с кафедры Абхазского университета, из аудиторий, кабинетов Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия... даже в школах, где курс „Истории Абхазии“ преподавали активисты НФА „Аидгилара“, было направлено на раскачивание этнополитической ситуации, на возбуждение национальной вражды, на идеологическое обеспечение готовящейся провокации – „выхода“ Абхазии из Грузии“.<sup>14</sup>

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1990 წლის მეორე ნახევარში.** 1990 წლის ზაფხული პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად „ცხელი“ გამოდგა. აფხაზური მხარე ძალზე შეაშფოთა ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების „რევოლუციურმა განწყობამ“, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების დროს. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გააქტიურებას სეპარატისტებმა ახალი საპროტესტო აქციებით უპასუხეს. 28 მაისს აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ ინიციატივით შედგა აფხაზური საზოგადოების სახელდასხელო შეკრება, რომელმაც აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დაუყონებლივი შეცვლის მოთხოვნა დააყენა. ამასთან, „აიდგილარას“ თავმჯდომარემ სერგეი შამბამ ფაქტობრივად მოუწოდა ქართულ ეროვნულ-პატრიოტულ ორგანიზაციებს, მხარი დაეჭირათ მათი ამ ინიციატივისათვის, მაგრამ ქართული ოპოზიციური ძალების აზრი ახალი აფხაზური ინიციატივის მიმართ გაიყო. პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდის“ პარტიებმა უარი განაცხადეს დიალოგზე „აიდგილარასთან“. განსხვავებული პოზიცია ჰქონდა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტს (ცაეკ-ი), რომელმაც გამოთქვა სრული მზადყოფნა, გაემართა კონსულტაციები აფხაზი ხალხის ნებისმიერ წარმომადგენლობასთან<sup>15</sup>.

მაინც რითი იყო გამოწვეული სეპარატისტების უკმაყოფი-

ლება და რატომ ითხოვდნენ ისინი ასე კატეგორიულად ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომას? იმისათვის, რომ ამ კითხვას გაეცეს პასუხი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგადად მიმოვიხილოთ აფხაზეთის უმაღლესი სახელისუფლო სტრუქტურების – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საქმიანობა დაწყებული 1989 წლის აპრილიდან.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, 1989 წლის 18 მარტს ლიხნში გამართულ ე.წ. „აფხაზთა თავყრილობასა“ და 1 აპრილს ლესელიძე-სოხუმის ტრასის გუდაუთის მონაკვეთზე სეპარატისტთა მიერ ქართველ სტუდენტებზე განხორციელებულ თავდასხმას ქართულმა ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა, მთელმა საქართველომ მასობრივი, საყოველთაო პროტესტით უპასუხა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება თბილისში. დედაქალაქში სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მოეხდინა საკადრო გადაადგილებები აფხაზეთის პარტიულ ხელმძღვანელობაში. თანამდებობა დაატოვებინეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბორის ადლეიბას. ეს პოსტი დაიკავა ვლადიმერ ხიშბამ, რომელიც მანამდე საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. მოგვიანებით, 15-16 ივლისის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნებით ქართველი ოთარ ზუხბაია, რომელიც ამავე დროს განთავისუფლებულ იქნა მთავრობის მეთაურის პოსტიდან. პლენუმმა ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ეროვნებით აფხაზის ვალერიან კობახიას მიმართაც, მაგრამ, სეპარატისტული ძალების ზეწოლით, იმჟამად ვერ მოხერხდა უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა და ვ. კობახია კვლავ რჩებოდა აფხაზეთის ოფიციალური ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

9 აპრილის ტრაგედიისა და 1989 წლის მაისში სსრკ სახალხო დეპუტატების I ყრილობის დაწყების შემდეგ მთელი

საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაწყებულმა დემოკრატიული განახლების პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პოლიტიკური სისტემის კრიზისი. სკკპ-ს სულ უფრო უძნელდებოდა საბჭოთა საზოგადოების „ერთადერთი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის“ როლში გამოსვლა. ახალ რეალობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში 1989 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი შეფი გივი გუმბარიძე მოვიდა, მკვეთრად გამოხატული ლიბერალური პოლიტიკის გატარება დაიწყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ამ ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ერთდროულად „ორ ცეცხლს“ შუა მოექცა. ერთი მხრივ, მას უტევდნენ „ლენინური პრინციპების“ ერთგული აფხაზი კომუნისტები და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ ვლადიმერ ხიშბასაგან პრინციპული პარტიული კურსის გატარებას და „ქართველ ექსტრემისტთა“ „ნაცოინალისტური“ გამოსვლების ესკალაციის აღკვეთას. მეორე მხრივ, ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები არანაკლებ კატეგორიულად აყენებდნენ აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ლიდერთა პასუხისმგებლობის საკითხს.

ამასთან, „აიდგილარა“ და სეპარატისტული ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ, ექციათ აფხაზეთის ახალი პარტიული ლიდერი თავიანთ კრეატურად, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ვლადიმერ ხიშბა არ აღმოჩნდა სეპარატისტული მენტალიტეტის მქონე პიროვნება და ის, მეტნაკლებად, ბოლომდე ერთგული დარჩა ქართულ-აფხაზური ერთობისა. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ მოიპოვა მან ავტორიტეტი აფხაზურ მოსახლეობაში, რომელიც მას, როგორც „თბილისის კაცს“, რამდენადმე უნდობლობას უცხადებდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვ. ხიშბას, მიუხედავად შინაგანი პიროვნული კეთილშობილებისა და წესიერებისა, არ აღმოჩნდა ძლიერი პოლიტიკური ფიგურისათვის ესოდენ საჭირო თვისებები – რისკზე წასვლისა და კრიტიკულ სიტუაციაში მტკიცე

გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა 15-16 ივლისის ტრაგიკულ დღეებში, როდესაც მან სრული უმწეობა გამოავლინა და ვერ შეძლო მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება. რასაკვირველია, ძნელია, კატეგორიულად ვამტკიცოთ, მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან, ბევრი თვლის, რომ იმ ვითარებაში, არაა გამორიცხული, ვ. ხიშბას წინამორბედს – ბორის ადლეიბას, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა საკმაოდ დიდი ავტორიტეტი როგორც აფხაზურ მოსახლეობაში, ისე ქართველებში, ემოქმედა უფრო ენერგიულად და შეძლებოდა სიტუაციის განმუხტვა.

აფხაზეთის ხელისუფლების ავტორიტეტზე ვერ იქონია პოზიტიური გავლენა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, იმჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გივი ანჩაბაძის დანიშვნამ. პირველ რიგში, მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა ქართული მხარე. ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ გ. ანჩაბაძე, ასრულებდა რა აფხაზეთის ასსრ-ის მთავრობის მეთაურის მოვალეობას, ამავე დროს, ინარჩუნებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაღალ პოსტსაც და რჩებოდა ცკ-ის ბიუროს წევრად. ე. ი. საქართველოს პარტიულ იერარქიაში გ. ანჩაბაძე იდგა უფრო მაღლა, ვიდრე თვით ვ. ხიშბა. აქედან გამომდინარე, ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სავსებით დასაბუთებულად, მისგან მეტ ინიციატივასა და გადამჭრელ ქმედებებს ითხოვდნენ, მაგრამ არც გ. ანჩაბაძეს აღმოაჩნდა მებრძოლი ხასიათი და მას არც უცდია პოლიტიკური ინიციატივის ხელში აღება.

1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების შემდეგ სრულიად პარალიზებული იყო აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვალერიან კობახია, რომელზეც, ერთი პერიოდი, დიდ იმედებს ამყარებდნენ სეპარატისტები, მას შემდეგ, რაც ის გამოიყვანეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან, მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა თავის პოსტს და რეალურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკურ



პროცესებზე.

ამრიგად, ხელისუფლების კრიზისი აფხაზეთში, რომელიც დაიწყო 1989 წლის 18 მარტის შემდეგ, 1990 წლის ზაფხული-სათვის, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ამან განაპირობა სეპარატისტული ძალების ახალი გააქტიურება. 1990 წლის აგვისტოს დასაწყისში „აიდეილარას“ ზეწოლით აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის ერთი ნაწილი უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. ამ სესიას სეპარატისტების დაკვეთით უნდა განეხილა საკითხი: „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის გარანტიების შესახებ“ და მიეღო დეკლარაცია: „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (და არა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ – **ზ.პ.**) სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. 3 აგვისტოს ჩატარდა უმაღლესი საბჭოს მოწვევისადმი მიძღვნილი პრეზიდენტის სხდომა, რომელზეც პრეზიდენტის ქართველმა წევრებმა გააპროტესტეს სესიის მუშაობის წარმოდგენილი დღის წესრიგი და წამოაყენეს წინადადება, სესიაზე განეხილათ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. ამასთან, ქართველი დეპუტატები (კერძოდ, პროფ. რევან სალუქვაძე, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე დროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი) გამოვიდნენ ინიციატივით, შეემუშავებინათ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დამაბულობის მოხსნას ავტონომიურ რესპუბლიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას, მაგრამ აფხაზურმა მხარემ უარყო ეს წინადადებები და კატეგორიულად მოითხოვა აფხაზეთის „სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტთან“ დაკავშირებული საკითხების განხილვა.

აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის“ საკითხის წინა პლანზე წამოწვეა მაინცდამაინც 1990 წლის ზაფხულში სულაც არ იყო შემთხვევითი. სეპარატისტები შემფოთებით აკვირდებოდნენ თბილისში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. კერძოდ, ისინი არ შეიძლებოდა არ დაეფიქრებინა ქართუ-

ლი საზოგადოების ერთსულოვან სწრაფვას საქართველოს სსრ-ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. თავის მხრივ, არც კრემლის რეჟიმი იყო გულხელდაკრეფილი და დგამდა კიდეც კონკრეტულ პრევენციულ ნაბიჯებს საქართველოს ურჩი ხელმძღვანელობის შესაჩერებლად. სწორედ ასეთ ქმედებად უნდა განვიხილოთ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა აშკარად პროვოკაციული დღის წესრიგით.

ქართული მხარე იმთავითვე შეუდგა კონტრზომების მიღებას. 1990 წლის 21 აგვისტოს გაიმართა ქ. სოხუმის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მოუწოდა დეპუტატებს, არ მიეღოთ მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობაში. 23 აგვისტოს კი ქართული ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების ინიციატივით შედგა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საფეხურის დეპუტატთა (სულ 582 დეპუტატი) შეკრება, რომლის მონაწილეებმა აფხაზ კოლეგებს მოუწოდეს, არ ჩაეტარებინათ უმაღლესი საბჭოს სესია პროვოკაციული დღის წესრიგით, მაგრამ ქართული მხარის ყველა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ხელმძღვანელობამ მაინც შეძლო „სესიის“ მოწვევა. ამაში მათ ოდნავადაც არ შეუშალა ხელი იმ აუცილებელმა პირობამ, როგორცაა კვორუმი.

„სესიის“ მუშაობაში მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის 138 დეპუტატიდან მხოლოდ 68-მა პარლამენტარმა (ანუ ნახევარზე ნაკლებმა) მიიღო. და ეს მაშინ, როდესაც სეპარატისტებმა თითქოს ყველაფერი გააკეთეს კვორუმის შესაკოწიწებლად. ასე, მაგალითად, მათ წინასწარ მოახდინეს ერთ-ერთი დეპუტატის, ეროვნებით ბერძენი ფიჭოზოვის იზოლირება და შემდეგ ძალით მოიყვანეს ის „სესიაზე“, სადაც მის მაგივრად მისცეს კიდეც ხმა. ანალოგიურად მოიქცნენ ეროვნებით რუსი დეპუტატის ნ. კუზნეცოვასა და ცნობილი აფხაზი მსახიობის საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის სახალხო არტისტის აზიზ აგრბას მიმართაც. ეს უკანაკნელი, მძიმე ავადმყოფი, ფაქტობრივად საკაცით „შეასვენეს“ სხდომათა დარბაზში, მაგრამ შემდეგ იძულებულნი შეიქნენ, სასწრაფოდ გაეყვანათ

იქიდან. რაც შეეხება კიდევ ერთ დეპუტატს, ეროვნებით აფხაზს, გალის რაიონის სოფ. ჩხორთოლის მკვიდრს ე. კვარანძიას, მართალია, ის ესწრებოდა სხდომას, მაგრამ არ მონაწილეობდა კენჭისყრაში, თუმცა ეს, რატომღაც, არ აისახა „ოქმში“. აი ასეთი უხეში დარღვევებით ჩატარდა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის ე.წ. „X სესია“. ეს იყო დასაწყისი იმ სამართლებრივი თარეშისა აფხაზი სეპარატისტების მხრიდან, რომელმაც თავის აპოგეას ორი წლის შემდეგ, 1992 წლის 23 ივლისს მიაღწია, როდესაც უკვე ახლადარჩეული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრთამ, იურიდიული ნორმების სრული უგულებელყოფით, გააუქმა აფხაზეთის ასსრ-ის მოქმედი (1978წ.) კონსტიტუცია და მიიღო ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია“.

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი დეპუტატების მიერ 1990 წლის 25 აგვისტოს, ასე, რის ვაი-ვაგლახით, მოწვეულ „სესიაზე“ მოხსენებით „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვალერიან კობახია. როგორც ვ. კობახიას მოხსენება, ისე აღნიშნულ საკითხზე „სესიის“ მიერ მიღებული დადგენილება, იყო მორიგი მცდელობა, ისტორიული ფაქტების უხეში ფალსიფიკაციის გზით, საზოგადოებისათვის თავს მოეხვიათ სრულიად ყალბი და დაუსაბუთებელი თეზისი იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არასოდეს არაფერი არ აკავშირებდა საქართველოსთან და რომ აფხაზ ხალხს აქვს მონოპოლიური უფლება თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი. „Абхазия, – აღნიშნული იყო „სესიის“ მიერ მიღებულ დადგენილებაში, – вступила под покровительство Российской империи в 1810 году как самостоятельное и независимое от царств и княжеств Западной и Восточной Грузии государство. Если Грузия сразу же после вхождения в состав Российской империи в 1801 году утратила свою государственность, то Абхазское княжество, как национально-государственное формирование с внутренним правлением владетельного князя, существовало до 1864 года, то

282

есть ещё 63 года после ликвидации Грузинской государственности“.<sup>16</sup>

აფხაზი დეპუტატები, რომელთაგან სულ ცოტა ნახევარი მაინც ქართულ (მეგრულ) გვარს ატარებდა (მათ შორის, პირველ რიგში, თვით ვ. კობახია), ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ურცხვად აცხადებდნენ, რომ „Грузины компактно стали жить в Абхазии лишь после окончания Кавказской войны и последовавшего за ней массового насильственного выселения абхазов в Турцию во второй половине прошлого (XIX) в. — **ზ.პ.**) века“. დადგენილებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული აგრეთვე, რომ „Демократическая республика Грузия, нарушив Договор от 11 июня 1918 года... осуществила во второй половине июня 1918 года военное вмешательство с целью насильственного присоединения территории Абхазии и ликвидации независимости абхазского народа“ და რომ ეს აქცია, რომელმაც დაარღვია „международно-правовой принцип, запрещающий присоединение **чужой** территории путём силы, является незаконной“.<sup>17</sup> ამავე დროს, აფხაზეთის ერთადერთი კანონიერი ორგანოს — 1919 წლის გაზაფხულზე არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს მართლაც ძალადობრივი დამხობა მეზობელი სახელმწიფოს ბოლშევიკური რუსეთის IX (წითელი) არმიის ნაწილების მიერ და ამ გზით (1921 წლის მარტში) „შექმნილი“ ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ცხადდებოდა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ერთადერთ კანონიერ ფორმად, რომელიც თურმე გამოხატავდა „აფხაზეთის ხალხების თავისუფალ ნებას“.

„სესიის“ მიერ მიღებული დადგენილების დასკვნით ნაწილში აფხაზეთი რატომღაც ცხადდებოდა 1922წ. 30 დეკემბერს შექმნილი საბჭოთა ფედერაციის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — სუბიექტად, მაშინ, როდესაც, იმ პერიოდში, აღნიშნულ ფედერაციაში უშუალოდ არ იყო გაწევრიანებული თვით საქართველოს სსრ-ც კი, რომლის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსით შედიოდა აფხაზეთის სსრ. ამ სიყალბეს გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა: ამით სეპარატისტები ცდილობდნენ „ისტორიულად დაესაბუთებინათ“ მოთხოვნა იმის შესახებ, რომ

აფხაზეთს სსრ კავშირის სხვა სუბიექტებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესამუშავებლად მიმდინარე კონსულტაციებში<sup>18</sup>.

კიდევ უფრო გამოძვევი იყო ე.წ. „დეკლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. ხაზს ვუსვამთ არა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“, არამედ „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. მასში სრულიად უაპელაციოდ გაცხადებული იყო, რომ „Верховный Совет Абхазской Советской Социалистической Республики, выражая волю всего народа республики и реализуя неотъемлемое право абхазской нации на самоопределение, сознавая историческую ответственность за судьбу Абхазии... торжественно провозглашает государственной суверенитет **Абхазской Советской Социалистической Республики**“.<sup>19</sup> აფხაზი ერისათვის, რომელმაც „სახელი მისცა რესპუბლიკას“ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო „ინსტიტუციური წარმომადგენლობა“ აფხაზეთის სსრ-ის უმაღლეს საბჭოში. აფხაზეთის სსრ-ს ენიჭებოდა უფლება, გაეხსნა თავისი წარმომადგენლობები „სსრ კავშირში, საბჭოთა რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში“. უნდა დაწესებულიყო აფხაზეთის მოქალაქეობა, ნებისმიერი მოქალაქისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნების გარანტიით. ერთადერთ სახელმწიფო ენად აფხაზეთის სსრ-ის ტერიტორიაზე ცხადდებოდა აფხაზური ენა, ხოლო ქართულ და რუსულ ენებს ენიჭებოდა „ოფიციალური ენის“ სტატუსი<sup>20</sup>.

აი, ასეთი ისტორიულ-სამართლებრივი „შედეგით“ ისახელა თავი ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის X სესიამ“. თავის დროზე, ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით გავაშუქეთ როგორც აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის „მფარველობაში“ შესვლის ისტორია<sup>21</sup>, ისე 1918-1921 წლების მოვლენები<sup>22</sup> და საკვებით ნათლად ვაჩვენეთ ამგვარი ისტორიული ნაბოღვარის სრული აბსურდულობა. ამდენად, არ ვხედავთ მათზე კიდევ ერთხელ საგანგებოდ ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. აღვნიშნავთ მხო-

ლოდ, რომ ე.წ. „X სესიის“ გადაწყვეტილებები ვერც ისტორიული და ვერც სამართლებრივი თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, რაც ნათლად დაადასტურა კიდეც 1990 წლის 31 აგვისტოს, უკვე რეგლამენტის სრული დაცვით მოწვეულმა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

მაგრამ მანამდე, 1990 წლის 26 აგვისტოს, შედგა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, რომელზეც მიეცა შეფასება აფხაზეთის ასსრ-ის ე.წ. „X სესიის“ გადაწყვეტილებებს. პრეზიდიუმის დადგენილებაში სრულიად გარკვევით იყო აღნიშნული, რომ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული „ოფიციალური დოკუმენტები“ სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა „საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის“ უსაფუძვლო ცდას „და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას“. ამგვარი „მოქმედება და გადაწყვეტილებები, – ნათქვამი იყო დადგენილებაში, – რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვეობის რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ხალხების ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს...“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოაცხადა „ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ“.<sup>23</sup>

იმავე დღეს, სოხუმში, „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რომელზეც დაგმეს აფხაური მხარის დესტრუქციული ქმედებები. იმავე დროს დაიწყო მზადება აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიის ჩასატარებლად. მართლაც, ქართულმა დეპუტაციამ შეძლო კვორუმიხათვის აუცილებელი რაოდენობის დეპუტატების მობილიზება და უკვე რეგლამენტის სრული დაცვით 1990 წლის 31 აგვისტოს მოიწვია აფხაზეთის ასსრ-ის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია. სესიას, რომელიც ჩატარდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარ-

ბაზში, დაესწრო 72 დეპუტატი (138-დან), ანუ ნახევარზე მეტი. მოხსენებით „აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეათე სესიის შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია.

სესიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ 1990 წლის 25 აგვისტოს ჩატარებულ სესიაზე წაკითხულ „მოხსენებაში, გამოსვლებსა და დადგენილებაში დაუსაბუთებელი, ღვარძლიანი ბრალდებები, გამოთქმული საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით, ისტორიული სიმართლის საწინააღმდეგოდ, ოფიციალური პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მივყავართ კონფრონტაციამდე და ვითარების დესტაბილიზაციამდე“. 1990 წლის 31 აგვისტოს ჩატარებულმა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს X სესიამ ოფიციალურად გააუქმა 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზური მხარის მიერ მოწვეული ე.წ. „სესიის“ დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“, „როგორც ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო და იურიდიულად დაუსაბუთებელი, რაც არღვევს საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ მთლიანობას“. სესიამ ასევე დაადგინა, რომ შექმნილიყო „სადეპუტატო კომისია პროცედურული საკითხების დარღვევის და დეპუტატთა რეგისტრაციისას დარღვევების ფაქტების, ასევე... დეპუტატებზე არასამართლებრივი არადემოკრატიული ზემოქმედების მეთოდების ფაქტების გამოსაძიებლად, რასაც ადგილი ჰქონდა 25 აგვისტოს სესიის მომზადებისა და ჩატარების პროცესში“.<sup>24</sup>

ამასობაში, ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, პირველ რიგში კი, „მეამბოხე“ საქართველოში, ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერებით შემფოთებულმა მოსკოვმა გადადგა ახალი ნაბიჯები ამ რესპუბლიკების წინააღმდეგ ფართო ფრონტის შესაქმნელად. ამ მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ინიციატივით, 1990 წლის 22 სექტემბერს მოსკოვში მოწვეულ იქნა ე.წ. „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების (ე.ი ავტონომიური რესპუბ-

ლიკების, ავტონომიური ოლქების და ოკრუგების – ზ.პ.) და საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა I ყრილობა“: როგორც სავსებით სწორად შენიშნა რუსმა პოლიტოლოგმა სვეტლანა ჩერვონნაია, „Главной сверхзадачей этого съезда была выработка „особого мнения“ автономий и „народов не имеющих своей государственности“ на случай, если новое демократическое руководство тех или иных союзных республик не пожелает подписать союзный договор и поставит вопрос о выходе этих республик из Советского Союза“.<sup>25</sup>

ამ ყრილობაზე ე.წ. „პირველი ვიოლინოს“ როლის შესრულება ცენტრმა აფხაზი სეპარატისტების მომავალ ბელადს ვლადისლავ არძინბას დააკისრა, რომელსაც იმჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახელმწიფო და სამართლებრივი სტატუსის ქვეკომისიის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა და ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურის, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ლუკიანოვის ფავორიტად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ერგო მას „პატივი“, პირველი გამოსულიყო სიტყვით ყრილობაზე სსრ კავშირისა და რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოების ეროვნებათა პალატების თავმჯდომარეების რაფიკ ნიშანოვისა და რამაზან აბდულატიპოვის შემდეგ. აფხაზური დელეგაცია ყრილობაზე წარმომადგენდა ერთგვარ „დამრტყმელ ძალას“, რომელსაც უნდა „გაეთრია“ ახალი „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ იდეა. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავარ მომხსენებლად თემაზე: „*Союзный договор и перспективы национально-государственного устройства СССР*“ მოგვევლინა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ქეცბა. აფხაზეთის სსრ-ის (და არა ასსრ-ის) მეორე წარმომადგენელმა იგორ ახბამ კი მიიღო ყრილობის მიერ შექმნილი „*ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების* (ე.ი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და ოკრუგების) და საკუთარი სახელმწი-



ფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა ასოციაციის“ საქმეთა მმართველის მაღალი პოსტი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ასოციაციის სათავეში მოექცა მუსა შანიბოვი, რომელმაც ამავე დროს „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ თავმჯდომარის თანამდებობაც შეინარჩუნა<sup>26</sup>.

მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, კრემლის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა მოკავშირე რესპუბლიკებში მისი უშუალო წაქეზებით შექმნილი „ინტერფრონტების“ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად გადაქცევა და სსრ კავშირის დეზინტეგრაციის პროცესი სულ უფრო შეუქცევადი გახდა. მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც, მიმდინარეობდა გამაღებულის მზადება პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად. 1990 წლის 18 ოქტომბერს, ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების ძალისხმევით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, თუმცა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხმა საზოგადოებაში მაინც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ცალკეული პოლიტიკური პარტიები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და სხვ. გამოვიდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს 28 ოქტომბრისათვის დანიშნული არჩევნების ბოიკოტის ინიციატივით და მოუწოდეს მოსახლეობას, მიეღოთ მონაწილეობა ალტერნატიული ორგანოს – ეროვნული კონგრესის არჩევნებში.

1990 წლის 30 სექტემბერს მართლაც ჩატარდა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები. არჩევნები ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, აფხაზეთში, სადაც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი (ცაეკ-ი). სეპარატისტულმა ძალებმა მოუწოდეს თავიანთ თანამემამულეებს, არ მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში, თუმცა მათ არ შეუშლიათ ხელი თვით ამ არჩევნების ჩატარებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სეპარატისტები ამით აშკარად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ქართულ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში არსებული წინააღმდეგობები.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები ტარდებოდა როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით. არჩევნების შედეგები სენსაციური გამოდგა. მასში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე რადიკალურმა ფრთამ – საარჩევნო ბლოკმა: „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ*“, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია იდგა. ამ ბლოკს ხმა მისცა ამომრჩეველთა თითქმის 56%-მა, მეორე ადგილზე გასულ საქართველოს კომუნისტურ პარტიას კი – ამომრჩეველთა მხოლოდ 24%-მა. სხვა პარტიებმა და ბლოკებმა ვერ გადალახეს 4%-იანი ბარიერი და პარლამენტს მიღმა აღმოჩნდნენ. „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო*“-ს საარჩევნო ბლოკმა მოიგო არჩევნები მაჟორიტარულ ოლქებშიც.

გამარჯვებულმა ბლოკმა დიდ წარმატებას მიაღწია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოვლინდა მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. გარდა თამაზ ნადარეიშვილისა, რომელიც თავისი მაღალი პარტიული თანამდებობის მიუხედავად (იმ დროს ის საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო), კენჭს დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა, ვერც ერთმა პარტიულმა ფუნქციონერმა ვერ შეძლო თავის საარჩევნო ოლქში გამარჯვება. სულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულ იქნა 16 დეპუტატი, აქედან მაჟორიტარული სისტემით – 10. ესენი იყვნენ: **თამაზ ნადარეიშვილი** და **ვლადიმერ ჯოლოგუა** (გაგრა), **ნუგზარ მაგლობლიშვილი**, **თემურ ლორთქიფანიძე**, **დიმიტრი ქეზურია** (ქ. სოხუმი), **ჯემალ საჯაია** (სოხუმის რ-ნი), **ველოდი მირცხულავა** (გუღურიფშის რ-ნი), **გიორგი სუბელიანი** (ოჩამჩირის რ-ნი), **ჯემალ შონია**, **ედიშერ ჯანჯულია** (გალის რ-ნი). ამ 10 დეპუტატიდან თამაზ ნადარეიშვილის გარდა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, უკლებლივ ყველა დანარჩენი ბლოკს „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო*“ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, თვით თ. ნადარეიშვილის გამარჯვება თავის ოლქში მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან,

რომ მას „მრგვალი მაგიდიდან“ მეტოქე არ ჰყოლია. აფხაზეთიდან ამ ბლოკის პროპორციული სიით პარლამენტში მოხვდნენ: **ზვიად ნადარეიშვილი, თემურ მუავია, მანანა ძიძუაშვილი, რევაზ კემულარია**, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტიის სიით: პროფ. **რევაზ სალუქვაძე** (სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი) და საქართველოს სახალხო არტისტი **გოგი ქავთარაძე** (სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი).

ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურმა მოსახლეობამ „აიდვილარას“ მოწოდებით საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ სეპარატისტებმა არჩევნების ჩაშლა მხოლოდ ორ საარჩევნო ოლქში – გუდაუთის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში – მოახერხეს. აქტიურად მიმდინარეობდა იმ აფხაზი მოღვაწეების დისკრედიტაცია აფხაზური მოსახლეობის თვალში, რომლებმაც მონიღომეს ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. ასეთ ვითარებაში, ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაუძლო მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ცილისმწამებლურ კამპანიას და ვადაძლე ჩამოსცილდა საარჩევნო მარათონს. ამავე დროს, ვერ გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფე იმ პარტიებმაც, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. სამწუხაროდ, მათ სიებში არ აღმოჩნდა ადგილი აფხაზი ეროვნების კანდიდატებისთვის. შედეგად, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, პირველად ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, არ იყო არც ერთი ეროვნებით აფხაზი დეპუტატი. ეს იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის სერიოზული შეცდომა.

1990 წლის 14 ნოემბერს გაიმართა ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს I სესია, რომელმაც თავმჯდომარედ – ფაქტობრივად რესპუბლიკის მეთაურად – გამარჯვებული ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **ზვიად გამსახურდია** აირჩია.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის წინაშე ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ავტონომიურ ფორმირებებში კრიზისული

სიტუაციის განმუხტვა იდგა. 1990 წლის შემოდგომაზე განსაკუთრებით გამწვავებული ვითარება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც სეპარატისტებმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის დანარჩენი საქართველოსაგან მოსაწყვეტად. 20 სექტემბერს, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პირობებში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახალხო დეპუტატების მეოცე მოწვევის საოლქო საბჭოს მე-14 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ. ამავე დროს, სესიამ დაადგინა, მიემართათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის სსრ კავშირის შემადგენლობაში ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ მიღების თაობაზე. ამავე სესიამ მიიღო აგრეთვე „დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“, რომელშიც „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“ ცხადდებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში, ხოლო ამ „ახლადგამომცხვარი“ სუვერენული „სახელმწიფოს“ გარანტად მიჩნეული იყო სსრ კავშირისა და „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ კონსტიტუციები<sup>27</sup>. ამგვარად, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს მე-14 სესიის გადაწყვეტილებებით, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ფაქტობრივად გამოყვანილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სივრციდან.

საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესე უკვე 21 სექტემბერს, მოახდინა რეაგირება სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს მე-14 სესიის გადაწყვეტილებებზე სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ და გამოაცხადა ისინი „ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ“<sup>28</sup>, მაგრამ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ახალმა ხელმძღვანელობამ, ტორეზ კულუმბეკოვის მეთაურობით, თავის მხრივ, დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებების „კანონიერება“. უფრო მეტიც, 16 ოქტომბერს უკვე „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა

დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 (!) სესიამ არაუფლებამოსილად ცნო „საარჩევნო ოლქებისა და უბნების ფუნქციონირება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში“.29 1990 წლის 22 ნოემბერს უკვე ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა ცხინვალის სეპარატისტული ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოუწოდა რეგიონის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ოსი ეროვნების მოქალაქეებს, გამოეჩინათ „კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფხიზლე და სწორად“ შეეფასებინათ „სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც“ შეიძლებოდა მოჰყოლოდა „საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად საშიში შედეგები“.30

ასეთ რთულ, თითქმის ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა წავიდა აბსოლუტურად მოულოდნელ და არაორდინარულ ნაბიჯზე. ზვიად გამსახურდიამ თანხმობა მისცა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ანუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს პირად სეპარატისტული ბანაკის ყველაზე ოდიოზური ლიდერის ვლადისლავ არძინბას არჩევაზე. მაინც რითი იყო ოდიოზური ვ. არძინბას პიროვნება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, მოკლედ გავაღვიწყოთ თვალი აფხაზი სეპარატისტების მომავალი ბელადის ცხოვრებისეულ გზას 1990 წლის დეკემბრამდე. ვლადისლავ არძინბამ, დაბადებულმა 1945 წელს, პირველი „საბრძოლო ნათლობა“ სეპარატისტულ ასპარეზზე სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას მიიღო, სადაც ის, მისივე ამხანაგების დაკვირვებით, თითქმის ღიად ამჟღავნებდა სიძულვილს საქართველოსა და ქართველების მიმართ. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. არძინბამ სწავლა მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში (მცირე აზიის ძველი ისტორიის პროფილით) განაგრძო. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ის იმავე ინ-

სტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად დატოვეს. პირველ ხანებში მას ჰქონდა გარკვეული სიძნელეები სამსახურში და ამის თაობაზე არაერთხელ დაუნივლია კიდეც თავის ქართველ კოლეგებთან\*. უფრო მეტიც, იმ ეტაპზე, ვ. არძინბას თავი დისიდენტადაც კი მოჰქონდა, რომელსაც თითქოს საბჭოთა რეჟიმი დევნიდა.

გარეგნულად ეს, ერთი შეხედვით, გარკვეულწილად სიმართლესაც კი წააგავდა, რადგან ყოფილა შემთხვევა, როდესაც ის საზღვარგარეთ, საერთაშორისო სიმპოზიუმზე არ გაუშვიათ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მის მიმართ არცთუ კეთილად იყო განწყობილი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი (შემდგომში თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, XXს. 90-იან წლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი, მოგვიანებით კი მთავრობის თავმჯდომარე), აკად. ევგენი პრიმაკოვი. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო ვერ გაბედა ვ. არძინბამ თავისი სალოქტორო დისერტაციის წარდგენა დასაცავად მოსკოვში და შეელა ქართველ კოლეგებს სთხოვა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, ახალგაზრდა აფხაზ მეცნიერს, რომელსაც, მისივე აღიარებით, „ველიკოროსი შოვინისტები“ დევნიდნენ, ქართველმა მეცნიერებმა (აკადემიკოსებმა თამაზ გამყრელიძემ, გრიგოლ გიორგაძემ და სხვ.) უშურველად გაუწოდეს დახმარების ხელი. ის სახელდახელოდ ჩამოიყვანეს თბილისში და სახელმწიფო უნივერსიტეტში უპრობლემოდ დააცვენიეს სალოქტორო დისერტაცია.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ, როგორც ჩანს, ვ. არძინბამ უკვე შეძლო საერთო ენის გამონახვა შესაბამის სპეცსამსახურებთან და მალე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სექტორის გამგის თანამდებობა დაიკავა. ამ დროიდან ის უკვე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ერთგული მსახური გახდა.

1988 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის,

---

\* ეს ინფორმაცია მოგვაწოდეს პროფ. ნანა ხაზარაძემ და აწგანსვენებულმა აკადემიკოსმა გრიგოლ გიორგაძემ.

ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გიორგი ძიძარია. ამით ისარგებლეს სეპარატისტებმა და ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ვ. არძინბას კანდიდატურა წამოაყენეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ხეთოლოგი ვ. არძინბა საკმაოდ შორს იყო აფხაზმცოდნეობისაგან და, ბუნებრივია, დ. გულიას სახელობის ინსტიტუტის პროფილს სრულიადაც არ შეესაბამებოდა. საკმარისია ითქვას, რომ მთელი თავისი მეცნიერული ბიოგრაფიის მანძილზე (1988 წლამდე), რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას ფაქტობრივად არ ჰქონდა რაიმე პუბლიკაცია აფხაზმცოდნეობაში. ერთადერთი, რითაც მას აფხაზური საზოგადოება იცნობდა, იყო პროფ. შალვა ინალ-იფას გახმაურებულ წიგნზე: „*Вопросы этнокультурной истории абхазов*“ – 1976 წელს გაზ. „*Советская Абхазия*“-ში გამოქვეყნებული (ვინმე გრანტკოვსკისთან ერთად) მცირე რეცენზია, რომელშიც მოცემული იყო შ. ინალ-იფას, სამეცნიერო თვალსაზრისით, მეტად საეჭვო ღირებულების მონოგრაფიის „ქებათა ქება“. მიუხედავად ამისა, სეპარატისტული წრეები, რომელთა გავლენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაზე საკმაოდ დიდი იყო, კატეგორიულად მოითხოვდნენ ვ. არძინბას დანიშნვას აფხაზმცოდნეობის სფეროში უმაღლეს სამეცნიერო თანამდებობაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, რომლის პრეროგატივასაც ოფიციალურად წარმოადგენდა მის სისტემაში შემავალი ინსტიტუტის დირექტორის დანიშვნა, გაითვალისწინა აფხაზური მხარის თხოვნა და დაამტკიცა ვ. არძინბა დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტი, რომელიც ვ. არძინბამ დაიკავა, აფხაზეთში ყველაზე საპატიო აკადემიურ თანამდებობად ითვლებოდა. თავისი რეიტინგით აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორი არაფრით არ ჩამორჩებოდა თვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და საზოგადოებაში მას ფაქტობრივად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აღიქვამდნენ. გარდა ამისა,

ამ თანამდებობას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ასე, მაგალითად, პროფ. გიორგი ძიძარია, დირექტორობის პერიოდში, ორჯერ იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1975 წლიდან უცვლელად ასრულებდა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. მართალია, „დიდ პოლიტიკაში“ ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე და არა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რომლის ფუნქცია მხოლოდ წელიწადში ორჯერ (საგანგებო შემთხვევის გარდა) სესიის სპიკერობით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ის, ფორმალურად, მაინც შედიოდა პოლიტიკურ ელიტაში და, რაც მთავარია, ადგილობრივი უმაღლესი პარტიული ორგანოს – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის – წევრიც იყო.

ვ. არძინბა, აფხაზეთის მთავარი აკადემიური დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშვნისთანავე, არჩეულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1989 წლის გაზაფხულზე ის უკვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატიც (გუდაუთის რაიონიდან) გახდა. სწორედ ამ დროიდან იწყება სეპარატისტების მომავალი ბელადის პოლიტიკური კარიერა. ქვეყნის უმაღლეს ორგანოში – სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში (ეროვნებათა პალატაში), რომელშიც ვ. არძინბა, სხვა დეპუტატებთან (რ. არშბა, რ. სალუქვაძე, კ. ჩოლოკიანი) ერთად წარმოადგენდა აფხაზეთის ასსრ-ს, ის შეუერთდა სახალხო დეპუტატების ყველაზე რეაქციულ ფრთას – ჯგუფ „სოიუზს“. როგორც ცნობილია, ეს ჯგუფი აერთიანებდა კომუნისტურ-ბოლშევიკური რეჟიმისა და საბჭოური იმპერიის შენარჩუნების ყველაზე აქტიურ მომხრეებს. ამ ჯგუფის გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩეული მიხეილ გორბაჩოვი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ანატოლი ლუკიანოვმა შეცვალა. სწორედ ამ უკანასკნელის ირგვლივ დაირაზმნენ ისეთი ოდიოზური ფიგურები (ზოგი მათგანი დღესაც აგრძელებს თავის აქტიურ „მოღვაწეობას“, ამჯერად უკვე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში),



როგორებიც იყვნენ: ვიქტორ ალქსნისი (ლატვია), ნიკოლაი კოგანი (ესტონეთი), ნიკოლაი ჰეტრუშენკო (ყაზახეთი) და სხვ.

ამ ჯგუფის მთავარ „დამრტყმელ“ ძალად იქცნენ ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები: მენტიმირ შაიმიევი (თათრეთის ასსრ), საჟი უმალატოვა (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ) და ვლადისლავ არძინბა (აფხაზეთის ასსრ). ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ვ. არძინბა აირჩიეს უმაღლესი საბჭოს ქვეკომისიის თავჯდომარედ, რომელსაც დაევალა კანონპროექტების მომზადება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ვ. არძინბას ეს „პატივი“ ერგო იმ ანტიქართული ისტერიკისათვის, რომელიც მან არაერთხელ ატეხა როგორც სახალხო დეპუტატების ყრილობაზე, ისე უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოსვლისას. სწორედ ის და მეორე აფხაზი დეპუტატი, ტარას შამბა, აგრეთვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენელი, ანატოლი ჩეხოვეი იდგნენ ანტიქართული კამპანიის ავანგარდში და ადანაშაულებდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში. აი, ამის გამო გადაიქცა ვ. არძინბა „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ 1990 წლის 3 აპრილს ხელმოწერილი კანონის მთავარი შემოქმედის, ანატოლი ლუკიანოვის ფავორიტად. ეს ის ყბადაღებული კანონია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ხალხში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის „არგასვლის“ კანონად მოინათლა.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწორედ სსრ კავშირის ხელმძღვანელობის ამგვარმა არადიპლომატიურმა, გამომწვევმა მიდგომამ და დაუოკებელმა მისწრაფებამ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ საქართველო და ზოგიერთი ურჩი რესპუბლიკა „ძმურ ოჯახში“, საბოლოო ჯამში, მიიყვანა კიდევ საბჭოთა იმპერია სრულ კრაზამდე 1991 წლის აგვისტოში, როდესაც ა. ლუკიანოვის „ბრძნული“ მითითებებით „შეიარაღებული“ „ველიკოდერჟავულ“ შოვინისტთა ზროვა შეეცადა, სამხედრო გადატრიალების გზით უკან შეებრუნებინა ის-

ტორიის ჩარხი და კვლავ შეემწყვდია სსრ კავშირის ხალხები მოდერნიზებულ იმპერიაში. დღეს უკვე ცხადია, რომ სწორედ აკვისტოს პუტჩის ჩაფუშვამ მისცა გადამწყვეტი იმპულსი სსრ კავშირის ფორსირებულ დაშლას.

მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით. მანამდე კი 1990 წლის მიწურულს ბევრი რამ ჯერ კიდევ ბურუსით იყო მოცული და, რაც მთავარია, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“. ცხინვალში განვითარებული მოვლენების ფონზე იყო „მეორე ფრონტის“ გახსნის საშიშროება აფხაზეთში. ამან უბიძგა ზ. გამსახურდიას, მიეღო რამდენადმე სარისკო საკადრო გადაწყვეტილება და დათანხმებოდა ვლადისლავ არძინბას „არჩევას“ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობაზე ვ. არძინბას, იმჟამად აფხაზთა შორის მართლაც ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსის, კანდიდატურა თავდაპირველად განხილულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების ჯგუფში. ის ქართველი დეპუტატები, რომლებიც გამოდიოდნენ ვ. არძინბას გაპირველკაცების ინიციატივით, თავიანთ პოზიციას ამართლებდნენ იმით, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, სსრ კავშირის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სეპარატისტები მოახერხებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებას და ისედაც გაიყვანდნენ ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთი სიტყვით, რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული მხარე, ერთგვარად „ჩათრევას ჩაყოლას“ ამჯობინებდა.

ქართული დეპუტაციის ეს პოზიცია როგორც მაშინ, ისე, მით უფრო, დღევანდელი გადასახედიდან, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს. პირველ რიგში, გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევდნენ ვ. არძინბას კანდიდატურის წამოყენების ინიციატორი ქართველი პოლიტიკოსები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს იმთავითვე წაგებულად მაშინ, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქართველობა შეადგენდა და, რაც მთავარია, **8 ადმინისტრაციული ერთეულიდან 5-**

ში (მათ შორის, ისე მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, როგორცაა ქ. სოხუმი და გალის რ-ნი) **სიტუაციას ძირითადად ქართველები აკონტროლებდნენ**. ვ. არძინბას აფხაზეთის ასსრ-ის ლიდერად არჩევის ერთადერთ გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული მხარის კეთილი ნება, პრინციპული დათმობის გზით მოენახა საერთო ენა აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის მესვეურებთან და ამით უზრუნველყო აფხაზური მოსახლეობის ლოიალური განწყობა საქართველოს სახელმწიფოსადმი, სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე დაგეგმილი საკავშირო რეფერენდუმის წინ.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა (ძირითადად ბლოკიდან: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“) ჯგუფსა და აფხაზეთის ქართული პოლიტიკური ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელს შორის გამართული კონსულტაციების შემდეგ, გადაწყდა, შეეთავაზებინათ აფხაზური მხარისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს პოსტზე ვ. არძინბას კანდიდატურა. მოლაპარაკებებს აფხაზებთან აწარმოებდნენ ადამიანები ზ. გამსახურდიას უახლოესი გარემოცვიდან: საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნუგზარ მგალობლიძევილი და მურმან ომანიძე, იმჟამად რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე (მოგვიანებით, მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი). არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მოლაპარაკებებზე წასვლის წინ ქართული მხარე სულაც არ ფიქრობდა რაიმე დამცავ მექანიზმებზე და ფაქტობრივად ხელს აწერდა სრულ კაპიტულაციას სეპარატისტების წინაშე.

ამგვარ მექანიზმად განიხილებოდა ბორის ადლეიბას დაბრუნება დიდ პოლიტიკაში, მისი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად (ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის პარალელურად) ხელახალი დანიშვნის გზით. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის რეიტინგი ფაქტობრივად ნულის ტოლი გახდა, აფხაზეთის ასსრ-ში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და საოლქო კომიტეტი მაინც ითვლებოდა წარ-

მმართველ პოლიტიკურ ძალად და მას ხელისუფლების ბერკეტები მეტნაკლებად შენარჩუნებული ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ბ. ადლეიბას პიროვნებას, რომლის ავტორიტეტი ავტონომიურ რესპუბლიკაში (როგორც აფხაზურ მოსახლეობაში, ისე ქართველებში) საკმაოდ მაღალი იყო და რომელსაც ამ დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მანდატიც ჰქონდა, ნამდვილად შეემლო სიტუაციის ერთგვარი დაბალანსება და, საჭიროების შემთხვევაში, ვ. არძინას ერთპიროვნული მმართველობის კონტროლიც კი, მაგრამ, უკანასკნელ მომენტში, აფხაზური მხარე არ წავიდა ამგვარ პოლიტიკურ როქზე. თავის მხრივ, ზ. გამსახურდიამაც, აფხაზეთში კომუნისტური პარტიის შესაძლო მომძლავრების შიშით, უარი თქვა ბ. ადლეიბას დაბრუნებაზე აქტიურ პოლიტიკაში. ამით, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, საქართველოს ლიდერმა სერიოზული შეცდომა დაუშვა.

1990 წლის 4 დეკემბერს სოხუმში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისით იყო გამოწვეული, გაიმართა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესია, სრული შემადგენლობით. სესიაზე ვლადისლავ არძინბა ერთხმად აირჩიეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე დროს, შეტანილ იქნა ცვლილებები აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში. ამ სესიის პოზიტიურ მომენტად უთუოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აფხაზურმა მხარემ ფაქტობრივად მოახდინა 1990 წლის 25 აგვისტოს ჩატარებული ე.წ. „სესიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების („აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ და „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის“) დეზავუირება, ვინაიდან ეს ფორუმი ტარდებოდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური (ხაზს ვუსვამთ – ავტონომიური) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (და არა უბრალოდ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის) უმაღლესი საბჭოს სესია. ამით სეპარატისტთა მცდელობა, ცალმხრივად შეეცვალათ აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მათ განახორციელეს 1990 წლის 25 აგვისტოს, ჩაიფუშა. სამწუხაროდ,

ეს იყო ერთადერთი წინგადადგმული ნაბიჯი ამ სესიაზე. სესიამ აირჩია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ეს თანამდებობა დაიკავა ვახტანგ ყოლბაიამ. გადაწყვეტილებების მიღება სხვა საკადრო საკითხებზე, მათ შორის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა, გადაიდო.

და მაინც, როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ვ. არძინბას კანდიდატურისადმი? უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დღემდე იწვევს ანალიტიკოსებში აზრთა სხვადასხვაობას. ერთნი (ძირითადად ზ. გამსახურდიას მომხრენი) საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯს, მოცემულ სიტუაციაში, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ. სხვები, პირიქით, ვ. არძინბასთვის ერთგვარი „კარტლანშის“ მიცემას ზ. გამსახურდიას დიდ პოლიტიკურ შეცდომად აღიქვამენ. ჩვენი აზრით, მიუხედავად საქართველოში არსებული საკმაოდ რთული ვითარებისა, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი კრიზისით იყო გამოწვეული, სიტუაცია აფხაზეთში არ იყო იმდენად კრიტიკული, რომ თბილისი წასულიყო ამგვარ უპრეცედენტო დათმობაზე და ხელისუფლებისკენ გზა გაეხსნა საქართველოსა და ქართველების დაუძინებელი მტრისათვის, როგორადაც იმ დროისათვის ჩამოყალიბდა ვ. არძინბა.

მეორე მხრივ, არც ზ. გამსახურდიას გადაწყვეტილების ძალიან მკაცრად შეფასება იქნებოდა მთლად მართებული. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ლიდერს მაშინ მაინც ჰქონდა უფლება, ეცადა, გამოეყენებინა ვ. არძინბას ავტორიტეტი, როგორმე ჩამოეშორებინა ის მოსკოვური გარემოცვისაგან და მიეცა მისთვის შანსი თავისი პოლიტიკური ამბიციების აფხაზეთში რეალიზაციისათვის. სრულიად აშკარაა, რომ ვ. არძინბას მეშვეობით გაცილებით ადვილი იყო სეპარატისტების შემობრუნება საქართველოს სახელმწიფოსაკენ. თანაც, აქ მაინცდამაინც დიდი რისკიც არ იყო, რადგან, ახლო ხანებში, უნდა ჩატარებულიყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები და თუ ვ. არძინბა არ გაამართლებდა იმედებს, მისი ალტერნატივაც მოიძებნებოდა, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ზ. გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ, რატომღაც დახუჭა რა თვალები ვლადისლავ არძინბას

„გმირობებზე“ ანტიქართულ ფრონტზე 1991 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით), კვლავ დაუჭირა მხარი უკვე აფხაზეთში მომაგრებულ ავანტიურისტ ლიდერს 1991 წლის შემოდგომაზე და ფაქტობრივად შეამზადა ნიადაგი გადამწყვეტი შეტევისათვის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს კი ზვიად გამსახურდიას საბედისწერო შეცდომა იყო.

## თავი IX. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოთარება აფხაზეთში 1991 წელს

პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1991 წლის გაზაფხულზე. აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბას „არჩევით“, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა და პირადად ზვიად გამსახურდია ცდილობდნენ სეპარატისტული ლიდერების ლოიალობის მოპოვებას და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბულობის მოხსნას, მაგრამ იმ ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აფხაზ სეპარატისტთა ყველაზე ოდიოზური წარმომადგენლის კანდიდატურას, აშკარად ვერ შეაფასეს ჯეროვნად, ერთი მხრივ, მისი კავშირები მოსკოვის ყველაზე რეაქციულ იმპერიულ ძალებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ვ. არძინბას პირადი ამბიციები. ზ. გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ ვერ გაითვალისწინეს, რომ ისინი, ვინც ზრუნავდა ვ. არძინბას პოლიტიკურ კარიერაზე მოსკოვში და უშვებდნენ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოდან, „кто напутствовал его перед отъездом в Сухуми.., чтобы возглавить большое и ответственное дело, которое ждало его в Абхазии“,<sup>1</sup> სულაც არ ფიქრობდნენ აფხაზეთში შექმნილი კრიზისული ვითარების განმუხტვაზე.

პირიქით, სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის ერთ-ერთი ენერგიული მებრძოლის სოხუმში გაგზავნით იმპერიის მესვეურები ამზადებდნენ ნიადაგს ძლიერი ანტიქართული ფრონტის შესაქმნელად აფხაზეთში, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გადამწყვეტი დარტყმა უნდა მიეყენებინა ურჩი თბილისისათვის. ვლადისლავ არძინბას – თავმოყვარე ინტელიგენტის, თანაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ცინცხალი დიპლომით ხელში, მჭევრმეტყველი ორატორის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის, ბლოკ „სოიუზ“-ის აქტიური წევრის, „ეროვნულ უმცირესობათა ხმებით“ მანიპულირების ოსტატის<sup>2</sup>, პიროვნება ზედგამოჭრილი იყო კრემლის შორსმიმავალი გეგმების განსახორციელებლად საქართველოში. ვ. არძინბა მართლაც იყო ის პიროვნება, რომე-

ლიც, ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგის, ს. ჩერვონნაიას მოსწრებული თქმით, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, შეუდგებოდა თავისი „ისტორიული მისიის“ შესრულებას „УВ-лечённо, вдохновенно, не по долгу службы, не по приказу Москвы, не для давно ставшего ему чуждым народа, а по собственной воле, по собственной жажде власти и для самого себя“.<sup>3</sup>

ის, რომ ვ. არძინბა ოდნავადაც არ ფიქრობდა საქართველოს ხელისუფლების ნდობის გამართლებას და ძალზე შორს იყო იმისგან, ხელი შეეწყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ამ პროცესში აფხაზი ხალხის ჩართვისათვის, ნათელი გახდა მისი ახალ თანამდებობაზე მუშაობის პირველი თვეებიდანვე. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოვლინდა უკვე 1991 წლის თებერვალში – სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე 17 მარტისათვის დაგეგმილი საკავშირო რეფერენდუმისათვის მზადების პერიოდში. საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ცნობილია, ამ რეფერენდუმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, რაც გამოიხატა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში „სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრკ რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილების თაობაზე“. ამ დადგენილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეფერენდუმი არ უნდა ჩატარებულიყო. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ საკავშირო რეფერენდუმის ნაცვლად დანიშნა (31 მარტს) რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. რეფერენდუმზე დასმული იყო კითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

საქართველოს ხელისუფლების უარი საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებაზე მოტივირებული იყო შემდეგი გარემოებით: „ქართველმა ხალხმა მეოცე საუკუნეში ორჯერ დაადასტურა თავისი ნება – ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა – ამიტომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის



ჩატარების არავითარი საფუძველი არ არსებობს... ამასთან, – აღნიშნულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებაში, – ბუნდოვანია რეფერენდუმის კითხვა, გაურკვეველია, რას წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განახლებული ფედერაცია, მით უმეტეს, რომ მისი სტატუსი არც ერთი იურიდიული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, არ შეიძლება არსებობდეს სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია“. და ბოლოს, „სსრკ კანონით რეფერენდუმის შესახებ ილახება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რადგანაც რესპუბლიკის მომავალი ბედი განისაზღვრება არა მისი მოქალაქეების, არამედ სსრ კავშირში შემაჯავლი სხვა „მოკავშირე რესპუბლიკების“ მოსახლეობის გადაწყვეტილებით“.<sup>4</sup>

საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის არჩატარების შესახებ ნამდვილი გამოწვევა იყო ცენტრისათვის, რომელმაც მაშინათვე გადადგა საპასუხო ნაბიჯი. იმავე დღეს (28 თებერვალს), ამკარად კრემლის მითითებით, სოხუმში შეითხნეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „*აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ*“. ამ „დადგენილებაში“, რომელსაც ხელს ვ. არძინა აწერდა, აღნიშნული იყო, რომ „აფხაზეთი მრავალეროვნული რესპუბლიკაა“ და რომ „მასში მშვიდობა და შეთანხმებულობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხების აზრის გათვალისწინებისა და ერთობლივი ძალისხმევის გზით“. აქედან გამომდინარე, და აგრეთვე „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ შესაბამისად... მოქალაქეთა მონაწილეობა... სრულიად საკავშირო რეფერენდუმში“ მათ ურყევ უფლებად ცხადდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ „დაადგინა“ მონაწილეობის მიღება 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში. ამავე დადგენილებით, „რეფერენდუმის ჩატარება სსრ კავშირის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხზე“ დაეკისრა „სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევნების №69 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიას“, ხოლო ადგილებზე – „ქალაქების სოხუმის, გაგრის, ტყვარჩელის, ასევე გუ-

დაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების საუბნო საარჩევნო კომისიებს“. „რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას“ კი დაევალა საარჩევნო კომისიების შექმნა ოჩამჩირისა და გალის რაიონებში სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩასატარებლად<sup>5</sup>. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

ამ გადაწყვეტილებით ვ. არძინბამ ფაქტობრივად გამოიყვანა აფხაზეთის ასსრ საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი სივრციდან. საქართველოს ხელმძღვანელობა შეეცადა, ხელი შეეშალა საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებისათვის აფხაზეთში და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით 1991 წლის 16 მარტს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქი გაუქმებულად გამოაცხადა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა და საკავშირო რეფერენდუმი აფხაზეთში მაინც ჩატარდა. ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ, „აიდგილარამ“, რუსულენოვანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დიდი პროპაგანდისტული სამუშაო გასწიეს. ისინი აქტიურად მოუწოდებდნენ მოსახლეობას, მიეღოთ მონაწილეობა 17 მარტის რეფერენდუმში და ერთნიშნად მიეცათ ხმა სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის.

მოუხედავად ასეთი მონღომებისა, სეპარატისტულმა ძალებმა მაინც ვერ მოახერხეს დადებითი შედეგის მიღწევა. მაშინ ვ. არძინბამ და მისმა გუნდმა აშკარა სიყალბეს მიმართეს – ხმის მიმცემთა რიცხვიდან მთლიანად გამორიცხეს გალის რაიონის მცხოვრებნი, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოიკოტი გამოუცხადეს საკავშირო რეფერენდუმს. ე. ი. გალის რაიონში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ასეთ ვითარებაში, იმისათვის, რომ დაემალათ რეალური სურათი, ხმების დათვლისას, ე.წ. „საარჩევნო კომისიამ“ გამოსავალი იმაში იპოვა, რომ გალის რაიონის მოსახლეობა (დაახლ. 60000 ხმის უფლების მქონე პირი) არ მიათვალა ავტონომიური რესპუბლიკის ხმის მიმცემთა საერთო რაოდენობას. ამგვარი სიყალბის შედეგად, მიღებულ იქნა საჭირო პროცენტი – 50,3%. ანუ, დაადგინეს, რომ სსრ კავშირის

შენარჩუნებას თითქოს ხმა მისცა აფხაზეთის ასსრ-ის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 50%-ზე მეტმა, რაც ა. ლუკიანოვის „კანონის“ თანახმად „უზრუნველყოფდა“ აფხაზეთის დატოვებას სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს იყო პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც მიაყენა ზვიად გამსახურდიას მის მიერვე ხელდასხმულმა ვ. არძინბამ.

თბილისს, ბუნებრივია, არ შეეძლო თვალი დაეხუჭა საკავშირო რეფერენდუმის უკანონოდ ჩატარებაზე აფხაზეთში. ამიტომაც 1991 წლის 22 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 16 მარტის თებერვლის დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე... 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმისა და №69 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები“ უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა<sup>6</sup>.

უფრო ადრე, 13 თებერვალს აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გააპროტესტა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების 1991 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გალის რაიონში პრეფექტის (ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურის) ინსტიტუტის შემოღებისა და ამ თანამდებობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის (გალის რაიონიდან) ედიშერ ჯანჯულიას დანიშვნის შესახებ. ამას წინ უძღოდა დაკავებული თანამდებობიდან გალის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის (საბჭოური ინსტიტუტის) თავმჯდომარის რაბო შონიას განთავისუფლება. ყოველივე ეს მოხდა სოხუმთან შეუთანხმებლად. სწორედ ამან მისცა საბაბი ვ. არძინბას, მოეხდინა სამართლებრივი რეაგირება (უნდა ითქვას, რომ საკმაოდ საფუძვლიანი) ზ. გამსახურდიას ამ, ჩვენი აზრით, ნამდვილად ნაჩქარევ ნაბიჯზე.

ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ე. ჯანჯულიას წარდგენა თანამდებობაზე მოხდა რამდენადმე უხეშად და გამოძვევად. ეს

მისია შეასრულა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა, რომელიც ამ მიზნით, ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თ. ჟორჯოლიანისა და ათამდე შეარაღებული პირის თანხლებით, სპეციალურად ჩამოვიდა გალში<sup>7</sup>. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ზ. გამსახურდიასა და მისი გარემოცვის სერიოზული პოლიტიკური და სამართლებრივი შეცდომა იყო<sup>8</sup>. ამით, ნებისთ თუ უნებლიედ, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხელჰყო აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიული მთლიანობა, რამაც მართლაც მისცა სეპარატისტულ ძალებს თბილისისადმი ახალი ბრალდებების წაყენების საბაბი. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლის ის ფორმა, რომელიც გამოიყენა საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, არ მოიწონა თვით გალის რაიონის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანმა ნაწილმაც<sup>9</sup>.

შემდეგი საკითხი, რომელშიც ვ. არძინბა ღიად დაუპირისპირდა ცენტრალურ ხელისუფლებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტისათვის დანიშნულ რეფერენდუმში აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობა იყო. მართალია, ვ. არძინბამ ვერ გაბედა ოფიციალურად აეკრძალა რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მან ამოქმედა მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი ამ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩასაშლელად. თუმცა აფხაზეთის ლიდერისა და მისი გარემოცვის ენერგიული მცდელობა, როგორმე ხელი შეეშალათ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოხატვისათვის, უშედეგო გამოდგა და რეფერენდუმი აფხაზეთში მაინც შედგა. რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეთა (აფხაზეთის ასსრ-ის ხმის უფლების მქონე პირთა დაახლ. 62%) აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის ჩაშლა სეპარატისტებმა მხოლოდ გუდაუთის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში მოახერხეს.

რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ოფიციალურად გა-

მოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო 14 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია.

**მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.** აფხაზური სეპარატისტული ძალები, კრემლის უშუალო მხარდაჭერით, იმთავითვე შეუდგნენ 17 მარტს „ხალხის მიერ გამოხატული ნების“ (რომლის მიხედვითაც თითქოს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ხმა მისცა სსრ კავშირის შენარჩუნებას) ცხოვრებაში გატარებას. რეფერენდუმის ფალსიფიცირებული შედეგების გამოცხადებისთანავე აფხაზური ტელევიზიით გამოვიდა ვლადისლავ არძინბა, რომელმაც „საზეიმოდ“ აუწყა ხალხს თავისი მზადყოფნის შესახებ, აფხაზეთის ასსრ-ის სახელით ხელი მოეწერა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის“. აფხაზეთის ხელისუფლების მეთაურის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის (რომელსაც ნამდვილად არ მიუცია ხმა სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის, პირიქით, აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991წ. 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში) სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ქ. გაგრაში შედგა საზოგადოების ფართო წარმომადგენლობითი შეკრება, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ნადარეიშვილი. კრების მონაწილეებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ვ. არძინბას ოფიციალურად მოეხდინა თავისი განცხადების დეზავუირება. ამავე დროს, მას მიეცა წინადადება, სასწრაფოდ დაეწყო მოლაპარაკებები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და უმოკლეს ვადაში დაენიშნა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნები<sup>10</sup>.

თავის მხრივ, 1991წ. 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებისთანავე, კრემლი შეუდგა ე.წ. „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ფორსირებულ მომზადებას. ამ კამპანიაში, რომელიც „ნოვო-ოგარიოვოს პროცესის“\* სახელითაა ცნო-

\* აღნიშნულმა პროცესმა ეს სახელწოდება მიიღო სსრ კავშირის

ბილი, ცენტრის ინიციატივით, აქტიურად ჩაერთვნენ ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელები. ამგვარი გადაწყვეტილების სამართლებრივ ბაზად იქცა სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1990 წლის 26 აპრილს მიღებული კანონი „სსრ კავშირის და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“. მასში ხაზგასმული იყო ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გათანაბრება მოკავშირე რესპუბლიკებთან<sup>11</sup>. ეს კანონი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობაზე – 1989 წლის მაის-ივნისში – ავტონომიურ რესპუბლიკათა სტატუსის მოკავშირე რესპუბლიკების დონემდე აყვანის თაობაზე ცალკეული ავტონომიების (თათრეთის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და ა.შ.) წარმომადგენელთა მიერ (აშკარად ცენტრის დაკვეთით) დაყენებული მოთხოვნის რეალიზაციის დასაწყისი იყო. „В политическом плане данный закон, – როგორც სავსებით სამართლიანადაა შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, – представлял попытку привлечь строптивные автономные республики на сторону Кремля“.<sup>12</sup> მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწორედ ღია და ფარული მხარდაჭერა ავტონომიური რესპუბლიკების სწრაფვისა, ამაღლებულიყვნენ მოკავშირე რესპუბლიკათა დონემდე და მათთან ერთად, თანასწორ უფლებებში, გამხდარიყვნენ „სუვერენულ სახელმწიფოთა ახალი კავშირის“ დამფუძნებლები, იყო მიხეილ გორბაჩოვისა და მისი გუნდის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია კიდევ სსრ კავშირის დაშლა.

მაგრამ 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც მ. გორბაჩოვმა წამოიწყო ე.წ. „ნოვო-ოგარიოვოს პროცესი“, სსრ კავშირის მესვეურები მოსალოდნელ საფრთხეს ვერ აცნობიერებდნენ და ურჩი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ უკიდურესად ხისტ პოლიტიკას ატარებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა მოსკოვთან თანამშ-

---

პრეზიდენტის ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენციის – ნოვო-ოგარიოვოდან, სადაც მიმდინარებდა კონსულტაციები „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ მომზადებასთან დაკავშირებით.

რომლობაზე და არ ჩაერთო ნოვო-ოგარიოვოში მიმდინარე კონსულტაციებში, რაც კრემლის მხრიდან მორიგ გამოწვევად იქნა აღქმული. ცნობილია, რომ მ. გორბაჩოვი, სატელეფონო საუბარში, ღიად დაემუქრა ზ. გამსახურდიას სიტუაციის გამწვავებით აფხაზეთში. მიუხედავად ამგვარი მუქარისა, საქართველოს ხელმძღვანელობამ დემონსტრაციულად არ მიიღო მონაწილეობა „ნოვო-ოგარიოვოს პროცესში“. თავის მხრივ, ასეთი ფონი მშვენივრად გამოიყენა ვ. არძინბამ. მან დიდსულოვნად მიიღო მ. გორბაჩოვის მიპატიჟება და მენტიმირ შაიმიევთან (თათრეთის პრეზიდენტი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ავტონომიის ლიდერთან ერთად აქტიურად დაუჭირა მხარი მოდერნიზებული იმპერიის შექმნის კრემლისეულ გეგმას.

ვ. არძინბას მონაწილეობამ „ნოვო-ოგარიოვოს პროცესში“ აიძულა თბილისი, კვლავ გადაედგა ნაბიჯები აფხაზეთის ლიდერის მოსკოვისაკან ჩამოსაშორებლად. განახლდა მოლაპარაკებები ვ. არძინბას გარემოცვასთან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ 1989 წლის მარტიდან აფხაზეთში იყო ხელისუფლების კრიზისი. ამის შედეგად ვერ მოხერხდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროულად ჩატარება და ფუნქციონირებას აგრძელებდა 1985 წელს არჩეული კომუნისტური პარლამენტი. 1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ვ. არძინბას უპირველესი ამოცანა სწორედ უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარება იყო, მაგრამ კონსულტაციები ამ საკითხზე თბილისსა და სოხუმს შორის იმთავითვე ჩიხში მოექცა. აფხაზეთი მხარე, სეპარატისტული ძალების ზეწოლით, ითხოვდა „თბილისთან შეთანხმების საფუძველზე რესპუბლიკისათვის სახელის მიმცემი ხალხისათვის პარლამენტში ინსტიტუციონალური წარმომადგენლობის გარანტირებას“.<sup>13</sup> ე. ი. სეპარატისტები სრულიად უცერემონიოდ მოითხოვდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აფხაზთა გარანტირებულ უმრავლესობას, რაც, ბუნებრივია, დემოკრატიის ელემენტარულ პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა სრულიად უპრეცედენტო (ჩვენი აზრით, უბრალოდ გაუძარტლებელი) პოლიტიკური სულგრძელობა და, აფხაზეთში ახალი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, წავიდა გაუგონარ დამობებზე სეპარატისტული ძალების წინაშე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დათანხმებოდნენ აფხაზეთი მხარის წინადადებებს უმაღლეს საბჭოში აფხაზეთა გარანტირებული უმრავლესობის დაკანონების შესახებ. 1991 წლის 9 ივლისს კანონი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ოფიციალურად მიიღეს და მის საფუძველზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 20 ივლისს შექმნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ცნობილი კომკავშირული და პარტიული მუშაკი, იმჟამად აფხაზეთის პროფსაბჭოს მდივანი ვიარესლავ ცუგბა.

ახალი საარჩევნო კანონის თანახმად წესდებოდა კვოტები ეროვნული წარმომავლობის მიხედვით: 65 სადეპუტატო ადგილიდან 28 გამოყოფილი იყო აფხაზი ეროვნების დეპუტატებისათვის (ეს მაშინ, როდესაც აფხაზობა ავტონომიური მოსახლეობის მხოლოდ 17% შეადგენდა), ქართველებისთვის (აფხაზეთის მოსახლეობის – 45%-მდე) გამოყოფილი იყო 26 სადეპუტატო ადგილი, დანარჩენი 11 ადგილი უნდა დაეკავებინათ აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების (რუსები, სომხები, ბერძნები და ა.შ., სულ დაახლ. მოსახლეობის 35%) წარმომადგენლებს. არ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთა კვოტირებული წარმომადგენლობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოში სრულიად ახალი იყო. ამგვარი პრაქტიკა ადრეც არსებობდა. ასე, მაგალითად, 1985 წელს არჩეულ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში აფხაზებს ქართველებზე სწორედ 2 დეპუტატით მეტი ჰყავდათ.

უფრო მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1919 წელს არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში, რომლის არჩევნები, ზოგიერთი სეპარატისტი ისტორიკოსის (მაგ., ს. ლაკობას) მტკიცებით, თითქოს ქართველი ოკუპანტების დიქტატის პირობებში, დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევით ჩატარდა,



40 დეკუტატიდან 18 აფხაზი იყო, ქართველი მხოლოდ 16, დანარჩენი 6 ადგილი კი ეკავათ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა ასეთი ფართო წარმომადგენლობა, პირველ რიგში, განპირობებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კეთილი ნებით, რომელმაც გაიმარჯვა კიდევ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში. გამარჯვებული პარტიის სიით გასული 27 დეკუტატიდან 12 აფხაზი იყო, ქართველი კი მხოლოდ 10, დანარჩენი 5 წარმომადგენლა სხვა (რუსები, სომხები, ბერძნები) ეროვნების მოსახლეობას<sup>14</sup>.

ასეთი მიდგომა შენარჩუნებული იყო სსრ კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში, როდესაც აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზებს, როგორც წესი, ქართველებზე მეტი წარმომადგენლობა ჰყავდათ. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1985 წელს არჩეულ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 20 დეკუტატი არჩეული იყო იმ საარჩევნო ოლქებში, რომლის ამომრჩეველთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამრიგად, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ისე საბჭოურ ეპოქაში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ქართული მოსახლეობის კეთილი ნების შედეგად, ყოველგვარი ოფიციალური იურიდიული მექანიზმების ამოქმედების გარეშე, თითქოს „დემოკრატიული არჩევნების“ გზით აფხაზებს (ასე ვთქვათ, ხალხს, რომელმაც „სახელწოდება მისცა რესპუბლიკას“) ჰქონდათ გარანტირებული რიცხობრივი უპირატესობა ქართველებზე ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში.

მაგრამ 1989 წელს დაწყებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა დააფრთხო აფხაზური სეპარატიზმის მესვეურები. ისინი ხვდებოდნენ, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, მათ ხელიდან გამოეცლებოდათ სახელისუფლო ბერკეტები და მთლიანად დაკარგავდნენ კონტროლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ავტონომიურ რესპუბლიკაში. სწორედ ამიტომ მათ, თითქმის ულტიმატუმის ფორმით, მოითხოვეს აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთი რიცხობრივი

უპირატესობის იურიდიული დაკანონება, რაზეც საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თანხმობა განაცხადეს.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა დემოკრატიულ არჩევნებზე აფხაზეთში და დაეკანონებინა ეთნიკურ აფხაზთა რიცხოვრივი უპირატესობა ქართველებზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ოპოზიციამ ეს გადაწყვეტილება ერთნიშნად ნეგატიურად შეაფასა და დაადანაშაულა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება ქართული ეროვნული ინტერესების დაღატაკში. თავის მხრივ, ხელისუფლება და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები ენერგიულად, ზოგჯერ ზედმეტი აგრესიულობითაც შეუდგნენ მიღებული გადაწყვეტილების დაცვას. მათი მტკიცებით, ყოველივე ეს მიმართული იყო აფხაზეთში დაძაბულობის განსამუხტავად და კრემლის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების აღსაკვეთად. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, თითქოს „ახალ საარჩევნო კანონს ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გარანტირებული დამცავი მექანიზმები, რომლებიც მოიაზრებოდა სამართლებრივ გარანტად აფხაზეთის საქართველოდან გასვლის“ არდასაშვებად<sup>15</sup>, ახალი საარჩევნო კანონის ავტორები და აპოლოგეტები, იმის შემდეგაც კი, რა უბედურებაც დატრიალდა აფხაზეთში 1992-1993 წლებში, იხტიბარს არ იტყვენ, დაუინებით ცდილობენ, გაამართლონ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ეს ნაბიჯი და აფხაზურ მხარესთან მიღწეული კომპრომისი საქართველოს ლიდერის თითქმის გენიალურ სვლად გამოაცხადონ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, პრინციპში, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები წინასწარ შეთანხმებული კვოტების საფუძველზე (თუმცა უმჯობესია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და ამ წესით არჩეულ პარლამენტში, კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ მაღალი კვორუმის პირობებში)\*, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავამართლებთ აფხაზ-

\* ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ავტორ-

თა უპირატესი უფლებების **ოფიციალურ დაკანონებას**. დათმობების მაქსიმუმი, რაზედაც შეიძლებოდა წასულიყო საქართველოს ხელისუფლება ამ თვალსაზრისით, უნდა ყოფილიყო 50% – 50%-ზე პროპორციის შეთავაზება, ანუ ქართველებსა და აფხაზებს პარლამენტში უნდა ჰყოლოდათ **თანაბარი წარმომადგენლობა**. ამით ხაზგასმული იქნებოდა, რომ მიუხედავად აფხაზებზე ქართველთა მნიშვნელოვანი რიცხოვნობისა, ქართველობა იჩენდა კეთილ ნებას და არ ესწრაფვოდა ამ უპირატესობის რეალიზებას დემოკრატიული არჩევნების გზით. ე. ი. ჩვენ ვაცხადებდით მზადყოფნას, აფხაზებთან ერთად **თანაბრად** მიგველო მონაწილეობა ავტონომიური რესპუბლიკის მართვაში. **28-26 ფორმულის დაწესებით კი საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტობრივად აღიარა, რომ აფხაზეთი მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა სამშობლოა, რომლებიც უნდა იყვნენ ამ მიწა-წყლის სრული ბატონპატრონნი და სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ მონობოლიური უფლებები აფხაზეთის მართვაზე**. ყოველივე ეს ნიშნავდა იმას, რომ ქართველობა, რომელიც სეპარატისტების უსაფუძვლო მტკიცების მიუხედავად, წარმოადგენს რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას, ერთბაშად ცხადდებოდა მეორეხარისხოვან ხალხად. ეს კი მართლაც შეურაცხმყოფელი იყო აფხაზეთის 250-ათასიანი ქართული მოსახლეობისათვის, რომელიც თავისსავე სამშობლოში ერთბაშად ხიზნად იქცა. ჩვენი აზრით, ამის მიჩნევა კომპრომისად სრულიად გაუმართლებელია. ეს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიური კაპიტულაცია იყო.

**ბატალიები ახალი საარჩევნო კანონის ირგვლივ და არჩევნები აფხაზეთში 1991 წლის შემოდგომაზე**. ახალი საარჩევნო კანონი აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ინტერესებს ლახავდა არა მხოლოდ იმით, რომ აფხაზებს პარლამენტში ქარ-

---

თა კოლექტივის (პ. ზაქარეიშვილი, კ. კუბლაშვილი და სხვ.) მიერ მომზადებულ კონცეფციაში დაფიქსირებულ პოზიციას. ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. – კრებ.: „*საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული*“. გამომც.: „ბათუმის უნივერსიტეტი“. ბათუმი, 2005, გვ. 139-140.

თველებზე ორი დეპუტატით მეტი ეყოლებოდათ. მათ ამგვარი უპირატესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეც ჰქონდათ, მაგრამ, ამჯერად, საბჭოური პრაქტიკისგან განსხვავებით, აფხაზ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა აერჩიათ მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც ამომრჩეველთა უმრავლესობას აფხაზები შეადგენდნენ და საერთო-პოლიტიკურ ამინდსაც ისინი ქმნიდნენ. გარდა ამისა, თვით საარჩევნო ოლქები მეტად არათანაბრად იყო გადანაწილებული. იმისათვის, რომ ქართველებს ვერ მოეხერხებინათ აფხაზური კვოტის ათვისება ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში სეპარატისტებისათვის მიუღებელ აფხაზ მოღვაწეთა არჩევის გზით, აფხაზურმა მხარემ მოითხოვა ნაკლებად მჭიდროდ (ძირითადად აფხაზებით) დასახლებულ რაიონებს მისცემოდათ დაახლოებით იმდენივე დეპუტატის არჩევის უფლება, რამდენსაც აირჩევდნენ მჭიდროდ დასახლებული რაიონები. შედეგად, გამოვიდა, რომ ქ. ტყვარჩელის მოსახლეობას (დაახლ. 14000-მდე ამომრჩეველი) 8 აფხაზი დეპუტატის არჩევა დაუკანონდა, მაშინ, როდესაც მთლიანად გალის რაიონის 60000-მდე ამომრჩეველს შეეძლო მხოლოდ 9 (ქართველი) დეპუტატის არჩევა. ქართველობისთვის არანაკლებ დისკრიმინაციული იყო პროპორცია გაგრასა და სოხუმში. ასე, მაგალითად, გაგრის – 22 ათასი ქართველი ამომრჩეველი ირჩევდა მხოლოდ 4 ქართველ დეპუტატს, ქ. სოხუმში კი 3 დეპუტატს სულაც 42 ათასი ქართველი ამომრჩეველი ირჩევდა (სხვათა შორის, ქართველებმა იმდენი „მოახერხეს“, რომ ამ 3 სადეპუტატო ადგილიდან 1 საერთოდ ვერ აითვისეს). ამ ფონზე, ქ. სოხუმის 13 ათასი აფხაზი ამომრჩეველი ასევე ირჩევდა 3 აფხაზ დეპუტატს, მაგრამ ქართული მხარის პოლიტიკური კაპიტულაციის ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო გუდაუთის რაიონში შექმნილი ვითარება. აქ 14 ათას ქართველ ამომრჩეველს საერთოდ არ მისცეს საშუალება, ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში<sup>16</sup>.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საარჩევნო ოლქების ამგვარ დაჭრას მშვიდად შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობა. პირიქით, თვით ისინიც (პრეზიდენტ ზ. გამსახურ-

დიას გარემოცვიდან) კი, ვინც პირადად იღებდა მონაწილეობას ახალი საარჩევნო კანონის შექმნაში, ღიად გამოვიდნენ არჩევნების სეპარატისტული სცენარით ჩატარების წინააღმდეგ. სწორედ მათი ინიციატივით, 1991 წლის 9 აგვისტოს ქ. სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე, ორგანიზებულ იქნა ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. ნიშანდობლივი იყო ის, რომ ამ მიტინგში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჩამოვიდა საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ იმჟამინდელი პოლიტიკური ელიტის ცნობილი სახეები: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ქორიძე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები – დილარ ხაბულიანი და მანანა ძოძუაშვილი და სხვ. – ისინი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების: ნუგზარ მგალობლიშვილის, რევაზ კემულარიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი სხვა (ქართველი) პასუხისმგებელი მუშაკისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ადგილობრივ აქტივისტთა თანხლებით, გავიდნენ სტადიონის სარბენ ბილიკზე და იქიდან „მგზნებარე“ სიტყვებით მიმართეს შეკრებილ ხალხს.

თავიანთ გამოსვლებში მათ „ანათემას გადასცეს“ ვ. არძინბა და მისი გუნდი აპარტიდული საარჩევნო კანონის მიღების გამო. ერთ-ერთი მათგანი (თ. ქორიძე) იქამდეც კი მივიდა, რომ ვლადისლავ არძინბა, არც მეტი, არც ნაკლები, ეღუარდ შევარდნაძის მოწაფედ გამოაცხადა, რომელთანაც თურმე აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი „დაძვრებოდა მოსკოვში“ (ეს თ. ქორიძის სიტყვებია) და ფარულად იღებდა მისგან ინსტრუქციებს, თუ როგორ ემოქმედა საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვ. არძინბა, აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული ღირსების შემლახველი ახალი საარჩევნო კანონის მიღების საკითხს ათანხმებდა არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უახლოეს გარემოცვასთან, არამედ

სსრ კავშირის გადამდგარ საგარეო საქმეთა მინისტრთან. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ პროფესიონალურ დონეზე ეწარმოებინათ სეპარატისტებთან პირდაპირი დიალოგი და ამ გზით მიეღწიათ სასურველი შედეგისათვის, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მიტინგის ენაზე საუბარს არჩევდნენ.

აღნიშნულის მიუხედავად, 9 აგვისტოს მიტინგმა, გარკვეულწილად, მაინც მიაღწია მიზანს, რადგან ამით აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 5 აგვისტოს გამოცემული ბრძანებულების: „*აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ*“ – სრული მხარდაჭერის დემონსტრირება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში ჩამოთვლილი იყო ის დარღვევები, რომლებიც დაშვებულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულებაში. კერძოდ, ის, რომ „ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთო რაოდენობის ორ მესამედს“ შეადგენდნენ ბლოკ „სოიუზის“ წარმომადგენლები, აგრეთვე ისიც, რომ კომისიის 17 წევრიდან – 13 წარმომადგენდნენ ქ. სოხუმს, „მაშინ, როცა მის შემადგენლობაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ იქნენ შეყვანილი გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების აღმასკომების მიერ წარდგენილი კანდიდატურები“, როგორც ამას მოითხოვდა აფხაზეთის ასსრ საარჩევნო კანონის მე-20 მუხლი. ამ და სხვა დარღვევების გამო, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 34-ე მუხლის დაცვას, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა, გარანტირებული უნდა ჰქონოდათ თანასწორი უფლებები, საქართველოს პრეზიდენტმა დაადგინა: „შეჩერებულ იქნეს *„აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ*“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულება, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას“.<sup>17</sup>

და მაინც, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს ლიდერის ამ აქტს და 9 აგვისტოს სოხუმის სტადიონზე გამართულ საპროტესტო აქციას შეედლო სეპარატისტების შეჩერება. ისინი ძალზე აქტიურად მოქმედებდნენ. ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის შემართებას დამატებით იმპულსებს სძენდა ის გარემოება, რომ იმჟამად მოსკოვში გამალებით ემზადებოდნენ ე.წ. „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ხელმოსაწერად. ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოს პრეზიდენტი დემონსტრაციულად უარს აცხადებდა „განახლებულ კავშირში“ შესვლაზე, მაშინ როდესაც ვ. არძინბასა და სხვა ავტონომიური რესპუბლიკების ლიდერებს ცენტრი აკისრებდა მეტად საპატიო მისიას, ყოფილიყვნენ ამ ახალი გაერთიანების დამფუძნებლები. ერთი სიტყვით, იქნებოდა ისეთი სიტუაცია, როდესაც შეიძლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ერთი ნაწილი – აფხაზეთის ასსრ აღმორჩენილიყო იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლის ნაწილად გადაქცევას საქართველო არ აპირებდა.

კრემლის იმედებს, მოკავშირე რესპუბლიკებისადმი მინიმალური დათმობების გზით შეენარჩუნებინა იმპერიის ერთიანობა, აღსრულება არ ეწერა. სსრ კავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის რეაქციულ-კონსერვატორული ფრთა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის გენადი იანაევისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ლუკიანოვის მეთაურობით გამოვიდა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ მ. გორბაჩოვისეული პროექტის წინააღმდეგ და 1991 წლის 19 აგვისტოს, სახელმწიფო გადატრიალების გზით, იმპერიის გადარჩენას შეეცადა. მაგრამ შეთქმულთა გეგმები მოულოდნელად ჩაშალა რუსეთის ფედერაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც თავის მომხრეებთან ერთად გამაგრდა „თეთრ სახლში“ (რუსეთის მთავრობის რეზიდენცია) და იქიდან მოუწოდა ქვეყნის პროგრესულ ძალებს არ დამორჩილებოდნენ ГКЧП-ს („სავანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი“ – შეთქმულთა მიერ შექმნილი სპეციალური ორგანო, რომელმაც ხელში აიღო მთელი ძალაუფლება) განკარგულებებს.

პუტჩის ჩაფუშვის შემდეგ ბ. ელცინის გავლენა ერთი-ორად

გაიზარდა და არა მარტო რსფსრ-ის მასშტაბით. ის ფაქტობრივად მთელი ქვეყნის ლიდერად იქცა. „ფოროსის ტყვეობიდან“ დაბრუნებული სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი გახდა. ასეთ ვითარებაში „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ დადების იდეა ფაქტობრივად დასამარდა და სრულიად ნათელი შეიქნა, რომ სსრ კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რასაკვირველია, ეს იგრძნეს სოხუმშიც. ვ. არძინბამ, რომლის „სულიერი მამა“ და მთავარი მფარველი – ანატოლი ლუკიანოვი, არშემდგარი პუტჩის შემდეგ, „*Матросская тишина*“-ს (მოსკოვის ცნობილი სატუსალო) კედლებს „ხეხავდა“, მშვენივრად გაერკვა შეცვლილ სიტუაციაში და თბილისის მიმართ ზოგიერთ (ჩვენი აზრით, მეტად უმნიშვნელო) კომპრომისზე წასვლა გადაწყვიტა.

სეპარატისტები ყოველნაირად ცდილობდნენ აპარტიდული საარჩევნო კანონის შენარჩუნებას და ამ გზით აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აფხაზების გარანტირებული უმრავლესობის განადღებას. შეიქმნა ერთგვარი „შემთანხმებელი კომისია“, რომელშიც აფხაზთა მხრიდან შევიდნენ ანრი ჯერგენია, სერგეი ბაგაფში, კონსტანტინე ოზგანი, დავით ფილია, სერგეი შამბა, ქართველთა მხრიდან კი – ვახტანგ ყოლბაია, გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნაპოლეონ მესხია, თემურ მჟავია<sup>18</sup>. ქართული მხარე დათანხმდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების „აფხაზური სცენარით“ ჩატარებას, ამის სანაცვლოდ კი აფხაზები წავიდნენ ცალკეულ შესწორებებზე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში. კერძოდ, 1991 წლის 27 აგვისტოს ვ. არძინბამ ხელი მოაწერა აფხაზეთის ასსრ კანონს „*აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებების შეტანის შესახებ*“; რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 98-ე მუხლს დაემატა სიტყვები: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმებით, რაც ამ კონსტიტუციითაა გათვალისწინებული“.<sup>19</sup>

ამრიგად, გამოდიოდა, რომ მიუხედავად ქართველებზე რიც-



ზობრივი უპირატესობის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში, სეპარატისტები მაინც ვერ მოახერხებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის კონსტიტუციური გზით შეცვლას, ვინაიდან არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენელთა (11 დეპუტატის) მოლიანად მიმხრობის შემთხვევაშიც კი ვერ აგროვებდნენ კვალიფიციურ უმრავლესობას. ასევე 2/3 ხმა იყო საჭირო მთავრობის დასამტკიცებლადაც. ერთი სიტყვით, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას მხარეები იძულებულნი ხდებოდნენ, ეძიათ კომპრომისის გზები, მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ე.წ. „კონსტიტუციური ცვლილებები“ ფარატინა ქალაქად დარჩა. ვ. არძინბამ და მისმა თანამოაზრეებმა ფეხქვეშ გათელეს ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმებები“ და ავტონომიურ რესპუბლიკაში სრული სამართლებრივი განუკითხაობის ვითარება შექმნეს.

თუმცა ეს იყო მოგვიანებით. მანამდე კი – 31 ოქტომბერსა და 1 დეკემბერს, ორ ტურად ჩატარდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები. აფხაზურმა მხარემ ადვილად შეძლო შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევა და ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე აირჩია თავისი დეპუტატების კორპუსი (მეორე ტურის ჩატარება საჭირო შეიქნა 3 თუ 4 საარჩევნო ოლქში). პარლამენტში მოხვდა სეპარატისტული მოძრაობის ყველა ცნობილი ლიდერი. ფაქტობრივად, ეს იყო მთელი აფხაზური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც საკმაოდ გონივრულად და კვალიფიციურად იცავდა თავის ინტერესებს.

აფხაზებისაგან განსხვავებით, ქართველებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში გააჩაღეს ხელჩართული ბრძოლა სადეპუტატო მანდატისათვის. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქ. სოხუმის ერთ-ერთ (ქართულ) საარჩევნო ოლქში საერთოდ ვერ მოხერხდა გამარჯვებულის გამოვლენა და ქართულმა დეპუტაციამ საერთოდ დაკარგა ერთი ადგილი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ სიტუაციაზე ეკისრებათ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალის, „მრგვალი მაგი-

და – თავისუფალი საქართველოს“ ადგილობრივ ლიდერებს. მათ ვერ მიაღწიეს (თუ არ მოისურვეს) კომპრომისის ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან და ყველგან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი კანდიდატების გაყვანას შეეცადნენ. შედეგად, აფხაზეთის ახალ პარლამენტში ძირითადად მოხვდნენ პოლიტიკურად ნაკლებად გამოწრთობილი ადამიანები, რომელთაც არ შესწევდათ სეპარატისტული ლიდერებისათვის ღირსეული ოპონირების უნარი და რიგ შემთხვევებში სტატისტიკების როლში გვევლინებოდნენ.

წინააღმდეგობებმა და ურთიერთდაპირისპირებამ ქართულ მხარეს არ მისცა საშუალება, პარლამენტში უმტკივნეულოდ გაეყვანა ქართველი დეპუტატები და მთელი ყურადღება გადაეტანა იმ 11 საარჩევნო ოლქზე, სადაც ირჩევდნენ არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენლებს. არადა, საარჩევნო ოლქების დაჭრა ნამდვილად იძლეოდა იმის საშუალებას რომ ქართველებს თავიანთი კანდიდატები გაეყვანათ 11-დან სულ ცოტა 8 საარჩევნო ოლქში მაინც. ე. ი. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მიუხედავად იმთავითვე +2 უპირატესობისა, სეპარატისტებს პარლამენტში აღმოაჩნდებოდათ მხოლოდ 31 დეპუტატი, მაშინ როდესაც ქართული პოლიტიკური კონიუნქტურის გამზიარებელი იქნებოდა 34 დეპუტატი. სწორედ ამის გამო იყო, რომ აფხაზებმა ყველაფერი გააკეთეს ამ საარჩევნო ოლქებში თავიანთი კურსის გამტარებელი კანდიდატების გასაყვანად. და მაინც, რომ არა სეპარატისტების სრულ კონტროლქვეშ მყოფი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების ურცხვი გაყალბება ზოგიერთ ოლქში, აფხაზური მხარე თავის მიზანს ვერ მიაღწევდა. საბოლოოდ, 11 საარჩევნო ოლქიდან აფხაზებმა, სხვადასხვა მანიპულაციებით 5 საარჩევნო ოლქში „მოახერხეს“ თავიანთი კანდიდატების გაყვანა, დანარჩენ – 6 ოლქში კი წარმატებას მიაღწიეს იმ კანდიდატებმა, რომელთაც მხარს ქართული მოსახლეობა უჭერდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ 65 სადეპუტატო ადგილიდან აფხაზებმა ფაქტობრივად მოიპოვეს – 33 (28+5), ქართველებმა კი მხოლოდ – 31 (25+6) და არა – 32, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1 (ქართული) სადეპუტატო ადგილი ვაკანტური დარჩა.

აი, როგორ გამოიყურებოდა აფხაზეთის ასსრ ახლადარჩეუ-

ლი უმაღლესი საბჭო:

ავხაზური დეპუტაცია: 1) ნათელა აკაბა, 2) დაურ ბარგანჯია, 3) რინატ ქარჩაა – *ქ. სოხუმი*; 4) ვიჩესლავ ბგანბა, 5) ალექო გვარამია, 6) ლეონიდე ლაკერბაია – *ქ. გაგრა*; 7) ენვერ კაპბა, 8) ვალერი კვარჩია, 9) დალილა ფილია, 10) ოლეგ დომენია, 11) დავით ფილია, 12) ვალერი ღურჯუა, 13) სოკრატ ჯინჯოლია, 14) კონსტანტინე ჯინჯოლია, – *ქ. ტყვარჩელი*; 15) საიდ ტარკილი, 16) სტანისლავ ლაკობა, 17) ვლადისლავ არძინბა, 18) იგორ ლაკობა, 19) ალექსანდრე ანჭვაბი, 20) გენადი ალამია, 21) კონსტანტინე ოზგანი, 22) სერგეი შამბა – *გულაუთის რაიონი*; 23) ვლადიმერ ზანთარია, 24) სერგეი ბაგაფში, 25) დაურ თარბა, 26) ზურაბ აჩბა, 27) ვლადიმერ აშხაცავა – *ოჩამჩირის რაიონი*; 28) ეთერი ავიძბა – *სოხუმის რაიონი*.

ქართული დეპუტაცია: 1) ელგუჯა (გია) გვაზავა, 2) თემურ ლორთქიფანიძე – *ქ. სოხუმი*; 3) თემურ კალანდია, 4) თემურ მჟავია – *სოხუმის რაიონი*; 5) აკაკი გასვიანი, 6) თამაზ ნადარეიშვილი, 7) რაისა უბილავა, 8) მიხეილ ჯინჭარაძე – *ქ. გაგრა*; 9) დავით გვაძაბია, 10) კიმ ჯაჭვლიანი, 11) ვახტანგ კაჭარავა, 12) ნუგზარ მგალობლიშვილი, 13) რაისა ქარაია – *გულრიფშის რაიონი*; 14) თამაზ გოგონია, 15) მურმან კვარაცხელია, 16) შოთა ხეცურიანი – *ოჩამჩირის რაიონი*; 17) ჯემალ გამახარია, 18) რინალდ დგებუაძე, 19) ოთარ ზუხბაია, 20) ნაპოლეონ მესხია, 21) თამაზ ხუბუა, 22) ზურაბ ჯგუბურია, 23) რუდიკ ცაბავა, 24) ვახტანგ ყოლბაია, 25) როსტომ შამუგია – *გალის რაიონი*.

არამკვიდრი ეროვნებების კვოტით პარლამენტში გავიდნენ: 1) ეთერი ასტემიროვა, 2) ოლგა ნაგარინა, 3) ვიქტორ ვასილიევი, 4) მ. ჯალოვიანი, 5) ა. გომცვიანი, 6) ა. ზებელიანი (მათ მხარს უჭერდა ქართული მოსახლეობა); 7) იური ვორონოვი, 8) ვიქტორ ლოგინოვი, 9) ალბერტ ტოპოლიანი, 10) მ. დეპელიანი, 11) ა. კაკუევი (ავხაზური ფრთის წარმომადგენლები).

ვლადისლავ არძინბას რეჟიმის სამართლებრივი „თარეში“ 1991 წელს. ავხაზეთის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ თითქმის ერთხმად აირჩიეს ვლადისლავ არძინბა. უმაღლესი საბჭოს თავმჯ-

დომარის პირველი მოადგილე გახდა თამაზ ნადარეიშვილი, ხოლო მოადგილე (არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენლობიდან) – სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია – „კრუნიკ“-ის ერთ-ერთი ლიდერი ალბერტ ტოპოლიანი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ვლადისლავ არძინბა, თამაზ ნადარეიშვილი, ალბერტ ტოპოლიანი, ეთერი ას-ტემიროვა, ვია გვაზავა, იური ვორონოვი, კონსტანტინე ოზგანი, ვახტანგ ყოლბაია, სერგეი შამბა. ამრიგად, უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული 9 წევრიდან – 5 წარმომადგენდა აფხაზურ-სეპარატისტულ ფრთას, ხოლო დანარჩენი – 4 ქართულ ფრთას. ვ. არძინბამ მოურიდებლად ისარგებლა ამ უპირატესობით და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით უმაღლესი შეუღლა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური აქტების „გამოცხობას“ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით.

მაგრამ ვ. არძინბას მიერ კონსტიტუციური ნორმების იგნორირებით უკანონო აქტების მიღების ეს პრაქტიკა სულაც არ იყო ახალი. ეს ჯერ კიდევ უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე იქცა ცხოვრების წესად. ე.წ. „კანონთა ომი“ თბილისსა და სოხუმს შორის თითქმის მთელი 1991 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ვ. არძინბას მიერ კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევის ზოგიერთი ფაქტი და აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა (მეტწილად უშედეგოდ), არ დაეშვა სეპარატისტების ლიდერის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც მიიღო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონსტიტუციის დარღვევით 1991 წლის ივლისიდან.

ასე, მაგალითად, 1991 წლის 2 ივლისს ვ. არძინბამ ხელი მოაწერა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას „*საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ*“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე, რომლის თანახმად საქართველოს ცენტრალუ-

რი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს აქტი ცხადდებოდა „იურიდიული ძალის არმქონედ... აფხაზეთის ტერიტორიაზე“, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა „სსრკ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეიარაღებული ფორმირებების შექმნის, აკრძალვის და უკანონოდ შენახვის შემთხვევაში იარაღის ამოღების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებას<sup>20</sup>.

1991 წლის 30 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ასევე გამოცხადებული იყო „იურიდიული ძალის არმქონედ... აფხაზეთის ტერიტორიაზე“, რადგანაც ისინი ძირს უთხრიდნენ „კრედიტის, ფულის მიმოქცევის, ანგარიშსწორებისა და სავალუტო ოპერაციების სფეროში სსრკ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას“. უფრო მეტიც, დადგენილებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ „საქართველოს ეს კანონები არის უხეში ჩარევა აფხაზეთის სუვერენული უფლებების იმ ნაწილში, რაც მას ეძლევა საკავშირო კანონმდებლობით საბანკო საქმიანობის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის“. დადგენილებით აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს მიეთითა: „არ შეასრულოს და დაუყოვნებლივ აცნობოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის ზემოაღნიშნული კანონების შესასრულებლად გამოცემული საქართველოს მთავრობის ყველა დავალების შესახებ“.<sup>21</sup>

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური დადგენილებით შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წლის 31 ივლისის №342-ე ბრძანების მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე<sup>22</sup>. იმავე დღეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის თანახ-

მად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა 1992 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყო აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული „საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გადაცემა-მიღება აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობაში“.<sup>23</sup>

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო კიდევ ერთი უკანონო დადგენილება: „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“. ამ დადგენილებით ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის“ სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხები უშუალოდ შეთანხმებული იყო სსრ კავშირის საბაჟო კომიტეტთან. ამით, ისევე როგორც სხვა დადგენილებების მიღებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უხეშად დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონები გამოცხადებული იყო სავალდებულოდ და თანაბარი ძალის მქონედ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე. სწორედ ამ კონსტიტუციური ნორმის დარღვევის გამო საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულებით და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით შეაჩერეს „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების მოქმედება<sup>24</sup>.

ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფრად არ ჩააგდო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ეს გადაწყვეტილებები და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანონო დადგენილებების რეალიზაციას შეუდგნენ. 1991 წლის 22 ოქტომბერს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“, რასაც მოჰყვა თბილისის დაუყოვნებლივი რეაგირება. 1991 წლის 24 ოქტომბერს საქართვე-

ლოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სპეციალური ბრძანებულებით ასევე შეაჩერა აღნიშნული დადგენილების მოქმედება<sup>25</sup>.

განსაკუთრებით საგანგაშო იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 ნოემბრის დადგენილება „*აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შესახებ*“: ამ დადგენილებით იქმნებოდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო უშიშროების უწყება, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მოტივად ცხადდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების გაუქმება<sup>26</sup>. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა სახელმწიფო უშიშროების ფუნქციის უზურპირებას ვ. არძინბას მიერ.

ეს მასალები ცხადყოფენ იმას, თუ როგორ (ჯერ კიდევ ახალი უმაღლესი საბჭოს არჩევამდე) უხეშად არღვევდა ვ. არძინბა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებით იღებდა უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ აქტებს, მაგრამ ნამდვილი სამართლებრივი თარეში აფხაზეთში დაიწყო სსრ კავშირის გაუქმების შეძღვევ. ასე, 1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „*აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ*“: დადგენილებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები, სასაზღვრო, შინაგანი ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულია აფხაზეთის ხალხის ნებისა და კონსტიტუციის შესაბამისად“ და რომ „მათი შეძღვომი ყოფნა მთლიანად... განეკუთვნება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას“. ამავ დამდგენილებით, „ადგილობრივი სამხედრო მმართველობის... ორგანოების, აგრეთვე №№5482, 3697 სამხედრო ნაწილების... ქონება, ტექნიკა და შეიარაღება... ნაგებობები და სხვა, აფხაზეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად“, ცხადდებოდა აფხაზეთის საკუთრებად<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ, ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრისას, როგორცაა უცხო ქვეყნის (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის – სსრ კავშირის სამართალმემკვიდრის) შეიარაღებული ძალების ყოფნა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად, მთლიანად იგნორირებული იყო ამ სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების აზრი და მისი გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეროგატივად ცხადდებოდა. აქედან გამომდინარე, სამხედრო ობიექტები მიჩნეული იყო არა სახელმწიფოს (ანუ მთლიანად საქართველოს), არამედ ავტონომიის საკუთრებად.

კიდევ უფრო გამომწვევი იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს „ყოვლისშემძლე“ პრეზიდიუმის იმავე 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ“. ამ დადგენილებით, „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტასთან და საკავშირო სტრუქტურების, მათ შორის, აგრეთვე საკავშირო შსს სამხედრო ნაწილების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.., აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან იქმნებოდა „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭო“. საბჭოს თავმჯდომარედ, ბუნებრივია, ვლადისლავ არძინბა დამტკიცდა, ხოლო მისი შემადგენლობა შემდეგნაირად დაკოპლექტდა: პოლკოვნიკი ა. არშბა (თავმჯდომარის პირველი მოადგილე), პოდპოლკოვნიკი ლ. გოგუჩიანი (თავმჯდომარის მოადგილე), პოლკოვნიკი თ. ჭკადუა (აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარი), პოლკოვნიკი ს. ღბარი (ქ. სოხუმის სამხედრო კომისარი), პოლკოვნიკი ბ. მირველოვი (ქ. გაგრის სამხედრო კომისარი), მილიციის მაიორი ა. კლიმოვი (ე.წ. №5482 სამხედრო ნაწილის მეთაური), პოდპოლკოვნიკი გ. აგრბა<sup>28</sup>. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ეს ე.წ. „დროებითი სამხედრო საბჭო“



ფაქტობრივად იყო სამხედრო უწყება, „თავდაცვის სამინისტროს“ ერთგვარი ჩანასახი. ნიშანდობლივია ისიც, რომ „საბჭოს“ 8 წევრიდან 4 აფხაზი იყო, 3 – არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენელი და მხოლოდ 1 (პოლკოვნიკი თამაზ ჭკადუა) წარმოადგენდა ქართველობას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

„დროებითი სამხედრო საბჭოს“ შექმნა სამართლიანადაა მიჩნეული როგორც აფხაზეთის მიერ სამხედრო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებისა და თბილისისაგან დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურის შექმნის მცდელობა. ჭეშმარიტად მკრეხელური (პირველ რიგში, 250-ათასიანი მკვიდრი ქართული მოსახლეობის მიმართ) იყო დადგენილების ავტორთა განცხადება იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს კეთდებოდა „აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“ და აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე. როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგი სვეტლანა ჩერვონნაია, ეს, რასაკვირველია, წმინდა წყლის დემაგოგია იყო, რადგან არავითარი აფხაზეთის კონსტიტუცია (იმ პერიოდში მოქმედებაში იყო აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია) არ ითვალისწინებდა უზურპაციას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (მით უფრო ამ ორგანოს პრეზიდიუმის) მიერ „той системы управления дислоцированными на её территории войсками частями бывших вооружённых сил СССР, которая относилась к компетенции государства-правопреемника Советского Союза. Таким государством, наряду с пятнадцатью другими республиками, образовавшими до 1991г. Союз ССР, могла выступать только Грузия, но никак не... находящаяся в составе Грузии автономия или область“. მაგრამ ყოველივე ამას არაფრად აგდებდა გათავხედებული ვ. არძინბა. „Грубо попирая конституцию и международное право... единоличным росчерком пера, – აღნიშნავს ს. ჩერვონნაია, – (даже не решением Верховного Совета, а постановлением Президиума)... самовольно объявляя имущество Советской Армии „собственностью Абхазии“ Ардзинба... фактически совершал акт политического самоуправства“.<sup>29</sup>

რასაკვირველია, ეს უკანონო ქმედებები რამდენადმე განაპი-

რობა იმანაც, რომ იმ პერიოდში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ქვეყანაში დაწყებული მწვავე პოლიტიკური კრიზისის გამო (რაც 1991-1992წწ. ლეკემბერ-იანვარში თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებით იყო გამოწვეული), არ შესწევდა უნარი, ჩარეულიყო აფხაზეთის საქმეებში და აღეკვეთა ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი „თარეში“. მაგრამ, როგორც საკსებით სწორად შენიშნავს იგივე ს. ჩერვონნაია, „ни временный паралич государственных структур и военных ведомств Республики Грузия..., ни собственная неразборчивость в делах, касающихся чужого имущества и правовой компетенции, всё же не позволили бы Председателю Верховного Совета автономной республики принимать столь дерзкие решения, если бы эти решения не были заранее обеспечены сговором с командным составом, вероятно, имевшим соответствующие инструкции и с поразительной лёгкостью вверившим себя в непредусмотренную никакими воинскими уставами „компетенцию“ Верховного Совета Абхазии“. სრულიად აშკარაა, რომ ეს იყო „единая, заранее согласованная, спланированная в высших эшелонах военно-промышленного комплекса акция“.<sup>30</sup>

აფხაზეთში თბილისისაგან დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურის შექმნა ძირს უთხრიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას. ამას კარგად ხედავდნენ თბილისში, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დედაქალაქი ამ დროს უკვე ძმათამკვლელ სისხლიან დაპირისპირებაში იყო ჩათრეული და იქ სოხუმისათვის არავის ეცალა.

თბილისში კრიზისის პირველმა სიმპტომებმა თავი ვერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში – მოსკოვში მიმდინარე პუტჩის დღეებში იჩინა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ГКЧП-ს ემისრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ ვ. შურავლიოვის დაჟინებული მოთხოვნით, მიიღო, როგორც შემდგომ გამოირკვა, საბელისწერო გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარების შესახებ. ამ ფაქტსა და აგრეთვე ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, ნეგატიურად შეხვდ-

ნენ არა მარტო ოპოზიციური ძალები, არამედ თვით მმართველ ბლოკში: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ერთგვარად „ცეცხლზე ნავთი დაასხა“ „ომონის“ არცთუ კვალიფიციურმა ქმედებებმა ოპოზიციური პარტიების საპროტესტო მიტინგის დარბევისას 1991 წლის 2 სექტემბერს.

ამ დროიდან ვითარება დედაქალაქში და რეგიონებშიც სერიოზულად დაიძაბა. ეროვნული გვარდიის ცალკეული ნაწილები, იმ დროისათვის უკვე გადაყენებული თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, განუდგა ხელისუფლებას და „ტყეში გავიდა“. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრეებმა რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლის წინ „კარავი გაშალეს“. 1991 წლის 22 დეკემბერს, განთიადისას, პირველი ტყვიაც გავარდა. ასე დაიწყო სამხედრო დაპირისპირება, რომელიც დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავის მომხრეთა ჯგუფთან ერთად თბილისი დატოვა და თავი სომხეთს შეაფარა. მოგვიანებით ის ჩეჩნეთში გადავიდა. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომელსაც თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ჩაუდგნენ სათავეში. სამხედრო საბჭომ შექმნა დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა დაინიშნა.

ასე გასრულდა 1991 წელი და დაიწყო 1992, რომელმაც საქართველოს არაერთი ახალი გამოცდა და უბედურება მოუტანა.

## თავი X. კოლიტიკური დაკავშლობა აფხაზეთში 1992 წლის იანვარ – აბვისტოს დასაწყისში

პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში და მდგომარეობა აფხაზეთში 1992 წლის დამდეგს. 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვარში თბილისში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ ერთბაშად დაძაბა პოლიტიკური ვითარება მთელ საქართველოში და ქვეყანა ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა. კონფრონტაციის ეპიცენტრმა დედაქალაქიდან დასავლეთ საქართველოს (ძირითადად სამეგრელოს) რაიონებში გადაინაცვლა. სერიოზულად გამწვავდა ვითარება აფხაზეთში, სადაც დამხობილ პრეზიდენტს მხარი დაუჭირა რეგიონის ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“-ს ადგილობრივმა ლიდერებმა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრიობისაგან თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვეს თბილისში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების დაგმობა.

საქართველოს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ამ კამპანიის ავანგარდში იღვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომლის რექტორის თანამდებობას ითავსებდა (!) დამხობილი მთავრობის წევრი, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი, პროფ. ფელიქს ტყებუჩავა. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა და რექტორის უახლოესი გარემოცვა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა თსუ სოხუმის ფილიალი გადაექციათ ზ. გამსახურდიას მომხრე ძალების მთავარ შტაბად. ჯერ კიდევ თბილისში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების დღეებში იყო მცდელობა დედაქალაქში მთავრობის სახლის დასაცავად სტუდენტ-მოხალისეთა რაზმის გაგზავნისა. უნივერსიტეტის ცალკეულ პროფესორ-მასწავლებელთა მოწოდებები, თავი შეეკავებინათ თბილისის მოვლენებში აქტიურად ჩარევისაგან კონკრეტულად რომელიმე ძალის მხარეზე და ცდილიყვნენ დაპირისპირებული ბანაკების შერიგებას, ზ. გამსახურდიას მომხრეთა აგრესიულ წინა-

აღმდეგობას აწყდებოდა.

1992 წლის 8 იანვარს თსუ სოხუმის ფილიალში რექტორატის ინიციატივით შედგა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტივის შეკრება, რომელზეც გამოცხადდა დაუმორჩილებლობა თბილისში შექმნილი სახელისუფლებო სტრუქტურების – სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობისადმი. ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად, რომელსაც დაემორჩილებოდა უმაღლესი სასწავლებელი, აღიარებულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ვლადისლავ არძინბას მეთაურობით. შეკრების ზოგიერთი მონაწილის (მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორის) მოწოდება, მორიდებოდნენ საკითხის ამ კუთხით დასმას და არ დაეშვათ თბილისისაგან თვითიზოლაცია, უმრავლესობამ შორს დაიკავა. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ის თანამშრომლები (ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ), რომლებმაც არ მისცეს ხმა რექტორატის მიერ მომზადებულ რეზოლუციას დაუმორჩილებლობის შესახებ, ფაქტობრივად „სამშობლოს მოღალატედ“ გამოაცხადეს და დაიწყეს მათი დისკრედიტაცია, როგორც უნივერსიტეტს შიგნით – სტუდენტობაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არადა, სულაც არ იყო დიდი დაფიქრება საჭირო, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ვ. არძინბა და მისი გარემოცვა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად ახდენდა თბილისისადმი ურჩობის დემონსტრირებას და კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით იღებდა უკანონო გადაწყვეტილებებს, რითაც ფაქტობრივად გაჰყავდა აფხაზეთი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სივრციდან, ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მცდელობა, განდგომოდა ახალ ცენტრალურ სახელისუფლო სტრუქტურებს, რასაკვირველია, სეპარატისტების წისქვილზე ასხამდა წყალს და, ნებსით თუ უნებლიედ, საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

სამწუხაროდ, დამნობილი პრეზიდენტის ემოციებს აყალიბებული მხარდამჭერები ვერ აცნობიერებდნენ ამ საფრთხის რეალურობას და მთელი ძალით ცდილობდნენ აფხაზეთის ქართველობის საქართველოს „პუტჩისტური ხელისუფლებისაგან“ ჩამოცილე-

ბას. ასეთ სიტუაციაში ვერ გამოიმუშავა ერთიანი პოზიცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ. ერთი მხრივ, მისმა ლიდერმა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ ნადარეიშვილმა სრული ლოიალობა გამოუცხადა საქართველოს დროებით მთავრობას და მას მუდმივი კავშირი ჰქონდა მთავრობის მეთაურ თენგიზ სიგუასთან (ასევე ლოიალურად განეწყვნენ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მიმართ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები, მათ შორის, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი), მეორე მხრივ, განსხვავებული პოზიცია დაიკავა ქართული დეპუტაციის მეორე ნაწილმა. ისინი ღიად დაუპირისპირდნენ თბილისის ხელისუფლებას და უყოყმანოდ ჩადგნენ დამხობილი პრეზიდენტის მომხრეთა შორის.

ეს ძალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც 1992 წლის 16 იანვარს ზვიად გამსახურდიამ მოულოდნელად დატოვა გროზნო და ზუგდიდში ჩამოვიდა. ამან ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია თ. ნადარეიშვილის გარემოცვაში, მაგრამ ზ. გამსახურდიას ეს ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა და მან მალევე დატოვა საქართველო, რის შემდეგ სამხედრო საბჭოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა ფაქტობრივად ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს დასავლეთ საქართველოს ის რაიონები, რომლებსაც მანამდე ყოფილი ხელისუფლების ერთგული გვარდიის ნაწილები აკონტროლებდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვლადისლავ არძინბას რამდენადმე მომლოდინე პოზიცია ეკავა და მაქსიმალურად ცდილობდა საქართველოში შექმნილი ეს ურთულესი სიტუაცია თავისი შორსმიმავალი გეგმების რეალიზაციისათვის გამოეყენებინა. გარეგნულად სეპარატისტების ლიდერს თავი ისე ეკავა, თითქოს ის, რაც დანარჩენ საქართველოში ხდებოდა, აფხაზეთს სულაც არ ეხებოდა. მიუხედავად ამისა, მას ჰქონდა სატელეფონო კონტაქტები პრემიერ-მინისტრ თ. სიგუასთან და ერთგვარ კეთილგანწყობილებასაც კი გამოხატავდა მის მიმართ. ასე, მაგალითად, კითხვაზე, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას საქართვე-

ლოს დროებითი მთავრობის მეთაურთან, ვ. არძინბამ შემდეგნაირად უპასუხა: „Два доктора наук всегда поймут друг друга“. ამავე დროს, პარალელურად, ვ. არძინბა ცდილობდა (და არცთუ წარუმატებლად) ურთიერთობის დამყარებას დამნობილი პრეზიდენტის მომხრეებთანაც და ფარულად აქეზებდა კიდევ მათ ანტიოპილისური ქმედებებისაკენ.

აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში, ფართოდ გაშლილმა დაუმორჩილებლობის კამპანიამ, რაც ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა პერმანენტული საპროტესტო აქცია-მიტინგებით გამოიხატა, მეტად ხელსაყრელი ფონი შექმნა ვ. არძინბას მიერ მორიგი ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტებისა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ასე, 1992 წლის 25 იანვარს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტის გამო აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ“, რომლის თანახმადაც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისკრიმინაციულად იზღუდებოდა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება. არადა, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესრულება სავალდებულო იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე<sup>1</sup>. ასევე დისკრიმინაციული იყო საქართველოს მოქალაქეების მიმართ ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 24 მარტს მიღებული დადგენილება: „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებითი წესის შესახებ“<sup>2</sup>.

და მაინც, არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ვ. არძინბას რეჟიმი არ იყო შეშფოთებული ზ. გამსახურდიას მომხრეების საპროტესტო გამოსვლებით. ჯერ კიდევ 1992 წლის 13 იანვარს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთში მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ახალი სტრუქტურებისადმი დაუმორჩილებლობის აქციების ჩატარების შედეგად აფხაზეთის ტერიტო-

რიაზე მკვეთრად გაუარესდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და რომ, ამ აქციებმა მიიღეს კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ეწყობა არასანქცირებული მიტინგები, მსვლელობები და გაფიცვები, თვითნებურად ეწყობა პიკეტები, ადგილი აქვს რკინიგზის ბლოკირებას. „მათი ორგანიზატორები, – ნათქვამია დადგენილებაში, – სიტყვით მოუწოდებენ რა კონსტიტუციისა და კანონების დაცვისაკენ, თვითონ უწყობენ ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ავალებდა აფხაზეთის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურს, აქტიური ზეგავლენა მოეხდინათ და კანონით გათვალისწინებული ზომები გაეტარებინათ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა, მათ შორის, არაკანონიერი გაფიცვებისა და მიტინგების ორგანიზატორთა მიმართ<sup>3</sup>.

აფხაზეთის ხელისუფლება განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოჩნდნენ შეიარაღებული პირები – „აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ ცნობილი ეროვნული გვარდიის ფორმირებათა“ მებრძოლები. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას საქართველოს ეროვნული გვარდია „ოფიციალურად“ უკანონო სამხედრო ფორმირებად ჰყავდა გამოცხადებული, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1992 წლის 20 იანვარს სახელდახელოდ „გამოაცხო“ კიდევ ერთი დადგენილება, ამჯერად უკვე „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს (შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, „აფხაზეთის იურისდიქციის ქვეშ“ მყოფ შინაგან საქმეთა საჯარისო ფორმირებებს) დაევაღათ, დაუყოვნებლივ გაეშალათ ერთობლივი მუშაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასა და პირებისაგან, „*пробывающих на территории Абхазии*“, უკანონოდ შენახვაში არსებული იარაღის ამოსაღებად<sup>4</sup>.

განსაკუთრებით კრიტიკული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში



1992 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ბატალიონი, მძიმე ტექნიკის თანხლებით, გიორგი ყარყარაშვილის მეთაურობით, შემოვიდა აფხაზეთში და ერთი ტყვიის გასროლის გარეშე გავიდა მდ. ფსოუმდე – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რუსეთის ფედერაციასთან. თბილისის ეს აქცია ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან ერთგვარი ძალის დემონსტრირება იყო, რომელიც, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა დაშოშმინებას. გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთის მარშით სვლას რამდენადმე უნდა დაეფიქრებინა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი და აქმულებინა ის, მეტი ლოიალობა გამოეჩინა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. აფხაზური სეპარატიზმის ლიდერებმა, მიუხედავად დიდი გაღიზიანებისა, იმჟამად ვერ გაბედეს რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ქართული ჯარისათვის, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, ვ. არძინბას კატეგორიული მოთხოვნით, ვ. ყარყარაშვილის ბატალიონი აფხაზეთიდან მაინც გამოიწვია.

**ბრძოლა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებისათვის 1992 წლის გაზაფხულზე.** 1992 წლის თებერვალში სოხუმში დაიწყო მოძრაობა აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების კონსოლიდაციისა და მძლავრი ანტისეპარატისტული ფრონტის შესაქმნელად. ეს მოძრაობა რამდენადმე ინიცირებული იყო „ზემოდან“. ახალი მოძრაობის მთავარი ინიციატორი იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც ამ დროისათვის იქცა ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ფიგურად ქართულ ნომენკლატურაში. ვ. ლომინაძის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მისი მოღვაწეობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაცია და მოინდომა მისი კანდიდატურის „ჩაგდება“ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, მაგრამ საპარლამენტო მოსმენაზე ვ. ლომინაძემ წარმატებით მოიგერია აფხაზი დეპუტატების თავდასხმები და, თვით ვლადისლავ არძინბას სურვილის საწინააღმდეგოდ, შეძლო მინისტრ-

რის პორტფელის შენარჩუნება. უფრო მეტიც, საპარლამენტო დებატებისას გ. ლომინაძემ გამოამჟღავნა ენერგიული პოლიტიკური ლიდერის თვისებები და ამ დროიდან ის იქცა ყველაზე რეალურ კანდიდატად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (ანუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის შემდეგ რეიტინგით მეორე) თანამდებობაზე.

ახალ მოძრაობაში ჩაერთო აფხაზეთის მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა: მინისტრები, დეპუტატები და ა.შ., აგრეთვე სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის სახელწოდებად შეირჩა: „*აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირი*“ (აპდკ). სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1992 წლის 11 მარტს სოხუმის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საინიციატივო ჯგუფის წევრი, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ პაპასქირი. ყრილობას ესწრებოდნენ დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც, რომლებიც შეეცადნენ დისონანსი შეეტანათ მის მუშაობაში. მათ კატეგორიულად მოითხოვეს ყრილობის მონაწილეებისაგან ე.წ. „თბილისის ხუნტის“ დაგმობა, მაგრამ ყრილობამ არ გაიზიარა ეს წინადადება და მოუწოდა ქართულ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, გაერთიანებულიყვნენ სეპარატისტების წინააღმდეგ.

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს იმჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექო ლომინეიშვილი, რომელსაც უნდა დაეტოვებინა თავისი მაღალი პოსტი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში არჩეულ იქნენ: გურამ მაღლაკელიძე (ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, შემდგომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი), დოც. შამილ ცხვედიანი (საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უცხო ენების კათედრის გამგე), დოც. მურმან ბერია (თსუ სოხუმის ფილია-

ლის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე), ალექსანდრე ბერუ-  
ლავა (ჟურნალისტი), ზურაბ პაპასქირი და სხვ.

ქართული მოსახლეობის მაკონსოლიდირებელი ძალის პრე-  
ტენზიების მქონე ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა მნიშ-  
ვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად იქნა მიჩნეული, და არა მხო-  
ლოდ აფხაზეთის მასშტაბით. ნიშანდობლივია, რომ საქართვე-  
ლოს ტელევიზიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ეჩვენებინა სოხუმ-  
ში ჩატარებული ყრილობის ვიდეოჩანაწერი, რითაც მთელი ქვეყ-  
ნისათვის გახდა ცნობილი აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიუ-  
ლი კავშირის წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები.

ახალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ იმთავითვე გააჩა-  
ლა აქტიური ინფორმაციულ-იდეოლოგიური საქმიანობა, რომლის  
მიზანი იყო აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობის დეს-  
ტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების მხილება. გა-  
მოიცა საინფორმაციო ბიულეტენები ქართულ და რუსულ ენებ-  
ზე. მათში გამოქვეყნებული იყო მასალები, რომლებიც, ვ. არძინ-  
ბასა და მისი გარემოცვის აზრით, ეწეოდა უმაღლესი საბჭოსა  
და განსაკუთრებით მისი აფხაზური ნაწილის გამიზნულ დისკრე-  
დიტაციას. ბუნებრივია, ამან სეპარატისტული რეჟიმის უკიდუ-  
რესი გაღიზიანება გამოიწვია და საპასუხო რეაქციამაც არ დაა-  
ყოვნა: გატარდა სახელდახელო ზომები აპდკ-ის საინფორმაციო  
ბიულეტენების აკრძალვის მიზნით. ვ. არძინბას უშუალო დავა-  
ლებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-  
ლემ ალბერტ ტოპოლიანმა ოფიციალურად მოსთხოვა ავტონომი-  
ური რესპუბლიკის პროკურორ ანრი ჯერგენიას, აღეძრათ სისხ-  
ლის სამართლის საქმე „საინფორმაციო ბიულეტენის“ გამომცემ-  
ლების და აპდკ-ის ხელმძღვანელების მიმართ უმაღლესი საბჭოს  
აფხაზური ნაწილისა და მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტა-  
ციის მცდელობისათვის<sup>5</sup>.

პროკურატურა მართლაც შეუდგა ამ დავალების შესრულე-  
ბას, მაგრამ უშედეგოდ. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა, როგორც  
ჩანს, ხვდებოდა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პო-  
ლიტიკური ოპონენტების მიმართ შეიძლებოდა გადაზრდილიყო  
დიდ პოლიტიკურ სკანდალში, რაც ნამდვილად არ მოუტანდა მათ

სიკეთეს. გარდა ამისა, თვით შეთითხნილ ე.წ. „სისხლის სამართლის საქმეს“, რასაკვირველია, არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ ექნებოდა, რადგან საინფორმაციო ბიულეტენებში მოყვანილი იყო უტყუარი ფაქტები, რომლებიც სრულიად ნათლად ადასტურებდნენ სეპარატისტული ხელმძღვანელობის ანტისახელმწიფოებრივ, ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აფხაზეთიდან გროზნოში, „სამხედრო-პოლიტიკური მომზადების“ ასამაღლებლად და საბრძოლო გამოცდილების მისაღებად, აფხაზი „ბოევიკების“ (ოფიციალურად ე.წ. „უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ მებრძოლთა) გაგზავნის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ აფხაზეთის ტელევიზიით მოსახლეობას ერთგვარი თავმოძვრნებით აუწყა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, უნივერსიტეტის პრორექტორმა ოლეგ დომენიამ.

ამასობაში, პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის ინიციატივით, დაიწყო მზადება აფხაზეთის ქართული საზოგადოებრიობის გამაერთიანებელი ყრილობის მოსაწვევად. ამ მოძრაობაში ჩაერთვნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტიკური ორგანიზაციებიც, რომლებიც მანამდე ხალხს საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი საყოველთაო დაუდრწინებლობისაკენ მოუწოდებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა უფრო ადრე ამ ძალებმა, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინეს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უმაღლეს საბჭოს უნდა დაეგმო სამხედრო გადატრიალება თბილისში და არ ეცნო საქართველოს ახალი სახელისუფლო სტრუქტურები. ქართველ დეპუტატთა ერთი ნაწილის ეს ინიციატივა უმაღ აიტაცეს სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა დეპუტატებმა, რომლებმაც ქართველ დეპუტატებს მოუწოდეს, უფრო შორს წასულიყვნენ და დაეჭირათ მხარი აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისათვის. ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა საშიში იყო აფხაზეთში თბილისისადმი დაუდრწინებლობის გზით სვლა. სხვა-

თა შორის, ამას მიხვდნენ თვით აღნიშნული ინიციატივის ავტორებიც და მათ უკან წაიღეს თავიანთი წინადადება.

ის, რომ ვ. არძინბა მაქსიმალურად ცდილობდა ესარგებლა საქართველოში შექმნილი კრიზისული ვითარებით და თანმიმდევრულად დგამდა ნაბიჯებს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 1992 წლის ზამთარში – უმაღლეს საბჭოში სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის (დროშა, გერბი) საკითხის განხილვისას. აფხაზურმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა, მიეღოთ სახელმწიფო დროშად ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ დროშის ანალოგი. და ეს მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციის მესვეურები ღიად აცხადებდნენ, რომ მიზნად ისახავდნენ ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს შექმნას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის ნაწილადაც განიხილებოდა აფხაზეთი, ხოლო ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იქნებოდა სოხუმი. ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური მიმართულების ერთგვარი გამოხატულება იყო „სახელმწიფო დროშის“ მწვანე ფერი. „კონფედერაციის“ ანალოგიური სიმბოლიკის მიღებით სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი დეპუტატები სრულიად არაორაზროვნად მიანიშნებდნენ, რომ აფხაზეთი არის არა საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი, არამედ ის შედის ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმ ხალხთა თანამეგობრობაში. არადა, აფხაზეთში ისტორიულად ისლამი არასოდეს (თვით XVIII-XIXსს.-შიც კი) არ ყოფილა გაბატონებული რელიგია. მართალია, XVI-XVIII საუკუნეებში აქ ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქრისტიანული ეკლესიის როლის შესუსტებას, მაგრამ ვერ ვიტყვით იმას, რომ აქ ისლამმა საყოველთაო გავრცელება ჰპოვა. აფხაზობა უფრო წარმართობას მიუბრუნდა, ვიდრე ისლამს მიეძალა.

ქართული დეპუტაცია, ბუნებრივია, გამოვიდა სეპარატისტების მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ვარიანტის წინააღმდეგ, მაგრამ ამან სულაც არ შეაჩერა ვ. არძინბა და მისი თანამოაზრენი. აფხაზურმა დეპუტაციამ კონსტიტუციური ნორმების უხეში დარღვევით (კვორუმის არქონის პირობებში) „დაამტკიცა“ აფხაზეთის ახალი სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა და დემონსტრაციულად აღმართა ახალი დროშა უმაღ-

ლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობებზე. ქართული დეპუტაცია ასევე არ დაეთანხმა აფხაზეთის ოფიციალური სახელწოდებიდან – „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან“ სიტყვა „ავტონომიურის“ ამოღებას. აფხაზურმა დეპუტაციამ ამ შემთხვევაშიც სრულიად მოურიდებლად დაარღვია კონსტიტუცია და, ქართული მხარის მონაწილეობის გარეშე, რეგლამენტის უხეში დარღვევით მიიღო აფხაზეთის ახალი სახელწოდება – „აფხაზეთის რესპუბლიკა“.

სეპარატისტების ამ ანტიკონსტიტუციურმა ქმედებებმა უკიდურესად დაძაბეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში. სიტუაცია განსაკუთრებით გაამწვავა ვ. არძინბას ბრძანებით გალის რაიონში, ზუგდიდის რაიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ე.წ. „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ ნაწილების განლაგებამ. ფორმალურად ეს საკითხი შეთანხმებული იყო საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან და „აფხაზური გვარდიის“ განლაგება ენგურზე თითქოს მიზნად ისახავდა დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე გვარდიელთა აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლის აღკვეთას, მაგრამ ამ აქციას სეპარატისტული რეჟიმი და, პირველ რიგში, ვ. არძინბა სულ სხვა იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებდა. სეპარატისტები ღიად აცხადებდნენ, რომ „შინაგანი ჯარის“ მებრძოლები განთავსებულნი იყვნენ „საქართველოსთან აფხაზეთის **სახელმწიფო საზღვარზე**“, სადაც, არც მეტი, არც ნაკლები, იცავდნენ „**მშობლიური ქვეყნის**“ უსაფრთხოებას. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოჟღავნდა ზუგდიდის რაიონის გალის რაიონთან ადმინისტრაციული საზღვრის ოტობაია-ნაბაკევის მონაკვეთზე მომხდარი ინციდენტისას, როდესაც ზ. გამსახურდიას მომხრე გვარდიელთა მცირე ჯგუფთან შეტაკებისას დაიღუპა „აფხაზური გვარდიის“ ერთ-ერთი მებრძოლი. ეს ფაქტი გამოყენებულ იქნა მორიგი „პატრიოტული“ აჟიოტაჟის საბაბად. გარდაცვლილი აფხაზი ჭაბუკი გამოცხადდა ლამის „ეროვნულ გმირად“, რომელიც დაეცა თავისი „**სამშობლოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას**“.

აფხაზური მხარის ყოველგვარ ზღვარს გადასულმა გამოძ-

წვევმა მოქმედებებმა კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 5 მაისს, როდესაც ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ „ჩააგდო“ ქართული მხარის მიერ შეთავაზებული გივი ლომინაძის კანდიდატურა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს იყო ადრე მიღწეული შეთანხმების უხეში დარღვევა. როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ეროვნული ღირსების შემლახავი საარჩევნო კანონის მიღებისას, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის დაიდო არაოფიციალური, ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქართულ დეპუტაციას უპირობოდ უნდა დაეჭირა მხარი აფხაზების მიერ წამოყენებული კანდიდატურისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ანუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების პირველი პირის) თანამდებობაზე. თავის მხრივ, აფხაზური მხარე ანალოგიურად უნდა მოქცეულიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (იერარქიით მეორე თანამდებობა) არჩევისას. ამ პოსტზე კანდიდატურის წამოყენება კი ქართული დეპუტაციის პრეროგატივა იყო.

ქართულმა მხარემ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი დანაპირები და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის კატეგორიულად მიუღებელ ვლადისლავ არძინბას კანდიდატურას, მაგრამ სეპარატისტებმა არაფრად ჩააგდეს ქართული დეპუტაციის მხრიდან გადადგმული კეთილი ნების ეს ნაბიჯი და სრულიად საპირისპიროდ მოიქცნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გ. ლომინაძის დამტკიცებისას. ეს კიდევ არაფერი, ვ. არძინბამ და მისმა თანამზრახველებმა ქართულ დეპუტაციას საერთოდ „სილა გააწნეს“ და მათ გარეშე, თვითნებურად, ხმების უბრალო უმრავლესობით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი, მხოლოდ „პასპორტით ქართველი“, რეალურად კი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტისაგან სრულიად დაცლილი პიროვნება – ვაჟა ზარანდია დაამტკიცეს.

ვ. ზარანდიას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნა ერთგვარი გაგრძელება იყო იმ მანკიერი საკადრო

პოლიტიკისა, რომელსაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა აფხაზური ნომენკლატურა. ამ საკადრო პოლიტიკის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ე.წ. „ქართულ თანამდებობებზე“ შეერჩიათ საშუალო უნარისა და შესაძლებლობების პიროვნებები, რომელთა ქართველობის ხარისხი მხოლოდ და მხოლოდ პასპორტში გაკეთებული ჩანაწერითაა შემოიფარგლებოდა. სეპარატისტები ვერაფრით ვერ დაუშვებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე პატრიოტი ქართველების დაწინაურებას. მათ სჭირდებოდათ უნიათო, არაფრით გამორჩეული, მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანები, რომელთათვის სრულიად უცხო იყო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ის თითო-ორი ქართველი მოღვაწე კი, რომელიც გამოიჩინდა „ზომაზე მეტ ქართველობას“ და დაუპირისპირდებოდა აფხაზ ხელისუფალთა დიქტატს, იმთავითვე ხდებოდა სეპარატისტების ანგარიშსწორების ობიექტი.

თავის მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არათუ არ იცავდა ამ ე.წ. „ქართველ მეამბოხეებს“, არამედ, პირიქით, აფხაზ სეპარატისტთა გულის მოგების მიზნით, დემონსტრაციულად იშორებდა მათ. არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ იმ აფხაზ მოღვაწეებსაც, რომლებსაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ობიექტური პოზიცია ეკავათ და ასე თუ ისე ცდილობდნენ, გამიჯვნოდნენ სეპარატისტულ იდეოლოგიას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 1978 წლის „აფხაზური რევოლუციის“ შემდეგ. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთში ჩამოყალიბდა ყოვლად უხერხემლო, აფხაზ ხელისუფალთა მონურ სამსახურს შეჩვეული და მთლიანად მათზე დამოკიდებული ქართული ნომენკლატურა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, როგორც პროფესიონალური მომხადების დონით, ისე ზოგადი ინტელექტითაც, აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს. სხვათა შორის, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ კრიტიკულ სიტუაციაში აფხაზეთის ქართველებს შორის არ აღმოჩნდნენ ავტორიტეტული ლიდერები, რომელთაც ხელეწიფებოდათ აფხაზური პოლიტიკურ-ინტელექტუალური ელიტის ღირსეული ოპონენტობა.



ვ. არძინბას ამგვარ თავხედურ, ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობისათვის შეურაცხმყოფელ გადაწყვეტილებას, გარკვეულწილად, ხელსაყრელი ფონი შეუქმნა განხეთქილებამ ქართულ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში. დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ძალები, იმის ნაცვლად, რომ მთელი ენერგია სეპარატისტების წინააღმდეგ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლისაკენ წარემართათ, ქართული საზოგადოებრიობისაგან თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ ერთიანი ფრონტით გამოსვლას „თბილისის ხუნტის“ (რეალურად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების) წინააღმდეგ. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა არ მისცეს მათ საშუალება, 1992 წლის აპრილში მოეწვიათ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. სამაგიეროდ, 1992 წლის 29 აპრილს სოხუმში, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ ზ. გამსახურდიას მომხრე ძალები, რომლებმაც აღნიშნული შეკრება ყრილობადაც კი მონათლეს. მოხსენებაში, რომლითაც შეკრებილთა წინაშე წარსდგა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია, მიეცა შეფასება თბილისსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს.

აფხაზეთში მოქმედი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა უმეტესობა არ დაეთანხმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მომხრეთა შეკრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდა 14 ორგანიზაცია, „აფხაზეთში ეროვნული ძალების გამაერთიანებელი ყრილობის“ ჩაშლა შეფასდა, როგორც „ქართული მოსახლეობის ინტერესების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის“ ლახვრის ჩაცემა. „ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა ეს ქმედება“, – ნათქვამი იყო განცხადებაში, – „უნდა განვიხილოთ აფხაზეთის სეპარატისტულ წრეებთან მათი პოლიტიკური ალიანსის კიდევ ერთ გამოხატულებად... დღეს უკვე ამკარად გაცხადდა, თუ ვინ ამღვრევს წყალს აფხაზეთში: ისინი, ვინც მოუწოდებენ საერთო ქართული კონსოლიდაციისაკენ, თუ

ისინი, ვინც აყენებს მდ. ენგურზე „საერთო აფხაზურ-ქართული ფრონტის ორგანიზების ლოზუნგს“.<sup>6</sup>

ამასობაში საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის“ ინიციატივით მიმდინარეობდა მზადება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოსაწვევად. სეპარატისტული რეჟიმისა და ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, 9 მაისს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. ძირითადი მოხსენებით აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ გამოვიდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მალხაზ პატარაია. როგორც მოხსენებაში, ისე ყრილობის მონაწილეთა გამოსვლებში გამოითქვა შემოთქმა სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონსტიტუციური და სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევის ფაქტების გამო. ყრილობამ დასვა საკითხი ვ. არძინბას ხელისუფლების მიერ კონსტიტუციისა არსებული კანონმდებლობის დარღვევით მიღებული ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის გაუქმების თაობაზე. გარდა ამისა, ყრილობის მონაწილეებმა დააყენეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დათხოვნისა და ახალი, ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხიც. ყრილობამ მოუწოდა მოსახლეობას, გაერთიანებულიყვნენ დემოკრატიული ძალების ირგვლივ და წინ აღდგომოდნენ ვ. არძინბას მიერ ხელისუფლების სრულ უზურპაციას<sup>7</sup>.

ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მაკოორდინირებელი ორგანო – **ეროვნული ერთიანობის საბჭო**, რომელშიც გაწევრიანდა აფხაზეთში მოქმედი თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, აგრეთვე ადგილობრივი პროფესიონალური და შემოქმედებითი გაერთიანებები. ეროვნული ერთიანობის საბჭოში შესვლისაგან დემონსტრაციულად შეიკავეს თავი მხოლოდ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკში შემავალმა ორგანიზაციებმა. საბჭოს წევრები გახდნენ პოლი-

ტიკურ პარტიათა რეგიონული ორგანიზაციების, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ცალკეული თვალსაჩინო წარმომადგენლები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. საბჭოში თავისი კვლავ მიიღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამაც. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები გახდნენ: გენო ადამია, მურმან ბერია, გურამ გაბისკირია, დუდუ გულორდავა, ჯანი ეზუგბაია, ვახტანგ ვეკუა, ვასილი კადინეცი, ბორის კაკუბავა, გენო კალანდია, თორნიკე კილანავა, ზურაბ კოკაია, ჯონი ლატარია, დავით ლაცუზბაია, გივი ლომინაძე, ალექო ლომინეიშვილი, გურამ მალლაკელიძე, ნაპოლეონ მესხია, გივი მეშველიანი, ალექსანდრე მიქაძე, ალექსანდრე მოსკალენკო, თამაზ ნადარეიშვილი, ზურაბ ნაროუშვილი, ზურაბ პაპასქირი, მალხაზ პატარაია, დავით როგავა, მურმან სხულუხია, მერაბ ფაცია, ვახტანგ ფრუიძე, იური ქვაჩაზია, თემურ შენგელია, შამილ ცხვედიანი, ოთარ ჩარკვიანი, თემურ ჩილაჩავა, შალვა წულეისკირი, გია ჭანტურია, ჟანა ჭელიძე, დიმიტრი ჯაიანი, ჯანო ჯანელიძე, კიმ ჯაჭვლიანი, ალექსანდრე ჯიქია, ვახტანგ ჯორჯიკია, მარინე ჯღამაძე და სხვ.

ოღნავ მოგვიანებით, საბჭოს შიგნით ჩამოყალიბდა ხელმძღვანელი მუშა ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მოხვდნენ: გურამ გაბისკირია, ბორის კაკუბავა, გივი მეშველიანი, თამაზ ნადარეიშვილი, მალხაზ პატარაია, მურმან სხულუხია, ალექსანდრე ჯიქია, მარინე ჯღამაძე. ეროვნული ერთიანობის შტაბ-ბინა განთავსდა ე.წ. „საკავშირო ალკკ XV ყრილობის სახელობის ტურბაზაში“, რომლის დირექტორი იყო გივი მეშველიანი. ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავდაპირველად სათათბირო ორგანოს როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ამ ორგანოს წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მან ერთგვარი „საზოგადოებრივი პარლამენტის“ დატვირთვა შეიძინა, რომლის გადაწყვეტილებები ფაქტობრივად სავალდებულო გახდა თვით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციისათვისაც კი.

ვ. არძინბასა და უმაღლესი საბჭოს აფხაზეთი დეპუტაცი-

ის გადაწყვეტილებამ აფხაზეთის სინამდვილეში ყველაზე მაღალ „ქართულ“ თანამდებობაზე ვაჟა ზარანდიას დანიშვნის შესახებ, აფხაზეთის ქართველობის აღშფოთება გამოიწვია (სწორედ ამ ფაქტმა დააჩქარა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს შექმნა). ახლადშექმნილი მაკოორდინირებელი ორგანოს – ეროვნული ერთიანობის საბჭოს პირველ საპასუხო რეაქციად სეპარატისტების მიერ გადადგმულ პროვოკაციულ ნაბიჯზე ქართული შეიარაღებული ფორმირების – სოხუმის მექანიზირებული ბატალიონის ჩამოყალიბება იქცა. ბატალიონი, რომლის მეთაურადაც დანიშნა სოსო ახალაია, განთავსდა ზემოთ ნახსენები საკავშირო ალკა XV ყრილობის სახელობის ტურბაზის ტერიტორიაზე, იქ, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, იყო ეროვნული ერთიანობის საბჭოს შტაბ-ბინაც. ბატალიონი იქმნებოდა ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ (ოფიციალურად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის) საპირწონედ.

ქართული შეიარაღებული ფორმირების შექმნამ დააფიქრა აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობა და იძულებული გახდა ის, დაეწყო მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ვ. ზარანდიას დანიშვნის გადასინჯვისა და ამ პოსტზე ახალი კანდიდატურის წამოყენების საკითხზე. ამგვარი მოლაპარაკება შედგა კიდევ იმუამად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სერგეი ბაგაფშის (სწორედ ის იყო კონსულტაციების გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი) კაბინეტში. აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ზურაბ აჩბა, ოლეგ დომენია, ლეონიდე ლაკერბაია, კონსტანტინე ოზგანი, დავით ფილია. აფხაზურისაგან განსხვავებით, ქართულ დელეგაციაში, გარდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა (ნაპოლეონ მესხია, კიმ ჯაჭვლიანი), შედიოდნენ ეროვნული ერთიანობის წევრები (შალვა წულეისკირი, თორნიკე კილანავა, ზურაბ პაპასქირი).

შეხვედრაზე აფხაზურ მხარეს ქართველმა პარლამენტორებმა წაუყენეს სრულიად დასაბუთებული პრეტენზიები 1992 წლის 5 მაისს ვ. ზარანდიას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

დანიშნისას ჩადენილი პოლიტიკურ-სამართლებრივი კაზუსის გამო. აფხაზურმა დეპუტაციამ, რამდენადაც ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, აღიარა თავისი შეცდომა და გამოთქვა მზადყოფნა, უმაღლესი საბჭოს პირველსავე პლენარულ სხდომაზე გამოესწორებინა ეს შეცდომა, მაგრამ აფხაზმა დეპუტატებმა იქვე დასძინეს, რომ ისინი ვერ დაუჭერდნენ მხარს ქართველთა მიერ წამოყენებულ ნებისმიერ, ხაზს ვუსვამთ – **ნებისმიერ**, კანდიდატს. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე – ზ. ანბა – იქამდეც კი მივიდა, რომ იქვე ჩამოუთვალა ქართულ დელეგაციას ის თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონოდა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ქართველების მიერ წაყენებულ კანდიდატს. ე. ი. გამოდიოდა, რომ ქართულ მხარეს არ ჰქონდა სრული თავისუფლება თავიანთი კანდიდატის შერჩევისას, მაშინ, როდესაც აფხაზებს გააჩნდათ ეს პრივილეგია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა დეპუტატებმა, თავის დროზე, პატივი სცეს აფხაზთა ნება-სურვილს და უპრობლემოდ აირჩიეს ქართველებისათვის სრულიად მიუღებელი ვ. არძინბა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამით აფხაზურმა მხარემ კიდევ ერთხელ გათელა ფეხქვეშ ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმებები“.

აფხაზ დეპუტატთა ამ განცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურესად დაძაბა სიტუაცია მოლაპარაკებებზე. სამწუხაროდ, ქართული დელეგაციის წევრები ვერ შეთანხმდნენ პოლემიკის წაყვანის ტაქტიკაში. დელეგაციის ცალკეულმა წევრებმა (შ. წულეისკირმა, ზ. პაპასქირმა) გამოიჩინეს პრინციპულობა და კატეგორიულად მოითხოვეს „ჯენტლმენური შეთანხმებების“ უპირობო შესრულება, რაც გულისხმობდა ქართული მხარის სრულ თავისუფლებას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის წამოყენებისას. უფრო მეტიც, მათი განცხადებით, აფხაზური დეპუტაცია უბრალოდ ვალდებული იყო, მხარი დაეჭირა ქართველების მიერ წამოყენებული ნებისმიერი კანდიდატისათვის (თვით გ. ლომინაძისთვისაც კი, რომლის კანდიდატურა, როგორც უკვე აღვნიშნა, „ჩააგდეს“ აფხაზმა დეპუტატებმა).

ამ განცხადებას მოულოდნელად მოჰყვა ქართული დელეგაციის სხვა წევრების – უმაღლესი საბჭოს დეპუტატების (ნ. მეს-

ხიასა და კ. ჯაჭვლიანის) სრულიად უადგილო დემარში. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ქართველი დეპუტატების, კერძოდ, ნ. მესხიას ემოციური აღტკინების მიზეზი ყოფილა ის გარემოება, რომ ქართველ დეპუტატთა ერთი ჯგუფი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თურმე მის კანდიდატურას აყენებდა. ასეთ ვითარებაში ნ. მესხიას არ აწყობდა კონფრონტაცია აფხაზურ დეპუტაციასთან. ამიტომაც მან, აფხაზებისათვის თავის მოწონების მიზნით, დელეგაციის სხვა წევრებს ნამდვილი სკანდალი მოუწყო და თავისი გამოხდომით ხელი შეუშალა ქართულ მხარეს, მიეღწია მაქსიმალური შედეგისათვის, ანუ იმისათვის, რომ ქართულ მხარეს მისცემოდა საშუალება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წაეყენებინა ნებისმიერი კანდიდატი. ამით, ფაქტობრივად, შეხვედრა ჩაიშალა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვ. ზარანდიას შეცვლის საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა კვლავ რჩებოდა ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის სრული კონტროლის ქვეშ.

ამ ფაქტზე ჩვენ ყურადღება ასე საგანგებოდ იმიტომ გავამახვილეთ, რომ ერთხელ კიდევ ნათლად გვეჩვენებინა, თუ რაოდენ დამღუპველი იყო ქართველთა შორის ნებისმიერი დაპირისპირება აფხაზეთში და თუ როგორ ოსტატურად იყენებდნენ ამ შიდაქართულ დაპირისპირებებს სეპარატისტები თავიანთი შორსმიმავალი მიზნების რეალიზაციისათვის.

**პოლიტიკური კრიზისის უკიდურესი გამწვავება აფხაზეთში 1992 წლის ზაფხულში.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1992 წლის მაის-ივნისის განმავლობაში, თანდათანობით, სულ უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ვლადისლავ არძინბამ კიდევ ერთხელ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა გივი ლომინაძე. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამ პოსტზე აფხაზი ალექსანდრე ანჭკაბი დაინიშნა. სეპარატისტების ლიდერის ეს ნაბიჯი უკანონო იყო იმდენად, რამდენადაც, არსებული კანონმდებლობით, მას არ ჰქონდა უფ-

ლება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეუთანხმებლად დაენიშნა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ საგანგებო წერილით მიმართა ვ. არძინბას და დაუყონებლივ მოსთხოვა მას გ. ლომინაძის აღდგენა მინისტრის პოსტზე<sup>8</sup>.

ამასობაში ვითარება მთლიანად საქართველოში სულ უფრო იძაბებოდა. უძძიმესი იყო მდგომარეობა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“. არ იყო სიმშვიდე დასავლეთ საქართველოში, უპირატესად სამეგრელოს რაიონებში, სადაც დამხოზილი პრეზიდენტის მომხრეები ენერგიულად ცდილობდნენ, ხელთ ეგდოთ მართვის სადავები. 1992 წლის 24 ივნისს სოჭის მახლობლად – დაგომისში დანიშნული იყო რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ლიდერების – ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა, რომელზეც იგეგმებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპებზე ყოვლისმომცველი დოკუმენტის მიღება, მაგრამ 24 ივნისს, განთიადისას, საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის სოჭში გამგზავრებადღე, ზ. გამსახურდიას მომხრეები მოულოდნელად შეიჭრნენ საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის შენობაში, დაიკავეს ის და იქიდან მოუწოდეს მოსახლეობას საყოველთაო გამოსვლისაკენ საქართველოს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ შეძლო ანტისამთავრობო ამბოხის ლოკალიზება და რამდენიმე საათში ჩაახშო ამბოხებულთა შეიარაღებული წინააღმდეგობა, რის შემდეგაც ქართული დელეგაცია ე. შევარდნაძის მეთაურობით მაინც გაემგზავრა სოჭში და ხელი მოაწერა „დაგომისის ხელშეკრულების“ სახელით ცნობილ დოკუმენტს.

24 ივნისს თბილისში განვითარებულ მოვლენებს გამოხმაურება მოჰყვა აფხაზეთში. იმავე 24 ივნისს, ზ. გამსახურდიას მომხრეების მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული გამოსვლის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ვ. არძინბამ მის განკარგულებაში მყოფი ე.წ. „უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ ბოვეიკები მიუსია შინაგან საქმეთა სამინისტროს. ისინი შეიჭრნენ მინისტრის კაბინეტში და გ. ლომინაძეს ძალით დაატო-

ვებინეს სამინისტროს შენობა, რის შემდეგაც კაბინეტში ა. ანჭვაბი შეიყვანეს. ამავე დროს, ზ. გამსახურდიას მომხრეები შეიკრიბნენ ქ. სოხუმის ცენტრში, კონსტიტუციის მოედანზე. მზადდებოდა მათი თავდასხმა საკავშირო ალკა XV ყრილობის სახ. ტურბაზაზე, სადაც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, განთავსებული იყო ეროვნული ერთიანობის საბჭოს შტაბ-ბინა. მხოლოდ თბილისში ანტისამთავრობო გამოსვლის ჩაფუშვამ არ მისცა შესაძლებლობა ზ. გამსახურდიას მომხრეებს, აღესრულებინათ თავიანთი ჩანაფიქრი.

სოხუმში შექმნილი ვითარებით, კერძოდ, შიდაქართული დაპირისპირების მორიგი გამოვლინებით უმაღლესი სახელმწიფო ა. არძინბამ და, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბაბით“, მოახდინა დამატებითი შეიარაღებული ქვედანაყოფების მობილიზაცია და მათი მეშვეობით უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობების, ცენტრალური მაგისტრალების, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ბლოკირება<sup>9</sup>. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა“, რომელშიც ქართველ დეპუტატებთან ერთად გაერთიანებული იყო ზოგიერთი სხვა (არააფხაზი და არაქართველი) დეპუტატიც, გააკეთა მკაცრი განცხადება. მასში ნათქვამი იყო, რომ „აფხაზეთში მყარდება დიქტატურა, ტოტალიტარული რეჟიმი... სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები სააღყო მდგომარეობაშია. უმაღლესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობს შეიარაღებული ჯგუფების ტერორისა და ძალადობის ქვეშ. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ დეპუტატთა ფრაქციას „დემოკრატიული აფხაზეთი“ დარჩა მხოლოდ ერთი გზა – დატოვოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობა“.<sup>10</sup>

ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, რომელიც იმ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, გამოიჩინა ინიციატივა და გადადგა ნაბიჯები აფხაზურ მხარესთან დიალოგის დასაწყებად. სოხუმში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობითი დელეგაცია ლევან ალექსიძისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანის



მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები: დავით ბერძენიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, ვახტანგ ხმალაძე და სხვ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შედგა სახელმწიფო საბჭოს დელეგაციის პირველი შეხვედრა აფხაზურ მხარესთან, რომელსაც წარმოადგენდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ნათელა აკაბა, ზურაბ აჩბა, ლაურ ბარგანჯია, ენვერ კაპბა, სერგეი შამბა, ანრი ჯერგენია. ამ შეხვედრის წინ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დელეგაციას კონსულტაციები ჰქონდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებთან. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიეღოთ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წარმომადგენლებსაც (მაღსაზ პატარაიას, თემურ შენგელიას, ზურაბ პაპასქირს და სხვ.).

შეხვედრა გახსნა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც, მცირე შესავლის შემდეგ, მკაცრად გააკრიტიკა ლ. ალექსიძე, საქართველოს ხელისუფლება და დემონსტრაციულად დატოვა სხდომათა დარბაზი. შეხვედრაზე ლ. ალექსიძემ და ჯ. ხეცურიანმა, საქართველოს ხელისუფლების სახელით, აფხაზურ მხარეს ალუთქვეს, რომ ცენტრალური მთავრობა წავიდოდა ნებისმიერ დათმობაზე საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის ამაღლების საკითხში, მაგრამ ამას გააფორმებდა მხოლოდ ახალი საპარლამენტო არჩევნებისა და კანონიერი ხელისუფლების არჩევის შემდეგ. ფაქტობრივად, საუბარი მიდიოდა საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნაზე, რომელშიც აფხაზეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს, მიენიჭებოდა მაქსიმალურად ფართო უფლებებები. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური დელეგაციის წევრებს შორის არ იყო სრული ერთიანობა. მაგალითად, თუ ზ. აჩბა, ე. კაპბა და ა. ჯერგენია თითქოს არ იყვნენ თბილისსა და სოხუმს შორის ფედერაციული ურთიერთობების დამყარების წინააღმდეგი, ს. შამბა, ამკარად ვ. არძინბას გავლენით, გამოძვევად უსვამდა ხაზს, რომ ეს არ იყო მთელი დელეგაციის აზრი. მიუხედავად ქართული დელეგაციის ენერგიული მცდელობებისა, გადაეყვანა დიალოგი კონსტრუქციულ ჭრილში და როგორმე გამოენახა საერთო ენა აფხაზურ მხარესთან, მო-

ლაპარაკების პირველმა რაუნდმა შედეგი ვერ გამოიღო. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ლ. ალექსიძისა და ჯ. ხეცურიანის კონფიდენციალური შეხვედრა ვ. არძინბასთან.

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარა იყო, რომ აფხაზური ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა, დაეძაბა სიტუაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში. სარგებლობდნენ რა საქართველოში კანონიერად არჩეული ხელისუფლების არარსებობით, ვ. არძინბა და მისი თანამზრახველები დაუფარავად მიდიოდნენ ღია კონფრონტაციაზე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ფაქტობრივად ამზადებდნენ ნიადაგს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მოსკოვის წაქეზებით, სადაც ანტიქართული პროპაგანდისტული კამპანია სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები მაქსიმალურად ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ამ კამპანიას და გაეფანტათ მითი აფხაზეთში ქართველთა მხრიდან აფხაზეთის შევიწროების შესახებ. ამ მიზნით 1992 წლის ივნისში მოსკოვში ჩავიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციისა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს დელეგაცია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გია გვაზავა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ გამზარდია, ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები თემურ შენგელია და ზურაბ პაპასქირი, პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის „საინფორმაციო ბიულეტენის“ რედაქტორი ალექსანდრე ბერულავა და სხვ.

მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, დელეგაციამ ჩაატარა პრეს-კონფერენცია, რომელმაც ადგილობრივი მასმედიის დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ იმავე საღამოს წამყვანმა ტელეკომპანიებმა (მათ შორის, რუსეთის ტელევიზიის I-მა და II არხებმა) ოპერატიულად და საკმაოდ ამომწურავად (უნდა ითქვას, ობიექტურადაც) გააშუქეს აღნიშნული პრეს-კონფერენ-

ცია. თ. ნადარეიშვილმა და დელეგაციის სხვა წევრებმა პრესის წარმომადგენლებს აუწყეს სრული სიმართლე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მოკლედ გააცნეს მათ ქართულ-აფხაზური დაპირისპირების წინაისტორია. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ე.წ. „კაკვასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ პროვოკაციულ და დესტრუქციულ საქმიანობას, კერძოდ, საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს ორგანიზაცია არა მარტო საქართველოს აყენებდა ზიანს, არამედ თავისი ანტირუსული მოწოდებებით მას შეეძლო სიტუაციის გამწვავება თვით რუსეთში – ჩრდილოეთ კაკვასიაში. პრეს-კონფერენციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, ის მთლიანად იქნა ჩაწერილი და ნაჩვენები საქართველოს ტელევიზიით.

აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები და, პირველ რიგში, ეროვნული ერთიანობის საბჭო არ იფარგლებოდნენ მხოლოდ იდეოლოგიური კონტრპროპაგანდით. სეპარატისტთა თარეშის ასალაგმავად და მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ისინი თბილისისაგან მოითხოვდნენ უფრო ქმედითი ზომების გატარებას. ერთ-ერთ ასეთ პრევენციულ ღონისძიებად მიჩნეული იყო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც მუდმივად იქნებოდა განთავსებული აფხაზეთში. ამ მოთხოვნას განსაკუთრებით აქტიურად აყენებდა ეროვნული ერთიანობის რადიკალური ფრთა ბორის კაკუბავას მეთაურობით. სწორედ ამ უკანასკნელის ინიციატივით, ივნისის ბოლოს, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებასთან შესახვედრად თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციისა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაერთიანებული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ეთერ ასტემიროვა, რაისა ქარაია, ნაპოლეონ მესხია, კიმ ჯაჭვლიანი; ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები: გურამ გაბისკირია, ვასილი კადინეცი, გივი მეშველიანი, ალექსანდრე მოსკალენკო, ზურაბ პაპასქირი, მალხაზ პატარაია, დიმიტრი ჯაიანი, მარინე ჯღამაძე და სხვ. დელეგაცია მიიღო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ და დასმული საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სა-

ქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვახტანგ გოგუაძე, სახელმწიფო საბჭოს წევრი რაულ კუპრავა და სხვ. შეხვედრა, რომელიც დაახლოებით 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, საკმაოდ ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულდა და დღევანდის წევრები სოხუმში დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ ცენტრი სერიოზულად ჩაერეოდა აფხაზეთში მიდინარე პროცესებში.

მაგრამ თბილისში მაინც ფრთხილობდნენ. უფრო მეტიც, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, ელიარებინა ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ ლეგიტიმურობა. სოხუმში ამ საკითხზე ვ. არძინბასთან კონსულტაციების ჩასატარებლად ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. ის აფხაზეთის ხელისუფლების მეთაურს სთავაზობდა „აფხაზური გვარდიის“ გაერთიანებას საკავშირო აღკვეთის XV ყრილობის სახ. ტურბაზაში განთავსებულ შინაგანი ჯარის „ქართულ ბატალიონთან“, ამ შენაერთის ორმაგ (საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს) დაქვემდებარებაში მოქცევას და ამ ქვედანაყოფის მეთაურად „აფხაზური გვარდიის“ სარდლის, პოლკოვნიკ ვიქტორ კაკალიას დანიშვნას. ე. ი. ამით ვ. არძინბას სრულ განკარგულებაში არსებული სამხედრო ნაწილი ფორმალურად ექცეოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ვ. არძინბასთან მოლაპარაკებების პარალელურად ეს საკითხი იხილებოდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. თ. კიტოვანის წინადადება აუდიტორიას გააცნო თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ლევან შარაშენიძემ. ის ფაქტობრივად სთხოვდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებს, დაეჭირათ მხარი მინისტრის ინიციატივისათვის, მაგრამ იმ პერიოდში სამხედრო ნაწილის „ორმაგ დაქვემდებარებაში“ მოქცევის იდეა სრულიად მიუღებელი იყო და ის, არც მეტი, არც ნაკლები, სეპარატისტების წინაშე ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ კაპიტულაციად აღიქმებოდა. ამიტომ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრების (მათ შორის,

ამ სტრატეგიების ავტორის) გამოსვლებში კატეგორიულად იქნა უარყოფილი თ. კიტოვანის წინადადება. უფრო მეტიც, ბ. კაკუბავა ღიად დაემუქრა საქართველოს ხელისუფლებას ფართო საპროტესტო აქციების გამართვით თბილისში. ხელისუფლება ამ მუქარამ დააფრთხო და თ. კიტოვანი იძულებული გახდა, უკან დაეხია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას (ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან ეს ასე მოჩანს), რომ ეროვნული ერთიანობის საბჭო მაშინ ემოციებს აჰყვა და სერიოზული შეცდომა დაუშვა, რითაც გაუშვა შანსი (თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად რეალური) აფხაზეთში ვნებათაღელვის ჩასაცხრობად და 14 აგვისტოს პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად.

1992 წლის 24 ივნისს ვ. არძინბას მიერ გადადგმულმა ავანტიურისტულმა ნაბიჯმა – შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობრივი გზით დაკავებამ და ალექსანდრე ანჭაბის „გამინისტრებამ“ – ვითარება აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში, უკიდურესად გაამწვავა. სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოსა და აფხაზეთის მთელი რიგი რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლებმა დაუპირისპირებლობა გამოუცხადეს ახალ „მინისტრს“ და დაიწყეს საპროტესტო აქცია-გაფიცვა. შედეგად, მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სრული პარალიზება, მაგრამ ვ. არძინბასა და მის თანამზრახველებს ეს ნაკლებად აელევებდათ. ისინი ჯიუტად აგრძელებდნენ თავიანთ დესტრუქციულ პოლიტიკას და მაქსიმალურად ცდილობდნენ ვითარების დაძაბვასა და სისხლიანი დაპირისპირების პროვოცირებას. გაისმა პირველი სროლის ხმაც. კერძოდ, 1992წ. 28 ივნისს ავტომატური იარაღიდან დაიცხრილა ტურისტული სასტუმრო „ცხუმის“ ტერიტორიაზე განთავსებული I მექანიზირებული ბატალიონის საკონტროლო გამშვები პუნქტი. ივლისის დასაწყისში ე.წ. „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ ბოევიკებმა დააკავეს სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ანზორ წოწონავა, მაგრამ საბუთების შემოწმების შემდეგ იძულებულნი გახდნენ, გაეთავისუფლებინათ ის, თუმცა ა. წოწონავას დაძრულ მანქანას უკნიდან მა-

ინც ესროლეს. საბუნდევროდ, არავინ დაშავებულა<sup>11</sup>.

აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა სამეგრელოს რაიონებში განვითარებული პროცესები. საქართველოს ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა დამნობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ჯგუფების გამობნობებს. 1992წ. 9 ივლისს ისინი თავს დაესხნენ საქართველოს დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერის ალექსანდრე კავსადის მანქანას და ეს უკანასკნელი დაატყვევეს. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შელახა საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და მთლიანად ქვეყნის ავტორიტეტი. საქართველოსადმი უნდობლობის პირველ გამოვლინებად იქცა ევროპის საფეხბურთო ასოციაციის (უეფა) აღმასკომის გადაწყვეტილება საქართველოს საფეხბურთო კლუბების უეფას ოფიციალური ტურნირებიდან მოხსნის შესახებ. ეს იყო დიდი დარტყმა საქართველოსათვის, და არა მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით.

საქართველოს გუნდების მონაწილეობას საერთო-ევროპულ ოფიციალურ შეჯიბრებებში შეეძლო, რამდენადმე ჩაეცხრო პოლიტიკური ვნებათაღელვა და ხელი შეეწყო ვითარების სტაბილიზაციისათვის მთელ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთში, რომლის წარმომადგენელს, სოხუმის საფეხბურთო კლუბ „ცხუმს“ – საქართველოს 1992 წლის ვიცე-ჩემპიონსა და თასის ფინალისტს – მონაწილეობა უნდა მიეღო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ევროპული მასშტაბის საფეხბურთო მატჩების ჩატარება სოხუმში, ადგილობრივი კლუბის მონაწილეობით, ბუნებრივია, გამოიწვევდა ფეხბურთის ყველა გულშემატკივრის კონსოლიდაციას და, შესაძლებელია, შეარბილებდა დაძაბულობას საზოგადოებაში, მაგრამ უეფას ხელმძღვანელობამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური სიტუაციის გამო, არათუ თავი შეიკავა საქართველოს სტადიონებზე ოფიციალური საერთაშორისო საფეხბურთო მატჩების ჩატარებისაგან, არამედ, რატომღაც, საერთოდ მოხსნა (!!) ქართული კლუბები უეფას ოფიციალური ტურნირებიდან. არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უეფას მხრიდან ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების მიღებაში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა რუსეთის

საფეხბურთო ფედერაციის იმუამინდელმა პრეზიდენტმა და ამავე დროს მსოფლიო საფეხბურთო ასოციაციის (ფიფა) ვიცე-პრეზიდენტმა ვიანესლავ კოლოსკოვმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიქართული განწყობილებებით.

ამასობაში ხელისუფლების კრიზისმა აფხაზეთში აპოგეას მიაღწია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“ განაგრძობდა უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომების ბოიკოტირებას. თავის მხრივ, უმაღლესი საბჭოს აფხაზეთი ნაწილი ჯიუტად არ იხედავდა უკან და არავითარ კომპრომისზე არ მოდიოდა. მიმდინარეობდა სეპარატისტული ძალების მიერ ხელისუფლების დაუფარავი უზურპაცია. ყოველივე ეს დასრულდა მორიგი ანტიკონსტიტუციური აქტით. 1992წ. 23 ივლისს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ე.წ. „სესიამ“, რეგლამენტის უხეში დარღვევით, კვორუმის არარსებობის პირობებში, მიიღო დადგენილება „*აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ*“.

აფხაზი დეპუტატების მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია შემდეგნაირი იყო: „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი და მისი ურთიერთობა საქართველოს სსრ-სა და სსრ კავშირთან განისაზღვრებოდა და რეგულირდებოდა აფხაზეთის ასსრ და საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციებით, აგრეთვე სსრკ 1977 წლის კონსტიტუციით. 1989-1990 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ცალმხრივი წესით მიიღო რიგი სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებმაც არსებითად სათავე დაუდეს საქართველოს გამოცვლას სსრ კავშირის შემადგენლობიდან. მათ მიეკუთვნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებები. ....ამ დოკუმენტებით უკანონოდ იქნა ცნობილი 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოში შექმნილი ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აქტი კი იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა“. და ბოლოს, „1992 წლის თებერვალში საქართველოს დროებითმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტი-

ლება საქართველოს რესპუბლიკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაზე გადასვლის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო ისეთი სუბიექტი, როგორცაა აფხაზეთის ასსრ.

ამრიგად, – ნათქვამი იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში, – საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი აქტების მიღების შედეგად საქართველოს სსრ-მ, რომელთანაც აფხაზეთის ასსრ სამართლებრივ კავშირში იმყოფებოდა, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა და წარმოიქმნა ახალი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთანაც აფხაზეთს არა აქვს არავითარი ურთიერთობა“. ამავე დროს, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა „აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე“ ე.წ. „აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის“ ამოქმედება<sup>12</sup>.

აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის ამგვარი ახსნა არამართო ცრუ და აბსურდული იყო, არამედ ცინიკურიც. ჯერ ერთი, არავითარ გადასვლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაზე, რეალურად, ადგილი არ ჰქონია და ქვეყანა კვლავინდებურად იწოდებოდა „საქართველოს რესპუბლიკად“ (და არა „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად“); მეორე, საქართველოს სამხედრო საბჭოს – სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც კანონით არ იყო არჩეული – მიღებული დოკუმენტი სულაც არ იყო ყოვლისმომცველი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აქტი, არამედ წარმოადგენდა უბრალოდ პოლიტიკურ დეკლარაციას. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი სწორედ ასე იწოდებოდა: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია“. <sup>13</sup> გარდა ამისა, ამ დეკლარაციაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საქართველოს სამხედრო საბჭო „ალიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით“, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზე-



თისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად“.<sup>14</sup> ერთი წუთითაც რომ ჩავთვალოთ „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია“ ფუნდამენტალურ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ დოკუმენტად, ზემოთ მოყვანილი ჩანაწერის გაცნობის შემდეგ როგორ შეიძლება, ვილაპარაკოთ რაღაც სამართლებრივ ვაკუუმზე „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთმიმართებაში“, რომელზედაც აკეთებდნენ აქცენტს აფხაზი დეპუტატები.

მაგრამ არც ესაა მთავარი, ვ. არძინბა და მისი გარემოცვა გამიზნულად ცრუობდა და შეჰყავდა საზოგადოება შეცდომაში, როდესაც ამტკიცებდა, რომ აფხაზეთს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ჩვენ საკმაოდ ამომწურავად გავაშუქეთ 1918-1920 წლებში თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარების პერიპეტეხები და თვალნათლივ ვაჩვენეთ ამგვარ მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა<sup>15</sup>, ამდენად, ამჯერად ვერ ვხედავთ ამ საკითხზე დაწვრილებით შეჩერების აუცილებლობას. მკითხველს ერთხელ კიდევ შევასხენებთ მხოლოდ, რომ დაწყებული 1918 წლის 11 ივნისიდან აფხაზეთი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, რაც 1919 წლის 20 მარტს ოფიციალურად დაადასტურა აფხაზეთის სინამდვილეში პირველად ჩატარებული საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულმა ხელისუფლების უმაღლესმა ლეგიტიმურმა ორგანომ – აფხაზეთის სახალხო საბჭომ. უფრო მეტიც, ამავე ორგანომ 1920 წლის 16 ოქტომბერს დაამტკიცა ავტონომიური (ხაზს ვუსვამთ – ავტონომიური) აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი და გადაუგზავნა ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად. და ბოლოს, 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ კონსტიტუციურად განამტკიცა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთხელ კიდევ გვინდა

დავაფიქსიროთ, რომ ნებისმიერი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ე.წ. „ამოქმედების“ შემდეგ შემწყდარიყო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ასსრ შორის, სრული აბსურდი და უმეცრებაა. რაც შეეხება ე.წ. „აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციას“, როგორც ცნობილია (ამის შესახებაც გვქონდა საკმაოდ დაწვრილებითი მსჯელობა)<sup>16</sup>, ამ დოკუმენტის დეზავუირება იმთავითვე (1926წ.), ისე, რომ ის ძალაში არც შესულა, მოახდინა თვით იმჟამინდელი აფხაზეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება ე.წ. „აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის“ ამოქმედების შესახებ საზოგადოებრიობამ აღიქვა, როგორც აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის მცდელობა. მართლაც, ამ აქტით, ვ. არძინა და მისი თანამშრომლები ფაქტობრივად ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და რომელიც ესწრაფვის საქართველოსთან „მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის“ დამყარებას<sup>17</sup>. ამის დადასტურება იყო ისიც, რომ „სესიამ“ მიიღო უმაღლესი საბჭოს სპეციალური დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების პროექტის შესახებ“.<sup>18</sup>

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური ნაწილის მიერ 1992 წლის 23 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებები, მიუხედავად საქართველო-აფხაზეთს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადების შესახებ ცალკე დადგენილების გამოტანისა, როგორც საკუთრივ აფხაზეთში, ისე მთლიანად საქართველოში, სავსებით სამართლიანად აღიქვეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებად. უფრო მეტიც, ასევე იქნა ინტერპრეტირებული ეს ფაქტი რუსეთშიც, სადაც ტელერადიოკომპანია „ოსტანკინომ“ სადამოსახალ ამბებში მთელ მსოფლიოს აუწყა „აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ გამოცხადების

შესახებ<sup>19</sup>. სრულიად ნათელი იყო, რომ აფხაზური მხარე, საქართველოს რესპუბლიკასთან „განსაკუთრებული ხელშეკრულების“ დადებით „სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების“ დამყარების დაპირებით, უბრალოდ საერთაშორისო საზოგადოებისათვის თვალის ახვევას ცდილობდა<sup>20</sup>. თვით პროექტი „აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“, რომლის ავტორი იყო აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო იდეოლოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტარას შამბა, ფაქტობრივად არა იმდენად საქართველო-აფხაზეთის ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში გაერთიანებისკენ იყო მიმართული, რამდენადაც მათი „კულტურული გაყრისაკენ“.

ამ ხელშეკრულებით მხარეებს აფხაზეთი და საქართველო უნდა ელიარებინათ: „суверенными государствами и полноправными участниками международных и внешнеэкономических отношений“, რომელთაც ექნებოდათ უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დამოუკიდებლად დადების უფლება<sup>21</sup>. ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე „верховенство законов и Конституции Абхазии на её территории, существование единой многонациональной Абхазской гвардии с её подчинением Верховному Совету Абхазии“ და ა.შ. გარდა ამისა, მხარეებს უნდა ელიარებინათ თითოეული „ქვეყნის“ ტერიტორიული მთლიანობა და „არ უნდა ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში“. ყოველივე ამის შემდეგ დაპირებები აფხაზეთის საქართველოს რესპუბლიკასთან „ნებაყოფლობით გაერთიანების“ შესახებ, ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები ცნობილი რუსი პოლიტოლოგის სვეტლანა ჩერვონნაიას სავსებით სამართლიანი შენიშვნით, „служили лишь для благовидного камуфляжа реально предлагаемого раскола страны – разделения Грузии на „суверенные государства“<sup>22</sup>.

რასაკვირველია, ყოველივე ამას მშვენივრად აცნობიერებდნენ როგორც სოხუმში, ისე თბილისში. ამიტომაც, მეორე დღესვე – 24 ივლისს, ეროვნული ერთიანობის საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ე.წ. „სესიის“

მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს „კონსტიტუციური გადატრიალების“ კვალიფიკაცია მისცა და მოუწოდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას, გამოეცხადებინათ დაუძორჩილებლობა აფხაზეთის სახელისუფლო სტრუქტურებისადმი. 1992 წლის 25 ივლისს უკვე საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, რომელიც, როგორც ცნობილია, იმჟამად ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, სპეციალური დადგენილებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „სესიის“ გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა<sup>23</sup>.

1992 წლის 28-30 ივლისს სოხუმში საპალამენტო ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა“ ჩაატარა კონტრსესია, რომელმაც პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მისცა სეპარატისტების მიერ 23 ივლისს ჩადენილ უკანონობას. კონტრსესიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ნაწილმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება პარლამენტური გზით“ და რომ ეს წარმოადგენს „ავტორიტარული რეჟიმისა და ეროვნული განსაკუთრებულობის ლეგიტიმაციის კანონზომიერ შედეგს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების“ მართვისას. „უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის უკანონო გადაწყვეტილების შედეგად, – აცხადებდა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“, – ფაქტობრივად ლიკვიდირებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს არსებული სამართლებრივი ბაზა“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილი ერთადერთ კანონზომიერ ნაბიჯად მიიჩნევდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თვითდათხოვნას<sup>24</sup>.

ამრიგად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაცია არ აპყვავა ემოციებს, არ გადადგა რადიკალური ნაბიჯები და არ მისცა საბაბი სეპარატისტულ ძალებს დესტაბილიზაციის პროვოცირებისათვის. რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ის კიდევ უფრო ფრთხილად მოქმედებდა და ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე გამოენახა საერთო ენა აფხა-

ზურ მხარესთან. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო 1992 წლის 4 აგვისტოს გადადგმული ნაბიჯი.

როგორც ცნობილია, 1992 წლის 31 ივლისს საქართველო მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, რითაც დასრულდა საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების საკმაოდ გაჭიანურებული პროცესი და საქართველომ მოიპოვა სრული სუვერენიტეტი. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად საქართველოს ხელისუფლებამ 4 აგვისტოს დაგეგმა ოფიციალური საზეიმო ღონისძიებები, რომელზეც მოიწვია აფხაზეთის ხელმძღვანელობა და პირადად ვლადისლავ არძინბა, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების ლიდერმა დიპლომატიურად უარი თქვა თბილისში ჩამოსვლაზე. ამის მიზეზად მან საკუთარი თვითმფრინავის უქონლობა (!) დაასახელა. თუმცა ყოველივე ამან ხელი არ შეუშალა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტაციას (თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით), ჩასულიყო თბილისში და მონაწილეობა მიეღო საზეიმო ღონისძიებებში.

ასე, აფხაზური მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, ხელიდან იქნა გაშვებული კომპრომისის მიღწევის კიდევ ერთი შანსი. ამით სეპარატისტებმა მოახდინეს მორიგი დემონსტრირება იმისა, რომ მათ არ სურდათ პოლიტიკური დიალოგი თბილისთან. და ეს არ იყო შემთხვევითი. სეპარატისტებს სულ სხვა მიზნები ჰქონდათ. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა უკანმოუხედავად ემზადებოდა სისხლისღვრის ინსპირირებისათვის. სამწუხაროდ, მათ თავიანთი ამ ჩანაფიქრის განხორციელება სულ რაღაც 10 დღეში მოახერხეს.

## თავი XI. ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში

1992 წლის 14 აგვისტოს პროვოკაცია და საომარი მოქმედებების დაწყება აფხაზეთში. 1992 წლის 14 აგვისტო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიაში. სწორედ ამ დღეს დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში, რომელიც ძმათამკვლელ ომში გადაიზარდა და თითქმის 13 თვე გრძელდებოდა. იმ დღიდან მოყოლებული ყველა გაოგნებულია. მაინც რა მოხდა? რატომ დაიღვარა ორი უახლოესი, მჭიდრო ნათესაური კავშირებით გადახლართული ხალხის შვილების სისხლი. რასაკვირველია, თითოეულ მხარეს თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია და არავის არა აქვს უფლება თავის პოლიტიკურ ამბიციებს ანაცვალოს ის, თვალი დახუჭოს აშკარა რეალობაზე და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია მთლიანად მეორე მხარეს გადააბრალოს.

და მაინც, რა მოხდა 14 აგვისტოს საბედისწერო დღილას? ოფიციალური ვერსიით, რომლის უარყოფა უბრალოდ შეუძლებელია, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები გადაადგილდა საქართველოს სახელმწიფოს (რომლის სუვერენიტეტი – საქართველოს სსრ-ის 1991 წლის საზღვრებში – აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ) შიგნით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ე. ი. ცხადზე უცხადესია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის პირველი კოლონა მიუახლოვდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან განლაგებულ ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ (თავისთავად უკანონო სამხედრო ფორმირების) ბლოკ-პოსტს, აფხაზმა „ბოვეიკებმა“ მოულოდნელად მათ ცეცხლი გაუხსნეს. მეორე შეტა-

კება უკვე გულრიფშის რაიონში, აგუბერასთან მოხდა.

„აფხაზური გვარდიის“ მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც მოჰყვა კონფლიქტის ინსპირირება, მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის გადაადგილების საკითხი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული პირადად ვ. არძინბასთან. ის, რომ შეთანხმება (მართალია, სიტყვიერი) თბილისსა და სოხუმს შორის სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ ნამდვილად არსებობდა, ეს ამ რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად დაადასტურა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის მეორე პირმა („პრემიერ-მინისტრმა“), იმჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ანჭევაბმა<sup>1</sup>. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, 14 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ვ. არძინბამ ტელეფონით სათანადო ინსტრუქცია მისცა გალის რაიონის ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელს რუდიკ ცატავას და დაავალა მას, დახვედროდა შინაგან ჯარს ენგურის ხილთან და „რაც შეიძლება ჩქარა“ გამოეცილებინა ის ოჩამჩირის რაიონის საზღვრამდე, სადაც მათ უნდა დახვედროდა ოჩამჩირის რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. გურგულია. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, უნდა გაეცილებინა თ. კიტოვანი გულრიფშის რაიონის საზღვრამდე. ამასთან, სეპარატისტული ხელისუფლების მეთაურმა აუკრძალა რ. ცატავას, შემოსული სამხედრო კონტინგენტიდან 50-კაციანი რაზმი გალის რაიონში დაეტოვებინა<sup>2</sup>.

ე. ი. გამოდის, რომ ვ. არძინბა ერთ მითითებას აძლევდა რ. ცატავას, ხოლო მისი „ბოევიკები“ სულ სხვანაირად მოქმედებდნენ. სრულიად ნათელია, რომ ყოველივე ეს არ იყო შემთხვევითი. ვ. არძინბა უბრალოდ ვალდებული იყო, გაერკვია, თუ რა მოხდა ოხურეისთან. ამის ნაცვლად მან აფხაზეთის მთელ მოსახლეობას „ქართველი ოკუპანტებისა და აგრესორების წინააღმდეგ სამაპულო ომისაკენ“ მოუწოდა. როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგი ს. ჩერვონნაია, სწორედ ვ. არძინბას ამ მოწოდებამ, და არა ქართული სამხედრო ნაწილების გადაადგილებამ, ითამა-

შა საბელისწერო როლი აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის გაღვივებაში<sup>3</sup>.

კიდევ ერთხელ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა სრული იურიდიული უფლება, თვითონვე განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის აუცილებლობა. ამდენად, აფხაზი სეპარატისტების, მათი მფარველებისა და წამქეზებლების დემაგოგიური მტკიცებები საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შესახებ სრული პოლიტიკური და იურიდიული უმეცრების გამოვლინებაა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ თავის დროზე, სეპარატისტების ამ პროპაგანდისტულ ისტერიკას აჰყვნენ დამნობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ფაქტობრივად სოლიდარობა გამოუცხადეს „ქართველი ოკუპანტების“ წინააღმდეგ მებრძოლ „გმირ აფხაზ ხალხს“ და კატეგორიულად მოითხოვეს „ხუნტის“ ჯარების დაუყონებლივ გამოყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანისას საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მართებდა მეტი სიფრთხილის გამოჩენა, რათა სეპარატისტებს არ მისცემოდა საბაბი პროვოკაციისათვის. რა გვაქვს მხედველობაში? ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მეთაური არ უნდა დასჯერებოდა სატელეფონო საუბრებს ვ. არძინბასთან. ე. შევარდნაძე თვითონ უნდა ჩასულიყო სოხუმში, პირადად შეხვედროდა სეპარატისტების ლიდერს და, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირისაგან, ოფიციალურად მიეღო თანხმობა (წერილობით დამოწმებული) საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის შეყვანაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამით, ალბათ, თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. ე. შევარდნაძეს აშკარად უმტყუნა პოლიტიკურმა ალლომ და მან, როგორც ჩანს, ვერ გაბედა, გადაეღვა იმ დროისათვის რამდენადმე სარისკო ნაბიჯი. შედეგად, ვ. არძინბას მიეცა შანსი თავისი ვერაგული ზრახვების რეალიზაციისათვის. აი, ასე დაიწყო შეიარაღებული დაპირისპი-



რება, რომელსაც ხშირად უწოდებენ „უაზრო ომს“.

ის ანალიტიკოსები, რომლებიც ასე მოიხსენიებენ 1992-1993 წლების კონფლიქტს აფხაზეთში, გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ ეს კონფლიქტი ნამდვილად ძმათამკვლელი ომი იყო. მართლაც, განა უაზრობა არ იყო, როდესაც აფხაზი პაპასქირი, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა, თუ „ვისი გორისა“ იყო, იარაღით ხელში ებრძოდა ქართველ პაპასქირს და ყოველნაირად ცდილობდა, გამოეძეებინა ის აფხაზეთიდან. ცნობილია ასეთი ფაქტი: გააფთრებული საომარი მოქმედების პერიოდში, სოხუმში გამოძვალმა ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ორივე მხრიდან დაღუპულ მეომართა ერთი და იგივე გვარები (სიჭინავები, ჭითანავები, ქირიები, ძაძამიები, ჟვანიები, ახვლედიანები და ა.შ.). დადასტურებულია, რომ ე.წ. აფხაზ „საველე მეთაურთა“ შორის თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა ვინმე არტურ ჭითანავა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველთა მასობრივ დახვრეტას სოხუმის რაიონის სოფ. ეშერაში<sup>4</sup>. ასევე გააფხაზებულ ქართველს, ე.წ. „სოხუმის ბატალიონის“ მეთაურს ოლეგ პაპასქირს ედება ბრალად ჟიული შარტავასა და მისი თანამებრძოლების დახვრეტა<sup>5</sup>.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის კონფლიქტის „უაზრო ომად“ მიჩნევა უსამართლობა იმ ათასობით ომში გმირულად დაცემული მეომრის წინაშე, რომლებიც თავს დებდნენ სამშობლოსათვის. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ეს ვრცელდება იმ აფხაზი ჭაბუკების მიმართაც, რომელთაც ღრმად სწამდათ, რომ იბრძოდნენ მშობლიური აფხაზეთის თავისუფლებისათვის. მათი ხვედრი გაცილებით უფრო ტრაგიკულია, რადგან ისინი ნამდვილად გახდნენ მსხვერპლნი სრულიად გაუძარტებელი და უპერსპექტივო ავანტიურისა, რომელიც წამოიწიეს აფხაზური სეპარატიზმის მესვეურებმა. სეპარატისტთა ლიდერებმა ეს ახალგაზრდები, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ აომეს, თანაც დიდი მეფის ლეონ II-ის დროშის ქვეშ. იმ ლეონ II-ისა, რომელმაც VIIIს. მიწურულს საფუძველი ჩაუყარა ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს. ამგვარად, ახალი დასავლურ-ქართული (ხაზს ვუსვამთ – **ქართული**, და არა აფხაზურ-აფსუური, როგორც ამას ისტერიულად გაჰკვივიან სეპარატისტუ-

ლად განწყობილი ვაი-ისტორიკოსები და პოლიტიკოსები) სახელმწიფოს დამაარსებლის ლეონ II-ის სახელი გამოყენებულ იქნა (და ამჟამადაც გამოიყენება) ერთგვარ იდეოლოგიურ საყრდენად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს არის ნამდვილი მკრეხელობა, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის უხეში გაყალბება და აბუჩად აგდება. ვინაიდან სწორედ ქართველები (და არა სეპარატისტები) იცავდნენ ლეონ II-ის დროშასა და იდეალებს, ამ დიდი მეფის რულუნებით შექმნილ ქართველთა და აფხაზთა ერთიან სახელმწიფოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას. იცავდნენ მას არა იმდენად თავიანთი გზასაცდენილი აფხაზი თანამომძეებისაგან, რამდენადაც მეზობელი სახელმწიფოს ფარული თუ ღია აგრესიისაგან. აი, რატომ იყო ეს ომი ჭეშმარიტად სამამულო ომი საქართველოსათვის! აი, რატომ ვართ ჩვენ ვალდებულნი, ღირსეული პატივი მივაგოთ ჩვენს გმირებს, თანამებრძოლებს, რომლებმაც უყოყმანოდ, ალაღად შესწირეს სიცოცხლე სამშობლოს ერთიანობას!

მაგრამ მოეუბრუნდეთ 14 აგვისტოს ტრაგიკულ დილას. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ სეპარატისტები კარგა ხნის მომზადებულნი იყვნენ სისხლიანი შეტაკებისათვის, და არა მხოლოდ ინფორმაციულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით. უკვე დღის 12 საათისთვის, მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ნაწილები ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული სოხუმში, აფხაზური რადიო და ტელევიზია საზოგადოებას აცნობდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების – „ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისათვის იარაღის გადაცემის შესახებ“ – ტექსტს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ შეიარაღებული ფორმირებების შემოყვანისა და აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის, მოსახლეობისათვის წარმოქმნილ რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით“, უნდა მომხდარიყო „18-40 წლის ასაკის ზრდასრული მოსახლეობის

მობილიზაცია“ და გამწვებება „შინაგანი ჯარის პოლკში“. ამასთან, შინაგანი ჯარის პოლკის მეთაურს დაევალა, პოლკის ბაზაზე 5 ათასეულის ჩამოყალიბება, „თითოეულში 500 კაცის ოდენობით“.<sup>6</sup> ამავე დროს, ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის მოსახლეობას მიმართა თავდაცვის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელად სახელდახელოდ დანიშნულმა „აიდგილარას“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგეი შამბამ, რომელმაც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის (18-45 წლის ასაკის მამაკაცების) მობილიზაცია გამოაცხადა.<sup>7</sup>

ამასობაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილები მიაღწენ ქალაქის ცენტრს და შეჩერდნენ წითელ ხიდთან. გაჩნდა პირველი მსხვერპლი სოხუმში. ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ქართულ ფორმირებებს ებრძანათ, არ შესულიყვნენ ქალაქის ცენტრში. ამით ისარგებლეს „აფხაზმა მოლაშქრეებმა“ და სასწრაფოდ დაამყარეს თავიანთი კონტროლი ქალაქის დანარჩენ ნაწილზე. აფხაზთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორია უმაღლ მოიცვა მაროდორობამ და ყაჩაღობამ. პირველსავე ღამეს საქალაქო ავტოსადგომებიდან გააქრეს ავტომანქანები, გაიდარცვა მაღაზიები, რეალური საფრთხე დაემუქრა ქართული მოსახლეობის სიცოცხლეს.

15 აგვისტოს ზღვიდან გაგრის ნაპირზე გადმოსხდა მცირერიცხოვანი ქართული დესანტი. იმავე დღეს, სოხუმში ჩამოვიდა სამთავრობო დელეგაცია თბილისიდან საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუასა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, მაგრამ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან უშედეგოდ დამთავრდა. ვ. არძინბამ დემონსტრაციულად უარი თქვა შეხვედრაში მონაწილეობაზე. მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ აფხაზმა „მოლაშქრეებმა“ დატოვეს ქ. სოხუმი და 17 აგვისტოს ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა უბრძოლველად დაიკავეს ქალაქის ცენტრი, ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები და გავიდნენ მდ. გუმისთაზე. სოხუმში გამოცხადდა საგანგებო წესები, ქალაქის კომუნდენტად დაინიშნა გენერალ-მაიორი გია გულუა. პარალელურად აფხაზებმა გაგრაც დატოვეს და ქალაქი ქართული ფორმირებების

კონტროლქვეშ გადავიდა. ქალაქის კომენდანტად დაინიშნა მამ-ველთა კორპუსის – „მხედრიონის“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბადრი ფირცხელიანი. ამავე დროს სახელმწიფო საბჭომ გაგრაში თავისი რწმუნებულებაც დაინიშნა. ეს თანამდებობა ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების ერთ-ერთმა ლიდერ-მა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრმა ჯონი ლა-ტარიამ დაიკავა.

გაგრასა და სოხუმში ქართული შეიარაღებული ნაწილების შესვლის შემდეგ ვ. არძინბამ ფართომასშტაბიანი ანტიქართული ინფორმაციულ-იდეოლოგიური კამპანია გააჩაღა. ჯერ კიდევ 17 აგვისტოს მან გაავრცელა მიმართვა: „*Парламентам, Президентам, Народам мира*“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ საქარ-თველოს შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ „**на территорию Рес-публики Абхазия с целью её оккупации**“ და რომ ამ აგრესი-ული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ათეულობით უდანაშაულო ადა-მიანი: დამსვენებლები, ქალები, ბავშვები და ა.შ. ამასთან, ვ. არ-ძინბა, აშკარად ცდილობდა რა მსოფლიო თანამეგობრობის შეც-დომაში შეყვანას, აღნიშნავდა, რომ „*абхазы, русскоязычное насе-ление и представители многих десятков национальностей (ар-мяне, греки, эстонцы, турки) практически без оружия насмерть стоят, защищая своё жилище, деревни, города*“.<sup>8</sup> სინამდვილეში კი აფხაზური წინააღმდეგობის მებრძოლები, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ს. ჩერვონნაია, შეიარაღებულნი იყვნენ „*современным автоматическим оружием... из арсеналов дис-лоцированных в Абхазии вооружённых сил РФ, где частично разыгрывались плохо поставленные комедии захвата-разграб-ления невооружёнными абхазами (!) военных арсеналов*...“.<sup>9</sup>

ამავე დროს ვ. არძინბამ დახმარებისათვის მიმართა ჩრდი-ლოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. ს. ჩერვონნა-იას მონაცემებით, 15 აგვისტოს ის ჩაფრინდა გროზნოში, სადაც ჰქონდა შეხვედრა ჩენნეთის ლიდერ ჯონხარ დუდაევთან და სა-ქართველოს დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან<sup>10</sup>. სე-პარატისტების თავკაცი დახმარების თხოვნით მიმართავდა აგრეთ-ვე კაზაკთა ატამანებს, რუს ნაციონალ-პატრიოტებსა და შოვი-

ნისტებს, ე.წ. „კაკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას“.

17 აგვისტოს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „კაკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ პარლამენტმა გროზნოში მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც, აღნიშნა რა „вероломный характер агрессии Грузии и попрание ею законных прав и интересов **суверенной** Республики Абхазия и её народов... принимая во внимание Договор о Конфедеративном союзе горских народов Кавказа, а также обращение о помощи руководства Абхазии и Абхазского Народного Форума“, დაადგინა: „в случае продолжения оккупации Абхазии, объявить о начале военных действий КГНК в отношении Грузии“.<sup>11</sup>

კიდევ უფრო გამოძწვევი იყო ე.წ. „Указ Президента Конфедерации горских народов Кавказа Мусы Шанибова и Председателя парламента КГНК Юсуна Сосламбекова“, მიღებული 1992 წლის 22 აგვისტოს. მასში ვკითხულობთ: „В связи с тем, что исчерпаны все меры для мирного решения вопроса о выводе **оккупационных** сил Грузии с территории **суверенной** Абхазии и во исполнение постановления сессии Парламента КГНК указываем:

**1. Всем штабам Конфедерации обеспечить переброску добровольцев на территорию Абхазии для вооружённого отпора агрессорам.**

**2. Всем вооружённым формированиям Конфедерации при противодействии им каких-либо сил вступать в бой и пробиваться на территорию Абхазии любыми методами.**

**3. Объявить город Тбилиси зоной бедствия, при этом использовать все методы, включая теракты.**

**4. Объявить всех лиц грузинской национальности на территории Конфедерации заложниками”.**

**5. Задержать все грузы, предназначенные Грузии, и все виды их переброски“.**<sup>12</sup>

ვფიქრობთ, არაა აუცილებელი კომენტარი გაუკეთდეს ამ უაღრესად თავხედურ, პროვოკაციულ მუქარას, რომელიც, მოდიოდა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან. ასეთ ვითარებაში,

კრემლი არათუ ხმას არ იღებდა ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ წინააღმდეგ, არამედ ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ „კონფედერაცია“ საერთოდ მოქმედებდა რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების უშუალო წაქეზებით. თავის დროზე, ჩვენ გაკვრით ვილაპარაკეთ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოცენებული ამ ორგანიზაციის შექმნის მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც თავის თავს ფაქტობრივად ისლამისტურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად მიიჩნევდა და რომლის დედაქალაქად ოფიციალურად სოხუმი იყო გამოცხადებული. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ლიდერების: მუსა შანიბოვის, იუსუფ სოსლამბეკოვისა და სხვათა ანტირუსული რიტორიკა მხოლოდ „შირმა“ იყო, სინამდვილეში კი „კონფედერაციის“ ერთადერთ მიზანს იმთავითვე არა რუსეთის იმპერიული კლანჭებიდან კავკასიის ხალხების განთავისუფლება და ჩრდილოეთ კავკასიაში ერთიანი ისლამისტური სახელმწიფოს (რომელშიც მათ შეჰყავდათ აფხაზეთი) შექმნა, არამედ ძლიერი ანტიქართული ფრონტის შეკოწიწება წარმოადგენდა.

არსებობს უტყუარი მტკიცებები იმისა, რომ აფხაზეთში „კონფედერაციის“ შეიარაღებული ფორმირებები ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდნენ. თავის მხრივ, აფხაზი „ბოევიკები“ გადიოდნენ სამხედრო მომზადებას გროზნოში. ამის შესახებ, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური ტელევიზიით „საზეიმოდ“ და ერთგვარი სიამაყით ამცნო თავის თანამემამულეებს აფხაზური სეპარატიზმის მაშინდელმა ერთ-ერთმა იდეოლოგმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ოლეგ დომენიამ. 14 აგვისტოს შემდეგ ე.წ. „კონფედერატების“ რიცხვი დღითიდღე მატულობდა\*.

---

\* სხვათა შორის, 1993 წლის აგვისტოში, როდესაც შეწყვეტილი იყო საომარი მოქმედებები, სოხუმის რაიონის სოფ. ლინდავაში, ფრონტის წინა ხაზზე, ამ სტრიქონების ავტორს მიეცა შესაძლებლობა, შეხვედროდა ერთ-ერთ ჩეჩენ „ბოევიკს“, ვინმე ყურეიმ აულდინოვს, რომელმაც საუბარში დაადასტურა, რომ აფხაზეთში ომობდა 1992 წლის 21 აგვისტოდან.

ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში აგზავნიდნენ არა „თანამომხმეთა სისხლის ყივილს“ აყოლილ რიგით „მოხალისეებს“, არამედ საბჭოთა არმიის სკოლაგამოვლილ საკადრო ოფიცრებს. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც პოლკოვნიკ სულთან სოსნალიევის (ეროვნებით ყაბარღოელის) ფიგურა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრუქტურების უშუალო „რეკომენდაციით“ დაინიშნა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებლად\*. „კონფედერატებს“ შორის მრავალრიცხოვნებითა და, რაც მთავარია, სამხედრო პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ჩეჩენი „მოხალისეები“. პირველ რიგში, ეს იყო ცნობილი შამილ ბასაევი თავისი ე.წ. „პირველი ჩეჩნური ბატალიონით“. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, ჩეჩნეთის ომის დროს ეს შენაერთი უკვე „აფხაზურ ბატალიონად“ იწოდებოდა.

17-20 აგვისტოს შუალედში სეპარატისტებმა, რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, შეძლეს ძლიერი თავდაცვითი ზღუდის შექმნა მდ. გუმისთის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ. პარალელურად, ტყვარჩელის მიდამოებში წარმოიქმნა ე.წ. „ადმოსავლეთის ფრონტიც“. კიდევ ერთი ფრონტის ხაზი გადიოდა გაგრის მახლობლად, სოფ. კოლხიდასთან. შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყის სტადიაში ქართულ სარდლობას შეეძლო გადამწყვეტი დარტყმების მიყენება როგორც გუმისთის მიმართულებით, ისე ტყვარჩელის რაიონში, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეგნებულად მოერიდა სისხლისღვრას და თავი შეიკავა შეტევითი ოპერაციებისაგან. ქართული მხარის ასეთი მომლოდინე ტაქტიკა განპირობებული იყო იმითაც, რომ მოსკოვი იმჟამად თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ქართული ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას აფხაზეთის ტერიტორიიდან.

ამასობაში რუსულ-ქართული დაპირისპირების მთავარ ობი-

---

\* აღსანიშნავია, რომ „აფხაზეთის არმიის“ ამ „სახელოვანმა“ გენერალმა, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ – ამჯერად უკვე სერგეი ბაგაფშის „კაბინეტში“ – კვლავ დაიკავა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის“ პოსტი, საიდანაც სულ ახლახან გაათავისუფლეს.

ექტად იქცა ე.წ. „ემერის ლაბორატორია“, რომელიც სეპარატისტებმა თავიანთ ძირითად ბასტიონად გადააქციეს. სწორედ იქიდან დაიწყო მათ სოხუმის მასირებული დაბომბვა საარტილერიო დანადგარებიდან. ნებისმიერი საპასუხო გასროლა ქართული ფორმირებების მხრიდან „ემერის ლაბორატორიის“ მიმართულებით კი რუსული მხარის მკაცრ პროტესტს იწვევდა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების არაერთგზისი მოთხოვნისა, მოსკოვს დაუყონებლივ დაეწყო ემერიდან ე.წ. „ლაბორატორიის“ ევაკუაცია, რათა აეცლინათ რუსულ სამხედრო შენაერთებთან შეჯახება, კრემლი ჯიუტად უარზე იდგა. სრულიად ნათელი იყო, რომ „ლაბორატორიის ფაქტორი“ თანდათანობით იქცეოდა მთავარ „კოზირად“ რუსი სამხედროების ხელში, რომელიც აძლედა მათ საშუალებას, თითქმის ღიად აღმოეჩინათ დახმარება სეპარატისტებისათვის. „საქმეში“ ჩაერთო რუსული ბომბდამშენები, სეპარატისტებმა კი მთელ მსოფლიოს მოსდეს მორიგი მითი: თურმე არა რუსული, არამედ „აფხაზური ავიაცია“ (არავინ იცის, საიდან გაჩენილი) ბომბავდა ქართულ პოზიციებს.

და მაინც, კონფლიქტის პირველ დღეებში ადგილი არ ჰქონია სისხლისმღვრელ შეტაკებებს და ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ რამდენიმე დღეში შეიარაღებული დაპირისპირების ჩაცხრობა შესაძლებელი გახდებოდა. რამდენაღმე სიმშვიდე იყო ქ. სოხუმსა და ქართული ფორმირებების მიერ კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და რაიონებში: გაგრაში, ოჩამჩირეში, გულრიფშეში და ა.შ. 31 აგვისტოს სოხუმში შეიქმნა ვითარების სტაბილიზაციის „დროებითი საკოორდინაციო საბჭო“ გენერალ-მაიორ გივი ლომინაძის მეთაურობით. ეს ორგანო ფაქტობრივად აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. დროებითი საკოორდინაციო საბჭოს, კომენდატურებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დიდი მცდელობების მიუხედავად, ვერ მოხერხდა მაროდირობის აღკვეთა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში სოფლებისა და ქალაქების, განსაკუთრებით სოხუმის, ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ძალზე ღირსეულად იქცეოდა. ქართველები აფხაზ მეზობლებთან ერთად აწყობდნენ სადღეღამისო მორიგეობებს თა-



ვიანთ საცხოვრებელ ადგილებში და ამით იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში თუ სხვაგან ადგილი არ ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს. პირიქით, სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღე ხდებოდა არაერთი ამგვარი დანაშაული და მასში, დანაშავე ელემენტებთან ერთად, შეიარაღებული ფორმირებების მებრძოლებიც იყვნენ გარეულნი, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ მოსახლეობაზე ანგარიშსწორების ფაქტებს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია.

უფრო მეტიც, არა მარტო კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე, არამედ მთელი შეიარაღებული დაპირისპირების განმავლობაში, პრაქტიკულად შეუძლებელია (ქ. სოხუმში დანამდვილებით) აფხაზი ეროვნების მოქალაქის მკვლელობის ფაქტის დაფიქსირება. ასე რომ, მტკიცება იმის შესახებ, თითქოს არამარტო აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან, არამედ ქართველთა მხრიდანაც ჰქონდა ადგილი გენოციდის ფაქტებს, სრულიად დაუსაბუთებელი და მკრეხელურია. სოხუმში და ქართული მხარის კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და სოფლებში თავისუფლად დადიოდნენ ქუჩაში აფხაზი მოქალაქეები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებათა და საწარმოთა უმრავლესობა არ ფუნქციონირებდა, ამ დაწესებულებათა აფხაზი ეროვნების თანამშრომლები (მათ შორის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმში დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები) დროულად იღებდნენ ხელფასს ქართულ კუპონებში. სოხუმში იმყოფებოდნენ არამარტო აფხაზური მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, არამედ სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგებიც, მათ შორის, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავკაცი, „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე ალექსი გოგუა, რომელმაც მხოლოდ გაგრის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტა ქალაქის დატოვება და გუდაუთაში გადასვლა. მთელი ომის განმავლობაში სოხუმში ცხოვრობდა აფხა-

ზური სეპარატიზმის „სულიერი მამა“, პროფ. შალვა ინალ-იფაც.  
**მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება და მისი ვერაგული დარღვევა სეპარატისტების მიერ. გაგრის ტრაგედია.**  
საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა განაგრძობდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზების ძიებას. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზაციის გარეშე მშვიდობის დამყარება აფხაზეთში შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, რუსეთის ჩამოცილება აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისაგან უნდა მომხდარიყო ისე, რომ მისი, როგორც ზესახელმწიფოს ამბიციები არ შელახულიყო. ამიტომაც თბილისი აქტიურად მოუწოდებდა კრემლს, თავად გამოსულიყო სამშვიდობო ინიციატივით. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელიც იმ პერიოდში საკმაოდ კონსტრუქციულად იყო განწყობილი, გამოეხმაურა ქართული მხარის მოწოდებას და 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში მოიწვია საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მართალია, ოფიციალურად ეს იყო ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრა, მაგრამ მისი ფორმატი მაინც განსხვავებული იყო. ფაქტობრივად, ეს იყო მოლაპარაკებები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტი მთავარი არბიტრის როლში გამოდიოდა. გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელებიც. საქართველოს სამთავრობო დელეგაციას წარმოადგენდნენ: პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი; რუსეთის ფედერაციას: საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი. საკუთრივ აფხაზეთი წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხელმძღვანელებით (ვლადისლავ არძინბა, თამაზ ნადარეიშვილი, კონსტანტინე ოზგანი).

დაწყებული 1992 წლის 3 სექტემბრიდან დღემდე პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან ე.წ. „*მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის*“ შეფასების საკითხში.

ერთნი მას თვლიან ქართული მხარის დიპლომატიურ მარცხად, თუმცა თავიანთი ნეგატიური პოზიციის დაფიქსირებისას ისინი გამოდიან არა თვით დოკუმენტის შინაარსიდან, არამედ იქიდან, რომ მოსკოვმა არაფერი იღონა მისი პირობების რეალიზაციისათვის. სხვების აზრით კი, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრა და იქ მიღებული დოკუმენტი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დიპლომატიური წარმატება იყო. მართლაც, თუ გამოვალთ თვით „შემაჯამებელი დოკუმენტის“ შინაარსიდან, რაც, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი მიდგომაა, მასში ძალზე ძნელია იპოვო ისეთი რამ, რაც შელახავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც დოკუმენტის შესავალი ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებმაც განიხილეს აფხაზეთის, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, აფხაზეთში შექმნილი ვითარება... შეთანხმდნენ შემდეგზე**“.<sup>13</sup> ე. ი. მოლაპარაკებების მთავარი სუბიექტები იყვნენ ორი მეზობელი სახელმწიფოს ლიდერები. სწორედ ისინი იზილავდნენ აფხაზეთის პრობლემას და ისინი შეუთანხმდნენ ერთმანეთს. საკუთრივ აფხაზეთი (მით უფრო მისი აფხაზი ლიდერი) არ ყოფილა მოლაპარაკების დამოუკიდებელი მესამე მხარე. ის ფიგურირებდა როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი. კერძოდ, ამის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი „შემაჯამებელი დოკუმენტის“ I მუხლში, იქ, სადაც ლაპარაკი იყო კონტროლისა და ინსპექციის კომისიის შექმნაზე. ამ კომისიის წევრები უნდა დაენიშნა „**საქართველოს, მათ შორის, აფხაზეთის და რუსეთის**“ ხელისუფლების ორგანოებს<sup>14</sup>. ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება მე-9 მუხლშიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტებში“.<sup>15</sup> ამავე მუხლის თანახმად „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართვე-

ლობის ყველა ორგანო საქართველოს რესპუბლიკაში, მათ შორის, აფხაზეთში“ კისრულობდა ვალდებულებას, პატივი ეცა იქ დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის და აღეკვეთა „მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახებისა და სამხედრო ქონების მიმართ“.<sup>16</sup>

ქართული დიპლომატიის ნამდვილი გამარჯვება იყო ჩანაწერი „სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხლებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ყოველგვარი ხელყოფის“ დაუშვებლობის შესახებ<sup>17</sup>. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „შემაჯამებელი დოკუმენტი“ ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის (იმდენის, რამდენიც საჭირო იყო „ამ შეთანხმების მიზნების – რკინიგზებისა და სხვა გარკვეული ობიექტების დაცვა – მისაღწევად“) დატოვებას აფხაზეთის ტერიტორიაზე<sup>18</sup>. ამით რუსული მხარე ფაქტობრივად ადასტურებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების აფხაზეთში შეყვანის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

მუხლი აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სამხედრო კონტინგენტის დატოვების შესახებ დამატებით იდეოლოგიურ დატვირთვას იძენდა სხვა ჩანაწერის ფონზე, რომლის მიხედვითაც კონტროლისა და ინსპექციის კომისიას ევალებოდა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ჯგუფების“ განიარაღება და დაშლა, მათი არდაშვება აფხაზეთში, აგრეთვე „კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე“ მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა<sup>19</sup>. ამასთან უშუალო კავშირში იყო „შემაჯამებელი დოკუმენტის“ მე-11 მუხლი, რომელიც ავალდებულებდა „რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელისუფლებისა და მმართველობის“ ორგანოებს, მიეღოთ ეფექტური ზომები, რათა აღეკვეთათ და არ დაეშვათ „მათი ტერიტორიებიდან ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების შესრულებას და მშვიდობის დამყარებას რეგიონში“. გარდა ამისა, მათ ევალებოდათ აგრეთვე სათანადო ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება „მოსახლეობა-

ში ამ შეთანხმების დებულებათა განსამარტავად“.<sup>20</sup>

და ბოლოს, „შემაჯამებელი დოკუმენტი“ სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი იყო, რომელსაც ოფიციალურად ხელს აწერდნენ შესაბამის სუვერენულ სახელმწიფოთა – რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირები: ბორის ელცინი და ელუარდ შევარდნაძე. რაც შეეხება შეხვედრის სხვა მონაწილეებს, ისინი თავიანთი ხელმოწერებით მხოლოდ ამოწმებდნენ მიღწეულ შეთანხმებას და ამით იღებდნენ პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბერს მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესების შემლახველ დოკუმენტად. პირიქით, ის, იმ ეტაპზე, უდავოდ ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ერთია, რა დაიწერება ქალაქებზე და მეორე, თუ როგორ შესრულდება ის. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვეული დიპლომატიური გერაცობა და თითოც არ გაანძრია „შემაჯამებელი დოკუმენტის“ პირობების შესასრულებლად. უფრო მეტიც, მოსკოვის აშკარა წაქეზებით, ვ. არძინბა თითქმის მაშინათვე შეუდგა 3 სექტემბრის შეთანხმების რევიზიას.

1992 წლის 16 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ხელი მოაწერა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომელშიც სრულიად უცერემონიოდ იყო გაცხადებული, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს – „საქართველოს ჯარის შეჭრის დღეს აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, – ასკვნიდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აფხაზი წევრები, – საქართველოს სახელმწიფო ჯარების შეჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაეროს განსაზღვრებით, აგრესიის აქტად გვევლინება“.<sup>21</sup> ვ. არძინბა ამასაც არ დასჯერდა და იმავე 16 სექტემბერს ხელი მოაწერა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კიდევ ერთ დადგენილებას, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, „საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების მიერ აფხაზეთის რეს-

პუბლიკაში“ ვითომ „განხორციელებული მასობრივი ტერორი, ხალხის ფიზიკური განადგურება, ტყვეებისა და მძევლების წამება... აფხაზი ერის გენოციდის აქტად“ გამოაცხადა<sup>22</sup>.

სრულიად ნათელია, რომ ეს ორი დოკუმენტი 3 სექტემბრის შეთანხმების ვალდებულებებზე უარის თქმის ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „აფხაზი ერის გენოციდის“ ფაქტებს, რომელსაც თითქოს ახორციელებდა საქართველოს „სახელმწიფო საბჭოს ჯარები... ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, იმავე დადგენილების მიხედვით, თურმე ადგილი ჰქონია 1992 წლის 3 სექტემბრამდე, თუმცა ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ვ. არძინბასთვის, ოფიციალურად ეცნო აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად, დათანხმებოდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების დატოვებას აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების დასაცავად და აელო ვალდებულება, განეიარაღებინა და გაეყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან „უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ჯგუფები“.

ასევე ნათელი იყო, რომ რუსეთის პოლიტიკურ ისტეპლიშმენტში ყველას არ მოსწონდა 3 სექტემბრის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები. უდავოა ისიც, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ზემოთ ნახსენები დადგენილებები სწორედ მოსკოვიდან იყო ინიცირებული. მაგრამ გარეგნულად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტ ბ. ელცინის გუნდს ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის მხრიდან მოსკოვის შეხვედრის „შემაჯამებელი დოკუმენტის“ რევიზიასთან არაფერი ჰქონდა საერთო და ყოველივე ეს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პროკომუნისტური ძალების აქტიური მხარდაჭერით ხდებოდა. მართლაც, 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, თავისი იმპერიული განწყობილებებით ცნობილი დეპუტატის სერგეი ბაბურინის ინიციატივით მიიღო დადგენილება, რომელიც მთლიანად ემიჯნებოდა მოსკოვის შეხვედრის „შემაჯამებელი დოკუმენტის“ არსსა და სულისკვეთებას.

ამ დადგენილებაში რუსეთის უმაღლესი საბჭო გადაჭრით გმობდა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედ-

ბას, რომელიც ცდილობდა ძალადობის გზით გადაეწყვიტა „როული ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემები“ და თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ქართული მხარისაგან საომარი მოქმედებების დაუწყებელი შეწყვეტას და აფხაზეთის ტერიტორიიდან სამხედრო შენაერთების გამოყვანას. უფრო მეტიც, ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობას ისინი ავალდებულებდნენ, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებამდე, შეეჩერებინათ საქართველოს რესპუბლიკისათვის „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილებისა და შენაერთების შეიარაღების, საომარი ტექნიკის, ტყვია-წამლის გადაცემა“; შეეწყვიტათ „ადრე დადებული კონტრაქტებით შეიარაღების, საომარი ტექნიკის, საბრძოლო მასალის, აგრეთვე მაკომპლექტებელი მასალებისა და ნედლეულის მიწოდება საწარმოებისათვის, რომლებიც შეიარაღებას, საომარ ტექნიკასა და საბრძოლო მასალას“ ამზადებდნენ და ამიერიდან თავი შეეკავებინათ „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებამდე საქართველოსთან ეკონომიკური შეთანხმების დადებისაგან“.<sup>23</sup>

საქართველოს ხელისუფლება უმაღლესი გამოეხმაურა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და სავსებით სამართლიანად შეაფასა ის სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საქართველოს მტრები. უკვე 27 სექტემბერს რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ პრეზიდენტი მუსა შანიბოვი. იმავე დღეს ვ. არძინბამ ოფიციალურად განაცხადა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთიდან გაყვანის პროცესის შეჩერების შესახებ<sup>24</sup>. ერთი სიტყვით, სრულიად ცხადი იყო, რომ სეპარატისტები მოსკოვის წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით ამზადებდნენ ახალ დიდ პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ.

ასეთ კრიტიკულ მომენტში გამწვავდა სიტუაცია სამეგრელოს რეგიონში, სადაც დამნობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე და 1 ოქტომბერს აიღეს ხობი. ამით უმაღლესი სარგებლეს სეპარატისტებმა, რომლებმაც ვერაულოდ დაარღვიეს მოს-

კოვის შეთანხმება და 2 ოქტომბერს წამოიწყეს შეტევა გაგრაზე. ამ დროისათვის გაგრაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილები საკმაოდ შეთხლებული იყო, რადგან ქართულმა მხარემ 3 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად გამოიყვანა სამხედრო ფორმირებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაგრის ზონიდან. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზ სეპარატისტებს და მათ ჩრდილოეთ კავკასიელი „ბოევითებისა“ და რუსეთის რეგულარული ნაწილების აქტიური მხარდაჭერით გაგრა დაიკავეს. გაგრის აღებისას გამოყენებულ იქნა უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა, ტანკები, ავიაცია; რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მოახდინეს ზღვის აკვატორიის ბლოკირება. მთელ ამ ოპერაციას ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი მ. კოლესნიკოვი<sup>25</sup>.

გაგრის დატოვების შემდეგ ქართულმა ნაწილებმა განთიადი-ლესელიძისკენ დაიხიეს და შეეცადნენ, არ მიეშვათ მოწინააღმდეგე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრისკენ. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელები. სოხუმიდან ე. შევარდნაძე გაფრინდა ლესელიძეში. გზაში სახელმწიფოს მეთაურის ვერტმფრენზე თავდასხმა მოაწყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენმა აპარატმა და კინალამ ჩამოაგდო ის. მაგრამ ე. შევარდნაძის ამ ვოიაჟმა შედეგი ვერ გამოიღო. აფხაზური მხარე განაგრძობდა წინსვლას.

4 ოქტომბერს სოხუმში, ქალაქის ცენტრალურ (ყოფილი ლენინის) მოედანზე, მთავრობის სახლის წინ, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით, გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ: გენო კალანდია, დიმიტრი ჯაიანი, ჯანო ჯანელიძე, შალვა წულეისკირი, ვია გვაზავა, ზურაბ პაპასქირი და სხვ. მომიტინგეებს მიმართეს და ვ. არძინბას დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლისკენ მოუწოდეს ცნობილმა აფხაზმა მოღვაწემ რაულ ეშბამ და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელმა მიტროპოლიტმა დავითმა. მიტინგზე გამოვიდა ე. შევარდნაძეც.



მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს სეპარატისტთა ვერაგული ქმედებები და მოუწოდეს ქვეყნის ხელმძღვანელობას, გაეცა ბრძანება შეიარაღებული ძალებისადმი გულაუთის მიმართულებით შეტევაზე დაუყონებლივ გადასვლის თაობაზე.

მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი სეპარატისტების შეტევის შესაჩერებლად. მათ შეუფერხებლად განაგრძეს წინსვლა, აიღეს განთიადი და ლესელიძე და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი მდ. ფსოუს გასწვრივ. სეპარატისტებისა და კონფედერატების წინსვლას თან ახლდა ქართული მოსახლეობის აყრა მშობლიური ადგილებიდან. სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოკავშირეებმა გაგრაში, განთიადსა და ლესელიძეში ნამდვილი სასაკლავო მოაწყვეს. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. გაგრის ტრაგედია იყო აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდისა და გენოციდის დასაწყისი, რომელმაც შემდგომ გაგრძელება ჰპოვა აფხაზეთის სხვა რაიონებში.

**საომარი მოქმედებების ესკალაცია გაგრის მოვლენების შემდეგ.** გაგრის მოვლენებმა ერთბაშად შეცვალა სამხედრო დაპირისპირების ხასიათი. გაგრაში დატრიალებულმა ტრაგედიამ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო. ქ. სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ქართველობამ, რომელიც აქამდე ცდილობდა, უშუალოდ არ ჩარეულიყო საომარ მოქმედებებში და, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის, ამჯერად იარაღი აისხა და უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ჩამოყალიბდა ორი (23-ე და 24-ე) ბრიგადა, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახლადშექმნილ II საარმიო კორპუსში. ეს ბრიგადები ძირითადად დაკომპლექტდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებით. 23-ე ბრიგადის მეთაურად დაინიშნა არა კადრის ოფიცერი, არამედ ადგილობრივი სახალხო ლაშქრის ხელმძღვანელი, ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრი გენო ადამია. 24-ე ბრიგადას სათავე-

ში ჩაუდგა პოლკოვნიკი ზაურ უჩაძე, საარმიო კორპუსის სარდლად კი დაინიშნა გენერალ-მაიორი პაატა დათუაშვილი.

მოხდა ცვლილებები აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებშიც. ვითარების სტაბილიზაციის „დროებითმა საკოორდინაციო საბჭომ“, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში, ამოწურა თავისი უფლებამოსილება. საქართველოს მთავრობაში შემოდებულ იქნა სახელმწიფო მინისტრის პოსტი აფხაზეთის საქმეებში. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი ხაინდრავა\*. სახელმწიფო მინისტრი ფაქტობრივად გახდა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილის გავლენა მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. მიუხედავად ვ. არძინასა და მისი გარემოცვის, აგრეთვე დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალების დიდი მონდომებისა, აფხაზეთში არჩევნების ჩაშლა მაინც ვერ მოხერხდა. ყველა ქალაქსა და რაიონში (ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი, გულრიფშის რაიონი, ქ. ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი), სადაც კი ჩატარდა არჩევნები, ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. ასე, მაგალითად, გულრიფშის რაიონის 1500-მდე აფხაზი ამომრჩევიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 800-მდე ამომრჩეველმა, ხოლო ამავე რაიონის 12 ათასამდე სომეხი ამომრჩევიდან 10 ათასმა ამომრჩეველმა.

არჩევნებში გაიმარჯვეს და აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში (პროპორციული სიებით) მოხვდნენ: **ადა მარშანია** (სა-

---

\* აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოდებას არ მოჰყოლია სტაბილიზაციის „დროებითი საკოორდინაციო საბჭოს“ ლიკვიდაცია. ერთი პერიოდი ეს ორი სტრუქტურა პარალელურ რეჟიმში მუშაობდა, თუმცა ფაქტობრივად „დროებითი საკოორდინაციო საბჭო“ რეალურად გამოთიშული იყო მიმდინარე პროცესებიდან.

არჩევნო ბლოკი – „11 ოქტომბერი“), კონსტანტინე სალია (სა-არჩევნო ბლოკი „ერთობა“), ოთარ ზუხბაია და ვახტანგ ყოლბა-ია (საარჩევნო ბლოკი – „მშვიდობა“), გივი ლომინაძე („ქარ-ტია–91“), ალექსანდრე ჯიქია („ეროვნულ-დემოკრატიული პარ-ტია“), მალხაზ ბარამიძე („საქართველოს დემოკრატიული პარ-ტია“), ბორის კაკუბავა („ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“), ელ-გუჯა (გია) გვაზავა („საქართველოს მწვანეთა პარტია“), გერმა-ნე ფაცაცია („ტრადიციონალისტების პარტია“). მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში გაიმარჯვეს: თამაზ ნადარეიშვილმა (ქ. სო-ხუმი), ჯემალ საჯაიამ (სოხუმის რაიონი), ანზორ წოწონავამ (გულრიფშის რაიონი), არნოლდ ფენდერავამ (ოჩამჩირის რაიო-ნი). ამრიგად, საპარლამენტო არჩევნების შედეგად აფხაზეთი სა-ქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო 14 დეპუტატით, რომელთა შორის ორი – ადა მარშანია და კონსტანტინე სალია – აფხაზი იყო. მას მერე, რაც საქართვე-ლოს ახალ მთავრობაში მოხვდა კ. სალია (ის დაინიშნა საქართ-ველოს ტურიზმის მინისტრად), მისი ადგილი პარლამენტში და-იკავა გენო კალანდიამ.

აღსანიშნავია, რომ, როგორც მაშინ, ისე მოგვიანებითაც (შე-იძლება ითქვას, რომ დღემდეც კი), სეპარატისტები და ზოგიერ-თი ჩვენი „ექსპერტ-ანალიტიკოსი“ ეჭვსქვეშ აყენებენ 1992 წელს აფხაზეთში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების ლეგიტიმურობას, იმის გამო, თითქოს ეს არჩევნები არ ჩატარე-ბულა ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. რასაკ-ვირველია, ამ უცნობელი ფაქტის უარყოფა ნამდვილად არ შეიძ-ლება და არც არავინ აპირებს ამის გაკეთებას. მართლაც, ცნო-ბილი მიზეზების გამო, აფხაზების მიერ კონტროლირებად რაიო-ნებში – გაგრაში, გუდაუთასა და ტყვარჩელში – საქართველოს პარლამენტის არჩევნები არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, დამხო-ბილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გალის რა-იონშიც ჩამალეს ხმის მიცემა. მიუხედავად ამისა, ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონების მოსახლეობამ, გაგრის ზონიდან და გუდაუთის რაიონიდან გამო-ხიზნულმა მოქალაქეებმა, რომლებმაც თავი შეაფარეს ქართველ-

ბის მიერ კონტროლირებად რაიონებს, აგრეთვე გალის რაიონის ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა, რომელმაც ხმის მიცემა შეძლო ოჩამჩირის რაიონში განთავსებულ საარჩევნო უბნებში, შეადგინეს აფხაზეთის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა სულ ცოტა 50%.

აი, რატომ უნდა ჩაითვალოს 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები აფხაზეთში ლეგიტიმურად. ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით, ეს არჩევნები არაფრით განსხვავდებოდა 1990 წლის 28 ოქტომბერში ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისაგან, როდესაც აფხაზური მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სეპარატისტული წრეების ზეწოლით, ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო არჩევნებს. შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში პირველად არ მოხვდა აფხაზი ხალხის წარმომადგენელი. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ აფხაზებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებსაც, თუმცა ამის გამო არავის შეუტანია ეჭვი აღნიშნული არჩევნების ლეგიტიმურობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ არჩევნებისაგან განსხვავებით, ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონის, აგრეთვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების აფხაზურმა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არათუ მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, არამედ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზი ეროვნების 2 დეპუტატის გაყვანაც კი შეძლო.

გაგრის მოვლენების შემდეგ, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა, ვითარება აფხაზეთში უკიდურესად გამწვავდა. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ნაწილების კოორდინირებული ხელმძღვანელობის მიზნით შექმნა მთავარი შტაბი, რომელსაც სათავეში გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი ჩაუდგა. შტაბის წევრები გახდნენ: გია ყარყარაშვილი, გიორგი ხაინდრავა, თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ავთანდილ იოსელიანი. მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ვითარება აფხაზეთში,

როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ფაქტობრივად უმართავი რჩებოდა.

ამასობაში სეპარატისტები და მათი მოკავშირეები სულ უფრო ააქტიურებდნენ სამხედრო მოქმედებებს. დაიწყო ქ. სოხუმის დაბომბვა. ყოველ დღე იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის, აფხაზებიც. ერთ-ერთი დაბომბვისას საარტილერიო ჭურვმა იმსხვერპლა ცნობილი აფხაზი მსახიობი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი ეთერ კოლონია. 1992 წლის ნოემბრის დასაწყისში აფხაზმა „ბოვეიკებმა“ ოჩამჩირის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რის გამოც ელექტროენერგიით მომარაგება შეუწყდა ქ. სოხუმსა და გულრიფშის რაიონს. მოსახლეობას შეუწყდა აგრეთვე გაზისა და წყლის მიწოდებაც. საქართველოს ხელისუფლებამ, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური დადგენილებით, კონფლიქტის ზონაში ვითარების გამოსასწორებლად დასახა მთელი რიგი გადაუღებელი სამუშაოებისა. უფრო მეტიც, 1992 წლის 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისსა და სოხუმს შორის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გასათავისუფლებლად საგანგებო სამხედრო ოპერაციის ჩატარების თაობაზე, რომლის საკოდო სახელწოდება იყო „მაგისტრალი“.

მიუხედავად ასეთი ზომებისა, ვითარება ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში უაღრესად რთული იყო. იგრძნობოდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის შეუთანხმებლობა. სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საქმეებში მეტად მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. სახეზე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების კრიზისი. ასეთ პირობებში ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით დაიწყო მოძრაობა აფხაზეთის დროებითი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. სოხუმში მოწვეულ იქნა საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ. მთავრობის მეთაურად წამოყენებულ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირ-

ველი მოადგილის – თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა. სოხუმში მიღებული გადაწყვეტილება 1992 წლის 26 ნოემბერს კანონიერად გააფორმა საქართველოს პარლამენტმა. იმავე დღეს პარლამენტმა შექმნა აფხაზეთის საქმეთა კომისია დეპუტატ ნიკო ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. პარალელურად შეიქმნა კიდევ ერთი (დროებითი) კომისია, რომელსაც დაევალა გაგრის მოვლენების გამოძიება. ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი რაულ კუპრავა.

1992 წლის ნოემბრის ბოლოს ფრონტისპირა რაიონებში შექმნილმა ვითარებამ საქართველოს ხელისუფლება 30 ნოემბერს აიძულა, გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა ქ. სოხუმსა და ოჩამჩირის რაიონში. დეკემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები, როგორც გუმიხის ფრონტზე, ისე ოჩამჩირე-ტყვარჩელის მიმართულებით. აფხაზურ მხარეს აქტიურად ეხმარებოდნენ გულაუთაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის რეგულარული ნაწილები. საქართველოს ხელისუფლება უშედეგოდ ცდილობდა დიპლომატიური არხებით მიეღწია რუსეთის ნეიტრალიზებისათვის. 1992 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საგანგებო განცხადება, რომელშიც ერთნიშნად დაადასტურა რუსეთის ფედერაცია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში. განცხადებაში კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ რუსი სამხედროები იღებდნენ უშუალო მონაწილეობას ქ. სოხუმისა და მისი შემოგარენის დაბომბვაში 2 და 9 დეკემბერს. მათვე ჩამოაგდეს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი 5 ოქტომბერს და მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25 – 13 ოქტომბერს.

განცხადებაში მოყვანილი იყო აგრეთვე კონფლიქტში რუსული მხარის მონაწილეობის სხვა ფაქტებიც. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტმა პირველად დააფიქსირა ღიად, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთში დისლოცირებული ნაწილები იქცნენ კონფლიქტის მონაწილე მხარედ და რომ ისინი რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან ერთად ატარებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას<sup>26</sup>.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგა-

ნომ უპასუხოდ არ დატოვა ქართველ პარლამენტართა განცხადება და 1992 წლის 25 დეკემბერს მიიღო დადგენილება: „*О ходе выполнения постановления Верховного Совета Российской Федерации от 25 сентября „Об обстановке на Северном Кавказе в связи с событиями в Абхазии“*“. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „Грузинская сторона грубо нарушила достигнутые договорённости о правовом статусе пребывания военных формирований Российской Федерации на территории Республики Грузия“. საპასუხო ღონისძიებათა შორის, რომელთაც სთავაზობდა უმაღლესი საბჭო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტსა და მთავრობას, იყო საქართველოს მიმართ სანქციების დაწესება „в случае непринятия грузинской стороной мер, обеспечивающих безопасность граждан и имущества Российской Федерации на территории Республики Грузия“.<sup>27</sup>

**საომარი მოქმედებების ესკალაცია 1993 წლის იანვარ-მარტში და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამწვავება.** 1993 წლის დადგომას ქართველი ჯარისკაცები სანგრებში შეხვდნენ. ახალი წლის დადგომა მათ უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურმა მიულოცა. 4-5 იანვრის ღამეს სეპარატისტებმა რუსული არტილერიის აქტიური მხარდაჭერით პირველი სერიოზული შეტევა განახორციელეს სოხუმზე, მაგრამ ქართულმა ფორმირებებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურთ და უკუაქციეს ისინი. ეს იყო ახლადშექმნილი 23-ე ბრიგადის პირველი საბრძოლო ნაწილობა. გამოჩენილი მამაცობისათვის და გმირობისათვის ბრიგადის მებრძოლები და ოფიცრები (მათ შორის, ბრიგადის მეთაური გენო ადამია) საბრძოლო ორდენებითა და მედელებით დაჯილდოვდნენ.

ამ მარცხმა სეპარატისტებს კარგა ხნით მოუსპო სურვილი სოხუმის მიმართულებით ახალი შეტევითი ოპერაციების განხორციელებისა, თუმცა პოზიციური ბრძოლები არ ჩამცხრალა. ამ დროისათვის უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს ებრძოდნენ არა მხოლოდ ერთი ძუჭა სეპარატისტები და მათი გადამთიელი მოკავშირეები – ე.წ. „კონფედერატები“, არამედ რუსული სამხედრო მანქანა, თავისი გენერალიტეტითა და უახლესი სამხედრო აღჭურვილობით. ეს კარგად ჰქონდა გაცნო-

ბიერებული საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას და აფხაზეთის კონფლიქტში მისი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას.

ერთ-ერთ ამგვარ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1993 წლის თებერვალში, როდესაც თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რამაზან აბდულატიპოვი და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი შახრაი. ისინი შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ელუარდ შევარდნაძეს, პარლამენტისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. ვიზიტის შედეგები შეჯამდა ოფიციალურ დოკუმენტში – კომუნიკეში, რომელსაც რუსული მხრიდან ხელი მოაწერეს რ. აბდულატიპოვმა და ს. შახრაიმ, ხოლო საქართველოს ხელისუფლების სახელით მთავრობის ვიცე-პრემიერმა რომან გოცირიძემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და ადამიანის უფლებებისა და ეროვნული ურთიერთობების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე კავსაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომუნიკეს საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საგანგებო დადგენილება: „*საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ*“ კომუნიკეს თაობაზე“, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული საქართველოს დელეგაციის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში. განსაკუთრებით მიუღებლად იქნა მიჩნეული „კომუნიკეში ორაზროვან დებულებათა არსებობა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებათა თაობაზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „*საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის*



მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. ძ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის საბუშარ ვიზიტის შედეგების შესახებ“ კომუნიკეს დეზაუვირება<sup>28</sup>.

ამასობაში საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა დამატებითი ღონისძიებები აფხაზეთში სამეურნეო-ადმინისტრაციული მდგომარეობის გაჯანსაღებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად. ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დაინიშნა ქ. სოხუმის მერი (გურამ გაბისკირია); სოხუმის (მერაბ დგებუაძე), გულრიფშის (დავით გვაძაბია), ოჩამჩირის (ხუტა გუგუჩია) და გალის (რუდიკ ცატავა) რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები<sup>29</sup>. ამავე დროს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანება ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის ზონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გაელიზიანებინა სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები. კრემლმა საქართველოს სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მაღალჩინოსანი გენერლების უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა სოხუმის დაკავების ოპერაციის გეგმა, რომლის განხორციელება დაიწყო 1993 წლის 14 მარტს. დილაადრიან დაიწყო სოხუმის დაბომბვა ყველა არსებული საარტილერიო დანადგარებიდან, ხოლო 15-16 მარტის ღამეს მოწინააღმდეგემ უკვე ერთდროულად დაიწყო ქალაქის დაბომბვა ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან. დაბომბვა გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში, რის შემდეგაც 16 მარტს ადრე ღილით სეპარატისტთა სამხედრო ფორმირებები გადმოვიდნენ შეტევაზე ფრონტის მთელ ხაზზე. მათ წინ მოუძლოდნენ რუსული საგანგებო დანიშნულების რაზმების მეომრები, რომელთაც ევალებოდათ გზის გაწმენდა. შემდეგ უკვე, მეორე ეშელონში, მოდიოდნენ აფხაზი მებრძოლები და დაქირავებულები. რუსებმა მოახერხეს ფრონტის ხაზის გარღვევა და გუმიხსთა-აჩადარაში შემოსვლა<sup>30</sup>.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ძალზე ზუსტად და ეფექტურად მოქმედებდა ქართული არტილერია იმჟამად ჯერ კიდევ პოლკონიკ ემზარ ჭოჭუას სარდლობით. საბრძოლო მოქმედებებში

უშუალოდ მონაწილეობდა და მეომრებს პირად მაგალითს აძლევდა მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია. გადამწყვეტი დარტყმა შუქურის რაიონში შემოჭრილი მოწინააღმდეგის ნაწილებს მიაყენა და უკუაქცია ისინი სამხედრო პოლიციის რაზმმა პოლკოვნიკ სოსო ახალაიას მეთაურობით. გარდატეხა საომარ მოქმედებებში მოხდა 17 მარტს, როდესაც ქართული შეიარაღებული ფორმირებები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მთლიანად გაწმინდეს მდ. გუმისთის მარცხენა სანაპირო მოწინააღმდეგის ნაწილებისაგან. 15-16 მარტს სეპარატისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ განხორციელებული შეტევა ყველაზე მასშტაბური იყო მთელი სამხედრო კამპანიის მანძილზე. აფხაზურმა მხარემ დიდი დანაკარგები განიცადა. ბუნებრივია, დანაკარგი ჰქონდა ქართულ მხარესაც, მაგრამ ის ბევრად უფრო ნაკლები იყო.

გახურებული საბრძოლო მოქმედებების ფონზე, საქართველოს პარლამენტმა 1992 წლის 17 მარტს გაავრცელა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი. მიმართვაში საზგასმით იყო ნათქვამი, რომ რუსეთის ფედერაცია ფაქტობრივად ეწევა გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ, რომლის „მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. საქართველოს პარლამენტი მიმართავდა მსოფლიო თანამეგობრობას, არ დაეტოვებინა „რეაგირების გარეშე... რუსეთის აგრესიული ქმედება“ სუვერენული სახელმწიფოს – „საქართველოს მიმართ“. ამასთან, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ერთხელ კიდევ დასვა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი<sup>31</sup>.

სეპარატისტთა „გენერალური“ შემოტევის მოგერიების შემდეგ, 18 მარტისათვის, გუმისთის მიმართულებით შეიქმნა მეტად ხელსაყრელი ვითარება ქართული სამხედრო ფორმირებების შეტევაზე გადასვლისა და, სულ მცირე, ეშერისა და ახალი ათონის მაღლობების განთავისუფლებისათვის, მაგრამ ზოგიერთი სამხედრო მეთაური სკეპტიკურად შეხვდა ამ იდეას და დაარწმუნა

ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახალი ათონი-გუდაუთის მიმართულებით შეტევითი ოპერაციების უპერსპექტივობაში. როგორც შემდგომ გამოირკვა, ეს იყო საქართველოს ხელისუფლების სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური შეცდომა. მართლაც, 15-17 მარტის ბატალიების შემდეგ რომ დანამდვილებით შეიძლებოდა წარმატებული შეტევითი ოპერაციის განხორციელება და მოწინააღმდეგისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება, სრულიად უეჭველია. საქმე იმაშია, რომ 17 მარტს განცდილი მარცხის შემდეგ სეპარატისტები მთლიანად დემორალიზებული იყვნენ, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში გუდაუთის რეჟიმი წავიდა უკიდურეს ნაბიჯზე. 23 მარტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციების გუდაუთაში გახიზნულმა ნაწილმა ოფიციალურად მიმართა რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თხოვნით, დაეკმაყოფილებინა „желание народов Абхазии войти в состав или под покровительство Российской Федерации“.<sup>32</sup>

15-17 მარტს სოხუმზე შეტევის ჩაფუშვის შემდეგ გუმისთის ფრონტზე ერთგვარი სიმშვიდე დამყარდა, თუმცა რუსული ავიაცია დროდადრო მაინც ბომბავდა ქართულ პოზიციებს. ერთ-ერთი ასეთი დაბომბვისას, სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშის მიდამოებში ჩამოგდებულ იქნა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშე თვითმფრინავი სუ-27, რომელსაც მართავდა მაიორი ვაცლავ შიპო. ამით ერთხელ კიდევ ცხადი შეიქნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის თავხედური და ცინიკური მტკიცების სრული სიყალბე იმის შესახებ, თითქოს ქართველები თვითონ ღებავდნენ თავიანთ თვითმფრინავებს და თვითონვე აგდებდნენ მათ.

1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება: „შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“. მასში საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ პირველად განაცხადა ოფიციალურად, რომ „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელ-

შეწყობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე“. ქართველი პარლამენტარები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობდნენ „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის შემწეობით მიმდინარე ეთნიკური წმენდის ფაქტებს, მათი უშუალო გამომწვევი მიზეზის – აგრესიის აღკვეთის მიზნით“.33 ამავე დროს, საქართველოს ხელმძღვანელობა აწარმოებდა მოლაპარაკებებს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, 1993 წლის 6-9 აპრილს სოჭში შედგა რუსულ-ქართული მოლაპარაკებები, რომელშიც საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, ხოლო რუსეთის ფედერაციას – პავლე გრაჩოვი და ბორის პასტუხოვი.

1993 წლის 22 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. მასში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში გაჩაღებული ძმათამკვლელი ომი „ბოროტების იმპერიის“ რეანიმატორებს აძლევს ხელს, რომ ყველა გაუგებრობა... საუკუნეების მანძილზე ერთიან სამშობლოში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის, სწორედ ამ „ბოროტების იმპერიამ“ მოგვასხვია თავს“. საქართველოს პარლამენტის დეპუტატები მოუწოდებდნენ „აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს, უხუცესებს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს“ შეკრებილიყვნენ ერთად და მოლაპარაკების მაგიდასთან მოეგვარებინათ ყველა არსებული პრობლემა<sup>34</sup>.

ოღნავ მოგვიანებით, 27 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „*რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე*“, რომელშიც ყოველგვარი მობოდიშების გარეშე იყო აღნიშნული, რომ „რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული კონტიგენტი აქტიურად მონაწილეობს საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ“ და რომ „რუსეთის უზენაესმა საბჭომ არაერთხელ მიიღო დადგენილებები, რომლებიც უხეშად ლახავს საქართველოს სახელ-

მწიფოს სუვერენიტეტს“. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ „რუსეთმა დაარღვია 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება“ და რომ „რუსეთის ობსტრუქციული პოზიციის შედეგად პრაქტიკულად უნაყოფოდ დამთავრდა რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკება; რუსეთის მხარემ ყურად არ იღო საქართველოს ხელისუფლების სახელით დაყენებული სამართლიანი მოთხოვნები“.

აქედან გამომდინარე, მიიჩნია რა „მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად... რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა“, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა: 1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე... 2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმიისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის“.<sup>35</sup>

რასაკვირველია, რუსული მხარე არ დატოვებდა სათანადო რეაგირების გარეშე საქართველოს ხელისუფლების ასეთ მკაცრ და კატეგორიულ შეფასებებს. პასუხმაც არ დააყოვნა. 1993 წლის 30 აპრილს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭომ მიიღო დადგენილება: „*აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების შესახებ*“ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 25 სექტემბრისა და „*აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების შესახებ*“ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ 1992 წლის 25 დეკემბრის დადგენილების რეალიზაციის თაობაზე“. ამ დადგენილებაში რუსი პარლამენტარები,

არც მეტი, არც ნაკლები, კმაყოფილებით აღიქვამდნენ „რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1993 წლის 23 მარტის მიმართვაში გამოთქმულ აფხაზეთის ხალხების სურვილს, შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ან მფარველობაში“ და მოუწოდებდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქვეყნის მთავრობას, „საერთაშორისო სამართლის ნორმების, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის შესაბამისად გაააქტიურონ მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთში ვითარების ნორმალიზებისათვის რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის საკითხზე“.<sup>36</sup>

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის ფედერაციის ოფიციალური (როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური) სტრუქტურების უხეშმა ჩარევამ საქართველოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, უკიდურესად გაამწვავეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ყველასათვის ცხადი იყო, რომ აფხაზეთში საქართველოს, ქართველ ხალხს უპირველეს ყოვლისა, ეომებოდა არა აფხაზობა, არამედ მეზობელი ზესახელმწიფო, რომელიც ამ გზით ცდილობდა იმპერიის რეანიმაციას და მასში დანაწევრებული საქართველოს შეთრევას. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს საშიშროება საქართველოში ყველას არ ჰქონდა გაცნობიერებული და მრავლად იყვნენ ისეთნიც, ვინც თავიანთი დესტრუქციული ქმედებებით, ნებსით თუ უნებლიედ, მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

**სამხედრო-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1993 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში.** მიუხედავად საომარი მოქმედებების ერთგვარი შენელებისა, რომელიც დამყარდა 15-16 მარტს სეპარატისტების მიერ სოხუმზე განხორციელებული შეტევის ჩაფუშვის შემდეგ, საერთო ვითარება აფხაზეთში, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სამეურნეო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით მაინც დაძაბული რჩებოდა. ვერაფრით ვერ მოხერხდა ჯეროვანი კოორდინაციის მიღწევა სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის. საქართველოს ხელმძღვანელობამ ამის გამოსწორება

სცადა ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს – აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს – შექმნის გზით. ამ ორგანოს ხელში უნდა მოქცეულიყო მთელი (როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და სამეურნეო-ადმინისტრაციული) ძალაუფლება ქართული მხარის მიერ კონტროლირებად რაიონებში. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა თამაზ ნადარეიშვილი, რომელსაც მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს: 23-ე ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი გენო ადამია; ქ. სოხუმის მერი გურამ გაბისკირია; აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლკოვნიკი დავით გულუა; აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი, გენერალ-მაიორი იური კეშელავა; აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები: ლორიკ მარშანია და რამაზ სიჭინავა; 24-ე ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი ზაურ უჩაძე; II საარმიო კორპუსის სარდალი გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია<sup>37</sup>. ცვლილებები მოხდა ცენტრალურ სამხედრო სტრუქტურებშიც. 6 მაისს საქართველოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა გენერალ-მაიორი გია ყარყარაშვილი. 11 მაისს ვ. ქვარაია დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის უფროსად, ხოლო II საარმიო კორპუსის სარდლის თანამდებობა დაიკავა გენერალ-მაიორმა ზ. უჩაძემ<sup>38</sup>. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ცვლილებების შემდეგ ვითარება კონფლიქტის ზონაში შესამჩნევად გამოსწორდა.

1993 წლის 14 მაისს მოსკოვში შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ელუარდ შევარდნაძისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრა, რომელზეც განიხილეს ორ ქვეყანას შორის დაგროვილი პრობლემები და ვითარება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. მხარეები შეთანხმდნენ, დაეჩქარებინათ დოკუმენტების მომზადება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით „უმაღლესი დონის განმეორებითი შეხვედრისათვის 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის საბოლოო დოკუმენტის ფორმატით“ და, რაც მთავარია, მიღწეულ იქნა შეთანხ-

მება მეომარ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 20 მაისიდან. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა თავის პირად წარმომადგენლად კონფლიქტის ზონაში დანიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი<sup>39</sup>.

მოსკოვის მეორე შეხვედრის გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მოსახლეობას გარკვეული იმედები ჩაუსახა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მალე სამხედრო დაპირისპირებას წერტილი დაესმებოდა და აფხაზეთში მშვიდობა დაისადგურებდა. რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ. პასტუხოვი იმთავითვე შეულდა თავისი „სამშვიდობო“ მისიის შესრულებას და დაიწყო აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებები ორივე მხარის წარმომადგენლებთან. ის ჩამოვიდა სოხუმში, სადაც შეხვდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ისე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებსაც. რუსეთის ხელისუფლების ემისრის ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებთან მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებმა ბორის კაკუბავამ, ზურაბ პაპასქირმა, აგრეთვე თეიმურაზ მიბჩუანმა და აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა იური კეშელავამ მკაცრად გააკრიტიკეს რუსეთის ხელისუფლების ქმედებები, ერთნიშნად დაადანაშაულეს მოსკოვი ნეიტრალიტეტის დარღვევაში და მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში რუსულ მხარეს დააკისრეს.

ბ. პასტუხოვის ამ ვლიაჟის მთავარი მიზანი იყო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მომზადება საქართველოში. ამ დელეგაციაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვიქტორ ბარანიკოვი, სხვა მაღალჩინოსნები, მათ შორის, თვით ბ. პასტუხოვი და ცნობილი გენერალი ბორის გრომოვი, რომელსაც იმჟამად მაღალი თანამდებობა ეკავა რუსეთის ფედერაციის შინაგან ჯარში. დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ ის იმყოფებოდა სოხუმსა და გუდაუთაში. სოხუმში რუსეთის ფედე-



რაციის სამთავრობო დელეგაცია შეხვდა აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს წევრებს. მათ გარდა მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა: ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე კავსაძემ და საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური უფროსმა ირაკლი ბათიაშვილმა. შეხვედრაზე მონაწილეობის უფლება დართეს აგრეთვე ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ბორის კაკუბავას და ამ სტრიქონების ავტორს, რომელმაც არცთუ დიპლომატიურად შეაწვევტინა სიტყვა ვ. ბარანიკოვს და ღიად დაადანაშაულა რუსული მხარე საქართველოს მიმართ აგრესიულ ქმედებებში. სხვათა შორის, შეხვედრის მონაწილე არაოფიციალური პირის ამ მოულოდნელმა რეპლიკამ რუსეთის დელეგაციის წევრები რამდენადმე შეაცბუნა და ისინი თავის მართლებაზე გადავიდნენ.

მოსკოვის 1993 წლის 20 მაისის შეთანხმებით კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების შეჩერებამ ქართულ მხარეს საშუალება მისცა, მეტი ყურადღება მიექცია სამეურნეო-კულტურული ცხოვრებისადმი. დაიწყო გზების კეთილმოწყობა ქ. სოხუმში. შეუდგნენ დაბომბვების შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენასაც. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის განსაახლებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება 1989 წლის გაზაფხულზე გახლეჩილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის – საკუთრივ აფხაზეთის უნივერსიტეტისა და თსუ სოხუმის ფილიალის – კვლავ ერთიან საუნივერსიტეტო ცენტრად გაერთიანების შესახებ.

პირველად იღეა ორი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების შესახებ გაჩნდა ჯერ კიდევ 1992 წლის ნოემბერში, სოხუმში დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ, როდესაც დაიწყო ზრუნვა ავტონომიური რესპუბლიკის (ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილის, რომელსაც აკონტროლებდა ქართული ადმინისტრაცია) სამეურნეო-კულტურული ცხოვრების აღსადგენად. ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნა მიღებული აფხაზეთის უნივერსიტეტში შექ-

მნილი სიტუაცია, კერძოდ, ის, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ აფხაზური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა (პრორექტორ მიხეილ ლაბაზუას გამოკლებით) გუდაუთაში გაიქცა და უპატრონოდ მიატოვა უნივერსიტეტი, მაგრამ სოხუმში დარჩა აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი, რომელიც გარეგნულად ლოიალობას უცხადებდა ქართულ ხელისუფლებას და, როგორც უკვე აღინიშნა, სულაც არ თაკილობდა ხელფასი კუპონებში მიეღო. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა აზრი ორი უმაღლეს სასწავლებლის ხელახლა გაერთიანების თაობაზე. გაიმართა ე.წ. „სეპარატული“ შეხვედრები (მათში უშუალოდ მონაწილეობდა ამ სტრიქონების ავტორი, რომელსაც ეკუთვნოდა კიდევ იდეა უნივერსიტეტების გაერთიანების შესახებ) აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმში დარჩენილ ზოგიერთ თანამშრომელთან უნივერსიტეტების შესაძლო გაერთიანების აზრის ერთგვარი ზონდირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი პროფესორ-მასწავლებლები ამ წინადადებას დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებოდნენ, ისინი მაინც იჩენდნენ გარკვეულ ინტერესს უნივერსიტეტების გაერთიანების იდეისადმი და აშკარად ჩანდა, რომ ქართული პოლიტიკური კონიუნქტურის განმტკიცების შემთხვევაში ისინი ნამდვილად წამოვიდოდნენ თანამშრომლობაზე, მაგრამ საომარი მოქმედებების ესკალაციამ იმ პერიოდში აფხაზეთის ქართულ ადმინისტრაციას არ მისცა საშუალება, განეხორციელებინა უნივერსიტეტების გაერთიანება.

1993წ. მაის-ივნისში, როდესაც ფრონტზე ერთგვარმა სიმშვიდემ (მოჩვენებითმა) დაისადგურა და ქართული ხელისუფლების პოზიციები რამდენადმე განმტკიცდა (15-18 მარტის სამხედრო წარმატების შემდეგ), ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა თ. ნადარეიშვილმა კვლავ წამოსწია უნივერსიტეტების გაერთიანებისა და ფუნქციონირების განახლების საკითხი. მომზადდა სამთავრობო განკარგულების პროექტი აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმში დარჩენილი ნაწილისა და თსუ სოხუმის ფილიალის გაერთიანების ბაზაზე ახალი ერთიანი საუნივერსიტეტო კომპლექსის – ზურაბ ანჩაბაძის სახელობის სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, რომელიც ერთობლივი გადაწყვეტილებით დაამტკიცა კიდეც თავდაცვის საბჭომ და მინისტრთა საბჭომ. ის ფაქტი, რომ ახლადშექმნილ სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსს – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს – ენიჭებოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პირველი რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის სახელი, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი. ამით ქართული მხარე პატივს მიაგებდა გამოჩენილ აფხაზ მეცნიერს, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის დიდ მებაირახტრეს. დაინიშნა გაერთიანებული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელიც (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. პაპასქირი).

მაგრამ მალე ვითარება ფრონტზე კვლავ დაიძაბა და მოვლენები უკვე იმ სცენარით წარიმართა, რომ უნივერსიტეტისათვის არავის ეცალა. სეპარატისტები, რუსეთის ოფიციალური სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, გამალებით ემზადებოდნენ ახალი ბატალიებისათვის. მიმდინარეობდა ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტის“ გაძლიერება საბრძოლო ტექნიკითა და შეიარაღებით. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენები სისტემატიურად აწვდიდნენ ტყვარჩელში გამაგრებულ ფორმირებებს იარაღსა და საბრძოლო მასალებს. ტყვარჩელის რაიონში გადასხეს ცოცხალი ძალაც – დაქირავებულები რუსეთის ფედერაციიდან. მარტო 14 ივნისს რუსულმა ავიაციამ განახორციელა 5 რეისი ოჩამჩირის რაიონის სეპარატისტების მიერ კონტროლირებად სოფლებში: მოქეში, რეკაში, ბეღიაში, თხინაში და ჩამოსვა 250-მდე „ბოევიკი“ – რუსები, ყაბარღოელები და სხვ<sup>40</sup>. უფრო მეტიც, 16 ივნისს რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად, ქართული მხარის ნებართვით, გაავზავნა ტყვარჩელში „კამაზის“ მარკის 30 მანქანა და 3 ავტობუსი „ჰუმანიტარული ტვირთით“. ქართული მხარის ბედოვლათობით ეს კოლონა ჯეროვნად არ შემოწმდა. შედეგად სეპარატისტებმა „ჰუმანიტარულ ტვირთთან“ ერთად მიიღეს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები<sup>41</sup>.

1993 წლის 24 ივნისს სეპარატისტებმა დაარღვიეს მოსკოვის 20 მაისის შეთანხმება და განაახლეს აქტიური საომარი

მოქმედებები. დაიწყო ქ. სოხუმის მასირებული დაბომბვა, რომლის შედეგად დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. საქართველოს ხელისუფლებამ უმაღლესე მოახდინა რეაგირება სეპარატისტების ნამოქმედარზე. საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს და მოითხოვა მათგან, უმოკლეს ვადებში მიეღოთ ზომები მათ მიერ ნაკისრი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად<sup>42</sup>.

მაგრამ ყოველივე ამან ვერ შეაჩერა სეპარატისტები და მათი მფარველები. რუსმა სამხედროებმა შეიმუშავეს ქ. სოხუმის დაკავების მორიგი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დესანტის გადმოსხმას ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის მიდამოებში, კონტროლის დამყარებას ოჩამჩირე-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალსა და ავტოტრასაზე და ამ გზით სოხუმის იზოლირებას. ამის პარალელურად იგეგმებოდა დიდი შეტევა გუმისთიდან და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება. ამ გეგმის განხორციელება მოწინააღმდეგემ დაიწყო უკვე 1 ივლისს, როდესაც, მიუხედავად ადგილობრივი მოლაშქრეების გმირული შემართებისა, სეპარატისტებმა შეძლეს სოფ. კამანის დაკავება. მომხდურებმა აქაც მოაწყვეს ნამდვილი სასაკლაო. სეპარატისტებმა დახოცეს ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, აფხაზებიც. სწორედ აქ გაუსწორდნენ ისინი მთელ საქართველოში ცნობილ აფხაზ მოღვაწეს, ქართულ-აფხაზური ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთ ბურჯთაგანს, კამანის ეკლესიის აღმდგენელს იური ანუას, აგრეთვე ეკლესიის მსახურთ: ქართველ მამა ანდრიას და რუს მამა სერგის, დიაკან კრავცოვს, დედა მარიას<sup>43</sup>.

2 ივლისს ტამიშის მიდამოებში გადმოსხმულ იქნა დესანტი, რომლის ძირითად ბირთვის შეადგენდნენ კბილებამდე შეიარაღებული რუსული სპეცდანიშნულების რაზმის მეომრები. მათთან შესაერთებლად ტყვარჩელიდან დაიდრნენ სეპარატისტთა და დაქირავებულთა ფორმირებები. 2 ივლისს, განთიადისას, მოწინააღმდეგემ მოახერხა ქართული ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევა, ლაბრა-ტამიშის მონაკვეთზე გამაგრება და ავტოტრასა-სარ-

კინიგზო მაგისტრალზე კონტროლის დამყარება<sup>44</sup>. ამით სოხუმი, ფაქტობრივად, მოწყვეტილი აღმოჩნდა დანარჩენი საქართველოსაგან. ასეთ პირობებში ქართულმა სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება აქცენტი გადაეტანა ტამიშის დესანტის განადგურებაზე. ქართულმა ნაწილებმა მოწინააღმდეგეს ერთდროულად ორი მხრიდან – სოხუმიდან და ოჩამჩირიდან შეუტყეს. პირველად მთელი აფხაზური კამპანიის განმავლობაში სეპარატისტების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩაებნენ დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილები ვახტანგ (ლოთი) ქობალას მეთაურობით. თითქმის ერთი კვირის (2-10 ივლისი) განმავლობაში მიმდინარე შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ქართველმა მეომრებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაანადგურეს დესანტის ძირითადი ბირთვი, დანარჩენები უკუიქცნენ. ტამიშის ოპერაციისას სეპარატისტებმა დაკარგეს 600-მდე „ბოვეიკი“, ჩაძირულ იქნა 3 კატარლა და 1 გემი, მწყობრიდან გამოიყვანეს სეპარატისტების 2 ტანკი, ჩამოგდებულ იქნა 2 ვერტმფრენი<sup>45</sup>.

ასე ჩაიფუშა სეპარატისტებისა და მათი მფარველების კიდევ ერთი ავანტიურა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ივლისის კამპანია წარუმატებელი იყო აფხაზური მხარისათვის. პირიქით, ტამიშის მიმართულებით გახურებული ბრძოლის დროს – 5-9 ივლისს სეპარატისტთა ფორმირებებმა გუმიდანიდანაც შემოუტყეს ქართულ პოზიციებს, მოახერხეს მისი გარღვევა რამდენიმე ადგილას და აიღეს სოხუმის რაიონის სოფლები: ახალშენი, გუმა და მოუახლოვდნენ სოფ. შრომას. შედეგად მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა სტრატეგიულად მეთად მნიშვნელოვანი სიმაღლეები ქ. სოხუმის გარშემო, რამაც მოგვიანებით, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვიტა კიდევ სამხედრო დაპირისპირების ბედი სეპარატისტების სასარგებლოდ.

ტამიშთან განცდილი მარცხის მიუხედავად, 1993 წლის ივლისის თვეში სეპარატისტები მაინც ინარჩუნებდნენ უპირატესობას ფრონტებზე. ამან აიძულა საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის გამოსასწორებლად დამატებით საგანგებო ღონისძიებები გაეტარებინა. 1993 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს სახელმწი-

ფოს მეთაურის ბრძანებულება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“<sup>46</sup> გარდა ამისა, ქართულმა მხარემ გაააქტიურა საქმიანობა დიპლომატიურ ფრონტზე, რათა არ დაეშვა კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია. 9 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალური რეზოლუცია 849, რომლის თანახმად საქართველოში იგზავნებოდნენ საერთაშორისო სამხედრო დამკვირვებლები<sup>47</sup>.

ერთი დღით ადრე, 8 ივლისს, სოხუმში ჩამოვიდნენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები, რომელთაც ჰქონდათ შეხვედრა თავდაცვის საბჭოში. მათ შეხვდა აგრეთვე სოხუმში მყოფი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ ყოველივე ამან შედეგი მაინც ვერ გამოიღო. სეპარატისტთა ფორმირებები რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით აგრძელებდნენ შეტევას სოფ. შრომის მიმართულებით და თანდათანობით სულ უფრო უახლოვდებოდნენ სოხუმს. ქართულმა მხარემ ამჯერადაც ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა, კვლავ გაეაქტიურებინა სამშვიდობო დიალოგი. ასეთ ვითარებაში აფხაზეთში საჭირო იყო ახალი ლიდერი, რომელთანაც როგორც აფხაზები, ისე რუსებიც მეტი ერთუზიანობით მიუსხდებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ამიტომ თბილისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტებიდან თამაზ ნადარეიშვილის განთავისუფლებისა და ამ თანამდებობებზე საქართველოს პარლამენტის წევრის ჟიული შარტავას დანიშვნის შესახებ.

არჩევანი ჟიული შარტავას კანდიდატურაზე შემდეგი გარემოებების გამო გაკეთდა: ის იყო ნიჭიერი და ენერგიული ორგანიზატორი; გარდა ამისა, ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ წარსულში კომკავშირულ სტრუქტურებში მოღვაწეობის პერიოდში მას ჰქონდა ახლო კავშირები როგორც აფხაზ ლიდერებთან, ისე კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ბორის პასტუხოვთან. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკავშირო კომკავშირის ცენტრა-

ლური კომიტეტის პირველ მდივანად, მაშინ როდესაც ჟ. შარტავა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ამდენად მისი ხელქვეითი იყო.

ჟ. შარტავა საკმაოდ აქტიურად შეუდგა თავის მოღვაწეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის რანგში, მაგრამ სამხედრო ვითარების გაუმჯობესება ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ივლისის ბოლოსათვის მდგომარეობა გუმისთის მიმართულებით ქართული მხარისათვის კიდევ უფრო დამძიმდა. განჩნდა სოხუმის დაკარგვის რეალური საფრთხე. ასეთ ვითარებაში ჟ. შარტავას ხელმძღვანელობით სოხუმში შედგა თავდაცვის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები (მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორიც). ა. ცქიტიშვილმა, II საარმიო კორპუსის მეთაურმა გენ. ზაურ უჩაძემ, აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა გენ. იური კეშელავამ, სხვა კომპეტენტურმა პირებმა ფრონტებზე (განსაკუთრებით გუმისთის მიმართულებით) შექმნილი მდგომარეობა შეაფასეს, როგორც უკიდურესად მძიმე და ერთადერთ გამოსავლად „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერა მიიჩნიეს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ სხდომის არცერთი მონაწილე (მათ შორის, არც ეროვნული ერთიანობის საბჭოს ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა) არ გამოსულა. ასე, სამხედროების, პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანხმობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1993 წლის 27 ივლისის ყბადაღებული სოჭის შეთანხმების „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“ ხელმოწერის თაობაზე.

ამ შეთანხმებით კონფლიქტში მონაწილე მხარეებს უნდა შეეჩერებინათ საომარი მოქმედებები 1993 წლის 28 ივლისის 12 საათიდან; კონფლიქტის ზონაში იკრძალებოდა დამატებითი ჯარებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა, ჯარები-

სა და სხვა ფორმირებების მობილიზაცია და შეუთანხმებელი გადაადგილება, იარაღისა და საბრძოლო მასალების შეტანა და სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა. 29 ივლისიდან უნდა დაეწყო ფუნქციონირება ქართულ-აფხაზურ-რუსულ დროებით მაკონტროლებელ ჯგუფებს (3-9 კაცის მონაწილეობით), რომელთაც მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვაზე. ისინი განთავსებული იქნებოდნენ სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ტყვარჩელში, გაგრასა და გალში. 5 აგვისტომდე უნდა შეექმნათ აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენელთა და მეთვალყურეთა მონაწილეობით<sup>48</sup>.

შეთანხმების მე-6 პუნქტის მიხედვით უნდა დაწყებულიყო კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია. ამავე დროს კონფლიქტის ზონაში დაუყონებლივ უნდა შემოსულიყვნენ „საერთაშორისო დამკვირვებლები და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან“ უნდა გასულიყვნენ „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები. ამავე ვადებში“ უნდა დაეშალათ და აფხაზეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ კონფლიქტის ზონაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებს, ჯგუფებსა და პირებს. აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები უნდა შესულიყვნენ შინაგანი ჯარების პოლკში<sup>49</sup>.

„მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან“ უნდა შექმნილიყო ქართული მხარის „შინაგანი ჯარის ნაწილი“, რომელიც ყაზარმაში დაბინავდებოდა. შემდეგ ეს ქვედანაყოფი „შინაგანი ჯარების“ აფხაზურ პოლკთან ერთად უნდა შესულიყო „აფხაზეთის მრავალეროვანი შინაგანი ჯარების შემადგენლობაში“.<sup>50</sup> შეთანხმებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით განთავსებულ რუსეთის ჯარებს უნდა დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი. „მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის



შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად“ მხარეებს უნდა შეექმნათ პირობები „აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანობის ნორმალური“ საქმიანობის განსაახლებლად. გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყონებლივ“ უნდა განეგრძოთ მოლაპარაკება „აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად“.<sup>51</sup>

სოჭის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ქართული მხარის სახელით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, აფხაზეთი მხარის სახელით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სოკრატ ჯინჯოლიამ, რუსეთის ფედერაციის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა. დაწყებული 1993 წლის ზაფხულიდან დღემდე არ წყდება კამათი პოლიტიკოსებსა და ექსპერტ-სპეციალისტებს შორის ამ შეთანხმების დადების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. ანალიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ შეთანხმებას მიიჩნევს კაპიტულანტურად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ე. შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ თითქოს წინასწარ განზრახვით მოაწერა ხელი შეთანხმებას და ამით მოამზადა ნიადაგი აფხაზეთის ჩაბარებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო წასვლა ამგვარ ღალატზე. ყოველი შემთხვევისათვის, ასეთ შორსმდევალ დასკვნას ძალზე სერიოზული, სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული არგუმენტაცია სჭირდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვუხსნით პასუხისმგებლობას ე. შევარდნაძესა და მის გუნდს იმ კატასტროფული შედეგებისათვის, რაც მოჰყვა სოჭის შეთანხმებას, მაგრამ ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას დანაშაულად ვუთვლით არა იმას, რომ მან მოაწერა ხელი წამგებიან დოკუმენტს (როგორც უკვე აღინიშნა, იმჟამად სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობდა), არამედ იმას, რომ მან ქვეყანა მიიყვანა ამ იძულებითი ნაბიჯის გადადგამდე. რასაკვირველია, სოჭის შეთანხმება არ იყო იდეალური ქართული მხარისათვის, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის აბ-

სოლუტურად წამგებიანი (თანაც ისეთ უძძიმეს ვითარებაში, როგორც შეიქმნა ივლისის მიწურულისათვის), მით უფრო, მოღალატეობრივი დოკუმენტი იყო. მართალია, შეთანხმების მიხედვით ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს უნდა დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია და მომხდარიყო რეგიონის საერთო დემილიტარიზაცია, მაგრამ ქართულ მხარეს ეძლეოდა შინაგანი ჯარის შენაერთის ყოლის უფლება, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გაერთიანებულიყო შინაგანი ჯარის აფხაზურ პოლკთან და მათ ერთად უნდა დაეცვათ მართლწესრიგი ავტონომიურ რესპუბლიკაში. ერთი შეხედვით, ამ თითქმის უტოპიური იდეის რეალიზაცია იმ პერიოდში ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ მხარეების კეთილი ნების შემთხვევაში მისი მთლიანად გამორიცხვაც არ შეიძლება.

არანაკლებ უტოპიური იყო იმ პუნქტის რეალიზაციაც, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურების საქმიანობის განახლებას, რაც გულისხმობდა ვ. არძინბასა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის, აგრეთვე მთავრობის გულაუთაში გახიზნული ნაწილის დაბრუნებას სოხუმში და მათ ერთობლივ მუშაობას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ქართულ ნაწილთან. პირველ რიგში, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქართული საზოგადოებრიობა, რომელსაც, ყოველივე მომხდარის შემდეგ, ვერ წარმოედგინა ცხოვრება ვ. არძინბას რეჟიმის ქვეშ.

ამრიგად, სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებაში ასე პირდაპირ საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველი პუნქტები თითქოს არ იყო დაფიქსირებული. მისი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავდა მისი შესრულების კონტროლის რეალურ მექანიზმებს და რომ ის, ისევე როგორც მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, არ შესრულდა და ფარატიანა ქალაქად იქცა. გარდა ამისა, არავითარი გამართლება არა აქვს საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილ მიაპიტობასა და დოყლაპიობას. 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მწარე გამოცდილების შემდეგ ე. შევარდნაძე და მისი გარემოცვა მხოლოდ სიტყვაზე

არ უნდა ნდობოდა კრემლს და მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან მომავალი „სამშვიდობო“ ინიციატივების მიმართ. სწორედ ამის პატიება არ შეიძლება და არა იმის, რომ მან მაინც მოაწერა ხელი სოჭის შეთანხმებას.

1993 წლის 28 ივლისიდან, მას მერე, რაც ამოქმედდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ერთი პერიოდი კონფლიქტის ზონაში მართლაც დაისადგურა მშვიდობამ, თუმცა დროდადრო სეპარატისტები მაინც არღვევდნენ დაზავებას. დაიწყო მოლაპარაკებითი პროცესი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ფორმატით. ქართულ მხარეს მოლაპარაკებებზე აფხაზეთის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა მართლაც შენარჩუნდებოდა, რაც ნამდვილად არ ესაბეჭებოდათ გულზე ოპოზიციურ ძალებს საქართველოში. ჯერ კიდევ 27 ივლისს თბილისში დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა მოაწყვეს მიტინგები, რომელზეც ღიად დაადანაშაულეს ხელისუფლება ქვეყნის ეროვნული ინტერესების ღალატში და მოითხოვეს საომარი მოქმედებების გაგრძელება.

შეიქმნა რამდენადმე კურიოზული სიტუაცია: ომის გაგრძელებას ითხოვდნენ ის ძალები, რომლებიც მანამდე (ტამიშის ოპერაციამდე მაინც, რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, მონაწილეობა მიიღეს ზ. გამსახურდიას ერთგულმა ეროვნული გვარდიის ნაწილებმა) ერთნიშნად გამოდიოდნენ აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვდნენ ქართული შეიარაღებული ძალების დაუყონებლივ გამოყვანას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

ამასობაში, ქართული მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდა სოჭის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. დაიწყო ბატალიონების ეტაპობრივი დაშლა, ქუთაისში გადასასვლელად ემზადებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის სარდლობა, მიმდინარეობდა კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის (ტანკების, საბრძოლო მანქანების, საარტილერიო დანადგარების) გამოტანა, მაგრამ ქართული საზოგა-

დობრობა, როგორც უკვე აღინიშნა, ვერაფრით ვერ ეგუებოდა ვ. არძინბას ხელისუფლების აღდგენას. სოხუმში მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგიც კი გაიმართა, რომელმაც თავის რეზოლუციაში მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, არ დაეშვა ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის სოხუმში დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოებრიობის ეს აქცია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს გუდაუთაში. სეპარატისტები კატეგორიულად მოითხოვდნენ სოჭის შეთანხმებით გათვალისწინებული „ხელისუფლების კანონიერი ორგანოების საქმიანობის“ განახლებას.

1993 წლის 9 აგვისტოს ვ. არძინბამ, აშკარად მოსკოვის წაქეზებით, წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომელშიც დაადასტურა ქართული მხარე ნაკისრი ვალდებულებების ობსტრუქციაში და მოუწოდა მათ, უზრუნველყონ სოჭის შეთანხმების შესრულება. ამით სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები ფაქტობრივად ამზადებდნენ იდეოლოგიურ ფონს „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმების დასარღვევად. 24 აგვისტოს სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა მოსკოვს გაემგზავრა, სადაც შეხვდა ბ. ელცინს. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სეპარატისტები უკვე სოხუმზე ახალი შტურმის განხორციელებისათვის ემზადებოდნენ.

**სოჭის შეთანხმების ვერაგული დარღვევა სეპარატისტების მიერ და სოხუმის დაცემა.** სოხუმზე ახალი შეტევის მომზადებისას სეპარატისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოს რაიონებში არსებულ კრიზისულ სიტუაციას. აგვისტოს ბოლოსათვის დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები. ისინი, ფაქტობრივად, მთლიანად აკონტროლებდნენ ზუგდიდს, სადაც თავი მოიყარეს არამართო ზ. გამსახურდიას ერთგულმა ეროვნული გვარდიის მემორებმა, არამედ დამხობილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმაც ყოფილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჭულაძის მეთაურობით. მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს

ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დასაკავებლად სამხედრო ოპერაციის გეგმის შექმნა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამოვიდა დიდი შერიგების ინიციატივით, რომელიც უნდა შემდგარიყო 1993 წლის 28 აგვისტოს – მარიამობის დღესასწაულს, ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში. ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით მართლაც შედგა მრავალათასიანი შერიგების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ქუთაისში ჩამოვიდა აფხაზეთის დელეგაციაც ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლორიკ მარშანიას მეთაურობით. მაგრამ ყოველივე ეს ამოუ გამოდგა. იმავე 28 აგვისტოს, დილაადრიან, ზ. გამსახურდიას მოძხრე ეროვნული გვარდიის ნაწილებმა მოულოდნელად აიღეს ხობი, სენაკი და აბაშა. ამ დროიდან, საქართველოს ხელისუფლების მთელი ყურადღება სამეგრელოში დაწყებული ამბოხის ჩახშობისკენ იყო მიპყრობილი.

ამასობაში აფხაზეთში ვითარება თითქოს საკმაოდ მშვიდი იყო. მხარეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. უფრო მეტიც, სოხუმის რაიონის მაღალმთიან სოფელ ლინდავაში, ფრონტის ხაზზე, ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის საფეხბურთო მატჩიც კი შედგა. სოხუმში მიდიოდა მზადება სასწავლო წლის დასაწყებად. დღეს ზოგიერთები დანაშაულად უთვლიან საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას იმას, რომ 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესი განახლდა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამაში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის და გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის განახლების თაობაზე სოხუმში მიიღეს. ამ შემთხვევაში ინიციატივა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიდან (მათ შორის იყო ამ სტრიქონების ავტორიც) მოდიოდა. თვით ჟიული შარტავა სიფროსი-

ლეს იჩენდა და დიდხანს წინააღმდეგი იყო სწავლის დაწყებისა.

1993 წლის 1 სექტემბერს მართლაც განახლდა სასწავლო პროცესი ქ. სოხუმის საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამას ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ის მხნეობას მატებდა ქართულ მოსახლეობას, ამაღლებდა მის მორალურ სულისკვეთებას. თანაც, ამით ქართული მხარე მთელ მსოფლიოს აჩვენებდა თავის სამშვიდობო განწყობას, სურვილს ყოველგვარი პანიკის გარეშე შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებას, რომლისკენაც მოუწოდებდა აფხაზ თანამომძიეებსაც. მაგრამ ოპტიმიზმი და იმედები იმ ადამიანებისა, რომელთაც სჯეროდათ სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობისა და ამიტომაც გამოდიოდნენ ასე აქტიურად სასწავლო პროცესის დაწყების ინიციატივით, არ გამართლდა. აფხაზი სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და სულ სხვა გეგმებს აწყობდნენ.

14 სექტემბერს მოულოდნელად უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია თბილისში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფოს მეთაურს დაუპირისპირდნენ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. ე. შევარდნაძემ კატეგორიულად მოითხოვა ამ ორი ოდიოზური ფიგურის წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან. საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის ლიდერს. მიუხედავად ამისა, ე. შევარდნაძემ უკიდურეს ზომას მიმართა და გააკეთა განცხადება პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობებიდან გადადგომის თაობაზე. მისმა ამ სვლამ ერთბაშად დაძაბა ვითარება როგორც პარლამენტში, ისე ქალაქში. ე.წ. „იმელის“ შენობის წინ, რომელშიც იმუჟამად განთავსებული იყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა ადამიანმა. მათ მოითხოვეს ე. შევარდნაძისაგან, თავი შეეკავებინა ასეთი უკიდურესი ქმედებისაგან. მას ამ თხოვნით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მაც. ე. შევარდნაძემ ყურად იღო ქვეყნის სულიერი ლიდერის თხოვნა და უკან წაიღო თავისი განცხადება.

ამით თითქოს კრიზისი ამოიწურა, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში მაინც დაძაბული რჩებოდა. 15 სექტემბერს ზ. გამ-

სახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის ფორმირებები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე და შევიდნენ გურიაში. 16 სექტემბერს კი აფხაზურმა მხარემ ვერაგულად დაარღვია სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და განაახლა სოხუმის დბომბვა. პარალელურად, სეპარატისტებმა განაზორციელეს წარმატებული შეტევა „აღმოსავლეთის ფრონტზე“ და დაიკავეს საავტომობილო გზა და სარკინიგზო მაგისტრალი ადიუბუა-ცაგერას რაიონში. შედეგად, სოხუმი და გულრიფშის რაიონი მოწყვეტილი იქნა დანარჩენი საქართველოსაგან და ფაქტობრივად ალყაში მოექცა. მოწინააღმდეგე გადავიდა შეტევაზე გუმისთის მიმართულებითაც. რუსული სპეცდანიშნულების რაზმების მეომრებისა და ე.წ. „კონფედერატების“ მხარდაჭერით, ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით სეპარატისტებმა შეუტიეს სოხუმის რაიონის სოფლებს: თავისუფლებას, ოდიშს, აჩადარას.

ქართული ნაწილები, რომლებიც დარჩენილი იყვნენ არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გარეშე (როგორც უკვე აღინიშნა, მძიმე ტექნიკა და საარტილერიო დანადგარები სოჭის შეთანხმების თანახმად გამოტანილ იქნა კონფლიქტის ზონიდან), გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხვდურთ. ქართველი მეომრების შეუპოვრობამ და სიქველემ მოთმინებიდან გამოიყვანა რუსეთის სამხედრო სტრუქტურები, მათ შორის, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, სადაც შეიმუშავეს კიდევ სოხუმის ალების ოპერაცია. მეზობელი ქვეყნის მთავარი სამხედრო უწყების უშუალო კავშირი სეპარატისტების მიერ წამოწყებულ ავანტიურასთან ფაქტობრივად აღიარა არა სხვა ვინმემ, არამედ გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. კოლესნიკოვმა, რომელმაც ჯერ კიდევ 16 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ღიად განაცხადა, რომ „მეორე დღეს სოხუმი აფხაზურ ქალაქად შეიძლება გადავიქცევი“.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში სოხუმში დაუყონებლივ გაფრინდა სახელმწიფოს მეთაური ელუარდ შევარდნაძე. 17 სექტემბერს ადღურში შედგა საქართველოს ხელმძღვანელის კონფიდენციალური შეხვედრა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრთან პავლე გრაჩოვთან. ამ უკანასკნელმა შექმნილი ვითარებიდან

გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მიიჩნია ორი რუსული დივიზიის შეყვანა სოხუმში და მათი მეშვეობით მეომარ მხარეთა დაშორებობა. რუსეთის მთავარი სამხედრო პირის ეს წინადადება ქართულმა მხარემ არ მიიღო. იმ დროიდან დაწყებული დღემდე არ წყდება კამათი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილების გამო. არაერთხელ შეეხო ამ საკითხს თავად ე. შევარდნაძე. მისი განმარტებით, პ. გრაჩოვის წინადადების წინააღმდეგ კატეგორიულად გამოსულან საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვია ყარყარაშვილი და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი. საკუთრივ ე. შევარდნაძეც აღიარებს, რომ ორი რუსული დივიზიის შემოყვანა კონფლიქტის ზონაში ნიშნავდა აფხაზეთის ოკუპაციას რუსეთის მიერ.

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ასეც იყო, ვინაიდან რუსული ჯარების შემოყვანა აფხაზეთში ნამდვილად აღიქმებოდა ქვეყნის ერთი ნაწილის ოკუპაციად. ასეთი ნაბიჯის გადადგმა კი იმ სიტუაციაში, როდესაც ოპოზიციური ძალები გადმოსულები იყვნენ ტოტალურ შეტევაზე, უდავოდ ქმნიდა არსებული ხელისუფლების დამხობის წინაპირობას და, ამდენად, ძალზე სარისკო იყო ე. შევარდნაძისათვის. გარდა ამისა, იყო სხვა მოტივაციაც. ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ კრიტიკულ მომენტში ოპოზიცია, დროებით მაინც, უარს იტყოდა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობაზე და იარაღს სეპარატისტებისა და მათი გადამთიელი მოკავშირეების წინააღმდეგ მოაბრუნებდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავდაპირველად ამის სიმპტომები მართლაც იყო, რადგან ოპოზიციურ ძალებთან საკმაოდ დამაიმედებელი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, ზ. გამსახურდიას ერთგული შეიარაღებული ფორმირებები შევიდნენ ოჩამჩირის რაიონში და კინდლთან დაბანაკდნენ. ასეთ სიტუაციაში ე. შევარდნაძისა და მისი გუნდის გადაწყვეტილება, არ მიეღოთ პ. გრაჩოვის წინადადება, საკმაოდ ლოგიკური მოჩანდა. თითქოს ყველა საფუძველი არსებობდა ქართულ მხარეს ეფიქრა, რომ გაერთიანებული ძალები არათუ შეძლებდნენ მოწინააღმდეგის შეჩერებას, არამედ იქით შეუტევდნენ და გაგრისა და გუდაუთის განთავისუფლებასაც შეძლებდნენ, რითაც საბოლოო დარტყმას მიაყენებ-



დნენ სეპარატიზმს აფხაზეთში.

სამწუხაროდ, ამ იმედებს აღსრულება არ ეწერა. უკანასკნელ მომენტში დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგულმა ნაწილებმა არ მიიღეს მონაწილეობა ერთობლივ სამხედრო მოქმედებებში სეპარატისტების წინააღმდეგ, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდევ სამხედრო კამპანიის ბედი და აფხაზეთის დაკარგვა გამოიწვია. მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე, დღევანდელი გადასახედიდან, უკვე არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ საქართველოს ხელისუფლების მაშინდელი გადაწყვეტილება, უარი ეთქვა პ. გრაჩოვის „სამშვიდობო“ მისიაზე, მთლად გამართლებული იყო. მითუმეტეს, რომ მოგვიანებით, როდესაც სეპარატისტებმა კონტროლი დაამყარეს მთელ აფხაზეთზე (კოდორის ხეობის ზედა ნაწილის გამოკლებით) და თავიანთი სამხედრო ფორმირებები განალაგეს მდ. ენგურის გასწვრივ, ე. შევარდნაძემ ამჯერად უკვე დათანხმდა კონფლიქტის ზონაში რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარების განთავსებას. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, პ. გრაჩოვის წინადადების არმილებით, კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რომელმაც ქვეყანა, საბოლოოდ, კატასტროფამდე მიიყვანა. იმაზე დიდი უბედურება, რაც დატრიალდა აფხაზეთში, რა უნდა მომხდარიყო.

მივუბრუნდეთ 1993 წლის ავბედითი სექტემბრის დღეებს. 18 სექტემბერს ე. შევარდნაძემ ალყაშემორტყმული სოხუმიდან გაავრცელა „მიმართვა ჩემი სამშობლოს ყველ მეგობარს“, რომელშიც პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთის მაღალჩინოსანი სამხედროები და პოლიტიკური წრეები სისხლისღვრის გაჩაღებაში. საქართველოს ლიდერმა მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას, კარგად გაეცნობიერებინათ, რომ „აფხაზეთი იმპერიის სისხლიანი რევანშის ბრძოლის ველია, „მეორე აგვისტო“, ის დენტის კასრია, რომლის მეშვეობითაც არა მარტო შევარდნაძის საქართველო სურთ ააფეთქონ, არამედ ელცინის რუსეთიც“.<sup>52</sup> მაგრამ ე. შევარდნაძის მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. უშედეგო გამოდგა 19 სექტემბერს ადლერში განახლებული აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების დროებითი კომისიის მუშაობა. აფ-

ხაზური მხარის დესტრუქციული პოზიციის გამო ქართული დელეგაციის მეთაურმა ჟიული შარტავამ პროტესტის ნიშნად დატოვა კომისიის სხდომა და სოხუმში დაბრუნდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მიიღო ერთგვარი მოჩვენებითი „პრევენციული“ ზომა და გამოსცა განკარგულება „აფხაზური მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დარღვევასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ თუ აფხაზური მხარე კვლავაც არ დაიცავდა სოჭის შეთანხმებას, რუსეთი განახორციელებდა „საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ“ ღონისძიებებს და შეუწყვეტდა აფხაზეთს ენერგომომარაგებას რუსეთის ტერიტორიიდან<sup>53</sup>, მაგრამ ყოველივე ამან პრაქტიკულად არაფერი არ შეცვალა და სეპარატისტები, ე.წ. „კონფედერატების“, კაზაკებისა და, რაც მთავარია, რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების აქტიური დახმარებით წარმატებით აგრძელებდნენ ქ. სოხუმის შტურმს.

მიძიე ტექნიკისა და არტილერიის გარეშე დარჩენილი ქართული შეიარაღებული ფორმირებები, როგორც შეეძლოთ, ცდილობდნენ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შეჩერებას. სოხუმში იყო პანიკის ნიშნები, თუმცა მოსახლეობა, ოჩამჩირიდან მაშველი ძალების მოსვლის იმედით, ქალაქს მაინც არ ტოვებდა. თითქოს ოპტიმიზმის საფუძველიც არსებობდა, რადგან ოჩამჩირიდან კინდლამდე თავი მოეყარა საკმაოდ სოლიდურ ძალებს (თითქმის 5 ათასამდე მეომარს, საბრძოლო ტექნიკის 60-მდე ერთეულით). სამთავრობო ჯარებთან ერთად აქ იმყოფებოდნენ ზ. გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის მებრძოლებიც. მუდმივად მოდიოდა ინფორმაცია, რომ ეს-ესაა ქართული ნაწილები დაძლევენ სეპარატისტთა წინააღმდეგობას კოდორთან და შემოვიდოდნენ სოხუმში, მაგრამ ამ პროგნოზებს გამართლება არ ეწერა.

24 სექტემბერს გროზნოდან საქართველოში ჩამოფრინდა დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ქ. ზუგდიდში, ცენტრალურ მოედანზე, მრავალათასიან მიტინგზე გამოსვლისას, ზ. გამსახურდიამ საზეიმოდ გამოაცხადა უმაღლესი მთავარსარდლის

ფუნქციების აღება და გაემართა ოჩამჩირისაკენ, სადაც შეხვდა როგორც სამთავრობო ნაწილების მეთაურებს, ისე თავის ერთგულ გვარდიელებს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ შიდაქართული დაპირისპირებები დროებით მაინც დავიწყებული იქნებოდა და ქართული შეიარაღებული ძალები ერთიანი ფრონტით დაიძვრებოდნენ სოხუმისაკენ, მაგრამ ბოლო მომენტში, როგორც უკვე აღინიშნა, ზ. გამსახურდიას მომხრე გვარდიის ნაწილებმა უარი თქვეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაზე, ხოლო მარტოდ დარჩენილმა სამთავრობო ჯარებმა ვერ მოახერხეს სეპარატისტების თავდაცვითი ზღუდის გადალახვა მდ. კოდორის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ.

ამასობაში სეპარატისტთა ფორმირებები წარმატებით მიიწვედნენ წინ გუმიდის ფრონტზე. 23 სექტემბერს მათ გადალახეს მდინარე და დაიკავეს სოფელი აჩადარა. ასე დაიწყო სოხუმის აღების ოპერაცია. 25 სექტემბერს მოწინააღმდეგემ მთლიანად დაამყარა კონტროლი ეშბას ქუჩასა და მის შემოგარენზე რკინიგზის სადგურის ჩათვლით. სხვებზე მეტ ხანს იგერიებდნენ მომხვედრთ სოფ. გუმიდის დამცველები. ქართული მხარე თითქმის 27 სექტემბრის დილაძღე აკონტროლებდა ბზიფის გზატკეცილსა და ე.წ. „ახალი რაიონის“ მეორე მიკრორაიონს, მაგრამ 27 სექტემბერს, დილით, სეპარატისტთა დაქირავებული ნაწილები უკვე ამოვიდნენ მიკრორაიონში და მთლიანად დაიკავეს „ახალი რაიონი“. ამის შემდეგ მათ სხვადასხვა მხრიდან ფორსირებულად შეუტიეს ქალაქის ცენტრს. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა მინისტრთა საბჭოს შენობასთან, სადაც იმყოფებოდნენ თავდაცვის საბჭოს წევრები ჟიული შარტავას მეთაურობით. ამ დროს სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე და მისი უახლოესი გარემოცვა იმყოფებოდა ქალაქის განაპირა რაიონში – სინოპში, სადაც განთავსებული იყო II საარმიო კორპუსის შტაბი. ყველა მცდელობა, გაეგზავნათ მასშველი ძალა მთავრობის სახლის დამცველებისათვის ამაო გამოდგა და 13 საათისათვის სეპარატისტებმა შტურმით აიღეს მინისტრთა საბჭოს შენობა.

ტყვედ ჩავარდნენ ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები: მრეწველობის მინისტრი რაულ ეშბა, ქ. სოხუმის მერი გუ-

რამ გაბისკირია, მინისტრთა საბჭოს აპარატის უფროსი ჯუძბერ ბეთაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ვახტანგ გეგელაშვილი და სხვ. გზად გუდაუთისკენ ისინი მხეცურად დახვრიტეს. სასწაულებრივად გადარჩა მხოლოდ იური გავა, ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „*Демократическая Абхазия*“-ს რედაქტორი, რომელიც მოთავსებულ იქნა გუდაუთის საპყრობილეში, საიდანაც ის, მოგვიანებით, გაათავისუფლეს რუსეთის ჟურნალისტური წრეებისა და საზოგადოებრიობის ზეწოლით.

27 სექტემბერს ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა, აგრეთვე მშვიდობიანმა მოსახლეობამ დატოვეს სოხუმი და ორი მიმართულებით უკან დაიხიეს. მშვიდობიანი მოსახლეობის მცირე ნაწილი ევაკუირებულ იქნა აგუძერიდან რუსული ზომალდებით, ათეულ ათასობით ადამიანმა კი კოდორის ხეობით უშველა თავს. ბევრმა (პირველ რიგში, მოხუცებმა და მცირეწლოვანმა ბავშვებმა) ვერ გაუძლო ამ გოლგოთას და სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა სვანეთის მთებში. სულ დაიღუპა 400-მდე ადამიანი.

28 სექტემბერს დილაადრიან ბაბუშარის აეროპორტიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც იყო სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე. მასთან ერთად თვითმფრინავში იმყოფებოდნენ ვიცე-პრემიერი ალექსანდრე კავსაძე, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი, ქ. თბილისის მერი კონსტანტინე გაბაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ავთანდილ ჯორბენაძე, გენერალი შოთა კვირიაა, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელი, ჟურნალისტი რევაზ ევაძე და სხვ. თვითმფრინავს მოწინააღმდეგემ ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ის მფრინავის მოხერხებულობამ გადაარჩინა ჩამოგდებას. იმავე დღეს ბათუმში ხანმოკლე შეჩერების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

28-30 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოკავშირებმა გააგრძელეს შეტევა და დაიკავეს გულრიფში, ოჩამჩირე და გალი. ქართულ სამთავრობო ჯარებსა და დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგულ ეროვნული გვარდიის ნაწილებს არც კი უცდიათ რაიმე წინააღმდეგო-

ბის გაწევა და მათ უბრძოლველად დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია. მათთან ერთად აფხაზეთი დატოვა ადგილობრივმა ქართულმა მშვიდობიანმა მოსახლეობამაც.

ასე ტრაგიკულად დასრულდა საქართველოსათვის ე.წ. „აფხაზეთის ომი“, რომელიც 13 თვეზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა. ომმა დიდი უბედურება მოუტანა მთელ საქართველოს. სამხედრო დაპირისპირებამ იმსხვერპლა 10 ათასზე მეტი ადამიანი, რომლის უმეტესობა მშვიდობიანი მოსახლეობა იყო. 300 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა მშობლიური კუთხე და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. აფხაზეთში ჩარჩენილებს კი სეპარატისტებმა ნამდვილი გენოციდი მოუწყვეს. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ომში „გამარჯვებამ“ რაიმე სიკეთე მოუტანა თავად აფხაზ ხალხს. დღევანდელი გადასახელიდან სრულიად ცხადი ხდება, რომ 1993 წლის 27 სექტემბრის „სამხედრო ტრიუმფიდან“ ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა. ის ილუზიები, რომლითაც მთელი ამ ხნის განმავლობაში აბრეყებდა ხალხს სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, მთლიანად დაიშხვერა.

აფხაზეთი რჩება უკანონო წარმონაქმნად, რომლის სახელმწიფოებრიობას არასოდეს არავინ არ სცნობს. იგი გარიყულია. თვით რუსეთიც კი იძულებული გახდა, ოფიციალურად ბლოკადა გამოეცხადებინა სეპარატისტული რეჟიმისათვის (თუმცა ეს ბლოკადა რეალურად არ ხორციელდება). არ არსებობს დანგრეული ეკონომიკის აღდგენის არავითარი რეალური პერსპექტივა. იქ დარჩენილი მოსახლეობა სოციალურად აბსოლუტურად დაუცველია. ამას ემატება უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენული ვითარება. ამ მხრივ აფხაზეთმა ერთბაშად შუა საუკუნეებში ამოყო თავი. საზღვარი არა აქვს შეიარაღებული ბანდების თარეშს, რომლებიც არ ინდობენ არც ქართველებს, არც სომხებს, არც რუსებს და არც თვით აფხაზებს. თუ ადრე აფხაზის მიერ აფხაზის მოკვლა იშვიათობა იყო, ამჟამად „გამარჯვებული“ აფხაზები უმოწყალოდ ხოცავენ ერთმანეთს. გახშირდა თვითმკვლელობის ფაქტები. აშკარად გამოიკვეთა კლანებს შორის შეურიგებელი დაპირისპირება, რომელიც, როგორც ცნობილია, 2004 წლის „საპრეზიდენტო არჩევნების“ დროს კინაღამ სამოქალაქო ომში გადა-

იზარდა. ასეთი უმძიმესი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, რასაკვირველია, ქართველებთან დიდი შერიგება და საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოებისაგან წამოსული სამშვიდობო ინიციატივები სოხუმის მხრიდან ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

## შენიშვნები:

### თავი I

<sup>1</sup> იხ.: **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკ. I. თბ., 2004, გვ. 241-246.

<sup>2</sup> **С. З. Лакоба**. Абхазия в годы первой революции в России. – წგნ.: *История Абхазии*. Учебное пособие. Сухуми, 1991, გვ. 227, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> **С. З. Лакоба**. Абхазия в 1917-1921гг. – წგნ.: *История Абхазии*. Учебное пособие. Сухуми, 1991, გვ. 281.

<sup>4</sup> **С. З. Лакоба**. Абхазия в 1917-1921гг., გვ. 281-283.

<sup>5</sup> დოკუმენტი იხ. წიგნში: *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988)*. პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **თამაზ დიასამიძე**. თბ., 2004, გვ. 212. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>6</sup> *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის..*, გვ. 212, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>7</sup> *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის..*, გვ. 214, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>8</sup> *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის..*, გვ. 215-216; **С. З. Лакоба**. Абхазия в 1917-1921гг., გვ. 283, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>9</sup> ეს მასალა გამოქვეყნებულია ბერლინში გამოძვალ ქართულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ 1931წ. იხ.: *გაუცხოების დასაწყისი (1917-1920)*. – „თეთრი გიორგი“, ბერლინი, 1931. მითითებულია წიგნიდან: **დ. ჩიტაია**. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბ., 2006, გვ. 125-126.

<sup>10</sup> ამის შესახებ საგანგებო მსჯელობა იხ.: **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები., გვ. 72-74.

<sup>11</sup> „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაარსების დროის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. – „*შოთა მესხია – 90*“, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბ., 2007, გვ. 201-213.

<sup>12</sup> История возникновения христианства в Абхазии. – იხ. ვებ-გვერდი: *Грузинская Православная Церковь* – <http://www.geo.orthodoxy.ru/history10.htm>. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>13</sup> **Д. Гамахария, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997, გვ. 322.

<sup>14</sup> **С. Лакоба**. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 64.

- 15 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 16.
- 16 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 16-17.
- 17 **А. Ментешашвили.** Исторические..., გვ. 16, საზღვანდ ჩვენი – ზ.პ.
- 18 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 16.
- 19 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 75; *აგზახეთის ბა და სამხრეთ ცხეთის...*, გვ. 220.
- 20 **А. Ментешашვილი.** Исторические..., გვ. 18, საზღვანდ ჩვენი – ზ.პ.
- 21 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 408-409.
- 22 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 19.
- 23 **С. Лакоба.** Очерки..., გვ. 65.
- 24 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 413; *აგზახეთის ბა და სამხრეთ ცხეთის...*, გვ. 221.
- 25 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 413; *აგზახეთის ბა და სამხრეთ ცხეთის...*, გვ. 221.
- 26 **ოვ.: А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 20-21.
- 27 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 22.
- 28 **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 66.
- 29 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 749, საზღვანდ ჩვენი – ზ.პ.
- 30 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 753. საზღვანდ ჩვენი – ზ.პ.
- 31 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 765-766.
- 32 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 764.
- 33 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область..., გვ. 415; *აგზახეთის ბა და სამხრეთ ცხეთის...*, გვ. 225, საზღვანდ ჩვენი – ზ.პ.
- 34 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 755.
- 35 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 755.
- 36 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия... გვ. 756.
- 37 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 754.
- 38 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 26-27.
- 39 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 717.
- 40 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 420.
- 41 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 420.
- 42 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 82.
- 43 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 83.
- 44 **დ. ხიტაიძე.** აგზახეთის სკოთის..., გვ. 221.
- 45 **დ. ხიტაიძე.** აგზახეთის სკოთის..., გვ. 86.
- 46 **დ. ხიტაიძე.** აგზახეთის სკოთის..., გვ. 86.
- 47 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 424.
- 48 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 424.



- 49 **Р. Ходжаа.** Документы и материалы Абхазского Народного Совета. 1918-1919гг. Сухуми, 1999, გვ. 21.
- 50 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 76.
- 51 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 76.
- 52 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 84.
- 53 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 76.
- 54 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 76.
- 55 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 27.
- 56 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 85.
- 57 **გ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 257.
- 58 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 85-86.
- 59 *Материалы по истории Абхазии.* Вып. 1. Сухуми, 1990, გვ. 9.
- 60 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 424-425.
- 61 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 424-425.
- 62 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 426.
- 63 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 33.
- 64 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 33.
- 65 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия... გვ. 426.
- 66 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 33.
- 67 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 34.
- 68 **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 74
- 69 **Р. Ходжаа.** Документы и материалы..., გვ. 23.
- 70 **გ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 270.
- 71 **გ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 271.

## თავი II

- 1 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси. *Документы и факты.* Сухуми, 2001, გვ. 69.
- 2 **А. Ментешашвили.** Исторические..., გვ. 78. საზგასმა ჩვენია – ზ.პ.
- 3 **გ. ჩიტაია.** აფხაზეთის სახელსო საბჭო..., გვ. 106-107.
- 4 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 101.
- 5 **А. Ментешашвили.** Исторические..., გვ. 89-90. საზგასმა ჩვენია – ზ.პ.
- 6 **А. Ментешашვილი.** Исторические предпосылки..., გვ. 90.
- 7 **А. Ментешашვილი.** Исторические..., გვ. 94. საზგასმა ჩვენია – ზ.პ.
- 8 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 436.
- 9 **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 71; **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 66.

- 10 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область..., გვ. 436-437, საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 11 **Г. А. Дзидзария.** Очерки борьбы за советскую власть в Абхазии..., გვ. 252; **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 774.
- 12 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 89.
- 13 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 90.
- 14 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 39-40.
- 15 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 93.
- 16 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 94.
- 17 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 94.
- 18 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 103.
- 19 ამის შგესახებ იხ.: **ზ. პაპასქიორი.** ნარკვევები..., გვ. 133-206.
- 20 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 50.
- 21 **ზ. პაპასქიორი.** ნარკვევები..., გვ. 228-232.
- 22 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 96.
- 23 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 450. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 24 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 50-51.
- 25 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 52. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 26 **დ. ზოგად.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 282.
- 27 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 435, 774-775. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 28 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 771.
- 29 **დ. ზოგად.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 360.
- 30 **დ. ზოგად.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 360.
- 31 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 101.
- 32 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 111.
- 33 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 99.
- 34 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 100. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 35 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 456. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 36 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 782.
- 37 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 454. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 38 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область..., გვ. 455. საზღაპსმღ ჩვეგბოდ – ზ.პ.
- 39 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область..., გვ. 444.
- 40 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии. 1921-1938гг. Сухуми, 1981, გვ. 32; **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 778.
- 41 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 761-762.
- 42 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 762.

- 43 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 105-106.
- 44 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 106.
- 45 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 108.
- 46 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 109.
- 47 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 109.
- 48 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 110.
- 49 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 467-469, საზღვარსა და ჩრდილს – ზ.ჯ.
- 50 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 97.
- 51 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 467-469.
- 52 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 78.
- 53 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 78.
- 54 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 420, საზღვარსა და ჩრდილს – ზ.ჯ.
- 55 **Р. Ходжаа.** Документы и материалы..., გვ. 20-23.
- 56 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной интервенции и гражданской войны. Победа советской власти в Абхазии (конец 1918 – март 1921г.). – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 51.
- 57 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 51-52.
- 58 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 785.
- 59 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 47.
- 60 **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 497.
- 61 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 48.
- 62 **А. Ментешашвили.** Исторические..., გვ. 49, საზღვარსა და ჩრდილს – ზ.ჯ.

### თავი III

- 1 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки проведения Великой Октябрьской социалистической революции. Борьба за победу советской власти в Абхазии в 1918 г. – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 26. საზღვარსა და ჩრდილს – ზ.ჯ.
- 2 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 29.
- 3 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 35.
- 4 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 35.
- 5 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 40.
- 6 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 40.
- 7 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 40.
- 8 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки..., გვ. 40.
- 9 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 62.

- 10 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 59.
- 11 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 67.
- 12 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. – კრ.: *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 293, ხაზგასმამ ჩვენია – **ზ.პ.**
- 13 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 293.
- 14 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 67.
- 15 **ლ. თოიძე.** რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1998, გვ. 404.
- 16 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 115.
- 17 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 115.
- 18 ამის შესახებ იხ.: **С. Лакоба.** Ответ историкам..., გვ. 86-88.
- 19 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 70.
- 20 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 70.
- 21 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 73.
- 22 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 73.
- 23 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 79.
- 24 **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период иностранной..., გვ. 80.
- 25 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии..., გვ. 297.
- 26 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии..., გვ. 297.
- 27 **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение органов государственной власти. Образование ССР Абхазии. – *История Абхазской АССР*. Сухуми, 1983, გვ. 101.
- 28 **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение..., გვ. 101.
- 29 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 60.
- 30 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 41-42. ხაზგასმამ ჩვენია – **ზ.პ.**
- 31 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 59.
- 32 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 59.
- 33 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 469.
- 34 **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение..., გვ. 102.
- 35 **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение..., გვ. 102.
- 36 **А. Ментешашвили.** Исторические..., გვ. 64. ხაზგასმამ ჩვენია – **ზ.პ.**
- 37 **Л. Тоидзе.** К вопросу..., გვ. 302. ხაზგასმამ ჩვენია – **ზ.პ.**
- 38 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 90.
- 39 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 90.
- 40 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 88.
- 41 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 470.

- 42 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 470-471. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 43 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 471-472. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 44 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 472.
- 45 **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки., გვ. 67.
- 46 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 117. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 47 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 117.
- 48 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 117. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 49 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 118.
- 50 **А. Ментешашвили.** Исторические., გვ. 67. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 51 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии., გვ. 303.
- 52 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии., გვ. 299.
- 53 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 481.
- 54 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии., გვ. 301.
- 55 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 482, საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 56 **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии., გვ. 301.
- 57 **Б. Е. Сагария.** Создание., გვ. 106. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 58 **Б. Е. Сагария.** Создание., გვ. 107. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 59 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 483-484. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 60 **Б. Е. Сагария.** Создание., გვ. 106. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 61 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 485. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 62 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 489. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 63 **Л. Тоидзе.** К вопросу., გვ. 303. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 64 **Л. Тоидзе.** К вопросу., გვ. 303. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 65 *История Абхазской АССР.,* გვ. 83.
- 66 *История Абхазской АССР.,* გვ. 121. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 67 *История Абхазской АССР.,* გვ. 121. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 68 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси., გვ. 93.
- 69 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 490.
- 70 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 490, საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 71 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 490.
- 72 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 503.
- 73 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 491.
- 74 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 491. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 75 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия., გვ. 494-495. საზღვარსა ჩვენი — **ზ.პ.**
- 76 **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси., გვ. 93-94.

- 77 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 497. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 78 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 497.
- 79 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 498.
- 80 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 498.
- 81 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 498-499.
- 82 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 499, საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 83 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 499.
- 84 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 499.
- 85 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 500.
- 86 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 500.
- 87 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 502.
- 88 **Б. Е. Сагария.** Преобразование договорной ССР Абхазия в автономную республику. – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 249. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 89 **Б. Е. Сагария.** Преобразование..., გვ. 250.

#### თავი IV

- 1 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 32-33.
- 2 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 33.
- 3 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 39.
- 4 **ზ. პაპასქორი.** მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადუელი, VI. თბ., 2003, გვ. 14-15.
- 5 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 184. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 6 **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 99.
- 7 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 186.
- 8 **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление..., გვ. 186.
- 9 **ბ. დარსანია.** საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამოკიდებულება ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ საკითხისადმი. *გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ მასალების მიხედვით.* – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადუელი, III. თბ., 2002, გვ. 152.
- 10 **ბ. დარსანია.** საქართველოს მემარცხენე..., გვ. 151.
- 11 **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 477.
- 12 მასალები მოტანილია წიგნიდან: **ჯ. Гамахарია, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 479.

- <sup>13</sup> **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 479.
- <sup>14</sup> **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 493.
- <sup>15</sup> **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 493.
- <sup>16</sup> **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область..., გვ. 493.  
საზღვასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- <sup>17</sup> **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 801.
- <sup>18</sup> **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 90-91.
- <sup>19</sup> **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 90.
- <sup>20</sup> **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 121-122.
- <sup>21</sup> **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки..., გვ. 61.
- <sup>22</sup> **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 112.
- <sup>23</sup> **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 131.
- <sup>24</sup> **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 131-132.
- <sup>25</sup> **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 132.
- <sup>26</sup> **С. Лакоба.** Очерки..., გვ. 122. საზღვასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- <sup>27</sup> **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 123.
- <sup>28</sup> **С. Лакоба.** Очерки..., გვ. 118. საზღვასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- <sup>29</sup> იხ. ზემოთ: გვ. 51-52.
- <sup>30</sup> იხ.: **ს. ვარდოსანიძე.** საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001, გვ. 195.
- <sup>31</sup> იხ.: **თ. ანთელავა.** ბოლშევიკების ბრძოლა პოლიტიკური ხელი-სუფლებებისათვის რუსეთში (1905-1922 წწ.), თბ., 2001, გვ. 590.
- <sup>32</sup> **თ. ანთელავა.** ბოლშევიკების ბრძოლა..., გვ. 566.
- <sup>33</sup> იხ.: **მ. ოკუჯავა.** სიონისტები ბოლშევიკურ პარტიაში. – *საისტორიო ძიებანი*, ტ. III. თბ., 2000, გვ. 316.
- <sup>34</sup> **თ. ანთელავა.** ბოლშევიკების ბრძოლა..., გვ. 586.
- <sup>35</sup> **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 132.
- <sup>36</sup> **С. Лакоба.** Очерки по политической истории Абхазии..., გვ. 91-92.

## თავი V

- <sup>1</sup> **თ. გვანცელაძე.** აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – *ბედია* (ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟურნალი), №6-7. თბ., 2000, გვ. 83.
- <sup>2</sup> **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией. М., 1997, გვ. 125.
- <sup>3</sup> **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 126.
- <sup>4</sup> იხ.: **თ. გვანცელაძე.** აფხაზური დამწერლობის..., გვ. 87.
- <sup>5</sup> **თ. გვანცელაძე.** აფხაზური დამწერლობის..., გვ. 87.

- 6 **თ. გვანცველაძე.** აფხაზური დამწერლობის..., გვ. 88-89.
- 7 **თ. გვანცველაძე.** აფხაზური დამწერლობის..., გვ. 88.
- 8 **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия..., გვ. 503. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 9 **Г. Жоржолани.** Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия. Тб., 2000, გვ. 36.
- 10 **Г. Жоржолани.** Исторические и политические корни..., გვ. 36.
- 11 **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 93.
- 12 **Г. П. Лежава.** Между Грузией..., გვ. 121-122. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 13 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 127.
- 14 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 146-147.
- 15 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 144-145.
- 16 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 140-141.
- 17 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 131.
- 18 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 138.
- 19 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 144-150.
- 20 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 151.
- 21 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 142.
- 22 **С. З. Лакоба.** Очерки..., გვ. 40. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 23 Доклад Кутаисского военного губернатора по военно-народному управлению, 2 сентября 1900 года. – წგნ.: **ა. სილაგაძე, ვ. გურული.** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები. თბ., 2001, გვ. 309. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

## თავი VI

- 1 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 163.
- 2 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 171.
- 3 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 183.
- 4 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 163.
- 5 **ბ. ბერძენიშვილი.** პ. ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს“ გამო. – *მნათობი*, №12. თბ., 1956, გვ. 125-131.
- 6 **ქ. ლომთათიძე.** აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. (პ. ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“ გამო). – *მნათობი*, №2. თბ., 1957, გვ. 132-139.
- 7 **გ. ახვლედიანი.** აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის. – *მნათობი*, №2. თბ., 1957, გვ. 107-114.
- 8 **ს. ყაუხჩიშვილი.** „გიორგი მერჩულის“ გარშემო. – *მნათობი*, №2. თბ., 1957, გვ. 115-125.
- 9 **დ. კობიძე.** ტერმინი „აბხაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით. – *მნათობი*, №2. თბ., 1957, გვ. 126-128.



- 10 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 181.
- 11 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 182-183.
- 12 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 182.
- 13 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 184.
- 14 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 170.
- 15 ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 87-95.
- 16 იხ. ზემოთ: გვ. 110-111. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში – *საისტორიო ძეგბანი*, წელიწადეული, VI. თბ., 2003, გვ. 3-31.
- 17 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 178.
- 18 **Х. С. Бгажба.** Бзыбский диалект абхазского языка. Сухуми, 1965.
- 19 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ., 1966, გვ. 278.
- 20 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა... გვ. 278.
- 21 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა... გვ. 278.
- 22 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე... გვ. 278-279, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 23 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა... გვ. 279-280.
- 24 **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე... გვ. 285-286. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
- 25 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 186-187.
- 26 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 186.
- 27 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 186-187.
- 28 **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией, გვ. 187.
